რევაზ ჯავარიძე

კაენის ცოდვა

პუბლიცისტური წერილები

გამომცემლობა „მერანი“
თბილისი

83 9 5621-34

„აწონილი სიტყვის“ შემდეგ ეს რეკაზ ჯაფარიძის პუბლიცისტური წერილების მე-5 წიგნია. წიგნში შესული, უკლებლივ ყველა წერილი, რომლებიც ჩვენი ერის ცხოვრების უმწვავეს პრობლემებს ეხება, 9 წლის განმავლობაში, 1987 წლიდან დღემდე იბეჭდებოდა რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე.

ისევე, როგორც „აწონილი სიტყვა“ და პუბლიცისტური წერილების მომდევნო კრებულები, წინამდებარე წიგნიც — „კაენის ცოდვა“ მათი ავტორის სულიერ მრწამსს გამოხატავს და სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის მიზანს ემსახურება.

მხატვარი სპ. ცინცაძე

© გამომცემლობა „მერანი“ 1997

რა გვიშველის, რა გვიხარია

აი, მიიწურა ოთხმოციანი წლებიც. საუკუნის დასასრულამდე ერთი ხელის გაწვდენაღა დაგვრჩა. ისტორიულ წარსულს ბარდება ათასი შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე აღმავლობისა და დაცემის, სულის მტანჯველი გაორებისა და დანაშაულებრივი გულგრილობის წლები, ამ-ჟამად მოქმედი უფროსი თაობის ადამიანებმა რომ გამოვიარეთ და ავად თუ კარგად აქამდე მოვედით.

ისტორიულ წარსულს ბარდება-მეთქი, ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღითიდღე სულ ახალი და ახალი მოვლენების მოწმე და მონაწილე ვხდებით. საზოგადოება დღეს უკვე ის აღარ არის, რაც გუშინ და მით უფრო გუშინწინ იყო. ჩაღდება შეურიგებელი ბრძოლა ოდესღაც სასურველ სოციალურ ნორმად აღიარებულ სინამდვილესა და ამ სი-ნამდვილესთან ახლებურ დამოკიდებულებას შორის, რაც ერთობ მტკივნეული პროცესია და განუწყვეტელ შეხლა-შემოხლასა, შუბებისა და ფარების მსხვრევაში მიმდინარეობს.

ჩემი ღრმა რწმენით, თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, არ უნდა წარმოვადგინოთ საქმე ისე, თითქოს ეს უთანხმოება და ბრძოლა სა-ზოგადოების გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებს შორის ატეხილი ბრძოლა იყოს, რომელსაც სხვანაირად თაობების ბრძოლას ეძახიან. მარტო ასა-კობრივი ახალგაზრდობა როდი კმარა იმისათვის, რომ პროგრესული იდეების მატარებელი გახდე. არც ხანდაზმულობა მოასწავებს მაინც და მაინც რეტროგრადობას და ბნელეთის მოციქულობას. არც ის, თუ ვინ სად მსახურობს, მინისტრია, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი თუ სტუდენტი. ერთიც და მეორეც, ასე გვასწავლის ისტორია, ჩვენამდე არსებული საზოგადოების გამოცდილება, ორივე ასაკობრივი ჯგუფის და სოციალური ფენის წარმომადგენელი შეიძლება იყოს. ასე რომ, საქმეს ის კი არ წყვეტს, თუ ვინ რამდენი წლისაა, ან ვინ სად მსახუ-რობს, რა საზოგადოებრივ ტვირთს ეწევა, არამედ ის, თუ ვინ რას ქადაგებს, საზოგადოების სამსახურის რა გზა აურჩევია და ხელიდან რა გამოუდის.

ყოველივე ამის თქმა და საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათა ერთხელ კიდევ გახსენება დღეს საჭირო არ იქნებოდა, ეს საჭიროება თვით გარემოებას, ჩვენს საზოგადოებაში სწორედ დღეს მიმდინარე პროცესებს რომ არ ეკარნახებინა. თვალის დახუჭვა იმის წინაშე, რაც დღეს ჩვენს ირგვლივ ხდება, იმ სირაქლემის გონიერებას მაგონებს, სა-შიშროების მოახლოებით დამფრთხალმა თავი რომ ქვიშაში დამალა და ტანი კი ზემოთ დარჩა. ვის უნდა დავემალოთ, ანდა ამგვარი სირაქ-ლემისებური დამალვა ვის რად უნდა, ვის რა ხეირი და სარგებლობა უნდა მოუტანოს? არა სჯობს, ნავსი გავტეხოთ, სინამდვილეს თვალი თვალში გავუყაროთ და მოვლენებისადმი ჩვენი დამოკიდებულება პა-ტიოსნად გამოვხატოთ? იქნებ რაიმე კიდეევაც შეგვეშალოს, იქნებ ვერა ვთქვათ ის, რის თქმაც გვწადია, ან მწვადი დავწვათ და ან შამფური, მაგრამ, მადლობა ღმერთს, უნებლიე შეცოდებისათვის დღეს ჯვარზე აღარავინ გვაკრავს, არც არავინ გვაიძულებს, ვისიმე მოსაზრება, ვი-სიც არ უნდა იყოს, ეკვმიუტანელ ჭეშმარიტებად გამოვაცხადოთ,

დოგმად ვაქციოთ და, როგორც არა ერთხელ მომხდარა, მას ცხვრის ფარასავით მივდიოთ.

ზემოთ დანაშაულებრივი გულგრილობა ვახსენე, ვახსენე, როგორც ერთი უმთავრესი მანკი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. იქ, სადაც ცოცხალი აზრი ბატონობს, სადაც ადამიანებს ხელეწიფებათ თავიანთი პიროვნული შეხედულება და ტემპერამენტი დაუბრკოლებლივ, ყოველგვარი რეგლამენტირების გარეშე გამოავლინონ, იქ ინერტულობა და გულგრილობა, განურჩევლობა ერთ წუთსაც ვერ იბოგინებს. გულგრილობა, განურჩევლობა, საზოგადოების თითოეული წევრის ინერტულობა ქაობის, უძრაობის, ბრძანებლურ-ადმინისტრაციული მართვა-გამგეობის თანამდევი ავადმყოფობაა, რომელიც ჩანასახშივე აზრობს და კლავს კიდევაც პიროვნულ ინიციატივას, ადამიანის მიერ თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოელინებას და საბოლოოდ ერთ მოჯადოებულ წრეში ამწყვდევს.

ათეული წლების მანძილზე ჩვენ მასხარად ვიგდებდით ზოგიერთის შეგონებას იმის თაობაზე, რომ ადამიანებმა თავი არ უნდა შეიწუხონ ფიქრით და ალტერნატიული გზების ძიებით, ვიხაიდან მათ მაგიერ მამა-ღმერთი ფიქრობს, თავად კი, გვსურდა თუ არ გვსურდა, მორჩილად მივდევდით ამ პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით ცხოვრების წესის ჩამოყალიბებამ ვხედავთ, ბოლოს სადამდე მიგვიყვანა და ჩვენი თვალუწვდენელი ფედერალური სახელმწიფო, კარპატებიდან წყნარი ოკეანის ნაპირებამდე რომ გადაჭიმულა, ძირფესვიანი სოციალური გარდაქმნების, დემოკრატიული რეფორმების და საჯაროობის დანერგვის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა.

დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ გარდაქმნისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პოლიტიკა, რომელიც ზემოდან ხორციელდება და არა ქვემოდან, უდიდესი პოლიტიკური აქტია. თავისი ისტორიული მნიშვნელობით ის რევოლუციას მართლაც უტოლდება. ამავე დროს არც იმის დავიწყება მართებს გონიერ ადამიანს, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დიდი სოციალური ძვრების ეპიცენტრი მოსკოვია და არა რომელიმე სხვა გეოგრაფიული პუნქტი. ამიტომაც არ უნდა ვკვებოთ თავი ილუზიით, თითქოს ის რომელიმე ჩვენგანის ან მთლიანად ჩვენი პოლიტიკური აქტივობის მეოხებით იყოს მიღწეული. ამის დაჯერება მხოლოდ გულუბრყვილო, ზედმეტად მიმნდობ, სხვისი მხურვალე მოწოდების ადვილად დამჯერე ადამიანებს შეუძლიათ. მიუხედავად მათი უმწიკვლო პატიოსნებისა, სამშობლოსათვის თავდადების უანგარო სურვილისა და უკეთუ ეს სამშობლოს, საზოგადოებას სჭირდება, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის არად ჩაგდებისა.

სხვამ სხვისი ბრძანოს, მე კი სხვაგვარად ვერ ავხსნი იმას, რაც კონსტიტუციაში მოსახდენი ცვლილებების პროექტის განხილვის და დამტკიცების პროცესში საქართველოს მთავრობის სასახლის წინ ამა წლის 22 ნოემბრიდან 29 ნოემბრამდე ხდებოდა. ვიდრე ჩემს ეჭვებსა და შენიშვნებს პირუთვნელად გამოვთქვამდე, მე მინდა საქვეყნოდ განვაცხადო, რომ ქართველი ახალგაზრდობის არნახულმა გამოღვიძებამ, ერის ინტერესების დასაცავად დარაზმვამ, რაც პირველად როდი მომხდარა, შეუპოვრობამ, ერთსულოვნებამ, დასახული მიზნის მისაღ-

წევად წარბშეუხრელმა სწრაფვამ, სულის გამსპეტაკებელმა ფიქრმა და ზრახვამ, მთელ საზოგადოებას, დიდსა და მცირეს, ერთნაირად რომ დაეუფლა, ჩემი გული სიხარულითა და იმედით აავსო. მწამს და ხეზე ფეხებითაც რომ დამკიდონ, მაინც გავიმეორებ, რომ ვისაც, რომელ ერსაც თავის ფესვებზე ამოზრდილი ასეთი ახალთაობა ჰყავს, მას მომავლისა არ უნდა ეშინოდეს, ვინაიდან ეს მომავალი საიმედო პატრონის ხელს უპყრია.

მე დღეს არ ვნანობ, რომ „კომუნისტის" რედაქციას წინასწარ შეკუთანხმდი, რათა ჩემი მომავალი წერილისათვის ადგილი დაეგულებინა, არ ვნანობ, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, თავი რა ძნელ მდგომარეობაშიაც ჩავიყენე, ვიცი, რა ბეწვის ხიდზეც უნდა გავიარო, მაგრამ ისიც ღრმად მწამს, რომ დღეს გაჩუმება, განზე დგომა და ორაზროვანი დუმილი, ვნახოთ ერთი, მოვლენები როგორ განვითარდებაო, ღალატია! სათქმელი უსათუოდ უნდა ითქვას და აი, მეც ვაბობ იმის ანგარიშის გაუწევლად, ვის რა გაეხარდება და ვის რა ეწყინება.

ამ მცირეოდენი ლირიკული გადახვევის შემდეგ, რომელიც აუცილებლად მიმაჩნია, მოდით, ჩვენს შეწყვეტილ მსჯელობას მივუბრუნდეთ.

იმ უზარმაზარ ხალხმრავალ მიტინგზე, მთავრობის სასახლის წინ რომ გაიმართა და მთელ კვირას გაგრძელდა, ვიყავით თუ არა მართლა დარაზმული? გვქონდა თუ არა ერთი კონკრეტული მიზანი, კონცენფცია, რომლის განსახორციელებლადაც ერთსულ და ერთხორც მივისწრაფოდით? ჰქონდა თუ არა მიტინგის საერთო ეროვნული სახე?

რა ძნელი და დამაღონებელიც არ უნდა იყოს ამის აღიარება, გულზე ხელი უნდა დაეიდო და უნდა განვაცხადოთ, რომ არა, არ ჰქონდა. რომ არც დარაზმული და ერთსულოვანი ვიყავით, არც მიზანი იყო ნათელი და გარკვეული.

გამოცდილი ლოგიკოსი ადვილად მიმიხვდება, რომ ყველა ეს დებულება ერთ დებულებაზე უმტკივნეულოდ დაიყვანება, მაგრამ მე მათ მაინც რამდენიმე დებულებად წარმოვადგენ, რათა ამ გზით თითოეული მათგანის განხილვა მოვახერხო.

მაშ, დავიწყოთ თავიდან.

რატომ მიმაჩნია ან მგონია, რომ მიტინგს, სასახლის წინ რომ გაიმართა და მთელ კვირას გრძელდებოდა, საერთო ეროვნული სახე არ ჰქონდა? აკი აქ, როგორც რადიორეპროდუქტორიდან გვატყობინებდნენ, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან ჩამოვიდა ხალხი და მიტინგის დედაქალაქელ მონაწილეებს შეუერთდა?

წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებლად საჭიროა გავიხსენოთ ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებანი, ქვეყანაში გამოცხადებული გარდაქმნებისა და საჯაროობის ნოყიერ ნიადაგზე საქართველოში, კერძოდ, თბილისში, ერთიმეორის მიყოლებით რომ შეიქმნა.

არავისთვის, ვგონებ, საიდუმლო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ თითოეული ეს ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანება, ზოგიერთი მათგანი პარტიის სახელითაც რომ გამოდის, თავს ქართველი ერის სულიერ და მატერიალურ მოთხოვნილებათა ერთადერთ შესაძლო გამომხატველად თვლის. მას, ამ გაერთიანებას თუ „პარტიას",

მიაჩნია, რომ ეროვნულ პრობლემებზე ფიქრი და ბრძოლა მხოლოდ მისი და მარტოოდენ მისი პრეროგატივაა, რადგან ყოვლისმომცველი, ყოვლად უნაკლო, აბსოლუტური ჭეშმარიტების რანგში ასული პლატფორმა მხოლოდ მას გააჩნია. სხვები, სხვა „პარტიების" თუ გაერთიანებების წარმომადგენლები, რაკი თავიანთ პლატფორმაზე უარს არ ამბობენ და მათ არ უერთდებიან, სამშობლოს მტრები, სახელმწიფო უშიშროების აგენტები და ქვეყნის ოფიციალურ მმართველებთან ანგარებით შეკრული რენეგატები არიან.

თუ არ ვცდები, დღეს საქართველოში თითქმის ათამდე საზოგადოება, გაერთიანება და პარტიაა. ამ საზოგადოებებს, გაერთიანებებს და პარტიებს ყავთ ასობით და ათასობით მიმდევრები და გულშემატკივრები, რომლებიც აქტიურ ძალას წაიმოადგენენ. აძას გარდა, არსებობს კიდევ ქართველი ხალხი, ერი, რომელიც ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული საზოგადოებების, გაერთიანებებისა და პარტიების გარეთაა და ჯერ კიდევ არ იცის, ვერ გადაუწყვეტია, ვის მიემხროს, ვისი მხარე დაიჭიროს.

ახლა მე გეკითხებით თქვენ: რომელ ერთსულოვნებაზე, რომელ ეროვნულ კონსოლიდაციაზე შეიძლება ლაპარაკი ამ სოდომ-გომორაში? რას იტყოდა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს სულისჩამდგმელი დიდი ილია ჭავჭავაძე, ერთი წუთით რომ საფლავიდან წამოეხედა და პატიემოყვარეობის, ლაგამწყვეტილი პიროვნული ამბიციების ეს პარპაში დაენახა?

ამ წერილს მე არა ვწერ ბელადებისათვის, ახლა ლიდერებად რომ იწოდებიან. ღმერთმა დამიფაროს! თავიანთი საქმე, დარწმუნებული ვარ, მათ ჩემზე უკეთ იციან. ვწერ მხოლოდ ქართველი მკითხველის, უფრო კი იმ ათასობით გულუბრყვილო ადამიანის საყურადღებოდ, ვინც მთელი გულით და არსებით მის მიერ არჩეულ მესიას მინდობია და მოზღვავებული გრძნობებისაგან ღრუბლებში ატაცებული იმას კი ველარ უწევს ანგარიშს, არჩეული გზა სად მიიყვანს, სამშობლოს კეთილდღეობასთან თუ დაღუპვასთან!

მაშ, როგორ გვქონია საქმე, ერთსულოვანი, უანგარონი, ერთი ნების გამომხატველი, ერთი განუყოფელი ეროვნული ორგანიზმი ვყოფილვართ მიტინგზე თუ ცალკეულ პიროვნებათა აულაგმავ ამბიციებს წინდაუხედავად აყოლილებს თავი განზრახ დაგვისუსტებია, რაღაც ჯგუფებად დავქსაქსულვართ, დაეპირისპირებულვართ, დიდი ილიას წმინდა მცნება ჩატეხილი ხიდის გამთლიანების შესახებ ფეხქვეშ გაგვთელია? რა ჯობს არა ერთხელ მტერმორეულ ქართველი ერისთვის, ერთ მძლავრ მუშტად შეკვრა, გაერთიანების გზების ძიება, ერთიანი სამშობლოს დროშის ქვეშ დარაზმვა, მთელი მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკური დონის განუხრელი აღმავლობა, თუ განუყოფელი ეროვნული ორგანიზმის დაშლა, ჩვენმა წინაშორბედმა მოღვაწეებმა ძლივსძლივობით რომ შეაკოწიწეს, და შინაგანი გახეთქილება, რამაც ოციანი წლების დამდეგს ბოლოს და ბოლოს იქამდე მიგვიყვანა, რომ ქვეყნის უკეთესი შვილების მოწამებრივი სისხლის ფასად მოპოვებული სახელმწიფო დამოუკიდებლობა დავკარგეთ და კვლავ სხვისი ხელის შემყურე გავხდით? იქნებ რაიმე უარესი კიდევ გვეგულება და გვსურს,

ათას ცეცხლსა და ვაებაში, დამცირებასა და სიდუხჭირეში გამოვლილ საცოდავ მშობელ ხალხს ის თავზე დავატეხოთ?

ახლა რაც შეეხება მიზანს. გვქონდა თუ არა ერთი ნათელი და გარკვეული მიზანი, რომელიც რეალურ ისტორიულ მომენტში მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთებას გამოხატავდა?

ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა არცთუ ისე ადვილია, როგორც შეიძლება ზოგიერთ უბირ კაცს მოეჩვენოს.

ცნობილია, რომ კონსტიტუციის პროექტის 108-ე და 119-ე მუხლების შესაბამისი პუნქტები უკიდურესად ზღუდავენ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს, ართმევენ მას კავშირიდან გასვლის უფლებას და განუსაზღვრელ უფლებამოსილებას ანიჭებენ საკავშირო ხელისუფლებას ამ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე.

ბუნებრივია, ხალხი აღდგა უსამართლობის წინააღმდეგ, აღდგა და ქუჩაში გამოვიდა უპირველეს ყოვლის ახალგაზრდობა, რისთვისაც მას, გარდა მადლობისა, არაფერი ეთქმის.

რა იყო საჭირო? რისთვის უნდა გვებრძოლა, გვებრძოლა არა ცალ-ცალკე, არამედ გაერთიანებული ძალებით? საბჭოთა კავშირის საკანონმდებლო ორგანოს უმაღლეს საბჭოს განუხილველად უნდა უკუეგდო ამ სახით წარმოდგენილი პროექტის დასახელებული მუხლების შესაბამისი პუნქტები და სსრ კავშირში შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკა კვლავაც კონსტიტუციური გარანტიით ეცნო სუვერენულ სახელმწიფოებად, ხოლო თვით საბჭოთა კავშირი სუვერენულ რესპუბლიკათა ნებაყოფლობით კავშირად, ფედერალურ სახელმწიფოდ!

სრულიად საქართველოს რუსთაველის სახელობის საზოგადოების პრეზიდიუმმა, რომლის ერთი სრულუფლებიანი წევრი მეც სხვებთან ერთად გახლავართ, მიიღო დადგენილება, მიემართა სპეციალური წერილით საქართველოს უმაღლესი საბჭოსათვის და ზემოთხსენებული მუხლების იმდაგვარი რედაქცია მოეთხოვა, რომელიც არ ხელყოფდა, არამედ პირიქით, განამტკიცებდა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

ამავე ხასიათის წერილი უშუალოდ გაეგზავნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიხეილ გორბაჩოვს.

გარდა ამისა, ყოველგვარი მოსალოდნელი პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად, წერილის ტექსტი, შესაბამისი ხელმოწერებითურთ, გამოქვეყნდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე.

საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანომ, უმაღლესმა საბჭომ, მანამდე კი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ აღძრული საჭირბოროტო საკითხი, იგი სამართლიან მოთხოვნად სცნო, თავისი სახელით წარუდგინა მოსკოვს და ამავე დროს დაავალა საქართველოს წარგზავნილებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, დაეცვათ რესპუბლიკის თვალსაზრისი და პოზიცია.

ეს თვალსაზრისი, როგორც ცნობილია, უყოყმანოდ გაზიარებული იქნა ჯერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ხოლო შემდეგ თვით უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ, თუმცა სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველოსებრ შემავალი ბევრი სხვა რესპუბლიკა სხვანაირად ფიქრობდა, და ქართველმა ხალხმა, ამგვარად, თავის სა-

მართლიან მიზანს მიაღწია: შან იურიდიული და მორალური დაკმაყოფილება მიიღო.

აი, ყოველივე, რაც მოცემულ ისტორიულ მომენტში ჩვენი ერის და, მაშასადამე, საღად მოაზროვნე ქართველი ახალგაზრდობის, მიზანს და ამ მიზნის აღსრულების გზებს შეეხება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება თბილისში ცნობილი გახდა 28 ნოემბერს გვიან ღამით. მიხეილ გორბაჩოვის სახელით დარეკა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ.

მაგრამ რა ხდებოდა მიტინგზე? რას ქადაგებდნენ პარტია-გაერთიანებათა ლიდერები და ყველა სხვა, ვინც მიკროფონი ხელთ იგდო და მას დათმობას აღარ აპირებდა?

რუსთაველის სახელობის საზოგადოების პრეზიდიუმი სახელმწიფო უშიშროების და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დამქაშ პირებისაგან არის შედგენილი! მათ გაყიდეს სამშობლო, შეუთანხმდნენ მტერს, უმაღლეს საბჭოს ქართველი ერის დამღუპველი წინადადებები და მოთხოვნები წაუყენეს! ის წინადადებები და მოთხოვნები, თუ არა გვსურს ერთხელ და სამუდამოდ მტრის კერძი გავხდეთ, დაუყოვნებლივ უკან უნდა იქნას გამოთხოვილი! ძირს რუსთაველის საზოგადოება! სამარცხვინო ბოძზე სამშობლოს გამყიდველები! ვისაც საქართველოს განთავისუფლების იმედი არ დაგიკარგავთ, ხელი მოაწერეთ ჩვენს მიერ შედგენილ მოთხოვნებს! ის და მხოლოდ ის გამოხატავს დამონებული ქართველი ხალხის ნება-სურვილს! ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ!..

— გაუმარჯოოოს!..

ეს არის, მეგობრებო, საქმე? ამ გზით და საშუალებით ვაპირებთ გამარჯვებას? გეგულებათ სადმე ხალხი დედამიწის ზურგზე, ეროვნული დამოუკიდებლობა მარტოდენ ლიტონი სიტყვებით და გულზე ცეცხლის მომკიდებელი ლოზუნგებით რომ მოიპოვა? ეს მიგვიყვანს საოცნებო მიზნამდე, ყველას ერთად რომ დაგვისახავს?

ღმერთს მადლობა უნდა შეევწიროთ, რომ, სხვადასხვა დროს გარდაცვალების გამო, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრები არ ბრძანდებიან ივანე ჯავახიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე მელიქიშვილი და ივანე ბერიტაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე და გალაკტიონ ტაბიძე, ზაქარია ფალიაშვილი და ლადო გუდიაშვილი...

არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ ყველა ესენი სამშობლოს გამყიდველებად, სახელმწიფო უშიშროების აგენტებად, სამარცხვინო ბოძზე გაკვრის კანდიდატებად გამოცხადდებოდნენ. აღარას ვიტყვი ერის სულმხათ მოძღვრებზე: ილიას, აკაკისა და ვაჟაზე. მათ სწორედ ბედმა გაუღიმა, რომ რუსთაველის საზოგადობის პრეზიდიუმის წევრობის და „ქართველი ერის დასაღუპად შეთხზული" წერილის ხელის მოწერას ვერ შეესწრნენ!

29 ნოემბერს, დილაადრიან, მას შემდეგ, რაც რადიორეპროდუქტორში მიხეილ გორბაჩოვის მომართვა წაიკითხეს, მიტინგის ბევრმა მონაწილემ, თბილისის მკვიდრმა თუ თბილისში ამ შემთხვევის გამო რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა, აგრეთვე თვალისსეი-

რის საყურებლად მოგროვილმა მრავალათასიანმა ლიანგმა, მოედანი დასტოვა, მაგრამ ზღვა ხალხი ერთბაშად მაინც არ დაიშალა, არც ათასზე მეტ მოშიმშილეს დართვია ნება, შიმშილობა მაინც შეეწყვიტა და სასწრაფო დახმარების მანქანებს, მოედანზე რომ აღამებდნენ და ათენებდნენ, საავადმყოფოში გაქყოლოდა.

საკითხავია, რატომ? რა მიზეზით? კიდევ რა გვქონდა ამჯერად მისაღწევი? მიზეზი ერთადერთია: მავანი და მავანი ლიდერის ერთპიროვნული გადაწყვეტილება! შიმშილობა, არც მეტი არც ნაკლები, 29 ნოემბრის დილის 11 საათამდე უნდა გაგრძელდეს! რაკი ითქვა, უნდა შესრულდეს! „პარტიის“ რკინისებური დისციპლინა ამას მოითხოვს! ვინც გაინძრევა, ან უკმაყოფილებას გამოამჟღავნებს, სამშობლოს მოღალატედ გამოცხადდება და მისი ყოფნა-არყოფნის თაობაზე „პარტია“ ცალკე იმსჯელებს!

ეს არის ჩვენი ნანატრი დემოკრატია, მეგობრებო? ამისათვის ვიბრძვით? ნუთუ მიხვედრის დიდი უნარია საჭირო იმის დასადგენად, რომ წმინდა წყლის მონათმფლობელობა ჯანსაღი თანამედროვე საზოგადოების ბალაერად და საძირკვლად არამც და არამც არ გამოდგება? რით ჯობდა ეს ყველაფერი ოცდაათიან წლებს, უდანაშაულო ადამიანებს ხალხის მტრებად რომ აცხადებდნენ და დიდი და მცირე ეშაფოტზე აყავდათ? არაფრით! სრულებით არაფრით! მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ მაშინ „ისინი“ იყვნენ, ახლა კი „ესენი“ არიან!

შეიძლება, ძვირფასო მკითხველო, ამაზე დიდი აბსურდის წარმოდგენა? შეიძლება, ჩვენი გამოფხიზლებული, ეროვნული საჭიროებისათვის უყოყმანოდ მზად მყოფი ახალგაზრდობა ასე დავაბნიოთ, ფანატიზმის გზაზე შევაყენოთ, სწავლასა და შრომას მოვწყვიტოთ და სრულ ინტელექტუალურ გადაგვარებამდე მივიყვანოთ?

ზემოთაც ვამბობდი და აქ ერთხელ კიდევ. გაიმეორებ, რომ მავანნი და მავანნი გამირისხდებიან, ეგ როგორ გაგვიბედე და გვაკადრეო, არად ჩააგდებენ იმას, რაც ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მიკეთებია, რის გაკეთებასაც ამ წერილითაც ვცდილობ და უცხოური რადიოსადგურებით დასავლეთის ქვეყნებიდან გადმოსცემენ, რომ არ ენდონ, ერთი სიტყვაც არ დაუჯეროს რევაზ ჯაფარიძეს, რადგანაც ის დიდი ხანია სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს მიეყიდა, მთავრობის საიდუმლო დავალებებს ასრულებს! რა გაეწყობა. ვისაც რა უნდა, ისა თქვას და საიდანაც სურს, გადმოსცეს, მე მაინც უნდა გავაკეთო საქმე, რის გაკეთებაც ჩემს მოქალაქეობრივ და მორალურ მოვალეობად მიმაჩნია!

აქ დავამთავრებდი, კიდევ ერთი რამ რომ არ მაკლდეს გულს და რის ხმამაღლა გაცხადებაც გადაუდებელ საჭიროებად არ მიმაჩნდეს.

ეს არის ილუზია, ჩვენს ახალგაზრდობას ყოველ ცისმარე დღე რომ უნერგავენ: ნამდვილი ისტორია, საზოგადოებრივი აზრის ამოძრავება მხოლოდ დღეს იწყება, თქვენა ხართ მისი პიონერები, აქამდე არაფერი არ იყო, არც შეიძლებოდა ყოფილიყო, სრული წყვდიადი სუფევდა, მამებისა და პაპების თაობა, თქვენი უშუალო წინამორბედები. მხდალების, კომბინატორების, სახელგატეხილი პოლიტიკური ფუნქციონერების თაობაა და მათ ამთავითვე უნდა გაემიჯნოთ!

შემიძლია გავჩუმდე, ეს ხმამაღლა არ ვთქვა? ამის უთქმელობა და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოუტანლობა ხომ იმას ნიშნავს.. რომ ხელი შეუწყო ერის შეძდგომ დაქუცმაცებას და ანტაგონისტურ ფენებად დაყოფას ამჯერად უკვე ასკობრივი პრინციპის მიხედვით?

ამას წინათ ქართული მწერლობის განმაქიქებელი წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა", რომელშიაც ყველა ის ბრალდება, ზემოთ ზოგადად რომ ვახსენე, მწერლობის მიმართაა წაყენებული. მე მესტუმრა სტატიის ავტორთა ერთი ჯგუფი, სწორედ გაზეთის გამოსელის დღეს, გაზეთი გულთბილი წარწერით მომართვა და მთხოვა, რომ ის, რაც სტატიაში შავით თეთრზე ეწერა, მე ჩემს თავზე არ მივიღო, რომ კიდევ არის საქართველოში რამდენიმე მწერალი (ჩემი ანგარიშით არანაკლებ ათისა), ვინც სტატიაში აღძრული ბრალდებები აგრეთვე არ უნდა მიიღოს თავის თავზე. მაგრამ ლაფი რომ ყველას ერთად, ავისა და კარგის განურჩეველად გადაგვასხეს თავზე? ნუთუ განუკითხავი შეთამამება მწერლობასთან, რომელიც მუდამ და ყოველთვის მშობელი ერის წინახაზზე იდგა და დღესაც იქა დგას, რაიმე სარგებლობას მოუტანს ან თვით მწერლობას და ან ხალხს? აკი ყოფილა რამდენიმე კაცი ქართულ მწერლობაში, ვინც ამ წლების მანძილზე თავის მამულიშვილურ მოვალეობას პირნათლად იხდიდა? რამდენიმე, ბირთვი! მაშ, თუ ასეა, რაღას ვერჩით, ლაფს რაღად-ღა ვასხამთ თავზე? ხომ არ გვინდა, საქართველოს მწერალთა კავშირს, შემოქმედებით ორგანიზაციას, 500 წევრზე მეტს რომ ითვლის, ყველა მის წევრს სათითაოდ, დიდი მამულიშვილობა და პირველხარისხოვანი მწერლობა მოვთხოვოთ? ეს ხომ აშკარად არარეალური მოთხოვნა იქნებოდა, რომელიც არასოდეს არ შესრულებულა არც ჩვენს დროს და არც ადრეულ ხანაში. თუ არის რამდენიმე, მაშასადამე, მწერლობა თავის ადგილზეა და ის კი არ უნდა დაავალდებულო, შენთან მოვიდეს, არამედ შენ თვითონ უნდა მიხვიდე მასთან, უნდა ეზიარო მის ფიქრებს, მის იდეებს, მის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ერის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის მისებურ ხერხებს და საშუალებებს.

მაგრამ ვერც ერთ ამას ვერ იზამ, თუ წინასწარ წიგნებს არ ჩაუჯექი, თუ ყოველივე ძირისძირობამდე არ შეისწავლე, თუ საბოლოოდ გამოტანილი მსჯავრი წაკითხულ წიგნებს და ამა თუ იმ მწერლის საზოგადო მოღვაწეობას არ დააფუძნე. სად არის მწერლის საზოგადოებრივი მრწამსი? მის შემოქმედებაში! დაგეთანხმებით: არცთუ იშვიათად ამა თუ იმ მწერლის შემოქმედება მრავალი ტომისაგან შესდგება. მათი წაკითხვა და გონების ცხავში გატარება არცთუ ადვილი საქმეა. მაგრამ სხვა რა არის ადვილი და იოლად მისაღწევი ამ ცოდვა-მადლით სავსე ქვეყანაზე?

ყოველ წუთს და ყოველ დაძახებაზე, საქართველოში სოკოსავით მომრავლებულ პარტია-გაერთიანებებს რომ მოეპრიანებათ, მწერალი, ისევე როგორც მეცნიერი, სტუდენტი, მხატვარი, კომპოზიტორი, მუშა, მეცხვარე თუ მევენახე გლეხი წამდაუწუმ მიტინგებზე და დემონსტრაციებზე ვერ ირბენს, ვინაიდან მას აქვს თავისი სამუშაო, რის ხარისხოვნად და პატიოსნად შესრულებაც არა სხვა რამეს, არამედ სწორედ სამშობლოს, მის ამაღლებას, ძლიერებას და სიცოცხლისუნარიანობას ემსახურება.

რას უბრძანებთ გივი წითლაძეს, ნიკო ყოჩიაშვილის ან არსენ კობაიაძეს, სოფელს მოუარონ, დღე და ღამე მის გაღონიერებაზე იზრუნონ თუ ხელში დროშა დაიკავონ და ყოველ გზაჯვარედინზე იყვირონ, დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოსო? რით გამოხატონ თავიანთი მამულიშვილობა, ვთქვათ, ლიანა ისაკაძემ და ელისო ვირსალაძემ, მთელს მსოფლიოში საქართველოს მუსიკალური კულტურის თაყვანისმცემელთა რიცხვის მომრავლებით თუ თავგამოდებული ძიძგილით მიტინგის მიკროფონის ხელში ჩასაგდებად? როგორ უჯობთ ანა კალანდაძეს, თამაზ გამყრელიძეს, მაია ჩიბურდანიძეს, რეზო ჩხეიძეს, რამაზ ჩხიკვაძეს, ჯანსუღ კახიძეს, პაატა ბურჭულაძეს? ამ სიის გაზრდა ხომ დაუსრულებლივ შეიძლება! ჩვენს პირს შაქარი, ნეტავი მართლა დაუსრულებლივ შეიძლებოდეს! სინამდვილეში ის სადღაც მთავრდება. შემდეგ იწყება სხვა სია, სია იმათი, ვისაც ცხოვრება ჯერ კიდევ წინა აქვთ, ჯერ ქვა ქვაზე არ დაუდიათ და თავიანთი ერთგულება სამშობლოსადმი, თავიანთი ჭეშმარიტი მამულიშვილობა თავაუღებელი, მომქანცველი, მაგრამ საბოლოოდ სულიერი კმაყოფილების მომგვრელი შრომით უნდა დაამტკიცონ!

1988 წ.

ჩატეხილი ხიდი უნდა აღდგეს

მე მთხოვეს მონაწილეობა მიმეღო ყრილობის მუშაობაში, რაზედაც, მართალი მოგახსენოთ, ერთბაშად და უყოყმანოდ ვერ დავთანხმდი: ჩემს სამწერლო მოღვაწეობასა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას შორის შეხების წერტილების გამოძებნა ერთობ ძნელი მომეჩვენა.

ეს არ გახლავთ გასაკვირი და ამიტომ მოხდა, რომ ჩვენსა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა და თქვენს, კოოპერატორებს, შორის ხიდი დიდი ხანია ჩატყდა და ბევრს აღარც კი ახსოვს, თუ ეს ხიდი ოდესმე არსებობდა. არ ახსოვს, მაგალითად, რომ საქართველოს კოოპერატიული მოძრაობის სათავეში, ისევე როგორც ყველა სხვა ეროვნული მოძრაობის სათავეში, დიდი ილია ჭავჭავაძე და მისი დასი იდგა.

სამომხმარებლო კოოპერაცია საქართველოში დაიბადა მშრომელი ადამიანის მოსარჩლედ და მისი ინტერესების დამცველად ჩარჩ-ვაჭრების უკიდეგანო პარპაშისაგან. იგი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელი ნაწილი იყო. ქართველი ხალხის ეროვნული დისკრიმინაციის, ეკონომიკური დაკაბალების აღსაკვეთად აღმდგარმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მყვლეფელ ქორვაჭრების ასალაგმავად მიზნად დაისახეს კოოპერატიული ამხანაგობების დაარსება, რამაც შემდეგ და შემდეგ დიდი გასაქანი ჰპოვა და მთელი საქართველო გასული საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დამდეგისა ასეთი ამხანაგობებით მოიფინა.

ილია ქართველ ხალხს შთაუნერგავდა, ვაჭრობა ესწავლა, საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული აზნაურული კუდაბზიკობა მოეშალა და თავისი კურთხეული მარჯვენით მოყვანილი, თავისი გარჯით შექმნილი ჭარბი საქონელი ჩარჩ-ვაჭრებისათვის კი აღარ ჩაეგდო ხელში. არამედ ბაზარში თვითონვე, დემოკრატიული პრინციპების მიხედვით შედგენილი ამხანაგობების საშუალებით გამოეტანა.

ერთ-ერთი პირველი ასეთი ამხანაგობა თვით ილიას წინადადებით და უშუალო ხელმძღვანელობით თელავში შეიქმნა. ამ ამხანაგობამ, რომელმაც რუსეთსა და სხვა ქვეყნებში კომპანიონები გაიჩინა, თავს იდო კახური ღვინის გასაღების საქმე, რაც აქამდე სწორედ გადამთიელ ჩარჩ-ვაჭრების ხელში იყო ჩავარდნილი და ქვეყნისათვის მხოლოდ გაჩანაგება მოჰქონდა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ოზურგეთის მაზრაში მოქმედებდა „ბახმაროს მომხმარებელთა საზოგადოება“. საგანგებო აღნიშვნის ღირსია, რომ საზოგადოების მესვეურებმა, რასაკვირველია, მეპაიეთა თანხმობით, შესძლეს ეკონომიკური ინტერესების რკალი გაერღვიათ და ბახმაროზე აეგოთ სახალხო სახლი ბიბლიოთეკითა და თეატრითურთ, სადაც იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები იმართებოდა.

ახსოვს ეს დღეს ვისმეს? აღარავის! ვერც კი წარმოუდგენია, თუ შეიძლება, ასეთ საშვილიშვილი საქმეს არა კულტურის ესა თუ ის

დაწესებულება, არამედ რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაცია ჩაუდგეს სათავეში!

კოოპერაცია მალამო იყო, რომელსაც საზოგადოების უკეთესი წარმომადგენლები, ჭეშმარიტი მამულიშვილები, ერის ეკონომიკურ წყლულებზე ადებდნენ და ამით სამუდამოდ კურნავდნენ მას. კოოპერაციისადმი დიდი ნდობითაა განმსქვალული თვით სახელწოდებებიც კი, რომელთაც მას არქმევენ. აი, ზოგიერთი მათგანი: „იმედი" (ასე ერქვა კოოპერატიულ ამხანაგობას ხონში, ღანისში, რგანში), „ეგობარი", „ძმობა", „განთიადი", „გარიერაკი" და სხვა.

შექმნის პირველ დღეებიდანვე სამომხმარებლო კოოპერაცია ქომაგად და მფარველად უდგა ერის კულტურას — ლიტერატურას, თეატრს, მათ ცალკეულ მოღვაწეებს, საგამომცემლო საქმეს. 1919-1920 წლებში, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საამისო ფინანსები არ გააჩნდა, ცეკავშირის გამგეობამ თბილისში დააარსა დრამატული სტუდია და ამით ხელი შეუწყო ქართული ეროვნული თეატრის აღორძინებას, დიდი სახსრები შესწირა სამუსიკო ხელოვნების წინსვლას და ბევრ სხვა რასმე.

მეტად დიდია სამომხმარებლო კოოპერაციის როლი საქართველოს ყველა მხარის დაახლოების და ერის ეკონომიკური და სულიერი კონსოლიდაციის საქმეებში, ურომლისოდაც ერის მთლიანობა, საერთოდ მისი არსებობა ყოვლად წარმოუდგენელია.

ყოველივე ეს აქ იმისათვის მოვიგონე, რომ პატივცემული აუდიტორიისათვის შემეხსენებინა, რისთვის შეიქმნა სამომხმარებლო კოოპერაცია, რა იყო მისი თავდაპირველი მიზნები და ამოცანები, რა ტრადიციის პატრონები ვართ და როგორ გვმართებს ამ კეთილი ტრადიციის შენარჩუნება და მისი შემდგომი განვითარება.

დრონი წავიდნენ, საზოგადოებამ ფერი და ზნე იცვალა, მაგრამ არა მგონია, სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე სადღეისოდ სხვა მიზნები და ამოცანები დამდგარიყოს, ვიდრე ასი და ას ოცი წლის წინათ იდგა. როგორც მაშინ, გაჩენის პირველ დღეს, კოოპერაცია მოწოდებულია, ერთი მხრივ, შეიძინოს და გაასაღოს ადგილობრივი საქონელი, რომელსაც ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგი აწარმოებს, და, მეორეს მხრივ, შემოიტანოს საჭირო საქონელი გარედან მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, გასწიოს შუამდგომლობა საქონელბრუნვაში და საქმის გონივრულად დაყენებით თავიც შეინახოს და ქვეყანაც ასარგებლოს.

თუ რა გაგვაქვს და რა შემოგვაქვს, ამაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის მომავალი, ხვალინდელი დღე, ეროვნული ფიზიონომია.

სრული უაზრობა იქნებოდა, დღევანდელ დღეს, ვთქვათ, რესპუბლიკის გარედან ხორბლის შემოტანისათვის ბრძოლა გამოგვეცხადებინა, მისი აღკვეთა და შინაური რესურსებით დაკმაყოფილება მოგვეთხოვა. მაგრამ პირადად მე ღრმად მწამს, რომ ვინც თავის დროზე ხორბლის შემოზიდვის მონოპოლიით ბოლო მოუღო საქართველოში ამის ადგილობრივ მოყვანას, დაასამარა ქართველი გლეხის მიერ ათასეული წლების განმავლობაში გამოყვანილი უნიკალური ჯიშები, რომელთა საერთო რიცხვი ხუთასს აღემატება, ამით ეკონომიკური დივერსია მო-

ახლინა და ქართველი გლეხობის, ერის უპირველესი რეზერვუარის, ბედი ყოფნა-არყოფნის სასწორზე შეაგდო. თქვენ, ამ დარბაზში მსხდომთ, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, დროთა განმავლობაში საით გადაიხარა ეს სასწორი, დღესაც საით იხრება და ერთი შეხედვით უწყინარი კომერციული საქმე – გარედან შემოტანილი პურით ვაჭრობა რა გარდაუვალ საფრთხეს უქმნის ჩვენს ეროვნულ ვინაობას.

დაუკვირდით, ამასთან დაკავშირებით რა კოლოსალური ზარალი განიცადა თუნდაც ჩვენმა მშობლიურმა ქართულმა ენამ. უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში მან ხომ დაკარგა ყველა სიტყვა, ასობით, ათასობითი სიტყვა, რომელიც სოფლის მეურნეობის ერთ უმთავრეს დარგთან, ხორბლის მოყვანასთან იყო დაკავშირებული, გაღარიბდა გოგეგბაშვილისეული „დედა-ენა“, ჩვენი დღევანდელი ბავშვისათვის იგი გაუგებარი და უცხო გახდა.

ვერა, მეგობრებო, საქონლის ასეთ მიმოქცევას ვერ შევურიგდებით. თუ ასე გავაგრძელეთ, ხელში აღარაფერი შეგვრჩება, სხვისი ხელის შემყურენი პასიურ მომხმარებლებად გადავიქცევით და თვითვე გადავუსვამთ ხაზს ყოველივე იმას, რაც ჩვენს მამა-პაპას საკაცობრიო ცივილიზაციაში შეუტანია.

მე წინასწარ დაკვირვებით წავიკითხე ბატონ რესან კონცელიძის მოხსენება. მოხსენებაში ბევრი საკირო საკითხია თავმოყრილი, რომელთა უახლოეს მომავალში გადაჭრაზე დიდად იქნება დამოკიდებული სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ რესპუბლიკის მოსახლეობის ჯეროვანი მომსახურება.

რაზეა მოთხოვნილება? რა სჭირდება დღეს ჩვენს მოსახლეობას? როგორი სოციალური პროგნოზები გვაქვს? ამ საკითხებზე პატივცემულმა მომხსენებელმა ხაზგასმით ილაპარაკა.

ახლა თავს ნებას მივცემ და მეც დავსვამ ერთ კითხვას: ეწევა თუ არა რაიმე ანგარიში მოსახლეობის საჭიროებას და მოთხოვნილებას? შეიძლება თამამად ითქვას, რომ არა, არ ეწევა! კოოპერაციის სავაჭრო ქსელი ყურმოჭრილი მონაა ჩვენი მრეწველობისა. რასაც მიაწვდიან, დახლზეც იმას დასდებს! არა და, ჩემი ღრმა რწმენით, თუმცა კომერციის კანონებისა ბევრი არაფერი გამეგება, პირიქით უნდა იყოს: სამრეწველო საწარმო სწორედ იმას უნდა ამზადებდეს, რაზედაც მოთხოვნილებაა, რასაც ამ მოთხოვნილებაზე დაყრდნობით და მისი გათვალისწინებით სავაჭრო ქსელი მოითხოვს.

მეორე: მოხსენებაში ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა დიდი დარღვევები გვაქვს ცეკავშირის სისტემაში, როგორ გაუდგამს ფესვი კორუფციას, გაფლანგვას, დატაცებას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

მე დიდად შემაშფოთა ამ ცნობებმა. ეს ხომ ჩვენი საზოგადოების უბედურებაა! ადამიანების პასუხისგებაში მიცემა ადვილია. საკითხავი სხვა გვაქვს: რა გავაკეთეთ და რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ არ მოხდეს დანაშაული. ხომ უნდა მივხვდეთ, რომ არსებობს ნოყიერი ნიადაგი, სოციალური ნიადაგი, რომელიც ბადებს დანაშაულს. რას ვაკეთებთ მის აღმოსაფხრელად? რით ვეხმარებით ვაჭრობის მუშაკებს, ეზრუნავთ თუ არა მათი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად?

გაცვლითი წესით იქნება თუ სხვა გზებით, ფართო გასაქანი უნდა მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციის უშუალო კავშირ-ურთიერთობას უცხოურ ფირმებთან. რა გააუმჯობესებს ჩვენი მრეწველობის მიერ გამომუშავებული საქონლის ხარისხს? უცხოურ ნიმუშებთან კონკურენცია არა მარტო მსოფლიო ბაზარზე, არამედ ჩვენსავე საკავშირო ქსელში. ჩვენმა საწარმოებმა, აურაცხელი წუნის გამოშვებით რომ ისახელეს თავი და მსოფლიო ბაზრებისაკენ გზა თითქოს განზრახ გადაიღობეს, საქონლის ხარისხის გაუმჯობესებით და არა ადმინისტრაციული გზებით უნდა იბრძოლონ თავისი პრესტიჟის მოსაპოვებლად. ნუ დავიბრიყვებთ მომხმარებელს, როგორც აქამდე ჩავდიოდით, ნუ ვაიძულებთ, მაშასისხლად აღებული ხელფასი იმაში დახარჯოს, რაც გულით არ სწადია, თუმცა კი სჭირდება. თუ ასე არ იქნება, მოდიდან გამოსული, მოძველებული საქონლის ჩამოფასებით და მით საწყობების ავსებით ფონს ვერ გავალთ, მხოლოდ თავს გავიღარიბებთ და ზარალზე ზარალს მივუმატებთ.

ძვირფასო კოოპერატორებო, ჩვენი, საქართველოს მოსახლეობის გუნება-განწყობილება თქვენზე, თქვენს კეთილშობილურ, გულმოდგინე შრომაზე ჰკიდია. ნება მიბოძეთ გისურვოთ წარმატება ამ ძნელ, რთულ და მაინც და მაინც არცთუ ისე დაფასებულ საქმეში!

1988 წ.

ჩემი პასუხი

ძვირფასო ახალგაზრდა მეგობრებო, ვინც მე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" საშუალებით ღია წერილი გამომიგზავნა, მადლობას გწირავთ სომხეთისადმი მიძღვნილი ჩემი წიგნის „ოთხი დღე ჰაოსის ქვეყანაში" გულთბილად მოხსენებისათვის.

სანამ წამოქრილ კითხვაზე თქვენთვის სასურველ კატეგორიულ პასუხს გაგცემდეთ, უნდა გამოგიტყდეთ: როდესაც წიგნის წერად დავჯექი, ჩემი განზრახვა და სურვილი გაცილებით ფართო და შორს გამიზნული იყო, ვიდრე მოგზაურის ჩანაწერების წესრიგში მოყვანა და მისი ერთ აზრობრივ-მხატვრულ ჩარჩოში მოქცევაა. იმხანად სომხეთში მართლაც ოთხად ოთხი დღე დავყავი, მაგრამ ამას ისე ნურავინ გამიგებს, თითქოს ყოველივე, რაზედაც წიგნი მოგვითხრობს, მხოლოდ ოთხი დღისა და ღამის ხაფიქრ-ნაგრძნობი იყოს. წიგნს საფუძვლად ცოცხალი შთაბეჭდილება უდევს, მაგრამ ამ შთაბეჭდილების წიაღში დაკვირვებული მკითხველი იმის კვალსაც შენიშნავდა, რაც სომხეთისა და სომეხი ხალხის, მისი ურთულესი ისტორიის, მრავალფეროვანი კულტურის, ხალხური ზნე-ჩვეულებების, სარწმუნოების, სახელმწიფოებრივობის, მეზობელ ხალხებთან, მათ შორის ქართველებთან მისი დამოკიდებულებების ირგვლივ არა ერთი და ორი ათეული წლის განმავლობაში მიფიქრია. ყოველი კონკრეტული საგანი, .რომელსაც მე ვეხები, ჩემში აცოცხლებს ისტორიულ-აზრობრივ ქვეტექსტს და მე ვცდილობ, ეს ორივე მხარე საგნის რაობისა ერთ მთლიანობაში გადმოვცე.

მიუხედავად იმისა, რომ „ოთხი დღე ჰაოსის ქვეყანაში" სომხურ მასალაზეა აგებული, თუ პარადოქსად არ ჩამითვლით, იგი საქართველოს პრობლემებს უფრო შეეხება და წარმოსახავს, ვიდრე სომხეთისას. მე მას ვწერდი საქართველოზე ფიქრით და ზრუნვით შეპყრობილი, ისევე როგორც ზუსტად ამავე ხასიათის სხვა წიგნებს („ბუხენვალდის სამრეკლო", „ადამიანის მორჩილი ზღვა", „ევროპაში და ევროპის გარშემო"), ვწერდი იმ განზრახვით, რომ ქართველი მკითხველის, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობის, ყურადღება ჩემთვის სასურველი მიმართულებით წარმემართა და გამემახვილებინა, ნაცვლად თვითკმაყოფილებისა და მამაპაპური უზრუნველობისა, ბედოვლათობისა, ასე ჭარბად რომ გვახასიათებს, აღმეძრა მის გულში უკმარისობის, საკუთარი ნაკლის შეცნობის გრძნობა, დაუოკებელი სწრაფვა პროგრესისაკენ, მიწდომილი თუ არჩეულ საქმისადმი ერთგულებისაკენ, კომპეტენტურობისაკენ, რაც დღეს ქართველებს ასე გვაკლია. მე ყოველივე ამას სხვაგან ვხედავ, ვხედავ ბევრ დასავლეთის ქვეყანაში, ვხედავ ჩვენს მოძმე სომხეთშიაც და ნუ გაგიკვირდებათ, თუ დაეინებით მსურს საქართველოშიაც დავინახო!

არა ღირს ყოველივე ამის წარმოსაჩენად მთელი წიგნი დაწერო მწერალმა? ღირს და აი, მეც დავწერე, როგორც ძალღონემ გამიჭრა!

მე ჩემი ერის ღვიძლი შვილი ვარ, მის ღრმა ფესვებზე ამოვიზარდე და არ შემიძლია, აღტაცების გარეშე ვუმზირო სხვა ერის ერთსულოვნებას, შინ ასე რომ მენატრება, სიმტკიცეს, ბედის შეურიგებლობას. არა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებითა და უგერგილო დაპირებებით, არამედ ყოველდღიური საქმით ბრძოლას უკეთესი მერმისისათვის!

ასეთად ვხედავ მე ჯერ კიდევ მცირერიცხოვან სომეხ ერს წიწარნაკაბერდის მთაზე, სადაც 1915 წლის გენოციდის მსხვერპლთა დიდებული მემორიალია აგებული და ყოველი წლის დათქმულ დღეს მთელი სომხეთი, დედამიწის ზურგზე გაბნეული სომხება ეკრიბება, რათა მუხლი მოიყაროს თავისი ეროვნული მეობის წინაშე, ასეთად ვხედავ საარდარაპატის ომში დაღუპულთა ცამდე ამაღლებას, ასეთად ვხედავ მას ყველგან, სადაც კი ფეხი დაუდგამს და ბინა გაუჩენია.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ამ ტრაგიკული ამბების აღწერის დროს მე მხოლოდ და მარტოოდენ სომხეთი და მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ცალკეული მონაკვეთები მაინტერესებდა. მე ამაზე, უცხო მასალაზე ვწერ და ყოველ სტრიქონში ჩემსას, ჩემს ქართულ ჭირ-ვარამს ვგულისხმობ, ვგულისხმობ იმას, რაც ჯერჯერობით სანატრელი გვაქვს, მაგრამ რის გარეშეც ხვალინდელი დღე არ გვიწერია.

ეს წიგნი მე ეროვნულ ერთსულოვნებას მივუძღვნი და ერთ მტკიცე მუშტად შეკრული სომეხი ერი, არცთუ უსაბუთოდ, მაგალითად დავსახე. სომხეთისათვის ეს მხოლოდ ფაქტის კონსტანტაციაა, საქართველოსათვის კი, ჩვენდა საკვალალოდ, ჯერაც მიუღწეველი მწვერვალია!

აღიარება და პატიოსანი აღნიშვნა იმისა, რაც ამა თუ იმ ერის კურთხეულ მარჯვენას მოწამეობრივი შრომით მოუპოვებია, ყოველი წესიერად აღზრდილი რიგიანი კაცის ვალია. რა ვუყოთ, თუ ყოველი ერის ყოველ შვილს არ ჰყოფნის საამისოდ არც ზეგარდმო მომადლებული ნიჭი და არც სიყვარულის ულევი მარაგი, სულში რომ უნდა გქონდეს!

ძვირფასო მეგობრებო, თქვენ, ალბათ, შენიშნავდით მოწიწებულ პატივისცემას სომხეთისა და სომეხი ერისადმი, რითაც წიგნი თავიდან ბოლომდეა განმსჭვალული. ეს ჩემი გულმართალი, გულწრფელი დამოკიდებულებაა, რაც იქნებ ჩემი ქართველობითაც აიხსნებოდეს. ამ თვალსაზრისით „ოთხი დღე ჰაოსის, ქვეყანაში" არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს. მისი სულისკვეთება გაგრძელებაა იმ სულისკვეთებისა, რომელიც მთელ ქართულ მწერლობაში დასაბამიდან ვიდრე დღემდე სუფევს. არა და, საქართველოსა და ქართველ ერს დღეს სულ სხვა რამეს აბრალებენ მავანნი და მავანნი, მათ შორის არა ერთი ჩვენი თანამედროვე სომეხი მოღვაწეც, მის გაბიაბრუებას და სამარცხვინო ბოძზე გაკერას ლამობენ, არასადავოს სადავოდ და სადისკუსიოდ გვიხდიან, თავიანთი მომგებიანი მდგომარეობით ურცხვად სარგებლობენ და თავზე ლაფს გვასხამენ. რა გაეწყობა. არ ახალია, ძველია. ბედმა ისეთ ისტორიულ და გეოგრაფიულ გარემოში მოგვახვედრა, ფალია დღენიადაგ მშრალი უნდა ვიქონიოთ, დღე და მოსწრება ხმალჩაუგებელ ბრძოლაში გავატაროთ.

ისტორიაში ჯერ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ქართველი სასულიერო პირი, მეცნიერი ან მწერალი სომხეთს ან რაიმე სომხურს თავს დასხმოდეს, მისი დაკნინება და აბუჩად აგდება მოეწადინებინოს, გააფთრებული თავის დაცვა კი არა ერთჯერ დაგვჭირვებია. გაიხსენეთ თუნდაც უცხოეთში უთვისტომოდ დაღუპულ პატრ მიხეილ თამარაშვილის ნაშრომები ქართველთა კათოლიკობის შესახებ, დიდი ილიას „ქვათა ღაღადი" და ბევრი სხვა. იქნებ ზოგი თქვენგანის უურამდე ჯერ

არ იყოს მისული, რომ ერთხელ, ამ ოციოდე წლის წინათ წინამდებარე სტრიქონების ავტორსაც მოუხდა ხმალი ქარქაშიდან ამოეღო და ვინმე გრიგორ ვერმიშევისა და მიქაელ შათირიანის უპატიოსნო გამოხდომისაგან ვრცელი წერილით „რაც მტრობას დაუნგრევია“ დიდი თამარი და მისი დრო დაეცვა. ეს წერილი, სხვათაშორის, „ოთხ დღეშიაც“ იხსენიება.

ზემოთხსენებულ წერილისაგან განსხვავებით „ოთხი დღე ჰაოსის ქვეყანაში“ სხვა ხასიათის წიგნია. ამ თავისი ხასიათით ის ერთადერთია როგორც ქართულ, ისე სომხურ ლიტერატურაში. სამ ათას წელიწადზე მეტია, რაც ქართველები და სომხები გვერდი-გვერდ ვცხოვრობთ და ჯერ არც ერთ მხარეს არ მოსვლია აზრად, მეზობელი არა სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში, არამედ სიყვარულში გამოეწვია. აი, ჩვენ გადავაგდეთ ხელთათმანი, დავწერეთ ეს კეთილმოსურნე, მოყვრის გასახარი და მტრისათვის სააუგო წიგნი, რიგიანი კაცის ვალი მოვიხადეთ და მეგობარი სიყვარულის დუელში გამოვიწვიეთ. ნუ ვიჩქარებთ ასე მალე პასუხის მიღებას. სამი ათასი წელიწადი მოგვიცდია, ერთი ამდენი კიდევ მოვიცადოთ.

მე, როგორც ავტორს, გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ, მიუხედავად იმისა, წიგნი უკვე სამ ენაზე დაიბეჭდა, არც ერთ სომეხ მოღვაწეს, არც მეზობელ სომხეთში და არც საქართველოში, თუ არ ჩავთვლით „სოვეტაკან ვრასტანის“ ერთ კუდმოკვეცილ ინფორმაციას, ის ჯერ არ შეუმჩნევია, მის გარშემო არც კარგი უთქვამს და არც ავი.

აი, ამის გამო კი გვმართებს დაფიქრება.

1988 წ.

დედა ენა და ჩვენ *

ყოველი თავმოყვარე ადამიანი, ვინც დანამდვილებით იცის, ვისი შვილია და ვის ფესვზეა ამოსული, ვინც პატივს სცემს თავის ეროვნულ ღირსებას და ღირსეულ ადგილზე აყენებს, ის არ შეიძლება პატივს არ სცემდეს სხვის ღირსებას, სხვის მშობლიურ ენას, ზნე-ჩვეულებებს, რწმენას, სულიერ და მატერიალურ კულტურას.

ამიტომაც ჩვენი დღევანდელი ერთსულოვანი შეკრება აქ, დედაენის სადიდებლად აღმართული ძეგლის წინაშე, არავის არ უნდა გაუკვირდეს.

პირველად ჩვენ არ გვითქვამს, უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ უპირველესი ნიშან-თვისება, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ ვინა ხარ, რომელ ერს ეკუთვნი სულითა და ხორცით, ენაა, მშობლიური ენა, საუკუნეებში ტანჯვით გამოტარებული, ბევრჯერ უდიერად დაწიხლული, ბევრჯერ შინაურთაგან და გარეშეთაგან კუთხეში უპატიურად მიგდებული, მაგრამ მაინც დიადი და მაინც ყოვლისმომცველი მშობლიური ენა.

მშობლიური ენის სიყვარულს, მისდამი თავდადებას ქართველ კაცს ვერავინ ასწავლის, ვინაიდან ენის ერთგულება სამშობლოს, მისი ერთიანობისა და განუყოფელობისადმი ერთგულებაა, მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებს იმას, რომ „წინაპართაგან წავიდა ყველა“ და დღეს, ხვალ, ახლანდელ და მომავალ თაობებს აღარაფერი გვაქვს გასაკეთებელი მშობლიური ენის, ანუ ჩვენი ქართველობის დასაცავად.

• ნურავის მოეჩვენება გადაჭარბებად თუ პირუთვნელად ვიტყვი, რომ თუ ოდესმე გვმართებდა დიდი სიფრთხილე და შემართება ჩვენი ეროვნული მეობის დაცვის საკითხში, იგი განსაკუთრებული სიმწვავით გვმართებს დღეს, როდესაც დემოკრატიისა და საჯარობის პრინციპით აშვებული ბეჭდვითი ორგანოები სავსეა ათასგვარი თითიდან გამოწოვილი ორაზროვანი თეორიებით, რომლებიც უხეიროდ შენილბული მოუთმენლობით და სიხარბით იმასვე ქადაგებენ, რასაც ჩვენი გადაგვარებული, სამუდამოდ თავშერცხვენილი გიორგი მუხრანბატონი ქადაგებდა ამ ასიოდე წლის წინათ: ე.წ. პატარა ერები „დიდ ერებს“ უნდა შეერწყანო. დიდზე დიდი ქვეყნად რამ გამოლია. ახლახან გავრცელდა ოფიციალური ცნობა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მსოფლიოში მოსახლეობის საერთო რიცხვის მიხედვით ინდოეთი და ვგონებ ნიგერია პირველ ადგილს დაიკავებენ. ინდოეთს კიდევ შეურიგდებოდა კაცი, მაგრამ მტერი შეერწყა ნიგერიას! საქმე მარტო ჩვენზე ხომ არ არის. „დიდ ერებს“ ჩვენთან ერთად უნდა შეერწყან საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, იტალია, იაპონია და სხვ. და სხვ.

მუხრანბატონისეული თეორიის უგუნურობა აშკარაა და ეს თავის დროზე ჩვენზე უკეთ დაასაბუთეს ილია ჭავჭავაძემ და გაბრიელ ეპისკოპოსმა.

ერთადერთი უტყუარი იარაღი ეროვნული ინტერესების არად ჩამგდები ძველი და ახალი ნაჰილისტების წინააღმდეგ ის არის, რომ

---

* წარმოითქვა 1988 წლის 14 აპრილს დედა-ენისადმი მიძღვნილი ძეგლის წინაშე, მიტინგზე.

არამცთუ არ უნდა შევუმციროთ, არამედ დღითიდღე და წლიდან წლამდე უნდა გავუზარდოთ და გავუფართოვოთ მოქმედების ასპარეზი ჩვენ დედაენას, ქართულს, ჩვენი ფიქრის, აზროვნების, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ურთიერთობის, აზრის გაგებინების იარაღს, საქართველოს სახელმწიფო ენას. ეს არავის მიმართ არავითარი ძალმომრეობა არ არის. ქართველ ხალხს უფლება აქვს, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხს, თავის მიწა-წყალზე მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს. ამის უფლება მას დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მიანიჭა!

მუდამ უნდა გვახსოვდეს ის დრო და ურთულესი ისტორიული ვითარება, როცა საუკუნის ათიანი წლების ბოლოს დიდი ივანე ჯავახიშვილის წინამძღოლობით ქართული უნივერსიტეტი არსდებოდა. საიდან არ შემოიკრიბნენ უცხოეთის უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველი სპეციალისტები! ეკონომიკურ სიდუხჭირეს, თვით შიმშილსაც კი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არავინ შეუშინდა. პირველი რექტორი პროფესორი პეტრე მელიქიშვილი თავისი რექტორობის განმავლობაში კუთვნილ ხელფასსაც არ იღებდა. ვითომ თავზე საყრელი ექნებოდა, მალოროსიის უნივერსიტეტიდან აქ სამშობლოს პირველ დაძახებისთანავე ჩამოსულს?

ეს მეტი იყო, ვიდრე უნივერსიტეტის დაარსება. ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებით მყარი საფუძველი ჩაეყარა ქართულ მეცნიერებას ეროვნულ ენაზე, რომლის არსებობის გარეშე რომელიმე თანამედროვე, ხვალინდელი დღის მოიმედე კულტურული ერი ყოვლად წარმოუდგენელია. ეს ხომ თითქმის გადაულახავი სიძნელეების წინაშე აყენებდა უნივერსიტეტის პირველ პროფესორებს. არ არსებობდა ცალკეული სამეცნიერო დარგების ტერმინოლოგია, პროფესორებს არ გააჩნდათ ქართულ ენაზე ლექციების წაკითხვის არავითარი ჩვევა. ყოველივე ეს ერთი დაკვრით უნდა გაკეთებულიყო და საბედისწერო ხარვეზი თუ რამდენიმე არა, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მაინც უნდა შეგვევსო. ჩვენმა დიდმა წინამორბედებმა შესძლეს ეს, თავი მოაბეს საქმეს, რის გაკეთება მხოლოდ ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით აღჭურვილ მაღალნიჭიერ ადამიანებს შეუძლიათ.

თუ ხარ ქართველი მეცნიერი, მამულიშვილი, თუ ხარ პიროვნება, ვისიც შეიძლება სჯეროდეს ხალხს, კეთილი ინებე და შენი შრომები ქართულად წერე, როგორც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გიანდერძა. აკი ამბობდა დიდი ნიკო მარი, ქართული ენა თავისი თვისებებით მსოფლიო ენაა და ამ ენაზე ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენითო.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს ეროვნულ ნაჭუჭში გამოკეტვას და არც იმის უგუნურ მოწოდებას, თითქოს სხვა ენები, უპირველეს ყოვლისა რუსული, არ ვისწავლოთ. პირიქით, რუსულისა და სხვა ენების ცოდნა ერთადერთი უმოკლესი გზაა კაცობრიობის კულტურული მონაპოვრების დასაუფლებლად, მაგრამ ყოველივე ამას საიმედო საფუძვლად, როგორც პედაგოგიკის დიდი კორიფეები გვასწავლიან, დედაენის, ჩვენი სააზროვნო, საბაზო ენის სრულყოფილი ცოდნა უნდა ედოს.

აი, რას ამბობს დიდი რუსი პედაგოგი უშინსკი ამის თაობაზე:

„წაართვით ხალხს ყველაფერი და ის ყველაფრის დაბრუნებას შესძლებს, მაგრამ თუ ენა წაართვით, ის თავის დღეში ვეღარ შეჰქმნის მას; ახალ სამშობლოს კიდევ შექმნის ხალხი, მაგრამ ენას კი ვეღარ; მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც! და თუ კაცს აძრწუნებს ერთი ადამიანის მოკვლა, რომელსაც უამისოდაც დიდი დღე არ უწერია, რა უნდა ვიგრძნოთ მაშინ, როდესაც ვუპირებთ მოკვლას მრავალსაუკუნეგამოვლილს და ისტორიულ პირს — ხალხს, ამ უდიდებულეს ღვთის ქმნილებას?“

თუ სხვათა გულმოდგინებას და კეთილსინდისიერებას არ ენდობი, შენ თვითონ თარგმნე შენი ნაშრომი უცხო ენაზე და ქართულად ნაფიქრ-ნააზრევი მთელი დედამიწის ზურგს მოჰფინე!

მაშ, შეეფიცოთ ერთმანეთის დედაენის ძეგლის წინაშე, რომლის მაგვარი მე მსოფლიოში არსად მეგულება, რომ ჩვენი ქართველობით, დედაენის უსაზღვრო და განუზომელი ერთგულებით კულტურულ კაცობრიობას კი არ გამოვეყოფით, კი არ გამოვცალკევდებით, არამედ პირიქით, კვლავაც მისი ორგანული, განუყოფელი ნაწილი ვიქნებით. ნუ შეეუშინდებით, თუ ვინმე ყიამყრალი ნაციონალისტობას დაგვაბრალებს, ჩვენ ხომ ვიცით, რომ მართალი ვართ ქვეყნისა და საკუთარი სინდისის წინაშე, რომ ეს ჩვენი ბუნებრივი მისწრაფება, რამაც აქ შეგვკრიბა, ჩვენვე უკომპრომისო თავგამოდებით მოპოვებული სახელმწიფოს ძირითადი კანონით — კონსტიტუციითაა განმტკიცებული.

გაუმარჯოს დიდ, უკვდავ ქართულ ენას!

გაუმარჯოს უკვდავ ქართველ ერს, ამ ენის შემქმნელს! გაგიმარჯოთ თქვენ!

1988

საკუთარი მონეტის მჭრელი

ოთარ ჭელიძის ბოლოდროინდელი ნაწარმოებები, კერძოდ, ჟურნალ „დროშის“ ბიბლიოთეკის სერიით გამოცემული მისი ახალი ლექსების კრებული „მოლოდინის ბალადა“, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად არის წარდგენილი.

კრებულში შემავალი თითქმის ყველა ლექსი უფრო ადრე ჩვენს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა და პოეზიის მოყვარული მკითხველი, ვინც გულისყურით ადევნებს თვალს ქართული მწერლობის სიახლეებს, მათ პირველად არ ხვდება.

პრესამ გვაუწყა, რომ პოეტის კანდიდატურამ ორი შესარჩევი ტური გაიარა და იგი დატოვებულია საბოლოო კენჭისყრისათვის.

ასეთ დროს, დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, „ფართო საზოგადოებას“, მკითხველებს მიმართავენ, მიიღონ ცხოველი მონაწილეობა ეგზომ საპატიო ჯილდოს მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაწარმოების ან ნაწარმოებების განხილვაში და თავიანთი აზრი პრემიების მიმნიჭებელ სახელმწიფო კომიტეტს წერილობით გაუზიარონ.

იმას რაღა აჯობებს, უკეთუ ზოგიერთი მათგანი, ლიტერატურის სვე-ბედით დაინტერესებული მკითხველი იქნება თუ პროფესიონალი ლიტერატორი, გაირჯება, თავის აზრს პრესის ფურცლებზე გამოაქვეყნებს და, ამგვარად, მას არა მარტო კომიტეტის, არამედ მთელი მკითხველი საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანს.

მე, როგორც ხედავთ, სწორედ ეს უკანასკნელი ძნელი გზა ავირჩიე. გადავწყვიტე, ჩემი კერძო მოსაზრებები, წამოჭრილი პრობლემის ამომწურავად განხილვის პრეტენზია სრულებითაც რომ არა აქვთ, მზის სინათლეზე გამოვეტანა და ჩემი სათქმელი ყველას გასაგონად, აშკარად მეთქვა. აშკარად იმიტომ, რომ დასამალი და საჩუმათო აქ არაფერია. ყოველ ჩვენგანს, ყოველ მწერალს უნდა შეეძლოს და სურდეს კიდევაც პირუთვნელი აზრი გამოთქვას მეორე მწერალზე და არა ძმაბიჭური მიკერძოებით, რის მოწმეც, სამწუხაროდ, არა ერთჯერ გავმხდარვართ, არამედ სინდისის კარნახით თქვას ის, რის თქმასაც სამართლიანობა და ლიტერატურისადმი პატიოსანი დამოკიდებულება უკარნახებს.

ოთარ ჭელიძე ქართულ მწერლობაში ახალი სახელი როდია. იგი აგერ უკვე ოთხი ათეულიᲐ წელიწადია იღვწის სამწერლო ასპარეზზე და თავისი თანატოლების — მურმან ლებანიძის,ანა კალანდაძის, შუხრან მაჭავარიანის დ სხვათა გვერდით ახალი პოეტური სამკაულებით ამდიდრებს მრავალსაუკუნოვან, საქვეყნოდ განთქმულ ქართულ პოეზიას.

ოთარ ჭელიძეს ჩვენში და არა მარტო ჩვენში იცნობენ როგორც განსხვავებული, პოეზიაში აქამდე უცნობი რიტმების პოეტს. ის არსთა გამრიგეს ბუნების ხმების შეცნობის უნიკალური უნარით დაუჯილდოებია და სინამდვილის წიაღში ღრმად შეპრის, მისი მხატვრულად აღქმის თავისებური გზაც დაუსახავს. პოეტის ლექსი ღაღადისია, ერთი განუწყვეტელი მონოლოგია, რომლითაც ის აწყმოსა და მომავალს მიმართავს და თავის ესთეტიკურ იდეალს ამკვიდრებს.

ოთარ ჭელიძის პოეტური მუზა საოცრად მგრძნობიარეა ყოველივე იმის მიმართ, რასაც შეეხება, რასაც კი ახლოს ჩაუვლის, მისი ლირის ყოველი სამი უაღრესად დაჭიმულია, მხოლოდ მაღალი რეგისტრების ბგერებს გამოსცემს და ჰაერის სულ უბრალო ცვალებადობაზეც კი ირხევა.

პოეტის მარად მშფოთვარე განწყობილება, რომელიც მაჯისცემასავით ნება-ნება მფეთქავი რიტმის მკაცრ ჩარჩოშია მოქცეული, გადამდებია. მკითხველის გული და გონება მას კამერტონივით, დეტონატორის ძალით ეხმაურება და საპასუხო ემოციებს წარმოქმნის.

შეუძლებელია, ოთარ ჭელიძის ლექსის კითხვისას კაცი გულგრილი დარჩე. შენ ის გაიძულებს, სულიერი ენერგიის მობილიზება მოახდინო, როგორლაც გარდაიქმნა, გაიარო იმავე ბეწვის ხიდზე, რომელზედაც შთაგონებულმა პოეტმა შენს თვალწინ გაიარა და თავისებური აზრობრივ-მუსიკალური მოდულაციებით, გაუცხოებულ სიტყვათა ქსოვილში რომ განსხეულებულან, სრულიად ახალსა და განსხვავებულ იდეალს ეზიარო.

ოთარ ჭელიძის, როგორც შემოქმედისა და მოქალაქის, ინტერესების სფერო ფართოა და განუსაზღვრელი. იგი სისხლხორციელად თანამედროვეა და როგორც ფორმით, ასევე შინაარსით დროის მიერ დაყენებულ ყოფნა-არყოფნის პრობლემებს ეხმაურება.

პოეტის შემოქმედების მთავარი მოტივი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაა, კეთილისა და ბოროტის, ზნეობრივისა და უზნეოს, ანგარებისა და უანგარობის შეურიგებელი ბრძოლაა. მაგრამ ეს ბრძოლა და ჭიდილი აბსტრაქტულ სამოსელში როდია გახვეული, დროისა და სივრცის გარეთ, უწონადობაში კი არ მიმდინარეობს. პოეტის ლირიკული გმირი რეალური ადამიანია, რეალურ ისტორიულ გარემოცვაში მოქმედებს და ყველა ადამიანური ნიშან-თვისებით ხასიათდება.

ამას რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ სულ ბოლო დროს დაწერილ ლექსებს „მწკანე ვარსკვლავს", „სისხლიან მისტერიას", „გიორგი ნატროშვილს", ნიკა აგიაშვილისადმი მიძღვნილ „ოდის ოდას", განსაკუთრებით კი „მერემესა" და „დედას", რომლებიც ზემოთხსენებულ უკანასკნელ კრებულს ამშვენებენ.

ოთარ ჭელიძის ლექსის ელვარება, მისი განსხვავებული მუსიკალური ხმიანობა, ფორმის სიმკაცრე და მოულოდნელი გადასვლები, რაც მას ხელოვნების მომიჯნავე დარგთან ანათესავებს, ათას სხვა ლექსში გამოირჩევა. შეხების უმალვე გრძნობ, რომ იგი ოსტატის, ჭეშმარიტად პროფესიონალი პოეტის ხელიდან გამოვიდა. ქართული ლექსის ტრადიციულ ფორმებს, თუნდაც მაღალსა და დაბალ შაირს, რომლებსაც დიდი ხანია ყური შეეჩვიეთ, აქ საკვირველი მოდერნიზაცია და მეტამორფოზა განუცდიათ, ხმა და კილო შეუცვლიათ და მონუმენტური ძერწვის ახლებური უნარი შეუძენიათ.

ოსტატობის სწავლას გამუდმებული წვრთნა და ვარჯიში უნდა, მაგრამ ამას ვერ ისწავლი, თუ ზებუნებრივი ნიჭი, ნიჭი ახლის აღმოჩენისა და პოეზიის უვალ გზებზე სიარულისა ერთ მშვენიერ დღეს თვითონ შენს სულში არ აღმოაჩინე და შემდეგ პროფესიონალური მიძალებით არ სრულჰყავი. მე მოწმე ვარ ამ პროფესიონალური-მიძალებისა, კონ-

სტანტინე გამსახურდია ქვის კოდვაზე უფრო საძნელო საქმედ რომ მიიჩნევდა, აზრთან და სახესთან გამუდმებული, უკომპრომისო ჰიდილისა, ოთარ ჭელიძე რომ ათეული წლების განმავლობაში ეწეოდა და დღესაც ეწევა.

„დამდევს შუაღამის ბაღში ურვა-ოროველა ერის, როცა თმაჭაღარა ბავშვი ჰამლეტ გონაშვილი მღერის. აღარც ჩამიჩუმი ისმის ბნელში მიყუჩებულ წყვილთა, საყდრულ სიჩუმეში კვნესის ჰანგი სიყვარულზე წმინდა. ძველთა წამებულთა ეს ხმა სულის ყვავილია იქნებ, რომლის უნაზესი რხევა აღძრავს უზენაეს ფიქრებს.“

მკითხველმა, ალბათ, იცნო, რომ ესაა სტრიქონები ლექსიდან, პოეტმა რომ ჩვენგან უდროოდ და უაზროდ წასულ ლეგენდარულ მგალობელს მიუძღვნა. გაბზარული ზარის შემოკვრად აღიბეჭდება მისი ყოველი ბგერა, ყოველი მარცვალი, ყოველი სიტყვა გარინდებული მკითხველის გულში. იგი თანდათან იზრდება, ეუფლება ყველას და ყველაფერს, კოცონივით ბრიალებს. აი, გავედით ბოლოში და ისეთი განცდა გვეუფლება, თითქოს დიდი ომი გადავიხადეთ, რომლის ყოველი პერიპეტია სულს სამუდამოდ დააჩნდება.

მკრეხელობაა, დაშალო ლექსი შემადგენელ ნაწილებად, შეეცადო იმის შეტყობას, როგორ და რა გზით იკრება ის შენს სულში, როგორ გიპყრობს, როგორ ივსება მთელი შენი არსება უზენაესი ფიქრით და გრძნობით. ეს ხომ უპირველესი დანიშნულებაა პოეტური სიტყვისა, ის ხომ მხოლოდ ამისათვის მოევლინა ამ ქვეყანას! რისგან შესდგება მშვენიერება? ვინ იცის, ვის შეუძლია ამის ახსნა და სილოგიზმის ენაზე ჩამოყალიბება! ლექსი, ერთ-ერთი სახე და გამოხატულება მშვენიერებისა, მთლიანობაა, განუყოფელი არსია, საიდუმლოა, რომლის გამჟღავნება თვით მის შემოქმედსაც არ ძალუძს, ისაა, რასაც ვერც ხელით შეეხები და ვერც აზრით მისწვდები. ამიტომაც თავიდან ბოლომდე უნდა წაიკითხო, თავად, სხვათა დაუხმარებლად უნდა შეიგრძნო, შეხვიდე მის უღრან ტყეში — სახეთა სისტემაში, ეზიარო პოეტის ფიქრსა და სწრაფვას, შენდა შეუმჩევნეველად რომ გეუფლება.

ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი თავისებურად ჯადოქარია. მას კვერთხის ერთი შეხებით შეუძლია სული ჩაუდგას უსულოს, გაკვეთოს, გაანათოს ბნელი, საყოველთაო მნიშვნელობა მიანიჭოს იმას, რასაც ჩვენ უყურადღებოდ ჩავუარეთ, გაგვიღვიძოს თანაგრძნობა, ჩაგვაღრმავოს მოვლენის წიაღში.

„ერთი უპატრონო ძაღლის რაღაც გასაოცარ მეტყველ დღემდე უხილავი ძალის თვალებს შევეფეთე ერთხელ“ — იტყვის პოეტი და შენ გრძნობ, რომ რაღაც მინდიასებური გემართება, თვით ხეებისა და ბალახების ენაც კი გესმის, გესმის, ჩიტი ჩიტს რას ეჩიკჩიკება, ერთბაშად ირღვევა ზღვარი იდუმალებით აღვსილ სამყაროსა და შენს შორის, ის წამი დგება, დიდი გალაკტიონის სტრიქონისა არ იყოს, ანგელოზს რომ დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი.

ერთი განმასხვავებელი ნიშან-თვისება ოთარ ჭელიძესეული ლექსისა ისიც გახლავთ, რომ იგი მეტ-ნაკლებად ეპიკურ ხასიათს ატარებს. ლექსს თითქოს სამი განზომილება შეუძენია და სივრცეში დამოუკიდებელ მატერიალურ საგნად არსებობს. პოეტის ნიჭის ამ თავისებურებამ საამწერლო გზის დასაწყისშივე იჩინა თავი. ოთარ ჭელიძის ბალა-

დები, წლების განმავლობაში რომ იქმნებოდა, ამის თვალნათლივი დადასტურებაა.

მახსოვს, ერთხელ კახეთში ვიყავით. ერთმა ხალხურმა მომღერალმა ფანდურზე შეასრულა ლექსი, რომელიც ორი მეამბოხე მარაბდელის — არსენა ოძელაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის უცაბედი შეხვედრის ამბავს მოგვითხრობს. დიდხანს სულგანაბული ვუსმენდით. შემსრულებელი უსინათლო იყო, ჩვენ ვერ გვხედავდა და ხალხური სიმღერის ყოველი ახალი მუხლი გულის სიღრმიდან ამოჰქონდა. როდესაც დაასრულა და ერსულოვანი მჭუხარე ტაშიც დაიმსახურა, ვუთხარით, რომ ბალადის ავტორი, ოთარ ჭელიძე, ჩვენს შორის იჯდა, შაგრამ არ დაგვიჯერა. ეტყობა, ასე ურჩევნოდა, ასე უფრო სარწმუნო, თითქოსდა ცით მოვლენილი ჩანდა ორი მოყმის ამბავი, ის რომ მამაპაპური ფანდურის ჩხაკაჩხუკში ნაღვლიანად და ხმაში ჩაწნული სიამაყით მოგვითხრობდა.

ოთარ ჭელიძეს თვალებში ცრემლი ჩასდგომოდა. მე ვიგრძენი, რომ ამ წუთში ის ფიზიკურად განუყოფელი იყო თავისი მშობელი ხალხიგან, ქიტესებისაგან, სულაც არ ნანობდა, რომ მის ბალადას კახეთში ავტორი დაკარგოდა და ხალხის გულიდან ამოსულ ფოლკლორად გადაქცეულიყო.

პოეტური ნიჭის ეპიკურმა მიდრეკილებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ოთარ ჭელიძე ეპოსთან მიიყვანა. ეს უცებ, ხელის ერთი მოსმით არ მომხდარა. სანამ ამ უძნელეს პოეტურ ჟანრს, პოემას, შებედავდა, რომელსაც მავანნი და მავანნი, ისევე როგორც რომანს, გარდაუვალ სიკვდილს, პარნასიდან ერთხელ და სამუდამოდ ჩამოსვლას უწინასწარმეტყველებდნენ, მან უდიდესი სამუშაო გასწია: შეეჭიდა და ქართულად თარგმნა კლასიკური და თანამედროვე რუსული პოეზიის ეპიკური შედევრები — პუშკინის „ევგენი ონეგინი“ და ტვარდოვსკის „ვასილი ტიორკინი“. დაძაბულმა შრომამ რამდენიმე წელიწადს გასტანა და საბოლოოდ ქართველმა მკითხველმა მიიღო თავის მშობლიურ ენაზე ამეტყველებული ნაწარმოებები, რომლებმაც თავ-თავის დროს ეპოქა შექმნეს დიდ რუსულ და მსოფლიო პოეზიაში.

არა მგონია, საქმეს სჭირდებოდეს იმის წაყრუება და არშემჩნევა, რომ „ონეგინისა“ და „ტიორკინის“ ქართულად თარგმნამ, თვით ქმნილებების აღნაგობამ და მათი ქართული ადეკვატის დაუცხრომელმა ძიებამ, მრავალი თეთრად გათენებული ღამე რომ შეიწირა, თავისებური გავლენა მოახდინეს პოეტზე, მისი მხატვრული წარმოსახვის ხერხების ჩამოყალიბებაზე, იქნებ შთააგონეს კიდევაც რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი შეექმნა. და აი, სამოცდაათიანი წლების მიწურულს ოთარ ჭელიძე აქვეყნებს ვრცელ პოემას, რომანს ლექსად, „ჩემი მაგნიტური არე“, რომელიც მაშინვე გახმაურდა და შესანიშნავი რუსი პოეტის ლეონოვიჩის მიერ თარგმნილი „ნოვი მირის“ ფურცლებზეც დაიბეჭდა.

ამ წერილის დასაწერად დაჯდომის წინ მე ერთხელ კიდევ წავიკითხე პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული, სადაც ხსენებული პოემაც არის დაბეჭდილი. მომეჩვენა, რომ ათწლეულს, მისი დაწერისა და გამოქვეყნების შემდეგ რომ გავიდა, პოემისათვის ახალი ძალა შთუბერია. ესაა ტრაგიკული ბიოგრაფია თაობისა, თვით პოეტიც რომ ეკუთვნის, შეუფერადებელი, შეულამაზებელი,მყვირალა ფრაზეოლოგი-

ას, ყალბ პათეთიკას მოკლებული, პოეტური ქმნილების კომპოზიციურ არტახებში მკვდრად ჩაკირული ეპოპეა, რომლის თითოეული სიუჟეტური პარალელი და ყველაფერი ერთად მკითხველის გულწრფელ აღტაცებას იმსახურებს და სპეციალისტ ლიტერატორთა საგანგებო განხილვასა და შეფასებას საჭიროებს. თავის პოემაში ოთარ ჭელიძე სასაუბრო მეტყველებას მიმართავს. ტექსტს არ ტვირთავს ე.წ. არქიტექტურული ზედმეტობით. აქ ყოველივე სადაა და ზუსტ მიზანდასახულებას ემსახურება. ავტორი არ ერიდება არც პროზაიზმებს, არც მხატვრულ, პუბლიცისტიკისათვის დამახასიათებელ ლექსიკას, თუკი მათ შესწევთ ძალა და უნარი ხელი შეუწყონ თხრობა-ძერწვის უშუალობას და მკითხველის გულსა და გონებასთან პირდაპირი კავშირის დამყარებას.

აქამდე სად ვიყავი? რატომ აქამდე არა ვთქვი და არ დავწერე ეს ყველაფერი? პოეტს მკითხველი ჭირდება. უმკითხველოდ, ვინც მის სტრიქონში გახვეულ აზრსა და ფიქრს ჩასწვდება, ის არარაა. ჩვენ, მწერლები, მკითხველები ვართ ერთმანეთის მიმართ და, ყოველგვარი კოკობზიკობის გარეშე, ყოველ ცისმარე დღე მოუთმენლად, გულისფანცქალით მოველით ჩვენი ხელიდან გამოსული ნაწარმოების შეფასებას მკითხველის, უპირველეს ყოვლისა კი მწერლობის საიდუმლობაში ღრმად ჩახედული ჩვენივე კოლეგების მიერ. ოღონდ წრფელი უნდა იყოს ის შეფასება, გულიდან ამოსული, ასჯერ გაზომილი და ერთხელ გაჭრილი. აღტაცებას წინ რა დაუდგება, ადვილი გასამეღავნებელია, მაგრამ ბუნებითა და მოწოდებით მწერალს, დღე და მოსწრება ჭეშმარიტებას რომ ეძიებს და მშვენიერებას ეჭიდება, შემოძახებაც ისევე ესაჭიროება, როგორც მისი ქმნილებით აღძრული გულწრფელი აღტაცება, შემოძახება იმისა, რომ სწორად არ მიდის, რომ, როგორც სიმონ ჩიქოვანი იტყოდა, „ასე არ ვარგა, სხვანაირად უნდა“.

რაც შეეხება ოთარ ჭელიძის პოემას „ჩემი მაგნიტური არე“, სწორედ რომ „ასე უნდა“. პოეტმა გაიმარჯვა, მიაღწია იმას, რასაც ესწრაფვოდა! ნურავინ დამძრახავს იმისათვის, თუ ამ სიტყვებს ასე საჯაროდ, დიდ გზაჯვარედინზე გავიძახი!..

ნიშნავს თუ არა ის, რაც მკითხველს ამ წერილით გავუზიარე, რომ ყველაფერი, რაც ოთარ ჭელიძის კალამს დაუწერია, ერთნაირად მომწონს და მაღელვებს? არა, არ ნიშნავს! აქ მე მხოლოდ იმაზე გავამხილე ყურადღება, თუ რა და რატომ მომწონს პოეტის შემოქმედებაში, რად ვთვლი ოთარ ჭელიძეს ჩვენი დღევანდელი ქართული მწერლობის ერთ-ერთ საიმედო ბურჯად და ღირსად იმისა, რომ მკერდი დიდი წინაპრის სახებით დაიმშვენოს!

1987 წ.

საქმემან ჩვენმან

სიტყვა ონის სინაგოგაში

ებრაელი ერი ერთადერთია ყველა იმ ერს შორის, საქართველოს მიწა-წყალზე უხსოვარი დროიდან რომ უცხოვრია, ვინც ჭირსა და ლხინში, გვერდში ედგა ქართველობას, ვინც მისი ტვირთი იტვირთა, მისი მტერი მტრად მოიკიდა, ხოლო მოყვარე მოყვარედ გაიხადა, ვინც ქართველი კაცის სამშობლო, საქართველო, საკუთარ სამშობლოდ იწამა, მისი დედაენა კი, ტკბილი ქართული, საკუთარ დედაენად დაიგულა.

საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ებრაელის ღალატი და ამავე ისტორიაში ერთი შემთხვევეც არ მოიპოვება ქართველის მხრიდან ებრაელზე ძალადობისა, იმის მიუხედავად, რომ ებრაელობა საქართველოში ყოველთვის უმცირესობას შეადგენდა.

ქართული სახელმწიფოსა და ქართული ეროვნული კულტურის ბალავერში ჩაქცეულია ისრაელის სისხლიც. ამიტომაც ჩვენი სამშობლო მათი ზიარი სამშობლოა!

ყველა შეგნებულმა ქართველმა, თვით მათაც კი, ვისაც ბიოგრაფიულად არავითარი კავშირ-ურთიერთობა არა ჰქონია ქართველ ებრაელებთან, მწვავედ განიცადა მრავალი ათასი ებრაელის წასვლა მათს ისტორიულ სამშობლოში, აღთქმულ ქვეყანაში. აქ, ქართულ მიწაზე, ქართული ცის ქვეშ დარჩა მათი რეალური სამშობლო, შამა-პაპის ძვლები, სალოცავები, მაგრამ უსაზღვროდ ერთგული უდიდესი იდეისა, რომელიც ყოველ ერს ერად აქცევს, ხოლო ადამიანს პირუტყვისგან განასხვავებს... წარმოუდგენლად ძლიერნი აღმოჩნდნენ, მაინც დასთმეს, რაც სიცოცხლის ფასად არ ეთმობოდათ და თავი მოიყარეს ბიბლიურ მიწაზე.

უსაზღვროდ გულდაწყვეტილ ქართველს, ვისაც სამშობლოში ქართულად მოლაპარაკე ხალხი დაეკლდა, ვისაც წასულთა სახით ჭირში გამოცდილი ერთგული ძმები გვერდში აღარა ჰყავდა, მაინც ჯიუტად სწამს, რომ იქ, სადაც ქართველმა ებრაელობამ ბუდე გაიჩინა, პატარა საქართველოა, იქ ჩვენი გულის ცეცხლი ანთია, ქართული ჰანგი გაისმის და ადამიანები სიზმარში სანატრელ საქართველოს ნახულობენ.

მათ, იმ ადამიანებს, ამისათვის მადლობა არ ეთქმის ქართველისაგან, როგორც არ ეთქმის მადლობა შვილს მშობელი დედის სიყვარულისათვის. ეს ხომ ყოველი სულდგმულისათვის ბუნებრივი გრძნობაა!

ვინაც ჩემი ისტორიული რომანი „მძიმე ჯვარი" წაიკითხა, არ შეიძლება არ ახსოვდეს ქუთაისელი ნეგოციანტი ისხაკ თეთრუაშვილი, ქართველი მეფის კაცი, ფიცვერცხლნაკამი, სამშობლოზე, ქართულ საქმეზე უანგაროდ დადაგებული, თავადაც ტრაგიკული პიროვნება, რომლის ერთადერთი ნავსაყუდელი საქართველოა.

დაუსრულებლად შეიძლება წერა ყოველივე ამის გარშემო, რადგანაც დაუსრულებელი და უკიდეგანოა ჩვენი ურთიერთ სიყვარული, ყველასათვის, მათ შორის უგანათლებულეს ერებისათვისაც კი უცხო, აუხსნელი, გაუგებარი.

როგორ უნდა ახსნან და შეითვისონ, მაგალითად, ხარბმა და გაუმაძღარმა ბერძენმა ბერებმა იერუსალიმში, თუ რა ესაქმებათ საიდან-

ღაც ჩამოხეტებულ იუდეველებს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ძეგლთან — ჯვრის მონასტერთან. სად მომხდარა, აქამდე ვის მოსწრებია, რომ ქრისტიანული სალოცავის გადასარჩენად და ქართველებისთვის მის დასაბრუნებლად მთელი ებრაელობა აღმდგარიყოს და ყოველი ღონე ეხმაროს ამ თავისი მიზნის აღსასრულებლად! აბა, რით და როგორ უნდა გამოვთქვათ სიტყვებით, რომ სამყაროში არსებობს ძალა, რწმენა, თვით ღმერთის რწმენაზედაც კი უფრო მაღალი და ძლიერი, რომლის წინაშეც ყოველივე ხუნდება და ელფერს ჰკარგავს. რა ჰქვია ნეტავ ამ ძალას? მე იქნებ ვერა ვთქვა, რა ჰქვია, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ეს უძლეველი, ზენა ძალაა, რომელიც ქართველს და მის უბეში შეყუდრებულ ქართველ ებრაელობას ერთმანეთთან სამარადისოდ აკავშირებს.

მაშ, ნუ ვეცდებით, ვინმეს რაიმე ავუხსნათ, ვინმეს რაიმე გავაგებინოთ, ნურც ვილაპარაკებთ, ნურც თავს მოვიწონებთ, შემოგვხედეთ, რა მომხიბლავები ვართო. მხოლოდ ვიცხოვროთ და ვიაზროვნოთ ისე, როგორც აქამდე გვიცხოვრია და გვიაზროვნია. აქამდე კი, არც მეტი, არც ნაკლები, ორი ათას ექვსასი წელიწადია!

„საქმემან ჩვენმან გამოგვაჩინონ ჩვენ!"

1988 წ.

მარადიული წინამძღოლი

სახელი მეფე დავით მეოთხისა, მადლიერმა ერმა აღმაშენებლად და წმიდანად რომ შერაცხა, აგერ ცხრა საუკუნეა თავს დასტრიალებს და გაუხუნარ შარავანდედად ადგას მრავალ ჭირსა და ვაებაში გამოვლილ საქართველოს.

სამშობლოს მომავალი მხსნელის, ყოველი დროის საქართველოს პირველი კაცის, ბავშვობამ და ყრმობამ სისხლის წვიმებსა და სიდუხჭირეში გაიარა. ქვეყნის გამაერთიანებელი მეფის, ბაგრატ მესამის, ღვაწლითა და მოწადინებით თავმოყრილი ქართული მიწების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, სატახტო ქალაქ ტფილისითურთ, კვლავ მტრის ხელს ეპყრა. მუდამ განკერძოების მოსურნე ფეოდალები თავ-თავიანთ ციხე-დარბაზებში ჩაკეტილიყვნენ და საკუთარი მეფის მხარში ამოდგომის მაგერ სისხლით გაუმაძღარ ურჯულო მტერს შინ ეპატიჟებოდნენ. ეკლესია-მონასტრებიც, სადაც ოდესღაც მაცხოვრის წმინდა სანთელი ენთო და საიდანაც „ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა" მხოლოდ ნუგეშსა და შემწეობას მოელოდა, „ქვაბ ავაზაკთად" ქცეულიყვნენ. ქვეყანაში სრული განუკითხავობა და ქაოსი სუფევდა, სამართალი ფეხქვეშ გათელილიყო, შინაურისა და გარეულის დაუსჯელი ძალმომრეობა მძვინვარებდა და ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში ხსნა არსაით ჩანდა. აღმოსავლეთის ბაზრები სავსე იყო მშობლიურ კერას მოწყვეტილი ქართველი გოგო-ბიჭებით, ხოლო შინ ძალადობას, ცრემლსა და ვაივაშს დაებუდებინა. გამრჯე გლეხკაცის ხელით ნანოლიავებ ყანა-ვენახში ველური ბალახი ბიბინებდა. უკვე რამდენი ხანი იყო, მიწა აღარავის მოეხნა, აღარავის დაეთესა, წლიდან წლამდე თავის გასატანი ჭირნახული არ მოეყვანა.

დავითის გვირგვინოსანმა მამამ, მეფე გიორგი მეორემ, ხმალი ჩეხვაში რომ გაუცვდა და არც ამქვეყნიურ სიამეთა ძიებას აკლებდა ხელს, როდესაც უკიდურესად გაუჭირდა და შინაურ და გარეშე მტერს ძველებურად ველარ გაუმკლავდა, იმაზე უკეთესი ველარაფერი მოიფიქრა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მამაპაპურ ტახტზე ნებით უარი თქვა და მეფის გვირგვინი მემკვიდრეს, ჯერაც უწლოვან დავითს დაადგა.

დავითი მაშინ 16 წლის პირტიტველა ჭაბუკი იყო.

აქედან იწყება მისი ხმალჩაუგებელი ბრძოლა შინაურ ორგულთა და გარეშე მტრის წინააღმდეგ, რაც 36 წელიწადს, დავითის მეფობის მთელ მანძილზე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაგრძელდა.

რამდენი რამ დაიტია ამ 36 წელიწადმა, თურმე რამდენი რამ შეიძლება მოესწროს ღვთისგან ნაბოძებ ერთადერთ სიცოცხლეში!

მტერმორეული ქვეყნის ახალგაზრდა მეფის უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი ერის შინაგანი მთლიანობის აღდგენა, ორგულ დიდგვაროვან მოხელეთა დამხობა, მათ ადგილზე ხალხიდან გამოსული ნიჭიერ მდაბიორთა დაწინაურება, საეკლესიო იერარქიის, საქართველოში ოდითგანვე შეუზღუდველი უფლებამოსილებით რომ სარგებლობდა, ტახტისათვის დაქვემდებარება, საზოგადოებრივი სამართლიანობის დამყარება, ეკონომიკური მოღონიერება. მტრის მიერ მიტაცე-

ბული მიწების განთავისუფლება და გარეშე მტრის მოსაგერიებლად ქვეყნის შეუვალი თავდაცვის მოწყობა იყო.

ერის ჯანსაღ ძალებზე დაყრდნობით, რომლებიც ზურგს უმაგრებდნენ სამშობლოს უღალატო სამსახურით გულანთებულ ახალგაზრდა მეფეს, დავითმა სასწაულებრივ შესძლო ყველა ამ ამოცანის შესრულება, ისტორიამ რომ დააკისრა და საქართველოს სამეფო, რომელშიაც მთელი იმდროინდელი კავკასია, მისი ქედგადაღმა და ქედგადმოღმა ნაწილი იგულისხმება, ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.

რუის-ურბნის საეკლესიო კრებამ, თვით მეფის თავმჯდომარეობით რომ მიმდინარეობდა, ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთა დიდგვაროვან მღვდელმთავართა ზღვარდაუდებელი პარპაში და მწიგნობართუხუცესს-ჭყონდიდელის ახალი სამოხელეო ინსტიტუტის შემოღებით,რომელიც საერო და სასულიერო ხელისუფლებას აერთიანებდა, სრულად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის კათედრა ქვეყნის უზენაესი და ერთადერთი განმგებელის – მეფის ტახტს დაუქვემდებარა. ეკლესიისაგან განკვეთეს ულირსი მოძღვრები, მათი ადგილი კი ერის წიაღიდან წამოსულმა ნიჭიერმა, ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებულმა, ეპოქის მოწინავე მსოფლმხედველობით აღჭურვილმა ადამიანებმა დაიკავეს.

დავითმა მტკიცე საფუძველი შეუქმნა ქვეყნის თავდაცვას გარეშე მტრის განუწყვეტელ თავდასხმებისაგან, როდესაც ჩრდილო კავკასიიდან 40 ათასი ყიჩაყის ოჯახი შემოიყვანა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაასახლა და თითო კომლიდან თითო ჯარისკაცის სავალდებულო გაწვევით 40 ათასი გაწვრთნილი მხედრისაგან შემდგარი მუდმივი ჯარი გაიჩინა.

ამ ჯარმა, რეგულარულმა არმიამ, ქართველთა სამეფოს სხვა ჯარებთან ერთად, უდიდესი როლი ითამაშა დიდგორის ომში 1121 წლის 12 აგვისტოს, რომელშიაც დავითის 56 ათასიანმა ლაშქარმა სძლია მუსულმანური აღმოსავლეთის კოალიციურ ლაშქარს, ზოგიერთი უცხოელი დამსწრის ცნობის თანახმად 600 ათას კაცს რომ აღემატებოდა და არა მარტო თავისი ქვეყანა დაიცვა წალეკვისა და იავარქმნისაგან, არამედ საიმედო ფარად დაუდგა მთელ საქრისტიანო დასავლეთს, დასავლურ ცივილიზაციას, ჯერ კიდევ ჩანასახში მყოფ რენესანსის კულტურას, მეჯოგე ტომების თავდასხმის სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხე აგრეთვე წალეკვითა და იავარქმნით რომ ემუქრებოდა.

ვაი რომ ქრისტიან ევროპას, რომ აღარაფერი ვთქვათ ზღვის გაღმა ქვეყნებზე, დღესაც არ მოეხსენება ეს ამბავი, რასაც რუსულ-გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურ-ესპანურ-იტალიური და სხვა ენციკლოპედიები და ენციკლოპედიური ცნობარები მოწმობენ. ბევრმა მათგანმა დავით აღმაშენებლის სახელი და მის მიერ შუა საუკუნეების მასშტაბებისათვის უზარმაზარი ლაშქრის დამარცხების ამბავი საერთოდ არ იცის, არ იცის, რას წარმოადგენს უძველესი ქვეყანა - საქართველო, ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სახელმწიფო ორ კონტინენტის გასაყარზე, რომელ ენაზე ლაპარაკობს და წერს, რომელი დიდი მსოფლიო იმპერიის ისტორიის ნაწილია მისი ისტორია.

ესეც ჩვენი ბედი! ძველი ანდაზა, ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა კი კაკალიც არაო, მარტო ბედისაგან შერისხულ კაცზე როდის თქმულა, ხშირად ეგ მთელ ხალხებზეც ვრცელდება.

საარაკოა დავით აღმაშენებლის კულტურული, საეკლესიო და საქველმოქმედო მოღვაწეობა. „ახალ ათინად", „ახალ იერუსალიმად" წოდებული გელათის აკადემიის დაარსება, სადაც უცხოეთის სამეცნიერო და კულტურულ კერებში მოღვაწე სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები, მათ შორის იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, მთარგმნელები, გადამწერლები, ყდაში ჩამსმელები მოიწვიეს, ხომ მის სახელს უკავშირდება. დავითისავე სახელს უკავშირდება აგრეთვე ქსენონებისა, საგზაო ფუნდუკებისა და ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარების გამართვა, რომელთა ფართო ქსელით მთელი საქართველო იყო მოფენილი.

დავით მეოთხე აღმაშენებელს შთამომავლობა იცნობს, როგორც ზეგარდმო ნიჭით მომადლებულ პოეტს და განმანათლებელს, ღვთისმეტყველს, ენების ჩინებულ მცოდნეს, თავისი დროის უგანათლებულეს პიროვნებას, უაღრესად მოკრძალებულ და თავმდაბალ ადამიანს, ჭირში მყოფის შემწეს და მოწყალეს...

თუ ეს ადამიანური თავისებურებები არ გაგაჩნია, თუ უანგარო კაცთმოყვარეობით სხვათაგან არ გამოირჩევი, ვინც არ უნდა იყო, რაც არ უნდა ააშენო და რა საშინელი ურჩხულიც არ უნდა დაამარცხო, ადამიანები არ მიგინდობენ, არ შეგიყვარებენ, თავის სისხლად და ხორცად არ ჩაგვთვლიან, ეროვნული გმირის შარავანდედს არ დაგადგამენ, წმიდანად არ გიწამებენ.

დავითი კი განა მარტო ქრისტესმოსავი ქართველობის სალოცავი ხატი იყო და არის! მას ასეთსავე გამორჩეულ თაყვანს სცემდნენ სხვა სარწმუნოებათა აღმსარებელნიც, მათ შორის იუდეველნი და მაჰმადიანნი, რომელთა სალოცავებში დავითი უდიდესი მოწიწებით დადიოდა და რომელთა რელიგიური მოძღვრება ისევე ღრმად იცოდა, როგორც მთელი საქრისტიანო მწერლობა.

აი, უკვე ცხრა საუკუნეა, საქართველოს თავისი სულმნათი შვილის, დავით აღმაშენებლის, ნათელი ადგია. დღევანდელი ქართველები, ქართველები მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებისა, ბედნიერი ვართ, რომ შეგვიძლია, ეს ხმამაღლა ვიღაღადოთ და ერის კეთილდღეობისათვის დიდად გარჯილი აღმაშენებელი მეფის სამარადისო ძეგლის დადგმით, რომლის წინაშე მუხლის მოდრეკა არა მარტო ყოველ გულმხურვალე ქართველს, არამედ ყოველ კაცთოყვარე ადამიანს მართებს, მტერსა და მოყვარეს ვაცნობოთ, რომ ჩვენ, ქართველები, ვისაც დიდებული დავით აღმაშენებელი მრავალი ასეული წლის წინათ ომსა და მშვიდობაში წინ მიგვიძღვოდა, ისევე ვართ და ხალხთა მსოფლიო მარულაში კვლავაც თავშეურცხვენლად ვმონაწილეობთ!

1989 წ.

შსათაურო

პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

წერილს რომ გავეცანი, მართალი მოგახსენოთ, არ გავოცებულვარ. აკი თავადვე ვწერდი „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში „რა გვიმძიმს, რა გვიხარია“, რომ ჩემს მართალ სიტყვას, ერის ფიზიკური და სულიერი ენერგიის კონსოლიდაციის, მისი ყველა თაობის ერთი სულისკვეთებით დარაზმვის, ერთი უზენაესი მიზნის უღალატო სამსახურის იდეას რომ შეეხებოდა, არ მაპატიებდნენ მავანნი და მავანნი, ვინც პირად ამბიციაზე დამყარებული ყოველი კაცი, საქმით თუ სიტყვით წინ რომ ეღობება ყოველივე ამას, ვინც მათ ფეხს აყოლილ გულუბრყვილო ადამიანებს უფსკრულისაკენ მიაქანებს და ამავე დროს გაიძახის, ერთი შემომხედეთ, რა დიდ საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებო.

„ვისაც რა უნდა, ისა თქვას და საიდანაც სურს, გადმოსცეს, — ვწერდი მე იმ სტატიაში. — მე მაინც უნდა გავაკეთო საქმე, რის გაკეთებაც ჩემს მოქალაქეობრივ და მორალურ მოვალეობად მიმაჩნია“.

და გავაკეთე!

არა, არ გავოცებულვარ-მეთქი, „ღია წერილი“ რომ წავიკითხე, მაგრამ, რაც მართალია, მართალია, გული კი დამწყდა. ზვიად გამსახურდია ხომ, როგორც იტყვიან, ჩემს ხელში გაიზარდა. ის ხომ ღვიძლი შვილია კონსტანტინე გამსახურდიასი, ვისთანაც ათული წლების მანძილზე, მწერლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, გაუბზარავი თანამოაზრეობა და ადამიანური მეგობრობა მაკავშირებდა. ასეთი რამ ზვიადისაგან!.. ნეტავი რას იტყოდა სულგანათლებული ბატონი კონსტანტინე, ვისი სახეც დღესაც ხატად მისვენია, მისი საფიცარი შვილის შედგენილი „ღია წერილი“ რომ წაეკითხა?

მე არ ვიცი, ის, რაც ჩემს საკმაოდ ვრცელ სტატიაში წერია, რატომ მიიღო თავის თავზე ზვიად გამსახურდიამ? უბირი ბავშვიც კი მიხვდება, რომ მე იქ გაცილებით დიდ და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემებს ვეხები, ვიდრე ზვიად გამსახურდია და მისი ფენომენია!

არც იმ წერილში, არც აქ და არც მომავალში მსგავსი მსჯელობა არ გამიმართავს, არც ვმართავ და არც გავმართავ, ხოლო რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას „ღია წერილს“, მიუხედავად მისი უხამსი ფორმისა და ეთიკური ნორმების ყოველგვარი დარღვევისა, მე გთხოვდით, იგი გამოგექვეყნებინათ და მკითხველისათვის მიგეცათ საშუალება, ზვიად გამსახურდიას პრინციპულობისა და მოქალაქეობრივი სიდარბაისლის დამადასტურებელი დოკუმენტი დედანში წაეკითხა.

ლრმა პატივისცემით რევაზ ჯაფარიძე
26 იანვარი 1989 წ.

დიდ განსაცდელს მკერდით უნდა აღვუდგეთ *

მე არ მინდა ნავთი დავასხა ცეცხლს და ისედაც აგზნებული ხანძარი კიდევ უფრო გავაძლიერო, მაგრამ, რაკი აქ ამოვედი, არ შემიძლია არა ვთქვა, რომ დღეს მთელი ქართველი ერი უდიდესი საფრთხის წინაშე დგას. დღეს ჩვენ არჩევანი აღარ გაგვაჩნია. თავშეკავებასა და სიმშვიდეს, რესპუბლიკის ხელმძღვანელი მაღალი თანამდებობის პირები რომ გვიქადაგებენ, ყაელი გაუვიდა. დარწმუნებული ვარ, დღეს ისინიც ხედავენ, რომ წლების განმავლობაში მათ უდიდესი, უპატიებელი შეცდომები ჩაიდინეს და დადგა დრო, როცა მთელმა ქართველმა ერმა უნდა ზღოს ის სამწუხარო შედეგები, თავისი კარიერისტული უშიშროებისათვის გამეცადინებული ჩვენი პოლიტიკოსების არაშორსმჭვრეტელურ, არაკომპეტენტურ მოქმედებას და ნაბიჯებს რომ მიჰყვა.

ლიხნის დანაშაულებრივი თავყრილობის მოთხოვნები, თავისი ველური ხასიათით, სცილდება ცივილიზებულ საზოგადოების მოთხოვნათა ყოველგვარ ნორმებს. კაცთმოძულეობა, სისხლის წყურვილი, ქართველი ხალხისადმი ფიზიოლოგიური ზიზღი, რითაც აფხაზური წერილის ყოველი სტრიქონია გაჟღენთილი, ყოველი ნორმალური ადამიანის გულში მხოლოდ განცვიფრებას და გაოგნებას იწვევს. რით დავიმსახურეთ ჩვენ, ქართველებმა, ეს, ვის მიწაწყალზედაც ეს ოთხასი წელიწადია ჩრდილოკავკასიის მთებიდან ჩამოზვავებული აფშილები თუ აბაზგები მოკალათებულან და გაუგონარი ცილისწამებითა და შუბლის ძარღვის გაწყვეტით ბნელეთის მოციქულებად, კაცობრიობის მტრებად გვსახავენ.

ვინც აფხაზური წერილი წაიკითხა, მან იცის, სადამდე მიდის აფშილების მეთაურთა თვალთმაქცობა, მაბეზღარობა, სურვილი, შეღლი და მტრობა ჩამოგვიგდონ ყველა ხალხთან და, უპირველეს ყოვლისა, მოსკოვთან, ვის ხელიც ამ ამბებში შეუიარაღებელი თვალითაც კარ-

მოსკოვთან, ვისი ხელიც ამ ამბებში შეუიარაღებელი თვალითაც კარ-

გად ჩანს.

სამწუხაროა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ერთ ჯგუფი კიდევ ბოგინობს აზრი, თითქოს ჩვენ, ქართველ ხალხს, კვლავაც შეგვეძლოს ჩვენს მიწაზე ჩამოთესლებული აფშილების ეს გაუგონარი ღალატი მოვითმინოთ, ერთხელ კიდევ მოვითმინოთ, შევუნდოთ, სულგრძელობა გამოვიჩინოთ.

ყველაფერს აქვს ამ ქვეყნად საზღვარი, მათ შორის სულგრძელობასაც. ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა აივსო. დადგა დრო, საკაშკარაოზე გამოვიდეს, რაც აქამდე დამალული იყო, საკაშკარაოზე გამოვიდეს ყველაფერი, რის გამეღვიძების ნებასაც თვით ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელები არ გვაძლევდნენ. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება. თუ სხვები, აფხაზი ექსტრემისტები, თავს ნებას აძლევენ ცილი დაგვწამონ, ათასი ქვეყნის დამაქცევარი ბოროტება მოგვაწერონ, უმეცრებისა და უკოდინარობის კორიანტელი დააყენონ, ნუთუ ჩვენ, ქართველებს, ამ საჯაროობის ხანაში, რითაც

---

* წარმოთქმულია 1989 წლის 7 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე, სასახლის წინ გამართულ მიტინგზე.

საქართველოს მტრები მარჯვედ სარგებლობენ, უფლება არა გვაქვს, მართალი სიტყვა დავძრათ, მტყუანს ფეხდაფეხ მივდიოთ და ჩვენი სიმართლე დავამტკიცოთ?

ძვირფასო მეგობრებო, ახალგაზრდებო, ყველა თაობის წარმომადგენლებო, ვინც სამშობლოს სახელს უდიერად ხელყოფას პირად შეურაცხყოფაზე უფრო მწვავედ განიცდით, ნუ გაიკვირვებთ, თუ ინტელიგენციის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი თქვენს გვერდით ფიზიკურად ყოველთვის ვერ იქნება.

ჩვენს შესარცხვენად, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხების ჩვენს წინააღმდეგ ასამხედრებლად შეთითხნილ ე.წ. „აფხაზურ წერილს“ პასუხი უნდა, ვრცელი, მეცნიერულად დასაბუთებული სინდისიერი პასუხი, რომელმაც ქართველი ერის აზრი და სულისკვეთება უნდა გამოხატოს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და უნივერსიტეტის მეცნიერებმა უკვე დაწერეს თავიანთი დასკვნები, რომლებიც საფუძვლად დაედება ერთ დიდ პუბლიცისტურ წერილს. უწოდეთ მას თუნდაც „ქართული წერილი“. მისი შექმნა საქართველოს მწერალთა კავშირმა რამდენიმე ქართველ მწერალს მოგვანდო.ჩვენ ჩვენს შორის გავინაწილებთ ფუნქციებს და უახლოეს დღეებში საქმეს შევუდგებით. როდესაც წერილი დაიწერება, მთელი ქართველი ხალხის სახელით მას დაერთვის ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ხელმოწერები.

პირადად მე თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ ქართველ ხალხს, მის ყველა ფენას და ასაკობრივ ჯგუფს ერთ მძლავრ მუშტად შეკრულს ვხედავ. ეს გახლავთ ერთადერთი გზა გამარჯვების მისაღწევად და ამ გამარჯვების შესანარჩუნებლად!

გაუმარჯოს დედა-საქართველოს, გაუმარჯოს ქართველი ხალხის ერთიანობას! სირცხვილი ყველას, ვინც ამ ძნელბედობის ჟამს ჩვენს გვერდით არ იქნება და თავს გაკოტრებული „ხალხთა მეგობრობის“ ზღაპრებით დაიმშვიდებს!

ინტერვიუ ჟურნალ „ცისკარს“

კითხვა: როგორ გესახებათ მოკავშირე რესპუბლიკათა ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რამდენადაც ეს პროცესი ხორციელდება საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის გარემოცვაში?

პასუხი: მოკავშირე რესპუბლიკის პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი სრული აბსურდია და მხოლოდ საქმეში ბოლომდე ჩაუხედავ ადამიანებს ფხანს გულს, ვიდრე მიღწეული არ იქნება იმის სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ვინაიდან მე პოლიტიკური ეკონომიკის სპეციალისტი არ გახლავართ, მსჯელობის დროს, შესაძლოა, ამ მეცნიერების ტერმინები ყოველთვის მიზანშეწონილად ვერ ვიხმარო, მაგრამ შეეცდები, ჩემი აზრი მაინც ნათლად და ამომწურავად გამოვთქვა. როგორ მესმის მე რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობა? უპირველეს ყოვლისა, ამ ტერმინში ვგულისხმობ შესაძლებლობას, როდესაც მას შეუძლია თავისი თავი შეინახოს, თავი დააღწიოს საკავშირო სამინისტროების და სახელმწიფო კომიტეტების დიქტატს და ყოველი დარგის წარმოების ყველა ციკლი, თავიდან ბოლომდე, საკუთარი ძალებით განახორციელოს.

მართალია, კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის ძალით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდაა მიჩნეული, მას საკუთარი ღერბი, ალამი და ჰიმნიც კი აქვს, მაგრამ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ დემოკრატიის შემდგომ განვითარებაზე, იგი ლიტონ სიტყვად დარჩება, ვიდრე არსებობენ ე.წ. საკავშირო- რესპუბლიკური სამინისტროები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგს განაგებენ და ბრესტიდან კურილის კუნძულებამდე გადაჭიმული უზარმაზარი ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ ციკლს წარმართავენ.

სამინისტროებს თავიანთი საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე, რომლებიც ეკონომიკური თვალსაზრისით ჩაბმული არიან შრომის საკავშირო განაწილებაში. თითოეული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული განსაზღვრული პროფილის საწარმო, ვთქვათ, თბილისის ტელევიზორების, ან ქუთაისის საავტომობილო ქარხანა,რომელთა მსგავსი რესპუბლიკაში ასობითა და ათასობითაა, პროდუქციის წარმოების ერთ-ერთი რგოლია, ურომლისოდაც, თუ რაიმე მიზეზის გამო ის დაკისრებულ მოვალეობას ვერ შეასრულებს, კონტეინერი გაჩერდება, წარმოების ერთიანი ციკლი შეწყდება და საბოლოო პროდუქციას ვერ მივიღებთ.

ამიტომ იყო, ყარაბახის პრობლემასთან დაკავშირებით ერევნის საწარმოები რომ გაიფიცნენ, საკავშირო პრესამ ყურადღება არა ამბების გამომწვევ ისტორიულ ფესვებზე გაამახვილა, არამედ წინ წამოსწია წარმოების საკავშირო ციკლის საკითხი, რომლისაგან ერევნის გაფიცული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების გამოთიშვამ იგი შეაჩერა და საბოლოო პროდუქციის გამოუშვებლობამ ქვეყანას ათეული მილიონობით მანეთის ზარალი მიაყენა.

საილუსტრაციო მაგალითის მოყვანა, რასაკვირველია, სხვა რეგიონიდანაც შეიძლებოდა, მაგრამ სომხეთის მაგალითი ჩვენს თვალწინაა, იქ გაფიცვები დღესაც გრძელდება და ამიტომაც საილუსტრაციოდ გამოყენება სწორედ უპრიანია.

მაშასადამე, რესპუბლიკების ერთიმეორეზე ეკონომიკური დამოკიდებულების მთავარი ბერკეტი შრომის საკავშირო განაწილება, ანუ, სხვანაირად, წარმოებათა ციკლებში ქვეყნის ცალკეული რეგიონების აუცილებელი მონაწილეობაა.

დიდი მოაზროვნეობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ, როგორც არ უნდა მოიწადინო, შენი ნებითა და სურვილით წარმოების დადგენილი საკავშირო ციკლს ვერ გემოეთიშები, განზე ვერ გადგები, ვინაიდან წარმოების იმ დარგიდან, რომელშიაც შენ, როგორც შემავალი რგოლი, მონაწილეობდი, ხელში აღარ შეგრჩება აღარც ტელევიზორი და აღარც ავტომობილი. ერთიცა და მეორეც წარმოების სრული ციკლის პროდუქტია.

იმისათვის, რომ მივიღოთ ეს პროდუქტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ვაქციოთ ეს ეროვნულ პროდუქტად, მაშინ ჩვენ უნდა შევქმნათ შრომის განაწილება რესპუბლიკის შიგნით, წარმოების რესპუბლიკური ციკლი, რომელიც თავიდან ბოლომდე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარდება. თუ ეს ასე მოხდება, რაც ნედლეულის, წარმოების საშუალებების ქონას და კვალიფიციური მუშახელის ყოლას გულისხმობს, იგი რესპუბლიკური დაქვემდებარებისა გახდება და ამის დარგში ჩვენთვის სასურველი ეკონომიკური დამოუკიდებლობა იქნება მიღწეული.

რესპუბლიკაში ჩვენ გვაქვს სახალხო მეუნეობის დარგები, რომელთა მართვა ადგილობრივი, რესპუბლიკური და არა საკავშირო ადმინისტრაციის კომპეტენციას შეადგენს. ეს უმთავრესად კვების მრეწველობის დარგებია, რომელთა წარმოების სრული ციკლი ჩვენს მიწაწყალზე მიმდინარეობს, ხოლო რაც შეეხება მეწველობის სხვა დარგებს, ისინი საკავშირო დაქვემდებარებისაა და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული მათი საწარმოები შრომის საკავშირო განაწილების და წარმოების ერთიან სახელმწიფოებრივ ციკლში არიან ჩართული, როგორც მისი აუცილებელი და შეუცვლელი რგოლები.

მაშ,რა გამოდის? იმისათვის, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოლოთ, კი არ უნდა ვიხმაუროთ და ქვეყანა კი არ უნდა შევძრათ იმაზე ლაპარაკით, თუ რას ვაპირებთ, რა გვაქვს მიზნად დასახული,წარმოების ყოველი დარგის ეროვნულ სფეროში მოქცევისათვის უნდა ვიმეცადინოთ და, ამგვარად, თანდათან გამოვიდეთ ეკონომიკის საკავშირო ქსელის კლანჭებიდან.

ეს, რაც შეეხება ერთ რომელიმე ცალკე აღებულ დარგს, ვთქვათ, ქართულ ტელევიზორს ან ქართულ ავტომობილმშენებლობას. მაგრამ ასეთი დარგი ხომ ერთი და ორი არ არის, რამდენიმე ათეული და ასეულია!

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის არა მარტოოდენ სიტყვით, არამედ საქმით ბრძოლა ხანგრძლივი, რთული, მე ვიტყოდი, ურთულესი, მრავალგანზომილებიანი პროცესია, რომელიც მთელი ერის, მისი უკლებლივ ყველა ფენის ძალისხმე-

ვას, შრომის განუხრელ დისციპლინას და, რაც ყველაზე უფრო მთავარია, წარმოების ყოველი მონაწილის კომპეტენტურობას მოითხოვს.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ქართველი ხალხის ისტორია, სოციალური სისტემათა მონაცვლეობა ისე წარიმართა, რომ პროფესიონალური შრომის ეს სკოლა, თავისი უმაღლეს სრულყოფას კაპიტალისტურ ფორმაციაში რომ აღწევს, სკოლა, რომელიც, ვთქვათ, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და რუსეთის ევროპულმა ნაწილმა, სხვა დანარჩენ კაპიტალიტურ სამყაროსთან ერთად რომ გაიარეს, ჩვენ არ გაგვიელია. ნურავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ, ქართველებმა, საზოგადოებრივ განვითარებაზე ადმინისტრაციული ძალდატანებით, უზარმაზარი ნახტომი გავაკეთეთ და ნახევრად ფეოდალური ურთიერთობებიდან სოციალისტურად წოდებულ პოლიტიკურ ფორმაციაში აღმოვჩნდით. ზოგს ეს დიდი წარმატება ჰგონია, სინამდვილეში კი იგი წყაროა ყველა იმ უბედურებისა, თუნდაც მრეწველობასა და მშენებლობის დარგში, რასაც დღეს განვიცდით. ჩვენ ხომ, სულ ცოტა, 100 წლით ჩამოვრჩით დროს. მე არაფერს ვამბობ საზოგადოების ფიზიონომიის მორალურ მხარეზე, მხოლოდ მისი ტექნიკური ავლადიდების დღევანდელ დონეზე მოგახსენებთ.

წინ გვიდევს უზარმაზარი, საშვილიშვილი სამუშაო, რომელსაც კომპეტენციაზე დაფუძნებული შრომის კულტურა, მკაცრი დისციპლინა, საქმისადმი დიფერენცირებული მიდგომა, დასახული მიზნის ერთგულება და ადამიანური თავგანწირვა სჭირდება.

არ უნდა ვაკვებოთ თავი ილუზიით, რომ ოდესმე დადგება დრო, თუნდაც მაშინ, როდესაც რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მივაღწევთ, როცა ყველა ჩვენგანი, თითოეული ცალ-ცალკე, საზოგადოების სამართავ პულტთან აღმოვჩნდებით. ეს ჯერ არსად მომხდარა და უნდა ვივარაუდოთ, რომ არც ჩვენთან მოხდება. მივდიოთ დიდი შოთას უნივერსალურ პრინციპს: „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს...", ე.ი. ყველამ აკეთოს ის, რაც ხელეწიფება, რაც მას საკუთარი სინდისისა და საზოგადოების წინაშე ევალება და ეკისრება. ყველა დიდი და მცირე ქვეყანა მხოლოდ ასე, ამ გზით აშენებულა და ჩვენთვისაც, ქართველებისთვისაც, არ არსებობს სხვა გზა.

კითხვა: საქართველოში ახლა მრავალი ფორმალური და არაფორმალური გაერთიანება არსებობს. რამდენად სწორად გვეჩვენებათ ეს ტერმინები?

პასუხი: საქმე, რასაკვირველია, ტერმინებში არ არის. სხვანაირად. რომ ვთქვათ, საქმე ის არ არის, თუ რას ვუწოდებთ ჩვენს თავს. საქმე ისაა, რას ვაკეთებთ და რით და როგორ ვუწყობთ ხელს ერის ცხოვრების გონივრულად წარმართვას. იდეალურ შემთხვევაში მე ეს გაერთიანებები წარმომიდგება პიროვნებებად, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და ერთი მიზნისაკენ მიმავალნი ერთიმეორეზე დაყრდნობით იმოკლეებენ სავალ გზას.

ცნობილია, რომ ბოლო დროს საქართველოში წარმოქმნილი უკლებლივ ყველა გაერთიანებას საფუძვლად ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება და ეროვნული სამართლიანობის მიღწევისათვის ბრძოლა უდევს. არც ერთი მათგანი, რამდენადაც შესმის, სოციალურ ან რომელიმე სხვა მიზნებს არ ისახავს. ამიტომაც მგონია, რომ ყველა

გაერთიანების მიზანი ერთადერთია და რადგანაც ეს ასეა, არც ერთ გაერთიანებას არ მართებს სხვა გაერთიანებებისაგან, თუნდაც მთლიანად საზოგადოებისაგან განცალკევებულად იმოქმედოს, წინ გახტეს და დანარჩენ მასას, რომელიც არცთუ იშვიათად ადვილად მისაღწევ მალემრწმენობას იჩენს, თავისი განსაკუთრებული აზრი თავზე მოახვიოს.

ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ ლოზუნგებს, დემონსტრაციებზე და მიტინგებზე რომ გამოაქვთ ხოლმე, ან კედლებსა და ხეებზე აკრავენ, და რომელთა შინაარსი არამცთუ მთელი ქართველი ერის საერთო სულისკვეთებას, იმათ აზრსა და სულისკვეთებასაც არ გამოხატავს, ვისაც იგი რატომღაც ხელში უპირავს. მტერი და ავის მოსურნე მათ სწორედ პროვოკაციული მიზნებით იყენებს, მთელი ერის მოთხთვნად აცხადებს და ახალ ძალებს რაზმავს ჩვენს წინააღმდეგ, ძალებს, რომელთაც ჩვენ ვერავის და ვერაფერს ვუპირისპირებთ. ნუ ვიკისრებთ ზედმეტ პასუხისმგებლობას, ნურც პიროვნება და ნურც გაერთიანება, ფორმალური იქნება თუ არაფორმალური, იმ პასუხისმგებლობას და მისიას, რომელიც არც ერს და არც მის რომელიმე ნაწილს ჩვენთვის არ დაუკისრებია!

კითხვა: როგორ დაახასიათებდით საქართველოში შექმნილი საზოგადოებების ურთიერთდამოკიდებულებას?

პასუხი: ამ კითხვებზე ნაწილობრივ უკვე გავეცი პასუხი. დამატებით იმის თქმა შეძიძლია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ წამოჭრილი პრობლემები ყოველთვის როდი ქმნის ახალი გაერთიანების დაბადების აუცილებლობას. აქ მცირე როლს როდი ასრულებს სუბიექტური ფაქტორი. ახალი საზოგადოდ იმისათვის იქმნება, რომ ის უკვე არსებულის ალტერნატივად, მის უარყოფად იქცეს. თუ ჩვენი საბჭოთა ოლოს უახლოესი წარსულის ისტორიას გადავხედავთ, საქართველოში ასეთი ალტერნატიული პარტიები იყო, მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული პარტია (ყოველად გაუმართლებელი ანალოგიით მენშევიკებს რომ უწოდებდნენ), ერთი მხრივ, და ეროვნული პარტია, მეორე მხრივ. პირველი მათგანი, ე.წ. სოციალ-დემოკრატიული პარტია, საზოგადოების სოციალური გარდაქმნის იდეით ხელმძღვანელობდა და ჩრდილში სტოვებდა ეროვნულ საკითხს, მეორე კი, ეროვნული პარტია, ხალხის ეროვნულ გათავისუფლებას, ეროვნული სახელმწიფოს შექმნას თავისი მოღვაწეობის უზენაეს მიზნად ისახავდა, სოციალური საკითხი კი ამ უკანასკნელზე დაქვემდებარებულად მიაჩნდა.

როგორც ზედავთ, სრულიად ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულებებია, რასაც ხელი არ შეუშლია სოციალ-დემოკრატებისათვის, ეროვნული სახელმწიფო შეექმნათ და კოალიციურ პარლამენტში, სხვა პარტიების წარმომადგენლების გვერდით, თავისი პოლარული მოწინააღმდეგე ეროვნული პარტიის წარმომადგენლებიც შეეყვანათ.

ჩვენს სინამდვილეში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნავდით, ფორმალურ თუ არა ფორმალურ გაერთიანებებს შორის ეს ურთიერთგამომრიცხავი წინააღმდეგობა არ არსებობს და რადგანაც ის არ არსებობს, ახალი გაერთიანებების წარმოქმნას რომ ლოგიკური გამართლება მოეძებნოს, რომ მიიჩქმალოს მორალურად სათაკილო სუბიექტური ფაქტორის ყოვლისშემძლეობა, არცთუ იშვიათად, მეტ-ნაკლები წარმატებით, მას გამოიგონებენ ხოლმე.

უწყობს თუ არა ეს ხელს ეროვნული ძალების კონსოლიდაციას? რასაკვირველია, არა, არ უწყობს, ხოლო ყოველივე ის, რაც ეროვნულ კონსოლიდაციას წინ ეღობება, მე ასე მგონია, არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ, სასურველი არ უნდა იყოს. ჩემი ღრმა რწმენით, გაერთიანებებმა ჩაძიებით უნდა გადასინჯონ თავიანთი პოლიტიკური პლატფორმები და თუ გონიერების კარნახით შესაძლებლად ჩათვლიან, გეზი აიღონ გაერთიანებაზე და არა გათიშვაზე, ახალ-ახალი გაერთიანებების წარმოქმნაზე.

კითხვა: ეროვნული პრობლემების გრძელი მწკრივიდან რა შეიძლება გამოიყოს და გადაიჭრას ამჯერად?

პასუხი: უპირველესი პრობლემა, რომელიც დღეს ქართველი ერის წინაშე დგას, რესპუბლიკის თვითდაფინანსებაზე და თვითანაზღაურებაზე გადასვლაა, რასაც მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა უნდა მოჰყვეს. ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა, რომელიც ერთადერთი გზაა პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ, მე რეალურ საქმედ მიმაჩნია. მთავარია, არ შევუშინდეთ სიძნელეებს, რომელსაც არა ერთხელ არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავუყენებივართ, გამოვიყენოთ სხვათა გამოცდილება, ვინც ეს გზა ჩვენზე ადრე გაიარა და დღესაც ჩვენს წინ მიაბიჯებს.

საბჭოთა ,ხელისუფლების 70 წლისთავზე პირველად გვეძლევა ამის შესაძლებლობა. შესაძლებლობა შესაძლებლობადვე დარჩება და ჩვენ ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგვიტანს, თუ ამას გონივრულად, აუჩქარებლად, ყველა მორალური და პოლიტიკური ძალის გათვალისწინებით არ გამოვიყენებთ.

ამასთან დაკავშირებით მე მახსენდება სულსწრაფი პოლიტიკოსი ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც ხალხს სერიოზულად პირდებოდა, ოთხმოციანი წლების დამდეგს (რომლებიც უკვე მიიწურა) უსიკვდილოდ კომუნიზმში ვიცხოვრებთო. მაშინ მას ტაშს უკრავდნენ, მაგრამ არა ყველა...

დასკვნა ერთია: ამჯერად შეიძლება და კიდევაც უნდა გადაიჭრას საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრობლემა!

კითხვა: როგორია თქვენი აზრი საქართველოს პოლიტიკურ სუვერენიტეტზე?

პასუხი: საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტი, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, ჩემგან არ გესწავლებათ, ერის უზენაესი იდეალის გამოხატულებაა. ქართველი ერის ისტორია, შეიძლება თამამად ითქვას, ამ იდეის განხორციელებისათვის ხმალჩაუგებელი ბრძოლის და განხორციელებულის შენარჩუნებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო თავგამოდების ისტორიაა.

ყველა ისტორიულ მომენტში, როდესაც ერი თავისი უზენაესი ოცნების აღსრულების აღწევდა, ფარნავაზის წინამძღოლობით ხდებოდა ეს, ვახტანგ გორგასლის, ბაგრატ მესამის თუ გიორგი ბრწყინვალისა, აღწევდა ,არა მარტო შინაგანი ძალების მობილიზაციითა და დარაზმვით, არამედ საერთაშორისო ვითარების მამოძრავებელი ძალების გონივრული გამოყენებით.

შეუძლებელია, მაგალითად, დიდგორის ომში დავით აღმაშენებელის გამარჯვება ჯვაროსნული ომების ეპოქის საერთაშორისო ურთიერთო-

ბათა ქსელისაგან დამოუკიდებლად წარმოვიდგინოთ და ამ უმაგალითო ომში გამარჯვება მარტოოდენ ქართველი მეფისა და მისი ჯარის საარაკო სიმამაცით ავხსნათ, თუმცა დავით აღმაშენებელი მართლაც უმამაცესი, „ლაშქართა წყობის“ მართლაც უებრო მცოდნე სარდალი იყო და ჯარიც მამაცზე უმამაცესი ჰყავდა. მუსულმანური კოალიცია, „გათამამებული საქართველოს“ (ლენინის ტერმინია!) ამოსაძირკვად რომ შეიკრიბა, გაცილებით ძლიერი და ხალხმრავალი იქნებოდა, ვითომდა სარკინოზთაგან ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები რომ არ აღძრულიყვნენ და არსებითად მთელ მუსულმანურ აღმოსავლეთს არ დაპირისპირებოდნენ. დავით აღმაშენებელი ისევე დიდი პოლიტიკოსი იყო, როგორც სარდალი. ის ხელში მახვილს მხოლოდ მაშინ იღებდა, როდესაც ამ მახვილს გამარჯვების მოტანა შეეძლო, გამარჯვება კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდი, მარტოოდენ სურვილსა და გმირულ შემართებაზე როდია დამოკიდებული. სუბიექტურ ფაქტორთან ერთად მას მრავალი ობიექტური, სუბიექტისაგან დამოუკიდებელი ფაქტორი განსაზღვრავს.

იმავე ობიექტურმა ისტორიულმა პირობებმა გახადა შესაძლებელი 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, რისთვისაც 117 წლის განმავლობაში სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით იბრძოდა რუსეთის ცარიზმის მიერ დამონებული ქართველი ხალხი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ 1918 წელს საქართველოს პოლიტიკური პარტიები, უპირველეს ყოვლისა სოციალ-დემოკრატიული პარტია, იძულებული გახდნენ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ. სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ისტორიამ ხელისუფლების სათავეში მოახვედრა, არ ცნობდნენ ეროვნულ თვითგამორკვევას, მათი პოლიტიკური მიზანი და იდეალი, როგორც მარქსისტული მოძღვრების მიმდევრებს შეეფერება, საზოგადოების სოციალური გარდაქმნა და სოციალიზმის დამყარება იყო. შეიძლება აქვე აღინიშნოს, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, ხელისუფლების სათავეში, ეროვნული სახელმწიფოს საჭესთან თითქოსდა ბედის დაცინვით რომ აღმოჩნდნენ, იმთავითვე სწორი გეზი აუღეს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებას. ამ გეზთან ჩვენ, ისტორის ოღროჩოღრო გზებზე ჯაჯაყის შემდეგ, აგერ ახლა, ორი-სამი წლის წინ მივედით, მაგრამ მივედით დიდი დაგვიანებით, როდესაც სახალხო მეურნეობა მთლიანად მოშლილია და გარედან შემოტანილი სუბსიდიების გარეშე მისი გამობრუნება შეიძლება აღარც კი მოხდეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც ასე ცოტა ხანს იარსება,ასე ბევრი რამ გააკეთა და ქართველი ხალხის შეგნებაში წარუშლელი კვალი დასტოვა, ეპოქის მამოძრავებელი ძალების ურთიერთმოქმედების ლოგიკური შედეგია. რომ არ ყოფილიყო ეს ძალები და მათი ურთიერთქმედება, ვერავინ ვერ დაამტკიცებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აუცილებლად დაიბადებოდა.

რუსეთ-თურქეთის ფრონტზე კავკასიის არმიის გახრწნისა და ფრონტის თვითნებურად მოშშვლების შემდეგ, როდესაც რევოლუციური რუსეთი სამოქალაქო ომის ხანძარში იყო გახვეული და მისი სამხრეთი პროვინციები, კავკასიას რომ ესაზღვრებოდნენ, თეთრგვარდიელ გენერლებს ვრანგელსა და დენიკინს ეკავათ, ჯერ მთლიანად ამიერკავ-

კასია და შემდეგ საქართველო სრულიად მარტოდმარტო აღმოჩნდა. რაკი მეფის რუსეთის არმიამ აქაურობა მიატოვა და სამშობლოს მიაშურა, მას კი საკუთარი შეიარაღებული ძალა არ ჰყავდა, საქართველო წინ შეუჩერებლივ მომავალი თურქეთის არმიების კერძი უნდა გამხდარიყო. შინაგანი უთანხმოების გამო დაიშალა ამიერკავკასიის კომისარიატი, შემდეგ სეიმიც, რომელიც ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს— საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებდა. ბრესტ-ლიტოვსკის ცნობილი კაბალური ზავი ამ დროს უკვე დადებული იყო. როგორც რუსეთის ნაწილისაგან, საქართველოსაგან, თურქეთი ბრესტის ზავის პირობებით მიკუთვნებული ბათუმისა და ბათუმის ოლქის დაცლას მოითხოვდა. ამ პირობისაგან საქართველო იურიდიულად თავს მხოლოდ მაშინ დააღწევდა, თუ თავს რუსეთისაგან გამოყოფილად გამოაცხადებდა და საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნიდა, რაც, თავის მხრივ, უდიდეს პოლიტიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები — ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და სხვები საქართველოს კვლავ რუსეთის ნაწილად თვლიდნენ და გადამწყვეტ ღამეს, 25 მაისს, გაიძახოდნენ, რას სჩადიხართ, თქვენ ღუპავთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიასო, ხმათა უმრავლესობით ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა რუსეთს პოლიტიკურად გამოყოფოდა და სახელმწიფო დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.

სადღეისოდ ჩვენთვის მთავარი და ანგარიშგასაწევია ის უცილობელი ფაქტი, რომ 1918-1921 წლების დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველო რუსეთთან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის შედეგად, ამ ომში რეაქციული, იმპერიალისტური ძალების დამარცხების გზით კი არ შექმნილა, არამედ ხელისშემწყობი რეალური ისტორიული პირობების ნიადაგზე შეიქმნა. ამ ხელშემწყობი ისტორიული პირობების წარმოქმნას არა მარტო ჩვენთვის ცნობილი 117 წელიწადი, არამედ რამდენიმე საუკუნე დასჭირდა, რადგანაც გიორგი ბრწყინვალის შემდეგ, რომელიც XIV საუკუნეში მეფობდა, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება აღარ ღირსებია.

ასეთია ჩვენი ერის ისტორიული ბედი, რომელსაც ვერსად გაექცევი.

რა დასკვნა გამომდინარეობს ზემოთ თქმულიდან? საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, სუვერენული საქართველო არის ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველო პლუს ხელსაყრელი ისტორიული ნიადაგი, რომელმაც ძალდატანების მაგივრობა უნდა გასწიოს.

რაც შეეხება პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნას, ყველაზე მოკლე და ამომწურავი პასუხი ამ კითხვაზე ის არის, რომ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას არ ითხოვენ, მას იღებენ. მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც უარყოფითი პასუხის მიღების შემთხვევაში რეზერვში გყავს ძალა, რომელსაც რეალურად შესწევს უნარი, თუნდაც განუსაზღვრელი მსხვერპლის ფასად, სამართლიანობის დამყარებას მიაღწიოს. თუ არა გყავს ეს ძალა? მაშინ შენი მოთხოვნა, რა მრისხანე და მეტევრმეტყველურიც არ უნდა იყოს იგი, ემსგავსება

ფულის ნიშანს, რომლის ღირებულება ქვეყნის ბანკში არაფრით არის გაწონასწორებული. ნუ დაგვავიწყდება, რომ ხალხები, ძლიერნი და სუსტნი, დამაქვემდებარებელნი და დაქვემდენარებულნი, ერთმანეთს შორის ურთიერთობაში სამართლიანობისა და ადამიანური თანაგრძნობის პრინციპით ყველაზე-ნაკლებ ხელმძღვანელობენ. ცოტნე დადიანის შემთხვევის მსგავსი შემთხვევები, ლეგენდებივით რომ შემორჩენიან კაცობრიობის მეხსიერებას, ისტორიაში არ ხდება და თუ მაინც ხდება, ის ისეთი კერძო ხასიათისაა, რომ განზოგადების უფლებას არ იძლევა.

უზარმაზარმა ინდოეთმა კოლონიური უღლისაგან განთავისუფლება მოითხოვა და დიდმა ბრიტანეთმაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. დამოუკიდებლობა მოითხოვეს ავსტრალიამ, ინდონეზიამ, ალჟირმა, მოითხოვეს და მიიღეს კიდევაც. გასაგებია, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე. ჩვენი საუკუნე კოლონიური რეჟიმის გლობალური რღვევის საუკუნეა. როდის დადგება ჩვენი ჯერი? როგორც წესი, ევროპულ-ამერიკული განახლების ამბები რუსეთში, სულ ცოტა 100 წლის დაგვიანებით მოდის.

რეალობის გრძნობა ერთ-ერთი უმთავრესი გრძნობაა, რომელიც ყოველ განათლებულ ერს და უპირველეს ყოვლისა მისი სულიერი ცხოვრების წარმმართველ საზოგადო მოღვაწეებს უნდა ახასიათებდეთ. მე ასე მგონია, რომ ის ხალხს თუ ცალკეულ პიროვნებას თან უნდა დაჰყვეს, როგორც ხატვის ან მუსიკის ნიჭი. ვაი იმას, ვისაც რეალობის გრძნობა ღალატობს და ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიყვანილი ჰგონია. რაც შეეხება პოლიტიკური რეალობის ცოდნას, იგი ყოველთვის უნდა განსაზღვრავდეს ჩვენს პოლიტიკურ შეხედულებებს მოცემულ მომენტში და საერთოდ, განსაზღვრავდეს ტაქტიკურ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს.

ბუნებით სკეპტიკოსი არ გახლავართ, მაგრამ ჩემდა გულდასაწყვეტად უნდა ვაღიარო, რომ ჩვენ, მეოცე საუკუნის მიწურულის ქართველებს, ერთობ დაჩლუნგებული გვაქვს რეალობის გრძნობა, ხშირად გვღალატობს პოლიტიკური ალღო, მოვლენათა რეალური ლოგიკის კატასტროფულად არასაკმაო ცოდნას ვიჩენთ. ამის შედეგია ის, რომ ხშირად სწორად ვერ ვირჩევთ ბრძოლის მთავარ მიმართულებას, სინქრონულად ვერ ვიაზრებთ პოლიტიკურ მოვლენათა სიმრავლეს, ვერ ვასწრებთ ერთის გადაწყვეტას და ჩვენ უკვე მეორეზე ვართ გადამტარი. არ კმარა, რომ იყო მართალი, წინ გიძღოდეს მაღალი საკაცობრიო იდეალი, საჭიროა ზუსტად შეაფასო საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც შენთან ერთად მოქმედებენ დ ზოგთან დროებითი კომპრომისით, ზოგთან შეთანხმებით, ზოგთან ნეიტრალიტეტის დაცვით, ზოგთან კი აშკარა დაპირისპირებით წარმართო შენი მუშაობა.

პოლიტიკური რეალობის ცოდნაში საბედისწეროდ რომ არ მოვიკოჭლებდეთ, თვალის ჩინივით გავუფრთხილდებოდით რუსეთთან და რუს ხალხთან ურთიერთობას. ეს, რასაც ახლა ვამბობ, ახალი, რა თქმა უნდა არ არის, ამას ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მოგვიწოდებდნენ ერის დიდი მამები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადები. რუსეთი ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეიძლება დავეყრდნოთ იმ ურთულეს სიტუაციებში, ბოლო დროს ასე საბედისწეროდ რომ მოგვიმრავლდა.

ყურადღების გარეშე დასატოვებელი არ არის ის გარემოებაც, რომ ყოველგვარი საზოგადოებრივი მოძრაობა ქვეყნის შიგნით, რომელიც ხელს უშლის საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის პროცესს, რაზედაც სულ რამდენიმე წლის წინათ ოცნებაც არავის შეეძლო, მთელ მსოფლიოში, ორივე დაპირისპირებულ ბანაკში, ბნელეთის მოციქულობად აღიქმება და არა მგზნია უკეთ წავიდეს ჩვენი ეროვნული საქმე, თუ მთელი განათლებული ევროპა სწორედ იმ ბნელეთის მოციქულობის მედროშეებად ჩაგვთვლის.

ხუ მოვიტყუებთ თავს ილუზიებით, რომ ყველა იმ აშკარა თუ ფარული უსამართლობის გამო, რასაც ქართველი ხალხისა და საქართველოს მიმართ სახალხო დეპუტატთა ყრილობა, ქვეყნის უმაღლესი საბჭო, საკავშირო პრესა, რადიო-ტელევიზია და ცალკეული ავტორიტეტული კომისიები ჩადიან, მსოფლიოში ვინმე ხმას ამოიღებს, რაინდობას გამოიჩენს, „შინაურ საქმეში" ვინმე ჩამოგვერევა და ყველას კუთვნილს მიუზღავს.

ვიმეორებ, ეს ილუზიაა, ილუზია, რაც პოლიტიკური რეალობის სრულ უცოდინარობაზე, გულუბრყვილობაზეა დამყარებული და არა მარტო ჩვენ, დღეს მოქმედ თაობებს, არამედ ჩვენს შთამომავლობასაც უდიდესი სიძნელეების წინაშე დაგვაყენებს.

კითხვა: როგორ წარმოგიდგენიათ ეროვნული დემოგრაფიული სურათის შეცვლის ხერხი და მეთოდები?

პასუხი: საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სფეროც არ უნდა მოჩხრიკო და განიხილო, ყველგან კატასტროფულად ტრაგიკული მდგომარეობა გვაქვს. ამ მდგომარეობით მარჯვედ სარგებლობენ აქამდე ბუჩქებში ჩასაფრებული ჩვენი მტრები და ყველა ღონეს, ყოველგვარ პროვოკაციას მიმართავენ პირისაგან მიწისა ჩვენს აღსაგველად. განსაკუთრებით ოციან-ოცდაათიან-ორმოციან-ორმოცდაათიანი წლების რეპრესიებისა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რამაც რეპუბლიკის ქართული მოსახლეობის თითქმის მეშვიდედი, ნახევარ მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დოგმატურმა წარმართვამ გაართულა. უგულვებელყოფილ იყო ადგილობრივი პირობები, სახალხო მეურნეობის ტრადიციული ფორმები, რამაც ძველის, მამა-პაპურის ტრადიციების ტრაგიკული რღვევა, მოსახლეობის დაჩქარებული მიგრაცია, შობადობის მკვეთრი დაცემა და ახლის ასათვისებლად მწარმოებელი მუშახელის მექანიკური ზრდა გამოიწვია, რაც ჩვენს დღეებშიაც განუხრელად გრძელდება.

დემოგრაფიული თვალსაზრისით კიდევ ერთ საჭირბოროტო პრობლემად ისიც მიმაჩნია, რომ საქართველოს ყოველ ცალკეულ რეგიონში ჩვენი ეროვნული მკვიდრი მოსახლეობა ერთობ არამართლზომიერად გვყავს განაწილებული. ყოველივე ამას ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დასაბამი მისცა ჩვენი ისტორიული ბედის უკუღმართობამ. 1829-1830 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ თურქეთში ნაძალადევად გადასახლების გამო ძალზე შეთხელდა სამცხე-ჯავახეთის ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობა, რომელსაც ცოტა უფრო ადრე, XVII-XVIII საუკუნეებში ოტომანური თურქეთის იმპერია დანარჩენი საქართველოს დასაპყრობად იყენებდა. გულის მომკვლელად აღნიშნავს შოთა ლომსა-

ძე თავის დიდებულ მონოგრაფიულ ნარკვევში „სამცხე-ჯავახეთი", რომ ასპინძის ომი, გენერალ ტოტლებენის ღალატის შემდეგ ჯავახეთის გზით ტფილისს მიმავალმა მეფე ერეკლემ რომ გადაიხადა, მართლა ქართველ-ოსმალოთა ომი კი არა, როგორც ზოგიერთს ჰგონია და კიდევაც წერს, არამედ ქართველების ომი იყო და მტკვარმა თბილისში არა დამპყრობელი ოსმალოების, არამედ ძალად გამაჰმადიანებული ქართველების — მესხების გვამები ჩამოატარა, რომლებიც თავიანთი ქრისტიანი ძმების წინააღმდეგ ომში დაიღუპნენ.

განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობა ქვემო ქართლსა და ჯავახეთში შეგვექმნა. ამ თვალუწვდენელი მთიანი საძოვრებისა, გაუვალი ტყეებისა და დიდრონი ტბების მხარეში, ჯავახეთში, რომლის გზაწვრილები ქართველთა განმანათლებელმა ნინო კაპადოკიელმა ფეხშიშველმა გამოიარა და სატახტო ქალაქ მცხეთაში ისე მოვიდა, შეიძლება რამდენიმე დღე ზედიზედ იმოგზაურო და ქართულად ხმის გამცემი არავინ შეგხვდეს. ამას რომ ვამბობ, განა რომელიმე სხვა ხალხს სიძულვილს ვუცხადებ! ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ხურც იმის გამო დამძრახავს ვინმე, თუ ჩემს მშობლიურ მიწა-წყალზე მე ჩემი თანამემამულის სახლკარის დანახვა, მისი ბალღების ჟრიამული უფრო მახარებს, ვიდრე სხვისა.

ღვიძლი აჭარელები ერთხელ კიდევ დაედგნენ მალამოდ სამშობლოს წყლულს. ჯავახეთში ცოცხლდება მინავლული, ანდა სრულიად გამქრალი ქართული სოფლები. ბექობებზე წამომდგარი, ჩალამ-კალამით გადაკვლილი, ნახევრადდანგრეული ბაზილიკები და საფლავებზე დადებული ხავსიანი ლოდებიღა მიუთითებენ, რომ აქ ოდესღაც ტანჯვა-ვაებაგადატანილ რომელიღაც ქრისტიან ტომს უცხოვრია. რა დიდი შრომა, რა დიდი თავგამოდებაა საჭირო, რომ წინაპრების საცხოვრისიდან ბუნების პირველობით აყრილ ყოველ აჭარელს საკუთარი ჭერი მივუჩინოთ, საღათას ძილიდან გამოღვიძებული კურთხეული მხარე კვლავაც ავაღორძინოთ, სათავე დავუდოთ ახალ სიცოცხლეს!

ბუნების მიერ უღვთოდ შევიწროებული, გამრავლების ტრადიციის ერთგული ერთადერთი ქრისტიანი ქართული ტომის, სვანების, მასობრივი ჩამოსახლება ქვემო ქართლის ნაყოფიერ ველებზე დემოგრაფიული თვალსაზრისითაც ყოველი სამშობლოს მოყვარული ქართველის გულში დიდ სიხარულსა და იმედს ბადებს.

სახალხო მეურნეობას, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს რესპუბლიკის ყველა რეგიონში ათასობით მაღალკვალიფიციური აგრონომი, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი და სხვა უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სჭირდება.

ვიბრძვით საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობისათვის? გვინდა, ჩვენმა თაობამ პოლიტიკურად დამოუკიდებელ, სუვერენულ, თავისუფალ საქართველოში იცხოვროს? აი, ბურთი და მოედანი! სამუშაო ყველას გვეყოფა, თავსაც გადაგვივა. დავსახლდეთ და ვიცხოვროთ, როგორც ჩვენს პატიოსან მამა-პაპას უცხოვრია, ვიცხოვროთ თავდაბლად, უბრალოდ, ვაკეთოდ ის, რის გაკეთებაც შეგვიძლია და სამშობლოც ამის კვალად ამენებდა და გაძლიერდება.

თუ ნამდვილად გვსურს თავი შევინარჩუნოთ, ქართველებად დავრჩეთ და ჩვენავე მიწა-წყალზე გადამთიელი ბატონად არ გაგვიხდეს,

„არა გვაქვს სხვა გზა, სხვა ხსნა!“, როგორც ჩვენი საყვარელი პოეტი მურმან ლებანიძე იტყოდა.

მცირე დაბრკოლებას როდი უქმნის ახალი კომლების შექმნას ადგილობრივი ბიუროკრატია. ამას წინათ საქართველოს სახალხო გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის კვალზე ქართლის მთიან სოფლებში, უმთავრესად მცხეთისა და დუშეთის რაიონებში ვიმოგზაურე. იქ შევხვდი რამდენიმე ხელებდაკოჟრებულ ახალგაზრდას. რომელთაც სახლის ასაშენებლად და პირადი მეურნეობის მოსაწყობად საკარმიდამო ნაკვეთს არ აძლევენ იმ საბაბით, რომ საამისო ფონდები არ გააჩნიათ, სოფლები კი თითქმის მთლიანად განადგურებულია, გატყევებულია, აღარც მტერს არგია და აღარც მოყვარეს, წინაპართა ნაფუძნარზე მკვიდრი მოსახლეობის მეათედიც აღარ ცხოვრობს. ოდესღაც აქ სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა. აფსუს, ანკარა წყაროებო, უბრალოდ რომ ილვრებით ხევხუვებში, აფსუს, საყანეებო და სათიბ-საძოვრებო!

ვის ხელშია ეს ფონდები? რესპუბლიკის მთავრობის ხელში არ არის? გამოვყოთ, მივცეთ, სხვა რომელი საჭიროებისათვის ვინახავთ? ოდესღაც ხომ უნდა დავანგრიოთ ხელოვნურად შექმნილი ბიუროკრატიული ბარიერები საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის გამრავლების გზაზე?

კითხვა: რა გზები გესახებათ საქართველოს ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად?

პასუხი: დღეს კაცობრიობას, დედამიწის მთელ მოსახლეობას, მათ შორის ჩვენს პატარა საქართველოს, ორი საზარელი ურჩხული ემუქრება: ეკოლოგიური კატასტროფა და ატომური ომი.

პირადად მე თუ მკითხავს კაცი, ატომური ომი და მისი მოლოდინი სრულ უაზრობად მიმაჩნია. ეს იმდენად დიდი და ყველასათვის ცხადი უაზრობაა, რომ თავის თავს თვითონვე ნთქავს, არავითარი მიზანი არ გააჩნია. ომი, რომელიც გამარჯვებულ მხარეს ვერ გამოავლენს და ორივე მხარის, თავდამსხმელისა და თავდამცველის, აგრეთვე დედამიწაზე არსებული ყოველი ცოცხალი არსების აღმოფხვრით დამთავრდება, ომი აღარაა, ის რაღაც სხვაა, რის სახელიც ადამიანებმა არ ვიცით და, ვფიქრობ, არც არასოდეს გვეცოდინება. ამიტომაც ვერავინ დამაჯერებს, რომ ის ოდესმე მოხდება, თუმცა საიმისო სამზადისი, თანაც გამალებული, ბედისწერასავით დაგვყვა და უთუოდ ეს სამზადისია, სასიცოცხლო რესურსების წინდაუხედავი ხარჯვაა, კაცობრიობის ერთ ნაწილს, თუ ორივეს არა, სრულ გაველურებამდე და კანიბალიზმამდე რომ მიიყვანს!

არანაკლებ დიდი პრობლემაა მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფა, გარემოს ფატალური დაბინძურება, რომელიც განუშორებელი ანტიპოდივით თან სდევს ჩვენს ცივილიზაციას.

არასოდეს ისე მწვავედ არ უგრძვნია ადამიანს, რომ ის ბუნების ნაწილია, როგორც დღეს, როდესაც ცნობილი გახდა უკიდეგანო სამყაროში მიმდინარე პროცესების უშუალო კავშირი სიცოცხლესთან, ადამიანის ყოფნა-არყოფნასთან. ვინ იცის, იქნებ დაგვიანებულიც კია, იქნებ მომავალში ველარც კი ავანაზღაუროთ ის ზარალი და დანაკლისი, გარემომცველ ბუნებას ჩვენი წინდაუხედავი უდარდელობით რომ მივაყენეთ. გაიზარდა მზის რადიაციის ინტენსივობა, რაც კაცობ-

რიობის არსებობის მთელ მანძილზე ჯერ არავის შეუმჩნევია. ფართოვდება ოზონის საფარველის ნაპრალი, ცოცხალ ორგანიზმებს ამ დამღუპველი რადიაციისაგან რომ იფარავდა. მეცნიერები, საყოველთაო პანიკა რომ არ დათესონ, არ ამხელენ, შესაძლებელია თუ არა ბუნების პირველქმნილი წონასწორობის აღდგენა, ნაპრალის ზრდის შეჩერება და შემდეგ რაიმე ტექნიკური საშუალებით მისი ხელახალი გამთლიანება.

გარემომცველ ბუნებისადმი უდიერი მოპყრობის მაგალითია ის, რაც დღეს საქართველოში ხდება და ხდება მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური პრესა სავსეა შემაშფოთებელი ცნობებით მოახლოებული ეკოლოგიური კრიზისის შესახებ.

ამ რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „თბილისში" ამოვიკითხე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თბილისის დედა-მდინარე მტკვარი, მტკნარი წყლის მთავარი რეზერვუარი აღმოსავლეთ საქართველოში, გამწმენდ ნაგებობათა უწესივრობის და არასრულყოფილების გამო ჩვენს მიერ ჯერჯერობით კვლავ საქალაქო კანალიზაციის კოლექტორად გამოიყენება. მტკვარში უშუალოდ, ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება მილიონნახევარიანი ქალაქის კანალიზაცია და სამრეწველო საწარმოების მიერ დაბინძურებული წყალი.

როდის უნდა მოვიდეთ გონს? როდის უნდა დავადგეთ გზას, ცივილიზებულ ერსა და ქვეყნის რომ შეეფერება? რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის რომ დაგეჯერებინა, თბილისის საკანალიზაციო კოლექტორს და გამწმენდ ნაგებობებს, სადღაც რუსთავთან რომ უნდა აშენებულიყო, არამარტო თბილისისათვის უნდა გაეწია სამსახური, არამედ არაგვის ხეობაში დაბინძურებული წყლებიც უნდა მიეღო, როდესაც იქ მის მიერვე რატომღაც აკვიატებული ამიერკავკასიის რკინიგზის საუღელტეხილო მაგისტრალი გაივლიდა. ჩვენს დღეებში, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ეპოქაში მაღალი ტრიბუნებიდან ტელევიზიის საშუალებით ისიც კი გამოცხადდა, რომ სამშობლოს მოღალატედ ჩაითვლებოდა ყველა, ვინც კი არაგვის ხეობაში, საიდანაც დედაქალაქი სასმელი წყლით მარაგდება, რკინიგზის აშენების წინააღმდეგი წავაო, დიახ, არც შეტი, არც ნაკლები, სამშობლოს მოღალატედ! წარმოიდგინოს მკითხველმა, როგორ ვიტკიებდით აუტკივარ თავს, რა უბედურ დღეში ვარდებოდით. კიდევ კარგი, რომ აღმოჩნდნენ ადამიანები, „სამშობლოს მოღალატის" იარლიყის მიკერებას რომ არ შეუშინდნენ და მთელი მოქალაქეობრივი შემართებით გადაუდგნენ წინ უკვე გაჩაღებული მშენებლობის გაგრძელებას და თავიანთი კომპეტენტური სიტყვით სადაც ჯერ არს ის დაამტკიცეს, რის დამტკიცება მიზეზთა და მიზეზთა გამო აქამდე არ ხერხდებოდა. თბილისი გადარჩა მის თავზე დამოკლეს მახვილივით აღმართულ ეკოლოგიურ კატასტროფას და მომავალში ისტორიამ დაამტკიცოს, თუ ვინ არის მართლაც სამშობლოს მოღალატე და ვინ კიდევ მისი კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლი.

დღეს უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ სტიქიური უბედურება, სვანეთსა და მთელ დასავლეთ საქართველოს, ბოლოს კი აჭარასაც რომ დაატყდა, უშუალოდ უკავშირდება ეკოლოგიურ ნორმების დანაშაულებრივ დარღვევას. ტყეების უთავბოლო ჭრამ, ციცაბო ფერდო-

ბებზე გზების გაყვანამ, გიგანტური საგუბრების მოწყობამ მთის მდინარეებზე და მძლავრი ტექნიკის არადანიშნულებისამებრ გამოყენებამ დაარღვია ბუნების საუკუნოებრივი სიმშვიდე და იგი ადამიანის წინააღმდეგ აამხედრა.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი? არაკომპეტენტურობა, არცოდნა იმისა, რაც ბუნების ძალებთან შეჭიდებულმა, საზოგადოების სამსახურში მის ჩასაყენებლად მოწოდებულმა კაცმა უნდა იცოდეს.

არაკომპეტენტურობის, რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობის სრული უგულველყოფის მაგალითია თუნდაც მრავალ სადირექტივო ინსტანციაში უკვე გავლილი საუღელტეხილო რკინიგზის პროექტი, რომლის ტექნიკური დასაბუთება ვერავითარ მინიმალურ კრიტიკას ვერ უძლებს. ნაკლები წინდაუხედავობა არც ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის დამპროექტებლებსა და მშენებლებს გამოუჩენიათ, რამაც საზოგადოების საყოველთაო აღშფოთება, ენგურის კალაპოტის ბარბაროსული ნგრევა და ახალი თავსატეხი პრობლემების წამოჭრა გამოიწვია. მშენებლობა ამჟამად შეწყვეტილია, მაგრამ რა ეუყოთ იმ შეუხორცებელ ჭრილობებს, სვანეთის უნიკალურ ბუნებას უკვე რომ მივაყენეთ, წყალში გადაყრილ მილიონებზე კიდევაც რომ აღარაფერი ვთქვათ. მე იქ ვიყავი და ყოველივე საკუთარი ორთავ თვალით ვნახე. სვანეთის ეკოსისტემა ჯერ კიდევ ენგურჰესის საგუბარმა დაარღვია. სვანეთის ჰავა ის აღარ არის, რაც იყო.

მე ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ჰიდროელექტროსადგურები არ უნდა ავაშენოთ, მაგრამ არა პრიმიტიულად, სტიქიურად, როგორც აქამდე ვაშენებდით, არამედ მსოფლიო ტექნიკური აზრის გამოყენებით, ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვით, ერთი სიტყვით ისე, რომ მარჯვენამ ყოველთვის იცოდეს, რას აკეთებს მარცხენა.

რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ და რასაც არ უნდა შევეხოთ, ისევე როგორც ყველა სხვა დარგში, კვლავ დამპროექტებელთა და მშენებელთა კომპეტენციის პრობლემას მივადგებით. განა შორსაა ის დრო, როდესაც პარტიის ისტორიის მოკლე კურსის ცოდნა, იმის ცოდნა, თუ რამდენი ბუნდელი ესწრებოდა რსდმპ პირველ ყრილობას და რამდენი ეკონომისტი, ყველა პროფესიის ადამიანის განათლების დონის მაჩვენებლად ითვლებოდა, თვით პროფესიის, სპეციალობის დაუფლებას კი ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა! ჯერ კიდევ სადა ვართ, ვითარება საქმის სასარგებლოდ ვითომ შეიცვალა, მაგრამ იმ საქართველოს მშენებლობისათვის საჭირო კადრები, რომელზედაც ჩვენ ოცნებობთ, ახლო მომავალში ჯერ კიდევ ვერ მომზადდება, ვინაიდან ათეული წლები სულ ტყუილად გაცდა, საქმე თავიდან გვაქვს დასაწყები.

ასე რომ, ერის ცხოვრებაში მთავარ და პირველ რიგში გასაკეთებელ საკითხებს ვერ გამოყოფ. გარკვეული აზრით ყველაფერი მთავარია, მათ შორის გარემომცველ ბუნებაზე ზრუნვაც, უთვალავი განშტოება რომ აქვს და სწორედ პირველი რიგის საკირბორტო საკითხია.

კითხვა: რა პრობლემებს წამოჭრიდით თქვენის მხრივ?

პასუხი: პრობლემებს რა გამოლევს, მით უფრო დღევანდელ, საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულის საქართველოში, რომლის შვი-

ლებიც ჩვენ ყველა ვართ. მრავალი ათეული წლის განმავლობაში გაუვალ ჭაობად ქცეულ უზარმაზარ ქვეყანაში დაწყებულმა ძვრებმა საქართველოში თავისებური გამოძახილი ჰპოვა და, როგორც ზემოთ არა ერთჯერ უკვე ითქვა, სხვადასხვა მხრიდან შეეხო ჩვენთვის ყველაზე უფრო მტკივნეულ ეროვნულ საკითხს.

პირადად მე შორს ვარ იმ აზრისაგან, თითქოს ჩვენში დემოკრატიული მართვა-გამგეობა არსებობდეს, თუმცა ამ სიტყვების დაწერა რამდენიმე წლის წინათაც უპატიბელ პოლიტიკურ დანაშაულად ჩაითვლებოდა, მაგრამ, ამავე დროს, მართალი არ ვიქნები, თუ თვალს დავხუჭავ იმ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი გარდაქმნების წინაშე, რომლის მოწმე და მონაწილე თითოეული ჩვენთაგანი ვართ. თუ არა ეს გარდაქმნები, თვით ბიუროკრატიულ სისტემასაც რომ შეეხო, არავითარი საშუალება არ გვექნებოდა, აზრი თავისუფლად გამოგვეთქვა, გაფიცვები, მანიფესტაციები და მიტინგები მოგვეწყო, სადაც უმეტესწილად ქვეყნის მმართველობისათვის არასასიამოვნო მოსაზრებები გამოითქმის.

ძნელზე უძნელესია სწორი პროგნოზის დასმა, ნამდვილად საით მივდივართ, სანამდე მიგვიყვანს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ, თუ შექმნილ ისტორიულ ვითარებას ისევე გონივრულად გამოვიყენებთ, როგორც მას ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკა იყენებს, ეროვნული იდეალების აღსრულებას წინ ვეღარაფერი დაუდგება.

უთუოდ ყველამ შეამჩნია, რომ თუ რაიმე ღირებული ითქვა საბჭოთა კავშირის სახალხი დეპუტატთა ყრილობაზე, მას უმთავრესად ბალტიისპირელი დეპუტატები ამბობენ. თავიანთი რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია, მის ყოველ ცალკეულ დეტალში, ისე პროფესიონალურად დაამუშავეს, ისე შეუთანხმეს და შეუწონასწორეს ქვეყნის საერთო პოლიტიკას და შემდეგ ეს ყოველივე ყრილობაზე იმგვარი ტაქტით, საგანგებოდ დახვეწილი ფრაზეოლოგიით წარმოადგინეს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დელეგატი, უპირველეს ყოვლის რუსეთის ფედერაციიდან, შინაგანად მათი წინააღმდეგი იყო, ლოგიკის მარწუხებში მოექცა და, თავი რომ არ შეერცხვინა, იძულებული გახდა, ხელის აწევით მათთვის მხარი დაეჭირა.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ეკონომიკური სუვერენიტეტი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა.

უფროსი თაობის ადამიანებმა ვიცით, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანი, საბჭოთა სახელმწიფოს სინამდვილისათვის რაოდენ წარმოუდგენელი პოლიტიკური აქტია ეს. უფროსი თაობის ადამიანებმა-მეთქი, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ახალგაზრდა თაობებისათვის, რომელთაც ტოტალიზატორულ რეჟიმში არ უცხოვრიათ და ყოველი ხმამაღალი სიტყვა, რეჟიმის სულს რომ ეწინააღმდეგებოდა, საკუთარი სიცოცხლის სასწორზე შეგდების რისკით არ წარმოუთქვამთ, ეს შეიძლება, მასების აქტივობის წყალობით მომხდარ ფაქტად ჩანდეს. უახლოესი წლების ისტორია სულ სხვა რამეს გვეუბნება. ბალტიისპირელი ხალხები ამ წლების განმავლობაში შედარებით ნაკლებ აქტიურობდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, მუშაობდნენ. მათ მთელი თავისი ინტელექტუალური ძა-

ლები სამუშაოდ დასხეს, რათა რეალური მდგომარეობის ზედმიწევნითი გათვალისწინების შემდეგ ყრილობაზე გამოსატანი თავიანთი `კონცეფ-ცია შეედგინათ და ყოველმხრივ დაემტკიცებინათ, რომ ისინი ღირსნი არიან იმისა, რასაც მოითხოვენ. კონცეფციის შესადგენად მუშაობდა ათობითა და ასობით ეკონომისტი, იურისტი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები. დასასრულ, მათ შეადგინეს ისეთი დეპუტატთა კორპუსი, რომელიც თავისი განათლების დონისა და პიროვნული თვისებების მეოხებით შესძლებდა დოკუმენტი დიდ სახალხო სამსჯავროზე გაეტანა, გაეტანა და დაეცვა მისი ყოველი პუნქტი.

ყოველივე ამის მოწმე თითოეული ჩვენგანი ვართ, ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ, თითქოსდა ჩვენი თანდასწრებით მოხდა. არ ვიცი, გულში ვინ რას ფიქრობდა, მაგრამ გაღიზიანების, პარტიკულარიზმის დაბრალების, ბალტიისპირელი დეპუტატების მიმართ რაიმე უპატივცემულობის გამოხატვის სურვილი არავისთვის შემიმჩნევია. მათ უდიდესი ხელშეუხებლობა და მტრისა და მოყვრის მოკრძალებული პატივისცემა მოიხვეჭეს.

რად მოგითხრობთ ყოველივე ამას, რაც „ცისკრის" თითოეული მკითხველისათვის უამისოდაც უკვე ცნობილია? იმად, რომ ხაზი გავუსვა მორალურ ავტორიტეტს, რომელიც ყოველ ხალხს, ერს ისევე სჭირდება, როგორც თითოეულ პიროვნებას. არიან ხომ პიროვნებები, უდიერ მოპყრობას, ფამილარულ გაშინაურებას და მით უფრო შეურაცხყოფის მიყენებას ვერ შეეგუებიან? არსებობს უხილავი ზღვარი პიროვნებასა და გარემოს შორის, რომლის მცირეოდენი დარღვევაც კი სულ სხვა რაკურსში გამოაჩენს იგივე პიროვნებას და მისდამი დამოკიდებულებაც მყისვე შეიცვლება.

თუ ჩვენს დღეანდელ ქართველობას ამ თვალსაზრისით შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ არა მარტო ბალტიისპირელებთან შედარებით, არამედ საზოგადოდ ჩვენი მდგომარეობა ერთობ დამაფიქრებელია.

• ჩვენ, ქართველებს, გაგვიბედეს და ავტომატები დაგვიშინეს 1956 წლის 9 მარტს, გაგვიბედეს და 1989 წლის 9 აპრილს ალესილი ნიჩბებით დაგვიჩეხეს ქალები და ბავშვები, გაგვიბედეს და ჩვენსავე სამშობლოს მიწა-წყალზე ჩვენივე ნებით ჩასახლებულმა ხიზნებმა ტერიტორიული პრეტენზიები წამოგვიყენეს, გაგვიბედეს და ჩვენსავე უბეში გაზრდილმა და ნასაზრდოებმა აფხაზებმა ტყვია დაგვიშინეს, უდანაშაულო ადამიანები დაგვიხოცეს და ჩვენი ისტორიული საცხოვრისიდან აყრა მოგვთხოვეს, ჩვენ, ქართველებს, გაგვიბედეს და ორატორები ჩამოგვიყარეს ტრიბუნიდან ჯერ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და შემდეგ უმაღლესი საბჭოს სესიაზე, არ მოგვცეს საშუალება სიმართლე დალაგებულად გვეთქვა, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისათვის, რომელიც საკავშირო პრესისა და რადიო-ტელევიზიის მიერ გავრცელებულ ჭორებით საზრდოობს, ამომწურავი, გულმართალი ინფორმაცია მიგვეწოდებინა. კიდევ ბევრი რამეც გაგვიბედეს და გვაკადრეს...

ეს ხომ ეროვნული კატასტროფაა, ძვირფასო მეგობრებო, დედებო, ძმებო, შვილებო, ამას ხომ სიკვდილი ჯობს, სიკვდილი ჯობს შერცხვენილ სიცოცხლეს!

დადგა თუ არა დრო, დავფიქრდეთ, ეს რად მოგვივიდა? წარვმართავთ თუ არა დღეს ჩვენს ცხოვრებას და ბრძოლას ისე, როგორც ევროპის დონის კულტურულ ერს შეეფერება? აქვს თუ არა რაიმე ზნეობრივი ღირებულება ჩვენს ბრძოლას სხვათა და სხვათა თვალში? ეყრდნობა თუ არა ის ღრმად გააზრებულ, მყარ ლოგიკურ საფუძვლებს, არის თუ არა რაიმე რეალური ძალა, ჩვენი ემოციების უკან რომ დგას?

ვაი, რომ არა,.. არა, არ არის!

მაშ, რა გვეშველება, ასე განვაგრძოთ? სანამ ხელახლა მოგვაფურთხებენ, ფურთხი მოვიწმინდოთ, უწმაწური ლანძღვა-გინება, მართებულია თუ არა მართებული, ქართული პრესის ფურცლებზე კრიტიკის ქარ-ცეცხლში გავატაროთ და მერე სირაქლემასავით თავი ქვიშაში წავრგოთ, ტანი კი გარეთ დავტოვოთ?

მე ვერ შევძლებ, ალბათ, მზამზარეული რეცეპტის გამოწერას, მისი გამოწერა არც ვინმე სხვას შეუძლია, ეს საერთო-სახალხო, ეროვნული საფიქრალია და თითოეული ჩვენგანის პასუხს მოითხოვს, მაგრამ ვერც იმას ვიკისრებ, ამ მეორეთმოსვლაში პირში წყალი ჩავიგუბო, განზე გავდგე და სეირი ვუყურო, აბა, ვნახოთ, რა მოხდება-მეთქი.

ძნელზე ძნელია რისამე თქმა, რადგანაც შენგან სწორედ იმას მოელიან, რასაც თავად ფიქრობენ. არა და, წინასწარვე დანამდვილებით ვიცი, რომ ის აზრი, გულში რომ მიდევს, ზოგიერთი ფიცხი ბელადის აზრს არ დაემთხვევა, არის თუ არა საჭირო, მთელ ქართველ ერს გაფიცვისაკენ, საკუთარი ეკონომიკის გაჩერებისა და შიმშილობის გამოცხადებისაკენ რომ მოუწოდებს? ჩემს სიცოცხლეში მე იმდენი მიშიმშილია, შიმშილით ვერავინ გამაკვირვებს, მაგრამ, გამაგებინეთ თუ ღმერთი გწამთ, ვის ვებრძვით, მოსისხლე მტერს თუ საკუთარ თავს? გაფიცვაცა და შიმშილობაც საზოგადოებრივი ბრძოლის იარაღია, მაგრამ გინახავთ სადმე კიბით მოჭრილი ხე, ანდა კოკით გასალაშინებული ფიცარი? რას მიაღწევდნენ ბალტიისპირელები, მიტინგებზე რომ ეთენ-ეღამებინათ და თუნდაც მთელი წელიწადს გადაბმულად ეშიმშილათ? შიმშილით და ეკონომიკური და ფიზიკური ძალების გამოფიტვით აღვადგენთ წესრიგს აფხაზეთში, შიდა ქართლში და სხვაგან? გაფიცვა და შიმშილობა აუშენებს თავშესაფარს უსახლკაროდ დარჩენილ სვანებს და აჭარლებს? თუ ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენ არ გვეხება, ვიღაც სხვას ეხება? კიდევ ერთხელ მსურს დავსვა კითხვა: მტერს ვეხმარებით თუ მოყვარეს? ვინა ვართ ჩვენ საქართველოში, მტრები თუ მოყვრები? თუ მოყვრები ვართ, ასე ნამდვილად არ უნდა ვიქცეოდეთ და სამშობლოს დასაქცევად არ უნდა ვიმეტებდეთ, ხოლო თუ მტერი ვართ, მტრისგან შეიძლება კაცი მეტსაც მოელოდე!

აი, ყველაფერი, რაც დღეს „ცისკრის" მკითხველებისათვის შემეძლო მეთქვა.

1989 წ.

პატივცემულო დელეგატებო, ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო მეგობრებო!*

ამ დიდებულ, გაბრწყინებულ დარბაზში, რომლის კედლებსაც ქართველი ერისათვის ღირსშესანიშნავი არა ერთი და ორი ისტორიული მოვლენა ახსოვს, დღეს ჩვენ კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენის მოწმე და მონაწილე ვხდებით.

ვმართავთ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პირველ ყრილობას.

საქართველოში ოდითგანვე დამკვიდრდა: ქართველი ხალხი ყოველისავე ამაღლებულს, ნათელს, ჰუმანურს, რაც კი ქართული საზოგადოების წიაღში შექმნილია და იქმნება, თავისი უდიდესი პოეტის, შოთა რუსთაველის სახელს უკავშირებს. ამიტომაც არავის გაკვირვებია და სავსებით ბუნებრივად მიიჩნია, როდესაც საზოგადოების ბალავრის ჩამყრელებმა მას დიდი რუსთაველის სახელი უწოდეს.

რუსთაველი ეს ის სახელია, რომლის გარშემოც თავს იყრის სრულიად საქართველო, ის სალოცავია, რომლის ხატის წინაშეც იჩოქებს ყოველი ჰეშმარიტი ქართველი და მასთან ერთად ყველა ის, ვისაც საქართველო, ქართველი ხალხი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის ღირსად მიაჩნია.

რუსთაველის საზოგადოება, როგორც მისი წესდება მიგვანიშნებს, თვითმართველობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც მოწოდებულია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ქართული კულტურის აღმავლობას, მის ღრმად დანერგვას ხალხში, მის პოპულარიზაციას სამშობლოში და სამშობლოს ფარგლებს გარეთ, მყარი ნიადაგი შეუქმნას ქართულ ენას, საქართველოს სახელმწიფო ენას, რათა მან რეალურად შეასრულოს ის ფუნქციები, რომელიც მას კონსტიტუციის ძალით ეკუთვნის და რომელიც აქამდე, საჯაროობისა და დემოკრატიზმის ეპოქის დადგომამდე, უდიერად ჩაწიხლული და შელახული იყო.

მე არ შემიძლია და არც საჭიროება მოითხოვს, ამ ჩემს მცირე შესავალ სიტყვაში შევეხო ყველა საჭირბოროტო საკითხს, რომელთა გადაწყვეტა თავს უნდა იდოს რუსთაველის საზოგადოებამ, მაგრამ იმის თქმა კი აუცილებლად გვმართებს, რომ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, მისი არსებით, არ არის ვიწრო ეროვნული ფარგლებით შემოზღუდული საზოგადოება. ის არ უპირისპირდება რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერების ინტერესებს. პირიქით, მოწოდებულია ყოველნაირად შეუწყოს ხელი ამ ერთა სულიერ ცხოვრების აღმავლობას, ერთა შორის კავშირ-ურთიერთობის და გულმართალი ძმობის გაღრმავებას.

ამასთან ერთად, რუსთაველის საზოგადოება მზად არის, თავის კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ წევრად მიიღოს ყველა, განურჩევლად

---

* შესავალი სიტყვა სრულიად საქართველოს შოთა რუსთაველის საზოგადების პირველ ყრილობაზე ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში 1989 წლის 18 მარტს.

ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ვინც კი საზოგადოების წესდებას აღიარებს, რესპუბლიკის შიგნით იქნება თუ რესპუბლიკის გარეთ.

რუსთაველის საზოგადოების უმთავრესი და უპირველესი ამოცანაა ერის სასიცოცხლო ძალების გაერთიანება, კონსოლიდაცია, ერთ ფოკუსში მოქცევა, ერთი დასახული მიზნის მიღწევისათვის დარაზმვა. თუკი შეიძლება რაიმე დაგმოს და უკუაგდოს რუსთაველის საზოგადოებამ, ეს განკერძოებულობა, ეროვნული ძალების დაქსაქსვა, უჩემოდ ვინ იმღერეთას პრინციპისაკენ შეგნებული თუ შეუგნებელი მისწრაფებაა.

თუ მშობელი ერისათვის სძკეთე გვსურს, არა მარტო სიტყვით, საქმითაც ნუ დავივიწყებთ წარსულის საგულისხმო გაკვეთილებს, თუნდაც სულ უახლოესი წარსულის გაკვეთილებს, რის შედეგსაც დღეს ვიმკით.

თქვენ ყველამ ჩემზე არანაკლებ იცით, რომ 26 მაისს აღმართული დროშების დაშვება იმ 26 მაისისა, ეროვნულ თავისუფლებას მოწყურებულმა ქართველმა ერმა 117 წლის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა რომ აღადგინა, არა იმდენად გარეშე ძალების ზემოქმედებით, არა ისტორიული გარდაუვალობით, არამედ შინაგანი პარტიული უთანხმოების და შეურიგებელი განხეთქილებების შედეგად მოხდა.

გაიხენეთ ფინეთის რესპუბლიკის მაგალითი. ფინელებმა შესძლეს ის, რაც ჩვენ, ქართველებმა, შინაგანი ერთსულოვნების უქონლობის და წაჯექუკუჯექობის გამო, ვერ შევძელით, უკვე მოპოებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ხელიდან გავუშვით, ვერ გამოვიყენეთ ხელსაყრელი ისტორიული მომენტი, ათას წელიწადში ერთხელ რომ დადგება ხოლმე და საქმე სანანებლად გავიხადეთ. აბა, თვალი გადაავლეთ იმდროინდელ მემორიალურ ლიტერატურას. რა შეურიგებელი სიძულვილით იხსენიებენ ერთმანეთს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა ყველა დარგის თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები. დასასრულ, მათ შებით არ ამკობენ ერთმანეთს, რა სიტყვებით არ აბეზღებენ საკუთარ ერთან! არა და უკლებლივ ყველა სწორედ იმ ერის ღვიძლი შვილები არიან, ნიჭით, შემართებით, ბრძოლის უნარით გამორჩეული შვილები. მოსისხლე მტრის გასახარად და მოყვარის დასალონებლად ეს უბედურები ერთმანეთს დარევიან ნაცვლად იმისა, რომ პირადი ამბიციები ჩაეჩუმებინათ, საღი გონების კარნახისათვის ყური ეგდოთ და უზენაესი იდეალის, სამშობლოს კეთილდღეობის იდეალის გარშემო გაერთიანებულიყვნენ.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ღია კარს ვამტვრევდე, თითქოს რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობაზე საჭირო არ იყოს ამაზე ლაპარაკი. ამაზე ლაპარაკი და მსჯელობა სწორედ დღეს გახლავთ საჭირო და გადაუდებელი, როცა ყოველდღე და ყოველ საათში ამდენი ახალი, სხვადასხვა ჯგუფის საზოგადოება ყალიბდება და მათან ერთად იზრდება საზოგადოებრივ ძალთა დაქსაქსვისა და ეროვნული პოტენციალის დასუსტების საშიშროებაც.

გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ მიუხედავად რუსთაველის სახელისა, რომელიც ჩვენს საზოგადოებას აქვს მიკუთვნებული, იგი არ სარგებლობს ერის ყველა ფენისა და ასაკობრივი ჯგუფის ერთსულო-

ვანი ნდობითა და პატივისცემით. ეს ფაქტია, თანაც უსიამოვნო ფაქტი და ტყუილად ნურავინ შეეცდება მის უარყოფას. ამ ფაქტს სხვადასხვა ახსნა მოეძებნება. ერთ-ერთი ახსნა ის გახლავთ, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები, მისი გამგეობა და პრეზიდიუმი, ზემოდან შეიქმნა. მას „ქვემოდან“ მომდინარე დემოკრატიული საფუძველი არა ჰქონდა. მაგრამ, მეგობრებო, ამასაც ხომ აქვს თავისი გამართლება: ხომ საჭირო იყო, აქამდე, დღევანდელ დღემდე მოვსულიყავით, სადმე და რითიმე ხომ უნდა დაგვეწყო, წამოწყებული საქმისათვის ორგანიზებული სახე ხომ უნდა მიგვეცა, თავი ხომ უნდა მოგვეყარა საზოგადოების იმ ორასი ათას წევრისათვის, ვის წარმომადგენლებადაც აქ ბრძანდებით შეკრებილი.

დამფუძნებელი ყრილობა მოწვეულია და ჩვენ ყველა, ამ დარბაზში მყოფნი, მისი სრულუფლებიანი დელეგატები ვართ. ყრილობა უფლებამოსილია, ისე წარმართოს თავისი მუშაობა, როგორც საჭიროდ მიაჩნია. ის იმას აირჩევს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებში. ვისაც უფრო ღირსეულად და სასურველად თვლის. ამიერიდან არავინ, არც ერთი პირი, არსად და არავისაგან არ იქნება დანიშნული. დამფუძნებელი ყრილობის სახით მას მთელი საზოგადოება აირჩევს!

ძვირფასო მეგობრებო, ყრილობის დელეგატებო, მოწვეულო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო, მოგილოცავთ ამ დიდ ისტორიულ მოვლენაში მონაწილეობას, მოგილოცავთ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების დაფუძნებას! ერთგულად გაეწიოს მას თავისი ჭაპანი, ყოველთვის პირნათელი ყოფილიყოს ქართველი ერისა და კაცობრიობის წინაშე!

ამით, ძვირფასო მეგობრებო, ნება მიბოძეთ, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პირველი ყრილობა გახსნილად გამოვაცხადო.

მამია ასათიანი

ისააკ ბაბელის, ჩვენი დროის დიდი რუსი მწერლის, სახელს ტაბუ ახალი ახსნილი ჰქონდა, როდესაც იმხანად თბილისში გამომავალ ალმანახ „ცისარტყელას" რედაქციის თხოვნით მისი საქვეყნოდ გახმაურებული მოთხრობების კრებული „ცხენოსანთა არმია" გადმოვთარგმნე. იგი შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა და მამია ასათიანის ხსოვნისადმი. მიძღვნილ საღამოზე ნამდვილად არ გავიხსენებდი, ერთი გარემოება რომ არა.

როგორც ყველა წიგნის, საზოგადოდ, რომელიც კი ჩვენში გამოდის, „ცხენოსანთა არმიასაც" მოკლე ანოტაცია უძღვოდა წინ. ეს ანოტაცია მე დავწერე და როცა ვწერდი, შევეცადე, რამდენიმე სტრიქონში ნაწარმოების მნიშვნელობა და ავტორის ტრაგიკული ცხოვრების უმთავრესი მომენტები მომექცია.

იყო იქ ასეთი ფრაზა: „თავისი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში ისააკ ბაბელი მტარვალის ხელით დაიღუპა".

ეს უკანასკნელი გარემოება თავისებურ შუქს ჰფენდა ქმნილებას იმათ თვალში, ვინც ბაბელის სახელი და გვარი პირველად გაიგონა და მის გულში ჩამწვდომ სარკაზმს, ღრმა ქვეტექსტით დატვირთულ მის წრფელ და უშუალო სიტყვას პირველად ეზიარა.

თქვენ წარმოიდგინეთ, გამოთქმამ „მტარვალის ხელით დაიღუპა" რედაქციაში და სხვაგან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და მიუხედავად იმისა, რომ მე მას კბილით ვიცავდი, გადაწყდა, იგი ანოტაციიდან ამოეღოთ.

რატომ, ბატონო, ტყუილია, ვისიმე მოგონილი ცილისწამებაა, არ დაღუპულა ბაბელი მტარვალის ხელით? იქნებ სწორად არ მესმის სიტყვა „მტარვალის" მნიშვნელობა? საბას ან განმარტებით ლექსიკონს ხომ არ მივაკითხოთ? რა პასუხია, მაგას ვინ გკადრებთ, მნიშვნელობა როგორ არ გესმითო, თავი მომიქონეს, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ის ადამიანებიც, ვინც ბაბელს სიცოცხლე მოუსწრაფა, ჩვენი ხალხი იყო და მეტი თუ არა, ცოტა საჩოთირო მაინც არის მათ „მტარვალი" ვუწოდოთო.

ხედავთ? თუ მტარვალი შენი კაციჯ ხელი უნდა დააფარო, არ უნდა უწოდო მას ერთადერთი შესაფერისი სახელი „მტარვალი", პერსონალური პენსია უნდა დაუნიშნო და ათას გაუგებრობაზე აშენებული საზოგადოების საფუძველთა საფუძვლად გამოაცხადო! ანდა რატომაა ის „ჩემი", „ჩვენი კაცი"? როდის აქეთ იქცა ასეთად? ნუთუ ფარა მართლა შებრუნდა და კოჭლი ცხვარი წინ მოხვდა? და აი, ჯერ კიდევ დადიან ისინი გაფუყული, ფილმ „მონანიებით" უაღრესად განაწყენებული და შეურაცხყოფილი, ჩვენს თავაშვებულობას ავის თვალით უცქერიან და ოცნებობენ იმ დროზე, როდესაც თითის ერთი გაქნევით შეეძლოთ თითოეული ჩვენგანის გაქრობა!

მამია ასათიანი, ვისი ხსოვნის აღსანიშნავადაც დღეს ამ ბევრის მნახველ და გადამტან დარბაზში შევიკრიბეთ, ერთი იმათგანია, ვისაც ცხოვრების სუსხმა კვირტშივე მოუსწრო და მრავალი წელი, მშობლიური მწერლობის ახალი ორიგინალური ქმნილებებით გამდიდრებისათვის რომ უნდა შეეწირა, სამშობლოდან შორს, ცივ ქვეყნებში გაატა-

რა. მამია ბუნებით სათნო, გულახდილი, მიმნდობი, ყოველგვარი ვერაგობისაგან შორს მდგომი ადამიანი იყო, გარეგნულ ვაქკაცურ სილამაზესთან ერთად კეთილშობილი მამულიშვილის სულიც ამკობდა და ძნელი არ არის წარმოიდგინო ის ტრაგედია, რომელიც მოულოდნელად თავს დაატყდა. მამია ასათიანი — სამშობლოსა და ხალხის მტერი! რა უნდა იყოს ამაზე უფრო დიდი აბსურდი?! მამიას არ უყვარდა იმ უგზოუკვლოდ დაკარგული, მისი ცხოვრებიდან პირწმინდად ამოშლილი წლების გახსენება. თავი ისე ეჭირა, თითქოს რაიმე გულსატკენი, მთელი ცხოვრების დამანგრეველი არც არასოდეს შეხვედროდეს და ყოველ ახალ დღეს მხოლოდ იმისათვის ითენებდა, რომ ქვეყნად სიკეთის გამარჯვების იმედი და მოყვასისადმი სიყვარული ექადაგა!

მამია ასათიანს ორმოცდაათიანი წლების მიწურულს შევხვდი, შევხვდი „მნათობის" რედაქციაში, სადაც იმხანად ვმსახურობდი, და ჩვენი მეგობრობაც იმ პირველივე დღეებიდან დაიწყო.

მრავალმხრივ ბედნიერი დრო იყო. რედაქციაში არცთუ ხშირად, მაგრამ დროდადრო მაინც შემოიელიდნენ ხოლმე ახალი ქართული მწერლობის კორიფენი გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი და ლეო ქიაჩელი, პავლე ინგოროყვა და გერონტი ქიქოძე, პოლიკარპე კაკაბაძე და დემნა შენგელაია და თავიანთი ახალი ნაწარმოებები მოჰქონდათ. თვით ჟურნალს სათავეში სიმონ ჩიქოვანი ედგა.

რაოდენ გაიხარა მამია ასათიანმა, როდესაც მისმა ლეგენდამ ამირანზე საყოველთაო აღტაცება მოგვგვარა. გამოგვიტყდა, რა დაგიმალოთ, მეგონა, ყველაფერი დამავიწყდა, ვეღარც სიტყვას დავიმორჩილებდი, ვეღარც აზრს მოვუყრიდი თავს და რაკიღა საქმე აგრე ყოფილა, თავს არ დავიზოგავ, ვეცდები, იქნებ მეც რაღაცას ვეღირსოო.

ვერ ვიტყვი, რომ მამიას პროფესიონალი პროზაიკოსისათვის დამახასიათებელი და აუცილებელი თავგამოდებული მუშაობა შეეძლო. კაცი ვერც კი წარმოიდგენდი, როდის რას ასწრებდა, რადგან საზოგადოების ჭირისა და ლხინის განუყოფელი თანაზიარი იყო, სხვისი სიხარული ახარებდა და სხვის საწუხარს წუხდა. მაინც დაგვიტოვა ხალასი პოეტური ნიჭით გასხივოსნებული ლეგენდების მოზრდილი კრებული, ანარეკლი მისი რაინდული სულისა.

თუ აქსიომად მივიღებთ აზრს, რომ მწერალი თავისი დროის მოწინავე ადამიანია, ერის ტკივილების გამომხატველი და მოზიარეა, თუ სულის სისპეტაკით, ბოროტებისადმი შეურიგებლობით და მოქალაქეობრივი გამბედაობით ის თანამედროვეებისაგან გამოირჩევა, მივალთ დასკვნამდე, რომ ყველას არა აქვს უფლება მწერლად იწოდებოდეს, მიუხედავად იმისა, უჭრის თუ არა კალამი. მამია ასათიანი გახლდათ სწორედ ის პიროვნება, ვისაც ყველა ეს თვისება გააჩნდა. ის ადამიანი იყო, უპირველეს ყოვლისა ადამიანი! მწერლობა, მოგეხსენებათ, ამის შემდეგ იწყება!

მამია ასათიანი ადრე წავიდა ჩვენგან, არა და იმგვარი ტემპერამენტის კაცი იყო, ყოველდღიურ ცხოვრებაში იმხარ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ასი წელი უნდა ეცოცხლა, უამრავი კეთილი საქმის გაკეთება და დაგვირგვინება უნდა მოესწრო. ათას კაცში გამოარჩევდი. მუდამ სადღაც ეჩქარებოდა.სიტყვას დაგიგდებდა და უკვე გამ-

ქრალი იყო. შეჰხარიდა ყველაფერს, რაც კი მწერლობაში კარგი იწერებოდა, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით არც ცუდს არიდებდა თვალს, პირუთვნელად გაგიზიარებდა თავის უკმაყოფილებას, ცოტათი კიდევაც დაგტუქსავდა, როგორც უფროსი ძმა, რომელსაც ადრე გარდაცვლილმა მშობლებმა შენი თავი ჩააბარეს.

სიტყვის დასასრულ მე ისევ მაგონდება ისააკ ბაბელი და ანოტაცია, მისი „ცხენოსანთა არმიის" ქართულ გამოცემას რომ წაეუმძღვარე.

რა ვქნათ, განვასხვავოთ თუ არა ერთმანეთისგან თეთრი და შავი? ჩვენ გვეუბნებიან, რომ უნდა განვასხვავოთ. კიდევაც რომ არ გვეუბნებოდნენ, ეს საქმე ბოლოს და ბოლოს მაინც არ აგვცდება. მაგრამ კმარა კი ამის ზოგადი აღიარება?

დღეს აქ, ამ მრავალჭირნახულ დარბაზში, მრავალი ცოდვისკითხვის მომსწრე რომ არის, კეთილი სიტყვით ვიგონებთ მამია ასათიანს, ჩვენგან ასე ნაადრევად წასულ ქართველ მწერალს, მეგობარს, მამულიშვილს, სამშობლოს ბედზე დაფიქრებულ კაცს, ეს ფიქრიც რომ არ ეპატია და სიცოცხლე გაუნახევრდა. გვაქვს უფლება, მივდგეთ ასე და რაკი დაბადების თუ გარდაცვალების ამდენი და ამდენი წელი შეუსრულდა, ყველას განურჩევლად გუნდრუკი ვუკმიოთ? მაშინ ხომ ყველაფერი აზრს დაკარგავს, მთა და ბარი გათანაბრდება!

სხვათაშორის, „ნოვი მირის" ამა წლის მეორე ნომერში გამოქვეყნდა ბულგაკოვის პირადი წერილები მეგობრისადმი. ირკვევა, რომ ვსევოლოდ ვიშნევსკი, ის საყოველთაოდ აღიარებული ვიშნევსკი, რომლის პიესა „ოპტიმისტური ტრაგედია" მრავალი თეატრის სცენაზე იდგმება, გახლავთ კაცი, ვინც საბედისწერო როლი შეასრულა მისი თანამედროვე ბულგაკოვის, „თეთრი გვარდიისა" და „ოსტატ და მარგარიტას" ავტორის ტრაგიკულ ცხოვრებაში.

ვთქვათ, ეს ისტორიული ფაქტი, სამზეოზე რომ გამოვიდა, ვიშნევსკის დიდ სახელს არაფერს აკლებს? ვინ მოგახსენათ! ეს რომ ასე ყოფილიყო, ავსა და კარგს ფასი აღარ ექნებოდა, მგელსა და კრავს ერთი ჯოხით გავრეკავდით. აკლდება და როგორ! მაგრამ დიდ რუსულ მწერლობას შესწევს იმის ვაჟკაცობა, სიმართლეს თვალი გაუსწოროს, თეთრს თეთრი უწოდოს და შავს შავი, ღირსეული, დროთა განმავლობაში ჩაწიხლული და აბუჩად აგდებული დიდების კვარცხლბეკზე აიყვანოს, ხოლო დაუმსახურებლად კვარცხლბეკზე ასული ძირს დაანარცხოს, რათა ამით გზა გადაეღობოს ახალ ბოროტებას ერისა და საზოგადოების ცხოვრებაში!

კარდინალური გარდაქმნების დროში ვცხოვრობთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ხელით ისტორია საშვილიშვილო საქმეებს გააკეთებს და ამ საქმეში იქნება იმ კაცის წილიც, რომელიც ჩვენთან აღარ არის, მაგრამ ჩვენში ცხოვრობს, საყვარელი მამია ასათიანი!

1987 წ.

თუ მშობლიურ ყამირში კვალი არ გავიტანეთ

რა მნიშვნელობა ენიჭება ერისთვის სახელმწიფო დამოუკიდებლობას? უდიდესი მნიშვნელობა! უპირველეს ყოვლისა ეს მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ნებისმიერი ერი მხოლოდ და მარტოოდენ სახელმწიფო დამოუკიდებლობის პროცესში ავლენს სრულად თავის სულიერ პოტენციალს, შესაძლებლობებს, ფიზიკურ და გონებრივ ენერგიას.

ეს მნიშვნელობა სახელმწიფო დამოუკიდებლობისა, დაუოკებელი ლტოლვა იმისაკენ, რომ ილიას მოხევისა არ იყოს, თავი თვისი თვით ეყუდნოდეს, განსაკუთრებით ღვივის იმ ერის შვილთა გულში, რომელმაც უკვე იგემა ამ დამოუკიდებლობის მთელი სიკეთე და შემდეგ, მავან და მავან ისტორიულ ქარტეხილებში დაკარგა იგი.

ერის მიერ სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაკარგვა, რა მიზეზითაც არ უნდა მოხდეს, უდიდესი უბედურება და ბუნების საწინააღმდეგო ქმედებაა, რომელიც ცივილიზებული სამყაროს მიერ არ შეიძლება გულგრილად იყოს აღქმული და შეფასებული. არ შეიძლება, ერი, რომელმაც თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა და სხვისი ხელის შემყურე გახდა, ჰუმანური საზოგადოების აქტიურ თანაგრძნობას არ იწვევდეს.

ამ საგანზე სიტყვის ჩამოგდებისას არ შეიძლება, ქართველ კაცს არ გაახსენდეს თითქმის ჩვენი თანამედროვე სახელოვანი ქაძული შვილი ნიკო ბაგრატიონი, ზედმეტსახელად „ნიკო ბურს" რომ ეძახდნენ, ბურების ომში პატარა, დაჩაგრული ხალხის დასაცავად რომ იბრძოდა და ამით თავის მაღალ ადამიანურ მოვალეობას ასრულებდა. გავიხსენოთ თუნდაც ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებული დიდი ინგლისელი პოეტი ჯორჯ გორდონ ბაირონი, სიცოცხლე ბერძენი ხალხის თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას რომ შეწირა და მისი გული სამარადისოდ მადლიერი საბერძნეთის კურთხეულ მიწაში განისვენებს!

განა ქართველებს არ მოგვეპოვება ასევე თავდადებული უცხოელები, ქართული საქმე, საქართველოს ეროვნული ინტერესები პირად ინტერესებად რომ დაისახეს და მთელი სიცოცხლე მის ამაღლებას ანაცვალეს? მაშ, ვინ იყვნენ მარი ფელისტე ბროსე, არტურ ლაისტი, მარჯორი უორდროპი და ის სამასი „ფრანგი", დავით აღმაშენებლის მხარდამხარ რომ იბრძოდნენ დიდგორის ომში?

რუსეთის ცარიზმმა ისარგებლა ქართლ-კახეთის სამეფოს უკიდურესი გაჭირვებით, 1795 წლის ტრაგედიით, ქვეყნის დიდი პატრონის, მეფე ერეკლეს უდროოდ გარდაცვალებით, ქვეყნის მაშინდელი შინაური აშლილობით, ფეოდალური წაჯექ-უკუჯექობით და ხაზი გადაუსვა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს, რომლის თანახმადაც ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში შესული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მისი შინაგანი სტრუქტურა, ხელშეუხებელი უნდა დარჩენილიყო, აიძულა უკანასკნელი მეფე გიორგი მეთორმეტე, თავისი უბადრუკი „პუნქტებით" საიმპერატორო კარისათვის მიემართა და მისი სიკვდილის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი გააუქმა.

ეს იყო უდიდესი უსამართლობა, ზღვარდაუდებელი ძალადობის აქტი, უპირულობა და ვერაგობა, რომელიც კი ოდესმე დედამიწის ზურგზე განხორციელებულა. ჩვენ, ქართველობა, მარტონი აღმოვჩნდით განათლებული მსოფლიოს წინაშე, ისევე როგორც მარტონი ვართ დღესაც. ჩვენთვის თავი არავინ გამოიდო, გვერდში არავინ ამოგვიდგა, გაუმაძღარ რუსეთის იმპერიას, ხალხების საპყრობილეს, ელემენტარული სამოკავშირეო უფლება-მოვალეობანი ვერავინ შეახსენა!

სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ სამეფო ტახტის ბედი გაიზიარა საქართველოს უძველესმა სამოციქულო ეკლესიამაც. მას ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს მიღებული აუტოკეფალია ჩამოერთვა და საქართველო რუსი ეგზარქოსის მრეველად გადაიქცა!

იმ პირველი დღეებიდან მოკიდებული, დიდმა ერთმორწმუნე მფარველმა რომ პირი გატეხა და ოდესღაც უძლიერესი სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთისა, განუწყვეტელ ომებში დასუსტებული და ერთმორწმუნე მეზობლის მძლავრ ფრთებს მინდობილი, გადაყლაპა, ქართველ ერსა და ბერს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის აღდგენაზე ფიქრი და ბრძოლა არ შეუწყვეტია. ეს ფიქრი და ხმალჩაუგებელი ბრძოლა, როგორც ცნობილია, 117 წელიწადს გაგრძელდა და 1918 წლის 26 მაისამდე არ შეწყვეტილა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ქართული სახელმწიფოებრივობის აღდგენა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ფაქტია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

არ გვმართებს დავიწყება, რომ, ისევე როგორც ბაგრატ მესამისა და დავით აღმაშენებლის ქართული სახელმწიფო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც ისტორიულად ჩამოყალიბებულ საერთაშორისო ურთიერთკავშირთა ნოყიერ ნიადაგზე აღმოცენდა. თუ პირველის დაბადებას ხელი შეუწყო ჯვაროსნულმა ომებმა და სხვა ისტორიულმა პირობებმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არა ვისიმე თავგამოდებულმა ბრძოლამ, არამედ პოლიტიკურმა აუცილებლობამ წარმოშვა.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს, მენშევიკებს, რომლებიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ და თავს მის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ, ისტორიამ მათთვის სრულიად არაბუნებრივი — ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება დააკისრა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარ სეპარატიზმს მარქსისტული იდეალების ღალატად თვლიდნენ და თავიანთი თავი და სამშობლო რევოლუციურ რუსეთისაგან მოწყვეტილად ვერ წარმოედგინათ, ისინი იძულებულნი გახდნენ, ეროვნული დამოუკიდებლობის ალამი აღემართათ და ქვეყანას აღდგენილი ქართული სახელმწიფოს მესვეურებად მოვლენოდნენ.

ქართველი ხალხი უდიდესი აღმავლობით შეხვდა ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს და ამ სამმა წელიწადმაც, განუწყვეტელ ომებში, შიმშილობასა და ნივთიერ ხელმოკლეობაში რომ გაიარა, წარუშლელი კვალი დასტოვა როგორც თითოეული ადამიანის ფსიქიკაში, ასევე მთელი ერის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრება-

ში.ტანჯვით მოპოებული დამოუკიდებობა საქართველოს მთავრობის პოლიტიკური ორიენტაციის მერყეობამ და დიდმპყრობელური შოვინიზმით გამსჭვალული მისი უძღები შვილების — სტალინისა და ორჯონიკიძე – ორახელაშვილის თვითნებურმა მოქმედებამ დაამხო. საბჭოთა არმიებმა, რომლებიც საქართველოში აზერბაიჯანიდან და ზღვისპირეთიდან ომის გამოუცხადებლად შემოიჭრნენ, ფეხქვეშ გათელეს მოსკოვში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, როგორც ოდესღაც იმპერატორმა პავლემ და მისმა ვაჟიშვილმა ალექსანდრემ 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი, და თბილისის თავზე დამპყრობლის დროშა აღმართეს!

ისევე როგორც განვლილი 117 წლის განმავლობაში, 1801 წლიდან ვიდრე 1918 წლის 26 მაისამდე, ქართველ ხალხს, მის საუკეთესო ნაწილს, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა და ვერც ვერასოდეს შეურიგდებოდა, დამოუკიდებლობის დაბრუნებაზე ფიქრი და ბრძოლა არ შეუწყვეტია, რასაც შედეგად მოჰყვა გაუგონარი რეპრესიები 1923 წელს, როცა დახვრიტეს სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული, მსოფლიო ომში გამობრძმედილი ქართველი გენერალიტეტი და ოფიცრობა, 1924 წლის გამოსვლები და ხოცვა-ჟლეტა, ავად მოსაგონარი ოცდაათიანი და ორმოციან-ორმოცდაათიანი წლები.

ნუ მივცემთ დავიწყებას, რომ სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია და სხვა მათი თანამზრახველნი სისხლისაგან დაცლილ, თავმოკვეთილ მათ სამშობლოს — საქართველოს ზიზღითა და შეჩვენებით „ძენშევიზმის ბუდეს“ უწოდებდნენ.

რას გვეუბნება ისტორიის გაკვეთილი? ისეთი მცირერიცხოვანი და ყოველმხრივ მტრულ გარემოცვაში მოქცეული ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, რომელსაც მეხუთე კოლონაც საკმაოზე მეტი მოეპოება, დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კვლავაც მოპოვება ყოველთვის დაკავშირებულია თვით ისტორიის მიერ შექმნილ ხელსაყრელ პირობებთან. ყველა სხვა პირობა აქტიური დაპირისპირების წინააღმდეგ მუშაობს და გარდა მოწამებრივად დაღვრილი უბრალო სისხლისა, რომელსაც მხოლოდ ერთი მხარე დაღვრის, არაფერს მოიტანს. მაგრამ ისტორია არცთუ ისე ხშირად გვანებივრებს „ხელსაყრელი პირობებით“. აბა, გონების თვალით გავხედოთ პერიოდებს, რომლებიც ერთმანეთისაგან აშორებს ერთი მხრივ დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალისა და მეორე მხრივ სოციალ-დემოკრატების მიერ შექმნილ დამოუკიდებელ საქართველოს!

ვერცთუ ისე დამაიმედებელი სურათია, მაგრამ ეს ისტორიაა, ისტორიის ლოგიკაა და, თუ გსურს რეალურად იაზროვნო, მას ვერსად გაექცევი, გსურს თუ არა გსურს, მას ანგარიში უნდა გაუწიო.

მაშ, როგორ მოიქცეს ერი, სანამ კვლავაც არ დამდგარა მომენტი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისა? უნდა ემზადოს ამ დღისათვის, ემზადოს დაჟინებულად და სისტემატურად, მაგრამ არა „ბრძოლის ახალი ფორმების“ გამოძებნით, როგორც ზოგიერთს გულუბრყვილოდ მიაჩნია და ამ „ფორმებში“ პასიურ პროტესტს, დემონსტრაცია-მიტინგებსა და მასობრივ შიმშილობას გულისხმობს, არამედ ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებით, მაქსიმალური

გამოუენებით ყველა იმ დემოკრატიული გარდაქმნისა, რომელიც მსოფლიოს თვალწინ მთელს მეტროპოლიაში მიმდინარეობს!

დღეს ვინ-ღა არ იცის, რომ ცენტრი თავის ანექსიას სამინისტროების ქსელის საშუალებით ახორციელებს. საწარმოო სიმძლავრეთა უდიდესი ნაწილი, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზეა განლაგებული, საკავშირო სამინისტროებს და სახელმწიფო კომიტეტებს ექვემდებარება. რესპუბლიკის მთავრობას და რესპუბლიკურ სამინისტროებს, თვით განათლებისა და კულტურის სამინისტროებსაც კი, ბეჭედითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტზე კიდევაც რომ არაფერი ვთქვათ, თავისსავე ეროვნულ ტერიტორიაზე თითქმის არაფერი ეკითხება, ყველას და ყოველივეს საკავშირო სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები განაგებენ.

ვგონებ ნათელია, რომ ყოველივე ამას, ამ ეროვნულ დისკრიმინაციას ვერავინ აღმოფხვრის მარტოოდენ პროტესტებით, რა ყოვლისმომცველი და შთამბეჭდავიც არ უნდა იყოს ეს პროტესტი.

საჭიროა ყველა ფიზიკური და სულიერი ძალის მობილიზება იმისათვის, რომ დღითიდღე გავზარდოთ ადგილობრივი ხელისუფლების უფლებები საქართველოს ეროვნულ ტერიტორიაზე, რის საბოლოო მიზანიც საკავშირო მთავრობისა და სამინისტროების დიქტატის სრული შეწყვეტა უნდა იქნეს.

რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ნებისმიერი წარმოების სრული ციკლი რესპუბლიკის დაქვემდებარების საწარმოებში ტარდებოდეს და ესა თუ ის სასაქონლო პროდუქცია საკავშირო თუ მსოფლიო ბაზარზე საქართველოს დამღით გავიდეს.

უმნიშვნელოვანეს ძვრებს მოითხოვს უკიდურესად ჩამორჩენილი და მწირი სოფლის მეურნეობა.

ყოველივე ეს, ზემოთ მოკლედ და კუდმოკვეცილად რომ ითქვა, სამშობლოს ბედზე სერიოზულად დაფიქრებულ, რეალურად მოაზროვნე, შემოქმედებითი შრომისათვის კვალიფიციურად მომზადებულ მამულიშვილ ადამიანთა მთელ არმიას მოითხოვს. დიახ, არმიას და არა თითო-ოროლა მოხალისეს, რომელთა იმედით, თავი როგორც არ უნდა გამოიდონ, შორს ვერ წავალთ.

ახლა დიდი საფიქრალი და საზრუნავი გაგვიჩინა რესპუბლიკის დემოგრაფიულმა მდგომარეობამ, ცალკეული რეგიონების ეროვნულმა შემადგენლობამ, რასაც ასე მშვენივრად მოუარეს ჩვენმა ისტორიულმა მეზობლებმა და მოუარეს სწორედ ჩვენს ხარჯზე.

აფხაზეთის პრობლემა გადაწყვეტას ელის. ის ნურავის ეპატარავება და თავს ტყუილად ნუ დაიიმედებს, რომ მას ჩვენსა და აფხაზების მაგიერ ვინმე ისტორიული სიმართლით გადაჭრის. არანაკლები სიმწვავით დგას პრობლემა უსახლკაროდ დარჩენილ აჭარელთათვის გონიერად შერჩეული სამოსახლოების მიჩენისა. რა ეშველება და როგორ დავიბრუნოთ მიწები, წლების განმავლობაში გადამთიელებმა ჩვენივე დოყლაპიობით, ყალბად გაგებული „ხალხთა მეგობრობის“ გზით რომ მიითვისეს?

აი, რა მტკივნეულ ფიქრებს აღძრავს ჩემს გულში დამოუკიდებელი საქართველოს საკითხის წამოჭრა.

„გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!“

მერწმუნეთ, ძვირფასო თანამემამულეებო, ხანდაზმულებო და ახალგაზრდებო, ეს მხოლოდ ლოზუნგია, მარტოოდენ ლოზუნგების სროლით კი ქვეყნიერებაზე ჯერ არსად არაფერი გაკეთებულა. აბა, როგორ უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა სამშობლომ, თუ მის მომავალს ეკონომიკური საფუძველი არ შევუქმენით, თუ ყველა ჩვენ შრომის ჭაპანში არ გავებით და არა სიტყვით, არამედ საქმით მშობლიურ ყამირში კვალი არ გავიტანეთ!

1989 წ.

ჰექა-ქუხილი . . . ჰიქაში

ეს არის წავიკითხე სიმონ ბალახაძის რეპლიკა „ჰექა-ქუხილი. . ჰიქაში“ გაზეთ „სახალხო განათლების“ 30 აგვისტოს ნომერში, წავიკითხე მას შემდეგ, რაც გაზეთში გამოქვეყნებულ უამრავ საინტერესო მასალას გავეცანი, წავიკითხე და მაშინვე გადმოვიღე თაროდან მის მიერ მოხსენიებული წიგნი.

პატივცემული ს. ბალახაძე წერს, რომ წერილების ხსენებულ კრებულში, რომლის სათაური აღებულია იქ მოთავსებული პირველი წერილიდან „შხაპუნა წვიმა დიდი გვალვის შემდეგ“, არ არის დაბეჭდილი მწერლის გამოსვლა საქართველოს მწერალთა მე-6 ყრილობაზე, არა და წიგნის ანოტაცია სწორედ ამის საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს. კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „რევაზ ჯაფარიძის მიერ საქართველოს მწერალთა მე-6 ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვას ამ წიგნში ვერ შეხვდებით, არამცთუ „სრული სახით“, ფრაგმენტულადაც კი!“ შემდეგ ის იქვე გაკვირვებასაც გამოთქვამს: „პირდაპირ გამზადებული კრებულიდან ამოუგდიათ? თუ სხვა რამე უნდა ვიფიქროთ?“

მე, როგორც ამ წიგნის ავტორი, გაოგნებული ვარ: კერძოდ, რა „სხვა რამე უნდა ვიფიქროთ“?

გამოსვლა, რომლის ირგვლივაც ლაპარაკია, ზუსტად 23 წლის წინათ ხელნაწერის სახით იყო გავრცელებული ქართულ და რუსულ ენებზე და არა მარტო ჩვენში, საქართველოში, საზღვარგარეთაც ათასობით ადამიანმა წაიკითხა. გასაგები მიზეზების გამო აქამდე მისი არამცთუ გამოქვეყნება, წარმოთქმაც შეუძლებელი იყო. მაგრამ ფაქტია, რომ წარმოითქვა! იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ მე ეს არაფრად მიღირს, ერთობ იაფი დამიჯდა? მოდით, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ!

მაშ, ჩავიხედოთ გამოსვლის ტექსტში და, რაკი სიტყვამ მოიტანა, ვნახოთ, რა თქმულა საქართველოს მწერალთა მე-6 ყრილობაზე 23 წლის წინათ.

გამოსვლა, როგორც ნამდვილად დაინტერესებული და საქმეში ჩახედული პირებისათვის ცნობილია, გრიგოლ რობაქიძეს მიეძღვნა, რომლის სახელსაც ჩვენს ქვეყანაში ტაბუ ედო და რომლის საჯაროდ ხსენება, ისიც ამოდენა საზოგადოებაში, როგორც მწერალთა ყრილობაა, უდიდეს პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა. გრიგოლ რობაქიძეს ხომ ფაშისტისა და ჰიტლერისა და როზენბერგის უახლოესი მეგობრის იარლიყი ჰქონდა მიკრული. სწორედ ეს განაცხადეს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის მიერ ჩემი გამოსვლის გასაქარწყლებლად გამოშვებულმა ორატორებმა და ჩემი პარტიულ-საზოგადოებრივი გაკიცხვა, მწერალთა კავშირიდან გაძევება და რეპრესირება მოითხოვეს.

ვიცოდი, რომ ეს მომელოდა? სულელი ვიქნებოდი, რომ არ მცოდნოდა!

გამოსვლაში, სხვათა შორის, მე ვამბობდი:

„არავის არა აქვს იურიდიული, თუნდაც მორალური უფლება იმისა, რომ კაცი, მარტო იმის გამო, რომ ის ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეა, სამშობლოს და ხალხის მოღალატედ გამოაცხადოს. ნურავის

ჰგონია, რომ სამშობლოს მოღალატეობა, ისიც საქართველოში, აგრე ადვილად ხელწამოსაკრავი სიტყვა იყოს!“

და კიდევ:

„რამდენიმე წლის წინათ იგი ყოველდღე იჯდა ხოლმე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტზე მისი გასტროლების დროს შვეიცარიაში და თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

მერე ავტორი (პუბლიცისტი, რომელსაც მე ვეკამათებოდი.–რ.ჯ.) კომენტარს უკეთებს თავისსავე სიტყვებს და დასძენს, ასე დაემართება ყველას, ვინც სამშობლოს უღალატებსო!

ღმერთო ჩემო, ნუთუ შეიძლება ამნაირად წერა? ნუთუ შეიძლება, წიგნიერი კაცი იღრიჭებოდე და კევს ღეჭავდე იქ, სადაც შენს თვალწინ ღრმად მოხუცებული შენი თვისტომი, რომელსაც დრომ, ადამიანების გაუტანლობამ და დიდმა ისტორიულმა კატაკლიზმებმა გზა-კვალი აუბნია, სადღაც შორს გადახვეწა, უკან დასაბრუნებელი გზები მოუჭრა, სანუკვარი. სამშობლოს გახსენებაზე უცხო ქვეყნის საკონცერტო დარბაზში ზის და ჩუმად ტირის?

მე ვეკითხები ჩვენს გულთამხილავ პუბლიცისტს, რომელიც ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტის დროს ყველა ჩვენგანზე, თითქმის ლენინზე უფრო თანმიმდევარი და პრინციპული კომუნისტი გამოდგა, რა ატირებდა გრიგოლ რობაქიძეს, ნუთუ იმის დარდი, რომ პირსისხლიანმა ჰიტლერმა ვერ მოასწრო საქართველოს აყრა და გადასახლება შორს, ურალის გადაღმა?“

და კიდევ:

„მწერალ რობაქიძეზე მე ცოტას ვლაპარაკობ (გამოსელა სულ 15 დაბეჭდილი გვერდია.–რ.ჯ.), უმთავრესად მოგახსენებთ ადამიანზე, ვისაც ისტორიის ბნელ ღამეში გზა დაებნა და საკუთარი ქვეყნის ბედ-იღბლის ძიებისას ჩვენი სისტემის მტრების გვერდით აღმოჩნდა. მაგრამ ამით ის სამშობლოს მოღალატე, საქართველოს მტერი, ქართველი ხალხის მტერი არ გამხდარა, როგორც არ გამხდარან რუსეთისა და რუსი ხალხის მტრები ივანე ბუნინი და თეოდორე შალიაპინი. დიდმა რუსეთმა კარგა ხანია დაიბრუნა თავისი გზადაბნეული შვილები და, მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა, ეროვნულ კულტურაში თავ-თავისი ადგილი მიუჩინა...

ნუთუ ჩვენ, ათას ჭირსა და ვაებაში გამოვლილი ქართველები, დიდ რუსეთზე უფრო მდიდრები ვართ, რომ ასე ხელაღებით და დაუფიქრებლად, გამოუძიებლად და ღრმად შესწავლის გარეშე გადავაგდოთ ის, რაც გრიგოლ რობაქიძემ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში შექმნა?“

უბედურება ის გახლავთ, რომ პატივცემულ ს. ბალახაძეს ამ გამოსვლის არსებობა მისტიფიკაციად მიაჩნია და ამას არც მალავს: „თუკი იგი მართლა არსებობს წერილის სახით, თუკი ეს მწერლის სურვილიცაა, რატომ სდუმს იგი?...“

ხედავთ როგორ გაყოჩაღებულა კაცი 1989 წელს? მე კი მხარში ამომდგომი, სიმართლის საჯაროდ მთქმელი ადამიანები მაშინ ძალიან მჭირდებოდა, თუნდაც იმისათვის, შავ ბატად რომ არ გამოვჩენილიყავი. ეგ კი არა, მწერალთა მე-8 ყრილობაზე, 1976 წელს, როდესაც ტრიბუნაზე ქართული ენის სახელმწიფო ინტერესების დასაცავად ავე-

დი, იქვე ანათემაზე გადაცემა არ მაკმარეს, საგანგებო პრეზიდიუმის სხდომა მოიწვიეს და პრეზიდიუმის თითოეული წევრი აიძულეს, ჩემთვის თითო ქვა ჩაეთხლიშა.

რა ადვილია დღეს ხელების ქნევა და ალექსანდრე მაკედონელად თვის გამოცხადება.

წერილი, იგივე გამოსვლა მწერალთა მე-6 ყრილობაზე 1966 წლის

19 ივლისს (ანოტაციაში დასანახი კორექტურაა.-რ.ჯ.), 23 წლის წინათ, დაბეჭდილია კრებულში „შხაპუნა წვიმა“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989 წ. გვ.66-79), რომლის ზერელე გადათვალიერებასაც პატივცემული ს. ბალახაძე ასე აღუშფოთებია და საიდანაც ზემოთ რამდენიმე ამონაწერი დავიმოწმე.

რას იზამ, ასეთი ყოფილა ზოგიერთი მწერლის ბედი. მე იმ მღვდელსა ვგავარ, მადლი რომ შეუგინეს.

რედაქციას, რომელსაც გულწრფელად პატივს ვცემ, მიუხედავად იმისა, რომ სისხლით ნაწერი სტრიქონები, რითაც, როგორც შემიძლია, სამშობლოს ვემსახურები, საქილიკოდ გამიხადა, ვთხოვ, ყოველივე ზემოთ თქმული რეპლიკის ავტორთან ერთად გაინაწილოს.

აგვისტო 1989 წ.

ვაითუ კოკა წყაროზე გატყდეს

ვინ არიან „თურქი მესხები“? სად არის მათი სამშობლო? საიდან, როგორ და როდის აღმოჩნდნენ ისინი შუა აზიასა და ყაზახსტანში?

თუ ჩვენს საკავშირო პრესას, რადიოსა და ტელევიზიას უყოყმანოდ მივენდობით და ყველა მათს განცხადებას უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებად მივიჩნევთ, ეს არის მცირერიცხოვანი ხალხი, „მალენკაია ნაროდნოსტ“, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში, კერძოდ 1944 წელს, სტალინის ნაციონალისტური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა და მშობლიურ საცხოვრისიდან აყრილი, შეგინებული და შევიწროებული იქ აღმოჩნდა, სადაც ამჟამად გაუგონარ, ცივილიზებულ საზოგადოებისათვის წარმოუდგენელ ვანდალურ თავდასხმებს განიცდის.

ამ „თურქ მესხებს“ ჩვენი პერიოდული პრესა, რადიო და ტელევიზია ხან „მესხეთელ თურქებს“ უწოდებს, ხან უბრალოდ „თურქებს“ და ხანაც „მესხებს“.

იმტვრიე ახლა თავი და გაიგე, რომელი რომელია!

უზარმაზარ საბჭოთა კავშირში, ბრესტიდან ვიდრე წყნარ ოკეანემდე, დღემდე არ გამოჩნდა კაცი, ვინც ხელში კალამს აიღებდა და საკავშირო მკითხველს საკავშირო პრესის მეშვეობით ამცნობდა, რომ მოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არ მოიპოვება არც ქვეყანა მესხეთი, რომლის შვილები შეიძლებოდა მესხეთელებად მოგვეხსენებინა და ვერც „მესხეთელ თურქს“, მით უფრო „თურქ მესხს“ იპოვნით მსოფლიოს ხალხთა ყველაზე უფრო დაწვრილებით ნუსხაში.

ის ენით აუწერელი უბედურება, ამ სახელწოდებებში ნაგულისხმევი ხალხის თავზე რომ დატრიალდა, გაცილებით ადრე დაიწყო და კატასტროფიულად განვითარდა, ვიდრე სტალინი ამქვეყნად გაჩნდებოდა და თავის „ნაციონალისტურ პოლიტიკას“ შეიმუშავებდა.

სტალინს შეიძლება ყველაფერი მიაწერო და დააბრალო კაცმა, მაგრამ „ნაციონალისტობა“ ისევე შორსაა მისი მსოფლმხედველობისაგან, როგორც ცა და დედამიწა. თუ სტალინის მსოფლმხედველობისა და ცხოვრებისეული პრაქტიკის ამ მხრიდან განხილვა მოგვიწადინებია, მას მხოლოდ დიდმპყრობელი შოვინისტი შეიძლება ეწოდოს და არა ნაციონალისტი, ვინაიდან არც ერთი მცირერიცხოვანი ერის, მათ შორის ქართველობის, ეროვნული ინტერესები მას თავისი ზრუნვის საგნად არასოდეს არ გადაუქცევია. პირიქით, სტალინი მუდამ და ყოველთვის ძლიერი, გაბატონებული ერის, კერძოდ, რუსი ერის აპოლოგეტად და წარბშეუხრელ დამცველად გამოდიოდა და შოვინისტური ძალდატანებით პატარა ერებში ყოველივე რუსულისადმი წარბშეუხრელ მორჩილებას ნერგავდა. ერთი სიტყვით, ამ საკითხში ის იმავე პოზიციას ადგა, როგორ პოზიციასაც ჩვენს დღეებში არაფორმალური გაერთიანება „პამიატის“ წევრები ადგანან.

ჟურნალისტები და მაღალი თანამდებობის პირები, „თურქი მესხების“ პრობლემას ამა თუ იმ ასპექტით რომ ეხებიან, წინასწარ შეთანხმებულებივით გვერდს უვლიან მათს ეროვნულ წარმოშობას და სადაურობას, მხოლოდ ყრუდ და ბუნდოვნად აღნიშნავენ, სამართლიანობა მოითხოვს, ისინი თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დავაბრუნოთო. კარგ დროს არ გაგვახსენდა? ნეტავი აქამდე სად ვიყავით?

მაგრამ სად არის. ეს იდუმალებით მოცული „ისტორიული სამშობლო“, მესხეთი, საიდანაც მისი მკვიდრი მოსახლეობა, „მალენკაია ნაროდნოსტ“, ნაციონალისტი სტალინის ბრძანების თანახმად აჰყარეს და ყაზახისტანსა და შუა აზიის უდაბნოებში ჩაასახლეს? დავიჯერო, მართლა არავინ იცის, რაზე და ვიზეა ლაპარაკი?

როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ამაოდ დავშვრებით, თუ „თურქი მესხების“ ისტორიულ სამშობლოს, მესხეთს, საბჭოთა კავშირის ან მსოფლიოს რომელიმე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რუკაზე დავუწყებთ ძებნას, ვინაიდან არ არსებობს ასეთი ქვეყანა. არსებობს ქვეყანა საქართველო, რომლის ისტორიული ტერიტორია რამდენიმე შემადგენელ ტერიტორიულ ნაწილს მოიცავს. საქმეში ჩაუხედავთა თუ განზრახ ყურმოყრუებულთა გასაგონად უნდა ვთქვა, რომ ერთ-ერთი ამ ნაწილთაგანია მესხეთი, უკვდავი შოთა რუსთაველის მშობელი კუთხე, ან სხვანაირად, სამხრეთ საქართველო, თურქეთის უშუალო მოსაზღვრე კუთხე საქართველოსი.

მესხეთის ქართველ მოსახლეობას, მრავალი საუკუნის განმავლობაში მხარის ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობას რომ შეადგენდა, მესხები ეწოდებოდა და დღესაც ასევე ეწოდება. მესხობა, მესხეთის მკვიდრობა, მათ ხელს არ უშლიდა და არც დღეს უშლით ხელს იყვნენ ეროვნებით ქართველები, განუყრელი ნაწილი ქართველი ერისა, ისევე როგორც ქართლელები, კახელები, იმერლები, მეგრელები, გურულები, აჭარლები, სვანები, თუშ-ფშავ-ხევსურები და სხვა.

მსგავსად სხვა ქართული ტომებისა, მესხები უძველესი ქრისტიანი ტომია. ქრისტიანობა აქ, მესხეთში, სახელმწიფო რელიგიად მის აღიარებამდე სამი საუკუნით ადრე, წმინდა ნინოს მოსვლამდე, პირველ საუკუნეში იქადაგეს. აქვე დაირწა დიდი ქრისტიანული კულტურისა და ქართული სახელმწიფოებრივობის აკვანი. მესხეთი იყო შეუვალი ფორპოსტი, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე დანარჩენ საქართველოს სამხრეთის მეჯოგე ტომების გამაჩანაგებელი შემოსევებისაგან იცავდა და უღალატო ფარად ედგა მშობელ მიწას, ენასა და სარწმუნოებას.

XV საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით XVI საუკუნეში თურქი ურდოები, ბიზანტიის დაცემით ხელ-ფეხი რომ გაიხსნეს, მიუხედავად ქართველი მეფეების თავგანწირული ცდისა და მოწადინებისა, დაეცვათ თავიანთი საბატონო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ფეხს იკიდებენ მოსაზღვრე მესხეთში და შემდეგ თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში აქ ცეცხლითა და მახვილით ავრცელებენ მაჰმადის რჯულს. უძველეს ქართულ მიწაზე ათასობით სახლდებიან თურქი კოლონისტები, თიმარებად რომ იწოდებოდნენ. ისინი უსაშველოდ ჩაგრავდნენ მხნეობადაკარგულ ქართულ მოსახლეობას, იტაცებდნენ, ყიდდნენ აღმოსავლეთის ტყვეთა ბაზარზე, იკლებდნენ მათს ქრისტიანულ სალოცავებს, აღმოსავლური ფანატიზმისათვის დამახასიათებელი სისასტიკით ანგრევდნენ მათ ეროვნულ სახლს, ყველა ღონეს მიმართავდნენ იმათ გადასაგვარებლად, ვისაც სული ჯერ კიდევ ედგა და საკუთარ ორ ფეხზე დადიოდა.

ისევე როგორც აჭარლებს, ისტორიული მესხეთის მკვიდრთ, ოსმალთა იმპერიის ბატონობის ხანაში, 300 წელიწადს რომ გაგრძელდა,

მტრის უღელქვეშ მგმინავ მესხებს არ დაუკარგავთ მშობლიური ქართული ენა, მშობლიურ ქართულ კულტურასთან სისხლხორცეული კავშირი, გულის სიღრმეში ფარულად შენახული ქრისტეს მცნება და მამაპაპური ქართული გვარები. ქართული გვარების ნაძალადევი დაკარგვა და აქ თურქული ენის გავრცელება მოგვიანებით, რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლის ომის შემდეგ მოხდა, როდესაც კავკასიის კორპუსმა ფელდმარშალ პასკევიჩ-ერივანსკის სარდლობით ახალციხის ვილაიეთის ანუ საფაშოს 10 სანჯაყი დაიკავა, ადრიანოპოლში ხელმოწერილი ზავის თანახმად იმპერიას შემოუერთა და საზღვრის გასწვრივ კაზაკი მოსახლეობის განლაგება განიზრახა, რათა ე.წ. რუსული კორდონის შექმნით ერთგვარად უზრუნველყო ქვეყნის სამხრეთ საზღვრების უშიშროება.

ადგილობრივი ქართული მოსახლეობა, გამაჰმადიანებული . მესხები, რომლებიც ჯერ კიდევ ქართულად ლაპარაკობდნენ და გვარებიც ქართული ჰქონდათ, მიუხედავად რუსებისადმი კეთილი განწყობილებისა, თურქებად გამოაცხადეს და, როგორც იმპერიისათვის არასანდო და არასასურველ ელემენტს, წინადადება მისცეს მშობელი მიწიდან აყრილიყვნენ და თავშესაფარი თავისი დაუძინებელი მტრის — თურქეთის მიწა-წყალზე ეძიათ. რუს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთ გაგონებაც არ სურდათ იმისა, რომ ისინი ქართველები იყვნენ და უხსოვარი დროიდან აქ, თავისი მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწაზე ცხოვრობდნენ.

ათასობითა და ათი ათასობით მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი ადამიანი დედაბუდიანად დაადგა სამხრეთისაკენ მიმავალ გზას, სადაც მათ გადაშენება თუ არა, ეროვნული გადაგვარება მაინც ელოდათ.

დაიწყო მესხების ნაქონი მიწების საჯარო გაყიდვა. მიწას ყიდულობდა უკლებლივ ყველა, ვისაც ჯიბეში ფული ედო, გარდა ადგილობრივი მესხი თავადაზნაურობისა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პასკევიჩის ხელქვეითი, თვით კავკასიის კორპუსში მსახურობდა და უშუალო მონაწილეობას იღებდა ოსმალთა საუკუნოვან ბატონობისაგან მშობელი მხარის გათავისუფლებაში. თბილისისა და ჭუთაისის გუბერნიების სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, კავკასიაში ცხრა მთას იქიდან გასამდიდრებლად რომ ჩამოსულიყვნენ, მესხეთის მსხვილი მიწათმფლობელები გახდნენ. სხვა მიწები არზრუმის ვილაიეთის მკვიდრმა ქრისტიანმა სომხობამ დაიკავა, რომელთა გადმოსახლებას რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის მოწყალე ნება-სურვილით თვით ფელდმარშალი პასკევიჩი პირადად ხელმძღვანელობდა და ყველა პირობას უქმნიდა სამშობლოში თურქების მიერ უწყალოდ ჩაგრულ მოახალშეხეთ, ახალ ადგილზე საშვილიშვილოდ დამკვიდრებულიყვნენ.

ასე ძირიანად ითხრებოდა ოდესღაც დიდებით მოსილი მესხეთიდან ქართველობის ფესვი და გასაგისი.

ნახევეროდ დაცარიელებულ ქართულ სოფლებში, სადაც მოსახლეობა მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა, ვითომდა ხალხის გასანათლებლად ხელისუფლებმა ჯამეები გახსნეს და ქართველი ბავშვები აიძულეს თურქულად ესწავლათ და ელაპარაკათ. ყოველივე სხვა ეროვნულთან ერთად იდევნებოდა ქართული კათოლიკური ეკლესიაც, ვინა-

იდან იქ ქართული მღვდელთმსახურებისა და წირვა-ლოცვის უფლებას არავის აძლევდნენ, მართლმადიდებელი ქრისტიანი კი ერთობ ცოტაღა იყო. საუკუნეების განმავლობაში ქართველი კაცის მარჯვენით ნაშენები ეკლესია-მონასტრები, ქართული კულტურის ძეგლები, დღესდღეობით „ქვაბ ავაზაკთად“ რომ ქცეულიყვნენ, ამაოდღა ელოდნენ თავიანთ მრევლს.

მაჰმადიანი მესხების ეროვნული დისკრიმინაცია და ხელოვნური გადაგვარება არც 1918 წლის 26 მაისს და არც საქართველოში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის შემოსვლის შემდეგ შეწყვეტილა. პირიქით, მესხ ბავშვებს აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნეს და საგნების მასწავლებლებიც აზერბაიჯანიდან მოიწვიეს. ამას სჩადიოდა არა სხვა ვინმე, არამედ თვითონ ქართველობა, საქართველოს განათლების ორგანოები, ყალბად გაგებული ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის იდეით რომ ხელმძღვანელობდა.

აზერბაიჯანულ სკოლადამთავრებული მესხი ახალგაზრდა უმაღლესი განათლების მისაღებად არა თბილისში, არამედ ბაქოში მიდიოდა, ხოლო იქიდან ყოველივე ქრისტიანულის, ყოველივე ქართულის წინააღმდეგ ამხედრებული ბრუნდებოდა.

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, ბუნებაში არ მოიპოვება არავითარი „თურქი მესხი“, რასაც ასე გაფაციცებით, ვერ გამიგია, რა მიზნით ამკვიდრებს და ნერგავს საკავშირო პრესა და რადიო-ტელევიზია. არიან თურქები, ოდესღაც დამპყრობ ურდოებად მოსულნი და შემდეგ დამკვიდრებულნი საქართველოს მიწა-წყლის ამ ნაწილში — მესხეთში, საიდანაც შემდეგ, 1944 წელს, ისინი ხელმეორედ აჰყარეს და გადაასახლეს. არიან აგრეთვე მაჰმადიანი მესხები, ქართველები, რომელთა თურქად მოხსენიება მკრეხელობა თუ არა, საგნის სრული უცოდინარობა მაინც არის.

საქართველოში ჩვენ ვხმარობთ ამ ტერმინს „მაჰმადიან მესხს“, რათა ამით ის ქრისტიან მესხისაგან განვასხვავოთ.

1944 წლის ნოემბრის ერთ სუსხიან ღამეს ახალქალაქში დაბანაკებული ქართული დივიზია, რომელიც აქ ქერჩიდან დაბრუნდა შესაესებად და შემდგომი სამსახურის გასაწევად, ჯავახეთის მტკვრის ვიწრო ხეობაში შემოზვავებული ამერიკული სტუდაბეკერების მძლავრი მოტორების გუგუნმა გააღვიძა. მე, ამ სტრიქონების ავტორი, სწორედ იმ დივიზიაში გახლდით და ყოველივე, რაც მაშინ საკუთარი თვალით ვიხილე და ყურით გავიგონე, გუშინდელ დღესავით მახსოვს. ხეობა და მთელი მისი შემოგარენი, სადამდეც კი თვალი სწვდებოდა, უთვალავი პროჟექტორის შუქით გაეჩირაღდნებინათ. მანქანების გნიასი იდგა. ვინ უნდა ყოფილიყო? თუ ოსმალები დაგვეცნენ, საბრძოლო განგაში რად არ ცხადდებოდა? ლოგინიდან წამოცვენილი საცვლებისამარა ჯარისკაცები უაზარმის კარს მივაწყდით. რათა გარეთ გავსულიყავით და დაგვენახა, რა ხდებოდა იქ. ნურას უკაცრავად! კარის მარჯვნივ და მარცხნივ შავბოხოხიანი, თბილად ჩაცმული უცხო სამხედრო პირები იდგნენ, კალაშნიკოვის ავტომატები მოემარჯვებინათ და უხმოდ გვანიშნებდნენ, უკან გავბრუნებულიყავით და ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამოჩენისაგან თავი შეგვეკავებინა.

მხოლოდ მეორე დღეს შევიტყეთ, რომ ეს კაზაკებისაგან შემდგარი სპეციალური სამხედრო ნაწილი იყო, რომელსაც საგანგებო დავალების შესასრულებლად იყენებდნენ. მეორე დღეს შევიტყეთ აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი დივიზია, ნოემბრის იმ ავად მოსაგონარ ბნელ ღამეს გულის ძილით რომ ეძინა, ალყაშემორტყმული იყო. ჩვენ, ქართული ეროვნული დივიზიის მეომრებს, აქ საბჭოთა ქვეყნის სამხრეთ ზღუდეებს რომ ვიცავდით, არ უნდა გვენახა ის, რაც იმ ღამეს მშობლიური შესხეთის მიწაზე ხდებოდა. ალყა მხოლოდ გამთენიისას მოგვხსნეს. ამ დროისთვის ათასობით სატვირთო მანქანიდან, ღამეს რომ დღესავით ანათებდნენ და მძლავრი მოტორების გუგუნ-გრიალით იქაურობას იკლებდნენ, ერთიც აღარსად ჩანდა.

შეგვზარა დაცლილმა სოფლებმა, უპატრონოდ მიტოვებული ძაღლების ყმუილმა, კარმოღიავებულმა ქოხებმა, დაფეთებული ქათმების კრიახმა.

ეს გახლდათ კიდევ ერთი ტრაგიკული მომენტი მესხების, იგივე მაჰმადიანი ქართველების, და აქვე მცხოვრები დამპყრობელთა ნაშიერი თურქების ცხოვრებაში, რომელთა სასწრაფოდ აყრა და უზარმაზარი ქვეყნის შიდა რაიონებში გადასახლება სადღაც შორს გადაწყდა და ამ გადაწყვეტილებას თვით მამა-ღმერთიც ვერ შესცვლიდა. ასორმოცდაათი ათასი ადამიანის საცხოვრისიდან აყრას და გზაზე დაყენებას ერთადერთი ბნელი ღამე დასჭირდა. საგანგებოდ გაწვრთნილი ჯარის ნაწილს თუ შენაერთს ოპერატიულობას და სიმარჯვეს ვერ დაუწუნებდი. მან დაუჯერებლად მოკლე დროში მოახერხა სარდლობის დავალების შესრულება, თანაც უმტკივნეულოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობებისა და მსხვერპლის გარეშე!

იქნებ აქ არ იყოს საჭირო იმის გახსენება, თუ გზაში, მტკვრის ხეობიდან ყაზახსტანისა და შუა აზიის უდაბნოებამდე, რამდენი ბავშვი, მშობიარე ქალი და დავრდომილი მოხუცებული დაიღუპა, როგორ არ აძლევდნენ ნებას ჭირისუფლებს თავისი მიცვალებულები დაემარხათ, როგორ აგროვებდნენ ახალ მკვდრებს სადგურებში და ყველას ერთად ერთ საერთო ორმოში წაღმა-უკუღმა როგორ ყრიდნენ.

დანიშნულების ადგილამდე, სადაც რაფიკ ნიშანოვს თუ დავუჯერებთ, ჩამოსახლებულ „თურქ მესხებს“ უზბეკები ძმური სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ, ბევრმა ვინმემ ვერ ჩააღწია. ეს „ბევრი ვინმე“ რამდენიმე ათასი ადამიანით განისაზღვრებოდა.

რაფიკ ნიშანოვს, ეტყობა, არც კი უკითხავს, ვინ იყვნენ ეს უბედურები, აქეთ რომელმა ქარმა თუ ღვთის რისხვამ გადმოყარა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ახლა მაინც გამოთქვამდა გულისტკივილს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომელზედაც ის, როგორც ეროვნული საკითხის გამორჩევით მცოდნე მოღვაწე, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

რაფიკ ნიშანოვს და მასთან ერთად სახალხო დეპუტატთა უმრავლესობას, რომელიც ყრილობას ესწრებოდა, ეჭვიც არ შეპარვია, რომ „თურქი მესხები“, „მალენკაია ნაროდნოსტ“, როგორც მათ ამოჩემებულად უწოდებენ, სტალინმა მამა-პაპის კერას ნაციონალისტური გულღრძოობით მოსწყვიტა. მაგრამ განა ასეევ არ მოექცა ის, მაგალითად,

ყირიმელ თათრებს, ეოლგისპირელ გერმანელებს,ზღვისპირელ ბერძნებს და ზოგიერთ ჩრდილოკავკასიელ ხალხს, რომლებიც სადაც ჯერ არს ფაშისტური გერმანიის პოტენციურ მოკავშირეებად მიიჩნიეს?

საქმე სულ სხვა კუთხით გამოჩნდება, თუკი „თურქი მესხები", ანდა უბრალოდ, მესხები, როგორც ზოგიერთ პუბლიკაციაში ხანდახან გვხვდება, სრულიადაც არაა „მალენკაია ნაროდნოსტ", არამედ განუყოფელი ნაწილია იმ ერისა, ქართველი ერი რომ ქვია და რომლის გენეტიკურ ნათესაობაზე არც სტალინს და არც მისი ნების უსიტყვოდ შემსრულებელ ბერიას სიცოცხლის ბოლომდე უარი არ უთქვამთ!

მაშ, რა გამოდის? გამოდის, რომ ერთმორწმუნე თურქების შესაძლო მოკავშირე, ექვმიტანილი „თურქი მესხების", მაშასადამე, მაჰმადიანი ქართველების, სამშობლოდან აყრას და გადასახლებას საფუძვლად არა წვრილმანი ნაციონალისტური ვნებათაღელვა, არამედ სრულიად სხვა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი მიზანი სდებია, რომელიც ისევ და ისევ სტალინის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს — დიდმპყრობელურ შოვინიზმს უკავშირდება, სწორედ იმ პირსისხლიან შოვინიზმს, სტალინს, ძერჟინსკისა და ორჯონიკიძეს ლენინმა იმთავითვე რომ შენიშნა და რასაც კბილით დაგლეჯას უპირებდა.

ნუთუ ვერ უნდა მოეგოს გონს ზოგიერთი, რომ სტალინისათვის ნაციონალისტობის წინდაუხედავი მიწებება, რასაც ბოლო დროს დიდი მონდომებით ცდილობდნენ, მისთვის დიდების გვირგვინის დადგმას უტოლდება? ვინ იყო, თუ არა სტალინი, ვინც ლენინის ავადმყოფობით ისარგებლა, საკუთარ სამშობლოს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მე-11 არმია შემოუსია და, ამგვარად, ის საბჭოთა რუსეთის ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით შემოუერთა! როდის იყო, ამგვარ ბნელ საქმეებს ნაციონალისტები ჩადიოდნენ, რა შუქი საღებავებითაც არ უნდა დავხატოთ ისინი! ნუთუ იმდენად უნდა აგვიბას თვალი სიძულვილმა, რომ ჩვენს განათლებულ საუკუნეში ვერ გავარკვიოთ, ნაციონალიზმი რას ეწოდება? ნაციონალიზმი, რასაკვირველია, სწორედ იმ გაგებით, როგორც ჩვენ -გვესმის, სხვაგან კი, რამდენადაც მე ვიცი, სალანძღავ სიტყვად ის სულაც არ ითვლება!

მაშ, რად გვიბნევენ გზა-კვალს? რა სურთ? სტალინის ნაციონალისტად გამოცხადება მავანსა და მავანს იმისათვის სჭირდება, რომ ამ გზით ქართველი ხალხისადმი მისი განსაკუთრებული, სხვებისაგან განსხვავებული ლმობიერი დამოკიდებულება წარმოაჩინოს, ტყუილს ტყუილი დაამატოს და შემდეგ ამაზე ქართველთ მოძულეობის კიდევ ერთი თეორია ააშენოს!

არა და, მოხდა სწორედ პირიქით: სტალინმა თავისი მშობელი ხალხი ამჯერადაც გაიმეტა, თუმცა ამისათვის არავითარი საფუძველი და საბაბი არ ჰქონდა, საუკუნეებში მოუშლელი უსამართლობა ჩაიდინა, ასი ათასობით თანამემამულეს, მის სისხლსა და ხორცს, სამშობლო დაუკარგა და თავისი სახელი შვილისა და მონაგრის წყევლა-კრულვის საგნად აქცია.

ამაოდ მიაჩნია ზოგიერთს, რომ მესხების თავზე დატეხილ ენით გამოუთქმელ უბედურებას დანარჩენი საქართველო, უპირველეს ყოვლისა ქართველი ინტელიგენცია, გულგრილად შეხვდა. სანამ დიქტა-

ტორი ცოცხალი იყო, გადასახლებულთა რეაბილიტაციისა და შინ დაბრუნების პრობლემის წამოჭრას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ის საქმეს ვერას არგებდა, საკითხის წამომჭრელისათვის კი საბედისწეროდ დამთავრდებოდა. მაგრამ გარდაიცვალა თუ არა სტალინი, თვით მესხებმაც და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმაც არა ერთგზის ძიმართეს როგორც თბილისში. ასევე მოსკოვშიც და მოითხოვეს, ჩვენს თვალწინ დატრიალებული ისტორიული უსამართლობა ნაწილობრივ მაინც გამოსწორებულიყო.

პრობლემის სასიკეთოდ გადაწყვეტას ხელს უშლიდა ორი გარემოება: ჯერ ერთი ის, რომ გადასახლებულთ გადასახლების ადგილიდან ფეხის თავისუფლად მოცელის უფლება არა ჰქონდათ. ეს უფლება მათთვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უნდა დაეკანონებინა, და მეორე ის, რომ მიწებზე, 1944 წლის ნოემბრამდე მათ რომ ეკავათ, აგრეთვე ძალით გადმოსახლებული ახალი მოსახლეობა ცხოვრობდა. აგვეყარა ის მოსახლეობა? ერთხელ უკვე ჩადენილი ბოროტება ახალი ბოროტებით დაგვემძიმებინა?

მშობელ ქვეყანაში დაბრუნების სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ მესხებმა უარი თქვეს თავიანთ ნაფუძარზე დაბრუნების მოთხოვნაზე და ის საქართველოს ნებისმიერ კუთხეში დასახლების მოთხოვნით შეცვალეს, რასაც ქართველი ინტელიგენცია და საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა, პირადად ედუარდ შევარდნაძე, თანაგრძნობით მოეკიდა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე თანამემამულე მესხებს გეგმაზომიერ ჩამოსახლებას შეუდგა.

ასე გაჩნდნენ მაჰმადიან მესხთა სოფლები ხონის, ოზურგეთის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის და სხვა რაიონებში. ჩამოსახლებულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, როგორც კი ამის ოფიციალური ნებართვა ზემოდან მიიღო, პირადი განცხადებისა და სათანადო საბუთების საფუძველზე, დაიბრუნა თავისი ისტორიული გვარი და ეროვნება, ბავშვები ქართულ სკოლაში შეიყვანა და ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქის ცხოვრებას ეზიარა.

და აი, მოწმენდილ ცაზე გავარდა მეხი, დაიწყო „თურქ მესხთა" ვანდალური რბევა და ხოცვა-ჟლეტა ფერგანის ოლქში, უზბეკისტანში. საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოს ახალარჩეულ თავმჯდომარეს რაფიკ ნიშანოვს მიაჩნია, რომ ხოცვა-ჟლეტა უბრალო ინციდენტით დაიწყო. „თურქი მესხი", რომელიც ბაზარში ხენდროს ჰყიდიდა, და უზბეკი მყიდველი ვერ მორიგდნენ ხენდროს ფასში...

სამწუხაროა, მაგრამ სისხლიანი რბევის ეს მოტივი ნიშანოვმა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მოიყვანა და, რადგანაც დარბაზში მის წინააღმდეგ პროტესტი არავის გამოუთქვამს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ყრილობამ სარწმუნოდ სცნო.

ნიშანოეს, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რასაკვირველია, არ უთქვამს, რომ დიდი თუ მცირე შეტაკებები უზბეკებსა და „მალენკაია ნაროდნოსტის“ წარმომადგენლებს შორის წინათაც ბევრჯერ მომხდარა, მომხდარა არა მარტო ხენდროს სეზონზე, რომელშიაც დაზარალებულ მხარედ ყოველთვის „თურქი მესხები“ გამოდიოდნენ, მაგრამ ამისათვის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მზით გამთბარ რესპუბლიკაში სერიოზული ყურადღება არავის მიუქცევია.

დაიღუპა ასზე მეტი ადამიანი, თითქმის ყველა „თურქ მესხთაგანი“, დაობლდნენ ბავშვები, დაიწვა ათასობით სახლი და ავტომანქანა, „თურქ მესხებს“ რომ ეკუთვნოდა, გამძვინვარებულ მარბიელებს, თავიანთი ველური სისასტიკით კოჭლი თემურის ურდოებსაც რომ გადააჭარბეს, წინ ვერა ძალა ვერ აღუდგა, მრავალი დღის მანძილზე სისხლმოწყურებული ხალხმრავალი ბრბოს შეჩერება და დაოკება ვერ შესძლო.

ეს მაშინ, როდესაც ფერგანის ოლქში და მის გარეშემო, როგორც პრესა და რადიო-ტელევიზია იუწყება, შინაგანი სამსახურის ჯარებისა და მილიციის დიდი შენაერთები მოქმედებდნენ. მათ თურმე დაირცხვინეს, თბილისში დატრიალებული ტრაგიკული ამბების შემდეგ გამხეცებული მრავალათასიანი ბრბოს წინაშე უიარაღოდ გამოვიდნენ, ასე გასინჯეთ, ალმასივით ალესილი სასანგრე ნიჩბებიც კი არ იგულეს.

ამავე დროს ყოველ გზაჯვარედინზე გაისმის მაღალი თანამდებობის პირთა და ჟურნალისტთა ყოვლად უპასუხისმგებლო და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული განცხადებები, რომ შუა საუკუნეების დროინდელ ამ სამარცხვინო აქციაში თვით უზბეკი ხალხი არ მონაწილეობს, რომ არ შეიძლება ეს ერებს შორის ჩამოვარდნილ სისხლიან უთანხმოებად და კინკლაობად მივიჩნიოთ. მაგ სიმართლით იარეო, იტყოდნენ მსგავს შემთხვევაში ჩვენი ძველები. მართლაც და სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს. კიდევ კარგი, თვით „თურქ მესხებს“ რომ არ ადანაშაულებენ, რომ არ წერენ და ქადაგებენ, აყალმაყალიც მაგათ წამოიწყეს, ხალხიც მაგათ დახოცეს და ათასობით სახლი და ავტომანქანაც მაგათ გადაბუგესო. რაც არ უნდა იყოს, მაინც სხვა დროა. შუბი ხალათში როდის დამალულა, დღეს რომ დაიმალოს!

ახლა უკლებლივ ყველა ხვდება, რომ რაღაც უნდა ვიღონოთ, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, რადგანაც არ შეიძლება ასე უსასრულოდ გაგრძელდეს. უზბეკი ექსტრემისტების დროებით დაშოშმინება, თუნდაც სამხედრო ძალისა და უწყინარი რეზინის ხელკეტების გამოყენებით, სანდო სრულებითაც არ არის და დამშვიდების უფლებას არამც და არამც არ იძლევა. კაცმა არ იცის, ყოვლად გაუგებარი შურისძიების გრძნობა კიდევ ერთხელ როდის იფეთქებს ფანატიზმით შეპყრობილ უმართავ ბრბოში და საზოგადოებას კიდევ უფრო ძნელად გადა-

საჭრელი პრობლემების წინაშე დააყენებს. ამიტომაც მიღებულია გადაწყვეტილება, დაპყენენ არა მრავალმილიონიან უზბეკ ხალხის, არამედ რამდენიმე ათასი ექსტრემისტი უზბეკის ნებას, თავიანთი საქციელით მშვიდობისმოყვარე უზბეკ ხალხს ვითომდა რომ გამოეთიშნენ და ახლა უზბეკად აღარ იწოდებიან, და „თურქი მესხები" სადმე სხვაგან გადაასახლონ, ეროვნების გარეშე მყოფი ექსტრემისტების გავლენის სფეროს მოაშორონ.

მსგავსი სიტუაცია ჯერ საბჭოთა კავშირის ისტორიას არ ახსოვს. საით მივყევართ ულმობელ ლოგიკას? უკლებლივ ყველა რესპუბლიკას, მათ შორის საქართველოსაც, ჭარბად მოეპოვება არამკვიდრი მოსახლეობა, რომელსაც მკვიდრი მოსახლეობის, „რესპუბლიკისათვის სახელწოდების მიმცემი" ქართველების, სასიცოცხლო სივრცე უკავია. როგორ გვიბრძანებენ მხსნელი გადაწყვეტილების მიმღებნი, ჩვენც, ქართველებიც, რკინის გადანაჭრებით, კეტებით, ქვებით, ჯაჭვებით, დანებით, ნაჯახებით, ცელებით, მილიციისათვის წართმეული იარაღით შეეესიოთ საქართველოს მიწაწყალზე მცხოვრებ არაქართველთ და ამ გზით დავიბრუნოთ უამისოდაც ერთი ხელისდადება ჩვენი სასიცოცხლო სივრცე?

ხედავთ, მკითხველო? ეს წარმოუდგენელ უგუნურებად და ბარბაროსობად გამოჩნდა, როგორც კი სხვისი ცოცხალი მაგალითი იობისებურად მომთმენ საქართველოს მოვუსადაგეთ, მაგრამ ის, როგორც ჩანს, უგუნურება და ბარბაროსობა მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში ყოფილა, რადგანაც სხვაგან, სხვა რესპუბლიკებში, მაგალითად, უზბეკეთში, სავსებით ნორმალურ ქმედებად გამოიყურება და მაინც და მაინც არავის განსაკუთრებულ აღშფოთებას არ იწვევს. ეს რომ ასე არ იყოს, თავისი მოღვაწეობით უსაზღვროდ ცმაყოფილი რაფიკ ნიშანოვი ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ იქნებ არც აერჩიათ.

აქა-იქ ყონავს ხმები, რომ შექმნილი ტრაგიკული სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი „თურქი მესხების" მათს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაა. მაგრამ კერძოდ რომელია ეს „ისტორიული სამშობლო", ამის გამეღავნებას მიზეზთა და მიზეზთა გამო ჯერჯერობით ყველა გაურბის.

ქართველი ხალხი და საქართველოს მთავრობა წლების განმავლობაში შეძლების კვალობაზე გეგმაზომიერად ახორციელებდა თავის ჰუმანურ მოვალეობას, დაბრუნებულ მესხებს წინასწარ სახლებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, მთელ სოფლებს უშენებდა და ნორმალური ცხოვრების ყოველგვარ პირობებს უქმნიდა. ეს საშვილიშვილო საქმე უდიდესი ხალისითა და სიყვარულით კეთდებოდა მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უაღრესად მცირემიწიანი რესპუბლიკაა. მოსახლეობის მექანიკურმა მატებამ ომისშემდგომ წლებში და ბოლო ხანს მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა ის თითქმის გამოუვალი პრობლემე-

ბის წინაშე დააყენა. ადგილმოსანაცვლებელი და ხელახლა დასასახლებელი გაუხდა უსახლკაროდ დარჩენილი ათასობით ოჯახი სვანეთიდან და აჭარიდან, რაჭიდან და ზემო იმერეთიდან, ათი ათასობით ჰექტარი სავარგული დაიღუპა და მეურნეობისათვის სამუდამოდ გამოუსადეგარი გახდა.

ის, ვისაც საქართველოსათვის, ქართველი ხალხისათვის სიკეთე სწადია და არ უნდა მისი მიწაწყალი ძალად თავზე მოხვეული გაუგებრობის ასპარეზად იქცეს, მიზნად არ დაისახავს, უზბეკეთიდან იძულებით აყრილ ადამიანთა მასას, 400 ათას კაცს, საქართველოს კარი გაუღოს და ჰუმანური გადაწყვეტილების საფარველით მისი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განსახლება შემოგვაწეროს. საქართველო კვლავაც არ იტყვის უარს თავისი ღვიძლი შვილების — მაჰმადიანი მესხების შინ დაბრუნებაზე, როგორც არც აქამდე ამბობდა, მაგრამ ეს მისი შინაური საქმეა და როგორც ყოველ სუვერენულ სახელმწიფოს, მას თვითვე მართებს თავისი შინაური საქმეების გადაწყვეტა.

აფერუმ, უზბეკურო ექსტრემიზმო! რა ბევრი რამ შეგძლებია. შენ თვით მთელი კავშირის ძალისხმევაც ვერ გიმკლავდება. ბალღმა თქვა, გამდის და ვტირიო. შენც გაგდის. რა გაეწყობა. მაგრამ ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, ვაითუ კოკა წყაროზე გატყდეს!

1989 წ.

მოყვარე მტრად თუ მტერი მოყვარედ?

სიმართლე მოგახსენოთ, პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის გამოსვლა ტელევიზიით, სადაც ის სამუსულმანო საქართველოსთან და ქართველი ერის ერთიანი ეროვნული ორგანიზმის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებია, სამწუხაროდ, მე არ მინახავს. მას მხოლოდ ჩვენი კრიტიკოსისა და ლიტერატურისმცოდნე ბატონ რევაზ თვარაძის წერილით ვიცნობ.

ხსენებული წერილი, სათაურით „იდეალის აღსრულება" შარშანდელი „ლიტერატურული საქართველოს" ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში დაიბეჭდა.

ამთავითვე გულახდილად უნდა განვაცხადო ისიც, რომ არაერთი საყურადღებო ნაშრომის ავტორ ბატონ რევაზ თვარაძის ამ პუბლიკაციამ ჩემზე ერთობ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა და კალამს ხელში არამც და არამც არ ავიღებდი, საპირისპირო აზრის დასაბუთება გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებად რომ არ მიმაჩნდეს.

ბოლო ხანს ჩვენში მოდად დამკვიდრდა საწინააღმდეგო მოსაზრების ღვთის გმობად, ქვეყნის დამაქცეველ მკრეხელობად, თითქმის სამშობლოს ღალატად გამოცხადება. რა გაეწყობა. დრონი იცვლებიან და ყოველ დროს თავისი კაპრიზი და ახირება მოაქვს. რაც შემეხება პირადად მე, ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს გულწრფელ მამულიშვილობაში დავეჭვდე, სამშობლოს სიყვარულში გამოვეჯიბრო და ვისიმე ჩასაქოლავად და ანტიქრისტედ გამოსაცხადებლად მომხრეებს დავუწყო ძებნა. აგერ ბურთი და მოედანი! მტყუანი და მართალი აზრის პატიოსან ჭიდილში გამოჩნდება და მკითხველსაც მთელი შესაძლებლობა მიეცემა, თავისი მსჯავრი არა ვისიმე მზამზარეულ შეფასებაზე, არამედ პირად შთაბეჭდილებაზე დააფუძნოს.

მსიამოვნებს, რომ სწორედ ასე იქცევა ბატონი რევაზ თვარაძეც პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის მიმართ, რომლის შეხედულებებსაც კარდინალურად ეწინააღმდეგება, აღიარებს მის დიდ კომპეტენტურობას, საგნისადმი კეთილსინდისიერ მიდგომას, მაგრამ, ამავე დროს, გვიზიარებს თავის, პოლარულად საწინააღმდეგო თვალსაზრისსაც.

მართალია, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, სადავოდ ქცეული ტელეგადაცემა მე არ მინახავს და მის გარშემო ოპონენტის მიერ მოყვანილი ციტატების მიხედვით მსურს ვიმსჯელო, მაგრამ თავს უფლებას მივცემ, ზოგიერთი დაეჭვება მაინც გამოვთქვა.

რევაზ თვარაძე სამართლიანად წერს:

„ტელევიზიით ერთხელ მოსმენილი გადაცემის სრული სიზუსტით აღდგენა ძნელია ერთობ. მაინც ვეცდები უცვლელად გადმოვცე ის უმთავრესი, რაც ბატონმა ოთარ გიგინეიშვილმა ბრძანა".

შემდეგ ის პუნქტობრივად გადმოსცემს ამ „უმთავრესს".

„არსებობს სრულიად ცხადი რეალობა — ქრისტიანული საქართველო და მაჰმადიანი ქართველობა".

ადვილი მისახვედრია, რომ „ქრისტიანული საქართველო" აქ სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ ერთეულად, ქრისტიანი ქართველებით დასახლებულ ხელშესახებ ტერიტორიად არის წარმოდგენილი, ხოლო რაც შეეხება „მაჰმადიან ქართველობას", ამაზე ამასვე ვერ ვიტყვით.

იგი როგორღაც ჰაერში გამოკიდებული, აბსტრაქტული გამოგვიდის, არა და სამართლიანობა მოითხოვდა, უფრო ლოგიკურიც იქნებოდა, თუ ვიტყოდით „ქრისტიანულ საქართველოს“, ამავე ლოგიკური აუცილებლობით გვეხმარა „მაჰმადიანი საქართველოც“ და არადამაკნინებელი „მაჰმადიანი ქართველობა“.

ეს, თვით რევაზ თვარაძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ცხადი რეალობაა“. მაგრამ, ამავე დროს, როგორც ერთი ისე მეორე ცნება ნაკლოვანია, ვინაიდან სინამდვილეს, „რეალობას“ სრულად ვერ ასახავს. არ არსებობს ასე განცალკევებულად და ურთიერთდაპირისპირებულად არც ქრისტიანული და არც მაჰმადიანური საქართველო. საქართველო, მით უფრო ისტორიული საქართველოს მიწა-წყალი, ერთია და ამ ერთ საქართველოში სხვადასხვა სარწმუნოებრივი აღმსარებლობის ქართველები ცხოვრობენ.

მე მგონია, რევაზ თვარაძეს მთლიანად ზუსტად ვერ უნდა მოჰყავდეს მისი ოპონენტის მიერ ტელევიზორის ეკრანზე ნათქვამი სიტყვები. ბატონ ოთარ გიგინეიშვილს არ შეეძლო ეთქვა, რომ არსებობს სრულად ცხადი რეალობა — „ქრისტიანული საქართველო“ და „მაჰმადიანი ქართველობა“, ხოლო თუ სიტყვა გადაუბრუნდა და მან ეს მართლაც თქვა, მაშინ კრიტიკულად განწყობილ რევაზ თვარაძეს მართებდა, დუმილით არ აევლო გვერდი შეუსაბამობისათვის და იგი სააშკარაოზე გამოეტანა.

იმავე პუნქტში ვხვდებით კიდევ ერთ უზუსტობას, რასაც პირადად მე აგრეთვე ვერ მივაწერდი პროფესორ ოთარ გიგინეიშვილს.

ბატონი რევაზ თვარაძე თავისი სიტყვებით გადმოგვცემს ოპონენტის თვალსაზრისს და წერს, რომ „საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ყოველი მეოთხე ქართველი ისლამის მიმდევარია“ და იქვე დაასკვნის: „ეს კარგად ესმოდათ ჩვენს წინაპრებს (ვინ არიან „ჩვენი წინაპრები“? — ქრისტიანი ქართველები! - რ.ჯ.) იმ ზომამდე, რომ არამცთუ აღიარებდნენ და არ ეწინააღმდეგებოდნენ ქართველთა ერთი ნაწილის მაჰმადიანურ აღმსარებლობას, „ყურანიც“ კი უთარგმნეს, რათა მათ თავიანთი სარწმუნოება ქართულად აეთვისებინათ“.

რა გამოდის? გამოდის, რომ მაჰმადიანმა ქართველებმა, რომელთაც მშობლიური ქართული ენა ქრისტიან ქართველებზე ნაკლებად არ ემარჯვებოდათ და ხშირ შემთხვევაში დღესაც არ ემარჯვებათ, თავიანთი საღვთო წიგნი „ყურანი“ თვით კი არ თარგმნეს, რათა თავიანთი ახალი სარწმუნოება „ქართულად აეთვისებინათ“, არამედ მათ ეს საქმე ჩვენმა ქრისტიანმა წინაპრებმა გაუკეთეს, ვინძლო თქვენი სარწმუნოება ქართულად აითვისოთო.

შეეძლო ეს ეთქვა ბატონ ოთარ გიგინეიშვილს? ჩემი ღრმა რწმენით, არ შეეძლო, ხოლო თუ ეშმაკი შეუჩნდა და მაინც თქვა, ბატონ რევაზ თვარაძეს, რაკი კრიტიკულად იყო განწყობილი, არ უნდა გამორჩენოდა ოპონენტის აშკარა შეცდომა და ამ შეცდომაზე პირუთვნელად უნდა მიეთითებინა.

„მაჰმადის რჯული ქართველის ქართველობას ხელს არაფრით უშლის, — გადმოგვცემს ოთარ გიგინეიშვილის დამაგვირგვინებელ აზრს რევაზ თვარაძე. — მრავლად არიან ისლამის თვით ფანატიკური აღ-

მსარებელნი, რომელთაც არც უფიქრიათ თავიანთი ეროვნული მეობის — ქართველობის დათმობა და დაკარგვა".

ეს დებულება, რომლის გამაგრება ათასი ისტორიული ფაქტით შეიძლება, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ახალი არ არის. ოთარ გიგინეიშვილი იმეორებს ერის დიდი მამების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას და სხვათა გაბატონებულ აზრს, რომელიც საფუძვლად უდევს ყველა სარწმუნოების აღმსარებელი ქართველის თვალსაზრისს, რაზედაც აქამდე ვიდექით და მომავალშიაც, სანამ ქართველს ქართველი ჰქვია, გონიერ წინაპართა მიერ დამკვიდრებული ტრადიცია არ მოიშლება!

„რა უნდა გვქონდეს სადავო ამ დებულებებთან?" - გვეკითხება ქვემოთ ბატონი რ. თვარაძე. — თითქოს სავსებით სწორი, სავსებით ლოგიკური დებულებებია, თუკი გავიზიარებთ მათი ავტორის ამოსავალ პრინციპს".

მაშ, ის, რაც აქამდე წავიკითხეთ, ე.ი. რაც პროფესორ ოთარ გიგინეიშვილს ტელეეკრანზე ულაპარაკია, სადავო არაა, სავსებით სწორი, ლოგიკური დებულებებია. ეს მით უფრო ცხადი გახდება, როდესაც ავტორის „ამოსავალ პრინციპს" გავიზიარებთ.

მაგრამ რა არის ოთარ გიგინეიშვილის „ამოსავალი პრინციპი"?

„ამოსავალი პრინციპი, - წერს ბატონი რ. თვარაძე რამდენადაც მე გავიგე, ის არის, რომ ეს ულმობელი რეალობა თავისი არსებით შეუცვლელია, შეუქცევადი, უალტერნატივო, ამ საქმეს აღარაფერი ეშველება, მაჰმადიანი ქართველობა იმთავითვე განწირულია. სწორედ ეს ამოსავალი პრინციპი მიმაჩნია სადავოდ".

არ შევუდგები იმაზე მსჯელობას, თვარაძეს ცოტა მეტი დაკვირვება მართებდა, რათა თავისი აზრის გრაფიკული გამოსახულების შინაგანი წინააღმდეგობა დაეძლია-მეთქი, თავში მისაღებად არ ეცნო ის, რასაც ბოლოში სადავოდ თვლის-მეთქი, მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ მხოლოდ იმას, იმ მთავარს, რაც თვარაძისეული პუბლიკაციის დედააზრს წარმოადგენს, რისთვისაც ის დაიწერა.

რევაზ თვარაძეს მიაჩნია, რომ სარწმუნოებრივი აღმსარებლობის განსხვავება ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შორის შეუძლებელს ხდის მათს ეროვნულ ერთიანობას და ვიდრე ეს სარწმუნოებრივი ერთიანობა ქართველთა ტრადიციული რელიგიის - მართლმადიდებლური ქრისტიანობის სასარგებლოდ აღდგენილი არ იქნება, ერის მონოლითურ ერთიანობას ვერც ვერასოდეს მივაღწევთ.

„ბატონ ოთარ გიგინეიშვილის ფორმულა, სისხლი - ქართული, ენა - ქართული, სარწმუნოება ქრისტიანულიც და მაჰმადიანურიც, - წერს რევაზ თვარაძე. - მივიღოთ ეს ფორმულა და წარმოვიდგინოთ იდეალური... ვითარება: საქართველოში და მის საზღვრებს გაღმა მცხოვრები ქართველობა გაერთიანდა, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში სახლობს... ერთ ენაზე მეტყველებს, ეკონომიკაც ერთი აქვს, სოციალური წყობაც. საკმარისი იქნება თუ არა ეს ფაქტორები ს უ ლ ი ე რ ი ერთობის დასამკვიდრებლად?"

წერილის ავტორი ამ აზრს კიდევ უფრო ამუქებს და მას კიდევ მეტ კატეგორიულობას სძენს: „განმეორება არ უნდა სჭიდებოდეს იმას, რომ სულიერი ერთობის გარეშე ერს ერი არ ეთქმის".

ვითომ სჭირდება კი განმარტება? ვისთვის ან რისთვის უნდა განვმარტოთ ის, რაც ყველასათვის საყოველთაოდ ცნობილია? მაგრამ მსჯელობის უფრო მეტი სიზუსტის მიღწევის მიზნით იქნებ მაინც აჯობოს, წყაროსთავს მივუბრუნდეთ და ყოველი სიტყვა თავის ადგილზე დავსვათ?

რა არის ერი?

აი, მისი კლასიკური განსაზღვრება, რომელიც, მართალია, იოსებ სტალინის კალამს ეკუთვნის, მაგრამ, მიუხედავად მთელი საისტორიო მეცნიერების დიდი მცდელობისა, ჯერ არავის უარუყვია: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, აღმოცენებული ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრების და ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომელიც კულტურის ერთობაში ვლინდება".

რაღა თქმა უნდა, თუ ცნებას, ჩვენს შემთხვევაში ერის ცნებას, მისი განმსაზღვრელი ერთი არსებითი ნიშანი აკლია, ის საგანს ვერ გამოხატავს, ანუ ეს საგანი ის არ იქნება, რაც ჩვენ გვგონია.

დავუბრუნდეთ იდეალურ ვითარებას, რევაზ თვარაძემ რომ დაგვიხატა: ქართველებმა თავი მოიყარეს ერთ ტერიტორიაზე და აკმაყოფილებენ ერის ცნებაში ნაგულისხმევ ყველა პირობას, მხოლოდ ერთადერთი – „სულიერი ერთობა" აკლიათ.

რა გამხდარა საჭოჭმანო? სარწმუნოებრივი აღმსარებლობა!

ბატონი რევაზ თვარაძე, ჩემის აზრით, საესებით სწორად თვლის, რომ მართლმადიდებელი ქართველი ერის კულტურა ქრისტიანული კულტურაა და ამ კულტურის მიჩნევა სულიერ ცხოვრების ერთ განუყოფელ ნაწილად ერის განსაზღვრებაში ურყევ ადგილს იჭერს.

ასევე ქრისტიანულია მთელი რენესანსული კულტურაც, მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, ხუროთმოძღვრება, რომელმაც ჩანასახშივე საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობა დაიმკვიდრა და ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ შუა საუკუნეებში, კერძოდ, რეფორმაციის წლებში, ქრისტიანული რელიგია რამდენადმე ანტაგონისტურად დაპირისპირებულ რელიგიურ მიმდინარეობად დაიყო, გაჩნდა ერთი მხრივ მართლმადიდებლური, მეორე მხრივ, კათოლიკური, შემდეგ პროტესტანტული და სხვა და სხვა ეკლესია.

თუ ბატონ რ. თვარაძის ჰიპოტეზას ჰეშმარიტებად მივიჩნევთ, სარწმუნოებრივ განხეთქილებას თვით ქრისტიანობის შიგნით ევროპის დიდი და მცირე ერების შინაგანი რღვევა უნდა გამოეწვია. მართალია, ქრისტე — ძე ღვთისა და მაჰმადი — წინასწარმეტყველი ერთმანეთს გამორიცხავენ, მაგრამ ნაკლებ როდი გამორიცხავენ ერთმანეთს ჯვარცმული ქრისტე, რომელზედაც კათოლიკე ქრისტიანი ლოცულობს და იგივე ქრისტე, რომელიც პროტესტანტ ქრისტიანს სწამს! მონოფიზიტური და დიოფიზიტური შეხედულებები ქრისტეს ღვთაებრივ და კაცობრივ არსებაზე, როგორც ცნობილია, ერთმანეთს უპირისპირდებიან. რა და რატომ მოხდა წმ. ბართლომეს ღამეს? რისთვის და ვის შორის იღვრებოდა ზღვა სისხლი რელიგიური ომების დროს?

ყოველივე ეს სწორედ ასე მოხდა, მაგრამ სარწმუნოებრივ განხეთქილებას ევროპის ერები, არც დიდი და არც მცირე, არ დაურღვევია, ფრანგი ფრანგად დარჩა, ესპანელი ესპანელად, გერმანელი გერმანე-

ლად, ჩეხი ჩეხად, პოლონელი პოლონელად, ჰოლანდიელი ჰოლანდიელად!

როდესაც ამას ვამბობ, გარდა რელიგიურისა, მე არ ვგულისხმობ სხვა სახის ძალმომრეობას, როდესაც კაცს სახელსა და გვარს ართმევენ და პასპორტში საკუთარი გვარ-სახელისა და ეროვნების ნაცვლად მოძალადის ნაკარნახევ გვარ-სახელსა და ეროვნებას უწერენ, რაც ჩვენს დროშიც კი არ აღკვეთილა და კვლავაც იფურჩქნება მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში.

რას მოასწავებს ეს? სად უნდა ვეძიოთ ბატონ რ. თვარაძის ლოგიკური შეცდომის სათავე? „ფსიქიკური წყობის" ცნების თვითნებურად შევიწროებაში, იმ ფსიქიკური წყობისა, „კულტურის ერთობაში" რომ ვლინდება.

რევაზ თვარაძემ, სურდა თუ არა მას ეს, „ფსიქიკური წყობის", „კულტურის", სულიერი ცხოვრების მთელი მრავალფეროვნება და მრავალდარგობრივობა ამ „წყობის" ერთ-ერთი შემადგენელ ნაწილზე — რელიგიურ აღმსარებლობაზე დაიყვანა და შედეგიც საგანგებო მიიღო! მსჯელობის დროს ხელში შემოადნა ერის განსაზღვრების მეოთხე არსებითი ნიშანი და, რაღა თქმა უნდა, ერიც „გაქრა", „გაქრა", თუმცა არა მთლიანად, ნაწილობრივ, არსებობა მხოლოდ მისმა ქრისტიანულმა ნაწილმა შეინარჩუნა!

„სად ვეძებოთ სრულიად საქართველო, ერთიანი და განუყოფელი?" — გვეკითხება რევაზ თვარაძე.

რა დაემართა ქართველობის ძალად გამაჰმადიანებულ ნაწილს? თუ ბატონ რ. თვარაძის მსჯელობას გავყვებით, ძნელი და შეუძლებელიც კია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თავისი გამაჰმადიანებით, ნებით მოხდა ეს თუ ძალით, ეს ნაწილი მოწყდა მშობლიურ ნიადაგს და, ამგვარად, ცაში გამოეკიდა, დაჰკარგა თავიისი ეროვნული სახე, რადგანაც „ქართული ისლამური კულტურა საერთოდ არ არსებობს!".

ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, საით მიგვაქანებს საგნების ლოგიკა? გამაჰმადიანებული ქართველები, ვთქვათ, აჭარლები, მესხები, ინგილოები, ლაზები არათუ აღარ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორგანული და განუყოფელი ნაწილი ქართველი ერისა, არამედ საერთოდ ეროვნებადაკარგულ, ეროვნების გარეშე მდგომ ხალხად უნდა მივიჩნიოთ!

თვით ბატონ რ. თვარაძის სიტყვა რომ ვიხმაროთ, არ უნდა „შევძრწუნდეთ" ამ მარგალიტების გამგონენი? ვის და სად სმენია ასეთი რამ? ვისგან ვისგან და, რევაზ თვარაძისაგან სწორედ არ მოველოდი! აკი თავადვე წერს და სწორადაც წერს წერილის ერთ ადგილას: „ამ საკითხს ძალზე ფრთხილად უნდა მიდგომა. კარგად გაუაზრებელმა და ნაჩქარევმა აქციებმა შესაძლოა დიდ საფრთხეს გადაგვკიდოს. იმის ნაცვლად, რომ მოსისხლე მტერს ყოველი ღონით გული მოვუბრუნოთ და ჩვენი სიკეთე შევაგნებინოთ, მოყვარეც მტრად გადავიკიდოთ?" თუ ღმერთი გწამთ, როგორი „აქციაა"? დავიჯეროთ, მართლა „კარგად გააზრებული" და სოფლის სასწორზე აწონილ-დაწონილია?

თუ ეს ასეა, მაშ, რად მიიღო უდიდეს ეროვნულ დღესასწაულად მთელმა ქართველმა ხალხმა, განურჩევლად სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა, სამასი წლის განმავლობაში დამპყრობელის უღელქვეშ მგმი-

ნავი გმირი აჭარის დედა-სამშობლოს წიაღში დაბრუნება? რისთვის დასტრიალებდნენ მას თავს საქართველოს უკეთესი შვილები, რისთვის იქცა სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ძალად გამაჰმადიანებული, მაგრამ მთელი თავისი არსებით თავისი მამაპაპური ტრადიციების უყოყმანოდ ერთგული აჭარა ერის ერთ უპირველეს საფიქრელად და საზრუნავად? რისთვის იღწვოდნენ თვით აჭარელი ქართველი მოღვაწენი — მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, გულო კაიკაციშვილი და ათობითა და ასობით მათი მიმდევრები, ნუთუ იმისათვის, რომ აჭარისათვის თავზე ძალად მოხვეული ისლამი გაედევნათ თუ სხვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივად ღირებული ეროვნულ-პოლიტიკური მიზნები ჰქონოდათ?

რას იტყოდნენ ისინი, მოსისხლე მტრის ტყვეობიდან იარაღის ძალით დახსნილი აჭარის ღვიძლი შვილები, თავდადებული ქართველები, რომელთაგან ერთი, სამშობლოს ვალმოხდილი ჰაიდარ აბაშიძე, სხვა ქართველი მოღვაწეების გვერდით დიდების წმინდა მიწაში განისვენებს, მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს ქართველი პუბლიცისტის ხელიდან გამოსული ასეთი სიტყვები რომ წაეკითხათ:

„სარწმუნოებრივი არგუმენტების გარეშე მიშველ დეკლარაციად, ცარიელ ფრაზებად რჩება გამოთქმები „ჩვენ ძმები ვართ" და „ჩვენი საერთო ისტორია...".

ხედავთ? თურმე არც ისტორია გვქონია ერთი! თურმე შემდგომში ძალად გამაჰმადიანებული მესხეთის, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივობის აკვნის, საუკუნეობრივი გმირული ბრძოლა, მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს რომ გაჩაღდა და მთელს ოთხას წელიწადს არ შეწყვეტილა, ბრძოლა სარწმუნოებისა და მშობელი მიწის შესანარჩუნებლად, მთელი ქართველი ხალხის ბრძოლის, სრულიად საქართველოს ერთიანი ისტორიის ნაწილი არ ყოფილა! აღარ ვიცი, რა ვთქვა. დავიბენი. ერთი წუთითაც არ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ყოველივე ეს, ანბანური ჭეშმარიტება, არ იცის ბატონმა რევაზ თვარაძემ, ახლა პირველად ესმის, პირველად გაიგონა! მაშ, რატომ წერს საპირისპიროს? რა ძალა დასდგომია? რად განუზრახავს დღემდე ყველასათვის ნათელი ფაქტების დაბნელება?

„ქართველი ერის ისტორია არის ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი ე რ ი ს (ხაზგასმა რევაზ თვარაძისაა.–რ. ჯ.) ისტორია." —გვარწმუნებს შემდეგ ბატონი რევაზ თვარაძე და მე აღარ ვიცი, რა ვიფიქრო, წერილის ავტორის ეს კატეგორიული განცხადება ისე როგორ გავიგო, რომ შიგ ისტორიის „შემაძრწუნებელი" გაყალბება არ ამოვიკითხო!

ვაი რომ ჩვენი პატივცემული მკვლევარის ნაწერი უბრალო „ლაფსუს ლინგვა" არ არის. ეს მისი კონცეფციის დედააზრია, რასაც ავტორი წარბშეუხრელი თავდაჯერებით ანვითარებს:

„რანაირად უნდა შეითვისოს და შეისისხლხორცოს გულმხურვალედ მორწმუნე მაჰმადიანმა ქართველმა ქრისტიანული კულტურა? თუკი შეითვისა, შეისისხლხორცა, გაითავისა(?) და შეიყვარა, ისლამის მიმდევარი ველარ დარჩება! თუ ვერ შეიყვარა და ვერ გაითავისა(?), ის აღმოჩნდება უისტორიო, უწარსულო, სულიერ საყრდენს მოკლებული ელემენტი, რომელიც ორგანულად ვერ ჩაერთვება ერის კულტურულ ცხოვრებაში, მომავლის აღმშენებლობის საქმეში".

არ ვიცი, არ მიკითხავს, „გულმხურვალე მორწმუნე მაჰმადიანები“ არიან თუ არა ჩემი აჭარელი კოლეგები და მეგობრები, რომელთაც არა აჭარელ, არამედ აჭარაში მომუშავე ქართველ პოეტებს ვეძახით, ფრიდონ ხალვაში, მამია ვარშანიძე, ჯემალ ჯაუელი, ზურაბ გორგილაძე, ჯემალ ქათამაძე და სხვები, ერთი ძლიერი გუნდი და შემოქმედი ქართული პოეტური სიტყვისა, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ერთადერთი სალოცავი სამშობლო, რომელიც მათ ჩვენთან, დანარჩენ ქართველებთან ერთად გააჩნიათ, საქართველოა, ხოლო ერი, რომელსაც სულითა და ხორცით ეკუთვნიან, ქართველი ერია!

ნუთუ მათი შემოქმედება ნაწილი არ არის ქართველთა „სულიერი წყობისა“? ნუთუ ქართული ხელოვნების — თეატრის, მხატვრობის, მუსიკის, ხუროთმოძღვრების, მეცნიერების სხვადასხვა აჭარული ფრთა არ წარმმოადგენს იმას, რასაც კრებითი სიტყვა „კულტურა“ გამოხატავს? ნუთუ საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთ და არა ერთადერთ ფორმას - რელიგიას, ამ შემთხვევაში ისლამს, ძალუძს ყოველივე ეს გადასძლიოს და ადამიანის სულში მონოპოლიური მდგომარეობა დაიკავოს?

აქ ნამდვილად დავამთავრებდი, ბატონ რ. თვარაძის წერილში თავიდან ბოლომდე გატარებული კიდევ ერთი აზრი რომ არ ითხოვდეს პირდაპირ, პატიოსან პასუხს.

რა მირჩევნია მე, ამ წერილის ავტორს, ცისქვეშ მცხოვრები ყველა ქართველი, აჭარელი იქნება, მესხი თუ ინგილო, ქრისტიანი იყოს თუ მაჰმადიანი? ქრისტიანი! ამას კითხვა უნდა? მაგრამ რა ვუყოთ, თუ ისტორია, საგნების „სრულიად ცხადი რეალობა“ ჩვენს ნებასა და სურვილს არ ექვემდებარება? ისტორიულმა ძნელბედობამ დაგვმართა ის, რაც გვჭირს, მაგრამ რაც გვჭირს, ფაქტია, ობიექტური „რეალობაა“, ხოლო რაც ფაქტია და ჩვენდა დამოუკიდებლად არსებობს, მას ანგარიშის გაწევა სჭირდება.

„იდეალის აღსრულება“ — ასე დაასათაურა თავისი წერილი ბატონმა რევაზ თვარაძემ. რას გულისხმობს ის ამ იდეალად? დროს, როდესაც ყველა მაჰმადიანი აჭარელი პირჯვარს დაიწერს და მაცხოვრის ხატის წინაშე, ისევე როგორც მისი არცთუ შორებელი მამა-პაპა, მოწიწებით მუხლს მოიყრის. რამდენადაც მე გამეგება, სხვა იყო და არის ჩვენი უზენაესი ეროვნული იდეალი. ეს გახლდათ ურიცხვი შემოსევებით, ხოცვა-ყლეტითა და ტყვევნით დაქუცმაცებული ქართველი ხალხის გაერთიანება, ერთი რწმენითა და ნებისყოფით შეკვრა (გთხოვთ, „რწმენას“ „სარწმუნოებაში“ ნუ აურევთ! - რ. ჯ.) იმის ძიება და პოვნა, რის საფუძველზედაც შეგვიძლია გაერთიანდეთ და არა იმის გამოკიდება, რაც გვთიშავს და ერთმანეთს გვაშორებს.

ეს ერთი. მეორე: თუ ისტორიაში ჩავიხედავთ, თუნდაც მარტოოდენ მშობლიურ ისტორიას გადავავლებთ თვალს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ქრისტეს მოძღვრება, ქრისტიანობა არ არის ის ფანატიკური რელიგია, რომელიც ზოგიერთი სხვა რელიგიის, მაგალითად, ისლამის, მსგავსად, ცეცხლითა და მახვილით ერცელდებოდა. ეს არ მომხდარა მაშინაც კი, როცა განათლებული ევროპის ყოველ გზაჯვარედინზე ინკვიზიციის კოცონები ენთო და ყოველი ცოცხალი აზრი იდევნებოდა. ქრისტიანობას არასოდეს ტრაგიკული ალტერნატივის წი-

ნაშე არ დაუყენებია არამცთუ არც ერთი ერი ან მისი ნაწილი, არც ერთი ადამიანი – ან, ან!.. ან გაქრისტიანდები, ანდა სულს შენს ღმერთს ჩააბარებ!

მაშ, დღეს რაღა დაგვემართა, როგორ ვიცვალეთ ასე ზნე და ფერი, რომ დღევანდელი ქრისტიანი ქართველები არჩევანის წინაშე ვაყენებთ ისტორიულ ბედისწერისაგან ჩვენზე უფრო განაწამებ მაჰმადიან თანამოძმეთ — ან გაქრისტიანდით, ან უარი თქვით ქართველობაზე, ვინაიდან უისტორიო ხართ, უწარსულო, სულიერ საყრდენს მოკლებულნი, „ორგანულად ვერ ჩაერთვებით ერის კულტურულ ცხოვრებაში, მომავლის აღმშენებლობის საქმეში“.

მართლა და მართლა, ღმერთი აღარ არის? სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ იმას მაინც არ უნდა გავუწიოთ ანგარიში, რომ მსგავსი თვითნებობის, ადამიანის სინდისზე უდიერი ძალდატანების უფლებას კონსტიტუციაც არ იძლევა, რომ ამგვარი წინდაუხედავი მოქმედება გულისწყრომას იწვევს და საზოგადოებრივ გაკიცხვას იმსახურებს?

მაგრამ ზემოთ თქმული სრულებითაც არ უნდა გამიგონ ისე, თითქოს მაჰმადიანი ქართველების, მათ შორის აჭარლების, მამაპაპური სარწმუნოების წიაღში დაბრუნებას ვეწინააღმდეგებოდე, ამას ჩვენთვის სასურველ მოვლენად არ ვთვლიდე და დროთა განმავლობაში შეუძლებელ საქმედ მიმაჩნდეს. პირიქით და ათასგზით პირიქით! თუკი დადგა დრო, როდესაც სამშობლოსაგან მოწყვეტილი აჭარის მიწა-წყალზე ქრისტიანობის მაგიერ ფეხი ისლამმა მოიკიდა, რატომ არ შეიძლება, უკუპროცესიც მოხდეს?

აი, რას წერდა ამის თაობაზე ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაში იმავე გაზეთის ნომერში, რომელშიაც რევაზ თვარაძის წერილი დაიბეჭდა:

„ჩვენთვის საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის რელიგია ქართული ენაა. ამაში ისიცაა ნაგულისხმევი, რომ ქართულად მოლაპარაკე, ყველგან, რომელ რელიგიასაც არ უნდა მისდევდეს, ქართველია“.

სიწრფელითა და შინაგანი სიმართლით განმსჭვალული ამნაირი ლოზუნგი თავის სანატრელ „მემლექეთ“ საქართველოსაკენ მობრუნებულ, ჯერ კიდევ უცხო სამყაროში მყოფ მილიონობით თანამემამულეს გულს გაუმაგრებს, ეროვნულ თვითგამორკვევაში დაეხმარება. თუ ჩვენ მხოლოდ ერთადერთი რელიგიის მიმდევარნი ვცანით ქართველებად, ყველა ძველი და ახალი მტრის საქმეს გავაკეთებთ.

მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მუსულმან ქართველთა სულში თავისი ერის ძველი რელიგიისაკენ, მართლმადიდებლობისაკენ, უკვე გაღვივებულ ლტოლვას ხელი არ შევუწყოთ. ეს პროცესი ხანგრძლივი და რთულია. ამას მოთმინება, თანადგომა, ნდობა, გაგება და

ისევ ერთმანეთის დიდი სიყვარული სჭირდება. ბევრმა ვიცით აჭარელთა ბევრი ახალგაზრდა ოჯახი უკვე დაუბრუნდა თავის წინაპართა რელიგიას, ქრისტიანობას. მალე რესტავრირებულ იქნება სხალთის ტაძარი და იქ მსახურად მოვა იქაური მკვიდრი, რომელიც ამჟამად სასულიერო სემინარიაშია. ხოლო აჭარის ტერიტორიაზე საღსალამათად ფეხზე მდგარი ყველა მართლმადიდებლური და კათოლიკური ქართული ძეგლი მალე თავის ჭეშმარიტ პატრონს ჩაბარდება. მაგრამ საჭიროა კატეგორიულად და შეურყევლად დადგინდეს, რომ აქ მოქმედ ეკლესიებში წირვა-ლოცვა მხოლოდ ქართულ ენაზე იქნება.

აი, ბატონებო, თუ გნებავთ, „იდეალის აღსრულება". ეს გახლავთ იდეალი, რომლისთვისაც თავის გამოდება ნამდვილად ღირს, ყველა სხვა იდეალი კი ეშმაკისეულია და მას პირუკუღმა უნდა მივაფურთხოთ!

1989 წ.

გულისა და სინდისის ქარნახით

რა მცირეც უნდა იყოს ნამდვილ, საქვეყნოდ აღიარებულ თანამედროვე ქართველ პოეტთა რიცხვი, დღესდღეობით ჩვენს გვერდით რომ მოღვაწეობენ, თუნდაც ოთხი ან ხუთი, მათ შორის შოთა ნიშნიანიძის სახელი აუცილებლად იგულისხმება.

შოთა ნიშნიანიძის მთელმა შემოქმედებითმა ბიოგრაფიამ, როგორც ჭეუკეიან, დასაბამიდან დღემდე, ჩემს თვალწინ გაიარა. ამ ხნის, ოთხი ათეული წლის განმავლობაში მან არა ერთი და ორი შთაგონებული ზეგარდმო ნიჭის ტვიფრით აღბეჭდილი პოეტური ნაწარმოები შექმნა. მის პოეზიას იმთავითვე ახასიათებდა არჩეული თემის ღრმა განცდა, პოეტური მეტყველების ეროვნული თავისებურება, მონუმენტური გამომსახველობა და სისხლხორცეული კავშირი პოეტურ აზროვნებასთან.

შოთა ნიშნიანიძის ლექსებს ასაზრდოებს ქართული ფოლკლორის ნოყიერი. ნიადაგი. იგი მჭიდროდ დასახლებულია ქართული ზღაპრებისა და ლეგენდა-თქმულებების პერსონაჟებით. მაგრამ თვით ფორმა ლექსისა, მისი აღნაგობა, ხალხურ ტრადიციულ ფორმებს ერთობ დაშორებულია, ნედლი მასალა გადახარშულია ავტორის სულის ქურაში და მთლიანად პოეტის ხელწერისათვის დამახასიათებელ ყალიბშია ჩამოსხმული. მისი ლექსი, რისადმიც არ უნდა იყოს მიძღვნილი, თქვენს გულს უმალ ინადირებს უშუალობითა და შეფარული ნაღველით, რაც პირველაღმოჩენის თავშეკავებულ სიხარულთანაა შერწყმული.

შემთხვევითი. როდია, რომ პოეტის ლექსებიდან ამოღებული. ცალკეული ფრაზები და პასაჟები ფრთიან თქმებად გავრცელდა ხალხში. ხშირად გვხვდება ისინი პრესის ფურცლებზეც და თანაც არა როგორც ავტორის შემოქმედების ნიმუშები, არამედ იდიომისებურად ჩამოქნილი სიტყვათშეთანხმებანი, რომლებიც ვერავითარ თვითნებურ ჩარევასა და ვისიმე გემოვნების. მიხედვით გადაკეთებას, პერიფრაზირებას ვერ მოითმენ.

მახსოვს ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ პერიოდულ გამოცემაში შოთა ნიშნიანიძის ერთი მშვენიერი ლექსი ხალხურ ლექსად გამოაქვეყნეს, თუმცა, როგორც ზემოთაც ვამბობდი, ხალხური პოეზიის ტრადიციულ ფორმებთან მას საერთო არაფერი ჰქონდა. ლექსი, რა თქმა უნდა, მართლაც ხალხში იყო ჩაწერილი, პირიდან პირზე გადასული, მაგრამ იმ ჩვენი ფოლკლორისტის არცთუ საქებრად უნდა ითქვას, რომ იგი არა ხალხს, არამედ ერთ ჩვენს თვალსაჩინო პოეტს — შოთა ნიშნიანიძეს ეკუთვნოდა.

შემოქმედი ადამიანის ნიჭის მასშტაბი და მისი ხელიდან გამოსული ქმნილების მხატვრული ავ-კარგი პოპულარობის ნიშნით აროდეს გაზომილა, მაგრამ იგივე პოპულარობა არას ავნებს ჭეშმარიტ პოეტს, პირიქით, იგი სწორედ იმას მიანიშნებს, რომ ოლიმპიდან გადმოსროლილი პოეტური სიტყვა ადამიანის გულის სიმებს შეეხო და იქ სამუდამო ადგილსამყოფელი მოიპოვა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყოფნისას მე ბევრჯერ მინახავს პოეზიის მოყვარული მკითხველის ხელით გაზეთიდან მოჭრილი და უბის წიგნაკში სათუთად ჩაკეცილი შოთა ნიშნიანიძის ახალთ ახალი, ჯერაც სტამბის საღებავშეუმშრალი ლექსი თუ ლექსები. მისი დაბადე-

ბის 60 წლისთავზე ასე მოულოდნელად თავზე რომ წამოგვედგომია, რა უნდა ვაუწყო პოეტს ამაზე გასახარებელი და სულიერი მხნეობის მომგვრელი?

შოთა ნიშნიანიძის წრფელი პოეტური სიტყვა მშობელ ქართველ ხალხს, საქართველოს სჭირდება. იგი მისი განუყოფელი საკუთრებაა, ვინაიდან ერთი საუკეთესო ნაწილია იმ დიდი მხატვრული საგანძურისა, გარდასული საუკუნეებისა და წლების კვალდაკვალ უკანასკნელ ათწლეულებში რომ იქმნება.

დიდხანს სიცოცხლე, ჯანის სიმრთელე და შემოქმედებითი შრომის დაუცხრომელი წყურვილი ნუ მოჰკლებოდეს ჩვენს ღვაწლმოსილ პოეტს და საყვარელ მეგობარს მომდევნო ათწლეულებშიც!

1989 წ.

წადი, 1989 წელო, უკან აღარ მოიხედო!..

დიდი გამოცდა მოგვიწყო გასულმა 1989 წელმა. ავად მოსაგონარი და მარად სამახსოვრო 1923-1924 წლების შემდეგ, როდესაც ერის რჩეული ნაწილი, განურჩევლად კლასობრივი შემადგენლობისა, ქვეყნის ბურჯი გლეხობა, მუშები და ინტელიგენცია, ვის ზურგზედაც ძომქანცველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის მთელმა სიმძიმემ გადაიარა, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, რუსეთის, მალოროსიისა და ევროპის უნივერსიტეტებში განათლებამიღებული ახალგაზრდობა, სამხედრო აკადემიებში აღზრდილი ქართველი ოფიცრობა და გენერალიტეტი კედელთან მიაყენეს და დახვრიტეს. მას შემდეგ, რაც ოცდაათიანი წლების გაუგონარი რეპრესიების დროს ასი ათასობით უდანაშაულო ქართველი დაიღუპა, ქართველ ხალხს ასეთი შავი დღე აღარ გასთენებია, როგორიც გასული 1989 წლის აპრილში და შემდეგ ივლისში გაუთენდა. ქართული მიწა ქართველი ადამიანების მოწამებრივი სისხლით მოირწყო. მტარვალმა გული მოიჯერა, მხეცური ინსტინქტი დაიცხრო, შეურიგებელი სიძულვილი, აქამდე მუხანათურად რომ ინახავდა, სამზეოზე ამოუშვა, ამოანთხია და მრავალჭირნახული ერი და ქვეყანა ძაძებით შემოსა.

1989 წელი, ეს არის რომ გავაცილეთ, შავარშიაშემოვლებული შევა ქართველი ერის ისტორიაში. ამ წელიწადს მშობელი ხალხის ერთგულ შვილებთან ერთად სატახტო ქალაქის შუაგულში, მთავრობის სასახლის წინ, ალესილი სასანგრე ბარებით ლუკმა-ლუკმა დაჩეხეს ის, რასაც აქამდე ლენინური მზით გამთბარ ხალხთა მეგობრობას ეძახდნენ. საპნის ბუშტივით გაქრა მითი და ჩვენ ყველა, მთელი მსოფლიო, რეალური სინამდვილის წინაშე აღმოვჩნდით!

ერთ კავშირად შეკოწიწებული ხალხების დასაშინებელი ანგარიშსწორების სადემონსტრაციო პოლიგონად და ასპარეზად ჩვენ, ქართველები და საქართველო, ამოგვარჩიეს. ამოგვარჩიეს ალბათ იმიტომ, რომ მეტისმეტად გამოვირჩეოდით იარაღის ძალით დათრგუნული ხალხების უსახო მასაში, შორიდან ვჩანდით, გულამღვრეულ მეშურნეს, სისხლის დასაღვრელად ხელები რომ ექავებოდა, თვალებში ვეჩხირებოდით. ზემოდან მოსულ სისხლიან ბრძანებას, შეესიენით, არ დაინდოთ. გასაქცევი გზები მოუჭერით, რომ არავინ გადარჩეს ცოცხალი, არც ქალი, თუნდაც ორსული, არც ბალღი და არც მოხუცებული, ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელთა პირადი გაბოროტებაც დაემატა. ისინი დაუკრეფავ ვენახში შეუშვეს. ბრძანება იყო: მსოფლიო რომ არ ავაყაყანოთ, იხმარეთ მხოლოდ ციცი იარაღი, ალესილი სასანგრე ბარები და კეტები, გაუშვით მომაკვდინებელი გაზები, თვით პირსისხლიანი ფაშისტების წინააღმდეგაც რომ არ გვიხმარია, პატიოსნების ბედი და სამართალი ჩვენს ხელთაა, სამყაროში არ მოიძებნება ძალა, რომელიც წინ აღუდგება ჩვენს ნება-სურვილს, ჩვენ ხომ დიდი ლენინის უძლეველი დროშა გვფარავსო, ამიტომაც ქვია დედამიწის ერთ მეექვსედზე გაბნეულ ჩვენს ქალაქებს „ვლადეი კავკაზომ"!, „ვლადეი ვოსტოკომ", „ვლადეი მირომო".

მხოლოდ სავალალო გულუბრყვილობით დაავადებულმა ადამიანებმა შეიძლება სუფთა გულით იწამონ, რომ ჩვენი სახელმწიფოს მმართველი ორგანოებისათვის და შოვინიზმის მძვინვარე ბაცილით მოწამლული ასეულმილიონიანი მასისათვის თითქოს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს ეროვნული პროტესტის გამომხატველ ისეთ მშვიდობიან ფორმებს, როგორიცაა, ვთქვათ, მასობრივი შიმშილობა, მანიფესტაცია, პოლიტიკური ლოზუნგების გამოტანა, ხალხმრავალი მიტინგი, გაფიცვა! ყოველივე ეს დიახაც ბასრი პოლიტიკური იარაღია ცივილიზებულ სამყაროში, მაგრამ ძვირფასო თანამემამულენო, უმცროსებო, უფროსებო და თანატოლებო, რად გვავიწყდება, რომ ის საზოგადოება, ის პოლიტიკური სისტემა, ის სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიაც ჩვენ ცხოვრება გვერგო, არამცთუ საზართლებრივი ქვეყანა, ცივილიზებული საზოგადოება, ცივილიზებული სახელმწიფოც არ არის! აქ დაუსჯელად პარპაშობს მსოფლიოს გამოგნებული ჯუნგლის კანონები. მართალი ის არის, ვინც ძლიერია. მას ხელში ხელს არავინ სტაცებს, ქრისტიანულ სათნოებას და შემწყალებლობას არავინ შეახსენებს, არ ეტყვის, რას სჩადი, მეგობარო, ადამიანო, ეგ შენი საქციელი ხომ ღვთის გმობაა, უსამართლობაა ღვთისა და კაცის წინაშე, თუ ამქვეყნიური სასჯელისა არ გეშინია, იმქვეყნიური ჯოჯოხეთისა მაინც გეშინოდესო. არა, უკ-ლებლივ ყველა განზე დგება და სეირს უყურებს. ანდა როგორ გინდა, ვინმე გაამტყუნო და ლაჩრობა შესწამო, თუ ხმის ამოღების შემთხვევაში მასაც იგივე დღე მოელის, რაც შენ დაგადგა, იქნებ ათწილ და ასწილ უარესიც! იქ ბევრად უფრო რთულადაა საქმე, ვიდრე სულმნათი ვაჟას სტიქონებში: „სიკვდილის ყველას გვეშინის, სხვას რომ კვლენ, ცქერა გვწადია!“.

ქუჩის უკანასკნელი მეძავიც არ იკადრებს იმას, რაც შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა კრემლის ყრილობათა სასახლეში იკადრეს რამდენიმე დღის წინათ. მათ იქ პროკლამაციები გაავრცელეს და თბილისში 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის შემსწავლელი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომისიის წევრთა სახელის გასატეხად ყოვლად უპატიოსნო გზას მიმართეს, რისთვისაც პრესა და სხვა საინფორმაციო საშუალებებიც ჭარბად გამოიყენეს. ყრილობის პრეზიდიუმი რუმინეთის ამბების გამო წუხს, რუმინელ ხალხს, იქაურ დემოკრატიას, ძმური დახმარების ხელის გაწვდას პირდება, ტელეტაიპის მიერ გადმოცემულ ყოველ ახალ ინფორმაციას არა სხვა ვინმე, არამედ თვით სახელმწიფოს მეთაური აცნობს სახალხო დეპუტატთა ყრილობას, იმავე დარბაზში კი სულგანაბულ დეპუტატებს, ქვეყნის ბედი ხელთ რომ უპყრიათ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ შეთითხნილ, სიცრუითა და ცილისწამებით სავსე პროკლამაციას აჩრიან ოფიციალური პირები და სხდომაც მშვიდობიანად გრძელდება, ვითომაც აქ არაფერი მომხდარიყოს!

დარბაზში „ქართველების საქმეს“ რომ ახსენებენ, ყრილობას ერთადერთი კითხვა ებადება: იყო თუ არა 9 აპრილს თბილისში ანტირუსული გამოსვლები? სდევნიან თუ არა რუსებს საქართველოში? აი, საკითხთა საკითხი! არა, არ ყოფილა, არა, არ სდევნიან, საერთოდ არავის არ სდევნიან, არც რუსებს და არც ვინმე სხვას! არ შეიძლება ეგ აგრე იყოს, იქ აუცილებლად იქნებოდა და დღესაც არის ანტირუსული

განწყობილება! არა, არ არის, - უმტკიცებს ქვეყნის მმართველობის მიერ გამოყოფილი ავტორიტეტული კომისია უზენაეს ორგანოს - დეპუტატთა ყრილობას, არაკითარი მაგის მსგავსი არ მომხდარა რა, არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს! მაშ, სამხედროები რატომ არიან სხვა აზრისა? როგორ, თქვენი აზრით, შეიძლება, გენერლები და მარშლები ტყუოდნენ? ეგ ხომ გამოხდომაა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ! მაგას ჩვენ არავის ვაპატიებთ! არც აპატიებენ, რადგანაც დამთრგუნველი ძალა,რომლის წინაშეც მთელი მსოფლიო თრთის, მის ხელშია! დარბაზში არ ზის ემილ ზოლა, რომ უსამართლოდ თავლაფდასხმული დრეიფუსის საქმე დაიცვას. მის დასაცავად ტრიბუნაზე ასვლა კვლავაც რესპუბლიკის ხელმძღვანელს გივი გუმბარიძეს უხდება. ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ მთლად უნუგეშოდ არ დაგვტოვა, ეს ღთისნიერი კაცი მაინც გადმოგვიგდო!

წადი, 1989 წელო, წადი, ნულარას გვემართლები, წადი და უკან აღარ მოიხედო! იქნებ ახლა, დამდეგ 1990 წელს მაინც შევივნოთ, რომ ბალღურ გულუბრყვილობას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, იმის უცადინარობას, რაც აქამდე კარგად უნდა გეცოდნოდა, ერის დაღუპვისაკენ მიეყევართ. სწორად ამბობდა ჩვენი წარმომადგენელი საბალხო დეპუტატთა ყრილობის ტრიბუნაზე: ყველასა აქვს უფლება, თავის საკუთარ სიცოცხლეს ისე მოექცეს, როგორც ჭკუა და გონება გაუჭრის, მაგრამ უკეთუ სიტყვა ერს შეეხება და შენ კი შენი თავი მის წინამძღოლად დაგისახავს, მაშინ მოვალეობითა ხარ შებორკილი და მეტი დაფიქრება და წინდახედულება გმართებს!

ნურც გენერალი რიოდიონოვი, ნურც მისი შემცველელი და ნურც ძმანი მათნი გულაჩუყებული მონღოლი ნოინი ნუ გვეგონება, ცოტნე დადიანის საარაკო გმირობით მოხიბლულმა და აღტაცებულმა მეამბოხე ქართველი დიდებულები რომ ტყვეობიდან გაათავისუფლა და სამშობლოში უვნებლად დააბრუნა. როდიონოვი და ძმანი მისნი სხვა მასალისგან არიან ნაგებნი, მათ სხვა დროშის მადლი ფარავს, სხვა ჭეშმარიტებას ემსახურებიან!

რა დაეკარგეთ, რის აღდგენა გეწადდა

მე რომ კაცმა შემომასახელოს, გულზე ხელი დაიდე და თქვი, ყველაფერზე უფრო რას ინატრებდიო, ოდნავადაც არ დავფიქრდებოდი, ისე ვუპასუხებდი, ნეტავი ჩემი გამზრდელი და დამფრთიანებელი სოფელ-კუთხე ერთხელ კიდევ მანახა ისე ხალხმრავალი და გალაღებული, როგორც ოდესღაც, ბალღობაში მინახავს და მერე მომკლა, აღარას ვინაღვლი-მეთქი, გამაგონა სოფლის ეკლესიის ზარების გაბმული რეკვა, წირვაზე მიმავალი ადამიანების ჟრიამული, სხვადასხვა ფერად გამოწყობილნი ყველა უბნიდან რომ გამოეფინებოდნენ ხოლმე, მაჩვენა ვენახიდან ჭრიალ-ჭრიალით მომავალი, ყურძნით პირამდე სავსე ცაცხვის კოდებით დატვირთული ურმები, უღელში გაბმული თვალებბრიალა ლომა ხარები და მეურმის დაკოჟრებული ხელით მოწოდებული ქარვისფერი ქვიშხურის ყურძენი, რითაც გამვლელსა და გამომვლელს, შინაურსა და გარეულს, ნაცნობსა და უცნობს უშურველად და გულღიად უმასპინძლდებოდნენ.

ალაგ ვაკეზე, ალაგ ხრიოკებზე გაშენებული ის ვენახები, ნასათუთებ-ნალოლიავები, შიგ ღვთის თვალი რომ ტრიალებდა და გამრჯე გლეხკაცის ჭურ-მარანს ხვავითა და დოვლათით ავსებდა, დღეს სადღა არის! მე რომ თვალგაუწვდენელი ზვარი მეგონა, თურმე ნუ იტყვი, ხელისდადება ნაკვეთი ყოფილა. მიწა დამეწყრილა, ოდესღაც სანიმუშო გზები, ზედ მგზავრი, ცხენოსანი თუ ქვეითი, არასოდეს რომ არ გამოილეოდა, ნაგზაურებად გადაქცეულან, ძირფესვიანად ამოძირკვულ ნაენახარზე, თითქოს ქვეყნის გამაჩანაგებელ მარბიელ ლაშქარს გადაუვლიაო, ეკალ-ბარდი ჩახლართულა. დამშრალან წყაროებიც, საიდანაც პატარა ბიჭობაში ნაღვინარი დოქით ყინულივით ცივ წყალს მოვარბენინებდი და ჯერ კიდევ სველ დოქს მარჩენალ მიწასთან ჭიდილში გახელებული მათოხარი ხარბად ეწაფებოდა.

ის, გლეხკაცი, ქვეყნის მარჩენალი და ბურჯი, თავისი ხვედრით კმაყოფილი იყო, ბედს არ ემდუროდა. ჰყავდა წვრილი ცოლშვილი, ერთიმეორეზე პატარა ბღარტები, დარბაისელი, ჭარმაგი დედა-მამა, უღელ ხარი, შიგადაშიგ ორი უღელიც, მეწველი ძროხა, ურემი, კევრი და მარხილი, ათიოდე თხა და ცხვარი სახორცედ და ოჯახის შესამოსად, სანაშენო ღორი და წვრილფეხი. ქვევრებსა და ქოცოებში ზამთარ-ზაფხულ ღვინოს რა გამოულევდა. უკეთესს, თავღვინოს რომ ეძახდა, სასურველი სტუმრისათვის, ჭირისა და ლხინის გადასახდელად ინახავდა, წყალგარეულს, სახარჯოს, თავად სვამდა. მწვანედ აბიბინებული, დღემუდამ დაგვილ-დასუფთავებული ეზოს ჩაყოლებაზე, თხილებსა, ქლიავებსა და ალუბლებში, ქარისაგან მოფარებულ ალაგას, ოცდაათიოდე სკა ედგა. თაფლს ყოველ ამოღებაზე იმდენს იღებდა, რომ შინაც თავზესაყრელად ჰყოფნოდა და აჩენილ მუდმივ მუშტართანაც პირნათელი რჩებოდა. არცთუ იშვიათად ყველსა და მატყლსაც იმეტებდა. აღებული ფულის ყველა კაპიკი წინასწარ განაწილებული ჰქონდა, იცოდა, სად, როდის და რამდენი უნდა დაეხარჯა.ეს, ჩემო ბატონო, მოვდლისა, ეს სოფლის კანცელარიის სხვადასხვა ხარჯის გასაწევად, ეს თიხის მილებისა, რითაც ბაღმა გვერდიდან წყარო გამოიყვანეს, ეს წისქვილის ქვებისა, ეს სკოლის სახურავის შესაკეთებლად,

ეს ქვრივ-ობლის შესაწევნად, ხოლო ეს ოჯახისათვის მარილის, ნავთის, ჩითეულ-ბამბეულისა და რკინეულობის შესაძენად.

უქმე დღეს, როგორც საღმრთო წიგნშია ჩაწერილი, თავადაც ისვენებდა და სიყრმის შვილებივით უღლად დაზრდილ ხარებსაც ასვენებდა. საქმის დღეს დილაბნელზე დგებოდა, წამოდგომის უმალვე პირჯვარს გადაიწერდა, ხემსს გადაყლაპავდა, გუგულმა არ დამასწროს, არ მაჯობოსო, თოხს, ბარს ან წერაქვს მხარზე გაიდებდა, სარტყელში წალდს გაიჩრიდა და წინადღეს შეწყვეტილ საქმეს ახალი ძალით შეებმოდა, შეებმოდა მარტო ან ნადთან ერთად, თოხნაში, მკაში, სიმინდის ტეხაში თუ თივის თიბვა-მოგროვებაში რომ მოიპატიჟებდა. ცას სწვდებოდა „ნადური", „მთიბლური" და „ჰეკაოკა". ჭრელი თავსაფრით თმაგაკრული პატარძლები და საპატარძლოები სიცხე-პაპანაქებაში ძნებს კონავდნენ და ხუთეულებად დგამდნენ, ბალღები კი თავთავს აგროვებდნენ. ნაპურალში თუ ნასიმიწდარში ჯოგად გაშეებული სოფლის ნახირი ბალახობდა. ყოველი კაცი, დიდი თუ პატარა, სხვებთან ერთად დადიოდა საგზაო ბეგარაში, რათა სოფელს გულმოდგინედ მოკირწყლული საურმე გზა არასოდეს მოშლოდა, ერთად აწყობდნენ საოსფლო კალოებს და უძღვებოდნენ ბევრ სხვა საქმეს, რაც ყოველი ოჯახისა და მთლიანად სოფლის საზრუნავი იყო. სუფევდა საყოველთაო სიყვარული, და-ძმობა, ნათელმირონობა, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა. სახარების ათივე მცნება ძვალსა და რბილში იყო გამჯდარი.

რამდენ ასეთ ოჯახს ნახავდი სოფელში, რამდენ კერაზე ენთო ცეცხლი, რამდენი ხატი ესვენა? ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცდაათი, ასი? რატომ ხუთასი და ექვსასი, ათასი და ათასხუთასი არა! დღესაც რამდენი დამჭლეევებული ძველი სოფელია საქართველოში, მის თითოეულ უბანს, ერთ საშუალო სოფელს რომ არაფრით ჩამოუვრდება, საკუთარი ეკლესია რომ უდგას? და, საუბედუროდ, რამდენი ნასოფლარია, მხოლოდ გუმბათმონგრეული და ჭერჩაწყვეტილი ეკლესიის ნანგრევით რომ გვამცნობენ, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ აქ ქრისტესმოსავ ტომს უცხოვრია, რომ ამ ქარ-წვიმითა და ნიაღვრებით გახრიოკებულ მიწაზე ოდესღაც სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა.

სად წასულან ბეჭებჩამოქცეულ ეკლესიებში ჯვარდაწერილი ბედნიერი წყვილები? ვის შეკედლებია აქედან უგზოუკვლოდ გადახვეწილი მათი შთამომავლობა? მხოლოდ უპირისუფლოდ მთენილ საფლავებზე მდებარე ქვები გვაუწყებენ, რომ ისინი, ვინც ქვის ქვეშ განისვენებენ და გამვლელისაგან შენდობას ელიან, ქართველები ყოფილან, მკვიდრნი ამ მიწა-წყლისა, თავიანთი წუთისოფელი, ტკბილი თუ მწარე, შშობელ მიწაზე მოუკამიათ და სამარადისო განსასვენებელიც აქვე უპოვნიათ. მათ მეტი აღარაფერი მოეკითხებათ, რადგანაც თავიანთი ბედის კალო უკვე გაულეწიათ, თავიანთი შვილდი დაუდიათ და მომავლისაგან უკვე აღარაფერს მოელიან.

ის, რასაც მე ადრეულ ბალღობაში შევესწარი და რის წამიერი გაელვებაც ზემოთ აღვწერე, ნაშთი-ღა იყო ქართველი კაცის ტრადიციული ცხოვრებისა, რომლის მოშლაც ოცდაათიანი წლების დამდეგიდან დაიწყო და იგი დღემდე შეუჩერებლივ გრძელდება. რა მეხი დაგვეცა? ისეთი რა მტერი შემოგვესია, რომ ვერა და ვერ გავუმკლავდით,

იარაღი დავყარეთ, დავნებდით და თავი მარტოოდენ ღვთის განგებას მივანდეთ?

ეს მერამდენე ათასწლეულია, რაც მოვდივართ და თან მოგვაქვს ჩვენი ჭირიცა და სიხარულიც. უთვალავჯერ გაგვიჭირდა, უთვალავჯერ ბეწვის ხიდზე გადასასვლელადაც გაგვხდომია საქმე, მაგრამ უკანასკნელი ღონე მოგვიკრეფია, ერთმანეთისათვის ხელი ხელში ჩაგვიჭიდია, ის ბეწვის ხიდიც უკან მოგვიტოვებია და მამა-პაპის ნაფუძარზე კერა კვლავ გაგვიჩაღებია. რა გვაძლევდა ამის ძალას? თითოეული ადამიანის შინაგანი მთლიანობა, მოყვასის იმედი და სიყვარული, უზენაესი სათნოების რწმენა, რასაც დღეს ყველა, ერიცა და ბერიც, რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, ღმერთი ჩვენთანააო, სანთლები ვანთოთ და პირჯვარი ვიწეროთ, მოკლებული ვართ.

ჩვენ ავცდით კაცობრიობის ბუნებრივი განვითარების გზას და შვიდ ათეულ წელიწადს სრულიად უგზოუკვლოდ ვიარეთ.. ქვეყნის გაღატაკებას სწორედ მაშინ დაედო სათავე, როცა ერის ცხოვრების ძველი წესი მოიშალა, წესი, რომელსაც წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნეში, თაობიდან თაობაში მისდევდა ქართველი კაცი. ძველი წესის ნაძალადევად დაგდებამ და ახალის ასევე ნაძალადევად შემოღებამ, ეროვნულ საწყისებზე აღმოცენებულ მორალურ კატეგორიებზე უარის თქმამ და ხალხისათვის უცხო, ახალი მორალური ნორმების დამკვიდრებამ მრავალი საუკუნის განმავლობაში რუდუნებით ნაგები შენობა დაანგრია და ადამიანები გამოუცხობ გზაჯვარედინზე დაჰყარა. პრინციპები, რომლებითაც ჩვენ აგერ გუშინ და გუშინწინ ვხელმძღვანელობდით, მეცნიერულ ღირებულებას, უბრალო საღ აზრს მოკლებული, პარტიულ ძალმომრეობაზე დაფუძნებული სახელმძღვანელო დებულებები იყო, რომელთაც საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივ პირობებში სიცოცხლე არ ეწერათ. გლეხკაცური შრომის უნიტარზაციამ, შრომის საბოლოო შედეგისათვის ზრუნვაზე ხელის აღებამ, ამ საქმეში თაობათა გამოცდილების წინდაუხედავმა უგულვებელყოფამ, ეკონომიკური წინსვლის მამოძრავებელი ძალის — კონკურენციის ე.წ. სოციალისტური შეჯიბრებით შეცვლამ, კვალიფიციურ შრომას ყოველგვარი აზრი დაუკარგა და იგი, ცოცხალი ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება, რომელსაც ბედნიერება მოჰქონდა, იძულებით, ადმინისტრაციულ ძალაზე დამყარებულ ქმედებად იქცა. ასე გამოეცალა მიწას პირვანდელი, ბიბლიური მნიშვნელობა და თავისი ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ის ქართველი გლეხკაცი, ზემოთ რომ სასოებით შევხაროდი, მოსწყდა მშობლიურ ნიადაგს, უთვისტომო და უსამშობლო პროლეტარად მოგვევლინა.

ნურვინ გაიკვირვებს თუ სოფლიდან იძულებით აყრილ და ლუკმაპურის საძიებლად სადღაც შეკედლებულ ჩემს თანამემამულეს მე ძველი, წაღმა-უკუღმა ხმარებაში გაცვეთილი სიტყვა პროლეტარი, უთვისტომო და უსამშობლო ვუწოდე. მისი სულიერი და ფიზიკური კავშირი სამშობლოსთან მაშინ შეწყდა, როცა მშობლიური მიწის მადლის შეგრძნება დაკარგა, როცა მის წარმოსახვაში ჩაქრა ცოცხალი სამშობლოს სახე და ამ სამშობლოს ადგილი რაღაც ბუნდოვანმა, მისთვის გაუგებარმა აბსტრაქციამ დაიკავა.

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველამ არ გავიარე, რაა მამული!“- თქვა დიდმა გალაკტიონმა.

აი, ეს მამული მენატრება, მენატრება, რაც დამიკარგავს. მისი აღდგენა ბევრად უფრო ძნელი და სათუოა, ვიდრე დაკარგვა. მით უფრო ჩვენს არათანაბარ და არათანმიმდევრულ დროში, როდესაც მარჯვენამ ხშირად არ იცის, რას აკეთებს მარცხენა.

ჩვენ, ალბათ, იმ წერტილს უნდა მივუბრუნდეთ, სადაც ძაფი გაწყდა და ცხოვრების ბუნებრივი მდინარებიდან ამოვვარდით. არ იქნება ეს საქმე ადვილი, დიდ ძალისხმევას, სულიერი და ფიზიკური ძალების უკიდურეს დაძაბვას მოითხოვს. მაგრამ სხვა რა გვეგულება იოლი და ადვილად დასაძლევი!

1990 წ.

საუბარი ბოლშაში

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ციცო გობეჯიშვილი შეხვდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მწერალ რევაზ ჯაფარიძეს და ესაუბრა მას. ქვემოთ გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

კორესპონდენტი: სამწუხაროდ, გამოხმაურების გარეშე დარჩა თქვენი წერილი, რომელიც შეეხებოდა თბილისის (დედაქალაქის) დამოკიდებულებას საქართველოსთან. ეს იყო 9 აპრილამდე. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ სტატიას აქტუალობა არ დაუკარგავს. ბოლთამ ხომ არ მიგიყვანათ იმ ჰუმანურ აზრებამდე? რა მიგაჩნიათ აუცილებლად, რომ მდგომარეობა სასიკეთოდ შემოტრიალდეს დღეს, 9 აპრილის შემდეგ?

მწერალი: თუ მეხსიერება არ მღალატობს, თქვენ გულისხმობთ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ სტატიას „ქანდარაზე ეშმაკი ზის". იგი ჩვენი ერის შინაგანი მთლიანობის მტკივნეულ და მეტად საჭირბოროტო პრობლემებს შეეხებოდა. ეს პრობლემები დღეს და გუშინ არ დაბადებულა. იგი სხვადასხვა ფორმით მოსდევს მთელ ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიას. დიახ, სწორედ სხვადასხვა ფორმით, იმ დროს როდესაც შინაარსი უცვლელია. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ თუნდაც მე-16-მე-17-მე-18 საუკუნეები. ამასიის 1555 წლის ზავის თანახმად, თურქეთსა და სპარსეთს შორის რომ დაიდო, საქართველო მაშინ ორ ნაწილად იყო გაყოფილი. მისი აღმოსავლეთ ნაწილი — ქართლ-კახეთი და სამცხე-ჯავახეთი, ანუ მესხეთი, სპარსეთის გავლენის სფეროში შედიოდა, ხოლო დასავლეთი ოტომანური თურქეთის ხელდებული ქვეყანა იყო. სამშობლოს არა მარტო ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ, არამედ სულიერ ერთობაზე ლაპარაკიც არ შეგვეძლო. სპარსი გვასპარსებდა, თურქი გვათურქებდა, ხოლო უფრო ადრე, სანამ ქრისტიანი ბიზანტია ფეხზე იდგა და თურქ-სელჩუკ მეკობეტომებს უმკლავდებოდა, თავზე საკუთარ ბერძნულ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ტრადიციებს გვახვევდა და იარაღის ძალით თუ მშვიდობიანი გზით ჩვენს გაბერძნებას ცდილობდა. დამპყრობელთაგან, ალბათ, ერთადერთნი არაბები, ხორეზმელები და მონღოლები იყვნენ, ვისაც ჩვენი ერის ცხოვრების სულიერი მხარე ნაკლებად აინტერესებდათ. მათ ჩვენგან მხოლოდ ე.წ. ცოცხალი ძალა, ჯარში გასაწვევ ადამიანთა რესურსები და ქვეყნის მატერიალური დოვლათი სჭირდებოდათ. 1801 წლის შემდეგ, როდესაც ერეკლე მეფის მიერ ხელმოწერილი 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი ფეხქვეშ გაითელა და რუსეთის საიმპერატორო სახლმა აღმოსავლეთ საქართველო იმპერიის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა, საქართველოში მეფის ტიტულის გაუქმებით, რითაც საერთაშორისო სამართლის ნორმები უხეშად დაარღვია და 1810 წელს ქართლ-კახეთს ყოფილი იმერეთის სამეფოც ზედ დაუმატა, მოსპო უკლებლივ ყველა ეროვნული ინსტიტუტი, აუტოკეფალია ჩამოართვა ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროიდან დამოუკიდებელ ქართულ ეკლესიას, ადმინისტრაციულად გაერთიანებული ქართველი ერი გარუსების, თავისი ეროვნული მეობის დაკარგვის უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მონობის მძიმე უღელდადგმული ქართველი

ერი ადვილად არ შერიგებია იმპერიალისტური რუსეთის ბიურუკრატიული აპარატის დანაშაულებრივ თვითნებობას, ყოველივე ქართულის შეგინებას და მის ნაცვლად უცხო სულიერი ცხოვრების დამკვიდრებას. ათეული წლების განმავლობაში სახალხო აჯანყებები ქვეყანას კიდით კიდემდე აზანზარებდა. ბოლოსდაბოლოს ძალამ მაინც თავისი გაიტანა. რუსეთის მმართველმა წრეებმა ბიზანტიური ყაიდის ეერაგობას მიმართეს: ქართველი არისტოკრატიული წრეები ბრწყინვალე ჩინ-მენდლებითა და მაღალი წოდებებით მოიშინაურეს, თავიანთ საქმეებში ჩაითრიეს, ვითომდა იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენლები ხართო და ამ გზით იპოვეს ნართის წვერი, რისი ოსტატური ამოზიდვითაც ქართულმა ეროვნულმა ქსოვილმა რღვევა დაიწყო. ეს თანდათანობითი ხრწნა და გადაგვარება (ცარიზმს არსად ეჩქარებოდა, რადგანაც ხვალინდელი დღეც მისი იყო!) თითქმის ხუთ ათეულ წელიწადს გაგრძელდა, ვიდრე საზოგადოებრივ ასპარეზზე დიდი სამოციანელები არ გამოვიდნენ და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშა არ აღმართეს. აღდგომა იწყო მრავალი წლის განმავლობაში დაძაბუნებულმა, მიძინებულმა ქართულმა სულმა, რწმენამ, იმედმა, იმის შეგნებამ, რომ ქართველი კაცის სანუკვარი სამშობლო ზღვიდან ზღვამდე გადაქიმული უზარმაზარი იმპერია კი არ არის, როგორც მას უჩიჩინებდნენ და დღემდე უცვლელად უჩიჩინებენ, არამედ მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მორწყული პატარა საქართველო, ივერთა გმირული ქვეყანა. ჩვენს ფარისევლურ დროში და საზოგადოებაში, როცა ერთს ფიქრობენ და მეორეს ამბობენ, დღისით-მზისით არ შეეძლოთ უარეყოთ, რომ ქართველის სამშობლო ქვეყანა საქართველოა, ისევე როგორც რუსისა — რუსეთი, ფრანგისა — საფრანგეთი, გერმანელისა — გერმანია და ა.შ., მაგრამ შავ-ბნელი ზრახვების დასანერგავად ახალი ცნება „პატარა სამშობლო" მოიგონეს (ნეტავი რუსები თუ უწოდებენ რუსეთს „პატარა სამშობლოს"?), რომლის გამორჩეული სიყვარული საძრახისი სახელით — ნაციონალიზმით მოინათლა. საგულისხმოა, რომ სინამდვილეში სიტყვა „ნაციონალიზმი" „პატრიოტიზმის" სრულუფლებიანი სინონიმია, იგივე შინაარსის შემცველი ცნებაა და, გარდა ჩვენი ქვეყნისა, უფრო ზუსტად, გარდა ჩვენი ფედერალური სახელმწიფოსი, საძრახის სიტყვად არსად არ ითვლება.

ჩვენს დროში ამა თუ იმ ხალხის ეროვნული ერთიანობის წინააღმდეგ ბრძოლამ, რაც აშკარად არ ცხადდება და სახელის შეურქმევლად ფარულად მიმდინარეობს, განსხვავებული სახე მიიღო. საკავშირო პრესას ათასწილ ურჩევნია, სიტყვა „ქართველის" მაგიერ იხმაროს „თბილისელი", სვანი, მეგრელი, აჭარელი და, ასე განსაჯეთ, კახელი, ქართლელი და იმერელიც კი. ყველა აქ დასახელებულის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, მაგრამ აი, მათი გამაერთიანებელი ეროვნული სახელი „ქართველი" კი მავანსა და მავანს თვალსა სჭრის და იგი ღონესაც არ იშურებს, რომ ყველა ქართველურ ტომს დააავიწყოს, რომ თითოეული მისი წარმომადგენელი ეროვნებით ქართველია, რომ მისი მშობლიური ენა, ენა მისი სულიერი კულტურისა და სარწმუნოებისა ქართულია!

აი, სწორედ ამით აიხსნება ჩემი შეურიგებელი გალაშქრება ცნება „თბილისელის" წინააღმდეგ, რომელშიაც მე ჩვენი ერისათვის ერთობ

საშიში, მოსისხლე მტრის მიერ ჩადებული ნაღმი დაინახე. სამწუხაროდ, რესპუბლიკურ პრესაში და მხატვრულ ლიტერატურაშიაც არცთუ იშვიათად გაისმის წინდაუხედავი პროვინციული მსჯელობა „თბილისელის“ ისტორიულად ჩამოყალიბებული ტიპის შესახებ, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, რაღაც უპირატესობითაც კი სარგებლობს სხვა-ქალაქელი და სხვა სოფლელი თანამოძმეების წინაშე.

სხვათაშორის, აქ დაიწყებულია ის უბრალო ამბავიც კი, რომ „თბილისელი“ ბევრად უფრო ფართო და მრავლისმომცველი ცნებაა, ვიდრე „ქართველი“, რადგანაც „ქართველი“ გულისხმობს მხოლოდ ქართველს და მეტს არავის, ხოლო „თბილისელი“ ყველა ეროვნების ადამიანს, რომლებითაც საქართველოს დედაქალაქია დასახლებული.

რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, დაიყოთ იმისდა მიხედვით, თუ ვინ სად დავიბადეთ და რომელ ქალაქში, ქალაქის რომელ უბანში, რომელ ქუჩაზე ვცხოვრობთ, თუ ვიყოთ ერთნი და განუყოფელნი, ქართველები?

ვფიქრობ, 9 აპრილის გაუგონარი ტრაგედიის შემდეგ ეს მტკივნეული პრობლემა კიდევ უფრო გამოიკვეთა და დაამტკიცა, რასაც თქვენს მიერ გახსენებულ სტატიაში ამ ტრაგედიამდე რამდენიმე თვით ადრე ვამტკიცებდი.

ჩვენი ხსნა ჩვენს ეროვნულ კონსოლიდაციაშია, რასაც ქართულად ერთიანობა ეწოდება. სამუდამოდ უნდა ამოვიჭრათ გულისფიცარზე, რომ ყველა სხვა გზას უფსკრულისაკენ მივყვევართ!

კორ.: საინტერესოა ეროვნული მოძრაობის დღევანდელი შედეგები თქვენეული კომენტარით.

მწერალი: ეროვნული მოძრაობა, რომელმაც დღეს საქართველოსთან ერთად მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა, უაღრესად პროგრესული მოვლენაა, ეს ისაა, რაზედაც თუნდაც ამ რამდენიმე წლის წინათ, უფრო შორეულ წარსულზე კიდევაც რომ არაფერი ვთქვათ, ოცნებაც არავის შეეძლო.

აღნიშნულ მოძრაობას, რომელიც არ შეიძლება, მიმდინარე ისტორიული პროცესებისაგან განცალკევებით, იზოლირებულად განვიხილოთ, აქვს თავისებურება, რაც მას ჩვენთვის ცნობილ ყველა სხვა მოძრაობისაგან განასხვავებს. ეს მოძრაობა პოტენციურად, როგორც ნაცარში გახვეული ნაკვერცხლები, ყოველი ერის წიაღში არსებობდა, როგორც გავარვარებული ლავა დედამიწის წიაღში, მაგრამ ვულკანად მისი ამოხეთქვა მოხდა არა თვით წიაღიდან, არამედ ზემოდან... ის, ვინც საცობი მოხადა და ჯინი ამოუშვა, იქნებ არც ფიქრობდა, თუ ჯინი ასეთი ძალით ამოვარდებოდა და ასე ყველასა და ყველაფერს მოიცავდა, თუ ის უმართავი გახდებოდა და სახელმწიფოს საფუძვლებს შერყევით დაემუქრებოდა. უკანასკნელი დროის ამბები, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და ამჟამად მიმდინარე უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოთქმული საგანგაშო მოსაზრებები გვარწმუნებს, რომ ეს სწორედ ასე იყო და ახლა დგება პრობლემა ბოთლიდან ამოვარდნილი ჯინის დასამორჩილებლად, რაც პირადად მე სრულიად უპერსპექტივო საქმედ მეჩვენება.

რა შეიძლება ყოველივე ამას შედეგად მოჰყვეს? კატასტროფა, საზოგადოების მმართველი ზედაფენისა და ამავე საზოგადოების ძირი-

თადი ფენის საბედისწერო შეჯახება. ყოველივე ეს გარდაუვალია, თუ მმართველი ზედაფენა (ვგულისხმობ, რასაკვირველია, საკავშირო ხელმძღვანელობას) უნაპირო კომპრომისის გზას არ, დაადგება, როგორ გზასაც, ვთქვათ, ბოლო დროს პოლონეთში დაადგნენ და ქვეყანას იმ რელსებზე არ გადაიყვანს, საიდანაც იგი ამ 70 წლის წინათ და არა 30-იან წლებში გადავარდა.

რაც შეეხება ქართული ეროვნული მოძრაობის დღევანდელ შედეგებს, არ შეიძლება, მის გამო დიდი კმაყოფილება არ გამოვთქვა. ქვაკუთხედად ამ შედეგებისა მე უპირველეს ყოვლისა მიმაჩნია ქართული ეროვნული კონცეფციის ჩამოყალიბება და ცხოვრებაში მისი გატარებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლა, ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მოპოვების რეალური საფუძვლის შექმნა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება.

კორ.: რაში არ ეთანხმებით ეროვნული მოძრაობის ლიდერებს?

მწერალი: იმისათვის, რომ ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი გაგცეთ, მე უნდა ვიცოდე, კერძოდ რომელ ლიდერზეა ლაპარაკი. მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად მე ჩემს თავსაც ვთვლი, თუმცა, ნომინალურად არცერთი ფორმალური და არაფორმალური საზოგადოების წევრად არ ვითვლები

კორ.: დავუშვათ, რომ თავისუფლება „ხონჩით მოგვართვან", შესძლებდა საქართველო ბოძებულის შენარჩუნებას?

მწერალი: ამ კითხვას ხშირად სვამენ. ინტუიტურად ყველა გრძნობს, რომ ამჟამად არსებულ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ეს შეუძლებელია და ამიტომ უმატებენ „დავუშვათ"...

რა გიპასუხოთ? ჩემი ღრმა რწმენით, არ შეიძლება, ჩვენი პოლიტიკური შეხედულებები ქვიშაზე ავაშენოთ. პოლიტიკურ შეხედულებას, რომელსაც მშობელ ერს სთავაზობ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად, ისევე როგორც საშვილიშვილოდ აგებულ დიდ კაპიტალურ შენობას, რომ არ დაინგრეს და ქვეშ არ მოგვიყოლოს, მყარი საფუძველი სჭირდება. ეს მყარი საფუძველი ისტორიული მომენტის ყოველმხრივი გათვალისწინება და აქედან არა ჩვენთვის სასურველი, არამედ ლოგიკური დასკვნის გამოტანაა.

ვინც საბჭოთა კავშირის და მისი კომუნისტური პაარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკას ასე თუ ისე მაინც იცნობს და თვალყურს ადევნებს იმას, რაც დღეს აქ ხდება, მან კარგად იცის, რომ „თავისუთალ ერთა მძლე კავშირი ძმური", დიდმა რუსეთმა რომ შეაკავშირა, პოლიტიკურ თავისუფლებას, სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას „ხონჩით" არავის „მიართმევს". ერთი ფილმის სათაურისა არ იყოს, მოსკოვს ცრემლების არ სჯერა. არც იმ ველური მონღოლების სუსტი გული აქვს, ცოტნე დადიანი რომ შეიბრალეს და ჩადენილი გმირობით აღფრთოვანებულებმა თანამოაზრეებთან ერთად გაათავისუფლეს. იმპერიის დამსჯელი ძალა, უკანასკნელი დადგენილებების თანახმად ერთიოლად რომ იზრდება, უმალვე სისხლში ჩაახრჩობს და აღკვეთს ყოველ ასეთ გაბრძოლებას, საპირისპირო ძალა კი, რომელიც ამ ტირანულ ძალას წინ აღუდგებოდა, არ არსებობს.

დასკვნა ასეთი გახლავთ: შეძლებს თუ არა საქართველო ბოძებული შეინარჩუნოს, თუ თავისუფლებას „ხონჩით მოგვართმევენო", საღ აზრს

მოკლებული კითხვაა, ვინაიდან მისი პირველი ნაწილი, „ბოძებას“ რომ შეეხება, არა რეალურია. ამიტომ წყლის ნაყვას აღარ მოვყვები და კითხვის მეორე ნაწილის განხილვაზე თავს შევიკავებ.

კორ: „მამულის“ მე-2 ნომერში აკაკი ბაქრაძემ ორ უკიდურეს გზაზე მიანიშნა: სამოქალაქო ომზე და სამხედრო დიქტატურაზე... სამომავლოდ. ამ პირობებში როგორ უნდა გაგრძელდეს ეროვნული მოძრაობა — პასუხი არ ჩანს და უნდა ვიფიქროთო. საინტერესოა თქვენი პასუხი ამ კითხვაზე.

მწერალი: სამწუხაროდ, ბ-ნ აკაკი ბაქრაძის წერილი ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ, ჩემის აზრით, თქვენს მიერ მოტანილი წერილის მთავარი დებულება იგივეა, რაც მეორე კითხვის პასუხში მოგახსენეთ: „რა შეიძლება ყოველივე ამას მოჰყვეს? კატასტროფა, საზოგადოების მმართველი ზედაფენისა და ამავე საზოგადოების ძირითადი მასის საბედისწერო შეჯახება“. სხვა სიტყვებით ამას სამოქალაქო ომი ჰქვია.

როგორ უნდა გაგრძელდეს „ამ პირობებში“ ეროვნულ მოძრაობა?

გასაგებია, რომ სიტყვა „მოძრაობა“, პირდაპირი აზრით, როგორც საგნის სივრცეში გადაადგილება, არ უნდა გავიგოთ. არ უნდა გავიგოთ ისე, რომ „მოძრაობა“ საზოგადოებრივი ძალებისა მარტოოდენ მიტინგებსა, საპროტესტო დემონსტრაციებსა და გაფიცვებში გამოიხატება. ვიდრე კონკრეტული ისტორიული პირობები ჯერ კიდევ არ გვაძლევს საშუალებას პოლიტიკური დამოუკიდებლობის ღროშა ავაფრიალოთ და ხელისშემწყობი ისტორიული მომენტის გარეშე, როგორც ამას საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია მოწმობს, ეს სრულიად არარეალურია, ყოველგვარ ვითარებაში, დიქტატურა იქნება თუ დემოკრატია, ჩვენ უნდა განვაგრძოთ უკვე მიღწეულის გაღრმავება, შეძლების კვალობაზე მოვაგვაროთ ჩვენი ეროვნული საქმეები, რის საშუალებასაც კი არსებული ფედერაციის ფარგლები იძლევა.

განა ორი და სამი დღის, თუნდაც წლის საქმეა ეროვნული კონცეფციის ძირითადი დებულებების განხორციელება, რომელიც ჩვენ მიზნად დავისახეთ? დავირწმუნოთ თავი. რომ ჩვენმა მშობლიურმა ქართულმა ენამ უკვე მოიპოვა სახელმწიფო ენის რეპუტაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე? უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ გვაქვს ქართული ეროვნული სკოლა? უკვე უშვებენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები ამა თუ იმ დარგის სრულფასოვან სპეციალისტებს, რომლებიც თავიანთ პროფესიას მსოფლიო სტანდარტების დონეზე ფლობენ? ნაწილობრივ მაინც დავაღწიეთ თავი საკავშირო სამინისტროების კაბალას, ცენტრიზმის უმთავრეს იარაღს, და საფუძველი ჩავუყარეთ რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რაც პოლიტიკური დამოუკიდებლობის ერთადერთი მყარი საფუძველია? მე ღრმად მწამს და რომ არ მწამდეს, სიცოცხლეც აღარაფრად ეღირებოდა, რომ ქართველი ერის თავგამოდებული პროგრესი სახალხო მეურნეობისა და კულტურის უკლებლივ ყველა დარგში, ადრე თუ გვიან, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობით, ქართული სახელმწიფოს აღორძინებით დაგვირგვინდება, აჩქარება და იმის გაუთვალისწინებლობა კი, რაც გარს გვარტყია, სასურველს და ჩვენთვის სანუკვარს არაფერს გვიქადის.

კორ: დამთავრდა თუ არა რომანი ქეთევან წამებულზე?

მწერალი: ვერა, ვერ დამთავრდა. ვატყობ, ვერც საგაისოდ დამთავრდება. დიდი რომანი („მძიმე ჯვრის“ დაწერის გამოცდილება მალაპარაკებს) დიდ ქალაქს ჰგავს, რომელიც ერთსა და ორ წელიწადში ვერ აშენდება. რუსთაველის ბრძანებისა არ იყოს, საჭიროა სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყრმე და მოცალეობა.

კორ: გმადლობთ გულახდილი პასუხებისათვის!

მწერალი: მეც მადლობელი ვარ თქვენი და გაზეთისა, რომ საშუალება მომეცა ჩემს საყვარელ თანამემამულეებთან კიდევ ერთი საუბარი გამემართა.

1990 წ.

სამსხვერპლოზე მიტანილი ზვარაკი

სისხლითა და ცრემლით საქართველოს აბა ვინ გააკვირვებს. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, რომლის დასაბამი სადღაც ათასწლეულების სიღრმეში იკარგება, ერთიც ზღვად გვიღვრია და მეორეც. მაგრამ ეს მოწამებრივი სისხლი და ცრემლი, 1989 წლის 9 აპრილს მოყვრად მოსული მტარვალის ხელით რომ დაიქცა და მას შემდეგ არც გამშრალა, სხვა სისხლი და ცრემლია.

მან საქართველო ჯერ განაცვიფრა, შემდეგ გააოგნა და ბოლოს ერთ მრისხანე მუშტად შეკრა.

ეს იყო ტრაგედიის პირველი საათები და დღეები. ნაცვლად იმისა, შემდრკალიყო და სულიერად დაცემულიყო, საქართველო როგორღაც ამაღლდა, განსპეკტდა, ყველა ამქვეყნიური ჭურჭყისაგან განიწმინდა.

სამშობლომ სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანილი სიცოცხლე შეიწირა და ცაც თითქოს გაიხსნა, ქვეყანას ზეციური სასწაული მოეელინა.

ჩვენ ყველას ასე სპეტაკი და ცამდე ამაღლებული წარმოგვიდგება სამშობლო ოცნებებში. ის უმწიკვლოა, დილის ცვარ-ნამივით უმანკოა, შემწყნარებელია, ცოდვა-მადლით სავსე ქვეყნიერებაზე მარტოოდენ სიყვარულისა და სიკეთის მთესველია.

დიახ, მე სხვა სახელს ვერ ვუწოდებ იმ მსხვერპლშეწირვას. სამსხვერპლოზე დათხეულ სისხლს ერის სულიერი აღორძინება, ზნეობრივ თავისუფლებასთან ზიარება მოჰყვა და იმ პირველ წუთებში, საათებში, პირველ დღეებში ვეღარც კი წარმოგვედგინა, თუ ამ წმიდათა-წმიდა მიწაზე, ღვთისშობლის წილხვედრს რომ ვუწოდებთ, ბოროტება, ბოროტების თესლი კიდევ აღმოცენდებოდა, ერთი ქართველის გული კიდევ აღივსებოდა რისხვით მეორისადმი, თუ ერთი მეორეზე ხელს კიდევ აღმართავდა, თუ საერო საქმეში, ყველას რომ ერთი და განუყოფელი გვაქვს, ვინმე საკუთარ სარგებელს დაინახავდა.

იმ პირველ დღეებში, დაუვიწყარი 9 აპრილის შემდეგ, გარინდებული ქვეყანა საღმრთო საიდუმლოს მისწვდა და მხურვალე ლოცვად დამდგარი მარადიულ სიკეთეს შეუერთდა.

ვაი, რომ დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი ნეტარი გარინდება, ჩვენი სულიერი სიმაღლე! პირველმავე მდაბალმა დანაშაულმა გამეფებული ციური ნათელი აამღვრია და ჩვენც უმალ უფსკრულმა გვიყო პირი, მის სიღრმეში ჩავექანეთ. აღარ გინდა გაზეთი გადაშალო, საზოგადოებრივი წესრიგის ორგანოების ანგარიშებს უსმინო. ყოველ ახალ დღეს ახალი უბედურება მოაქვს, ერის განუყოფელი სხეულის დაქუცმაცება, დაწვრილმანება, სიბინძურის ჭაობში ყელამდე ჩაფლობა.

ეს იმ დროს, როდესაც გადამწყვეტი ბრძოლის, საუკუნოებრივ მონობაში მყოფი ერის სულიერი ძალების გამოცდის ჟამი გარდაუვლად ახლოვდება და, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ ყველა, როგორც ერთი კაცი, მას მზად უნდა დავხვდეთ!

9 აპრილმა ბევრი რამ გვასწავლა, ბევრ რამეზე მანამდე აბმული თვალები აგვიხილა. უპირველეს ყოვლისა გვასწავლა, რომ გარდაუვლად საჭიროა ბრძოლის უფრო თანამედროვე, უფრო გონივრული, უფრო ნაცადი გზების გამოძებნა; გვასწავლა, სად, როდის, ვის გვერ-

დით გვიხდება ცხოვრება, ვინ შეიძლება ვივარაუდოთ ჩვენს მოყვარედ, თანამდგომად და ვინ მტრად, გვასწავლა, რას რა შეიძლება მოჰყვეს და როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო კრიზისი; გვასწავლა, რომ დილეტანტობას არსად ისე დიდი და გამოუსწორებელი ზიანის მოტანა არ შეუძლია, როგორც პოლიტიკაში!

არა, მოწამებრივი სისხლი სასახლის წინ ტყუილად არ დაღვრილა. ის წმიდა სისხლი სამშობლოს საკეთილდღეოდ დაიღვარა და გვწამდეს, სამშობლოც არასოდეს დაივიწყებს ვალმოხდილ შვილებს, ვინც ერთადერთი რამ, რაც გააჩნდა, სიცოცხლე, მის თავისუფლებას შესწირა!

1990 წ.

წიგნები დავწვათ თუ წავიკითხოთ?

ამ ორი თუ სამი კვირის წინათ მავანთა და მავანთა დაჟინებული ძალდატანებით, რომლებიც დასახელებული არ ყოფილან, საქართველოს ტელევიზია იძულებული გახდა ერთი ხალხმრავალი მიტინგის ჩანაწერი ეთერში გადაეცა. ქართველი საზოგადოება, მთელი საქართველო მოწმე გახდა შემაზრზენი სანახაობისა, რომლის მსგავსი, ავად მოსაგონარი 1937-1938 -წლების შემდეგ, საქვეყნოდ გახმაურებული ტროცკისტების საჯარო პროცესები რომ ტარდებოდა, ჩვენს ქვეყანას აღარ უნახავს და აღარ სმენია.

საზოგადოებისათვის სრულიად უცნობმა პირებმა, მამულის უანგარო სამსახურის, სიმართლის პირში თქმის მონოპოლიას რომ აცხადებდნენ, ტალახსა და სიბინძურეში ამოავლეს არა ერთი და ორი ქართველი მამულიშვილი მოღვაწე, ვისაც კი უკანასკნელი წლებისა და ათწლეულების მანძილზე სამშობლო ქვეყნისათვის რაიმე სარგებლობა მოუტანია, სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ისინი და უკლებლივ ყველა პატრიოტს მოუწოდეს, მიაფურთხონ სამშობლოს გამყიდველებს, დაწვან მათ მიერ დაწერილი წიგნები, მათ მიერ გადაღებული კინოფილმები, აიძულონ ყოველი მათგანი, ბოდიში მოიხადონ თანამემამულეების წინაშე ჩადენილი ბოროტების გამო და ამ ერთადერთი გზით თავიანთი შერცხვენილი სიცოცხლე შეინარჩუნონ.

ვინ არიან საქართველოს, მისი თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ეს დაუძინებელი მტრები, თავიანთ შავბნელ საქმეებს აქამდე ფარულად რომ აკვარახჭინებდნენ, დღეს კი, ღვთის შეწევნით, მიტინგის ორატორების მიერ მზის სინათლეზე გამოყვანილნი საზოგადოების დამსახურებულ რისხვასაც ვერასდიდებით ვეღარ აიცდენენ?

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი პროფესორი შოთა ლომსაძე, ავტორი საყოველთაოდ გახმაურებული წიგნისა „სამცხე-ჯავახეთი", მსოფლიო სახელის მქონე კინორეჟისორები: ლანა ღოღობერიძე, რეზო ჩხეიძე და ელდარ შენგელაია, აი, ისინი, წინ რომ აღუდგნენ 9 აპრილის ტრაგიკული ამბების უსინდისო ფალსიფიკაციას, შუბლის ძარღვაწყვეტილი საკავშირო ინფორმაციის საშუალებები რომ მიმართავდნენ და თავიანთ ერსა და ქვეყანას საქვეყნო თავლაფის დასხმა ააშორეს, ისტორიკოსი გურამ მამულია, მწერალი ნაირა გელაშვილი და... ამ სტრიქონების ავტორი, თქვენი მონა-მორჩილი რევაზ ჯაფარიძე.

რა დაუშავებიათ, რა ბრალი მიუძღვით საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე ხსენებულ პირთ?

თურმე ის, რომ 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან აყრილი და ყაზახეთსა და შუა აზიაში ჩასახლებული ე.წ. „თურქი მესხების" კვლავ მესხეთში დაბრუნებას აპირებენ და ამგვარად გადაწყვეტილი აქვთ, ჯოჯოხეთი მოუწყონ ამჟამად იქ, მესხეთის მიწაზე მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას, ქრისტიან მესხებს, და აგრეთვე მოსახლეობის იმ ნაწილს, აქ, იმავე 1944 წელს, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აგრეთვე ხელისუფლების მხრივ ძალდატანებით რომ ჩამოსახლდა.

ბრალდება სერიოზულია. ასეთი ბოროტმოქმედებისათვის, უკეთუ ის რითიმე მტკიცდება, გაკიცხვაც ცოტაა!

მაგრამ, სანამ ერის სამსახურში გათეთრებულ ადამიანებს იმავე ერის წინაშე საბოლოო მსჯავრს გამოვუტანდეთ, ინკვიზიციის კოცონზე ავიყვანდეთ და მათს ავლადიდებას ცეცხლს მივცემდეთ, არ უნდა ვიკითხოთ მაინც, რატომ დაადგნენ ისინი ამ მავნე, ყველასათვის მიუღებელ, ყოვლად არაჰუმანურ გზას, რად მოინდომეს თავიანთი მშობელი ხალხის, ქრისტესმოსავი ქართველობის, ასე გაწირვა და ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ძალად გამაჰმადიანებული, გზაკვალაბნეული, ეროვნულ ორიენტაციადაკარგული მესხების გამოსარჩლება, ჯოხის მათ მხარეზე გადაღუნვა?

შეუძლებელი მხოლოდ ღმერთია, ჩვენ კი კაცნი ვართ და იქნებ რაიმე გვეშლება? იქნებ ასე სულაც არ არის საქმე, იქნებ სწორედ პირიქითაა და ჩვენ ღია კარის მტვრევა დიდ გმირობად მიგვიჩნევია?

პროფესორმა შოთა ლომსაძემ, თავად მესხმა, მესხეთში დაბადებულმა და აღზრდილმა კაცმა, ზემოთხსენებულ ერცელ მონოგრაფიაში „სამცხე-ჯავახეთი", რომელიც მესხეთში, მთელ სამხრეთ საქართველოში, თურქული ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ჩილდირის ანუ ახალციხის, იგივე გურჯისტანის ვილაიეთად რომ იწოდებოდა, ისლამის გავრცელების და ძალად დამკვიდრების დროს — მეექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებს და შემდეგ ხანას რომ მიეძღვნა, საქართველოს ამ ღვიძლი კუთხის ტრაგიკული ისტორიის სრული პანორამა წარმოგვიდგინა. ისტორიკოსის ყოველი მოსაზრება მის მიერ დიდი რუდუნებით მოძიებულ ისტორიულ დოკუმენტებს და მათ მეცნიერულ ანალიზს ეფუძნება. სწორედ ამიტომაა იგი უაღრესად სანდო და უტყუარი, სწორედ ამიტომ ეტანება მას მასობრივი მკითხველი და კითხულობს, როგორც ჰეშმარიტ მხატვრულ ქმნილებას, რაც წმინდა ისტორიული ხასიათის ნაშრომს, მეცნიერულ თხზულებას, წილად ყოველთვის როდი ერგება ხოლმე.

აურაცხელ საბუთზე დაყრდნობით, ავტორს ათეულობით წლის თავაუღებელი შრომით რომ მოუპოვებია, შოთა ლომსაძე წარმოგვისახავს იმას; თუ როგორ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ იმარჯვებს ისლამური ელემენტი ქართული კულტურის, ქართული სახელმწიფოებრიეობის აკვან მესხეთში, როგორ თანდათან, საუკუნიდან საუკუნეში სტოვებს ხალხი, ჯერ ფეოდალური არისტოკრატია, ხოლო შემდეგ მიწაზე ჭიპით მიბმული გლეხკაცობა თავის მამაპაპურ სარწმუნოებას, მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, როგორ იძარცვება და ყრუვდება ეკლესია-მონასტრები, როგორ გაურბის ხალხის ერთი ნაწილი ძალად გამაჰმადიანებას, რათა თავი სამშობლოს სხვა კუთხეებს შეაფაროს, როგორ სომხდება (გრიგორიანდება) ან ფრანგდება (კათოლიკდება) ქართველების სხვა ნაწილი, ვინაიდან ქრისტეს გმობას ისევე მართლმადიდებლობის გმობას ამჯობინებს, გრიგორიანი მოძღვრებისა და კათოლიკე კიურეების ჩაგონებით როგორ კარგავს ის თავის ეროვნებას, ქართველობას!

დამპყრობელი თურქები, რომლებიც უკვე ბატონობენ საქართველოსაგან მიწყვეტილ მესხეთში, ძალად გამაჰმადიანებულ, ტომით ქართველ, მესხ მოსახლეობას არწმუნებენ, თქვენი უბედურების ერთადერ-

თი მიზეზი ქრისტიანული ტომებია, რომელთაც ბინა გურჯისტანსა (ქართლ-კახეთსა) და აჩიკ-ბაშში (იმერეთში) უდევთო. ისლამისაგან დაბრმავებული მესხი მოსახლეობა იმთავითვე მონაწილეობს თურქი სერასკირების მიერ მოწყობილ ლაშქრობებში როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების დასარბევად და ასაკლებად.

ტომით ქართველთაგან, მესხთაგან, ოღონდ სარწმუნოებაშეცვლილთაგან, ძალად გამაჰმადიანებულთაგან, იღვრება სისხლი ქართველთა, სისხლი ქრისტიან ქართველთა, გარეგნულად კი საქმე ისე გამოიყურება, თითქოს ორთავ საქართველოს სამეფო-სამთავროებს საკუთრივ ოსმალები შემოსეოდნენ.

ახალციხის იერიშის წინ, რომელიც არ განხორციელებულა, აწყურის მიდამოებში, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს „რუსის იარანალმა“ ფონ ტოტლებინმა რომ უღალატა და მუხანათური მიზნით ჯარი უკან, ბორჯომის ხეობისაკენ გამოაბრუნა, ერეკლე იძულებული გახდა, თავისი მცირე ჯარით მტკვრის ხეობას აღმა აჰყოლოდა, რათა ასპინძა-ახალქალაქ-წალკის გაელით თავნება „იარანალისათვის“ გზა მოეკრა და ტფილისში პირველი შესულიყო.

მოკავშირის ღალატით გულგატეხილი მეფე ასპინძასთან ჩასაფრებულ მტრის ლაშქარს წააწყდა. აქ მოხდა დიდი ბრძოლა, საქართველოს ისტორიაში ასპინძის ომად რომ იხსენიება. ორივე მხრიდან ათასობით მეომარი გამოესალმა წუთისოფელს. ტფილისში შეიტყეს ომის ამბავი, მაგრამ არავინ უწყოდა, გამარჯვება ვის დარჩა, რა მოელოდა ხვალ ტფილისს, რომელიც თითქმის დაუცველად იყო მეფისაგან დატოვებული.

მეორე თუ მესამე დღეს მტკვარმა გვამები ჩამოატარა. ქალაქმა იხუვლა და პირი აქეთ ჰქნა. თუ ჩაცმულობის მიხედვით იმსჯელებდი, ომში დახოცილთა დიდი უმრავლესობა „თათრები“, ე.ი. ოსმალები უნდა ყოფილიყვნენ.

ამ ომისა და ამ შემთხვევის ირგვლივ აი, რას ეკითხულობთ შოთა ლომსაძის წიგნში:

„ამრიგად, ასპინძის ბრძოლის დროს ერეკლეს პირისპირ იდგა ძირითადად გამაჰმადიანებულ ქართველთა (მესხთა.-რ.ჯ.) მხედრობა, ჯერ კიდევ ქართულენოვანი, მაგრამ გულშეცვლილი. გარეგნულად ეს რუსეთ-თურქეთის ომი იყო, ყოველ შემთხვევაში იგი ასეთ პოლიტიკურ პრიზმაში ტყდებოდა, ფაქტიურად კი ქართლ-კახეთის ქრისტიანობისა და მესხეთის ქართველ მაჰმადიანთა ბრძოლა. ეთნიკური იერით იგი ქართველების ომს ჰგავდა, პოლიტიკური თვალსაზრისით კი ორი სხვადასხვა სახელმწიფოს და ორი რელიგიის შორის ბრძოლას.“

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მესხეთში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, რუსები დამკვიდრდნენ და იმთავითვე, 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისთანავე, გურჯისტანის ვილაიეთის 10 სანჯაყი ახალქალაქითა და ახალციხითურთ საქართველოს რომ შემოუერთდა, კიდევ შეტი სისასტიკით, ვიდრე თურქებმა, გააჩაღეს მესხეთიდან ქართული ძირისა და გასაგისის ამოძირკვა.

თანახმად ფელდმარშალ პასკევიჩ-ერივანსკის წარდგინებისა და რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ბრძანებისა, საქართველოს

სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ და თვით რუსეთის საექსპედიციო კორპუსში მომსახურე მესხ ქართველობას ნება არ დართეს მშობლიურ მიწა-წყალზე, მამა-პაპის დანატოვარ მამულში დაბრუნებულიყვნენ, ხოლო რაც შეეხება მაჰმადიან მესხებს, მხარის მოსახლეობის უმრავლესობას, სხვადასხვა მიზეზით თუ საბაბით იგი აჰყარეს, ათეულ ათასობით თურქეთში გადაასახლეს, მათ ადგილზე კი არზრუმის ვილაიეთიდან ნებაყოფილობით აყრილი და მესხეთში ცხოვრების მოსურნე სომხობა დაამკვიდრეს.

ყოველივე ეს ზედმიწევნითი მეცნიერული დამაჯერებლობითა და კეთილსინდისიერებით გახლავთ მოთხრობილი შოთა ლომსაძის წიგნში. ქართული ენა, როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალება და კულტურული აღმშენებლობის იარაღი, სამცხე-ჯავახეთში საყოველთაო ხმარებიდან გამოიდევნა ცარიზმის დროს და იგივე ამბავი თანმიმდევრულად გაგრძელდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც, განსაკუთრებით ოცდაათიან წლებში, როდესაც განათლების სახალხო კომისარიატს სათავეში მარიამ ორახელაშვილი უდგა.

თქვენ თათრები ხართ და თათრულად ილაპარაკეთო, უკიჟინებდა ხელისუფლება გამაჰმადიანებულ, უამისოდაც გზაკვალდაბნეულ მესხებს, თუმცა, გარდა მშობლიური ქართულისა, მათ სხვა ენა არ იცოდნენ, აზერბაიჯანულ სკოლებს უხსნიდნენ და მასწავლებლებადაც აზერბაიჯანელებს იწვევდნენ. სწავლა, რაღა თქმა უნდა, ბაქოში შედგენილი სასწავლო პროგრამების მიხედვით მიმდინარეობდა. ქართველი ბოლშევიკების უგუნური, უწიგნური ინტერნაციონალიზმის წყალობით ასე ინერგებოდა ადგილობრივ მაჰმადიან მესხ მოსახლეობაში ანტიქრისტიანული, ანტიქართული იდეოლოგია. დავიწყებას ეძლეოდა ათას ხანძარსა და ვაებაში გამოვლილი ქართული ენა, იკარგებოდა ტრადიციული გვარები, ეროვნული სახელები, ტოპონიმიკა, ფეხს იკიდებდა, მძლავრდებოდა და იფურჩქნებოდა პანთურქული დამპყრობელური ფსიქოზი.

მხოლოდ უგუნური შეეცდება იმის დამტკიცებას, თითქოსდა თავზე დამტყდარი ეს ამბავი ამა თუ იმ ხალხის ან ხალხის ნაწილის დიდი ისტორიული უბედურება არ იყოს, ხოლო თუ უბედურია ხალხის ნაწილი, უბედურია მთელი ხალხიც. ამის გამორკვევას დიდი ლარი და ხაზი არ სჭირდება!

1944 წელს მესხეთის მოსახლეობის ეს ერთიმეორეში ათქვეფილი მასა მოსკოვის იმპერიული განკარგულებით და არა ქართველი ხალხის დაეინებული სურვილით, როგორც ე.წ. „თურქ მესხთა“ ზოგიერთ ლიდერს და მათს ფეხის ამყოლებს სურთ დახატონ, აყარეს და თავისი საცხოვრისიდან შორს, ყაზახსტანისა და შუა აზიის ტრამალებში ჩაასახლეს.

როგორც ჩანს, ამის მიზეზი ერთადერთი იყო: სტალინს განზრახული ჰქონდა თურქეთისათვის ტერიტორიული პრეტენზიები წაეყენებინა მის მიერ სხვადასხვა დროს მიტაცებული ქართული და სომხური მიწების დასაბრუნებლად და უკეთუ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდოდა, არ უნდოდა, კომუნისტერი იმპერიის სამხრეთ საზღვარზე, სამცხე-ჯავახეთში, საშიში პროთურქული ელემენტი ჰყოლოდა.

შემდეგ, ეტყობა, ვითარება და მსოფლიოს ძალთა თანაფარდობა შეიცვალა, თურქეთის ჩრდილოეთი საზღვარი არ დაირღვა, ე.წ. „თურქი მესხების" ძველ საცხოვრისზე დაბრუნება კი აღარავის უფიქრია. პირიქით, აქ დასავლეთ საქართველოს მთიანი რაიონებიდან, უპირატესად რაჭა-იმერეთიდან, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ძალით აყრილი ათასობით ოჯახი ჩაასახლეს, რომელიც დროთა განმავლობაში ახალ ადგილზე საშვილიშვილოდ დამკვიდრდა, ადგილობრივ ქრისტიან მესხობას შეერია და მესხეთის ძირეულ მოსახლეობად იქცა.

თუ რა ბედი ეწია გადასახლებულთ, საქართველოში დიდხანს არაფერი ვიცოდით. ვიცოდით მხოლოდ ის, რომ თანახმად საკავშირო ხელისუფლების გადაწყვეტილებისა, მათ თავიანთი რეზერვაციიდან ფეხის მოცვლისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სადმე სხვაგან დასახლების უფლება არ ჰქონდათ. ასეთი უფლება მხოლოდ მოგვიანებით, სამოცდაათიანი წლების მიწურულს გაიცა. მანამდე, ჯერ კიდევ ორმოცდაათიანი წლების დამდეგს, ე.წ. თავისუფალი გადასახლების ადგილებიდან პატარ-პატარა დელეგაციებად ჩამოსვლა იწყეს 1944 წლის რეპრესირებულთა წარმომადგენლებმა. მათ, თითქმის ყველას, ქართული გვარები ჰქონდათ და მშობლიურ ქართულ ენაზედაც მშვენივრად ლაპარაკობდნენ. დელეგაციების წევრები მიდიოდნენ იმდროინდელი საქართველოს გამოჩენილ ადამიანებთან, მწერლებთან, მეცნიერებთან, ოფიციალური წერილებით მიმართავდნენ საქართველოს მწერალთა კავშირს, მეცნიერებათა აკადემიას, ამტკიცებდნენ, რომ სრულიად უდანაშაულოდ დასჯილი ქართველები იყვნენ და ითხოვდნენ შუამდგომლობას, რათა 1944 წელს იძულებით დატოვებულ სამშობლოში დაბრუნების უფლება დართოდათ.

მაშინ, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როდესაც სახელმწიფო მმართველობის საქე მტკიცე ხელს ეკავა, ხოლო შემდეგ, წლების განმავლობაში იმ „ხელის" ინერცია გრძელდებოდა, მესხთა ხვეწნა-მუდარის შეწყნარება არავითარ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა. მით უფრო იმის გამო, რომ სამშობლოში დაბრუნების მსურველთა რიცხვი უმნიშვნელო იყო და ისინიც, რაკი იცოდნენ მესხეთში შექმნილი ფაქტიური დემოგრაფიული ვითარება, იქ დაბრუნებას აღარ ესწრაფვოდნენ, თანახმანი იყვნენ, საქართველოს ტერიტორიაზე, სამშობლოში, იქ ეცხოვრათ, სადაც კი ამის საშუალება გამოიძებნებოდა.

საქართველოს ისტორიაში ასეთუ ისე ჩახედულ ყოველ კულტურულ ადამიანს მოეხსენება, რომ ქართველი ერის უკეთესი შვილები ყოველთვის ცდილობდნენ, ქრისტიან და მაჰმადიან, უფრო სწორად, ძალად გამაჰმადიანებულ ქართველებს შორის ჩატეხილი ხიდის გადებას და ისტორიული ძნელბედობის ჟამს დარღვეული ეროვნული მთლიანობის აღდგენას, რაც თავიანთი სამშობლოს დასანგრევად კი არა, როგორც ახლა ზოგიერთები გაიძახიან, არამედ მის გასაძლიერებლად და ფეხზე წამოსაყენებლად სჭირდებოდათ.

თუ ხსენებული მიტინგის პირიდან ცეცხლის მფრქეველი ორატორები კიდევ უფრო არ განრისხდებიან და ამ ცხელ გულზე მისი წიგნების დაწვასაც არ მოიწადინებენ, გამოვტყდები, რომ ერის ამ უკე-

თეს შვილებს შორის უპირველესი საქართველოს უგვირგვინო მეფე სულმნათი ილია ჭავჭავაძე ბრძანდებოდა.

მე სამწერლო ასპარეზზე ორმოცდაათიანი წლების დამდეგს გამოვედი და კარგად მახსოვს, რომ ბევრი ჩვენი იმდროინდელი გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის შალვა დადიანი, პოლიკარპე კაკაბაძე, გერონტი ქიქოძე, პაველ ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, „მესხების საკითხს" სრული თანაგრძობით ეკიდებოდა და სადაც ჯერ არს მათი ნაწილ-ნაწილ ჩამოსახლების და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გარდა ისტორიული სამცხე-ჯავახეთისა, მათთვის სამოსახლო მიწების გამოყოფას მოითხოვდა.

როგორც ვხედავთ, ძვირფასო მკითხველო, მიტინგის ორატორების მოწოდების თანახმად, დასაწვავი წიგნების რიცხვი კატასტროფიულად იზრდება. ჯერ კიდევ სადა ვართ! ქვემოთ მთელი გორა წამოიმართება „დასაწვავი წიგნებისა"!

გასაგები მიზეზის გამო, რაზედაც უკვე ვილაპარაკეთ, უფროსი თაობის მწერალთა და მეცნიერთა ცდა და მოწადინება წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. ამასობაში ძველები წავიდნენ, საზოგადოებრივ ასპარეზზე სხვა ადამიანები გამოვიდნენ და ე.წ. მესხთა საკითხი, რომლის მოგვარება სისხლ-ხორცეულ ეროვნულ საქმედ იქნა მიჩნეული, მეცნიერებისა და მწერლების ახალი თაობის ხელში გადავიდა. ახალი ადამიანების ხელთ იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც, რომელიც, წინამორბედებისაგან განსხვავებით, საკითხს სრულიად სხვა თვალით უყურებდა.

ეს ამბავი, მე ვიტყოდი, ისტორიული ამბავი, რასაც ახლა მოგითხრობთ, სამოცდაათიანი წლების მიწურულს, 1979 წლის მარტის შუა რიცხვებში მოხდა. შედგა იმ მწერლებისა და მეცნიერების ვრცელი სია, რომლებიც მესხთა პრობლემის გადასაწყვეტად რესპუბლიკის იმჟამინდელ ხელმძღვანელს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს უნდა შეხვედროდნენ მის კაბინეტში.

აი, ეს სიაც:

საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარე გრიგოლ აბაშიძე, მდივნები: ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, შოთა ნიშნიანიძე; პოეტი მუხრან მაჭავარიანი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, აკადემიკოსი-თურქოლოგი სერგი ჯიქია, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე; პროფესორები: მარიამ ლორთქიფანიძე, მზექალა შანიძე, ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილი, შოთა ლომსაძე; ისტორიკოსები: გურამ მამულია და გივი ღამბაშიძე; კიბერნეტიკის მეცნიერი თანამშრომელი გულო ანანიაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი რევაზ ჯაფარიძე.

თუ საზოგადოებაში მართლაც არსებობს ინტერესი იმის გამოსარკვევად, ვინა დგას ე.წ. მესხთა პრობლემის გადაწყვეტის სათავეესთან, ვის უნდა ვუმადლოდეთ, ანდა, პირიქით, მიტინგის ორატორების სურვილისდა მიხედვით, ვინ უნდა გავაკრათ სამარცხვინო ბოძზე, ვის წიგნებს უნდა მოვუწყოთ აუტოდაფე, თქვენს წინაშეა ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა სრული სია!

შეხვედრა შედგა დანიშნულ დღესა და საათზე და, გარდა მესხთა საკითხისა, მან კიდევ ერთი, ქართველი ერისათვის აგრეთვე უაღრესად საჭირბოროტო საკითხი განიხილა.

თუმცა, შესაძლოა, ამ მეორე საკითხისადმი ყურადღების დათმობამ წინამდებარე წერილის კომპოზიციურ აგებულებას გარკვეული ზიანი მიაყენოს, მე თავს მოვალედ ვრაცხ, ფართო საზოგადოებისათვის აქამდე ჩრდილში მდგომი ისტორიული ფაქტი სამზეოზე გამოვიტანო და ზოგ რასმე ნათელი მოვფინო.

ცენტრალურ კომიტეტში დანიშნული შეხვედრის წინა დღეს მე შინ მესტუმრა თბილისის უნივერსიტეტის აწ განსვენებული პროფესორი ბატონი გიორგი ხარატიშვილი, რომელსაც აქამდე პირადად არ ვიცნობდი, და გადმომცა ჩემთვის და მთელი ქართველი ერისათვის ფრიად სამწუხარო ამბავი: მოსკოვიდან, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. კოსიგინის ხელმოწერით, მიღებულია დოკუმენტი, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირის ყველა არარუსულ უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებელში ძირითადი სპეციალობის ერთი საგანი რუსულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს.

— ამჟამად სამეცნიერო საბჭოები სსედან და ბჭობენ, სპეციალობის რომელი საგანი ვასწავლოდ რუსულად, — მითხრა ბოლოს პროფესორმა. — თქვენ მოგეხსენებათ, საკავშირო მთავრობის ეს გადაწყვეტილება რასაც მოასწავებს.

იმავე დღეს შესტუმრა სტუდენტების ორი ჯგუფი უნივერსიტეტიდან და პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. მათაც იგივე საგანგაშო ამბავი მოიტანეს და თავის მხრივ დასძინეს, რომ, რაც არ უნდა დაემართოთ, ქუჩაში საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობას აპირებენ (თუ არ ვცდები, სწორედ ამ ეიზიტს იგონებს ნოდარ გრიგალაშვილი გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 22 მარტის ნომერში).

ახალგაზრდებს, ის იყო, რომ იწყებდნენ გამოლვიძებას, გადაწყვეტილება გულმხურვალედ მოვუწონე, აღვუთქვი კიდევაც, თქვენი კოლონის პირველ მწკრივში ჩავდგები-მეთქი, ოღონდ ვთხოვე, ერთი დღე ეცლიათ. ის ერთი დღე საჭირო იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიციის გამოსარკვევად. საბოლოო რჩევის მიცემა მეორე დღის საღამოსათვის გადავუდე.

შეხვედრაზე ისე გამოვცხადდი, ეს მეორე საჭირბოროტო საკითხი, რომლის წამოჭრასაც დღესვე ვაპირებდი, შეხვედრის მონაწილეებისათვის არ გამიმხელია. კაცმა არ იცის, ამის წინასწარ გამჟღავნებას და დებატებს ვაითუ საქმე გაეფუჭებინა, ჩემზე უფრო გამოცდილ და წინდახედულ ხალხს შეიძლება ეთქვა, ეგ სულ სხვა თემაა, მაგის წამოყენება სხვა დროისთვის გადავდოთო და მაშინ ხელფეხი შემეკვრება.

მესხების პრობლემის განხილვა, არც მეტი არც ნაკლები, 5 საათს გაგრძელდა. გადაწყდა ნაწილ-ნაწილ მათი ჩამოსახლება. ყველა ერთი აზრისა იყო: შეგვერჩია მესხთა შორის ჩვენთვის სასურველი ოჯახები, რასაკვირველია, თუ ისინი უარს არ იტყოდნენ საქართველოში წამოსვლაზე და ორ-ორ, სამ-სამ, ხუთ-ხუთ, ათ-ათ კომლად ჩაგვესახლებინა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონის სოფლებში.

ეს იმიტომ კი არა, როგორც ერთი ორატორი ბრძანებდა პროფესორ შოთა ლომსაძის წინააღმდეგ მიმართულ საბრალდებულო სიტყვაში, რომ „წმინდა იმერეთი“ დაგვეინძურებინა (უყურე შენ, რა სდომია?), არამედ ისტორიულ ძნელბედობით რწმენაშერყეულ მოძმისათვის ქართული ეროვნული გარემო შეგვექმნა და დროთა განმავლობაში იმ ფსიქოლოგიურ ეფექტისათვის მიგვეღწია, იაკობ გოგებაშვილს რომ აქვს აღწერილი მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა.“

ჩამოსახლების საორგანიზაციო კომიტეტს, რომლის თავკაცობაც საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მაშინდელ პირველ მოადგილეს, ბატონ ნოდარ ჭითანავას მიენდო, შრომის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტთან და საინიციატივო ჯგუფთან თანამშრომლობით, უნდა შეერჩია როგორც ჩამოსახლებული კონტიგენტი, ისე ადგილები, სადაც რაიონული ხელმძღვანელების თანხმობით ისინი უნდა დამკვიდრებულიყვნენ. მინისტრთა საბჭოს დაეევალა გამოეყო სათანადო სახსრები სახლების ასაშენებლად და საკარმიდამო ნაკვეთების მოსაწყობად. წინასწარი ვარაუდით, ყოველ წელიწადს ჩვენთვის სასურველი 50-60 ოჯახი უნდა მიგვეღო, საბავშვო ბაღისა და სკოლის ასაკის ბავშვები, მშობლების მოთხოვნილებისამებრ, ქართული საბავშვო ბაღებსა და სკოლებში შეგვეყვანა, ხოლო უფროსები, მათი მშობლები, სპეციალობის მიხედვით სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დაგვესაქმებინა.

ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, აქცენტი გადაგვქონდა ბავშვებზე, შემდგომ თაობაზე, მომავალზე, რომელიც მშობლიურ ქართულ ატმოსფეროში უნდა გაზრდილიყო, მეცნიერულ საფუძვლებსაც ქართულ ენაზე დაუფლებოდა და, ამგვარად, თავისი მესხობა, თავისი ქართველობა საბოლოოდ დაებრუნებინა.

თუ თხრობის თანამიმდევრობის დარღვევად და წინ გახტომად არ ჩამეთვლება, ბარემ აქვე დავუმატებ, რომ, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, მოლოდინმა საკვლევი გაამართლა: ოზურგეთის, ზუგდიდის, სამტრედიის, ხონის და ჩხოროწყუს რაიონებში, სადაც ყაზახსტანიდან და შუა აზიიდან დაბრუნებული მესხები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით დასახლდნენ, ასობით მესხმა ბავშვმა ქართული სკოლა უკვე დაამთავრა და ბევრი მათგანი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობს სწავლას.

საკავშირო მთავრობის მიერ აღმართული ბიუროკრატიული ბარიერი გადაეღობა წინ მათი მშობლების მიერ თავიანთი გვარებისა და ეროვნების აღდგენას. რა არ ეწერა მათ პასპორტებში! ვინ უბრალოდ „თათარი“ იყო, ვინ აზერბაიჯანელი, ვინ კიდევ უზბეკი და კაზახი. მე მახსოვს ერთი მაჰმადიანი მესხის ოჯახი, რომლის ოთხივე მოწიფული ვაჟიშვილი, თუ მათი პასპორტების მიხედვით ვიმსჯელებთ, ოთხი სხვადასხვა ერის წარმომადგენლად ითვლებოდა. შეიძლება უფრო შორს წავიდეს პიროვნების დაუცველობა, მისი ადამიანური ღირსების დაკნინება და აბუჩად აგდება? რა იყო ამ გაუგონარი არევ-დარევის მიზანი? მხოლოდ ის, რომ ღვიძლ ძმებს, ერთი დედ-მამის შვილთ, რუსულად ელაპარაკათ, რადგან ერთმანეთის ენის შესწავლა, შიგ ქართული წამლადაც რომ არ ერია, არც ერთს არ შეეძლო.

რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს გულმოდგინე მეცადინეობით დღეს ბარიერები გადალახულია და საქმე წინ მიიწევს.

აი, ასეთი გახლდათ საზოგადოების განწყობილება და საქმის ვითარება სამოცდაათიანი წლების მიწურულს და ოთხმოციანი წლების დასაწყისში. მაშინ თავში ვის მოუვიდოდა, თუ სულ მალე, რამდენიმე წლის შემდეგ, იგივე მოვლენა საქართველოს საზიანოდ შემობრუნდებოდა, ტრაგიკულ ხასიათს მიიღებდა და ჩვენც, ადამიანები, ვინც მაჰმადიანი მესხობის საქართველოში დაბრუნების მოთხოვნით ისტორიული უსამართლობის აღკვეთისა და საქართველოში ქართული გენის

სა გამრავლებისათვის ვიბრძოდით, შექმნილი პოლიტიკური ვითარების კვალდაკვალ პოლარულად საწინააღმდეგო პოზიციას დავიჭერდით და ე.წ. „თურქ მესხთა" აზვირთებული მასების საქართველოს ფარგლებში შემოშვებას მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ ახალ უდიდეს ბოროტებად ჩავთვლიდით!

მაგრამ ეს შემდეგ მოხდა, როდესაც ქვეყანაში გარდაქმნისა და საჯაროობის სიომ დაჰქროლა, ახლა კი, სანამ თხრობას ბოლომდე მივიყვანდეთ და ყველაფერს თავ-თავის სახელს დავარქმევდეთ, მოდით, რესპუბლიკის ხელმძღვანელის კაბინეტში გამართულ თათბირს დავუბრუნდეთ.

— ვფიქრობ, საკითხი ამოწურულია, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ და ადგა. წამოვიშალეთ სხვებიც. — მეტი ხომ არაფერი გვაქვს დასაზუსტებელი?

— არის კიდევ ერთი საკითხი, ბატონო ედუარდ!

ყველამ მე შემომხედა ცოტა არ იყოს გაოცებულმა, შევარდნაძესაც გაუქრა პირზე ღიმილი.

— პირადად შენ გინდა დააყენო, თუ ამხანაგების სახელით?

— პირადად, ბატონო ედუარდ. მე არ მომეცა საშუალება, ის, რაც ახლა უნდა მოგახსენოთ, სხვებისთვისაც გამეზიარებინა. მაგრამ სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას! უკეთეს ადგილს საამისოდ და უკეთეს აუდიტორიას მე ვერსად ვიპოვნი!

— დაბრძანდით, ბატონებო. გისმენთ!

მე როგორადაც შევიძელი, მოკლედ მოვყევი ის ამბავი, რაც წინადღეს უნივერსიტეტელმა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მომიტანეს, დავახასიათე დადგენილების პოლიტიკური შინაარსი და სტრატეგიული მიმართულება. გასაგები მიზეზის გამო პროფესორი გიორგი ხარატიშვილი არ ძიხსეხებია. დამსწრეთა ყურადღება გავამახვილე იმაზე, რომ მოსალოდნელი იყო სტუდენტების საპროტესტო დემონსტრაცია, რის გამართვა ან გამართვაზე ხელის აღება იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ ამ კაბინეტიდან რა პასუხს გავიტანდი. სტუდენტები ჩემს პასუხს ელოდებოდნენ...

ყველა იჯდა და სულგანაბული გვისმენდა, ვიდექით მხოლოდ მე და ედუარდ შევარდნაძე გრძელი სათათბირო მაგიდის თავსა და ბოლოში.

გამოთქმების შერბილებას არ ვცდილვარ, რათა მათთვის უფრო თვინიერი და მისაღები ფორმები მიმეცა. პირიქით, ერთიმეორეზე უფრო მწვავე სიტყვებსა და გამოთქმებს ვხმარობდი. სტუდენტების მოსალოდნელ საპროტესტო გამოსვლას, რაც თბილისში 1956 წლის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ აღარ მომხდარა, მაგალითად, „გარდაუვალი აჯანყება"

ვუწოდე. გულახდილად გამოვტყდი, რომ სტუდენტებს მათი კოლონის პირველ მწკრივში ჩადგომა აღვუთქვი. არც ამით დავკმაყოფილებულვარ. პირველ მდივანს მოვუწოდე, მოსულიყო და გვერდში აძომდგომოდა, რადგანაც დემონსტრაციის დასაშლელად აუცილებლად იარაღს გამოიყენებდნენ, ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, ბავშვებს დამსჯელი რაზმების ხიშტსა და ტყვიაზე მარტომარტო ვერ გავუშვებდით...

ერთობ მძიმე სიჩუმე გამეფდა. არავინ იცოდა, ეს ამბავი რით დამთავრდებოდა, ყოველივეს მოსმენის შემდეგ რესპუბლიკის ხელმძღვანელი რა გუნებაზე დადგებოდა და რა გადაწყვეტილებას მიიღებდა. მას, სანამ ვლაპარაკობდი, ჩემთვის რეპლიკა არ მოუწოდებია, მოთმინებით მისმენდა, თუმცა, რომ იტყვიან, დაუკრეფავში ბევრჯერ გადავედი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, პოლიტბიუროს წევრის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს, მაგალითად, ანტილენინური, ანტიკომუნისტური, ანტიკონსტიტუციური, ანტისაბჭოთა აბდაუბდა ვუწოდე. ხოლო როდესაც დავამთავრე, მადლობის ნიშნად თავი დაიქნია და დამსწრეთ მიმართა:

— თუ წინააღმდეგი არ იქნებით, წინასწარ ნუ ვიკამათებთ, ჯერ მე მომეცით საშუალება ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო.

მან თავშეკავებული აღშფოთებით ილაპარაკა და თავიდანვე აღნიშნა, რომ მთლიანად და სავსებით იზიარებდა როგორც სტუდენტების, ისე ჩემს გულისწყრომას ხსენებული დოკუმენტის შექმნისა და სასწავლო პროცესზე უხეში, პოლიტიკურად გაუმართლებელი დაწოლის გამო. დაუმატა, დადგენილების თუ ბრძანების ტექსტს მე არ ვიცნობ, თუმცა მისი არსებობა ვიცი, ეტყობა, მინისტრთა საბჭოს მოუვიდა და იქ ისე უყოყმანოდ სცნეს, პირდაპირ ქსელში გაგზავნეს, შესრულება ცენტრალურ კომიტეტს აღარ შეუთანხმესო. სიტყვის ბოლოს ბატონმა ედუარდმა სამი თუ ოთხი დღე ითხოვა საქმის შესასწავლად და სათანადო ზომების მისაღებად, რასაც იქ მყოფი ინტელიგენციის წარმომადგენლები დიდ კმაყოფილებით შეეხვდით.

— ვინმეს ხომ არ სურს ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი რაიმე ბრძანოს?

თურმე დაგუბებული ბოღმით ხალხი ყელამდე იყო სავსე. გამოვიდნენ პირგამეხებული მარიამ ლორთქიფანიძე და მზექალა შანიძე. კორიანტელი დააყენეს. მათ მხარი აუბეს აკადემიკოსებმა გიორგი მელიქიშვილმა, ვახტანგ ბერიძემ და პროფესორმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა, რომელმაც მღელვარე სიტყვაში რუსულად დაწერილი თავისი სადოქტორო დისერტაცია გაიხსენა.

მახსოვს, პარასკევი დღე იყო. ორშაბათს ცენტრალურ კომიტეტში დამიძახეს და ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც ამერიკელი კონგრესმენების შემდეგ მიმიღო, პირადად მაცნობა, რომ საკავშირო მთავრობის დოკუმენტი, რომელმაც ასე ააღელვა ჩვენი საზოგადოება და კინაღამ გაუთვალისწინებელი გართულებებიც გამოიწვია, გაბრუნებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან და მისი ხელახლა გამოგზავნა საკარაუდებელი აღარ არის.

ასე ამოიღო მაუდქვეშ კიდევ ერთი უკანონო, უსამართლო, ბარბაროსული გადაწყვეტილება, ასე ასცდა მთელი საბჭოთა კავშირის მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას „სპეციალობის ერთი საგნის“

სწავლება რუსულ ენაზე, რათა შემდეგ და შემდეგ ეს „სპეციალობა" არა მშობლიურ, არამედ მხოლოდ ამავე ენაზე ესწავლებინათ.

ბუნებრივია, დაიბადება კითხვა: როგორ მოხერხდა ეს ყველაფერი და თანაც ასე მოკლე დროში? გამიძნელდება დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა. ეს, ალბათ, ბატონ ედუარდ შევარდნაძის საიდუმლოებაა და მის შესახებ მე არაფერი ვიცი.

შარშან, 1989 წელს, უზბეკეთში, ფერღანის ველზე, გაუგონარი ცოდვისკითხვა დატრიალდა. უზბეკი ვანდალები, კბილებამდე შეიარაღებულნი და საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს მომავალი თავმჯდომარის, ნიშანოვის, თვალწინ საგანგებოდ გაწვრთილნი, 1944 წელს საქართველოდან ჩასახლებულ ერთმორწმუნეთ დაესხნენ და სისხლის ზღვა დააყენეს. შუა საუკუნეები მონაგონი გახდა.

საკავშირო პრესას და რადიო-ტელევიზიას ახლაღა მოაგონდა, ვინ იყვნენ ეს უბედურები, აქ საიდან და როდის მოხვდნენ, გაჩნდა გვარტომობის უკეღმართად აღმნიშვნელი სიტყვა-ტერმინი „თურქი მესხი", რომელიც აქამდის არავის გაეგონა, გამოიჩეკნენ ათასი ჯურის ქკუის დამრიგებლები, შემგონებლები, ე.წ. სიმართლის მაძიებლები. დაიძრა ლტოლვილთა მრავალათასიანი ტალღა, რომელსაც კვალდაკვალ იარაღმომარჯვებულ უზბეკ ექსტრემისტთა ბრბოები მოსდევდნენ. ჩაერია საქმეში უზენასი საბჭოს ეროვნებათა საბჭო, ეროვნული საკითხის დიდი მცოდნის რაფიკ ნიშანოვის მეთაურობით, და შეუდგა ზრუნვას „სამართლიანობის აღსადგენად", „თურქი მესხებისათვის" კანონიერი სამშობლოს მისაჩენად, ე.ი. იმის განსახორციელებლად, რასაც უზბეკი მკვლელები და მძარცველები მოითხოვდნენ.

საით უქნან პირი ამ ზღვა ხალხს, რომელიც ოდესღაც კომუნისტური იმპერიის ერთპიროვნული განმგებლობის მსხვერპლი შეიქნა, მაგრამ, თურმე ნუ იტყვი, გულისგულში დამნაშავედ მაინც საქართველოს, ქართველებს თვლის?

— ჩვენ ქართველები არა ვართ! — თავიანთი ლიდერის პირით აცხადებენ ისინი. — ჩვენ ვართ თურქები! „თურქი მესხები" იმისთვის გვქვია, რომ ჩვენი სამშობლო მესხეთია, ის კი საქართველო არასოდეს არ ყოფილა! მესხეთი, ჩვენი სამშობლო, პასკევიჩმა წაართვა თურქეთს 1828–1829 წლების ომში. დაგვაბრუნეთ ჩვენს სამშობლოში! მოგვეცით პოლიტიკური ავტონომია!

იცანით ის გვამები, ასპინძის ბრძოლის შემდეგ მტკვარმა თბილისზე რომ ჩამოატარა?

მონასტერი აირია. ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობს. აღმოცენდნენ გულდათუთქული მოხალისენი საკავშირო პრესაში. მათ ფერღანის ვანდალიზმი სულაც არ აკრთობთ, თითქმის ნორმალურ მოვლენად მიაჩნიათ, მხოლოდ ამ „ნაციონალისტი ქართველების" გულქვაობა აკვირვებთ, უსამართლოდ რეპრესირებულ ხალხს თავის სამშობლოში რომ არ უშვებენ, და მათი ლანძღვა-გინებით პრესასა და რადიო-ტელევიზიას იკლებენ.

ნიღაბჩამოგლეჯილ მტერს, შიგნიდან და გარედან უსირცხვილოდ რომ გვაწვება, საკადრისი პასუხის გაცემა, მედგრად დახვედრა უნდა, თვალის მოხუჭვის დროც არ არის, ყოველი ბუჩქისა და ქვის უკან

პირსისხლიანი მტერია ჩასაფრებული. ვინ გასცემს მას პასუხს? ვინ გაუმკლავდება? წინ ვინ გადაეღობება? სამშობლოს სამსახურში გათეთრებული მოღვაწეების ლაფში ამოსავლებად, მათთვის სახელის გასატეხად, ვიღაც-ვიღაცეების წინ წამოსაჭიმად მიტინგზე გამოვარდნილი უწიგნური ორატორები, წიგნს რომ მხოლოდ შეშად იყენებენ და ის კი არ იციან, რომ მას გადაშლა და წაკითხვა უნდა? ჯერ სად ნახულა, რომელ კულტურულ ქვეყანაში, ვისა სმენია, მეცნიერისათვის ქუჩაში მოეთხოვოთ, გინდა თუ არა, შენი მეცნიერული შეხედულებები უარყავი, ახლავე ბოდიში მოიხადეო? ნუთუ მას შემდეგ, რაც ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს, ადამიანების ამოდენა მასას, მიტინგს რომ ესწრებოდა და ორატორებს მორჩილად, უდრტვინველად უსმენდა, წინ ერთი ნაბიჯითაც არ წაუწევია? მაგრამ როდესაც კლერიკალები ბრუნოს კოცონზე წვამდნენ, მათ ზედმიწევნით კარგად იცოდნენ, ამას რისთვისაც სჩადიოდნენ. ბრუნომაც, წარმოიდგინეთ, იცოდა, რისთვისაც ჰკლავდნენ და თავისი ჯალათების გამოსაჯავრებლად ამიტომაც გაიძახოდა, ის მაინც ბრუნავსო. აქ კი, ჩვენს სინამდვილეში, სულ სხვაგვარად გვაქვს საქმე: კოცონზე აყვანილიც და ისიც, ვინც ის კოცონზე აიყვანა, ერთსა და იმავეს ამტკიცებენ, დღეს, შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში, ე.წ. „თურქი მესხების“ საქართველოში ჩამოსახლება შეუძლებელია, ეს საქართველოსათვის, მთელი ქართველი ხალხისათვის და არა მარტო მესხეთისათვის ყელის გამოჭრა იქნებაო.

ამას ამტკიცებს და ამისათვის ხმალამოღებული იბრძვის ყველა შერისხული, ვისი სახელიც მიტინგზე ანათემას გადაეცა. უფრო მეტიც: ჩვენ მიგვაჩნია, რომ არ უნდა დავეყრდნოთ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას, რომელიც აგრეთვე თვლის, რომ ე.წ. „თურქ მესხთა“ ძველ საცხოვრისზე ჩამოსახლება მიზანშეუწონელია. თავი არ უნდა დავიიმედოთ, არ უნდა დავიმშვიდოთ, ფალია ყოველ წუთსა და ყოველ წამს მშრალი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩამოსახლება საკავშირო მთავრობის წაყრუებით, სტიქიურად არ მოხდეს, ფაქტის წინაშე არ აღმოვჩნდეთ, შინაგანი ჯარების სარდლობამ პილატესავით ხელი არ დაიბანოს, განზე არ გადგეს და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის სეირს არ უყურეს, როგორც სუმგაითსა, ყარაბახსა, ნახიჩევანსა და ბაქოში უყურა.

მაშ, თუ ასეა, და ეს რომ ასეა, ათასი საბუთი შეიძლება მოიყვანო ერთის წინააღმდეგ, კოცონი რისთვისღა აგვინთია? ვის ან რის დაწვას ვაპირებთ და რისთვის?

მკითხველს ზედმეტად არ გავრჯი, აქ არ მოვიხსენიებ ყველა პუბლიკაციას, ჩვენი ერისათვის ამ უაღრესად საჭირბოროტო პრობლემას რომ მიეძღვნა და მხოლოდ ერთი სულისკვეთებით იყო განმსჭვალული: არა, საქართველოს არ შეუძლია უზბეკების მიერ ცეცხლითა და მახვილით დევნილი ადამიანების მტრული მასის მიღება! შევჩერდები მხოლოდ დასკვნით ნაწილზე ჩემი წერილისა „ვაითუ კოკა წყაროზე გატყდეს“, რომელიც შარშან „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა და მიტინგზე „თურქ მესხთა“ ჩამოსახლების მოთხოვნად იყო მონათლული.

იქ შავით თეთრზე წერია:

„აქა-იქ ეონავს ხმები, რომ შექმნილი ტრაგიკული სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი „თურქი მესხების“ მათს ისტორიულ სამშობ-

ლოში დაბრუნებაა, მაგრამ რომელია ეს „ისტორიული სამშობლო“, ამის გამჟღავნებას მიზეზთა და მიზეზთა გამო ჯერჯერობით ყველა გაურბის. ქართველი ხალხი და საქართველოს მთავრობა წლების განმავლობაში შეძლების კვალობაზე გეგმაზომიერად ახორციელებდა თავის ჰუმანურ მოვალეობას, დაბრუნებულ მესხებს წინასწარ სახლებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, მთელ სოფლებს უშენებდა და ნორმალური ცხოვრების ყოველგვარ პირობებს უქმნიდა. ეს საშეილიშვილო საქმე უდიდესი ხალისითა და სიყვარულით კეთდებოდა მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უაღრესად მცირემიწიანი რესპუბლიკაა. მოსახლეობის მექანიკურმა მატებამ ომისშემდგომ წლებში და ბოლო ხანს მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა ის თითქმის გამოუვალი პრობლემის წინაშე დააყენა. ადგილმოსანაცელებელი და ხელახლა დასასახლებელი გაუხდა უსახლკაროდ დარჩენილი ათასობით ოჯახი აჭარიდან, რაჭიდან და ზემო იმერეთიდან. ათი ათასობით ჰექტარი სავარგული დაიღუპა და მეურნეობისათვის სამუდამოდ გამოუსადეგარი გახდა.

ის, ვისაც საქართველოსათვის, ქართველი ხალხისათვის სიკეთე სწადია და არ უნდა, მისი მიწა-წყალი ძალად თავზე მოხვეული გაუგებრობის ასპარეზად იქცეს, მიზნად არ დაისახავს უზბეკეთიდან იძულებით აყრილ ადამიანთა მასას, ოთხასი ათას კაცს, საქართველოს კარი გაუღოს და ჰუმანური გადაწყვეტილების საფარველით მისი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განსახლება შემოგვაწეროს. საქართველო კვლავაც არ იტყვის უარს თავისი ღვიძლი შვილების — მესხების შინ დაბრუნებაზე, როგორც არც აქამდე ამბობდა, მაგრამ ეს მისი შინაური საქმეა და, როგორც ყოველ სუვერენულ სახელმწიფოს, მას თვითვე მართებს თავისი შინაური საქმეების გადაწყვეტა!“

სად წერია აქ ის, რასაც მიტინგის ტრიბუნაზე გადმომდგარი სისხლმოწყურებული ორატორი ქადაგებდა (სხვათაშორის, მე არ დავინტერესებულვარ მისი ვინაობით, როგორც იმ სტუდენტების ვინაობით, თავიანთი უმაღლესი სასწავლებლებიდან ერთობ სამწუხარო ამბავი რომ მომიტანეს და საიდუმლოდ გამანდეს)? დავიჯერო, ორატორმა კითხვა არ იცის, ზემოთხსენებული წერილი თავიდან ბოლომდე ვერ წაიკითხა, შიგ ჩაქსოვილი დედააზრი ვერ გამოიტანა და ავტორს ამიტომ მიაწერა ის, რაც ამ უკანასკნელს სიზმარშიც არ უნახავს?

ნუ ვიზამთ ამას, მეგობრებო, ქართველებო, ნუ დავიქსაქსებით, განდიდებიის მანიით შეპყრობილები, აქაოდა დემოკრატიაა, მთა და ბარი გასწორდა, ყველაფრის თქმა შეიძლებაო, ერთმანეთს ნუ დავერევით. გვახსოვდეს, გულის ფიცარზე დავიწეროთ, რომ სამშობლოს, როგორც მშობელ დედას, ყველა შვილი ვჭირდებით, სადაც არ უნდა ვიყოთ და რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ. სამშობლო ჩვენგან მოითხოვს პატიოსანი ოფლის მოდენას, საქმეს, მარტოოდენ საქმეს და არა მოუთოკავ ემოციებს, გამოჯიბრებას, კრიჭაში ჩადგომას და სიტყვიერ მტკიცებას, ვის უფრო გვიყვარს ჩვენი მამული. არ გვმართებს დავიწყება, რომ თითოეული ჩვენგანი აგურია, რითაც სამშობლოს კედელია ამოყვანილი. ნურავინ დაიქადნის, სამშობლოს კედელს აგური გამოვაცალეო. ნუთუ მან არ უნდა იცოდეს, რომ ამით სამშობლო გაწირა, ხელი შეუწყო მისი დამხობის მოახლოებას?!

1990 წ.

ვერა, ვერ გაკიმეტებთ!

გასული პარასკევის „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ჩვენი მადლიანი საბავშვო პოეტის და მეცნიერ-ფოლკლორისტის ნოდარ შამანაძის პატარა წერილი, რომელიც ახლახან გარდაცვლილი რუსი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ანდრეი სახაროვის საქართველოსადმი დამოკიდებულებას ეხება. ავტორი ჯეროვანს მიუზღავს დიდებული რუსი ინტელიგენტის განსაკუთრებულ ღვაწლსა და დამსახურებას უპირველეს ყოვლისა მისივე ერის წინაშე და, ამავე დროს, ვერც სიცოცხლის ბოლო დღეებში გამოქვეყნებულ მის უკანასკნელ პუბლიკაციას ივიწყებს, საგანს საკუთარ სახელს არ ჰმეჯს.

მე არ შემიძლია, ნოდარ შამანაძის მამულიშვილურ გულისტკივილს არ თანავუგრძნო და ძალლობა არ ვუთხრა „ლიტერატურულ საქართველოს“ ამ დელიკატური საკითხის საზოგადოებრივ სარბიელზე გამოტანისათვის.

იქნებ იგი ამ სახით არ წამოჭრილიყო, ამავე გაზეთის წინა ნომერში საწინააღმდეგო აზრის შემცველი კორესპონდეციისათვის რომ არ დაეთმოთ ადგილი.

ახალგაზრდა ჟურნალისტს, კორესპონდენციის ავტორს, უამრავი საფიქრალითა და საზრუნავით შეპყრობილი, დაღლილი და გაწამებული მეცნიერი ტელეფონით შეუწუხებია და, იქნებ ის ავად მოსაგონარი „იმპერია“, „ოგონიოკისათვის“ მიცემულ ვრცელ ინტერვიუში რომ ახსენა, როგორმე უკან წავაღებინო და სრულიად უსაფუძვლო ბრალდებით შეურაცხყოფილი ქართველი ხალხის თვალში მეცნიერის შეუბღალავი სახელი კვლავ აღვადგინოო, მიღება და მცირე ინტერვიუ უთხოვია.

ეს სავსებით გასაგები კეთილი განზრახვა კეთილად არ დაბოლოებულა, თუმცა შეიძლებოდა კი კეთილადაც დაბოლოებულიყო. საქმეში ჩახედული ჟურნალისტი მეცნიერს პირუთვნელად გაუმჟღავნებდა, თუ რა უხეში, მომაკვდინებელი შეცდომა გაეპარა ინტერვიუში და თავისი მოსაზრების დასადასტურებლად სათანადო წყაროებსაც მიუთითებდა. შეწუხებული მეცნიერი, რომ ასეთი რამ დაემართა, ადგებოდა და წიგნის თაროებთან მივიდოდა. გადმოიღებდა ერთ ტომს, მეორეს, მესამეს... ანდა საჭირო ისტორიულ წყაროს ჟურნალისტი თავად მიუტანდა და როდესაც თავის ჰეშმარიტებაში დაარწმუნებდა, ანდრეი სახაროვიც გულახდილად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას და შეუსაბამო ანალოგიის გამო, რომელიც ინტერვიუში გაატარა, სინანულს გამოთქვამდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ანდრეი სახაროვმა, როგორც კი შეიტყო, ქართველი ჟურნალისტი მელაპარაკებაო, ყურმილი უცერემონიოდ დასდო. ჟურნალისტს ბევრი აღარ უყოყმანია. ხელახლა დარეკა, საუბრის შეწყვეტა ტექნიკურ მიზეზებს დააბრალა და ხვეწნა-მუდარა გააგრძელა. სახაროვის პასუხი: „ქართველებმა თავი მომაბეზრეთ!“ და ყურმილში კვლავ გაისმა მოკლე სიგნალები. ჟურნალისტი არც ახლა გატყდა, მესამედაც დარეკა, კიდევ მოიმიზეზა ტექნიკური შეფერხებები და აკადემიკოსისაგან მხოლოდ იმის შეტყობა შესძლო, რომ ის „იმპერია“, ზემოთხსენებულ ინტერვიუში რომ იხსენიება, თვით

სახაროვისაგან არ მომდინარეობს, მას ინტერვიუს ამღების სიტყვები ეკუთვნოდა...

თუ აგრე იყო, სამართლიანად წერს შეწუხებული ნოდარ შამანაძე, იქ სულგახათლებულს ერთი ორი სიტყვა ეთქვა ვინმე მესამე პირთან და სადმე გამოექვეყნებინა, ვითომ დაბეჭდა გაუპირდებაო?

ვის და რატომ ვუხდით ბოდიშს?

ნოდარ შამანაძისაგან განსხვავებით მე სხვა პრეტენზიაც მაქვს ჟურნალისტთან. როდესაც მეცნიერმა ტელეფონის ყურმილი პირველად და მეორედ დაუკიდა, თანაც დაუმატა, ქართველებმა თავი მომაბეზრეთო, იგი კერძო პირად მიიღო, თუ მოძმე ქართველი ხალხის წარმომადგენლად? კერძო პირად, რასაკვირველია, ვერ მიიღებდა, რადგანაც ისინი, სახაროვი და კორესპონდენტი, ერთმანეთს არ იცნობდნენ, საქართველოს წარმომადგენელს კი, საქართველოს სახელით, იქ განმეორებით დარეკვის, მობოდიშების და თავის დამცირების ნება არ ჰქონდა!

ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს! ვისაც სურს, როგორც უნდა, თავი ისე დაიმციროს, მაგრამ საქართველოს სახელით ამის გაკეთებას, როცა შენს ზურგს უკან არა შენი პირადი პერსონა, არამედ საქართველო დგას ან იგულისხმება, სხვა რამე ქვია და მე არ მინდა, ეს საუგო ეპითეტი აქ ვიხმარო!

რაკი სიტყვა აკადემიკოს ანდრეი სახაროვის პიროვნებისადმი ჩვენს დამოკიდებულებაზე მიდგა, საგანგებო გამოსვლა რომ აღარ დამჭირდეს, აქვე მინდა გავიხსენო კიდევ ერთი უსიამოვნო ფაქტი.

აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი რომ პირველად შეაჩვენეს და ანტიქრისტედ გამოაცხადეს, მთელი საბჭოთა კავშირის ცენტრალური და რესპუბლიკური პრესა მის წინააღმდეგ ამხედრდა და დაირაზმა. ამ ცოდვიან საქმეში, რასაკვირველია, არც ქართული გაზეთები ჩამორჩენილან, უპირველეს ყოვლისა, ქართული პრესის ფლაგმანი „კომუნისტი“.თავ-თავისი აღშფოთება გამოთქვეს რესპუბლიკის რჩეულმა მეცნიერებმა, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლებმა. დაიბეჭდა ქართველი მწერლების აღშფოთებაც, რომელსაც ხელს აწერდა პრეზიდიუმი — 12 თუ 15 კაცი, ხეირიანადე აღარ მახსოვს.

ეს ამბავი შუა ზაფხულში მოხდა. რაკაში ვისვენებდი. გაზეთის ნომერი იქ მომივიდა და გავკვირდი, როდესაც ოფიციალური შემაჩვენებელი განცხადების ქვეშ სხვა მწერლების გვარებთან ერთად ჩემი გვარიც ამოვიკითხე. იმ განცხადების დედანი, რომელსაც სათანადო პირთა ფაქსიმილეები უნდა დართვოდა, ბუნებაში არ არსებობს და არც არასოდეს არსებულა. დოკუმენტი, ეტყობა, ცენტრალური კომიტეტის შესაბამის განყოფილებაში შეადგინეს და შემდეგ პირდაპირ გააგზავნეს სტამბაში ისე, რომ ხელისმომწერლებისათვის ტელეფონითაც კი არ შეუტყობინებიათ. ეს რომ მაინც ექნათ, ტელეფონით შემთახმებოდნენ, თუ მეტს ვერა, იმდენს მაინც შევძლებდი, რომ განცხადებიდან ყველა ჩვენთაგანისათვის სამაცხვინო ფრაზას, თითქოს საბჭოთა ატომური ბომბის მამა, მეოცე საუკუნის უდიდესი ფიზიკოსი აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი „ეაიმეცნიერი“ ყოფილიყოს! — ამოვაღებინებდი.

ანდრეი სახაროვი და „ეაიმეცნიერი“, განა სასაცილო არ არის?

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, საქართველომ იცის, ვინ არის აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი. დიახ, არის, რადგანაც, მიუხედავად გარდაცვალებისა, ის არასოდეს მოკვდება, უპირველეს ყოვლისა, არ მოკვდება თავისი მრავალტანჯული მშობელი ხალხის ხსოვნაში, ხოლო ვინც მშობელი ხალხის ხსოვნაში არ მოკვდება, ის ყველასათვის უკვდავია.

აი, ასეთია სიმართლისათვის, ადამიანის ადამიანური უფლებისათვის, ხალხთა შორის მარადიული მშვიდობის დამყარებისათვის წარბშეუხრელად მებრძოლი ანდრეი სახაროვი!

მე რომში მინახავს ჩარლზ დარვინის, ისააკ ნიუტონის და ლევ ტოლსტოის პროსპექტები, სხვაგან კი სხვათა. იმ უკვდავ სახელებს, ქალაქებსა და ქუჩებს რომ არქმევენ, ახლო მომავალში აკადემიკოს ანდრეი სახაროვის სახელიც მიემატება სხვადასხვა კონტინენტზე და სხვადასხვა ქვეყანაში. მაგრამ საქართველო მაინც არ არის „პატარა იმპერია", როგორადაც ის მონათლა ანდრეი სახაროვმა თავის უკანასკნელო ინტერვიუში, მას არასოდეს არავინ დაუპყრია, მათ შორის არც „სამხრეთ ოსეთი" და აფხაზეთი და იქ მცხოვრებ ხალხებზე თავისი იმპერიული ძალაუფლება არ გაუვრცელებია.

დიახ, არ არის, მაგრამ აკადემიკოს ანდრეი სახაროვის მიერ ნათქვამი სიტყვები, ჟურნალმა „ოგონიოკმა" რომ გამოაქვეყნა, დღეს განათლებულ მსოფლიოს პირზე აკერია და ერთადერთ შეულამაზებელ სიმართლედ თვლის, რადგანაც ის თვით ანდრეი სახაროვმა წარმოსთქვა! შავით თეთრზე დაწერილს ახლა ნაჯახითაც ვერ ამოჩეხავ. ვერ დაინახეთ, რა ამბავი ატეხა ლიგაჩოვმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ოთხმილიონიანი ტირაჟის მქონე ჟურნალის ფურცლებზე გამომაჭენეს და თბილისის ამბებში მთავარ დამნაშავედ დამსახესო?

რა ვქნათ ამის შემდეგ ნებით თუ უნებლიეთ სამარცხვინო ბოძზე გაკრულმა ქართველებმა, მთელმა ერმა, თვალი დაეხუჭოთ, ყური მოვიყრუოთ და ვინც არ უნდა გვირჩიოს, უკვდავი მეცნიერის ანდრეი სახაროვის სახელი ჩვენი დედაქალაქის რომელიმე ქუჩას მაინც ვუწოდოთ? რას იტყოდა თვით ანდრეი სახაროვი, სინამდვილე ძირისძირობამდე რომ შეეტყო? მისი ამბავი რომ ვიცი, საქციელს ვერ მოგვიწონებდა, ამას მკვახედ, როგორც სჩვეოდა, მოგვახლიდა, ჩვენს უპრინციპობას შემწყნარებლობად სულაც არ ჩათვლიდა. აქაც მართალია წერილის ავტორი პოეტი ნოდარ შამანაძე: აკადემიკოს ანდრეი სახაროვის უკვდავსაყოფად თბილისში ქუჩას ვერ გავიმეტებთ, მის დიდ სახელს ამით ერთი მისხლის საღირალიც არაფერი დააკლდებაო!

1990 წ.

რაინდი საჯურჯელმტკივრთველი

ჩვენს ამბიციურ წუთისოფელში, როდესაც საკუთარ სწორუპოვარ ღირსებებზე შეყვარებული ადამიანები ისე გაამაყებულან და გაამპარტავნებულან, თავზე ბუზსაც აღარ იფრენენ, უმაღლესი სამეცნიერო ტიტულებით შემკული ერთი ქართველი სწავლული თავისი პირადი სურვილით და არა ვისიმე ძალდატანებით მდივნადა და თანაშემწედ დაუდგა ასაკით ბევრად უფროს, სამშობლოს სამსახურის ურთულეს გზებზე ნაჯაყჯაყებ მეორე სწავლულს და ოთხი წლის განმავლობაში, სანამ ბუნებამ თავისი არ გაიტანა და მამულის სამსხვერპლოზე დაფერფლილი წმიდა ნეშტი მშობლიურმა მიწამ არ მიიბარა, მას გვერდიდან არ მოშორებია.

პირველი მათგანი, ვინც თავისი უანგარო, ერთი შეხედვით მისთვის შეუფერებელი სამსახურით ქართულ საისტორიო მეცნიერებას განუზომელი ღვაწლი დასდო, ჩვენგან ნაადრევად წასული ცნობილი ქართველი არქეოლოგი, ბევრი სამეცნიერო და პოპულარული წიგნის ავტორი, მრავალმხრივი განათლებითა და ენების ცოდნით გამორჩეული გიორგო ლომთათიძე გახლდათ, ხოლო მეორე ერის მეჭურჭლეთუხუცესად სამართლიანად წოდებული, საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთი უპირველესი მოამაგე აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი.

ეს ლეგენდად ქცეული კაცი, ჩვენი სულმნათი კლასიკოსების თანამედროვე, გენიალური ნიკო მარის სიყრმის მეგობარი, ვისაც ბედმა იმთავითვე 'სამშობლოს დიდი მოჭირნახულის ხვედრი განუმზადა, როგორც ცნობილია, მეოთხედსაუკუნოვანი ემიგრაციის შემდეგ სამშობლოში 1944 წელს დაბრუნდა, დაბრუნდა და თან ჩამოიტანა საქართველოდან 1921 წლის თებერვალში გატანილი სამუზეუმო განძეულობანი, რომელთაც უცხოეთში მცველად ახლდა და ორნახევარი ათეული წლის მანძილზე, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, როცა ევროპის კონტინენტზე მეორე მსოფლიო ომის ყოვლისმომცველი ხანძარი მძვინვარებდა და საფრანგეთი, სადაც სამშობლოდან ლტოლვილი ქართული ემიგრაცია თავს აფარებდა და სადაც საქართველოს სამუზეუმო განძეულობა იყო შენახული, ფაშისტი ვანდალების ჩექმის ქვეშ აღმოჩნდა, ენით აუწერელი გაჭირვება გადაიტანა.

ამ ტრაგიკული ამბების ირგვლივ, ბოლო რომ კეთილი აღმოაჩნდა, საქართველოში და საქართველოს გარეთ ბევრი დაიწერა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში კიდევ მეტი დაიწერება, ამ სტრიქონების ავტორსაც ერგო ბედნიერება, ერის წმიდანის, ექვთიმე თაყაიშვილისადმი საგანგებო სარკვევი მიეძღვნა. ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ იმას, რაც ჩვენი მკითხველისათვის უამისოდაც ცნობილია და კვლავ სანიმუშო ქართველი მამულიშვილების — ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი ლომთათიძის ურთიერთობის ამბავს მივუბრუნდები.

ყოველივე ეს სკრუპულოზურადაა აღწერილი ქ-ნ ნინო ღოღობერიძის მიერ შედგენილ გიორგი ლომთათიძის წიგნში „ქართული კულტურის მემატიანე ექვთიმე თაყაიშვილი", რომელიც ეს-ესაა გამომცემლობა „საქართველომ" დასტამბა.

ისტორიულ ძნელბედობაში სასწაულებრივად გადარჩენილ და საქართველოში უვნებლად დაბრუნებულ განძეულთან ერთად, რომელსაც თავისუფლად შეიძლება კაცმა საქართველოს პირადობის მოწმობა, პასპორტი უწოდო, მსოფლიოს მეცნიერმა თან ჩამოიტანა მრავალი ისტორიული საბუთი, ჩანახატი, აღწერილობა თუ მეცნიერული ნაშრომი, რომელთა გამოქვეყნება სამშობლოში ვერ მოასწრო და არც უცხოობაში მიეცა საშუალება იგი დღის სინათლეზე გამოეტანა და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩაერთო.

ეს ზღვა მასალა, ათასობით გაყვითლებული ფურცელი, მოსაწესრიგებელი იყო, ბევრ მათგანს კი რუსულიდან თარგმნა და ქართულად გამართვა სჭირდებოდა. ერთი სიტყვით, სამუშაო ისე მრავალმხრივი და ტევადი ჩანდა, მის ბოლომდე მიყვანას არამცთუ ერთი-ორი კაცის ხანგრძლივი თავდადებული მუშაობა, მთელი ინსტიტუტის ძალისხმევა სჭირდებოდა.

სიცოცხლის მეცხრე ათწლეულში გადამდგარი ღრმად მოხუცებული მეცნიერი არცთუ უსაბუთოდ შიშობდა, რომ მისი დღეები უკვე დათვლილი იყო და ვაითუ ამოდენა ნაშრომ-ნაღვაწი მშობლიურ მეცნიერებას სამუდამოდ დაჰკარგვოდა, ვინაიდან მასალებზე მისი თანდასწრების გარეშე მუშაობა იმ სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა, რომელიც უნდა მოეტანა.

პირად ცხოვრებაში ზედმიწევნით თავმდაბალი, ყოველგვარ ბატონკაცური ჩვევებისაგან შორს მდგომი ექვთიმე თაყაიშვილი სწორედ ამ გარემოებამ აიძულა, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორისათვის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველისათვის მიემართა და თანაშემწედ გამოსადეგი პირის შერჩევა ეთხოვა. წინასწარი პირობის თანახმად, თანაშემწე ღრმად განათლებული პიროვნება უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა კი არქეოლოგიის საკითხებში, ამ დარგის ყველა მეცნიერული მონაპოვარი ხელისგულზე უნდა სდებოდა. მასვე უნდა შესძლებოდა, პროფესიონალურ დონეზე ეთარგმნა ტექსტები, შეედგინა და რუსულად ეთარგმნა რეზიუმები, შემდეგ კი თავს ედო ცალკე წიგნებად და ჟურნალ-გაზეთებში მათი პუბლიკაციის უაღრესად შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმე.

ბატონ ნიკო კეცხოველს ბევრი უფიქრია და ასეთად ბატონი გიორგი ლომთათიძე მიუჩნევია. მაგრამ დათანხმდებოდა კი თავადაც ღვაწლმოსილი, მეცნიერების სამსახურში გაჭაღარავებული, ათას საქვეყნო საქმეში ჩაბმული, არაერთი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი გიორგი ლომთათიძე ვისიმე მდივნობას თუ თანაშემწეობას, თუნდაც ის „ვინმე" თვით დიდი ექვთიმე თაყაიშვილი ყოფილიყო?

უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ნიკო, აგრეთვე უთვალავი კეთილი საქმის წამომწყები და მეცენატი, როგორც მოგონებაში ვკითხულობთ. ბატონ გიორგი ლომთათიძეს პირადად ხლებია ისტორიის ინსტიტუტში და მიუკიბ-მოუკიბავად, როგორც საზოგადოდ სჩვეოდა, მოსვლის მიზეზი პირდაპირ უთქვამს.

ლომთათიძე ერთი კი დაფიქრებულა, თვალები დაუხრია და მცირეოდენი დუმილის შემდეგ უკითხავს:

— თქვენ ეს საჭიროდ მიგაჩნიათ?

— აუცილებლადაც!

გგონიათ, მოეუტან სარგებლობას?

– უეჭველად!

რაკიღა აგრეა, თანახმა ვარო, განუცხადებია გიორგი ლომთათიძეს და ექვთიმე თაყაიშვილის მოსანახულებლად და საქმისათვის სათავის დასადებად აქედანვე წასულან. ექვთიმე შწოლიარე დახვედრიათ. ხშირად ავადმყოფობდა. მეტად მცივანა ყოფილა. გამთბარ ოთახში, საწერ მაგიდასთან, არცთუ იშვიათად პალტოწამოხურული იჯდა, თავზედაც თბილი ქუდი ეხურა და ისე მუშაობდა. ამის გამო იოფლებოდა, ნიავი დაჰკრავდა, ცივდებოდა, სიცხე აუწევდა, ჩაწვებოდა ლოგინში, ფიქრობდა, ეს უკვე ეტყობა, აღსასრულიაო და შეშინებული, ვაითუ რაიმე დამრჩეს მოუწესრიგებელი, უჩემოდ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებენო, მიკნავებული ხმით უკანასკნელ განკარგულებების გაცემას იწყებდა.

მოვიდნენ თუ არა სასურველი სტუმრები, მოუთმენლად რომ ელოდა, ექვთიმე ლოგინში წამოჯდა, ორივეს სკამები შესთავაზა და გიორგის, თუმცა პირველად ხედავდა, შინაურულად მიმართა, მაგიდა საწოლთან ახლოს მომიწიე, აი, ის საქაღალდე მომაწოდე, არა, ეგ კი არა, მაგის ქვეშ რომ დევს, ეგ. ბარემ ვახსენოთ ღმერთი და დავიწყოთ, დროს უქმად ნუ დავკარგავთ, ყოველი წუთი ძვირფასიაო.

კეცხოველი ისე ამდგარა და წამოსულა, საქმეში ჩაფლულ მეცნიერებს მისი წასვლა არც კი შეუმჩნევიათ.

ამ წუთებიდან დაიწყო თავაუღებელი მუშაობა ექვთიმე თაყაიშვილის მრავალათასფურცლოვანი მემკვიდრეობის გასარჩევად, ტექსტების გასამართავად, სათარგმნელად, ტერმინების დასაზუსტებლად, საბოლოო რედაქტირების მოსახდენად და შემდეგ რედაქციებისა და გამომცემლობების ჩასართველად ტექსტების პუბლიკაციის საქმეში, დაიწყო და, არც მეტი, არც ნაკლები, ოთხ წელიწადს გაგრძელდა.

ეს ჰგავდა დაგუბებულ ნიაღვრისაგან ჯებირის გადმონგრევას. ამ წლებში საქართველოს რომელი ბეჭდვითი ორგანოც არ უნდა გადაგეშალათ, სამეცნიერო თუ მხატვრული, ექვთიმე თაყაიშვილის სახელსა და გვარს იქ აუცილებლად შეხვდებიდით. დაიწყო ცალკე წიგნების გამოცემა.უკლებლივ ყველა ამ ტექსტის მომზადებელი, ავტორთან ერთად, რედაქტორი და შემდეგ გამომშვები, კორექტორიც კი გიორგი ლომთათიძე იყო.

გაგანია ალოსთავზე, როცა ორივე მეცნიერი დღესა და ღამეს ასწორებდა, რათა მაქსიმალურად მეტი მოესწრო, მათ განუშორებლივ გვერდში უჯდა გიორგი ლომთათიძის მეუღლე, უნივერსიტეტის ლაბორანტი ნინო ღოღობერიძე, თითქმის საში ათეული წლის შემდეგ ეს წიგნი რომ შეადგინა და გამოსცა, და მათი შრომის შესამსუბუქებლად ტექნიკურ სამუშაოს ასრულებდა, ლამაზი, გარკვეული ხელით იწერდა ტექსტებს, ბეჭდავდა, აწებებდა შეტანილ შესწორებებს, კითხულობდა კორექტურას...

„შეიძლება გადაუჭარბებლივ ითქვას, — წერენ წიგნის წინასიტყვაობაში ბატონები ვახტანგ ბერიძე და გივი ჟორდანია. — რომ თუ დღეს გვაქვს ექვთიმე თაყაიშვილის ბევრი ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, ეს გიორგი ლომთათიძის დამსახურებაა, მისი

თავდადებული შრომის გარეშე ვერც ერთი მათგანი ვერ იხილავდა მზის სინათლეს“.

გიორგი ლომთათიძემ თარგმნა და ავტორის სიცოცხლეშივე მისი მეთვალყურეობით გამოსცა „სუმბატ დავითის ძის ქრონიკის შესავალი“, „საიდან და როდის გაჩნდა „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში სახელწოდება „არიან ქართლი“, „ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგიური ტაბულები“, „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“, „მხატვრული ნაქარგობანი იკორთის ტაძრიდან“, „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“, „სამუსულმანო საქართველოს ექსპედიცია“ და სხვა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაშრომები.

ტექსტებზე მუშაობისაგან თავისუფალ დროს, თუკი შეიძლება მას „თავისუფალი დრო“ ეწოდოს, ბევრის გადამტანი, წლებით დამძიმებული, ჩვენდა საბედნიეროდ, ფენომენალური მეხსიერებით დაჯილდოებული მხცოვანი მეცნიერი, ყოველი საქმის თუნდაც უმნიშვნელო დეტალიც კი რომ ზეპირად ახსოვდა, თავის თანაშემწე გიორგი ლომთათიძეს მოგონებებს კარნახობდა. კარნახობდა არა იმისათვის, რომ მკითხველის წინაშე თავისი პერსონა წარმოეჩინა, როგორც ბევრი ჩვენი თანამედროვე ურცხვად სჩადის, და პატივმოყვარეობის ჭია მოეკლა, არამედ იმის გამო, რომ მისმა უზადო მეხსიერებამ საქართველოს უახლესი წარსულის მრავალზე მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა ცოცხლად შემოგვინახა და მისი ცოდნა ჩვენს მომავალ თაობებს დაუფასებელ სამსახურს გაუწევს.

ამ მოგონებებს 1958–1959 წლების ჟურნალ „მნათობის“ ნომრებში ერთიმეორის მიყოლებით აქვეყნებდა პუბლიკაციის ავტორი გიორგი ლომთათიძე.

ჩვენს მერკანტელისტურ დროში, როცა ლამის კაცის ღირსებაც კი ფულით გავზომოთ, რა ხერხებითა და საშუალებითაც არ უნდა იყოს ნაშოვნი ის ფული, როცა ფული კერპად იქცა და მას ერთნაირად მონებს ერიც და ბერიც, არ უნდა დაგვრჩეს ყურადღების გარეთ ის ფრიად საგულისხმო ფაქტი, რომ ექვთიმე თაყაიშვილის გარდაცვალების შემდეგ გიორგი ლომთათიძემ უარი თქვა კუთვნილ ჰონორარზე, დიდი მეცნიერის თხზულებების პუბლიკაციაში რომ ერგებოდა და თანახმად მისი თხოვნისა, ამ ჰონორარს ექვთიმეს ნაშვილები ლიდა თაყაიშვილი იღებდა.

მკითხველი, ალბათ, ამჩნევს და აქამდეც შეამჩნია, რომ ამ მცირე წერილით მე სრულებითაც არ ვცდილობ მეცნიერების სილრმეებში შეიჭრა და აქ ორი დიდებული ისტორიკოსის ერთად მუშაობის პროფესიულ თავისებურებათა ჩემი ვერსია წარმოვადგინო. ამას უთუოდ სხვები იზამენ, მე კი სულ სხვა რამ მაქვს მიზნად დასახული და მკითხველის ინტერესიც სწორედ აქეთ მსურს წარვმართო. მე მინდა წინ წამოვწიო ჩვენი თანამედროვე ინტელიგენტი ადამიანის ზნეობრივი სახე, რომელსაც, განსხვავებით ათასობით სხვა მისი თანამემამულისაგან, მსახვრალმა დრომ, საზოგადოების სოციალურმა წყობამ ვერაფერი დააკლო და იმად დარჩა, როგორადაც გარდასულ საუკუნეთა ღვაწლმოსილი ქართველი სწავლულები წარმოგვიდგენია, წამდაუწუმ

თავიანთ ცოდვებს რომ ახსენებდნენ და ნაშრომ-ნაღვაწით უკმაყოფილონი შთამომავლობისაგან მხოლოდ შენდობას ითხოვდნენ.

ეს ორი ზნეკეთილი ადამიანი, ჯოჯოხეთის ყველა რკალში გამოვლილი ექვთიმე თაყაიშვილი, ჩვენს ყოვლის დამარღვეველ და გამაბინძურებელ დროში ილიას მადლით მოსილი ეპოქიდან რომ მოვიდა, და მასთან შედარებით ყმაწვილი კაცი, თუმცა უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი გიორგი ლომთათიძე, ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, სწორედ ნათესაური სულის სიმაღლით გამოირჩეოდნენ და ეს არც ერთ მათგანს არ უკვირდა, ჩვეულებრივ ამბად მიიჩნდა.

გარდა იმისა, რომ ექვთიმე თაყაიშვილის აქამდე გამოუქვეყნებელი შრომების გამოსამზეურებლად სწორედ რომ ტიტანური შრომა გაიღო, გარდა იმისა, რომ მთელი ეპოქის შემცველი მემუარები ჩაიწერა, გარანდა და გამოსცა, გარდა იმისა, რომ თავისი დიდი წინამორბედისა და მასწავლებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა, რომელიც ამავე წიგნშია დაბეჭდილი, გიორგი ლომთათიძე ამითაც არ დაკმაყოფილდა, ეკერმანობა იკისრა და ლეგენდარულ ბრძენკაცთან გამართული საუბრები სიტყვასიტყვით ჩაიწერა.

პირადად ჩემთვის გაუგებარია და ამავე დროს აღტაცებასაც იწვევს ტექნოლოგია, როგორ ხდებოდა ამ დიალოგების ჩაწერა, ფიქსირება, ქაღალდზე გადატანა. საუბარი, რომელიც უპირატესად მონოლოგის ხასიათს ატარებს და მხოლოდ აქა-იქ წყდება მოკლე-მოკლე რეპლიკებით, იმდენად უშუალოა და თავისუფალი, შეუძლებელია, მის ბუნებივრობაში ექვი შეგეპაროს. უკეთუ საუბრის სტენოგრაფიული ჩაწერა საუბრის დროსვე მიმდინარეობდა, არ შეიძლება, მას გავლენა არ მოეხდინა დიალოგის ნატურალურ მდინარებაზე, არ გაეკაზიონურებინა იგი, შიგ რაღაც სქემატიზმი არ შეეტანა.

ამასთან დაკავშირებით მე ერთი საგულისხმო ამბავი მახსენდება, რომელიც ჩემი უფროსი მეგობრისა და მწერლობაში გზის გამკვლევის ბატონ სიმონ ჩიქოვანისაგან გამიგონია.

მკითხველს ვთხოვ მომიტევოს, თუ ფრჩხილებს გასაგები მიზეზის გამო ვერ ვხსნი და გამოჩენილი მხატვარი-პორტრეტისტის და მისი ნატურის, კიდევ უფრო გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ვინაობას, რომელსაც ეს ამბავი შეეხება, ბოლომდე ვერ ვამჟღავნებ.

პორტრეტზე მუშაობის დროს მხატვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ყველა ხერხს მიმართავდა, რათა ნატურა დაძაბული პოზიდან გამოეყვანა, თავის თავთან მარტო დაეტოვებინა, მის სულს მისწვდომოდა და დაეხატა ის, როგორც ადამიანი, არა ისეთი, როგორსაც ყოველდღე ხედავდნენ, არამედ ისეთი, როგორიც ნამდვილი იყო.

წარმოიდგინეთ, ვერაფერს გავხდიო, სიცილით ყვებოდა თურმე შემდეგ ამჟამად უკვე ცხობილი პორტრეტის ავტორი. როგორც კი პოზიდან გამოვიყვანდი, ჩვეულ ნიღაბს ჩამოვაცილებდი, რომელსაც ის საგარეოდ, საზოგადოებაში ატარებდა, ჩემს ნატურას იმწამსვე ჩაეძინებოდა და როგორც კი შევაღვიძებდი, საქმე ისევ თავიდან დასაწყები მიხდებოდაო.

ეს იქნებ გასაკვირი არც კი იყოს. მცირე გამონაკლისის გარდა, მხოლოდ პროფესიონალი მსახიობები და ორატორები ახერხებენ იუპიტერის დამაბრმავებელი შუქის ქვეშ სრული ბუნებრივობა და ძალდა-

უტანელობა შეინარჩუნონ, სხვები კი, არაპროფესიონალები, შექმნილი გარემოება რომ ამავე ვითარებაში გვაყენებს, ვერ ვუმკლავდებით ცთუნებას, საკუთარ თავზე უკეთესი აღმოვჩნდეთ, ჩვენთვის ნაკლებ-დამახასიათებელი პოზა მივიღოთ, მაყურებელს თავი მოვაწონოთ და ვერცკი ვამჩნევთ, რომ სწორედ ამ დროს ვხდებით ყველაზე ნაკლებ საინტერესონი, ნიღბოსანები, საკუთარ შინაგან ბუნებას, რითაც სხვებისადაგან განვსხვავდებით, თითქმის პოლარულად დაშორებულნი. მოწაფე და მასწავლებელი სასაუბროდ, რასაკვირველია, განზრახ არ სხდებოდნენ. ორ ცოცხალ ადამიანს შორის ეს საუბრები თავისთავად, ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და განზრახვის გარეშე იმართებოდა, თუმცა, ცოდვა გატეხილი ჯობს, როგორც კი საბაბი მიეცემოდა, გიორგი ლომთათიძე მას ხელიდან არ უშვებდა და ცეცხლზე ხმელი ფიჩხის შეუმჩნეველი მიმატებით, სასურველ გზაზე დამყენებელი რეპლიკებით, გონებით ახალგაზრდულად მკვირცხლ და იუმორის გაუხუნარი გრძნობით მომადლებულ მოხუცს სასაუბროდ იწვევდა.

ბატონ ექვთიმეს მეხსიერებაში პატარ-პატარა გამოვარდნები ჰქონდა. შოგადაშიგ გვარები ავიწყდებოდა. აქ ჩაერთვებოდა სწორედ თანაშემწის ერუდიცია. სასურველ გვარს შეუცდომლად მიაწოდებდა და საუბარიც ჩვეულებრივ გრძელდებოდა. მეტყველების კულტურაზე ბატონი ექვთიმე მაინც და მაინც დიდად არ ზრუნავდა, თუმცა მუშაობის დროს ზუსტი მეცნიერული ტერმინის დადგენას ხშირად რამდენიმე დღეს ანდომებდა. თავის დაუზარელ და ერთგულ თანაშემწეს ვისთან არ აგზავნიდა, რომ უტყუარად სწორი ფორმა შეეტყო და ტექსტი ნამდვილ პროფესიულ დონეზე გაემართა. ლაპარაკში რუსიციზმებს და ხანდახან მთელ რუსულ დრაზებს ხმარობდა, შიგადაშიგ ფრანგულსაც გამოურევდა ხოლმე. რექტორ ნიკო კეცხოველს გიორგი ლომთათიძის პირით უთვლიდა, ფრანკები, ე.ი. ფული შემოგვაკლდაო. შარბონი (ნახშირი) გვითავდებაო და თუ დროზე არავინ მოგვაშველა, მე და გიორგი სიცივით გაეფიჩხდებითო. მერე როგორი მცივანა და ფუთნია იყო!

გარდა იმისა, რომ სახელდახელო საუბრებს, გიორგი ლომთათიძეს ვირტუოზული სიზუსტით, ყველა ინტონაციის დაცვით რომ ჩაუწერია და ერთი-ორი კომენტარიც დაურთავს, დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს, რადგანაც იგი ხშირად საქართველოს ისტორიის, მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულისა და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრების საკვანძო საკითხებს ეხება, იგივე ჩანაწერები მხატვრულობითაც გეხიბლავს და ავტორის დიდ მხატვრულ ალღოზე, ტაქტსა და გემოვნებაზე მიუთითებს.

არავითარი ეჭვი არ არის, გიორგი ლომთათიძეს რომ სამოღვაწეოდ საქართველოს ისტორიის, კერძოდ, მისი ერთ-ერთი დარგის — არქეოლოგიის დარგი არ აერჩია და მწერლობას გაჰყოლოდა, მისი სახით უტყუარი ნიჭით გამორჩეული ბელეტრისტი გვეყოლებოდა. ამის დასტურია დიდი ქართველი ისტორიკოსის ექვთიმე თაყაიშვილის მრავალმხრივ კოლორიტული სახე, რომელიც მკითხველის წინაშე ლომთათიძისეული ჩანაწერებიდან წამოიმართება.

უნდა გამოვტყდე, სანამ ამ ჩანაწერებს გავეცნობოდი, ბატონი ექვთიმე სულით ხორცამდე წარსულში ჩასახლებული, პურიტანული,

თითქმის ასკეტური სიმკაცრით და მიუკარებლობით დაღდასმული პიროვნება მეგონა, ვისი პირიდანაც მხოლოდ მილიონჯერ აწონილ-დაწონილი მშრალი პოსტულატები იფრქვეოდა, თუმცა კარგად ვიცოდი ისიც, რა მიღებულ და მიუღებელ ხერხებს მიმართავდა, რომელ გველის ხვრელში არ გაძვრებოდა, ოღონდ ერის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი რელიკვია, ხელნაწერი თუ ნივთი, როგორმე მისი მფლობელისათვის დაეცინცლა და სამუდამო სამყოფელი მისთვის ეროვნული მუზეუმის თაროზე მიეჩინა.

ეგონებ გადაჭარბება არ იქნება იმის თქმა, რომ ლომთათიძესეულ ნაწერებში ექვთიმე თაყაიშვილი ლიტერატურული პერსონაჟია, მაგრამ არა ნაყოფი მწერლის წარმოსახვისა, არამედ დოკუმენტური, ისეთი, როგორიც ის ნამდვილად იყო, როგორსაც იცნობდნენ.

კაცთმოყვარეობისა და სიკეთის დაუცხრომელი სამსახურით ცოცხალ ექვთიმესათვის, წარმოიდგინეთ, არც დაცინვა და არც გამანადგურებელი ირონია, არც პატარა წატრაბახება და შეფარული თავის მოწონება ყოფილა უცხო. აი, ერთი ნიმუში ბატონ ექვთიმესა და გიორგი ლომთათიძის საუბრიდან:

„— კაცო, საკვირველი ამბავია, რაც რომ მანდ უნივერსიტეტში ხდებოდა! რა ერქვა იმას, რექტორად რომ იყო? გესმის, ჩვენ რომ უნივერსიტეტი გავხსენით, გვეხვეწებოდა, თავისუფალ მსმენელად ჩამრიცხეთო, მაგრამ ჩვენ არ მივიღეთ, იმიტომ რომ საშუალო სწავლა არ ჰქონდა მიღებული. მერე არ დაუნიშნავთ რექტორად? საკვირველია ღმერთმანი... აქედან დიდის ვაიეაგლახით გადახარჩუნებული ბიბლიოთეკა წავიღე პარიზში. დიდი მთავრის შესანიშნავი წიგნები და ალბომები იყო (ბორჯომის სასახლისაო, შენიშნავს გიორგი ლომთათიძე), განსაკუთრებით ნაპოლეონის ხანა იყო ისე შესანიშნავად წარმოდგენილი, რომ ყოველ უნივერსიტეტს შეეხარბებოდა. რომ გაგვეყიდა. ნახევარ მილიონს ავიღებდით ულაპარაკოდ. ჰოდა, რომ მოვწერე აქ, დეპუტაცია გამოგზავნეთ ნივთების და წიგნების თაობაზე-მეთქი, დეპუტაცია კი არა და ერთი ვიღაც უვიცი გამოგზავნეს, გვარი აღარ მახსენდება. გამოვატანე ის წიგნები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის. წამოიღო და არაფერი მიმიღია, არც მიღების დადასტურება, არც მადლობა, არაფერი. ისევ ჩემმა ძმამ მომწერა, რომ მიიღეს წიგნებიო. და აი, თურმე, როგორც ისინი ამბობენ, ის წიგნები დარგებად დავანაწილეთ და დავარიგეთო. როგორც ჩანს, დაუტაცებიათ და მიუთვისებიათ, გესმის? კიდევ კარგი, რომ ეს ნივთები იმ დროს წამოვიღეთ, როცა აქ რიგიანი ხალხი დგას სათავეში და თითქოს საიმედოდაა შენახული მუზეუმში. ა?“

„ეკითხულობთ „იშხანს“. ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი, მანამდე უცნობი დიდი და მართლაც მნიშვნელოვანი ფრესკული წარწერის აღწერა-ინტერპრეტაცია ჩავათავე და შევჩერდი. ავტორი აშკარად კმაყოფილია. მაგრამ მაინც ამოწმებს შთაბეჭდილებას:

— ასეთი ახსნა ზედმეტი ხომ არ არის?!

— რას ბრძანებთ, ბატონო ექვთიმე, ესაა ერთი ყველაზე უფრო საყურადღებო ადგილი მთელ ამ თავში!

ეს ხომ ფაქტია და ფაქტის წინააღმდეგ რას იტყვით? ეს უნდა გაიტანოს კაცმა ფართო არენაზე, თორემ ისეთი მეცნიერი, როგორიც ეს გერმანელია...

მარკვარტი?

არა, მომითმინე... მარკვარტი! ის ხომ ადარნასეს ყველა ვაჟიშვილებს, დავითის გარდა, კლარჯეთელ ბერ ადარნასეს შვილებად ხვლის და იქიდან გამოჰყავს ქართველ ბაგრატიონთა გენოლოგია, ა? (ეს საზეიმო „ა“ წინადადების ბოლოში ძალიან იცის, როცა ვისმე „ამარცხებს“)“;

„ეკლავე იკორთის წარწერებზე ჩამოვარდა სიტყვა, სიმონ ჯანაშიას ხსოვნის საღამოზე რომ წაიკითხა. იქ ერთი დაქარაგმებული სახელი „თვალის გუგად“ გახსნა. ეს ყველამ ვერ გაიზიარა და ახლაც იმას უბრუნდება, ათი დღის შემდეგ:

— ჩვენი გამდელი ყავდა ბებიაჩემს, „თვალმაისას“ ვუძახდით! (იცინის), ასე, რომ თვალიდან ბევრი სახელია წარმომდგარი ქართულში. ხახულის წარწერაში ოსტატს „თვალისი“ ჰქვია, არის სახელიც „თვალმშვენიერიც“!.. ასე არ შეიძლება მარზე წერა, ის რომ წერს, თოფურია!

თუ ჩიქობავა?

— დიახ, დიახ, მე სულ ვურევ ერთმანეთში. რომელია, თეთრი თმა რომ აქვს, არა? აბა? მიუხედავად თავისი შეცდომებისა, მარი იყო გენიოსი!“

„განვაგრძობთ „ტაო-თორთუმ-ისპირზე“ მუშაობას.

— მაგას მაჭახელას ხეობა ერქვა. სხვათაშორის, ეს ხეობა სრულიად არაა შესწავლილი. იმიტომ, რომ ვერ შედიოდა შიგ ხალხი. სულ ფირალებით იყო სავსე. ჩემს ბავშვობაში გურიაში სულ მაჭახელის თოფები იყო, მერე შემოვიდა სხვა... საზოგადოდ, გურია ძალიან დამოკიდებულია მაგ ტაო-კლარჯეთზე. ხონური (ხორუმი) რომ იყო, ცეკვა, ის იქაური ხონიდან — აჭარისწყალთანაა, იქით. სიმღერა გურიაში სულ ქობულეთიდან მოდიოდა. ალიფაშა და ის...

— ხასანბეგურა?“

ხელი გამირბის, კიდევ მინდა, რაიმე დამახასიათებელი ამოვწერო და მკითხველს გავუზიარო, მაგრამ რამდენს ამოსწერ, ჩანაწერებს ხომ კარგა მოზრდილი წიგნის მესამედზე მეტი უკავია!

უდიდეს სიხარულსა და სიამოვნებას მანიჭებს, ერთხელ რომ კიდევ მეძლევა შემთხვევა, ქართველი ერის სათაყვანო გმირის, ყოველი დროის საქართველოს დამამშვენებლის, დიდი ექვთიმე თაყაიშვილის სახელი და გვარი ქაღალდზე გამოვიყვანო, ჩვეული თავმდაბლობით რომ განისვენებს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში ლევილიდან ახლახან გადმოსვენებულ თავის ნინო პალტარაცკაიას გვერდით.

ასეთივე სიხარულისა და სიამოვნების მომგვრელია შეძლების კვალობაზე მოხსენიება და აღწერა იმისა, რაც გიორგი ლომთათიძემ, დი-

დებულმა მეცნიერმა და მამულიშვილმა, ყველასათვის უაღრესად პატივსაცემმა და საყვარელმა ადამიანმა, სამარის კართან მისულ ექვთიმე თაყაიშვილთან რაინდული თანამშრომლობით მშობელ ერს და მშობლიურ მეცნიერებას გაუკეთა.

უმრავლოს ბედკრულ საქართველოს მათებრ გარჯილი შვილები. აწდაქცეულისა და იავარქმნილის აღორძინება მხოლოდ მათს მადლიან გულსა და მარჯვენას შეუძლია!

1990 წ.

9 აპრილის შტაბარი მატიანე

გამომცემლობა „მერანმა“ მკითხველის მაგიდაზე დასდო ახალი ძვირფასი წიგნი -- „9 აპრილი“. წიგნი მრავალთაბახიანია და შიგ შესული სხვადასხვა ხასიათის წერილებითა, კორესპონდეციებითა და ფოტომასალით აცოცხლებს ერთ-ერთ უდიდეს დღეს ქართველი ერის ცხოვრებაში -. 1989 წლის 9 აპრილს.

ამ წიგნის გამოცემით გამომცემლობა „მერანმა“ დაუფასებელი საშვილიშვილო საქმე გააკეთა, რომლის მსგავსიც მრავალტანჯულ საქართველოს ტრაგიკული ცხოვრების არც ერთი ფურცლის შესახებ არ მოგვეპოვება. წიგნი მართლაც საშვილიშვილოა. იგი ჩვენს შთამომავლობას მიუტანს მართალ ამბავს, რისთვის იბრძოდნენ და დაიხოცნენ რკინის იმპერიასთან შიშველი ხელებით შეჭიდებული მათი შორეული წინაპრები, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდაუზოგავი ბრძოლა სიცოცხლის უპირველეს მიზნად რომ დაისახეს.

„9 აპრილის“ პირველსავე გვერდზე, სატიტულო ფურცლის წინ ვკითხულობთ:

„ამ წიგნის მოგებიდან 300 ათასი მანეთი მოხმარდება საქველმოქმედო საქმეს — ქვემო ქართლსა და ჯავახეთში მრავალშვილიანი ქართველი ოჯახებისათვის სახლების შეძენას.“

რამდენი სახლი აშენდება, რამდენი სიკეთე მიეძღვნება ადამიანებს!

გამომცემლობის ეს გადაწყვეტილება ყოველი მამულიშვილი ქართველის გულში წრფელი მადლიერების გრძნობას აღძრავს და მადლიერთა შორის, რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთი მეც გახლავართ.

:მე არ მინდოდა, ეს ჩემი მცირე წერილი რეცენზიას ან ბიბლიოგრაფიას დამსგავსებოდა, თუმცა არც ამით დაშავდება რამე. არც ერთი დიდი თუ მცირე მადლიანი საქმე, ჩვენს ეროვნულ წისქვილზე წყალს რომ ასხიმს. შეუმჩნეველი და საკადრისად შეუფასებელი არ უნდა დაგვრჩეს. ერთ-ერთი ასეთი საქმეა 9 აპრილის ზღვა მასალის შეკრება, დალაგება და ერთ სოლიდურ ტომში მოთავსება!

რა დასამალია, პირადად მე, რევაზ ჯაფარიძე, როგორც მწერალი და პუბლიცისტი, რომელიც ეს ოთხი ათეული წელიწადია ცდილობს, ერისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი მოვლენა მხედველობის არიდან არ გამორჩეს და ყოველი მათგანის მიმართ თავისი მოქალაქეობრივი დამოკიდებულება გამოხატოს, ერთგვარ სულიერ დაკმაყოფილებას ვიგრძნობდი, „მერანის“ მიერ გამოცემულ წიგნში, მრავალი უაღრესად საინტერესო მასალის გვერდით, ჩემი ხელიდან გამოსული სტრიქონებიც რომ იყოს დასტამბული.

რა ვუყოთ მერეო, შეიძლება ბრძანოს მკითხველმა, სიტყვაზე ითქმის, თორემ პრაქტიკულად შეუძლებელია ესა თუ ის მწერალი მისი დროის ყველა მნიშვნელოვან პრობლემას შეეხოსო. მართალია! მაგრამ 9 აპრილი რომ მაინც სხვაა? მისდამი მკაფიო, ნათლად ჩამოყალიბებული დამოკიდებულების გამოხატვა პიროვნების სულიერ კრედოს განეკუთვნება.

არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს წიგნის შემდგენლებს რაიმეს ვსაყვედურობდე და ამ სიტყვებით შეფარულ უკმაყოფილებას გამოვთქვამდე. წიგნის შედგენისას, რაც, თუ არ ვცდები, გასულ ზაფხულს მოხდა, მათ სავსებით სწორი პრინციპი აირჩიეს: საგულდაგულოდ შეკრიბეს და წიგნის ფურცლებზე გადაიტანეს ის, რაც იმხანად პრესაში გამოქვეყნდა, ხოლო რადგანაც ჩემი ხელმოწერით სასურველ მასალას ვერსად წააწყდნენ, ბუნებრივია, მას ვერც წიგნში შეიტანდნენ.

7 აპრილს მე ვრცელი სიტყვით გამოვედი მიტინგზე "თავრობის სასახლის წინ. სიტყვა მრავალმა ათასმა თბილისელმა მოისმინა, მაგრამ მე ის არსად დამიბეჭდია. 10 აპრილს, კატასტროფის მეორე დღეს, საქართველოს ტელევიზიამ გადაიღო ჩემი გამოსვლა, რომელიც იმავე საღამოს ეთერში უნდა გასულიყო. გამოსვლა არ გადაცემულა, რადგანაც იგი სამხედრო ცენზურამ გააჩერა. 12 აპრილს იგივე ტექსტი ააწყო გაზეთ „თბილისმა". გადავშალე საღამოს გაზეთი.არ არის! რა მოხდა? რედაქციამ გულისტკივილით განმიცხადა, რომ წერილი ნომრიდან სამხედრო ცენზურამ ამოიღო. ნომერი ვეღარაფრით შეავსეს და იმ ადგილას ვეებერთელა თეთრი ლაქა დარჩა.

რადგანაც ვფიქრობ, რომ ხსენებულ წერილს, რომელიც, რომ გამოქვეყნებულიყო, შესაფერ ადგილს დაიკერდა გამომცემლობა „მერანის" მიერ დასტამბულ წიგნში, ვსარგებლობ რედაქციის თავაზიანი თანხმობით და მკითხველს თითქმის მთელი წლის დაგვიანებით ვთავაზობ მას:

ბატონოს სიაბაძე და სიდარბაისლე

მე დღეს აქ იმისათვის არ მოვსულვარ, რომ ტელეეკრანის საშუალებით ვინმეს ნუგეში ვცე. ძალიან კარგად ვიცი, რომ ყოველგვარი ნუგეში და ძმური თანაგრძობის გამოცხადება, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, უძლურია იმ თავზარდამცემი უბედურების წინაშე, მთელ ქართველ ერს და არა მარტო ერთ რომელიმე ცალკეულ ოჯახს 9 აპრილის ღამით, რუსთაველის პროსპექტზე, ქართველი კაცისათვის ყველაზე უფრო უშიშარ ალაგას, საქართველოს მთავრობის სასახლის წინ რომ დაატყდა.

დღეს ძაძებშია და გლოვობს მთელი საქართველო. გლოვობს არა მარტო გაუგონარი სისასტიკითა და ცინიზმით დაღუპული შვილების გამო, გლოვობს თავისი ეროვნული ღირსების შელახვას, ბევრ კეთილმოსურნე ადამიანს, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობას, აქამდე რომ შეუვალი ციხე-სიმაგრე ეგონა, გლოვობს იმედების გაცრუებას და ბოლოს იმას, რომ მომავალში იოლი არ იქნება ცხოვრების გასაგრძელებლად მორალური საყრდენის გამოძებნა.

ვინც ასე თუ ისე იცნობს იმას, რაც მე ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე დამიწერია, ვიმედოვნებ, არ ჩამომართმევს ამ სიტყვებს გულგატეხილობად და ხელის ჩაქნევად. ასეთი გრძნობა შინაგანი სიცარიელისა და შეცბუნებისა ყოველი ახალი უღელტეხილის გადალახვის უმალვე ეუფლება ყოველ ერს თუ ცალკეულ პიროვნებას.

მე ასე მგონია და მწამს, რომ საბედისწერო 9 აპრილი ერთი ამ უღელტეხილთაგანი იყო ახალი საქართველოს ისტორიაში, ჩვენს თვალწინ რომ იქმნება, და თითოეული ჩვენთაგანის პირად ცხოვრებაში.

ამ დღემ, 9 აპრილმა, მოვლენათა ჯაჭვის ამ ტრაგიკულმა დასასრულმა დაგვარწმუნა, თუ რაოდენ უდარდელნი და გულუბრყვილონი ვიყავით მთელი რიგი ისტორიული კატეგორიების შეფასების დროს. მახვე დაგვარწმუნა, რომ ცისქვეშ სრულიად მარტონი ვართ, რომ, როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, არავის იმედი არ უნდა ვიქონიოთ, გარდა საკუთარი თავისა, რომ საკუთარი ჯვარი თავად უნდა ვზიდოთ, როგორც მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ.

რეალური ცხოვრება ბევრად უფრო მკაცრია და დაუნდობელი, ვიდრე არცთუ იშვიათად ჩვენ, ქართველებს, მეტადრე ბედის ნებიერ ქართველებს გვგონია ხოლმე. მან არ იცის შეღავათები, ვინმესათვის თავზე ხელის გადასმა, პატიება, წაყრუება და მისთანანი. ცხოვრებაში მარტოოდენ ის ერი თუ პიროვნება იმარჯვებს, ვინც რეალურად აზროვნებს და თავის ყოველ ნაბიჯს ჟხიზელ გონებას და არა გულის კარნახს უთანხმებს.

ამ ურყევ ჭეშმარიტებას დიდი ხანია მიხვდნენ ევროპის განათლებული ერები, მათ შორის ჩვენს ბედში მყოფი ბალტიისპირელები. დროა. ჩვენც მივხვდეთ და გულისფიტარზე დავიწეროთ!

აი, დაგვიდგა კიდევ ერთი განსაცდელი: ბედისწერამ აუნაზღაურებელი მსხვერპლი არ გვაკმარა და თბილისში კომენდანტის საათი გამოცხადდა, რამაც ახალი, აქამდე არარსებული პრობლემები გაგვიჩინა.

სამხედრო წესების შემოღებით ჩვენ, ქართველობა, სუვერენულ ერად რომ ვითვლებით, ჩვენი ეროვნული ღერბი, დროშა და ჰიმნი რომ გვაქვს, მოკლებული აღმოვჩნდით ნებას, პროტესტი განვაცხადოთ და რაიმე საშუალებით დავიცვათ ჩვენი კონსტიტუციური უფლებები. შუბლით კედელს ვერ გახვრეტ. კომენდატის საათი და მისი წესები, ჩვენს დედაქალაქში უცხო ძალამ რომ გამოაცხადა, ულმობელი ფაქტია და მას არსაიდან შემოევლება. იგი ერთია ყველასათვის, მამაცისთვის და ლაჩრისათვის.მისი გაუქმება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც გამოაცხადა, ანუ იმას, ვინც გამომცხადებლის უკან დგას.

ძვირფასო თანამემამულენო, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდებო, ცხოვრებაში პირველი იმედგაცრუება რომ ნახეთ, მე არ ვაპირებ რაიმე გიკარნახოთ ან გირჩიოთ, ოღონდ იმის უფლებას კი ვიტოვებ თქვენის ნებართვით, რომ შეგახსენოთ: თითოეული თქვენგანის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, უდიდესი საფრთხის წინაშეა. მტერი საბაბს ეძებს, რომ გაგვისწორდეს. ალესილი ნიჩბით ან ავტომატით შეიარაღებული სალდათი, თავის ინტერნაციონალურ ვალს ავღანეთის შემდეგ საქართველოში რომ იხდის, ის რაინდი მონღოლი ნუ გვეგონება, ცოტნე დადიანის საარაკო გმირობით რომ მოიხიბლა და მასთან ერთად ყველა მისი თანამებრძოლი ულმობელ სასჯელისაგან გაათავისუფლა. პატრული ვალდებულია, ავტომატის ჯერი დააყაროს ყველას, თუნდაც საკუთარ მშობელ დედას, უკეთუ ჩათვლის, რომ ის დაუმორჩილებლობის სიმპტომებს ან უბრალო უკმაყოფილებას ამჟღავნებს. გვეყოს სიამაყე და სიდარბაისლე, არ შევამჩნიოთ მისი არსებობა. ერ-

თადერთი საშუალება იმისა, რომ ახალი სრულიად უაზრო მსხვერპლი თავიდან ავიცილოთ. კორექტულობა და თავშეკავებაა.

მე ღრმად მწამს, რომ იმ უდიდესი განსაცდელიდან, თავს რომ დაგვატყდა, კიდევ უფრო ძლიერი, შემჭიდროვებული და ერთსულოვანი გამოვალთ, დღეს და ხვალ თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ თითოეულ სიცოცხლეს, როგორც სამშობლოს უძვირფასეს განძს.

ჩვენ დღეს მოვისმინეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების ანგარიში, ჩვენი მეცნიერების პირუთვნელი გამოსვლები, მოვისმინეთ აკადემიისა და უნივერსიტეტის მიმართვები მიხეილ გორბაჩოვისადმი. მე მინდა გაცნობოთ, რომ მწერალთა კავშირშიც შეიქმნა მამხილებელი დოკუმენტი, რომელიც ყველა ქართველი მწერლის ხელმოწერით დღეს გორბაჩოვს გაეგზავნება.

ჩადენილია უდიდესი დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე, რაც ქვეყანაში საყოველთაო შეშფოთებასა და მწუხარებას უნდა იწვევდეს, მაგრამ საკავშირო და რესპუბლიკური ინფორმაციის საშუალებები ყალბ ცნობებს ავრცელებენ და იმის მაგიერ, საზოგადოება ჩვენდამი თანაგრძობით განაწყონ, ზიზღსა და სიძულვილს უნერგავენ. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება მორალის ყოველგვარ ნორმას და ხელს უწყობს ქართველ და რუს ხალხებს შორის შეურიგებელი და სამუდამო მტრობის ჩამოგდებას.

სავსებით კანონიერად მიმაჩნია მოთხოვნა, რომ არ შეიძლება მომხდარი ბოროტმოქმედების გამოკვლევა მიენდოს იმ სახელმწიფო ორგანოს, ვინც შეიძლება თავად აღმოჩნდეს ბრალდებულის სკამზე. კომისია მართლაც უნდა შედგეს იმ ქართველი მოღვაწეებისაგან, ვისი სინდისიც არასოდეს არაფრით დალაქავებულა, ვისიც სწამს ქართველ ხალხს.

დღეს წყდება ჩვენი ყოფნა-არყოფნა. დღეს საქართველო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შუაგულშია მოქცეული. ჩვენ უნდა ვიღონოთ ყველაფერი იმისათვის , რომ გაიმარჯვოს მხოლოდ სიმართლემ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ფარდა აეხადოს საქართველოს შინაურ და გარეშე მტრებს, რომლებიც დღემდე დაუსჯელად პარპაშებენ, ლახვარი უნდა ჩაეცეს დიდმპყრობელურ შოვინიზმს და შინაური კარიერისტების მცდელობას, ერთხელ კიდევ მომგებიან ფასში გაყიდონ თავიანთი ეროვნული ღირსება და მრავალგზის დაჩაგრული მშობელი ხალხის ინტერესები!

1990 წ.

ზ. რ. ჯაფარიძე

თანხმობა, სიხარული, ძეობილები!..

გილოცავთ ახალ, 1991 წელს, ძვირფასო თანამემამულეებო!

რა გაჭირვებაც არ უნდა გვადგეს, რა მძიმე ჭაპანშიაც არ უნდა ვიყოთ გაბმული, ახალწელიწადი მაინც ახალწელიწადია და მას მხოლოდ იმედიანად, გულმხიარულად დახვედრა უხდება. მეც თითოეულ თქვენთაგანს ვუსურვებ სიყვარულითა და იმედით აღვსილიყოს, იმედიანი ახალი წელი დასდგომოდეს, იმედს არ ემტყუნოს, აგვსრულებოდეს, რაც გულით გვინატრია და რასაც იმ ახალი წლის ღამეს ვნატრობთ!

რა გვინატრია და რას ვნატრობთ უპირველეს ყოვლისა? სამშობლოს თავისუფლებას, თავისუფალ საქართველოს, იმასვე, გულთჩათხრობილი მოხევე ლელთ ღუნია რომ ნატრობდა.

რამდენმა ათეულმა წელიწადმა გაიარა მას შემდეგ, საუკუნეც კი გადაგორდა და ჩვენ კი, ქართველობა ისევ იქა ვდგავართ, სადაც მაშინ ვიდექით, ვდგავართ ხუნდებმოკერილი, არტახებით გაკრული და ეს მერამდენე წელიწადია, ამაოდ ვლამობთ ხელების ამოშვებას.

ამავე დროის მანძილზე დედამიწის ზურგზე, ვინ იცის, რამდენი დამონებული ხალხი გათავისუფლდა, რამდენი იმპერია დაიშალა შემადგენელ ნაწილებად, რამდენმა მაშვრალმა ერმა აღმართა ეროვნული დამოუკიდებლობის წმიდათა-წმიდა დროშა, ჩვენ კი ისევ იქა ვდგავართ, სადაც გასული საუკუნის დამდეგს ვიდექით და ყოველ ახალწელიწადს იმავე ნატვრით ვითენებთ, რა ნატვრითაც ას ოთხმოცდაათი წლის წინათ ვითენებდით.

იქნებ უკეთესად წარმართულიყო ჩვენი საქმე, იმთავითვე ერთი პირი რომ გვქონოდა, იმთავითვე რომ ყოველ ქართველს არ დაერწმუნებინა თავისი თავი, ჭეშმარიტი მამულიშვილი მხოლოდ მე ვარ, სამშობლოს მხოლოდ ჩემი სიტყვა და საქმე გამოიხსნის საუკუნოებრივი მონობის უღლიდან, ყველა სხვამ, დანარჩენმა საქართველომ, ქართველმა ერმა, მხოლოდ ჩემს ჭკუაზე უნდა გაიაროს, ჩემს მიერ აჭრილ თარგს არ გადაშორდეს, ხოლო ვინც ამას არ იქმს, ის სამშობლოს მოღალატეა და დაუყოვნებლივ უნდა ჩაიქოლოსო.

იქნებ უკეთ წარმართულიყო ჩვენი ეროვნული საქმეები, იმთავითვე ასე რომ არ გვეფიქრა და, დიდი გურამიშვილის ბრძანებისა არ იყოს, მოძმის მიერ აღმა ხნული დაღმა არ გვეფარცხა.

რა ვერაგულად და ბრძნულად დაგვწყევლეს ჩვენმა ავის მდომებმა: ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემო. მთელი ჩვენი ისტორია, განსაკუთრებით მისი ბოლო პერიოდი, ამ წყევლის გამართლებაა. თითქოს მტერს შიგ გულში ვუსხედვართ და როგორც კი ის ახალ მზაკვრობას ჩაიფიქრებს, ჩვენ უკვე მზადა ვართ, ეს მზაკვრობა სინამდვილედ ვაქციოთ.

გვიჭირს, რაც მართალია, მართალია, გვიჭირს, დამდეგ 1991 წელს კიდევ უფრო გაგვიჭირდება. ამჯერად მე არაფერს ვამბობ ეკონომიკურ გაჭირვებაზე, თუმცა არც ესაა ყურადღების გარეთ დასატოვებელი.

ჩვენი მთავარი და უპირველესი გასაჭირი ერთი პირის უქონლობა, ბრიყვული თვითკმაყოფილება და ყოველ საქმეში არაკომპეტენტურობაა.

რა გვეშველება? როდის განვიკურნებით ყველა ამ სენისაგან? არა და, სანამ არ განვიკურნებით, სანამ ნამდვილ ცივილიზებულ ადამიანებად არ ვიქცევით, სანუკვარი ოცნების აღსრულებაზე ფიქრიც ზედმეტია.

თუ სიცოცხლეში ვისიმე რამე შემშურებია, ეს ის შურია, ჩვენებრ მცირერიცხოვან და ოდესღაც ჩვენსავე ბედში მყოფ ფინელებისადმი გულში რომ ვატარებ.

ევროპის ამ პატარა ქვეყანას სწორედ იმ იმპერიულმა ძალამ მიანიჭა სახელმწიფო დამოუკიდებლობა, რომელმაც ჩვენ იგივე სახელმწიფო დამოუკიდებლობა წაგვართვა, წაგვართვა არა მარტო იარაღის ძალით, არამედ ჩვენი შინაგანი შეუთანხმებლობისა და აშკარა გამცემლობის წყალობით. ფინეთი ღირსეულმა მოქალაქეობრივმა ზავმა გადაარჩინა. თვით ლენინმაც კი ვერ შესძლო, მისთვის ანგარიში არ გაეწია და ფინეთის სახელმწიო სუვერენიტეტის დამადასტურებელ დეკრეტს ხელი მოაწერა.

გადახედეთ იმდროინდელი საქართველოს შინაგან აშლილობას, წაჯექ-უკუჯექობას, უჩემოდ ვინ იმღერეთას პრინციპის დაუსჯელ პარპაშს, პარტიათა და ცალკეულ მოღვაწეთა ეგოცენტრიზმს და გული აგერევათ, იტყვით, არც ყოფილხართ მეტის ღირსიო.

დღეს რაო, როცა ისტორიამ კიდევ მოგვაყენა კარზე განთავისუფლების შესაძლებლობა, როდესაც ყოველმხრივ გამოთელილი გონივრული მოქმედება გვმართებს, უკეთესი მდგომარეობაა?

თავს ნურავინ მოიტყუებს და ჭრელ-ჭრელა ზღაპრებს ნუ აჰყვება!

დედამიწის ზურგზე არ არსებობს არც ერთი ნამდვილად ცივილიზებული ერი, რომლის ყოველი შეილიც პოლიტიკოსის პრეტენზიას აცხადებდეს. საქართველოში ქვა რომ ააგდო, პოლიტიკოსს მოხვდება!

ნუთუ ერთხელ და სამუდამოდ ვერ უნდა გავიგოთ და თავში ვერ უნდა შევუშვათ, რომ პოლიტიკოსობა პროფესიაა, თანაც ვიწრო და მის დაუფლებას ისეთივე ნიჭი, მიდრეკილება, განათლება და ჩვევა სჭირდება, როგორიც თავ-თავის დარგში ექიმს, ინჟინერს, ავიაკონსტრუქტორს და კოსმონავტს აქვთ?

რატომ არ ველტვით განურჩეველად ყველა, ვთქვათ, ავიაკონსტრუქტორობას ან ვიოლინოზე დაკვრას? რატომ არ ვუდგებით კრიკეტში და არ ვეცილებით პირველობას ტუპოლევს, იაკოვლევს ან ლიანა ისაკაძეს? ალბათ იმიტომ, რომ არ გაგვიწევია ის ტიტანური შრომა, რაც მათ თავიანთი პროფესიის სრულყოფილად დაუფლებას მოანდომეს და ჩვენი პატივმოყვარული პრეტენზიები, საყოველთაოდ პატივცემულ ადამიანებისათვის თავის გატოლება მხოლოდ ირონიულ ღიმილს და საზოგადოებრივი აზრის ჩვენთვის ზურგის შემოქცევას გამოიწვევს!

მაშ, ვადროვოთ ავიაკონსტრუქტორობა ავიაკონსტრუქტორებს, ვიოლინოზე დაკვრა მევიოლინეს, პურის გამოცხობა მეპურეს, ნალის გამოკვედა მჭედელს, ლექსის დაწერა პოეტს და პოლიტიკა პოლიტიკოსს!

სანამ საკუთარ გულში აჯანყებულ პატივმოყვარეობას არ ჩავაჩუმებთ, სანამ პირადი განდიდების მახრას საკუთარი ფეხით არ გავსრესთ, საქართველოს საშველი არ დაადგება, ხოლო თუ ამას შევ-

ძლებთ, ყველა თავის საქმეს მიხედავს, იმ საქმეს, რომლითაც შეუძლია ყველაზე მეტი სარგებლობა მოიტანოს, ექიმი ავადმყოფს მოუვლის, ინჟინერი ხიდს ააშენებს, მევენახე ვენახს მიეძალება, სტუდენტი მერხს მიუჯდება, ხოლო საშიმშილოდ ქუჩაში გამოსული დედა შვილებსა და ქმარს გაუწევს სამსახურს. სწორედ ესაა საშშობლოს წინაშე ვალის მოხდა, იმის გაკეთება რაც ყოველ ადამიანს ბუნებრივად ევალება! ეიცი, ამ მცირე წერილით, რითაც მსურს, ჩემს მშობელ ხალხსა და ქვეყანას ახალწელიწადი მივულოცო, ბევრი ვინმე გავანაწყენე, ის არა ვთქვი, რაც მათ სურდათ, მათი სიმართლე სიმართლედ არ მივიჩნიე!

* მაშ, რა ვქნათ, ძვირფასო თანამემამულენო? სულ დავდუმდეთ და არაფერი ვთქვათ, ანდა წინასწარ განზრახულად ის ვილაპარაკოთ, რაც მავანსა და მავანს ესიამოვნება და საკუთარ გულში ცალი თვალითაც არ ჩავიკვრიტოთ?

შორს წავედი. ერთობ გრძელი მილოცვა გამომივიდა. მაგრამ ხომ უნდა მეთქვა, რას ვნატრობ, როგორც ერთი ქართველი კაცი, როგორი მინდა ვნახო ჩემი ხალხი და ქვეყანა დამდეგ 1991 წელს?

ბედნიერი ყოფილიყოს იგი ჩვენთვის, ძვირფასო თანამემამულენო, ოცნების აღსრულება, მშვიდობა, თანხმობა, სიხარული, ქორწილები და ძეობები მოეტანოს!

ერის ღირსება სასწორზეა!

კაცური კაცის ღირსება, მით უფრო ღირსება ერისა სიცოცხლეზე მეტად ფასობს. ღირსეული კაცი, ვისაც ესმის ღირსების ფასი და მნიშვნელობა, მეორის ღირსებას, მით უფრო ერისას, არ შელახავს, თუნდაც მოსაკლავად ჰყავდეს იგი გამეტებული.

მე ვიყავი ესპანეთში, ოდესღაც ფაშისტურ ქვეყანაში, და საკუთარი თვალით ვნახე, რა პატივი მიაგო ფაშისტმა გენერალისიმუსმა ფრანკომ თავის ღირსეულ მოწინააღმდეგეებს. ეს გასაკვირი არც არის. ყოველი კულტურული ერი თუ სახელმწიფოს მეთაური, წარსულშიაც და დღესაც, პიროვნების დამამშვენებელი ამ დიდსულოვნებით ხასიათდება. კაცობრიობის დიდებული ტრადიცია მხოლოდ რუსმა ბოლშევიკებმა, მათი წამხედურობით კი მათმა ქართველმა თანამოაზრეებმა დაარღვიეს, როდესაც თავიანთი იდეური მოწინააღმდეგენი ერისა და ქვეყნის მოღალატეებად გამოაცხადეს, არნახული სისასტიკით მათ სისხლში ხელი გაისვარეს და შთამომავლობის თვალში უდიერი ფეხით ზათელეს სიმართლისათვის დაცემულთა ნათელი ხსოვნა.

პირდად ჩემთვის ამ ბარბაროსული ტრადიციის გაგრძელება და აღორძინებაა „პერესტროიკის" მამამთავრის, ნობელის პრემიის ლაურეატის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტირანიისაგან გამათავისუფლებელი მიხეილ გორბაჩოვის საპრეზიდენტო ბრძანებულება, რომელიც მან შუა ქართლის ეროვნებათშორისი კონფლიქტის გამო გამოსცა.

რაოდენ სამწუხაროა, რომ საგარეო ასპარეზზე ამდენი კეთილი საქმის მოქმედი ბატონი პრეზიდენტი შინაურ პოლიტიკაში ძალმომრეობის გზას დასდგომია, ერის სუვერენული უფლებები სათამაშო საგნად გაუხდია, შავი პოლკოვნიკების დაჟინებულ მოთხოვნებს აპყოლია და სამარცხვინო ბრძანებულებისათვის ხელი მოუწერია.

მერე რა ცოტა რამ იყო საჭირო, პრეზიდენტი და იმპერიის უზენაესი საბჭო მართებულ თვალსაზრისზე რომ დამდგარიყვნენ, სხვისი ჭირი ლობის ჩხირად არ მიეჩნიათ და შუა ქართლის პრობლემა სრული მიუდგომლობით შეესწავლათ! ეტყობა, ეს მიუდგომლობა და საკითხისადმი კეთილშობილური მიდგომა კვლავაც უცხოა იმ პოლიტიკური სისტემისათვის, რომლის მორყეულ საფუძვლებსაც ცენტრიდან იარაღის ძალით ამაგრებენ. აკი საბჭოთა-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ანატოლი სობჩაკს, ევროპულად აღზრდილ ინტელიგენტ კაცს, რომელმაც საქმის არსში ღრმად ჩაწვდომა სცადა, ტყვიაც კი ესროლეს და მოსაკლავად გასწირეს!

ვიდრე ბრძანებულებას შეთხზავდნენ და მასზე ხელს მოაწერდა, ბატონ პრეზიდენტს ნუთუ არ მართებდა, საკითხი ძირფესვიანად გამოეძია, შეესწავლა და მისივე გამამტყუნებელ ბრძანებულებისათვის ხელი მხოლოდ ამის შემდეგ მოეწერა?

ეს რომ ექნა, რასაც მსოფლიოს რომელიც გნებავთ ქვეყნის კეთილმოსურნე მოღვაწე იზამდა, გაიგებდა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მტერმორეულ ქართულ მიწაზე ქართველი ხალხის ნების უგულებელყოფით ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-კულტურული წარმონაქმნია, რომელიც დამოკლეს მახვილივით აღიმართა კომუნისტური დიქტატურის არტახებში მოქცეული ქართველი

ხალხის თავზე. შეიტყობდა და გაიგებდა, რომ ამ ხელოვნური წარმონაქმნის დედაქალაქ ცხინვალში დედაქალაქად მისი გამოცხადების დროს რამდენიმე ოსი მეკომური ცხოვრობდა. მისი ეროვნული იერის შეცვლა მომდევნო ათეულ წლებში მოხდა ოსური ადმინისტრაციის მხრიდან ძირეული ქართული მოსახლეობის დანაშაულებრივი შევიწროვების გზით, რაც დღემდე წარმატებით გრძელდება. გაიგებდა, რომ ერთადერთი სისხლიანი პროვოკაცია, რომელიც მისი კეთილისმყოფელი მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ოსმა ექსტრემისტებმა ოციან წლებში მოაწყეს დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, ბოლშევიკური რუსეთის წასისინებითა და ხელისშეწყობით განხორციელდა. რუსი ბოლშევიკების მიერ კბილებამდე შეიარაღებულმა ოსმა ექსტრემისტებმა, რომელთა პირდაპირი შთამომავალნი დღეს ახალ პროვოკაციებს მიმართავენ, აიღეს იქით ონი, აქეთ გორი, პოლიტიკისაგან შორს მდგომი ქართველი გლეხკაცობის სისხლი ტბად დააყენეს და თავი საბოლოოდ შეირცხვინეს. გაიგებდა, რომ კონიაშვილისა და ჯუღელის აქცია საპასუხო აქცია იყო და მიზნად რესპუბლიკის ეროვნულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას ისახავდა.

იძულებული ვარ, ამ წერილით მე მას ვაცნობო, რომ მიუხედავად გარეშე ძალის მიერ ინსპირირებული სისხლისმღვრელი შეტაკებისა, რაც ისტორიის ბრწყინვალე ფურცლად ვერ ჩაითვლება, მიუხედავად შიდა ქართლის ტერიტორიაზე უკანონო ოსური ავტონომიის შექმნისა, რაც სახელგატეხილმა ქართველმა ბოლშევიკებმა მოიმოქმედეს, არც მანამდე და არც შემდეგ ამ ორ ერს შორის არავითარი გაუგებრობა და ეროვნული დაპირისპირება არ მომხდარა. დანამდვილებით ცნობილია, რომ საქართველოს სამი ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე არ მომხდარა არც ერთი კონფლიქტი ეროვნულ ნიადაგზე. იგულისხმება, რასაკვირველია, კონფლიქტი ხალხებს შორის, რომლებიც საქართველოს მიწაზე ქართველებთან ერთად ცხოვრობენ!

აღრეევის შეტანა ეროვნულ საკითხში ინსპირირებულია იმის მიერ, ვისაც ძალად შეკოწიწებული რესპუბლიკების კავშირის, ბოროტების იმპერიის შენარჩუნება სწადია და ამ მიზნის მისაღწევად არავითარ სულმდაბლობისაგან უკან არ იხევს!

ცნობილია, რომ ყბადაღებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 60 ათასი ოსი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. ოლქის გარეთ, საქართველოს ყველა კუთხეში, ცხოვრობს ამავე ეროვნების კიდევ 100 ათასი ადამიანი. არ არის არცერთი შემთხვევა რომელიმე მათგანის შევიწროებისა ეროვნულ ნიადაგზე. პირიქით, ისინი ისეთივე სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან რესპუბლიკისა, სარგებლობენ ყველა მისი სიკეთით, როგორც ქართველები.

სამაგალითოა კულტურული ავტონომია, რომელიც ქართველი ხალხის ძმური დახმარებით განხორციელებულია აწ უკვე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ყველა ბავშვი და მოზარდი, მშობლებისა და თვით მათი სურვილისდა მიხედვით, მშობლიურ ოსურ ენაზე იღებს საშუალო და უმაღლეს განათლებას. იქ მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულე-

ბითურო. ოლქს არ აკლია არც ეროვნული ოსური თეატრი, ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა კავშირში, და არც სხვა კულტურული დაწესებულებები, რომელთა გამოწვლილვით ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ეს არის ოსების ჩაგვრა და მათი ეროვნული დისკრიმინაცია, რომლის აღკვეთასაც პრეზიდენტის ბრძანებულება მოითხოვს?

ნუთუ ქვეყნის მეთაურმა არ იცის ან არ უნდა იცოდეს, რომ ჩრდილოეთ ოსეთში, ოვსთა, ალანთა სამშობლოში, მათ ძირეულ სასიცოცხლო სივრცეზე, სადაც ისინი უხსოვარი დროიდან მკვიდრობენ, არც ერთი ეროვნული სკოლა აღარ ფუნქციონირებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსურ სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებზე და იქაური ოსური მოსახლეობის სრული ასიმილაცია, გარუსება უკვე დამთავრებულია?

ამას, იცით, ქართველები რას ეძახიან? ჩემი შენ გითხარიო, გული. მოგიკალიო.

ნურავინ იფიქრებს, ასე ადუღებული რომ ვწერ, პირადად, რომ-ბორც მწერალს და მოქალაქეს, ოსებისადმი რაიმე მტრობა მედოს გულში. პირიქით! ოსებს შორის მე არა ერთი და ორი უაღრესად საპატივსაცემო მეგობარი მყავს. ამ წლების მანძილზე ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით არა ერთჯერ შევეცადე ოსურ-ქართული კონფლიქტი კეთილი თვალით დამენახა და ცხინვალელი ექსტრემისტებისათვის მათი სრულიად უსაფუძვლო ამბიციების არასაკადრისი მორალური სახე მეჩვენებინა.

აქვე ვიხსენებ ჩემს რომანს „ვნების კვირას", სადაც დიდი სიყვარულით და სითბოთი დავხატე ოსი ეროვნების ადამიანები, რომლებიც, როგორც საქართველოს მცხოვრებნი, ქართულ ბატალიონში მსახურობდნენ და ქართველებთან ერთად იბრძოდნენ ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე.

არ გასჭრა არაფერმა, არავითარმა სამშვიდობო ღონისძიებამ, რომელსაც ქართველი ხალხის წარმომადგენლები და საქართველოს მთავრობა ატარებდნენ.

ერთმა მუჭა ექსტრემისტებმა, რომელთაც ოსი მოსახლეობის სრულიად მცირე ნაწილი უდგას მხარში, უთუოდ იფიქრეს, ქართველებს უჭირთ საქართველოში, მოდი, დრო ვიხელთოთ, მარჯვე მომენტით ვისარგებლოთ, ოდესღაც ხიზნად მიღებულებმა მამა-პაპის სისხლით მორწყული მიწა-წყალი წავართვათ, ქედგადაღმა ოსეთს შევუერთოთ, მანამდე კი, კანონის უცოდინარობა რომ არავინ დაგვწამოს, ოლქი რესპუბლიკად, სახელმწიფო წარმონაქმნად გადავაქციოთო.

შეიკრიბნენ და ეს კიდევაც ქმნეს შარშან სექტემბერში. საქართველოს უსენაესმა საბჭომ ოს ექსტრემისტთა და მათ ფეხის ამყოლთა ეს ქმედება კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის დარღვევად, აგრეთვე ქართველი ხალხის ეროვნული ტერიტორიის ხელყოფად სცნო და უკანონო დადგენილება გააბათილა. ამას წინ უძღოდა ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის გაუგონარი შევიწროება, ძალადობა მისი ყველა ფორმით, ეროვნებით ქართველი მოქალაქეებისა და რესპუბლიკის ადმინისტრაციულ დაწესებულებათა წარმომადგენლების მხეცური მკვლელობის ფაქტები, რაც შემდგომ ახალი ძალით გაგრძელდა.

რესპუბლიკის მმართველობის ორგანოების, ქართველი ხალხის და ოლქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ოსი მოსახლეობის მხრივ კვლავაც გადაიდგა ახალი ნაბიჯები მშვიდობიანობის აღსადგენად, მაგრამ ოსმა ექსტრემისტებმა ახლაც არ იღეს ყურად გონების ხმა და მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ნამდვილი ჯვაროსნული ომი გააჩაღეს.

გასული წლის მიწურულს ექსტრემისტულად განწყობილმა ელემენტებმა კვლავ მოახერხეს დეპუტატების დაყოლიება საოლქო საბჭოში, სადაც ისინი დიდ უმრავლესობას შეადგენენ და კვლავ გამოიტანეს დადგენილება, თავის დროზე უკანონოდ შექმნილი ავტონომიური ოლქი ე.წ. სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაექმნათ და იგი საბჭოთა კავშირში უშუალოდ შემავალ სახელმწიფო წარმონაქმნად გამოეცხადებინათ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ხელახლა მოუხდა ერთხელ უკვე გადაწყვეტილ საკითხს დაბრუნებოდა, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სესიის გადაწყვეტილება რესპუბლიკის კონსტიტუციის უხეშ ხელყოფად, ეროვნული ტერიტორიის მთლიანობის დარღვევად ეცნო და რესპუბლიკად წოდებული ოლქი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, გაეუქმებინა.

ოსმა ექსტრემისტებმა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება კვლავაც მათი ეროვნული ინტერესების ხელყოფად მიიღეს და აწ უკვე ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველობას, ქვეყნის ძირეულ მოსახლეობას, კიდევ უფრო სასტიკი ომი გამოუცხადეს.

საქართველოს უზენაესი საბჭო იძულებული გახდა, ცხინვალისა და ჯავის რაიონებში, სადაც ექსტრემისტები თარეშობდნენ, საგანგებო წესები და კომენდანტის საათი გამოეცხადებინა. თანახმად სათანადო დადგენილებისა, ხსენებულ რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა იქ მყოფ სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფებსა, რესპუბლიკის მილიციისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს დაევალათ.

სისხლმოწყურებული ექსტრემისტები, რომლებიც კბილებამდე შეიარაღებული არიან და შინაგანი ჯარების სრული უმოქმედობით მარჯვედ სარგებლობენ, ამ სერიოზულ ღონისძიებასაც არ შეუდრკნენ. მათ სწორედ სსრ კავშირის შინაგანი ძალების მოსამსახურეთა თვალწინ ტყვიამფრქვევით სიცოცხლეს გამოასალმეს სამი ახალგაზრდა, რომელნიც აზვირთებულ ბრბოს წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ.რამდენიმე დღის შემდეგ ყოფილი ოლქის ოსი მოსახლეობის მხრიდან, სსრ კავშირის შინაგანი ჯარების წაყრუებით და ფაქტიური ხელისშეწყობით, კიდევ უფრო მძვინვარე აქცია განხორციელდა. მრავალათასიანი ბრბო ქალებისა და ბავშვებისა, რომელთაც ზურგში შეიარაღებული ექსტრემისტები უდგნენ, იმ იმედით, რომ მათ წინააღმდეგ იარაღს არავინ იხ-

მარიდა, თავს დაესხა თბილისელ მილიციელთა მცირე ჯგუფს, წაართვა იარაღი, რომელიც მართლაც არავის გამოუყენებია და ყველას უმოწყალოდ სცემა.

სწორედ ამ დროს გამოვიდა პრეზიდენტ გორბაჩოვის ბრძანებულება, იმ გორბაჩოვისა, საქართველოს მიწა-წყალზე სამასი ჰექტარი მიწა რომ მიითვისა და იქ რამდენიმე მილიარდ მანეთად ღირებულ აგარაკს თუ რეზიდენციას იშენებს!

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს, სუვერენული სახელმწიფოს, უზენაესი საბჭოს დადგენილება, სასწრაფოდ გამოიყვანონ ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან რესპუბლიკის შეიარაღებული ფორმირებანი, წესრიგის დაცვა მიენდოს მხოლოდ სსრ კავშირის შინაგან ჯარებს და ამა ბრძანებულების შესრულება 72 საათის შესრულების შემდეგ მოხსენდეს პრეზიდენტს!

ჰაიდა ყოჩაღ, „პერესტროიკის", ტოტალიტარული სახელმწიფოს სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდაქმნის მესვეურებო! გაუმარჯოს დემოკრატიას!

საკითხავია, ვინ ვისგან უნდა დაიცვან ე. წ. სამხრეთ ოსეთში? ვინ ვის ესხმის თავს, ქართველები ოსებს თუ ოსები ქართველებს? ეს მთავარი საკითხი ბრძანებულებაში როგორღაც არა ჩანს, მაგრამ ჩვენ ხომ მაინც ვიცით, საქმე როგორც არის!

უკეთუ რესპუბლიკის „შეიარაღებული ფორმირებები" იქიდან გამოვლენ და მდგომარეობის ბატონ-პატრონი სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფები გახდებიან, ვინ აგებს პასუხს იმ ათი ათასობით ქართველი ადამიანის, ქალების, ბავშვების, მოხუცების სიცოცხლეზე, რომლებიც თავიანთ ერთადერთ სამშობლოში ცხოვრობენ და ფეხის მოსაკიდებელი ადგილი სხვაგან არსად აქვთ? ნუთუ სუვერენული რესპუბლიკის მთავრობას არა აქვს ნება, თავის კუთვნილ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგი თვითონვე, ყოველგვარი ძალის დაუხმარებლად და შუამავლობის გარეშე დაამყაროს? როდის იყო, საქართველოს შინაურ საქმეებს რუსხელმწიფე აწესრიგებდა? ვინ უბოძა მას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ერებს შორის შუამავლისა და მიუდგომელი მსაჯულის როლი?

საქმე გვიჩვენებს, რომ, ვიდრე სრულუ სიმშვიდე არ დამყარდება, საქართველოს „შეიარაღებულმა ფორმირებებმა" ფეხი არ უნდა მოიცვალონ ყოფილი ოლქის ტერიტორიიდან და, თუ საჭირო გახდა, ისევე უნდა დაიცვან თითოეული მშვიდობიანი ოსის სიცოცხლე და პიროვნული ხელშეუხებლობა, რადგან ქართველისას დაიცავენ. ჩვენ, ქართველებს, დღემდე ასე გვიცხოვრია და მომავალშიაც ასე უნდა ვიცხოვროთ!

ღრმად პატივცემულ პრეზიდენტს მოეხსენება, რომ მის მიმართ გამოჩენილი უპატივცემულობა, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს, მთელი იმპერიის უპატივცემულობად აღიქმება.

ასევე აღიქმება მთელი ქართველი ერის უპატივცემულობად, მისი ღირსების შელახვად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართ მედიდური, ამპარტავნული, ბატონკაცური დამოკიდებულება, შენს ოჯახში ესა და ეს ასე და ასე ჰქენი და ჩემი ბრძანების შესრულება ამდენი და ამდენი დროის შემდეგ მომახსენეო.

ამას ვერ მოითმენს ქართველი ხალხი, როგორც რუსი ხალხი, როგორც რომელიც გნებავთ საკუთარი თავის პატივისმცემელი ხალხი ჩვენი პლანეტისა!

გორში პროტესტის ნიშნად ოსები შიმშილობენ, არა ექსტრემისტები, რასაკვირველია, ვისაც პრეზიდენტის ბრძანებულებამ ხელები საბოლოოდ გაუხსნა, შიმშილობენ და მანამ იშიმშილებენ, სანამ მტყუანს მტყუანი არ დაერქმევა და მართალს — მართალი.

1991 წ.

სახლი საკერკველზე შენდება

ძნელია, გონიერმა კაცმა წარმოიდგინოს უფორ დიდი და აღვირახსნილი პოლიტიკური სიცვერაგე, ვიდრე საბჭოთა იმპერიაში შემავალ ხალხებს ე.წ. განახლებული ფედერაცია უმზადებს.

ცენტრი აშკარად, დღისით-მზისით ცდილობს გამოასწოროს 1922 წლის კაბალური, ცალმხრივი ხელშეკრულების დადების დროს დაშვებული „შეცდომები" და „თავისუფალ ხალხთა მძლე კავშირი ძმური" უფრო მტკიცედ შეკრას, შეანივთოს, შეადუღაბოს, შეადუღაბოს ისე, რომ ვერასოდეს ვერავინ შესძლოს მისი კედლებიდან თავის დაღწევა!

მე რომ მკითხონ, ვუპასუხებდი, რომ მომავალი ფედერაციის სიახლე სწორედ ამაში გამოიხატება, თუმცა პირიქით კი გვიჩიჩინებენ, პირში ფსევდოდემოკრატულ ლოზუნგებს გვჩრიან, ეროვნულ სუვერენიტეტზე ლაპარაკით თვალს გვიბამენ და უსირცხვილოდ გვპირდებიან, უნიტარული საბჭოთა იმპერია, უკეთუ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერთ, სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაციად გადაიქცევა და მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სისხლით მორწყულ ძიწაზე ცხვარი და მგელი ერთად მოსძოვსო.

ამავე დროს საკავშირო პრესის ფურცლებზე და რადიო-ტელეიზიაში საშინელი ისტერიაა ატეხილი. ეს ისტერია თვით პრეზიდენტ გორბაჩოვსაც კი გადაედო, როცა განაცხადა, რომ ყოფილი იმპერიის დანაწილება მის შემადგენელ ნაწილებად მსოფლიო მნიშვნელობის დესტაბილიზაციას, კატასტროფას გამოიწვევს, ვინაიდან საბჭოთა კავშირი ცივილიზაციის საყრდენი ბურჯია და უკეთუ ის სახელმწიფოებრივ მონოლითურობას დაკარგავს, კაცობრიობას თავზე წარღვნაზე უარესი უბედურება დაატყდება!

ღობეებიდან გამოძერნენ ათასი ჯურის მოპოლიტიკოსო ელემენტები, რომლებიც თავს, არც მეტი, არც ნაკლები, ინტერნაციონალისტებს უწოდებენ, სულ ვიღაცის ისტერნაციონალური ეალის გადახდის ჯავრი აწუხებთ და დაშლის პირას მისული „დერჟავის" გადასარჩენად შოვინისტური ლაშქრობა გააჩაღეს. ისინი ცრემლებს აღვარღვარებენ, მკერდში მჯიღს იცემენ, გულს უჩუყებენ ხალხებს, რომ „დერჟავას", „ჩვენს სამშობლოს" ათასწლოვანი ისტორია აქვს (ხომ არ გასსენდებათ „ათასწლოვანი რაიხი"?), იგი ჩვენი მაშვრალი მამა-პაპის თაედადებული შრომითა და მეომრული შემართებით იქმნებოდა და თუ დღეს არ მოეუვლით, ნაციონალისტ სეპარატისტებს დავაგლეჯინებთ და უცვლელი სახით, გეოგრაფიულ საზღვრებში არ შევინარჩუნებთ, უდიდეს ბოროტებას ჩავიდენთ და ამას არ გვაპატიებს შთამომაელობა!

ეს ფრაზეოლოგია გარკვეულ აზრს მოკლებული იქნებ არც იყოს, საქმე რომ რომელიმე ეროვნულ სახელმწიფოს, ვთქვათ, გერმანიას, საფრანგეთს ან იტალიას შეეხებოდეს, მაგრამ საბჭოთა კავშირი ხომ ეროვნული სახელმწიფო არ არის, იგი რუსეთის მიერ სხვადასხვა დროს დაპყრობილი, ანდა უკანონოდ შემოერთებული ეროვნული სახელმწიფოების კონგლომერატია, რომლის დაშლას შემადგენელ ნაწილებად, დამონებული ხალხების გათავისუფლებას, მათ მიერ თავიანთი

ეროვნული სახელმწიფოებრივობის აღდგენას სწორედ ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს!

იმპერიის მესვეურთ რატომღაც ავიწყდებათ, რომ საუკუნის მიწურული, ოთხმოცდაათიანი წლები, შორსაა იმ შავ-ბნელი ოციანი წლებისაგან, როდესაც, ხალხის სიყრუისა და სიბრმავის გამო, შედარებით ადვილად ხერხდებოდა პოლიტიკური დემაგოგიის დაუსჯელი პარპაში, შავის თეთრად გამოცხადება!

ეს, რასაკვირველია, ასეა, მაგრამ ქვეყნის მესვეურები, ვის ხელშიაც თავი მოიყარა მთელმა ძალაუფლებამ, მაინც ჯიუტად ცდილობენ, ნაცადი ხერხით ერებს თვალებში ნაცარი შეაყარონ და ეროვნული სუვერენიტეტის ის ნატამალიც კი წაართვან, რომელიც მათ აქამდე ჰქონდათ.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში შექმნილი „კავშირი" რამდენიმე ფედერაციისაგან და კავშირში უშუალოდ შემავალი რესპუბლიკებისაგან შესდგებოდა. საქართველო არ იყო იმ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის, თუმცა ისიც მოკავშირე რესპუბლიკად ითვლებოდა. აზერბაიჯანთან და სომხეთთან, აგრეთვე მოკავშირე რეპუბლიკებთან ერთად, ის შეადგენდა ამიერკავკასიის ფედერაციას. შემდგომი კონსტიტუციის მიღებამდე ცოტა ადრე ეს შუალედური ფედერაცია, როგორც ცნობილია, დაიშალა და საქართველო, ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა, უშუალოდ შევიდა საბჭოთა კავშირში.

ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოში, საბჭოთა რუსეთის არმიების მიერ მისი ოკუპაციის, ანექსიისა და ძალად გასაბჭოების შემდეგ, ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ, ძიუხედავად მისი მცირე ტერიტორიისა, საბჭოთა რუსეთის მიერ მის ზურგს უკან ხელმოწერილმა ბრესტის ზავმა კიდევ უფრო რომ შეამცირა, შეიქმნა სამი ეროვნულ-ადმინისტრაციული ავტონომია: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შუა ქართლის ტერიტორიაზე.

რაკი ეს ავტონომიური წარმონაქმნები საქართველოს სს რესპუბლიკის გახუყოფელ ნაწილებს შეადგენენ, რასაკვირველია, ისინი რესპუბლიკის მთავრობას ექვემდებარებოდნენ და რესპუბლიკის გარეთ ამავე რესპუბლიკის სახელით გადიოდნენ.

დღევანდელი პოლიტიკური ტერმინი რომ ვიხმაროთ, საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იურიდიული სუბიექტი, როგორც ათასი და მეტი წლის წინათ, მხოლოდ და მარტოდენ სრულიად საქართველო იყო.

ამ შინაპოლიტიკურ მდგომარეობას ურიგდებოდა უკლებლივ ყველას მიერ შვიდგზის ანათემას გადაცემული საბჭოთა იმპერიის ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა, მას სცნობდა 1922 წელს დადებული კაბალური ხელშეკრულებაც კი.

მაშასადამე, როგორია დასკვნა?

მართალია, რუსული კომუნისტური იმპერიის ქუსლქვეშ, მაგრამ გასაბჭოებული საქართველო მაინც ინარჩუნებდა თავის ტერიტორიულ მთლიანობას და თავისი კანონების შინაგან უზენაესობას ამ ტერიტორიაზე. მის ისტორიულ მიწა-წყალზე, მცხოვრებ არც ერთ ხიზან ერს თავში აზრადაც არ მოუვიდოდა, მისთვის ტერიტორიული პრეტენზიე-

ბი წაეყენებინა და მისი სასიცოცხლო სივრცის ხარჯზე თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი შეექმნა!

ყოველივე ეს გარანტირებული იყო სსრ კავშირის და საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციებით.

ეს გახლდათ სწორედ უპირველესი ნიშანი საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა, რომელიც, მართალია, ცენტრის მიერ ყოველნაირად ირღვეოდა, მაგრამ მისი ტერიტორიული მთლიანობა, რაც ჯერ ბრესტის ზავს, ხოლო შემდეგ ზაკრაიკომის თვითნებობას გადაურჩა, ხელუხლებლად შენარჩუნებული იყო.

ტერიტორიული მთლიანობა! აი, ერთადერთი რამ, რაც ოდითგანვე თავის მშობლიურ მიწა-წყალზე მცხოვრებ ქართველ ეოს გააჩნია. თუ შეიძლება ითქვას, 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულებამ, რესპუბლიკებს შორის დადებულმა ფიქტიურმა შეთანხმებამ,რაიმე მოგვცაო, მოგვცა აი, ეს, რაც მომავალში სამუდამოდ დაკანონებული და შეურყეველი გვეგონა.გაიარეს ათწლეულებმა, დაიწყო ე.წ. პერესტროიკა, გლასნოსტი და ე.წ. დემოკრატიული გარდაქმნები. მოკავშირე რესპუბლიკებს, იურიდიულ სუბიექტებს, სუვერენულ სახელმწიფოებს, რომელთაც აქვთ თავ-თავისი სახელმწიფო ღერბი, ჰიმნი და ალამი, თვით საგარეო საქმეთა სამინისტროც კი და რომელთა საერთო რიცხვი ბოლო დროს 15-ია, სრულ სუვერენიტეტს დაპირდნენ. ამ სუვერენულმა სახელმწიფოებმა ვითომ დემოკრატიულ საწყისებზე ახალი ფედერაცია უნდა შექმნან, აქამდე კი ხელი მოაწერონ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას და როდესაც ეს საძართლიანი ისტორიული აქცია განხორციელდება, თურმე საქმე გვექნება არა უნიტარულ სახელმწიფოსთან, როგორც კომუნისტური რუსეთის იმპერია გუშინ, 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულების თანახმად იყო, არამედ თავისუფალ ერთა უნიკალურ შეკავშირებასთან, განახლებულ სსრ კავშირთან!

განახლებული სსრ კავშირის შესაქმნელად სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის წინამორბედი გახლდათ ამას წწათ ჩატარებული საკავშირო რეფერენდუმი, რომელში მონაწილეობისაგანაც მთელმა რიგმა „მოკავშირე რესპუბლიკებმა", მათ შორის საქართველომაც, თავი შეიკავეს.

თავი კი შეიკავეს, მაგრამ საქმე ამით როდი დამთავრებულა. არ სურს მოკავშირე რესპუბლიკას, ამ შემთხვევაში საქართველოს, საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობის მიღება? ნუ სურს, მაგაზე დაგვიდგა დარდი! სამაგიეროდ, ეს სურს ერთ-ერთ ავტონომიურ წარმონაქმნს — აფხაზეთის ასს რესპუბლიკას! მერე რა, თუ იქ მოსახლეობის 44 პროცენტი ქართველია, ხოლო აფხაზთა ხელოვნურად გაბერილი რიცხვი 17-18 პროცენტს არ აღემატება!

არ სურს მთელს? სურს მის ნაწილს! საკითხავია, არ ირღვევა ამით იმ მთელის მთლიანობა? ვღეაროთ და ვღვაროთ უბრალო სისხლი და ის ერი, ვისაც თავისი მრავალრიცხოვნობისა და სახელმწიფოში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო შინაურ მტრისაგან თავის დაცვა არ სჭირდება, ამის საფუძველზე ყველაზე უფრო ჰუმანურ ერად გამოვაცხადოთ?

მაშ, დარჩეს ერთაშორის ხანძრებში გახვეული საბჭოთა კავშირი, „დერჟავა“. დარჩეს თავის ეროვნულ საზღვრებში, დარჩეს უპირველეს ყოვლისა თავისი საკუთარი ხალხების დამსჯელ ძალად და არაფერი ვიღონოთ შვილისა და შვილიშვილის ამ ჯოჯოხეთიდან გამოსახსნელად?

რა უფრო ძვირფასია კაცობრიობისათვის, უბოროტესი „დერჟავის“ ბედი, რომელიც მავანთა და მავანთა დაუკითხავად გადაწყვიტა ისტორიამ. თუ ბედი ხალხებისა, რომლებიც ამ ცეცხლმოკიდებულ მიწაზე ცხოვრობენ?

საქართველოსათვის, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვა, არსებობს ერთადერთი ხსნა, ერთადერთი გამოსავალი: როგორმე, რაღაც სასწაულით გამოსვლა ე.წ. კავშირიდან თუ ფედერაციიდან და სრული ეროვნული სახელმწიფოებრივობის აღდგენა, რასაც 31 მარტის რეფერენდუმში მსარი უნდა დაუჭიროს ყოველმა გონიერმა ქართველმა და არაქართველმა, ქართული მიწის ერთგულმა შვილმა!

ბრძოლა „სუვერენულ სახელმწიფოთა“ კავშირის თუ ფედერაციის შესაქმნელად, რასაც პრეზიდენტი გარბაჩოვი გვპირდება, სხვა არა არის რა. თუ არა სახლის აშენების სახურავიდან დაიწყება. იმისათვის, რომ შექმნა ამ ყაიდის ფედერაცია, თუ მისი შექმნა შენი სულიერი მოთხოვნილებაა და გულწრფელად გსურს, როგორც ყოვლგვარი მშენებლობის დროს. საჭიროა, ჯერ საშენი მასალა მოიმარაგო.

რა არის მასალა, რითაც შეიძლება „სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაცია“ აშენდეს? თვით ამ „სუვერენული სახელმწიფოების“ არსებობა! რომ არა გვაქვს ჯერ ეს მასალა, რით ვაპირებთ იმ გრანდიოზული შენობის აგებას, „სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაცია“ რომ უნდა დაერქვას?

მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი კავშირს რომ სხვა სახელი ეწოდება? სრულიად სხვა, არა „ფედერაცია“! გავნათლდით ოციანი წლების შემდეგ, პოლიტიკისა და სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში ჩვენც, „ტუზემცემსაც“ რაღაც გაგვეგება!

ზნეობრივად სრულფასოვანმა მთავრობამ არ უნდა იკადროს, არც კი უნდა სცადოს თავისი ქვეშევრდომი ხალხის მოტყუება. ეს დიდი და უპატიებელი ცოდვაა! მით უფრო ისეთი მრავალტანჯული ხალხისა, როგორიც ჩვენ, ბრესტიდან წყნარ ოკეანემდე გადაქიმულ უზარმაზარ იმპერიაში გამომწყვდეული ერები ვართ!

აბა, ვის და სად სმენია, შევიდეს თუ არა ესა თუ ის ერი ამა თუ იმ სახელმწიფოს, თუნდაც ფედერაციის, შემადგენლობაში, არა თვით ამ ერმა, არამედ სხვამ, სხვა ერებმა გადაწყვიტონ?

თუ იმპერიის მესვეურთ საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებისათვის მართლა სიკეთე სურდათ და მორიგ პოლიტიკურ თვალთმაქცობას არ მიმართავდნენ, განა სწორედ პირიქით არ უნდა მოქცეულიყვნენ? საკავშირო რეფერენდუმი კი არ უნდა გაემართათ და სახლის აშენებას სახურავიდან კი არ უნდა შესდგომოდნენ, არამედ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში, „სუვერენულ სახელმწიფოში“ ცალ-ცალკე უნდა მოეწყოთ ასეთი რეფერენდუმები და „დერჟავის“ ყოფნა-არყოფნა მისი შემადგენელი ერების ნება-სურვილზე დაეფუძნებინათ.

მაგრამ ვაი, რომ ასე მხოლოდ ის პოლიტიკოსები იქცევიან, ვისაც გზასა და კვალს სიმართლე უნათებთ!

თანამემამულენო, სამშობლო საფრთხეშია, არა „დერჟავა", არამედ სამშობლო, რომელიც მართლაც ჩვენი მამა-პაპის სისხლითა და ოფლით არის მორწყული! გადამთიელი დამპყრობელი მშობლიურ მიწას, სამემკვიდრეო ეზო-კარს გვედავება, შენი კი არა, ჩემიაო და ათას ხრიკს გვიწყობს. რა ვქნათ, ვისხდეთ ასე გულხელდაკრეფილი? გაგვითენდა ერთ-ერთი უსასტიკესი დღე, მრავალ ჭირსა და ვაებაში გამოვლილ საქართველოს ოდესმე რომ გასთენებია! დღეს ჩვენ მხოლოდ ერთი რამ მოგვეთხოვება: მარტის 31-ს უკლებლივ ყველა მივიდეთ იქ, სადაც საარჩევნო ყუთი დგას და ერთადერთ კითხვას, აღდგეს თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციის მიხედვით, ერთადერთი სიტყვით „დიახ!" ვუპასუხოთ!

1991 წ.

ერთი ლედა, ერთი სამშობლო, ერთი საფლავი

არა მსურს, ამ წერილმა პრესაში გამოსაქვეყნებელი ღია წერილის ფორმა მიიღოს. ბოლო დროს მეტისმეტად გაგვიხშირდა ეს ღია წერილები. ვინ ვის არა სწერს, ვინ ვის რა ცოდვის გამო არ ედავება! მედიდური ტონით შეთხზული მყვირალა ღია წერილების სტერეოტიპიც კი ჩამოყალიბდა!

არა მსურს-მეთქი, ვამბობ, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან მინდა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, ვისი ინტერვიუც სათაურით „ეს არ შედის ჩემს გეგმებში", სარედაქციო მინაწერითა და კიდევ ერთი ღია წერილითურთ, „საქართველოს რესპუბლიკის" 4 მაისის ნომერში რომ იხილა მკითხველმა, ეს ჩემი წერილი მკითხველმა პირადად წაიკითხოს.

ერთ-ერთ ადრე დაბეჭდილ ინტერვიუში, რომელიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, „ლიტერატურნაია გაზეტას" მთავარ რედაქტორს მისცა, ბატონმა ედუარდმა სინანულით განაცხადა, რომ თავისი მუშაობის მთელ მანძილზე ბევრი მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა. სამწუხაროდ, მას არ დაუკონკრეტებია კერძოდ რომელ შეცდომებზეა ლაპარაკი, იმ შეცდომებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მუშაობის დროს მოუვიდა, თუ იმაზე, რომლებიც დღემდე გამოუსწორებელია საქართველოში და არც არასოდეს გამოსწორდება!

ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, თვლის თუ არა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი თავის ერთ-ერთ დასანან შეცდომად როკის გვირაბის გაყვანაზე დასტურის მიცემას. მან ხომ ის ერთპიროვნულად, საზოგადოების, ერის დაუკითხავად გასცა! რომ ეს დასანანი და გამოუსწორებელი შეცდომაა, სადავო არც მაშინ იყო, როდესაც კავკასიონის ქედის გულში საავტომობილო გვირაბის გაკრის ამბავი ქართველი ხალხის ყურამდე მივიდა და არც დღეს არის, როდესაც ჩადენილი შეცდომის ნაყოფს ვიმკით.

ტოტალიტარული რეჟიმის განმახორციელებელმა კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც იმხანად სათავეში ბატონი ედუარდ შევარდნაზე ედგა, ჩვეული თვითდაჯერებულობით, არაკომპეტენტურობითა და არაშორსმჭვრეტელობით სამშობლოს მარად მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენა და მისი მომავალი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, თუკი ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვხედა და მართლა რაიმე გვეღირსა, უსერიოზულესი საფრთხის წინაშე დააყენა.

რა შეიძლება, დღეს ან მომავალში მას რაიმე დავუპირისპიროთ? რით და როგორ შეიძლება გამოვასწოროთ ერთი კაცის მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომა, რომლის სავალალო შედეგი უკვე მთელ ერს, მის აწმყოსა და მომავალს დაატყდა თავზე?

ეს რიტორიკული კითხვები გახლავთ, რომლებზე დადებითი პასუხის გაცემაც კაცს-სულიერს არ შეუძლია!

უკლებლივ ყველა მამულისმოყვარე ქართველს გულზე სალბუნად მოეცხო, როდესაც სხვა ინტერვიუში იმავე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომა მან პირველად მაშინ გადაწყვიტა, როდესაც სამშობლო გაუ-

ლანძღეს, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ცენტრის უფლებამოსილმა პირებმა მრუდედ წარმოადგინეს 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედია, გულზე შეება მოჰგვარა მისმა უკომპრომისო გამოსვლამ შუბლის ძარღვგაწყვეტილ სალდაფონ პროკურორის წინაალმდეგ.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ამის შემდეგაც არა ერჯელ მიეცა საშუალება, თავის დაჩაგრულ სამშობლოსათვის ხელი წაეშველებინა, წაეშველებინა ისე, რომ ეროვნული მიკერძოება მისთვის არავის დაეწამა, ეთქვა სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სხვა, გარდა სიმართლისა, მაგრამ ვაი, რომ იმპერიული ცთუნება უფრო ძლიერი აღმოჩნდა, თავისი მაღალი პიროვნული პრესტიჟის შელახვას მოერიდა და კატეგორიული პირდაპირობით რისამე თქმას ორაზროვანი დუმილი ამჯობინა.

ბატონ ედუარდს ერთხელ კიდევ გადმოუგდო ღმერთმა შემთხვევა, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის სწორ გზაზე დასაყენებლად თავისი ავტორიტეტული, ობიექტური, ყველასათვის ანგარიშსაწევი სიტყვა ეთქვა, როდესაც „ლიტერატურნაია გაზეტას" მთავარ რედაქტორს ინტერვიუს აძლევდა. ვაი რომ ახლაც ფუჭად გაუშვა ბედნიერი შემთხვევა ხელიდან! თავის მიერ ჩადენილ სამწუხარო შეცდომებზე მას ზოგადად კი არ უნდა ელაპარაკა და მკითხველისათვის სამარჩიელო მასალა მიეცა, ფრჩხილები უნდა გაეხსნა და თუ ყველაფერი არა, ზოგი რამ გულახდილად, მთელი მსოფლიოს გასაგონად უნდა ეთქვა. უნდა ეღიარებინა, მაგალითად, რომ ერთ-ერთ თავის დასანან შეცდომად როკის გვირაბის გაყვანის იდეისათვის მხარდაჭერას თვლიდა, რომ ამ მხარდაჭერის გამომჟღავნებისას არა თავისი დაპყრობილი სამშობლოს, საქართველოს, მომავალზე ფიქრით, არამედ უხეში სამხედრო ძალით შეკოწიწებული იმპერიის ზრახვებით, მისი ტერიტორიის მთლიანობის საშუალმო შენარჩუნების მისწრაფებით ხელმძღვანელობდა, რომ ვერ განჭვრიტა მომავალი, ისტორიის ხეებს იქით ტყე ვერ დაინახა, ისიც ვინ, ჩვენი დროის ერთმა გამოჩენილმა პოლიტიკოსმა და საკუთარი სამშობლო უნებლიეთ შიგ გულში დაკოდა!

მას, მხოლოდ მას შეეძლო, მიჩუმათებულ სინამდვილისათვის ფარდა აეხადა, მოკლეფეხება ურცხვი ტყუილი საამკაროზე გამოეყვანა. იქნებ მასშტაბი ეცოტავა? იქნებ იფიქრა, გლობალური პრობლემების გაუვალ ტყეში პატარა საქართველოს საკითხის წინ წამოწევამ საკითხთა წრის განხილვაში ვაითუ დისონანსი შეიტანოსო? მაგრამ განა შეიძლება, ხალხების ბედი, მათი ყოფნა-არყოფნა იმისდა მიხედვით განვაგოთ, ვინ დიდია და ვინ პატარა? ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ერთხელ კიდევ მიეცა ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ნათელის მოფენის საშუალება, როდესაც ზემოთხსენებული, „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე გამოქვეყნებული ინტერვიუს მიცემისას კორესპონდენტმა ჰკითხა:

„წახვედით თუ არა საქართველოს პოლიტიკიდან, თუ აპირებთ, რაღაც როლი კიდევ ითამაშოთ?"

ღმერთო ჩემო, რას პასუხობს ამაზე ადამიანი, რომელთანაც, მიუხედეავად არა ერთი საჯარო შეხლა-შემოხლისა, ძმური სიყვარული მა-

კავშირებდა, ვინც, ჩვენს საუკუნეში სამშობლოს უანგარო სამსახურის პატიოსან უღელში შებმული ლომა-ხარი მეგონა:

„ეს არ შედის ჩემს გეგმებში."

ხედავთ? სამშობლოს ბედზე განუხრელი ზრუნვა, სადაც არ უნდა იყო, თუნდაც მთვარეზე გედგას კარავი, მის ხეალინდელ დღეზე აქტიური ფიქრი, მის გარშემო შექმნილ პოლიტიკურ კლიმატზე ზემოქმედება, როცა ეს ხელგეწიფება, ხელგეწიფება ისე, როგორც სხვას არავის დედამიწის ზურგზე, თურმე არ შედის ერთი მისი საქვეყნოდ აღზევებული შვილის „გეგმებში"!..

მაშ, რა შედის, თუ ღმერთი გწამთ? რისთვის ვარსებობთ? რისთვის ვთელავთ ამ მადლიან მიწას? ნუთუ მარტოოდენ იმისთვის, პირადი კეთილდღეობისა და დიდების მწვერვალს დავეუფლოთ და გათოშილი ხელები გავითბოთ იმ ცეცხლზე, რომელიც ჩვენს მამა-პაპეულ სახლ-კარს, ჩვენს აღმზრდელ კერას უკიდია? ორიოდე წელიწადში, რაც შინიდან ფეხი გადავდგით, ასე გაგვიქვავდა გული, ასე გადავგვარდით?

ესაა, სხვას არაფერს მოასწავებს სიტყვები, საქართველოს ყოფილმა ხელმძღვანელმა კორესპონდენტის მიერ დასმულ კითხვას რომ გასცა!

არანაკლებ თავზარდამცემია პასუხი კიდევ ერთ კითხვაზე, რომელშიაც ბატონი ედუარდ შევარდნაძე შუა ქართლის პრობლემას ეხება.

აი, ეს პასუხიც სიტყვასიტყვით:

„მე ვიცი, რომ იქ არსებობს რთული პრობლემები, მაგალითად, კონფლიქტი ოსებთან. ყველაფერი, რაც მე შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ ქართველებსაც და ოსებსაც უნდა ეყოთ ჭკუა, რათა საერთო ენა გამონახონ. უკვე მრავალი ათეული წელია, ისინი მეგობრულად ცხოვრობდნენ. ალბათ დრო არის საჭირო მეზობლობის აღსადგენად."

ნება მიბოძე, ახლა მე გკითხო, მკითხველო: რით განსხვავდება ეს წმინდა წყლის ბიუროკრატიული ტირადა იმ უხამსი ცილისწამებისაგან, რითაც ყოველდღე კვებავს მსოფლიოს მოსკოვის ტელევიზია საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას" მეშვეობით?

არაფრით, ოღონდ ბევრად უარესია!

უარესია იმიტომ, რომ ამას ამბობს არა ვინმე გადამთიელი, მანამდე საქართველო სიზმარშიაც რომ არ უნახავს, არამედ სისხლითა და მოდგმით ქართველი კაცი, რომელიც ქართულ მიწაზე დაიბადა, ენა ქართულად აიდგა, ვისი დედაენა დღესაც ქართულია, რადგანაც ორი დედაენა ბუნებაში არ მოიპოვება, ვინც დაწყებითი და საშუალო განათლება ქართულად მიიღო, უმაღლესი სასწავლებელიც ქართულად დაამთავრა, დიპლომში ისტორიკოსის სპეციალობა უწერია, სამშობლოში ბევრი თანამდებობრივი პოსტი ეჭირა, სულ ბოლოს კი წლების განმავლობაში რესპუბლიკას ხელმძღვანელობდა.

ვის შეუძლია ყოველმხრივ ზუსტი, აწონილ-დაწონილი დიაგნოზის დასმა თუ არა მას?

თავიც რომ დავანებოთ პასუხის დიდკაცურ, გაბეზრებულ ტონს, რასაც ქვემოთ კიდევ დავუბრუნდები, რადგანაც არ შემიძლია, პასუხგაუცემლად დავტოვო, იმპერიის ყოფილი მინისტრის განმარტებები სავსეა ფაქტობრივი შეცდომებით, აზრობრივი შეუსაბამობებით და

განსაკუთრებით დიპლომატისათვის ყოველად მიუტევებელი უტაქტობით.

კაცს, ვისაც თავი საქართველოს ისტორიის სპეციალისტად შოაქვს, ნუთუ მართლა მეტი არაფერი აქვს სათქმელი შუა ქართლში, მისი სამშობლოს გულში პროვიცირებულ კონფლიქტზე, სადაც ორივე მხრიდან ადამიანთა სისხლი იღვრება და ერთმა ღმერთმა უწყის, ამ უაზრო ხოცვა-ჟლეტას ბოლო როდის მოეღება! პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის უახლოესმა მეგობარმა და პოლიტიკურმა თანამოაზრემ ნუთუ არაფერი იცის, საიდან მართავენ ამ კონფლიქტს, ხელოვნურად გაჩენილ ხანძარს საიდან აღვიეებენ? თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთმა დიდმა პოლიტიკოსმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, დაეჯერო, მართლა არ იცის, რომ ყოველ ისტორიულ კოლიზიას თავისი გამომწვევი მიზეზი აქვს, რომლის სწორად ახსნისა და ანალიზის გარეშე მოვლენის არსს ვერსაიდან ჩავწვდებით? არ იცის, ან დღეს პირველად გაიგონა, რომ ხელოვნურ ავტონომიებად, რომელთა წარმოქმნის არავითარი იურიდიული საფუძველი არ არსებობდა, საქართველო სწორედ მისმა წინამორბედმა გრიგოლ კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძემ, მის მიერ ძეგლდადგმულმა და არა ერთჯერ სანიმუშო კომუნისტად დასახულმა სერგომ და ათასგზის ანათემას გადაცემულმა კომუნისტურმა პარტიამ დაპყო? არაფერი გაუგია, საიდან და როგორ გაჩნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე თავისი ისტორიული სამშობლოდან ლტოლვილი ოსები, როგორ მიიღეს ისინი ქართველებმა, როგორ გაათბეს, დააპურეს, წვრილშვილის ლუკმა შუაზე როგორ გაუყვეს? არაფერი სმენია არც იმის გარშემო, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არც ერთი ოსური მატერიალური ძეგლი არ არის, რომელთა ვანდალურ დანგრევასაც, განათლებული მსოფლიოს თვალწინ, ამას წინათ „ვრემია" გვაბრალებდა, რომ ეს შუაგული საქართველოა და აქ არაფერი შეიძლება დაინგრეს მრავალი საუკუნის წინათ შექმნილი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების გარდა?

ერთი ამას დამიხედეთ, ყველაფერი, რაც მე შემიძლია ვთქვა, მხოლოდ ის არის, რომ ქართველებსაც და ოსებსაც უნდა ეყოთ ჭკუა, რათა საერთო ენა გამონახონო!

ბარაქალა! სწორედ ცივილიზებული სახელმწიფოს პირველი პრაქტიკოსი-დიპლომატის დამამშვენებელი სიტყვა-პასუხია!

როგორ გინდა, კაცმა ყურში შეუშვა და დაიჯერო, რომ ეს უდიერი სიტყვები მშობელი ერის მიმართ სწორედ იმ პიროვნებას ეკუთვნის, ვინც ჩვენს თვალწინ, სულ რაღაც 5 თუ 6 წელიწადში მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობებში გადატრიალება მოახდინა. მან შესძლო იმდენი, რაც რუსეთისა და შემდეგ კომუნისტური იმპერიის საგარეო სარბიელზე მეოთხედი საუკუნის განმავლობაშიაც არ გაკეთებულა. განიმუხტა მსოფლიო დაძაბულობა, გალხვა უნდობლობის ყინული ორ დაპირისპირებულ სუპერსახელმწიფოს — საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, აღდგა კეთილმეზობლური ურთიერთობა ერთობ საეჭვოდ განმდგარ ჩინეთთან, კოლონიური მონობის ჭაპანი აეხსნა აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს, ვისთვისმე თვალის ასახვევად სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს რომ ეძახდნენ, აღიკ-

ვეთა კომუნიზმის აჩრდილის ხეტიალი განათლებული ევროპის მიწა-წყალზე. გამთლიანდა ორად გაპობილი გერმანია, კაცობრიობას მეტეორივით ჩაუარა მესამე მსოფლიო ომმა, ამჯერად უკვე ატომურმა, რომელიც არამცთუ დედამიწაზე მოსახლე ერებს, თვით სიცოცხლესაც კი პირისაგან მიწისა აღგვას უქადდა!

მე არ მეგულება თავისი ეროვნული გენის პატივისმცემელი არცერთი საღად მოაზროვნე ქართველი, ვინც ამ წლების მთელ მანძილზე გულისფანცქალით თვალს არ ადევნებდა ედუარდ შევარდნაძის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და, მიუხედავად თავისი პოლიტიკური მრწამსისა და მსოფლმხედველობისა, გულში არ ამაყობდა, რომ ისიც „ჩვენი გორისაა"!

ყოველივე ეს ისტორიული ფაქტია, ქარის წისქვილია, რომლის ფრთების დასალეწადაც კარგა ხანია დაირაზმა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა სახალხო ყრილობის ყველაზე რეაქციული, მოფაშისტო ფრთა. მას არაფრად ულირს, რომ ედუარდ შევარდნაძის სახით საქმე აქვს მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწესთან, პოლიტიკოსთან, რომლის სიტყვასაც უდიდეს ანგარიშს უწევს დედამიწის რომელიც გნებავთ მეფე, პრეზიდენტი თუ პრემიერმინისტრი. ეს განა მარტო იმის გამი ხდება, რომ ის გუშინ უზარმაზარი სუპერსახელმწიფოს საგარეო საქმეთა შტურვალთან იდგა, არამედ იმიტომაც, რომ ის ედუარდ შევარდნაძეა, სხვათაგან განსხვავებული სულიერი წყობის ერის შვილი და პიროვნება!

მით უფრო მოუთმენელი და შეურაცხმყოფელია ის მეტისმეტად ფამილარული, ზერელე და წყალწყალა გამოთქმები, რომლებიც მან ტრაგიკულ სიტუაციაში ჩავარდნილ თავის სამშობლოსთან დაკავშირებით იხმარა, სამშობლოსთან, რომლის ღვიძლი შვილები, ღვთის განგებით, მის გარდა სხვებიცა ვართ.

კეთილმოსურნე და თავის ყოველ სიტყვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეს არამც და არამც არ მართებს ამა თუ იმ ერის ჭკუაზე ლაპარაკი, დიდია ის თუ მცირე. საერთაშორისო ურთიერთობათა ანბანია იმის საყოველთაო აღიარება, რომ ყოველი ერი ერთნაირი უაღრესი პატივისცემითა და კრძალვით უნდა იქნას მოხსენიებული. ერის ღირსების შელახვა უდიდესი ცოდვაა მორალური თვალსაზრისით და კანონსაწინააღმდეგო ქმედება პოლიტიკური თვალსაზრისით!

განა ედუარდ შევარდნაძე ოდესმე იტყოდა, თავს უფლებას მისცემდა ეთქვა. რუსებმა და ჩინელებმა დროა ჭკუას მოუხმონ და ერთმანეთს შორის ნორმალური ურთიერთობა დაამყარონო? არასოდეს! ციმბირს აქეთ დაატოვებინებდნენ. მაშ, რატომ შეიძლება ქართველებისა და ოსების მიმართ თქმა იმისა, რაც ორასმილიონიანი რუსეთისა, თუნდაც სამასმილიონიანი საბჭოთა კავშირისა და მილიარდ ორასმილიონიანი ჩინეთის მიმართ წარმოუდგენელი მკრეხელობაა?სხვათა შორის, ბატონ ედუარდ შევარდვაძის ამ დიდმპყრობელურ გამონათქვამში ნათლად გამოსჩვის იმპერიის ცენტრის დამოკიდებულება ყოველივე იმის მიმართ, რაც დღეს შუა ქართლში ხდება. ქართველთა და ოსთა სისხლი, უწყალოდ რომ იღვრება, ეტყობა, არასრულფასოვანი სისხლია და არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ბევრი დაიღვრება იგი თუ ცოტა!

რაზე უნდა „ეყოთ ჭკუა“ ქართველებს და ოსებს? იმაზე, რომ „საერთო ენა გამონახონ.“

აბა, ერთი კარგად დავფიქრდეთ.

საქართველოს გულში, საქართველოსავე ხელმძღვანელის უყოყმანო დასტურით, ერის დაუკითხავად, დიქტატორის ერთპიროვნული პასუხისმგებლობით, ჯერ მოსისხლე მტრების კომუნიკაციების გასამართი გვირაბი გაიჭრა, საიდანაც სისხლმოწყურებულ ოს ექსტრემისტთა მიერ ალყაშემორტყმულ ჯავასა, ცხინვალსა და მის შემოგარენში ოს ექსტრემისტთა და იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ხელის მოსათბობად დაძრული მძარცველთა ახალ-ახალი ბანდები და მათი დამხმარე შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფები შემოდიან, რომლებიც დამნაშავეთა სამყაროს ელემენტებს იარაღითა და სხვა უახლესი ტექნიკით ამარაგებენ, ახლა კი იგივე პიროვნება, აწ უკვე საქართველოს ყოფილი ხელმძღვანელი, პილატესავით ხელს იბანს, იმპერიის მიერ განიარაღებულმა და თავლაფდასხმულებმა რაც გინდათ ისა ჰქენით, როგორც გსურთ, ისე გამონახეთ საერთო ენაო.

ნიშნის მოგებას არა ჰგავს? სწორედ ამაზეა ნათქვამი, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო.

ერთიც ვიკითხოთ: რომელ „საერთო ენაზეა“ ლაპარაკი? რა საერთო ენა უნდა გამონახოს ქართველმა ოს ექსტრემისტთან, რომელიც სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწას ედავება? რატომ არ გამონახა დიმიტრი დონსკოიმ „საერთო ენა“ მამაისთან და რატომ მოხდა ერთი უდიდესი ბრძოლა რუსეთის ისტორიაში კულიკოვის ველზე? რატომაა რუსების ბრძოლა თავისი მიწის დასაცავად სამართლიანი, ხოლო იგივე ბრძოლა ქართველებისა უსამართლო? იქნებ არც ის იყოს დასავიწყებელი, რომ მრისხანე ოქროს ურდო, მთელი სახელმწიფო ორგანიზაცია, რუსეთში 300 წელიწადს ბატონობდა?!

„უკვე მრავალი ათეული წელია, ისინი (ქართველები და ოსები.—რ.ჯ.) მეგობრულად ცხოვრობდნენ, — გვარწმუნებენ იქვე. — ალბათ დრო არის საჭირო მეზობლობის აღსადგენად.“

გვეკადრება ასე გაურკვეველად და ბუნდოვნად მსჯელობა? აქ ხომ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული და კაცი-ქრისტიანი ვერაფერს გაიგებს, მეტადრე ის, ვინც საქართველოს შინაურ საქმეებში ძირფესვიანად გარკვეული არ არის!

თუ ინტერვიუდან ამოღებული ციტატის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ქართველებსა და ოსებს შორის რაღაც გაურკვეველი მიზეზის გამო განხეთქილება მომხდარა.

ეს ხომ მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა, რომელიც არა ბოროტი განზრახვიდან, არამედ ბუნდოვანი და ლოგიკურად არაზუსტი მსჯელობიდან მომდინარეობს!

სინამდვილეში, როგორც ცნობილია, ქართველებსა და ოსებს შორის, ქართველ მოსახლეობასა და ოს მოსახლეობას შორის, არავითარი განხეთქილება და კონფლიქტი არ მომხდარა. ამ საძაგელ ჭორს ხომ პროგრამა „ვრემია“ და საკავშირო პრესა ავრცელებს. რა გაუჭირდა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საიმისო, რომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით ისარგებლა?!

რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში გაბნეული მთელი ოსი მოსახლეობა, თითქმის ორჯერ მეტი იმაზე, რაც ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობს, გვერდში უდგას თავის ქართველ მოძმეებს და მათ ჭირსა და ლხინს იზიარებს. მათ შორის ეროვნულ ნიადაგზე არავითარი განხეთქილება არ მომხდარა და არც შესარიგებელი ჭირთ რამე. პირიქით! ოსი ერის მრავალი წარმომადგენელი, საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი მოქალაქე, შიმშილობს თვით იმპერიის დედაქალაქ მოსკოვში და ცენტრისაგან თავის დროზე უკანონოდ შექმნილ ოსური ავტონომიის გაუქმებას მოითხოვს. კრემლში ამის გაგონებაც არ სურთ, ვინაიდან „ეს არ შედის მათ გეგმებში," მაგრამ ხომ არ შეიძლება, იგი ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ არ იცოდეს!

რატომ უნდა ავრიოთ ერთმანეთში რამდენიმე ასეული ოსი ექსტრემისტისაგან შემდგარი ბანდა და მრავალათასიანი „ოსები"? ნუთუ ვერა ეგრძნობთ, რომ ამ ორი ცნების წინასწარ განზრახული თუ უნებლიე აღრევით, სრულიად სხვა, სინამდვილის უხეშად დამამახინჯებელ პოლიტიკურ დასკვნებს ვიღებთ?

როგორ გავიგოთ ფრაზა: „ალბათ დრო არის საჭირო მეზობლობის აღსადგენად." არ დევს ამ ფრაზაში ნელად მოქმედი ნაღმი, არ იგულისხმება და ამოიკითხება, რომ საქართველო და ოსეთი („სამხრეთ ოსეთი") მეზობელი ქვეყნები არიან, რომელთაგან პირველი მეორეს ავიწროებს, რადგანაც პატარა იმპერიაა და მისი კუთვნილი მიწა-წყლიდან უგზოუკვლოდ ერეკება?

სხვას რას წერენ და აშავებენ „ვრემია" და მოსკოვური გაზეთები, რომელთაც ბევრი საზღვარგარეთული რადიოსადგური და პრესის საშუალება პირველწყაროდ იყენებს და მათ მხარს უბამს?!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს არ უნდა ჭირდებოდეს ჩემი შეხსენება, რომ საქართველო! და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ამ საუკუნის ოციან წლებში ხელოვნურად გამოგონილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ერთმანეთის მეზობელი არასოდეს ყოფილან, რადგანაც შეუძლებელია, მთელი თავის ნაწილს ემეზობლებოდეს. ვინ ვის ერეკება საქართველოს ამ ისტორიული ნაწილიდან, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იმათ სინდისზე იყოს, ვინც დღისით-მზისით განზრახ აყალბებს სინამდვილეს და ბრმად მიმნდობი საზოგადოების თვალში შავს თეთრად სახავს, ხოლო თეთრს შავად!

როგორ გავიგოთ თვით „დრო", რომელიც საჭიროა „მეზობლობის აღსადგენად?" მას, ამ „დროს" ლოგიკური განსაზღვრება არ მოეძებნება. ის არ გვეუბნება და ვერც გვეტყვის, რა რატომ მოხდა და ხდება და ვერც იმას მიგვანიშნებს, თითქოს მისი ფატალური დინება „მეგობრობის აღდგენას" მოიტანდეს!

როგორც ხედავთ, აქ ყველაფერი არეულ-დარეულია და რაიმე გარკვეული აზრის, მით უფრო პეშმარიტების მღაღადებელი კონსტრუქციული აზრის გამოტანა ყოვლად შეუძლებელია. მაშ, რისთვისღა გავისარჯეთ? რისთვის მოვაცდინეთ ისედაც შეზღუდული ადგილი გაზეთში და რისთვის დავხარჯეთ დეფიციტად ქცეული სტამბის საღებავი?

შეცდება ვინც იფიქრებს, თითქოს მე მიმაჩნდეს, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ვისი გონებაც საერთაშორისო ურთიერთობათა ურთულეს სქემებს იტევს, საღად და მიუკერძოებლად მსჯელობა არ ემარჯვებოდეს. ემარჯვება და მერე როგორ! მე მისი თავგამოდებული კეთილის მსურველი ვარ და მხოლოდ ის მინდა ვინატრო, რომ ის ისეთივე კომპეტენტურობითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდოს თავისი მტერმორეული სამშობლოს სასიცოცხლოს ინტერესებს, როგორც დანარჩენი მსოფლიოს ყველა დიდი თუ მცირე საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტას უდგება.მას, ვგონებ, არ უნდა ჭირდებოდეს ვისიმე კარნახი იმის შესაგონებლად, რომ მსოფლიო მოქალაქეობის, თუნდაც უბადაღებული „საბჭოთა ადამიანის“ ინსტიტუტი ეფემერული ინსტიტუტია და ბუნებაში რეალურად არ მოიპოვება, როგორც არ მოიპოვება ზოგადი ადამიანი. ადამიანი, ისევე როგორც ყველა სხვა სულიერი თუ უსულო საგანი, რა იარლიყიც არ უნდა მიიკეროს, წარმოუდგენელია მისი კონკრეტული სახის გარეშე. ყოველ ადამიანს, მეფეს, მიწის მუშას, მწყემსს, მინისტრს თუ პრეზიდენტს დედამიწის ზურგზე მოეძებნება მხოლოდ ერთი მშობელი დედა, ერთი სამშობლო და ერთი საფლავი.

აქ არავისათვის არავითარი გამონაკლისი არ არსებობს!

1991 წ.

რა დავარქვათ ქუჩებს?

დიდი ხანია ვაპირებ ამ წერილის დაწერას და გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნებას. თუ განზრახვა აქამდე ვერ შევასრულე, მიზეზი ის იყო, რომ ვიმედოვნებდი, მდგომარეობა უჩემოდაც გამოსწორდებოდა და ამ წერილის დაწერაც საჭირო აღარ აქნებოდა.

სათაური ზუსტად გამოხატავს წერილის დედააზრს. მართლაც და, რა დავარქვათ ქუჩებს როგორც დედაქალაქში, ისე რესპუბლიკის და-ბა-ქალაქებში, რა პრინციპით უნდა ვხელმძღვანელობდეთ ამა თუ იმ ქუჩის ან მოედნის სახელის დარქმევისას?

სამართლიანობა მოითხოვს ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. ქალაქის რაიონებმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღეს ყოველგვარი იდეოლოგიისაგან თავისუფალი ბუნებრივი სახელწოდებები: კრწანისი, ისანი, მთაწმინდა, ჩუღურეთი, ვაკე, დიდუბე, ღრმაღელე, სამგორი, საბურთალო... ძველი, ისტორიული სახელები დაუბრუნდა ხარაგოულს, ბაღდადს, ოზურგეთს, სენაკს, მარტვილს, ხონს, დედოფლისწყაროს... აღდგა ბევრი სოფლის ისტორიული სახელი. ნამდვილად ღირსეული ადამიანების სახელი მიეკუთვნა ბევრ დაწესებულებას.

ისტორიული ტოპონიმიკის აღორძინება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთ-ერთი უდიდესი მამულიშვილური საქმეა, რასაც ამჟამად საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ეწევა.

ჩემს შეშფოთებას იწვევს ერთი გარემოება და მგონია, რომ იგი სხვებსაც ჩემებრ დააფიქრებს: ქუჩების სახელების გადარქმევისაას ან ახალი სახელების დარქმევისას მეტისმეტად ხომ არ ვღუნავთ ჯოხს ეროვნული ეგოიზმის სასარგებლოდ, ხომ არ ვიჩენთ ეროვნულ კარჩაკეტილობას? ხომ არ გამოგვდის ისე, რომ ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადი, რომ ჩვენი საზოგადოების სულიერი ფორმირება მხოლოდ და მარტოოდენ ეროვნულ ფარგლებში ხდება?

გადავხედოთ მსოფლიოს სხვა ქალაქებს, დავუფიქრდეთ, როგორაა ამ მხრივ იქ საქმე.

მე მახსენდება ისააკ ნიუტონის, ჩარლ დარვინის და ლევ ტოლსტოის თვალუწვდენელი პროსპექტები ქალაქთა ქალაქ რომში. ჯვაროსანთა, დიდი არმიის და ლაურას პროსპექტები ბრიუსელში. კიდევ მრავალი ქალაქისა და მრავალი ქუჩა-მოედნის გახსენება შეიძლება.

მე დარწმუნებული ვარ: როდესაც რომის მუნიციპალიტეტი, ჯერ კიდევ კაციკამია ბენიტო მუსოლინის დროს, აღნიშნულ პროსპექტებს სახელებს არქმევდა, სულაც არ გახსენებიათ, რომ ჩარლზ დარვინი და ისააკ ნიუტონი ინგლისელები იყვნენ, ხოლო ლევ ტოლსტოი — რუსი. ფაშისტური იტალია ორივე ამ სახელმწიფოსთან, ღერძის ორ სხვა სახელმწიფოსთან ერთად, ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხომ არაფერი შეეშალათ რომის მესვეურებს? არა მგონია, რამე შეშლოდეთ,

სამივე ეს დიდბუნებოვანი პიროვნება თავიანთ ეროვნულ წარმომავლობაზე, თვით ერთა შორის ურთიერთობებზე მაღლა დგანან, არა მარტო თავიანთი მშობელი ერების, არამედ მთელი კაცობრიობის ღვიძლი შვილები არიან და დედამიწაზე მოსახლე ყველა კულტურულ ერს ისევე ეკუთვნიან, როგორც თავის მშობელ ერს.

რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? მხოლოდ ერთი: არა მგონია, ვინმე ჭკუათმყოფელმა დიდ მამულიშვილობად ჩაგვითვალოს საყოველთაოდ ცნობილი ჰეშმარიტებათა უგულებელყოფა და მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებისაგან, საერთო-საკაცობრიო მონაპოვრებისაგან განზე გადგომა.

ჩვენ, ქართველები, ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილი ვართ და რისთვის გავიღარიბოთ, რისთვის გავინაპიროთ თავი? დროა, დავფიქრდეთ, პროვინციალიზმის ჭაობში ჩაფლობას პატრიოტებად ნუ მივითვლით, ნუ დავირწმუნებთ თავს და ნუ შეეეცდებით, სხვებიც დავარწმუნოთ, თითქოს ქართული სამყარო განცალკევებული სამყარო იყოს და დანარჩენი მსოფლიოსაგან დამოუკიდებლად არსებობდეს! ნურც თავის მართლებას შეეეცდებით, რომ ჩვენ თბილისში გვაქვს გოგოლის, პუშკინის, ლერმონტოვის, ლევ ტოლსტოის, გორკის, ვერჰარნის, ზიჩის, როდენის და სხვათა სახელობის ქუჩები.

გინახავთ ეს ქუჩები, მკითხველო? ნუთუ არასოდეს დავფიქრებულვართ, რომ თითის სიგრძე, აშმორებული გასასვლელებისათვის ამ და სხვა დიდებული სახელების დარქმევით შეურაცხყოფას ვაყენებთ არა ამ სახელების მატარებელ პირებს, არამედ საკუთარ ეროვნულ სახლს? ჩვენს გარდა, ყოველგვარ სისაძაგლეს რომ შევჩვევიეართ და აღარაფერი გვაკვირვებს, აქ სხვებიც დადიან და ხედავენ, რას რა ქქვია, რას როგორ პატივს სცემენ საქართველოში და ამით ჩვენს სულიერ ავლადიდებას ზომავენ. განა უტყუარი საზომი არ არის?

რას იტყოდა, მაგალითად, ჩვენი შესანიშნავი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, თავისი დიდი მასწავლებლის და ხელოვნებაში გზის გამკვლევის ოგიუსტ როდენის ქუჩა რომ ენახა? მასწავლებლისა და მოწაფის ქუჩები ხომ გვერდი-გვერდ არიან თბილისის ერთ პრესტიჟულ უბანში! რას იტყოდა და სირცხვილით დაიწვოდა!

ვის გინახავთ ღმერთკაც ლევ ტოლსტოის ქუჩა ჩუღურეთში, ყოფილ ეორონცოვის მოედანს კოსტა ხეთაგუროვის ქუჩასთან რომ აერთებს? ამ უბადრუკ ქუჩაზე ჩემს პატარა ბიჭობაში ეტლი ეტლს გვერდს ვერ უვლიდა. ახლაც ისევე გამოიყურება, ოღონდ ცოტა უარესად. მეტი რომ არა ვთქვა, ეს ხომ თავის აგდებაა!

ჩვენს დროში სულ არ გამიკვირდება, ვინმე თაეგაცხელებული რომ გამომიხტეს და არასაკმაო პატრიოტობა მიკიჟინოს. დღეს ეს ადვილია, ამისათვის ბაკს არავის ახდევინებენ, გამომცემლობა-რედაქციების კარიც ღიაა, ავისა თუ კარგის გუნდრუკის კმევა, ანდა ყოვლად დაუმ-

სახურებელი ლანძღვა-გინება არავის ეკრძალება. მე მის წინაშე თავის მართლებას და რისამე დამტკიცებას არ ვაპირებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ გვარიდოს ღმერთმა თავიდან ბოლომდე გაუაზრებელი. ზერელე ემოციაზე დაფუძნებული პატრიოტიზმი, რომელსაც მხოლოდ გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია.

მგონია, რომ უფრო ფართოდ უნდა ვიაზროვნოთ ქუჩებისათვის ახალი სახელების შერჩევის დროს. ნუ დაგვავიწყდება, რომ კაცობრიობის ნაწილი ვართ, რომ ეროვნული სულის ფორმირებაში მრავალი კომპონენტი მონაწილეობს, ამან კი აუცილებლად გამოხატულება უნდა ჰპოვოს დედაქალაქისა და სხვა დაბა-ქალაქების ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებაში!

1991 წ.

ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘᲡᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲚᲘ ᲪᲘᲮᲔ

მოსკოვურ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ბელი სწყალიᲐს: თვე თუ არა, წელიწადი ისე როგორ გაიელის, ტყუილ-მართლით კბილებამდე შეიარაღებული ვინმე კორესპონდენტი არ იპოვნოს და მიზანში ამოღებულ ქართველ ხალხს თავზე ლაფი არ დაასხას!

მსგავს საქმეებში უაღრესად გამოცდილ რედაქციას არ ეშლება, რა როგორ უნდა გააკეთოს. კარგად იცის, მაგალითად, რომ თუ შენი მიზანი ქართველი ხალხის სამარცხვინო ბოძზე გაკვრაა, ცილისწამების მოწამლული იარაღი მით უფრო გასჭრის, თუ მიუდგომელი სიმართლის მქადაგებლად არა ვინმე გადამთიელს, არამედ სწორედ ქართული გვარის მატარებელ კაცს გამოიყვან, გამოძებნი ისეთ პიროვნებას, ვისაც შუბლის ძარღვი კარგა ხანია გაწყვეტილი აქვს და თვალის დაუხამხამებლად შეუძლია, ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული მშობლიური ციხე შიგნიდან გატეხოს.

სიმართლისათვის თავგამოდებულ "ერთ-ერთ ასეთ ფალაენად მოგვევლინა 1938 წელს მოსკოვში დაბატებული, მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტების ყოფილი სტუდენტი, საზღვარგარეთ მცხოვრები, ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი ძველი დისიდენტი ვინმე ვალერი ჭალიძე, რომელმაც „კომსომოლსკაია პრავდას“ 24 მაისის ნომერში საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობისადმი მიძღვნილი კარგა მოზრდილი წერილით გაგვახარა. წერილს მეტად გონებამახვილური და დამაფიქრებელი სათაური აქვს: „ღირს კი ხალხთა საპყრობილე განცალკევებულ საკნებად გადაეაქციოთ?“

შორეული ვერმონტის ახალგედა მკვიდრს ბატონ ვალერი ჭალიძეს, თუ ჩალიძეს, როგორც რუსული ტრანსკრიფციით იწერება და გამოითქმის, ამ წერილს რომ უკვეთავდა და შემდეგ მოწონებულს თავის გვერდებზე თვალსაჩინო ადგილს უთმობდა, რედაქცია, ვფიქრობ, მთლად ხელჩაქნეული არ იყო, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილად არ მიაჩნდა ქართველი ერის ზნეობრივი გადაგვარების, მისი პოლიტიკური და მორალური დაქვეითების საქმე.

რა გვაძლევს ამ ვარაუდის საბაბს?

უკეთუ დედამიწის ზურგზე ქართული გვარის მატარებელი თუნდ ერთი კაცი მაინც მოიძებნება, ვისაც ღონე შესწევს, სიმართლეს თვალი გაუსწოროს და ჭეშმარიტებას უღალატოდ ემსახუროს, თუნდაც ის არა ვინმე თბილისელი, ქუთაისელი, ბათუმელი, ზუგდიდელი, თელაველი ან სოხუმელი, არამედ ვერმონტელი კაცი იყოს, მისი მშობელი ერის სინდის-ნამუსის საქმე საბოლოოდ განწირული არ არის! იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სადღაც ცხრა მთას იქით გადახვეწილი თანამემამულის მართალ სიტყვას ჯერაც სამშობლოში მცხოვრები მისი მოძმე ქართველები სხვებთან ერთად გაიგონებენ, შეისმენენ და, ვინ იცის, იქნებ გამოსწორების გზასაც დაადგნენ. ასე რომ, არც ავტორსა და არც რედაქციას ჩვენგან საყვედური არ ეთქმით. პირიქით, მთელი მსოფლიოს წინაშე შესარცხვენად და თავლაფის დასასხმელად განწირულ ქართველებს მადლობის თქმაც კი გვმართებს!

მაგრამ, მოდით, მაინც ნუ ვიჩქარებთ, ჭალიძისეულ წერილს თავიდან ბოლომდე ჩავუვეთ და თუ მართლა სამადლობელს რასმე წავაწყდით, ვინ დაგვიშლის, მადლობის გადახდა არასოდეს არ არის გვიან!

ჩვენი ვერმონტელი თანამემამულე ერთობ გაუნაწყენებია და აღუშფოთებია საქართველოში ბოლო დროს მომხდარ ამბებს, გაუნაწყენებია ქართველი ხალხის სწრაფვას დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისაკენ, სუვერენული ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ.

სამწუხაროდ, ბოლშევიზმის გულწრფელად მოძულე ავტორმა, ეტყობა, არ იცის, რომ ის ამ მხრივ თვით ლენინზე მარცხნივ წავიდა, იმ ლენინზე მარცხნივ, ვისაც ამა თუ იმ ერის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა, აი, ის, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ თვით ჩაიდინა, „უდიდეს უბედურებად" მიაჩნდა.მიაჩნდა სიტყვით, რასაკვირველია, მაგრამ ბოლშევიკისათვის, ისიც თვით ლენინისათვის, სიტყვაც ხომ საქმეა!

სამაგიეროდ, რედაქციასთან ერთად, ბატონმა ვალერი ჭალიძემ კარგად იცის, რომ მეოცე საუკუნის ყველაზე უფრო რეაქციული სახელმწიფოებრივი წყობა, რომელმაც მსოფლიო ხალხებს უდიდესი უბედურება მოუტანა, თუ მხედველობის გარეთ დავტოვებთ ბოლშევიკების მიერ აშენებულ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას, ფაშიზმი, ჰიტლერული ახალი წესრიგია. საკმარისია მიანიშნო, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში ფაშისტები მოვიდნენ, ფაშისტური წყობილება იმარჯვებს, რომ უკლებლივ ყველასათვის ცხადი გახდეს: იქმნება ან უკვე შექმნილია კაცთმოძულეობის კიდევ ერთი კერა, რომლის წინააღმდეგ გალაშქრებაც პიროვნების თავისუფლებისათვის მებრძოლი ყოველი პატიოსანი ადამიანის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა!

თუ აგრეთვე მხედველობის გარეთ დავტოვებთ ყოველგვარი თავისუფლების დამთრგუნველი კომუნისტური იმპერიის შემქმნელ სტალინს, დიდი ლენინის ერთგულ მოწაფეს, ვინ შეიძლება დასახელდეს ცივილიზებული საზოგადოების ნომერ პირველ მტრად? რა თქმა უნდა, ჰიტლერი! ჰიტლერის არსებობა თავისთავად გულისხმობს ჰიტლერიზმის არსებობას, ხოლო იქ, სადაც ბოგინობს ჰიტლერი და ჰიტლერიზმი, მძვინვარებს ფაშიზმი, ჯოჯოხეთი ჯოჯოხეთთა შორის!

რას იტყვი, მკითხველო? სწორად მსჯელობს თუ არა ავტორი? რასაკვირველია, სწორად მსჯელობს, თუ მის მსჯელობას ზოგად პოსტულატად მივიჩნევთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ვერმონტელი თანამემამულე ზოგადი განცხადებით არ კმაყოფილდება, კონკრეტული ამბების ანალიზზე გადადის და სწორედ აქედან იწყებს თეთრი ძაფით ლამბვას, მიმნდობი მკითხველისათვის გზა-კვალის აბნევას.

ბატონი ვალერი ჭალიძის მახვილი უპირველეს ყოვლისა საქართველოს ახალარჩეული პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ არის მიმართული. ის მას ომს უცხადებს, როგორც პიროვნებას და საქმეში სამშობლოში ნაკლებად ცნობილ ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილის ავტორიტეტსაც იშველიებს. ამ წერილით მე მიზნად არ დამისახავს ვისიმე პიროვნების დაცვა. პრეზიდენტი, თუ საჭიროდ მიიჩნევს, ალბათ,

თვით დაიცავს თავის პიროვნულ ღირსებას, მე კი თავს უფლებას მივცემ, ბატონ ჭალიძეს ფეხდაფეხ მივყვე და კბილი მოვუსინჯო საბუთებს, რომლებითაც იგი საქართველოში ფაშიზმის გამარჯვების მითის დამტკიცებას ცდილობს.

რა ნიშნებით ხასიათდება „ქართული ფაშიზმი", რომელსაც საქართველოში ქართველი ხალხის თვალწინ და მისივე მხარდაჭერით ამკვიდრებენ? რა აქვს მას საერთო, ვთქვათ, გერმანულ, იტალიურ ან იაპონურ ფაშიზმთან?

უპირველეს ყოვლისა, მისი იდეოლოგიის საფუძველთა საფუძველი რასიული თეორიაა. ქართული ფაშიზმი, არც იქით, არც აქეთ, თავის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს ლოზუნგით: „საქართველო ქართველებისათვის!" იგი პირდაპირ ეხმაურება ლიტველი ფაშისტების ძიერ გადმოსროლილ ლოზუნგს: „ლიტვა ლიტველებისათვის!"

წერილის ავტორი, ეტყობა, არ არის მთლად დარწმუნებული, რომ „კომსომოლსკაია პრავდას" მკითხველები რიულად ჩახვეულ სილოგიზმებს გაუგებენ და ამიტომ უტრირებას მიმართავს, პირდაპირ და შეუნიღბავად ამბობს, რომ ქართველები საქართველოში ადამიანებს კანის ფერისა და სისხლის შემადგენლობის მიხედვით არჩევენ, ზუსტად იმ გზასა და კვალს ადგანან, რამაც ნაციზმის ბაცილით მოწამლული ერები მეორე მსოფლიო ომში საშინელი კატასტროფამდე მიიყვანა და ერთი მითხარით, ასის თუ არა ეს ფაშიზმი.

[illegible] **გაუჭირდება რისამე გაგება, აქ რომ ყველაფერი სარწმუნო იყოს და ბატონ ვალერი ჭალიძის მიერ გასახმაურებლად მოხმობილი ამბავი სი-**[illegible]ართლეს [illegible]ეესაბამებოდეს. სანამ [illegible] შავ დღეში ძყოფ საქართველოს „კომსომოლსკაია პრავდას" ფურცლებზე საბურთაოდ გაიმეტებდა, მას რომ თავი შეეწუხებინა და მიახლოებით მაინც გაეგებინა, სად და ვისგან გაიგონა საქართველოში მართლაც და ღვთის გამარისხებელი ლოზუნგი „საქართველო ქართველებისათვის!" ვინ და როდის უთხრა მას, ანდა ვინმე სხვას, არა მარტო დღეს, არამედ რომელიმე საუკუნეში, თუნდაც ათასი და ორი ათასი წლის წინათ, ქართული მიწა მხოლოდ ქართველების საცხოვრისია და, თუ გინდათ თავი მთელი შეგრჩეთ, აქ ფების დამდგმელი სხვა არაევინ დაგინახოთო? სად გაიგონა ან ამოიკითხა, რომ ქართველი კაცი მის სამშობლოში მოსულ კაცს, სტუმარს თუ ხიზანს, კანის ფერითა და სისხლის შემადგენლობის მიხედვით არჩევდა? თუ ეს მართლა ასე იყო და დღესაც ასეა, მაშ, საიდან და როგორ გაჩნდნენ საქართველოს ფარგლებში ას ათასზე მეტი რუსი, ორას ათასზე მეტი აზერბაიჯანელი, სამას ათასზე მეტი სომეხი და კიდევ ოთხმოცამდე სხვა ერის წარმომადგენელი, რომელთაც არასოდეს არ უგრძვნიათ, რომ მრავალეროვანი, ყოველი გაჭირვებულისა და მიუსაფარის მფარველი საქართველო მათი ერთადერთი სანუკვარი სამშობლო არ არის?

როგორ მოხდა, რომ უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ამ რამდენიმე კვირის წინათ ჩატარებულ საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმში ქართველ ხალხთან ერთად ხმა მისცეს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას?

თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ ქართველი ერის ავის მოსურნეთა მიერ დაყრილ ჭორებს, თითქოს კენჭისყრა სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციული ზემოქმედებით მომხდარიყოს, თითქოს ყველა არაქართველს დამუქრებოდნენ, თუ დამოუკიდებლობას ხმას არ მისცემთ, დღესვე გუდა-ნაბადს აგიკრავთ და აქედან გაგაგერითო, ამ მუქარის შესრულება, თუკი იგი მართლა გამოითქვა, მაშინ უფრო ადვილი არ იქნება, როდესაც საქართველო კოლონიური უღლისაგან საბოლოოდ გათავისუფლდება და სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მოიპოვებს?

მაშ, რისთვის მიუცია ხმა საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ არაქართველთ — აფხაზებს, სომხებს, ქურთებს, ბერძნებს, ესტონელებს და სხვათა და სხვათა, ნუთუ მამა-პაპის ფუძიდან აყრისათვის და საქართველოდან მათი გასახლებისათვის? შეიძლება, ეს აბსურდი ვინმე ჭკუათმყოფელმა დაიჯეროს? შეიძლება, პოლიტიკოსი თუ პოლიტიკოსობის მოსურნე, ვინც მოსკოველ იმპერიალისტთა გულის მოსაგებად ამ საზიზღარ ჭორს ქადაგებს და ქართულ ნაციზმზე სერიოზულად მსჯელობს, ანგარიშგასაწევ პიროვნებად ჩავთვალოთ? შეიძლება, თავისი თავის პატივისმცემელმა ბეჭდვითმა ორგანომ ადვილი დაუთმოს ამა თუ იმ ერის შეურაცხმყოფელ მასალას, საიდასღაც ყურით მოთრეულ დასკვნებს და აზრადაც არ დაებადოს, ავტორს დასკვნების დამადასტურებელი საბუთები მოსთხოვოს? ეს სისხლის სამართლის საქმეა, ძვირფასებო, მიზნად ხალხთა შორის ერთვნული შუღლის ჩამოგდებას და გაღვივებას რომ ისახავს და სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც არამცთუ მთელი ერის უშველი სიტყვებით გალანძღვა, პიროვნების ღირსების ხელყოფაც კი შეუძლებელია, მსგავს აღვირახსნილ გამოხდომას „კომსომოლსკაია პრავდას“ კინმე აპატიებდა?

თურმე ნუ იტყვით, ბოლო ხანს, რაც ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ გაცხოველებული ხასიათი მიიღო, საქართველოში პოლიტიკური მკვლელობები გავრცელებულა.

ამას შავით თეთრზე წერს ჩვენი ვერძონტელი კეთილისმყოფელი.

საქართველოში, ისევე როგორც მთელი კავშირის მასშტაბით, თუ საქმეს კრიმინალისტური თვალსაზრისით მივუდგებით, ერთიმ არასახარბიელო მდგომარეობაა. მკვლელობებსა და სხვა სამართალდარღვევებს საოვალეფ აღარა აქვს ანას არც [illegible] უარყოფს და არც არის საჭირო [illegible] უარყოფა, მაგრამ ერთი მაინრძანეთ, საიდან მოვიტანეთ და ჩაკვეთეთ ზემოთხსენებულ სტატიაში ეს „პოლიტიკური მკვლელობები“, რომელიც ღალატისაგან და კაცისაგან მიტოვებულ საქართველოში ბოლო დროს ხშირად გავრცელდებულა. „პოლიტიკური მკვლელობა“ ხომ პოლიტიკური მოღვაწის პოლიტიკური მოტივით მოკვლას ეწოდება? გაგვაგებინეთ, პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, პოლიტიკური მიზეზით თუ ამ მოტივის გარეშე, ვინ მოკლეს საქართველოში უკანასკნელი პეოთხედი საუკუნის მანძილზე? ნუთუ ერთი კონკრეტული სახელი და გვარი მაინც არ გვახსენებდა?

როგორ დავარწმუნოთ „კომსომოლსკაია პრავდას“ მკითხველი, ვინც ბატონ ჭალიძის წერილი უკვე წაიკითხა და იქ მოწოდებული ინფორმაციაც ეკვმიუტანელ ჭეშმარიტებად მიიჩნია, რომ ამჯერადაც დაუმსახურებელ ლაყე კვერცხებს ესვრიან საქართველოს, რომ აქ არც ერთი

„პოლიტიკურ მკვლელობასთან“ მიმსგავსებული დანაშაული არ მომ-ხდარა? ვერაფრითაც ვერ დავარწმუნებთ, ვინაიდან ეს წერილი იმავე გაზეთის ფურცლებზე გასაგები მიზეზების გამო ვერ დაიბეჭდება და საკავშირო პრესის, თვით „კომსომოლსკაია პრავდას“ ბანგით გაბრუე-ბული მკითხველიც სიმართლეს ვერასოდეს ვერ შეიტყობს. რედაქციისა და ავტორის ჯავრიც ეს იყოს! ძალიან არ ენაღვლება, რას იტყვიან საქართველოზე მავანნი და მავანნი?!

ბატონი ვალერი ჭალიძე აღშფოთებულია. მას ვერა და ვერ მოუ-ნელებია, რომ „ხალხისაგან პატივცემული მოძღვრები“ არავითარ წინა-აღმდეგობას არ უწევენ საქართველოში ფაშიზმის შავი ჭირის გავ-რცელებას, პირიქით, მათდა სამარცხვინოდ მხარსაც კი უჭერენ ამ პროცესს და სამაგალითოდ მოჰყავს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომელსაც წერილი გამოუქვეყნებია საქართველოს ინგლისურენოვან გაზეთში „თე გეორგიენ მესინგერ“ და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლე-მისათვის ნათელის მოფენა განუზრახავს.

აი, რა სიტყვებით ამკობს ბატონი ვალერი ჭალიძე თანამედროვეო-ბის თვალსაჩინო მეცნიერს, მის მიერ „ცნობილ ლინგვისტად“ მოხსენი-ებულ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს:

„აძლევს თუ არა ის (თამაზ გამყრელიძე.—რ.ჯ.) ხალხს სინდისის დალაქაეების მაგალითს, როდესაც სამხრეთ ოსებისათვის ავტონომიის ჩამორთმევას ამართლებს“?

სინდისის საკითხს ქვემოთ გაკვრით კიდევ შეეხებით, ახლა კი მინდა ვკითხო ბატონ ვალერი ჭალიძეს: მოეხსენება თუ არა, როდის აქეთ არსებობს თვით სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი“, ანუ „სამხრეთ ოსები“, როგორც ის ბრძანებს, მოიპოვება თუ არა კავკასიის ისტორი-ულ გეოგრაფიაში ამ სახელწოდების მქონე ტერიტორიული ერთეული? ნუთუ დედამიწის ამ რეგიონის ისტორიასა და გეოგრაფიაში ასე თუ ისე ჩახედული კაცი სერიოზულად ფიქრობს, რომ ოდესღაც, საუკუნე-ები სიღრმეში, ერთი ოსეთი არსებობდა და შემდეგ ის მიზეზთა და მიზეზთა გამო ჩრდილო და სამხრეთ ოსეთებად დაიყო? იქნებ ის ერ-თადერთი ოსეთი მეზობელმა მტაცებელმა სახელმწიფოებმა დაინაწი-ლეს და კონტინენტების გამყოფი ბუნებრივი საზღვარი — კავკასიის მთავარი ქედი ამ ნაწილებს შორის ამოვიდა, რათა ერთიანი ქვეყანა ჩრდილო და სამხრეთ ოსეთად დაეყო?

ვერ გეტყვით, პატივცემული ავტორი რას ფიქრობს, მაგრამ რაკი გადაუდებელმა საჭიროებამ მოითხოვა, მე მინდა მას მოვაგონო, რომ არავითარი ორი ოსეთი არასოდეს არ არსებულა, როგორც არ არსე-ბობს და არ არსებულა ორი საქართველო, ორი რუსეთი, ორი საფ-რანგეთი, ორი იტალია. ისტორიამ იცის მხოლოდ ერთი ოსეთი, რომე-ლიც ევროპისა და აზიის გამყოფი კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილო-ეთით მდებარეობს. ქედის სამხრეთ კალთებზე, აზიის მხრიდან, საქარ-თველოს მთიანეთია შეფენილი.

დედამიწის ზურგზე, როგორც ცნობილია, არც ერთი ხალხი, უპირ-ველეს ყოვლისა მეზობელი ხალხები, იზოლირებულად არ ცხოვრობს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ყველამ ჩინებულად იცის, ვინ ვისთან მო-ვიდა და ვინ ვის მიწა-წყლის მადლს იზიარებს.

დამპყრობელთა განუწყვეტელ შემოსევებისაგან შეწუხებული ოსი მოსახლეობის ერთადერთი საიმედო თავშესაფარი, სადაც შეეძლოთ სიცოცხლე გადაერჩინათ, შედარებით მიუდგომელი და დაცული საქართველოს მთები, კავკასიონის სამხრეთი კალთები იყო. რაკი ადგილობრივი მთიელები მათ თანაგრძობით ხვდებოდნენ, თბილ ლუკმას უყოფდნენ და ღამის გასათევ ადგილს აძლევდნენ, ლტოლვილმა ოსებმა თანდათან ფეხი მოიკიდეს ამ ადგილებში, თავიანთი ქართველი მეზობლების ენა შეითვისეს და ცხოვრების საერთო ფერხულში ჩაებნენ. შემდეგ და შემდეგ მათ ბარშიაც ეხედავთ. ქართველი ფეოდალები: წერეთლები (ზემო იმერეთში), ჯაფარიძეები (რაჭაში), მაჩაბლები, ამილახვრები, ფალავანდიშვილები, ციციშვილები, ქსნის ერისთავები (ქართლში) ომებში გამეჩხერებული მოსახლეობის შესავსებად მთებიდან ჩამოყვანილ ოსებს ხიზნებად ასახლებენ თავიანთ საბატონო მიწებზე, თავიანთ ყმაგლეხებს შორის.

უკვე მე-19 საუკუნე ილევა და გეოგრაფიული ცნება „სამხრეთ ოსეთი", ისევე როგორც „ჩრდილო ოსეთი" ჯერ კიდევ არ არსებობს, ეს ორი ცნება იბადება და ხმარებაში შემოდის ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დამდეგს, როდესაც ქართველმა ბოლშევიკებმა დამხმარე ოსებს, რომელთაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ზურგში მახვილის ჩასაცემად იყენებდნენ, მათთვის პოლიტიკურად არასაიმედო ქართველთა შემდგომი დასუსტების მიზნით დაპირება შეუსრულეს და ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ნების წინააღმდეგ ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს მოკლებული ავტონომია შეუქმნეს. ავტონომიის კანონიერებასა თუ უკანონობაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ოლქის დედაქალაქად გამოცხადებულ ცხინვალში ავტონომიის შექმნის დროისათვის მხოლოდ ათი-თორმეტი კომლი ოსი მოსახლე ბინადრობდა. უხსოვარ დროიდან მოკიდებული ცხინვალი ქართული ქალაქი იყო, ქრცხინვალად, იწოდებოდა და ქართველებთან ერთად იქ ებრაელები და სომხები ცხოვრობდნენ.

ავტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ ოსურმა ადმინისტრაციამ ყველა ღონეს მიმართა, ძირძველი ქართველი მოსახლეობა უკიდურესად შეევიწროვებინა და შიდა ქართლის ამ რეგიონის ბატონ-პატრონი გამხდარიყო. დაიცალა და გაუკაცრიელდა ოდესეაც ქედგადაღმიდან ლტოლვილ ოსთა სოფლები ლიახვისა, ჯეჯორისა, პატარა ლიახვისა და ქსნის სათავეებში. ჩრდილოეთიდან ახალგადმოსულ თავიანთ თანამემამულეებთან ერთად ისინი ცხინვალსა და მის შემოგარენში დასახლდნენ და აქაური მკვიდრი მოსახლეობა ისერიგად შეაეიწროვეს, რომ ბევრნი ამ უკანასკნელთაგან იძულებული გახდნენ, მამა-პაპის ფუძე მიეტოვებინათ და ქვეყნის სხვა რეგიონებში გადასახლებულიყვნენ.

შვიდი ათეული წლის განმავლობაში ასე გადაიქცა ცხინვალი ოსურ ქალაქად და ასე იქცნენ ცხინვალელი ქართველები ეროვნულ უმცირესობად, ეროვნულ უმცირესობად არა სადმე სხვაგან, არამედ საკუთარ სმშობლოში, საკუთარ სახლში!

რას გვიბრძანებს ყოველივე ზემოთ მოთხრობილის გამო ბატონი ვალერი ქალიძე? ბატონ თამაზ გამყრელიძისა არ იყოს, იქნებ მეც ეშმაკს შევუთანხმდი, სინდის-ნამუსზე ხელი ავიღე და ეტყუი?

არავინ უარყოფს, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ქართველებსა და ოსებს შორის, ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებებს შორის, ეროვნულ ნიადაგზე არცერთი გაუგებრობა და უკმაყოფილება არ ჩამოვარდნილა. ქალაქადაც და სოფლადაც ქართველები და ოსები შერეულად ცხოვრობდნენ, ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, ჭირიც ერთი ჰქონდათ და ლხინიც, ამყარებდნენ ნათესაურ ურთიერთობებს და ერთმანეთზე უფრო საყვარელი არც არავინ ყავდათ. ეს კეთილი ურთიერთობა დღესაც გახუხრელად გრძელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც ასი ათასზე მეტი ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს. ორჯერ მეტი, ვიდრე ყოფილი ავტონომიური ოლქის მთელი მოსახლეობაა!

მაშ, რა მოხდა სამხრეთ ოსეთის ხელოვნურად შექმნილ ავტონომიაში? რა მოხდა და ნებაზე მიშვებულმა ოსმა პარტოკრატებმა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხრიდან, აქაოდა ნაციონალისტობა არავინ დაგვაბრალოსო, ყოველად გაუმართლებელი დათმობებით რომ სარგებლობდნენ, ფრთები გაშალეს, აქაურობა თავის სამემკვიდრეო ადგილ-მამულად მიიჩნიეს და როდესაც მთელ იმპერიაში გამეფებული ანარქია საქართველოსაც მოსწვდა, გადაწყვიტეს, დროა, ხელი ჩვენც გავანძრიოთ და ამღვრეულ წყალში თევზი დავიჭიროთო.

კერძოდ რა მიზანს ისახავდნენ?

გამოეცხადებინად ოლქი რესპუბლიკად, მეორე ოსურ რესპუბლიკად სსრ კავშირის შემადგენლობაში, გამოეყვანათ იგი საქართველოს დაქვემდებარებიდან და შეერთებინათ ე.წ. ჩრდილო ოსეთისათვის, ე.ი. რუსეთის ფედერალურ საბჭოთა რესპუბლიკისათვის. საქმეს გადადება არ უხდება და საოლქო საბჭოს აღმასკომმა კიდევაც გამოიტანა აღნიშნული დადგენილება, რომლის საფუძველზედაც თავი საქართველოდან გამოყოფილად და საკავშირო დაქვემდებარების რესპუბლიკად გამოაცხადა.

კეთილი ინებოს და თუნდაც იმავე „კომსომოლსკაია პრავდას" ფურცლებზე გვიპასუხოს ბატონმა ვალერი ქალიძემ: არის თუ არა ეს ოსი ექსტრემისტების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა, საქართველოს ტერიტორიის ხელყოფა, და მისი გადაცემის ცდა სხვა ქვეყნისათვის?

საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა საოლქო საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, გააუქმა ადრე უკანონოდ შექმნილი ავტონომიური სტატუსიც, აღუთქვა ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს კულტურული ავტონომიის ყველა პირობის შენარჩუნება და რადგანაც ოსი ექსტრემისტები შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის გზას დაადგნენ, რაც აგრეთვე კანონსაწინააღმდეგო მოქმედება იყო, გაგზავნა იქ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ძალები, მათ შორის სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფებიც, რეგიონში სამოქალაქო მშვიდობის აღსადგენად.

გაგეგებინეთ, ხალხო, თუ ქვეყანა ჩალით არ არის დახურული, სად არის აქ ფაშიზმი, „არიული უპირატესობა", რასობრივი სიძულვილი, ვისიმე სისხლის შემადგენლობაზე მსჯელობა? რაკი ენას ძალი არა აქვს, განა შეიძლება ცივილიზებულმა ადამიანებმა, ამით ბორო-

ტად ვისარგებლოთ და ყველაფერი წამოვროშოთ! სხვა დემოკრატიული პარლამენტი როგორ მოიქცეოდა, საქართველოს უზენაესი საბჭოს ადგილზე რომ ყოფილიყო? მორჩილად დათმობდა მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მორწყულ მშობელ მიწას, რათა ის უამისოდაც თვალუწვდენელ რუსეთს შეერთებოდა და რუსეთ-საქართველოს საზღვარს შიგ შუაგულ ქართლში გაიყვანდა? სად არის ასეთი კანონი, იქნებ რუსეთში, რომელსაც საარსებო მიწით ღარიბი მეზობელი ქვეყნისათვის იარაღის ძალით წანაგლეჯი ორი თუ სამი უდაბური კუნძულის მისი კანონიერი პატრონისათვის დაბრუნება ენანება?

რა გზას უნდა დასდგომოდა აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე და მასთან ერთად ბევრი სხვა საღად მოაზროვნე ქართველი მამულიშვილი, ვინც უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების თაობაზე მხარი უყოყმანოდ დაუჭირა, თავისი სამშობლოს სამართლიან ინტერესებს წინ აღდგომოდა, როგორც ვერმონტელი ვალერი ჭალიძე მოიქცა, და წყალი მტრის წისქვილზე მიეშვა? სინდისის დალაქავება და ხალხისათვის უკუღმართი მაგალითის მიცემა სწორედ მაშინ უნდა გენახა!

ბატონ ვალერი ჭალიძეს, ეტყობა, დაავიწყდა; ანდა კონკრეტულ ვითარებაში განზრახ ივიწყებს, თუ რა ისტორიული აუცილებლობა ედო საფუძვლად რუსეთის მიწა-წყლიდან ოქროს ურდოს, კარლოს მეთორმეტის, ცრუ დიმიტრის, ნაპოლეონ ბონაპარტეს და შემდეგ ჰიტლერის ურდოების გაძევებას... ნუთუ სამშობლოსათვის თავდადებული რუსი მამულიშვილები ფაშისტები იყვნენ, რაკი მონღოლებს, შვედებს, პოლონელებს, ფრანგებს, გერმანელებს თავიანთი ღვიძლი სამშობლოს მიწა-წყალი არ დაანებეს? მაშ, რაღა მარტოოდენ ქართველებს ეკრძალება თავისი რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, განა ის ოდესმე ვისთვისმე წაურთმევია? განა ოდესმე მართლა არსებობდა „სამხრეთ ოსეთი", რომელიც „პატარა იმპერიალისტებმა" ქართველებმა დაიპყრეს?

ღმერთია მოწამე, ეს ომი საქართველოში არავის უნდა, არც ქართველებს და არც ოსებს. ის უნდათ ოს ექსტრემისტებს და იმათ, ვინც მათ ზურგსუკან დგანან, იარაღს აწვდიან და ყველა საშუალებით თავისი კაცთმოყვარეობის გამო დასჯილი ქართველი ხალხის დისკრიმინაციას ეწევიან. დღეს ცხინვალი მთლიანად დაცლილია ქართველებისაგან, დამწვარია ყველა მათგანის სახლი, აკლებულია ყველა ქართული სოფელი, დამწვარია ყველა ქართული სკოლა, შებილწულია ეკლესია-მონასტრები, უწყალოდ ინგრევა მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთაგან არც ერთი ოსის მარჯვენას არ აუშენებია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დამპყრობელისაგან განსხვავებით ოსებს საქართველოდან არავინ აძევებს.მიუხედავად დაღვრილი სისხლისა, მათ მაინც მოუწოდებენ, იცხოვრონ დედა-საქართველოში, როგორც აქამდე ცხოვრობდნენ, იცხოვრონ ყველა სხვა ხალხთან ერთად, იცხოვრონ მშვიდობით და თანხმობით, გამრავლდნენ, დაწინაურდნენ, კიდევ უფრო ააყვავონ თავიანთი სულიერი და მატერიალური კულტურა!

„კომსომოლსკაია პრავდას" მთელ გვერდს გადაფოფრებული ბატონი ვალერი ჭალიძე ირონიული ღიმილით დასცინის აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს, რომელსაც გაუბედია და თავის ზემოთხსენებულ წერილ-

ში „სამხრეთ ოსების“ კულტურულ პროფილზე სიტყვა დაუძრავს. დიდი ამბავი, თუ ქართველ ლინგვისტებს ოსური ენის თავისებურებათა შესწავლაში წვლილი მიგიძღვითო!

საქმე აქ ქართველ სწავლულთა მეცნიერული დამსახურების არად ჩაგდება როდია, საქმე ის გახლავთ, რომ ამ თავისი აგდებული განცხადებით, კულტურულ ოჯახში წესიერად აღზრდილ კაცს რომ არ უნდა ახასიათებდეს, ბატონი ვალერი ჭალიძე ხელს განზრახ აფარებს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსთა კულტურულ მდგომარეობას, საკითხს, განიცდიან თუ არა ისინი ჩაგვრას ქართველების მხრივ კულტურის სფეროში.

რაკი მას არ სურს, რა გაეწყობა, მე შევეხები, რას უმალავს ჩვენი ვერმონტელი კეთილისმყოფელი საკავშირო და მსოფლიო მკითხველს.

იმ დროს, როდესაც საკუთრივ ოსეთში, სრულიად შეუსაბამოდ ჩრდილო ოსეთად რომ იწოდება, აღარცერთი ოსური სკოლა აღარ მოქმედებს, თავი რომ დავანებოთ უმაღლეს სასწავლებლებს და სხვა ეროვნულ სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებებს, სადაც ოსური ენის მცოდნე პირები თვით ოსი ინტელიგენციის წრეებშიაც კი თითებზე ჩამოითვლებიან. „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიის ყოველი ბავშვი, თუკი ასეთია მათი მშობლების ნება, განათლებას ეროვნულ სკოლაში, მშობლიურ ოსურ ენაზე იღებს. ცხინვალში ოსურ ენაზე ფუნქციონირებს უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი, მშობლიური ენის ჩინებულად მცოდნე კადრების სამკედლო. იქვეა შემოქმედებითი ორგანიზაციები და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სადაც ყველა სხვა დარგის პრობლემებთან ერთად ოსი მეცნიერები თავიანთ ქართველი კოლეგების მხარდამხარ ოსური კულტურისა და ლიტერატურის ფუნდამენტურ საკითხებს იკვლევენ. გამომცემლობა უშვებს რამდენიმე გაზეთს და ჟურნალს ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე. ცხინვალი განთქმულია თავისი ოსური სახელმწიფო თეატრით, ფილარმონიით და ფართოდ განშტოებული კულტურული დაწესებულებებით, რაშელთა ქონასაც საბჭოთა კავშირის ბარე ორი ავტონომიური ოლქი და რესპუბლიკა ვერ დაიქადნის.

არა ღირს ეს ხსენებად? გულზე ხელი დაეიდოთ და ვაღიაროთ: მოხდებოდა ეს ყოველივე, მთელი ქართველი ხალხის, მისი ინტელიგენციის, მისი მთავრობის კეთილი ნება რომ არ იყვეს? თუ მოხდებოდა, რატომ არ მოხდა რუსეთის ფედერაციაში, სადაც საკუთრივ ოსეთმა, ერთადერთმა ოსეთმა, ცისქვეშ რომ არსებობს, სრული ასიმილაცია, ეროვნული ფესვების სრული ამოძირკვა და სხვა კულტურულ არეალში გადანაცვლება განიცადა?

ნუთუ ამას უწოდებენ „კომსომოლსკაია პრავდა“ და მის მიერ მიუდგომელ მსაჯულად მოწვეული ბატონი ვალერი ჭალიძე ფაშიზმს, ნაციზმს, საქართველოში ქართველთა „არიული უპირატესობის“ დაუსჯელ პარპაშს, რის წინააღმდეგაც ხმას ისეთი პატივცემული პირებიც კი არ იმაღლებენ, როგორც აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძეა? თუ ეს ფაშიზმია, ნება გვიბოძეთ ვიკითხოთ, მაშ, ის რაღა არის, რაც ე.წ. ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოსი მოსახლეობის მიმართ რუსეთის ფედერაციაში ხდება?

თუ ჩვენი ფერმონტელი კეთილისმყოფელის რჩევა-დარიგებასა და მოთხოვნას გავყვებით, ქეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ აზრი, რომლის თანახმადაც ქვეყანა მით უფრო დემოკრატიულია, რაც უფრო მეტ ავტონომიებად არის დაყოფილი.

ხომ არ შეწუხდება ბატონი ვალერი ჭალიძე და არ მიგვითითებს, სად ამოიკითხა ეს აქსიომა ქვეყნის დემოკრატიულობის მეტ-ნაკლებობის შესახებ?

რას გულისხმობს თვით ცნებაში „დემოკრატია"? ანდა ცნება „ავტონომია" როგორ უნდა განიმარტოს? ხომ არ დაგვისახელებს, რა და რა ავტონომიებისაგან შესდგება ისეთი კლასიკური დემოკრატიული ქვეყნები, როგორიცაა, მაგალითად, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, საბერძნეთი, პოლონეთი, ბელგია, დანია, შვეიცარია და ბევრი კიდევ სხვა?

თუ ვინიცობაა ვერ დაგვისახელებს და ეს არც იქნება გასაკვირი, რადგანაც მსგავსი რამ ბუნებაში არ არსებობს, მაშინ იქნებ ის მაინც აგვიხსნას, რატომ უნდა მივცეთ საქართველოში ავტონომია, ვთქვათ, ქუთაისს ან ფოთს, რასაც ის დაჟინებით გვირჩევს, პირზე ქაფმოდებული მოითხოვს, ვითომ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ადგილობრივი საკითხები ადგილობრივ გადაიჭრას, რათა ცენტრმა ნაკლებად იმტვრიოს თავი და „სისულელეები ნაკლებად დაუშვას"?

ვერ მოვუწონებ სწავლა-განათლებას ჩემს გაუცხოელებულ თანამემამულეს, თუმცა ჯერ საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ უცხოეთის არა ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში უსწავლია, ვერც ამ აბსურდის განსჯა-განხილვაში გავყვები. სახელმწიფოს შინაგანი ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი მას, ეტყობა, თავის უფროს მეგობარ აკადემიკოს ანდრეი სახაროვისაგან უსწავლია, მაგრამ ის კი ვეღარ უგულისხმია, რომ დიდი რუსი ჰუმანისტი სპეციალობით ფიზიკოსი ბრძანდებოდა, რუსული ატომური ბომბის მამა იყო და თუ სახელმწიფოს შინაგან სტრუქტურებში ისე ვერ ერკვეოდა, როგორც მათემატიკურ ფორმულებში, ამას მაინც და მაინც დიდ ცოდვად ვერავინ ჩაუთვლის.

მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, ბატონმა ანდრეი სახაროვმა თავისი მოსაზრებები მრავალეროვანი, ოდესღაც დამოუკიდებელი სახელმწიფოების ბაზაზე აგებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოს მიმართ, ისეთი სახელმწიფოს მიმართ გამოთქვა, რომლის ქვეშევრდომიც თავად იყო და არა ისეთი დემოკრატიული ქვეყნების მიმართ, როგორიც საფრანგეთი, გერმანია, იტალია ან ესპანეთია.

ბატონ ვალერი ჭალიძეს და მასთან ერთად გამეცადინებულ რედაქციასაც, როგორმე ტალახის გუნდა ესროლოს საქართველოს, დასანანი ლაფსუსი სწორედ აქ მოუვიდა, რადგანაც მრავალეროვანი სახელმწიფოს შინაგანი სტრუქტურის სახაროვისეული სქემა ევროპის დემოკრატიული ქვეყნების ტიპის ქვეყნებზე გაავრცელა. ასე რომ არ მომხდარიყო, არამც და არამც არ დაწერდა, საქართველოს უზენაეს საბჭოს არამცთუ „სამხრეთ ოსებისათვის" არ უნდა ჩამოერთმია ავტონომია, იგი (ავტონომია) ქუთაისისათვის, ფოთისათვის და კიდევ სხვებისათვის უნდა მიეცაო.

ჩანს, ბატონ ჭალიძეს ავტონომია რეგიონალური მმართველობის ერთადერთი ფორმა ჰგონია და გარდა ეკონომიკური სიდუხჭირისა,

რასაც ტერიტორიული დაყოფის სხვა ფორმებიც მშვენივრად ასრულებენ, მისი შექმნის სხვა მოტივს და საფუძველს ვერ ხედავს. ამიტომაც აიგივებს ე.წ. სამხრეთ ოსების საკითხს აფხაზეთის საკითხთან და მკითხველს აუწყებს, ქართველი ნაციონალისტები აფხაზეთსაც იმასვე უპირებენ, რასაც სამხრეთ ოსეთს დამართესო. მერე რა თუ ასე არ ყოფილა და ალბ ძეიძლება ყოფილიყო! ძთავარია ბულლის გაღვივება, ხალხის ხალხზე გადაკიდება. ამ მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი და საშუალება მისაღებია, თუკი ის საქართველოს, ქართველი ხალხის დასათრგუნავად გამოდგება!

ბატონ ვალერი ჭალიძის უფროსი მეგობარი და იდეური ხელმძღვანელი აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი საკითხის წიაღში უფრო ღრმად შეიჭრა და კიდევაც მართებდა შეჭრა. მან იმპერიის უზენაეს ხელისუფლებას წარუდგინა ვერსია, რომელსაც ამავე წერილში დიდი აღტაცებითა და მოწიწებით იმეორებს ბატონი ვალერი ჭალიძე: „მისცეს მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი ყოველ კომპაქტურად დასახლებულ ეროვნებას“, ე.ი. ხელახლა გამოჭრას ქვეყნის რუკა ყოველგვარი ისტორიული და კონსტიტუციურად დაკანონებული სუვერენიტეტების გაუთვალისწინებლად.

როგორ შევკადრო აკადემიკოს ანდრეი სახაროვის დიდებულ აჩრდილს, იმპერიალისტური აზროვნება ამაზე შორს ვერ წავა-მეთქი, ეს თავში თვით გრაფ ვიტესაც არ მოსვლია და არც სტოლიპინს-მეთქი.

ასე იქნება თუ ისე, სახაროვის უნივერსალური სქემის განხორციელებით რუსეთის იმპერია არაფერს არ კარგავს, მაგრამ სხვები? ვეებერთელა იმპერიულ ქვაბში მოხვედრილმა დიდმა და მცირე ერებმა, განურჩევლად კულტურული მემკვიდრეობისა, რომელთაც თავიანთი ისტორიული წარსული უნდა დაივიწყონ და ერთადერთ უზენაეს ცენტრს უნდა დაექვემდებარონ, ცენტრს, რომელიც წესწყობილებას, რაღა თქმა უნდა ველიკოროსთა ენაზე განახორციელებს, ისღა რჩებათ, თავიანთ ეროვნულ სახეზე ნებაყოფილობით უარი თქვან და ერთმანეთში უმოწყალოდ აითქვიფონ!

თქვენც აგრე უნდა ქნათ, თუ გინდათ. დემოკრატიას ეზიაროთო, გვიჩიჩინებს ჩვენი ვერმონტელი კეთილისმყოფელი, დროა მოეშვათ ყოყოჩობას და ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლას, რაღა დროს ეგ არის, ჭურში ზიხართ, შამაცხონებულებოო?

მე არ მინდა ამომწურავი შეფასება მივცე აკადემიკოს ანდრეი სახაროვის მიერ მოწოდებულ სქემას, რის მიხედვითაც მას რუსეთის კოლონიური იმპერიის მოწყობა სურდა და რომლის მიმდევარი დღესაც ბევრია. მარტო ჩვენი ვერმონტელი თანამემამულის გახსენება რად ღირს, მხოლოდ იმას ვიტყოდი, რომ ბატონ მიხეილ გორბაჩოვისა და კომპანიის მიერ შედგენილი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი ბევრად უფრო ჰუმანური, ბევრად უფრო გამსჭვალულია ჰელსინკის სულით, ვიდრე სახაროვისეული მოძღვრება ამაზე საკითხზე: ბევრად უფრო ჰუმანურია თუნდაც იმით, რომ გორბაჩოვის ხელიდან გამოსული პროექტი არ იჩენს სრულ განურჩევლობას ხალხების ისტორიული წარსულისა და უკვე არსებულ მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მიმართ. საღ აზრთან მისი შეუსაბამობა მხოლოდ ისაა, რომ შეუთავსებელთა შეთავსებას ლამობს და ეს დაპი-

რისპუბლიკებულთა ერთიანობის დიალექტიკური კანონი ჰგონია. ცხრა რესპუბლიკას, რომლებიც სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას მისაღებად თვლიან და, ამგვარად, კავშირის შემადგენლობაში რჩებიან, აღნიშნული ხელშეკრულება სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გარანტიას ჰპირდება და, ამავე დროს, მის შემადგენელ ავტონომიურ წარმონაქმნებს იურიდიულ სუბიექტებად აცხადებს.

თუ ღმერთი გწამთ, სად არის აქ ელემენტარული ლოგიკა? ყველა ასე ბლუებად და ლენჩებად როგორ მივაჩნიავართ?! თუ მთელის ნაწილი ცენტრთან ამ მთელისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას დაამყარებს, სადღაა ამ მთელის, მოკავშირე რესპუბლიკის, ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი, ასე რომ სძულდა აკადემიკოს ანდრეი სახაროვს და ასე რომ სძულს რუსეთის გენერალიტეტს, სადღაა თავისუფლება, განახლება, რესპუბლიკის შინაურ საქმეში ჩაურევლობა? რას გვირჩევს ბატონი ვალერი ჭალიძე, საქმე ისე წავიყვანოთ, რომ ქუთაისი და ფოთიც იმპერიის ცენტრს, ძლევამოსილ მოსკოვს, საქართველოს მთავრობის გვერდის ავლით ექვემდებარებოდეს და თუ ამას არ ვიქმთ, უთუოდ ფაშისტებად გამოვცხადდებით?

ხალხთა საპყრობილე მთელი მსოფლიოს თვალწინ იშლება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის დაიშლება იმავე სახელმწიფოებად, რომელთაც. ოდესღაც სახელმწიფოებრივობა წაართვა, რითაც, ლენინის გულგარე ნათქვამი სიტყვები რომ ვიხმაროთ, უდიდესი უსამართლობა და ბოროტება ჩაიდინა. მაგრამ მაინც და მაინც რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლშევიკურ მონობას თავდაღწეული, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერები, ვთქვათ, ქართველები და ლიტველები, იმდენად გაბრიყვდებიან, რომ ფავიანთი სუვერენული, პიროვნების თავისუფლებაზე დამყარებული სახელმწიფოების სახით აუცილებლად „განცალკევებულ საკნებს" ააშენებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ცენტრში მოკალათებული იმპერიალისტური ძალები ასე ფიქრობენ?

მე, ამ სტრიქონების ავტორს, ვისაც ჯიბეში საბჭოთა კავშირის მოქალაქის „სერპატი" პასპორტი მიდევს, ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, ასე თუ ისე კიდევ მეპატიება, მოსკოვის შენტორული განცხადება ბაჯაღლო ოქროდ მივიღო და ტაშით ხელისგულები გადავიყვლიფო, მაგრამ ვერმონტელ კაცს, ვინც საპყრობილეს თავი დიდიხანია დააღწია, რა ძალა ადგია, ეს კი ველარ გამიგია. „კომსომოლსკაია პრავდას" მოჯამაგირედ დადგომას განა არ ჯობდა, თავის რანჩოში წასულიყო და საადრეო კომბოსტოსათვის მიწა შემოეთოხნა? „კომსომოლსკაია პრავდას" ფურცლებზე ნაქადაგევმა „მიუდგომელმა სიმართლემ" სხვას რა ხეირი დააყარა, ცხრა მთას იქით გადახვეწილ ნაქართველარ კაცს რომ დააყაროს!

1991 წ.

არხოტის ჭარიანტის ეპილოგი

ის დღეს თითქმის აღარავის ახსოვს. ღმერთი შეგვეწია და საშიშროებამ გაიარა. მის წინააღმდეგ მთელი საზოგადოება, საქართველოს მთელი მოსახლეობა აღსდგა, აღსდგა ყველა, ერი და ბერი, ქართველი და არაქართველი, ვისთვისაც საქართველო სამშობლოა და სამშობლოს ბედი სათამაშო საგნად არ მიაჩნია.

მაგრამ თავდაპირველად საიდან წამოვიდა? სად იჩინა თავი? ვის დაებადა აზრად, კავკასიონის გულში კიდევ ერთი, ამჯერად სარკინიგზო გვირაბი გაეყვანა და ქვეყნისა და ერის ყველა ინტერესი, თვით მისი ყოფნა-არყოფნაც კი, იმპერიის ეკონომიკურ და შორს გამიზნულ სტრატეგიულ ინტერესებისათვის დაექვემდებარებინა?

საქმე სათავეს გასული საუკუნის შუაწლებში იღებს, სხვათა მიწების დასასაკუთრებლად მადააღძრული რუსული იმპერიალიზმი ოცნებობდა, კავკასიის ძნელად გადასავლელი ქედი გაეხვრიტა და ამიერკავკასიაში დაუბრკოლებლივ გამოსულიყო, საიდანაც აზიის უნაპირო სივრცეებისაკენ, თვით ინდოეთის ოკეანემდე გაჭრის მაცთუნებელი პერსპექტივა იშლებოდა.

ამოძრავდა საბთო საქმის მცოდნე ინჟინერია. მოიწვიეს უცხოელი სპეციალისტებიც. საუღელტეხილო გზის რამდენიმე ვარიანტი დაამუშავეს, მათ შორის არხოტის ვარიანტიც. რომელიმე მათგანის დაუყოვნებლივ ხორცშესხმას წინ თითქმის აღარაფერი უდგა, საიმპერატორო ხაზინა ცოტა ქესატად რომ არ ბრძანებულიყო. წინდახედული ხელმწიფე-იმპერატორი სათანადო უწყების მიერ წარდგენილ უზარმაზარ კაპიტალდაბანდებას მოერიდა, სპეციალისტებს ერთხელ კიდევ დაეკითხა, აგვაშენებს ეს საქმე თუ დაგვაქცევსო და როდესაც კომპეტენტური პასუხი მიიღო, გვირაბის აშენება და საუღელტეხილო გზის გაყვანა განუსაზღვრელი დროით გადასდო. უთუოდ იმედოვნებდა, რომ ხვალეც ამ წლისა იყო.

მან, ხელმწიფე-იმპერატორმა, აბა, რა იცოდა, თუ თვითმპყრობელობის ნანგრევებზე კიდევ უფრო ძლევამოსილი კოლონიური იმპერია აღმოცენდებოდა და საქმეში ღრმად ჩახედული რუსი ინჟინრების იდეას, ას წელიწადს მაუდქვეშ რომ იყო ამოდებული, მათი ქართველი კოლეგები აიტაცებდნენ და კვლავაც კოლონიურ რუსეთს დაქვემდებარებული თავიანთი ქვეყნის ხელმძღვანელობის ხელდასხმითა და გაფაციცებული მეცადინეობით გვირაბის საავტომობილო ვარიანტს დამკვრელური წესით განახორციელებდნენ.

ეს როკის გვირაბი გახლდათ, რომელიც ქართველი სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით დაპროექტდა და აშენდა. ჩვენ მხოლოდ დამპროექტებლები და მშენებლები ვართო, ფიქრობდნენ ისინი, ვისმა მარჯვენამაც ყოველთვის უნდა იცოდეს, რას აკეთებს მარცხენა, ვაშენებთ, ტექნიკურ დავალებას ვასრულებთ, პოლიტიკა ჩვენი საქმე არ არის და ვისიც არის, თავიც იმან იმტვრიოსო.

გვირაბი ისე დაპროექტდა და აშენდა, ქართველ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას არაფერი გაუგია, არა და, თურმე ყურისძირში მისი სვე-ბედი წყდებოდა, ისტორიული ოსეთი საიმედო, ზამთარ-ზაფხულ გამოსადეგი გზით უკავშირდებოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთს, იქ-

მნებოდა რუსული იმპერიალიზმის მძლავრი პლაცდარმი ქართულ მიწაზე, შიგ შუა ქართლში, სამშობლოს შუაგულში!

ვუწოდოთ ამას სამშობლო ქვეყნისათვის ზურგში მახეილის ჩაცემა თუ შეეიცოდოთ მავანნი და მავანნი, გვერდში რომ გვიდგანან და თავი ისე უჭირავთ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს? დავაკისროთ თუ არა მათ მოწამებრივი სისხლი, დღეს სამაჩაბლოში რომ იღვრება, თუ ისტორიის ფარდა ჩამოვუშვათ, რათა მტყუანი და მართალი სამარადჟამოდ დავიწყებას მიეცეს და ყოველივე ამისათვის პასუხისმგებელი არავინ აღმოჩნდეს! ნუთუ სამსჯავროს წინაშე მარტო ის უნდა წარსდგეს, ვინც კაცი მოჰკლა ან სახელმწიფო თანხები გაფლანგა, იმათ კი არაფერი მოეკითხება, ვინაც თავისი მანიაკური თვითრწმენით ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო, ანდა ეს გადაწყვეტილება მონურად მორჩილ ბიუროკრატიულ აპარატს მიაღებინა და ამით სამშობლო ქვეყანა უძირო ხრამში გადაჩეხა? სამაჩაბლოში დაღვრილი უმანკო სისხლი, როგორც სულმნათი ალექსანდრე ყაზბეგი იტყოდა, „ცას შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს!"

საქართველოს თითქოს და არ ეყო ეს საშინელი ჭრილობა, იმპერიის ერთგულებისათვის თავგამოდებულმა თავისმავე შვილებმა რომ მიაყენეს, ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდა კიდევ ერთი ნაოცნებარი პროექტი, ამჯერად უკვე საუღელტეხილო რკინიგზისა, რომელსაც ტექნიკურ დოკუმენტაციაში „ტრანსკავკასიური რკინიგზის არხოტის ვარიანტი" ეწოდა.

არხოტში მსოფლიოს ერთ-ერთი უგრძესი გვირაბის გაკრის და საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანის აუცილებლობას მისი მესვეურები და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, რომელიც მათ აიყოლიეს, იმით ხსნიდნენ, რომ ახალი მაგისტრალი, ბაქოზე ან დასავლეთ საქართველოზე მოსავლელ რკინიგზებთან შედარებით, რამდენჯერმე ამცირებდა ტვირთების გადატანის ხარჯებს და ამასთანავე ზრდიდა სარკინიგზო შემადგენლობების მოძრაობის ინტენსივობას.

ახალი სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანის მომხრეები, ბოლომდე გაუაზრებელი წამოწყების გასამართლებლად, თვით დიდ ილიასა და ვაჟას ავტორიტეტსაც კი იშველიებდნენ და საჯაროდ ამტკიცებდნენ, თითქოს მათი ჩივილი უგზოობისა და ფეოდალიზმის დროინდელ კარჩაკეტილობის გამო სხვა არა იყო რა, თუ არა რუსეთთან შემაერთებელი საუღელტეხილო მაგისტრალების მშენებლობის მიზანშეწონილობისაკენ მოწოდება.

პროექტის ავტორებმა და მშენებლებმა მტკიცე ფრონტი შექმნეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ერთად, რომელმაც, თავის მხრივ, ყველა ღონეს მიმართა, რომ მშენებლობის სასწრაფოდ დაწყებისათვის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრი ჩამოეყალიბებინა.

პირველი, ვინც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გვერდში ამოუდგა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის თავკაცები იყვნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა და აკადემიის ურჩ თანამშრომელთა მიმართ არც ადმინისტრაციულ ზემოქმედებას ერიდებოდა ვიცეპრეზიდენტი ემილ სეხნიაშვილი.

ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და რადიო-ტელევიზიის ხელმძღვანელობა ზემდგომ ინსტანციაში, მდივან გურამ ენუქიძესთან დაი-

ბარეს და ბიუროს სახელით ყველას უბრძანეს, პრესასა და ეთერში საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის წინააღმდეგ სიტყვა რაა, სიტყვაც არ გაპარულიყო.

მკითხველისათვის, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ზოგიერთ კონკრეტულ ამბავს გავიხსენებ და ამ ჩემს წერილს მცირე მოგონების ფორმას მივცემ.

მოეწყო საუღელტეხილო რკინიგზის პროექტის საზოგადოებრივი განხილვა მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში, რომელსაც მისი ავტორები, მშენებლობის ხელმძღვანელები და მოწვეული საზოგადოებაც ესწრებოდა. სამწუხაროდ, მე არ აღმოვჩნდი მიწვეულთა შორის და მონაწილეობა არ მიმიღია იქ გამართულ შეხლა-შემოხლაში.

უნდა ითქვას, რომ ბევრმა ტიტულოვანმა სპეციალისტმა და არასპეციალისტმა ვერ გაუძლო ადმინისტრაციულ დაწოლას და კრებაზე ის თქვა, რაც მათ მეცნიერულ და მოქალაქეობრივ პრინციპულობას ეწინააღმდეგებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს დაავალეს, რკინიგზის დამპროექტებლებთან და მშენებლებთან ასეთივე შეხვედრა გაემართა და უზრუნველყო მწერლების სრული მხარდაჭერა.

მე არ შემიძლია აქ გადმოვცე ყველა პერიპეტია, ვიტყვი მხოლოდ იმას, რაც პირადად გადამხდა. შეხვედრის დაწყების წინ მიმიწვია კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ციციშვილმა და, როგორც მწერალსა და კომუნისტური პარტიის წევრს, გადმომცა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, პირადად პირველი მდივანის, ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის დავალება, რომ უყოყმანოდ მხარი დამეჭირა ბიუროს მიერ მოწოდებულ პროექტისათვის. მე ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადე და თავმჯდომარეს ვუთხარი, რომ შეხვედრაზე წავიკითხავდი მშენებლობის იდეის საწინააღმდეგო დასაბუთებულ წერილს, რომლის დაბეჭდვაც, ზემოდან მიღებული დირექტივის გამო, „ლიტერატურულმა საქართველომ“ ვერ ბოიახერხა და გულისტკივილით უკან დამიბრუნა.

ბატონი გიორგი მაშინვე, ჩემი თანდასწრებით, დაუკავშირდა ბატონ ჯ. პატიაშვილს და აუწყა, რომ შეხვედრაზე პროექტის ერთსულოვანი მხარდაჭერა, ალბათ, გაძნელდებოდა, ვინაიდან იყვნენ მწერლები, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანის იდეაზე ხელის აღებას.

ცოდვას ვერ დავიდებ, ბ-ნ ჯ. პატიაშვილს არაფერი დაუჟინია, რაიმე ადმინისტრაციული ძალდატანების ხერხების გამოყენება არ მოუთხოვია.

შეხვედრამ ციციშვილის პროგნოზი სავსებით დაადასტურა. მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში მშენებლობის იდეის წინააღმდეგ მძვინვარე ცეცხლი დაინთო. სამწუხაროდ, მწერალთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა და ახალი სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სასარგებლოდ სცნო.

მსგავსი შეხვედრები და კრებები ბევრ სხვა ადგილასაც გაიმართა. რკინიგზის მშენებლობის საწინააღმდეგო მასალებს რედაქციები ზე-

მოთხსენებულ გარემოებათა გამო ვეღარ აქვეყნებდნენ, მაგრამ თვით რედაქციის შენობაშივე მართავდნენ შეხვედრებს მკითხველებთან და საშუალებას აძლევდნენ მათ, სიტყვიერად მაინც გამოეთქვათ თავიანთი პირუთვნელი თვალსაზრისი.

მახსოვს, ერთი ასეთი შეხვედრა გაზეთ „კომუნისტის" კლუბშიაც შედგა, სადაც აუდიტორიის წინაშე ერთობ დასაბუთებული, ემოციური სიტყვით გამოვიდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე. გაზეთის რედაქტორი გიორგი ბედინეიშვილი, ცენტრალური კომიტეტის წევრი, სასწრაფოდ გამოიძახეს და სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრნენ.

ვითარება დღითიდღე მწვავდებოდა და ბოლოს კულმინაციასაც მიაღწია. პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან ტელეეკრანის საშუალებით გადმოისროლეს ლოზუნგი:

ვინც საუღელტეხილო რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის წინააღმდეგია, ის სამშობლოს მოღალატეა და ისე მოვექცევით, როგორც სამშობლოს მოღალატეს ეკადრება!

მიუხედავად მრისხანე გაფრთხილებისა, რომლის უკანაც უხეში ძალა იდგა, ტექნიკურ ინტელიგენციაში, სპეციალისტთა წრეში, აღმოჩნდნენ პიროვნებები, ვინც არაფერს შეუშინდა და თავიდანვე დაკავებული სწორი პოზიცია არ დასთმო.

მათ შორის უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ბატონი მიხეილ ღოღობერიძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ბატონი მიხეილი მაშინ ინსტიტუტის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის კათედრას განაგებდა. მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე მას მრავალი შრომა ჰქონდა გამოქვეყნებული არა მარტო საქართველოში და საბჭოთა კავშირში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში.

მიხეილ ღოღობერიძემ კოლეგები მოიწვია სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრიდან და თავის კათედრაზე სიმპოზიუმი გაართა. ბოლო საკითხად სიმპოზიუმის დღის წესრიგში შეტანილი იყო თბილისის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი.

დაინტერესებული არასპეციალისტები ვესწრებოდით ამ სხდომებს და თანდათან ვერკვეოდით, რა ელოდა თბილისს, მის სასმელ წყალს, რომელიც დედაქალაქში, სწორედ არაგვის ხეობიდან შემოდის, უკეთუ საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის იდეა საბოლოოდ გაიმარჯვებდა.

მიუხედავად მკვეთრად გამოხატული წინააღმდეგობისა, მთელი ერი ჩეჩენ-ინგუშეთის მოსახლეობასთან ერთად რომ იჩენდა, ერთ ავად მოსაგონარ დღეს ამუშავდნენ მძლავრი მექანიზმები და მუხრანის ველზე ოთხლიანდაგიანი რკინიგზის დასაგებად ტრასის მომზადება დაიწყო. საავტომობილო გზამ, ოთხლიანდაგიანი რკინიგზის გასაყვანად საესებით გამოუსადეგარ არაგვის ვიწრო ხეობას აღმა-აღმა რომ მიჰყვებოდა და რომელზედაც წლის ყოველ დროს მძიმე ტექნიკას უნდა ემოძრავა, აქეთა ყელს მიაღწია. დაიწყო თვით არხოტის უნიკალური გვირაბის გაყვანა-გამაგრებაც. იგივე ამბავი ხდებოდა ქედგადაღმაც, ხელისუფლების მიერ დათრგუნულ ჩეჩენ-ინგუშეთშიც.

1987 წლის შემოდგომაზე აღიმართა რკინა-ბეტონის უზარმაზარი ნაგებობა — ქედის გამჭოლი გვირაბის შუბლი. ხეობაში უკვე ასობით ადამიანი და საგანგებოდ მობილიზებული ტექნიკა მუშაობდა. შემდგომმა წინააღმდეგობამ დაშინებული საზოგადოების მხრივ ყოველგვარი აზრი დაკარგა, ვინაიდან უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე ვიდექით, მაგრამ ქვეყნის თავზე ჩამოწოლილი საბედისწერო საშიშროება ამით ოდნავაც არ შემცირებულა.

ვაი რომ ვეღარსაით ვუვლი გვერდს დელიკატურ ადგილს, რომელსაც ახლა მივადექით. ეს გახლავთ ჩემი პირადი წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ბ-ნ ჯ. პატიაშვილისადმი. საკითხისათვის ნათელის მოფენა მოითხოვს ამ წერილის აქ მოყვანას და მეც იძულებული ვხდები, მცირეოდენი არაარსებითი შემოკლებით იგი აქ მოვიყვანო.

„ძვირფასო ბატონო ჯუმბერ!

შემეძლო, რასაკვირველია, მიღება მეთხოვა და ყოველივე, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, პირადად მომეხსენებინა, მაგრამ ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ვამჯობინე მაინც მაგიდას მივჯდომოდი. იქნებ ასე უკეთ შევძლო სათქმელის კონდენსირებულად და დალაგებულად ჩამოყალიბება.

წინასწარვე ვიცი და იძულებული ვარ, შეეურიგდე აზრს, რომ ჩემი ეს გულახდილი წერილი თქვენს უკმაყოფილებას გამოიწვევს. მოწონებით მას არც სხვები შეხვდებიან.

გავღარიბდით, ის აღარ ვართ, რაც ამ მეოთხედი საუკუნის წინათ და უფრო ადრე ვიყავით. წავიდნენ ძველები, ძველი ინტელიგენტები, ვინც ყველაფრის გამო, რაც მათ ქვეყნის მიწა-წყალზე ხდებოდა, თავს პასუხისმგებლად გრძნობდა. დღეს ცალი ხელის თითებზე-ღა თუ ჩამოვთვლით ადამიანებს ვისაც წელი და გაბედულება მოსდევს, სათქმელი სიტყვა, ის, რაც, მისი აზრით, ხალხსა და ქვეყანას სჭირდება, ხმამაღლა თქვას, არავის და არაფერს მოერიდოს, ჭეშმარიტების უღალატო სამსახური თავის უზენაეს საქმედ მიიჩნიოს.

კაცმა რომ თქვას, რა მრჯის, თუ დღევანდელი საზომებით ვიმსჯელებთ, რატომ უნდა შევწყვიტო ახალი წიგნის წერა, ჩემი პირდაპირი და უშუალო საქმე, და ჩავუჯდე თქვენთვის გამოსაგზავნ წერილს, რომელსაც თქვენი გულისწყრომა და თქვენთან კეთილი ურთიერთობის გაფუჭება მოჰყვება?! მაგრამ რა ვქნათ, ბატონო ჯუმბერ, თუ სხვა გზა არა ჩანს, თუ სხვაგვარი საქციელი, განზე დგომა და დუმილი, ჩემი მხრივ სილაჩრე და ღალატი იქნებოდა? გაივლის ათეული წლები, გაიხსენებთ ამ მწარე წერილს და, დარწმუნებული ვარ, თქვენც ჩათვლით: განზე დგომა და დუმილი ადამიანებისა, რომლებსაც თქვენ ენდობით, დუმილი მაშინ, როდესაც საქმე წარბშეუხრელ პირდაპირობას მოითხოვდა, ღალატი იყო, ღალატი, რომელსაც ვეღარაფერით გამოვასწორებთ. სად იყვნენ? რად არ გითხრეს, რის თქმაც მათ მოქალაქეობრივ მოვალეობას შეადგენდა? რად არ ჩამოიღეს ცენტრალური კომიტეტის კარი? რად არ იბრძოლეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე? განა ასე მოიქცეოდნენ ჩვენი სულიერი მამები: ილია ჭავჭავაძე, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსა-

ხურდია, მათ ადგილზე რომ ყოფილიყვნენ? არა, რასაკვირველია, და ვინც დღეს ისე არ მოიქცევა, როგორც ისინი მოიქცეოდნენ, ის ან გამოუსწორებელი მხდალია, ან მოღალატე!

ნუ გაიკვირვებთ, ბატონო ჯუმბერ, თუ მე არც ერთი მსურს ვიყო და არც მეორე!

მაშ, ამ ვრცელი შესავლის შემდეგ თავს უფლებას მივცემ, უშუალოდ საქმეზე გადავიდე. რამაც მაიძულა, თქვენთვის ეს გრძელი წერილი გამომეგზავნა. თქვენ, ალბათ, მიხვდით კიდეევაც, რომ ქვემოთ ტრანსკავკასიის ამჟამად უკვე მშენებარე რკინიგზაზე იქნება ლაპარაკი.

მე კარგად ვიცი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და პირადად თქვენ, ბატონო ჯუმბერ, რკინიგზის მშენებლობის საკითხს ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილად თვლით. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის თანახმად, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს პარტიულ იერარქიას, ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილება ქვემდგომის მიმართ და აგრეთვე პარტიის ყოველი ცალკეული წევრის მიმართ, სავალდებულო კანონია. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ მე კარგად ვიცი, რასაც ვაკეთებ, ვის გადაწყვეტილებას ვთვლი სათათბიროდ, უფრო მეტიც: ამ წერილით მსურს დავეხმარო პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რათა მან არ გადადგას განზრახული ნაბიჯი, სანამ ყველა ჰო და არას ერთხელ კიდევ აფთიაქის სასწორზე არ აწონ-დაწონის, სანამ ჰეშმარიტებას საბოლოოდ არ დაადგენს.

თქვენ, როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელი, პირად პასუხისმგებლობას კისრულობთ შთამომავლობის წინაშე. პროექტის ავტორები, მშენებლები და მრავალი სხვა თანამდებობის პირი, დღეს რომ გვერდში გიდგანან, წლების შემდეგ აღარავის გაახსენდება. დარჩება ერთადერთი სახელი — ჯუმბერ პატიაშვილი, ვინც პასუხს აგებს ყოველივე მომხდარის გამო. უკლებლივ ყველა განზე დარჩება, ყველა თანამდებობის პირი, ისტორიის სამსჯავროს წინაშე აღმოჩნდებით მხოლოდ თქვენ და თქვენი თანამედროვე საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც მოვალენი იყვნენ. ყველა ღონე გამოეყენებინათ, რათა დროზე შეეჩერებინეთ, მაგრამ სკამს, პირად კეთილდღეობას გაუფრთხილდნენ და გიღალატეს თქვენ, უღალატეს ეროვნულ და სახალხო საქმეს.

ამ უკანასკნელთ მაინც რჩება ერთი გამართლება შთამომავლობისა და საკუთარი სინდისის წინაშე: მათ უკანონოდ წაართვეს საშუალება, გამოეთქვათ თავიანთი პრინციპული მოსაზრებანი, ტრიბუნა და პრესა მხოლოდ იმ კარიერისტთა ხელში აღმოჩნდა, ვისაც საქმის ბედ-იღბალი ნაკლებად აინტერესებდა და მხოლოდ ერთი სურვილი ასულდგმულებდა, მშენებლობის პროექტის საჯარო მხარდაჭერით ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კეთილი განწყობილება მოეპოვებინა. წყალი აემღვრია და ამღვრეულ წყალში თევზი დაეჭირა.

მადლობა ღმერთს, რომ ასეთნი ბევრნი არ არიან, მაგრამ ვაი, რომ მაინც არიან და არიან იმდენნი, რამდენიც საქმის უკუღმა წაყვანას სჭირდება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო ჯუმბერ, სასწაული რომ მოხდეს და თქვენ პოზიცია კარდინალურად შეიცვალოთ, ეს თავგამოდებული მებრძოლნი რკინიგზის მშენებლობის სასარგებლოდ უმალ მიატოვებენ თავიანთ ბანაკს და მოწინააღმდეგეთა ბანაკში გად-

მოვლენ, რათა ისევ თქვენს გვერდში იდგნენ და ახლა ამ გზით შეეცადონ თავიანთი წვრილმანი ანგარებითი მიზნების აღსრულებას.

ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბაზაზე შეიქმნა, მიუხედავად იმისა, რომ ურმის მესამე თვალია, ერთობ დამაფიქრებელი დასკვნა წარმოგიდგინათ. ეკოლოგიური ნორმების გაუგონარი დარღვევა, რაც ჯერ საბჭოთა კავშირის არც ერთი დიდი ან მცირე ქალაქის მიმართ არ განხორციელებულა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არც განხორციელდება, ხორციელდება საქართველოს დედაქალაქ თბილისის მიმართ. რკინიგზა გადადის წყაროებზე და წყალსატევებზე, რომლითაც მილიონნახევრიანი ქალაქი სასმელი წყლით მარაგდება. ლაპარაკი რაღც საკანალიზაციო კოლექტორზე, რომელიც ვითომდა არაგვის ხეობის ფეკალურ წყლებს თბილისის ბოლოში გაიყვანს, ბლეფი და აბსურდია! ასეთი რამის აშენება და დაუბრკოლებლივ მართვა ტექნიკურად შესაძლებელი კიდევაც რომ იყოს, ვინ გამორიცხავს ავარიის ალბათობას? მაშინ რა ვუყოთ თბილისს? საიდან მივაწოდოთ მას წყალი, თუკი გარდა მდინარე არაგვისა, სასმელი წყლის მისაწოდებელი არც ერთი სხვა წყარო არ გააჩნია? ეს ხომ კატასტროფაა! ვინ გაგვცემს პასუხს თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლის გამო, ღვთის რისხვასავით აფეთქებული ეპიდემიის მსხვერპლი რომ გახდება? ვის ცოდნას და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას მივანდოთ ჩვენი დედაქალაქისა და მისი მიმდებარე დაბა-ქალაქების სიკვდილ-სიცოცხლე, ნუთუ იმ გონებადაბნეულ ვიღაც დამპროექტებლებს, რომლებმაც მილიარდებად ღირებული რკინიგზის პროექტი ისე შეადგინეს, რომ ეკოლოგია არც კი გახსენებიათ? სად ისწავლეს, ვინ მისცათ დიპლომი, რით დაიმსახურეს იმის უფლება, რომ ამოდენა საქმეს შეეჭიდონ?

მე იმდენად გულუბრყვილო არ გახლავართ, ბატონო ჯუმბერ, აქ ტრანსკავკასიის რკინიგზის ეკონომიკურ ეფექტზე დავიწყო ლაპარაკი, თუმცა საჭირო მონაცემები ჭარბად მომეპოვება. როგორ გეკადრებათ, რა ეკონომიკა, რის ეკონომიკა, როცა სასწორზე თვით ჩვენი დედაქალაქის, ნახევარი საქართველოს ყოფნა-არყოფნაა შეგდებული. ამ დროს ეკონომიკურ ეფექტზე ყბედობა მხოლოდ ცინიზმით შეპყრობილ ვაი-მოღვაწეებს შეუძლიათ!

საუღელტეხილო რკინიგზის ე.წ. არხოტის ვარიანტის განხორციელება არამცთუ ახლა, მაშინაც კი სრულიად მიზანშეუწონელი იქნებოდა, დღესდღეობით სულაც რომ არ გვქონდეს სარკინიგზო კავშირი რუსეთთან და მხოლოდ საავტომობილო და საჰაერო მიმოსვლით ვკმაყოფილდებოდეთ, არამიზაშეწონილი იქნებოდა მისი გეოგრაფიული მდებარეობის და იმ კოლოსალური ზიანის გამო, რითაც ის თბილისს და მის შემოგარენს ემუქრება.

მშენებლობის აუცილებლობის დასასაბუთებლად არ გამოდგება არავითარი ეკონომიკური ეფექტი, ვინაიდან თვით იდეა რკინიგზის გაყვანისა არაგვის ხეობაში, საიდანაც თბილისი სასმელი წყლით მარაგდება, მიმართულია ადამიანის, ადამიანობის, სიცოცხლის წინააღმდეგ!

რამ მოგვხიბლა? რამ აღგვაფრთოვანა? იმან, რომ უკვე არსებულ რკინიგზის მაგისტრალებთან შედარებით ტვირთზიდვის ღირებულება

ამდენი და ამდენი მანეთით შემცირდება? მერე ვისთვის გვინდა ეს მილიონები, ვის და რას მოვახმაროთ?

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიმართა საკავშირო სიმპოზიუმი წყლის რესურსების საარსებო საკითხებზე. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის თვალსაჩინო სპეციალისტებმა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ბალტიისპირეთიდან, შუა აზიიდან, ციმბირიდან და ა.შ. ქართველი საზოგადოების თხოვნით ინსტიტუტის კედლებში გაიმართა ხალხმრავალი პრესკონფერეცია, რომელიც არაგვის ხეობაში რკინიგზისა და აბასთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ სურათს მიეძღვნა. სპეციალისტებმა, რომელთაგან უმრავლესობას მსოფლიო სახელი აქვს მოხვეჭილი, საკითხი მეცნიერული კეთილსინდისიერებით განიხილეს და ერთხმად გამოთქვეს თავიანთი განცვიფრება და გულისწყრომა ამ გაუგონარი ფაქტის გამო.

არ ვენდეთ ჩვენს ქართველ სპეციალისტებს, არაფრად ჩავაგდეთ მათი საგანგაშო დასკვნები. ვის ვეჯიბრებით და ვეჭიდავებით, ბუნებას? იმას რაც დიდი ხანია უჩვენოდ დადგენილ-დაკანონებულა და არავის ნებისყოფას, არავის ძალმომრეობას არ ექვემდებარება?

თუ მაინც და მაინც ათასი ექვის აღმძვრელ დამპროექტებლებსა და მშენებლებს უყოყმანოდ ვენდობით, ხოლო საქმეში ჩახედულ ჩვენს მეცნიერებს, საზოგადოებრივ აზრზე კიდევაც რომ არაფერი ვთქვათ, ჩირადაც არ ვაგდებთ, სრულ უნდობლობას და იგნორირებას ვუცხადებთ, გვრჩება ერთადერთი ლოგიკური გამოსავალი: არაგვის ხეობაში რკინიგზის გაყვანის მიზანშეწონილობის თუ მიზანშეუწონლობის საკითხის დადგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას მივანდოთ, მივანდოთ ადამიანებს, რომლებიც წინასწარ დაავალებული არ იქნებიან აკვიატებული იდეით, თავიანთი მეცნიერული დასკვნები ვისიმე სუბიექტურ ნება-სურვილს დაუქვემდებარონ!

რამ მოგვხიბლა-მეთქი, ზემოთ ვიკითხე, რატომ ვთვლით ასე სისხლხორცეულად საუღელტეხილო რკინიგზის მაინც და მაინც არხოტის ვარიანტის განხორციელებას? ამით სხვა რამეც მინდოდა მეკითხა: იქნებ ქართველი საზოგადოება ბოლომდე ინფორმირებული არ არის? იქნებ სულ სხვა ძალები მოქმედებენ, რომლებზე მითითებაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას აღემატება? ჯერ ერთი, რა უნდა იყოს ასეთი? მეორე: კიდევაც რომ იყოს, ეს არაფერს ცვლის. არ არსებობს სახელმწიფო საჭიროება, რომელსაც შეიძლება მთელი ქალაქი შეეწიროს. აკი ვებრძვით პიროვნების კულტს და მის მავნე შედეგებს? აკი საჯაროობაა? აკი თვით პოლიტიკური სისტემაც კი უნდა შეიცვალოს, თუ ის ადამიანების სიცოცხლეს ეშუქრება? ზუსტად ეს სიტყვები განაცხადა მ. გორბაჩოვმა მსოფლიო კულტურის მოღვაწეებთან შეხვედრაზე. ოდესმე ხომ მაინც უნდა მოვაწყოთ ისე, რომ სიტყვა საქმეს არ სცილდებოდეს?!

მიმძიმს, ბატონო ჯუმბერ, ამ მკვახე წერილის მოწერა. მერწმუნეთ, არავითარი სურვილი არ გამაჩნია, რაიმე პირადი წყენა და გულისტკივილი მოგაყენოთ, მაგრამ ამავე დროს ღრმად მწამს, რომ ათასწილ სჯობს, დღეს გვეწყინოს, ვიდრე ხვალ სანანებლად გაგვიხდეს

საქმე, ვიდრე ჩვენს სახელს, აქამდე რომ შეურცხვენლად მოგვიტანია, მშობელი ხალხი წყევლა-კრულვით მოიხსენიებდეს."

წერილს თარიღად 1987 წლის 30 ნოემბერი უზის. ვიდრე გზას მივცემდი, განვიზრახე, იგი მეგობრისათვის გამეცნო და რჩევა მეკითხა. ამ მიზნით მწერალთა კავშირში შევიკრიბეთ ბატონი აკაკი ბაქრაძე, ბატონი ნოდარ წულეისკირი და მე. წერილმა ორივე მათგანზე საკურველი შთაბეჭდილება მოახდინა და კიდევაც მირჩიეს, იგი დანიშნულებისამებრ გადამეცა.

აქ წამოიჭრა გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობა, რომელმაც ადრესატამდე წერილის მისვლა მთელი თვით და მეტით დააბრკოლა. ჯ. პატიაშვილი მოსკოვში აღმოჩნდა. აქეთ რომ ველოდით, არ ვიცი, გორბაჩოვთან, არ ვიცი, ლიგაჩოვთან ერთად მოსკოვიდან პარიზს გაფრინდა და შინ მხოლოდ 1988 წლის დამდეგს, სწორედ ნაახალწლევს დაბრუნდა.

ეს დრო მე უქმად არ დამიკარგავს. წერილი გავაცანი პროფესორ მიხეილ ღოღობერიძეს და მისგან სრული მხარდაჭერის პირობა მივიღე. აქვე გადავწყვიტეთ, მოგვეხერხებინა ისე, ჩემთან ერთად ცენტრალურ კომიტეტში წამოსულიყვნენ სპეციალისტი მეცნიერები აკადემიკოს ლევან გაბუნიას მეთაურობით და პირველი მდივნისათვის თავიანთი კომპეტენტური სიტყვა ეთქვათ. საორიენტაციოდ, აკადემიკოს გაბუნიასთან შესათანხმებლად, შევადგინეთ მეცნიერთა და საზოგადო ქოლეაწეთა სია.

აი ის სიაც:

მიხეილ ღოღობერიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის კათედრის გამგე; თამაზ კიკნაძე, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი; გივი გიგიეიშვილი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტიდან; ლევან გაბუნია, აკადემიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ნახუცრიშვილი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი; სულიკო კირთაძე, რესპუბლიკის სანიტარული სამსახურის მთავარი ექიმი; თეიმურაზ ანდრონიკაშვილი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; თეიმურაზ ჭანიშვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბაქტერიოფაგის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; გივი თუმანიშვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი; მარიამ ლორთქიფანიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი; მწერლები: აკაკი ბაქრაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

რაკილა სიტყვამ მოიტანა, წინასწარ ბოდიში უნდა მოვუხადო ჩვენს სასიქადულო მეცნიერს, აკადემიკოს ლევან გაბუნიას, რადგანაც ქვემოთ მისი პირად საუბარში ნათქვამი სიტყვების საქვეყნოდ გამოტანა მომიხდება. წერილის გაცნობის შემდეგ მიხეილ ღოღობერიძის თანდასწრებით მან ბრძანა, რომ მზად არის მონაწილეობა მიიღოს

საქმეში, ოღონდ იმ პირობით, თუ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ყველა ზემოხსენებულ პირს და მათ შორის მასაც, პირადად დაიბარებს და ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირს აკადემიის ხელმძღვანელთაგან არავინ დაესწრება. მას არ უნდოდა, რომ ცენტრალურ კომიტეტში მისვლას ჩივილის ხასიათი მისცემოდა.

ამ პირობამ მე დამაკმაყოფილა. იმავე დღეს პაკეტით ვეახელი ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგეს ბატონ კონსტანტინე აბულაძეს, ვთხოვე, გასცნობოდა წერილს და სამსახურში მოსვლის პირველ დღესვე გადაეცა იგი ბატონ ჯ. პატიაშვილისათვის, რაც მან კეთილსინდისიერად და ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა.

1988 წლის 8 თუ 9 იანვარს, იქნებოდა ასე ღამის ორი საათი, ჩემს ბინაში ტელეფონმა დარეკა. გაკვირვებულმა ავიღე ყურმილი და კიდევ უფრო გაკვირდი, როდესაც მავთულის იქითა ბოლოში ჯ. პატიაშვილი აღმოჩნდა. მას წინათ ჩემთვის არასოდეს დაერეკა. უაღრესად აღელვებული და შეშფოთებული მეჩვენა. ეს წუთია დავამთავრე თქვენი წერილი და, თუმცა პოლარულად საპირისპირო პოზიცია გიჭირავთ, არ შემიძლია მადლობა არ გითხრათ მაგ პირდაპირობისთვისო. მეც, ჩემი მხრივ, მადლობა მოვახსენე. შემდეგ ჯ. პატიაშვილმა ნათქვამს დაუმატა, რომ რკინიგზის გაყვანა ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, თუმცა რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი უკვე დაიხარჯა და ამ პრობლემის ირგვლივ უფრო დაწვრილებითა და საგულდაგულოდ ვისაუბრებთ, თუ ერთმანეთს პირადად შევხვდებითო.

დილას ცენტრალური კომიტეტის პლენუმი იხსნებოდა და შეხვედრა მხოლოდ მეოთხე თუ მეხუთე დღეს მოხერხდა. აქ მან ძირითადად იგივე გაიმეორა, რაც ტელეფონში მითხრა და დასძინა, რომ ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობას ჩვენ არავინ გვაძალებს, პირიქით, დიდი ლიქნი და ხვეწნა-მუდარა გვჭირდება, რომ საკავშირო მთავრობას მშენებლობისათვის საჭირო თანხები გამოვაცალოთო. თუ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ, როგორც თქვენ წერთ, რკინიგზა ეკოლოგიური კატასტროფის მეტს არაფერს მოგვიტანს, რასაკვირველია, უარს ვიტყვით მშენებლობის გაგრძელებაზე და დახარჯულ თანხებს როგორძე ჩამოვწერთ, ოღონდ ამისათვის კომპეტენტურ ძეცხიერთა დასკვნა იქნება საჭიროო.

ეს სწორედ ის იყო, რასაც მე ველოდი. პორტფელიდან სია ამოვიღე. წინ დავუდე და აკადემიკოს ლევან გაბუნიას პირობაც გადავეცი. ის კი არ გამიმხელია, პირობა ვისგან მომდინარეობდა.

პატიაშვილმა თანაშემწეს მოუხმო, სია გადასცა, დაავალა, აქ მოხსენებულ თითოეულ პირს მისი სახელით დაკავშირებოდა, საათბიროდ მოეწვია და თათბირის დღეც იქვე მიაწერა კალენდარს.

შევგროვდით დანიშნულ დღეს. მეცნიერთაგან ერთი თუ ორი კაცი გვაკლდა. მაგრამ კერძოდ ვინ, ახლა ველარ აღმიდგენია, თუმცა, თუ რაიმე საჭიროება მოითხოვს, ამის აღდგენა ადვილად შეიძლება.

მთავარი მოხსენება ბატონმა მიხეილ ღოღობერიძემ წაიკითხა. მან მეცნიერული არგუმენტაციით დაამტკიცა, რომ მშენებლობის გაგრძელება, თუნდაც მარტო ეკოლოგიური თვალსაზრისით, სხვას ყველაფერს თავიც რომ დავანებოთ, ნამდვილი თვითმკვლელობა და გამოუსწორებელი ტრაგიკული შეცდომა იქნებოდა.

მშენებლობის გაგრძელების საწინააღმდეგოდ ახალი არგუმენტები და ურყევი მოსაზრებები წამოაყენა აკადემიკოსმა ლევან გაბუნიამ.

ერთობ საყურადღებო იყო პროფესორ გივი თუმანიშვილის და თათბირის ყველას სხვა მონაწილის გამოსვლები. დასასრულ, თათბირის თავმჯდომარემ მოითხოვა, რომ ყველა ეს გამოსვლა მეცნიერებათა აკადემიის სახელით ერთ საერთო რეკომენდაციად ჩამოყალიბებულიყო, რათა იგი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განეხილა.

ჯ. პატიაშვილმა ამასთანავე აღგვითქვა, რომ უმოკლეს დროში მშენებლობა მთელი ტრასაზე შეწყდებოდა, ხოლო გაზაფხულზე, თოვლი რომ გადნებოდა და არაგვის ხეობაში მგზავრობა უხიფათო შეიქნებოდა, თავად წაგვიყვანდა იმაში დასარწმუნებლად, რომ მშენებლობა ნამდვილად შეწყდა და იგი აღარასოდეს განახლდებოდა.

თათბირი მშვიდობიანად დამთავრდა, ამ ამბის გამო რაიმე უსიამოვნება არც შემდეგ შეგვხვედრია, მხოლოდ პროფესორ მიხეილ ღრღობერიძის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდა კონკურსი და კათედრის წევრებმა თავიანთ გამგედ სხვა პროფესორი აირჩიეს.

იმავე წლის მაისს იყო თუ ივნისს, უფრო ივნისი იქნებოდა, მწერალთა კავშირიდან დამირეკეს, დილის რვა საათზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ, ძერჟინსკის ქუჩაზე ვიყრით თავს და აუცილებლად უნდა მოხვიდეო. მივედი, რასაკვირველია. ტროტუარის გასწვრივ ოთხი გრძელი, წითელი ავტობუსი იდგა. მათ გარშემო ჩვენი მეცნიერები და შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომდგენლები: მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მოღვაწეები, ხუროთმოძღვრები, აგრეთვე ჟურნალისტები ტრიალებდნენ და სადღაც წასასვლელად ავტობუსებში სხდებოდნენ.

მკითხველს თავს აღარ შევაწყენ და არ აღვწერ სამახსოვრო მოგზაურობას მუხრანის ველზე და არაგვის ხეობაში, სადაც ყოვლის დამანგრეველ და გამაბინძურებელ ოთხლიანდაგიან რკინიგზას უნდა გაევლო, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყოველივე ის, რაც ზემოთ მოგითხრეთ, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია. კიდევ ბევრი სხვა რამეც არის უცნობი, რასაც გულმართლად დაწერა და მზის სინათლეზე გამოტანა უნდა. მოდი, ადვილად, განუკითხავად ნუ ჩავწიხლავთ ერთმანეთს, ნუ ვიფიქრებით, რომ ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადი. რომ ერთნი იღვწოდნენ და იღვწიან, ხოლო მეორეთ ყურთბალიშზე ეძინათ და დღესაც ძინავთ, ანდა იმას-ღა აკეთებენ, რომ ხელს უშლიან და უშვერი სიტყვებით ლანძღავენ ეროვნულ მოძრაობას, როგორც ამას წინათ წერდა ერთი თავგაცხელებული ჟურნალისტი.

„ყველაფერს“ ის აჯობებს და მამულსაც უფრო ის გამოადგება, თუ მაცხოვრის კვალს გავყვებით და კეისარს კეისრისას მივუზღავთ, ღმერთს კი ღვთისას.

1991 წ.

აუცილებელი განმარტება

„ლიტერატურული საქართველოს" 19 ივლისის ნომერში დაბეჭდილია ბატონ გურამ სხირტლაძის ღია წერილი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, ბატონ მუხრან მაჭავარიანისადმი.

კაცმა რომ თქვას, მე რატომ უნდა ვასწრებდე ღია წერილის ადრესატს და რატომ უნდა გამოვდიოდე მოპასუხის როლში, მაგრამ თუ ამ მცირე განმარტებას მკითხველი მოთმინებით ბოლომდე ჩაიკითხავს, მისთვის ყველაფერი დღესავით ნათელი გახდება.

ღია წერილის ავტორს ბატონ გურამ სხირტლაძეს მიაჩნია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა ის გზაა, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტი ადგა ახალგაზრდობაში, კერძოდ, არსებული წესწყობილების მხილება როგორც შინ, ისე გარეთ, უცხოეთში, უკომპრომისო კონფრონტაცია, შეჯავშნული სახელმწიფო მანქანისადმი დაპირისპირება.

არავინ უარყოფს, რომ ეს გზა, გზა ეკლიანი, მართლაც ერთ-ერთი გზაა უსამართლო წესწყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ, ამავე დროს, არ ვიქნებით მართალი, თუ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მას ერთადერთ გზად დავსახავთ და ყველა სხვა გზას კანონგარეთ გამოვაცხადებთ. საქართველოში ყოველთვის არსებობდა და, ვიდრე თავისუფლება საბოლოოდ არ მიგვიღია, დღესაც შეიძლება არსებობდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, დამპყრობლის კლანჭებიდან საშობლოს გამოხსნის სხვა გზაც, თუნდაც გზა ძალების შენარჩუნებისა გადამწყვეტი ბრძოლის გადასახდელად.

ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწილი მთელი ამ ათეული წლების განმავლობაში მიზნად ისახავდა, თავისი მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვით არ გაენელებინა ხალხში ეროვნული თავისუფლების წყურვილი, თვით იმპერიალისტური ტირანიის თვალწინ აემაღლებინა ეროვნული სული და როგორც კი შესაფერი ისტორიული მომენტი დადგებოდა, რომლის გამოყენების გარეშეც თვით დაკით აღმაშენებელი და გიორგი ბრწყინვალეც კი ვერაფერს გახდებოდნენ, ნაღვერდალში გახვეული ცეცხლი ხანძრად ექცია.

თუ მაინც და მაინც ერთადერთი მწერლის მაგალითზე შევჩერდებით, რაც დღეს რატომღაც მიღებულია და რაც ამ დიდბუნებოვან მოღვაწეს სრულებით არ მოეწონებოდა, ამ მიზნით დაიწერა „დიდოსტატის მარჯვენა" რომანი ხელოვანის ბედზე ტირანულ სახელმწიფოში და ამავე ავტორის ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი". რად ღირს თუნდ ერთი ამოძახილი, დიდმა მამულიშვილმა ტირანიას რომ შეჰღაღადა, დაუბრუნეთ ირმები ტყეებსო!

ორივე რომანში მხოლოდ ფაქტურაა ისტორიული, პრობლემატიკა, პუბლიცისტური სულისკვეთება კი ულტრათანამედროვეა!

თუ ისტორიულ ვითარებას გავითვალისწინებთ, სხვაგვარი მიდგომა კი ფაქტების დამახინჯებას გამოიწვევს, აღარ გაგვიკვირდება, იმავე ბატონმა კონსტანტინემ რად გადაუხადა ხარკი, ე.წ. სოციალისტურ სინამდვილეს, რად დაწერა წიგნები, რომლებიც თავიანთი მხატვრულ-ესტეტიკური დონით ვერ უსწორდებიან სხვა მის მხატვრულ ქმნილებებს.

საქმე შედეგრის დაწერა როდი იყო, საქმე ის გახლდათ, შავით თეთრზე ეჩვენებინა, რომ ქართული პროზის დიდი ოსტატი ე.წ. „თანამედროვე პრობლემებს“ არ გაურბოდა, ზურგს არ აქცევდა „სოციალისტურ სინამდვილეს“ და წერდა იმ თემებზე, რომელზედაც წერას თავზე წამომდგარი ჯალათი ცეცხლითა და მახვილით მოითხოვდა!

ასე რომ არ მოქცეულიყო, მას ან უარი უნდა ეთქვა საერთოდ მწერლობაზე, თავის ჯერ კიდევ დაუწერელ, ქაღალდზე გადმოუტანელ ქმნილებებზე, სადაც სწორედ „თანამედროვე პრობლემებს“ აყენებდა, დაედო მწერლის სასწაულმოქმედი კალამი და, როგორც მარტოხელა პარტიზანს, ხელში თოფი აეღო, არსებულ წესწყობილებასთან აშკარა ომი გაემართა, რაც სრულიად უაზრო მსხვერპლს გამოიწვევდა, ანდა, ტაქტიკური თვალსაზრისით, მოჩვენებითი დათმობის, გონივრული კომპრომისის გზას დასდგომოდა და ღვთისაგან მომადლებული საქმე ეკეთებინა. კონსტანტინე გამსახურდია მეორე დიდი ქართველი მწერლის, გრიგოლ რობაქიძისაგან განსხვავებით, ამ მეორე გზით წავიდა და, თუმცა ტიტანური წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა, კიდევაც შესძლო მწერლისა და წინასწარმეტყველის უდიდესი მისია შეასრულებინა.

ქართველ კაცს ოდითგანვე ერთი უბედურება სჭირს: სინქრონული სიმრავლის თავში შენარჩუნება არ შეუძლია, საქმე უნდა გაიმარტივოს და სიმრავლე აუცილებლად ერთზე დაიყვანოს. ილია თუ აკაკი? ნინოშვილი თუ კლდიაშვილი? კონსტანტინე თუ მიხეილ ჯავახიშვილი? გიორგი ლეონიძე თუ სიმონ ჩიქოვანი? მურმან ლებანიძე თუ მუხრან მაჭავარიანი?

სამწუხაროდ, ასე ემართება ბატონ სხირტლაძესაც. ის მხოლოდ ერთი გზის აპოლოგეტად გამოდის და ყველა სხვა გზას მოღალატის გზად თვლის. ამიტომაც მისდგომია მუხრან მაჭავარიანს და გამარჯვებული კაცის მედიდურობით მოითხოვს, ახლავე პრესაში გამოაქვეყნე სია, ვინ მისცა სმა მწერალთა კავშირიდან ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტის გარიცხვასო.

მე ერთხელ გაზეთის ფურცლებზე დავიფიცე, რომ ამ საკითხს ჩემდათავად აღარასოდეს დავუბრუნდებოდი, სულაც არა მსურს ის ფიცი გავტეხო, მაგრამ დღეს, როცა მავანნი და მავანნი მართლაც უშოოძელი შეძოსაკლით აპირებენ წვოილშვილის დაპურებას, იძულებული ვხდები აღთქმა დავარღვიო და წინა წერილში „არხოტის ვარიანტის დასასრულში“ გამოთქმული დაპირება შევასრულო. ჩვენი ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია. ურიგო როდი იქნება, თუ ყველას არა, ზოგიერთ მათგანს მაინც დღის სინათლეზე გამოვიტანთ და მკითხველი საზოგადოების საკუთრებად გავხდით.

ერთი მათგანია ის ისტორიაც, ქვემოთ რომ უნდა მოგითხროთ. ეს ისტორია თუ ისტორიული ფაქტი არა მარტო მკითხველისათვის, თვით ბატონ გურამ სხირტლაძისთვისაც კი უცნობია.

მაგრამ სანამ ფაქტს გავიხსენებდეთ, ერთი წინასწარი შენიშვნის გაკეთება მომიხდება. ვერ ვიქნებით ახლო ჭეშმარიტებასთან, თუ მწერალთა კავშირიდან, შემოქმედებითი ორგანიზაციიდან ვისიმე გარიცხვას ყოფილი წევრის გაწირვასთან, სამკვდრო-სასიცოცხლო გამეტე-

ბასთან გავათანაბრებთ, როგორც ავად მოსაგონარ ოცდაათიან წლებში ხდებოდა.

როგორ ფიქრობს ბატონი გურამ სხირტლაძე, შეეძლო თუ არა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს, თითქმის ეთელ ქართულ მწერლობას (სხვათა შორის, ბატონი ნოდარ წულეისკირი იქ არ ყოფილა, რადგანაც პრეზიდიუმის წევრი არ ბრძანდება, იმავე მიზეზით არ ყოფილა არც ბატონი აკაკი ბაქრაძე) ბოიკოტი გამოეცხადებინა ტოტალიტარული ქვეყნის ხელისუფლებისათვის, რომელიც ბატონ ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვას მოითხოვდა? გარიცხვა და ამით შურისმაძიებელი მხეცის ენების დაცხრომა ხომ უმცირესი ბოროტება იყო, რითაც არავინ არ იწირებოდა და უაზრო სკანდალსაც, რომელსაც შეუძლებელია, ქართველი სალხისათვის რაიმე სიკეთე მოჰყოლოდა, მინიმალური დანაკარგით თავიდან ვირიდებდით.

თუმცა შავანნი და მავანნი ამას დღეს დაჟინებით ჩქმალავენ, თვით თათია ხაინდრავაც კი, საზოგადოებამ და ღმერთმა ხომ იცის ერთი მხრივ ბატონ კონსტანტინეს და მეორე მხრივ ჩემი პირადი და სამწერლო ურთიერთობა. დაინტერესებული მკითხველი საამისო საბუთებს ბლომად იპოვნის როგორც მის, ასევე ჩემს წიგნებში.

უთუოდ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ როდესაც საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ ბატონმა გრიგოლ აბაშიძემ დამირეკა და პრეზიდიუმის საგანგებო სხდომაზე დასწრება მთხოვა, იქვე აღმითქვა, პირადად არ მოგმართავ და არ გაიძულებ რაიმე თქვა, დასწრება კი სავალდებულოა, შენ ეს კარგად იციო.

ბატონ გრიგოლს დღესაც ვუმადლი, რომ სიტყვა პირნათლად შეასრულა, მე გამომტოვა და გადავიდა შემდეგ მწერალზე, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა. სამწუხაროდ, ამას აყალმაყალი მოჰყვა, მანდ ვისიმე გამოტოვებას თავი დაანებეთ, ყველამ უნდა ილაპარაკოსო. თავმჯდომარე, ამგვარად, იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო და ჩემთვის მოემართა.

ეს ჩამთვის სრულიად მოულოდნელი დარტყმა იყო, მაგრამ უკან დახევა აღარ ეგებოდა. მაშინდელი ჩემი სიტყვის ზუსტი სტენოგრამა (ერთობ მოკლე სიტყვაა) ორი წლის წინათ დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში" და აქ მისი განმეორების არავითარი საჭიროება არ არსებობს.

მწუხარების გამოხატვის შემდეგ, რომ ამ ფრიად უსიამოვნო ინციდენტში მონაწილეობის მიღება მიხდებოდა, მე მივმართე ბატონ ზვიადს, აერიდებინა მწერლობისათვის მოსალოდნელი ჩირქის მოცხება და, რაკი არ ეთანხმებოდა წესდებას, რის დაცვაც კავშირის წევრისათვის სავალდებულო იყო, თვით დაეწერა განცხადება და კავშირიდან გასვლა ეთხოვა.

იქნებ ვინმეს შეუძლია თქვას, რომ ამ სტრიქონების ავტორი გულხელდაკრეფილი იჯდა, მთავრობას თვალებში შესცქეროდა და ყოველდღე და ყოველ საათს თავი ჯირკზე არ ედო? ბატონ კონსტანტინეს ტომებში შაინც ჩაიხედოს და იქ ბევრ რასმე საგულისხმოს აღმოაჩენს! ბატონი გურამ სხირტლაძე და ბევრი სხვა ვინმეც, ახლა რომ პირველ მამულიშვილობას იჩემებენ, მე იქ ახლომახლო არსად დამინახავს, მხედველობას კი არც მაშინ ვუჩიოდი და არც დღეს ვუჩივი.

აქამდე, ამ ადგილამდე, საზოგადოებისათვის და ბატონ. გურამ სხირტლაძისთვის ყველაფერი ცნობილია, ახლა კი ნება მიბოძეთ, ნაკლებად ცნობილ ან სრულიად უცნობ ამბებზე გადავიდე.

ნუ შიშობთ, მე მხედველობის გარეთ არ დამრჩება ჩვენი ოპონენტის შეკითხვა, რომელიც მას რა ხანია ენაზე ადგია: თუ მწერალთა კავშირიდან გარიცხვა არცთუ ისე დიდი ტრაგედიაა, მაშ, როგორ-ღა მოხდა, ბატონი ზვიად გამსახურდია სწორედ ამ სხდომიდან რამდენიმე დღის შემდეგ რომ დააპატიმრეს და კიდევაც გადაასახლესო?

შეკითხვა ლოგიკურია და მას ვერსაით გაექცევი, მაგრამ, ღმერთო ძლიერო, გაქცევასაც რომ არავინ აპირებს?

ცნობამ დაპატიმრების შესახებ, რომელიც კავშირიდან გარიცხვას განზრახ დაუკავშირეს, თითქოს გაურიცხავად ჯერ არავინ დაეპატიმრებინოთ, საყოველთაო გულისწყრომა გამოიწვია, თუმცა საზოგადოება მოკლებული იყო ყოველგვარ საშუალებას, იგი ხმამაღლა გამოეთქვა.

ნუ ვიქნებით უსამართლონი, ბრმები და ყრუები, ნუ წარმოვიდგენთ ისე, თითქოს საბჭოთა კავშირში, მით უმეტეს კოლონიურ საქართველოში, რაიმე საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი აზრის თქმა, თვით გაფიქრება და ვიწრო წრისათვის გამეღავნებაც კი ისევე მოსახერხებელი იყო, როგორც ბოლო წლების მანძილზეა! დროა მოეშვნენ ზოგიერთები უკანა რიცხვით გმირობას, იმათ უდიერად ჩაწინლავს, ვინც, მიუხედავად უდიდესი საშიშროებისა, თვით სიცოცხლეს რომ ემუქრებოდა, მაინც ახერხებდა, მოქალაქეობრივი პროტესტის ხმა ერის ყურამდე მიეტანა და მათ მაგიერ წინ წამოიმავლ, შემოგვხედეთ და დაგვიმახსოვრეთ, ეს ჩვენა ვართ, რომი რომ ვიხსენითო. აკი ვთქვი, ეს დღეს ადვილია, დამშლელიც არავინაა! დემოკრატიაა, ვისაც რა სურს, იმას დაირქმევს და მიიწებებს!

ვერ დავასახელებ ზუსტ თარიღს, რომლის დადგენაც სათანადო დოკუმენტებით და მოწმეების ჩვენებით ადვილად შეიძლება, დაახლოებით 1978 წლის გვიანი შემოდგომა უნდა ყოფილიყო, ოქტომბერი თუ ნოემბერი. მე სამსახურში ვეწვიე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ გრიგოლ აბაშიძეს, კარი ჩავაკეტინე, რომ ვინმე შემომსვლელს ხელი არ შეეშალა და სიტყვა ჩვენს დღევანდელ პრეზიდენტზე ჩამოვუგდე, რომელიც მაშინ სამშობლოდან შორს, რუსეთის რომელილაც კოლონიაში თუ საპყრობილეში იხდიდა სასჯელს. ბატონმა გრიგოლმა მისთვის ჩვეული ყურადღებით მომისმინა და როდესაც მე ჩემი სათქმელი დავამთავრე, თავისი მოსაზრებებიც გამიზიარა. საჭირო იყო მწერალთა კავშირის ავტორიტეტული დელეგაციის მისვლა რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელთან ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან და დიდი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას, შვილის, ზვიადის, პატიმრობიდან გათავისუფლების გამოთხოვა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ეს დელეგაცია იმ დღესვე შედგა სამდივნოს სხდომაზე. აი, სიაც ხსენებული დელეგაციისა: გრიგოლ აბაშიძე (თავმჯდომარე), წევრები: ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე (მწერალთა კავშირის მაშინდელი მდივნები) და ამ სტრიქონების ავტორი.

დელეგაცია დათქმულ დროს შეხვდა ედუარდ შევარდნაძეს. არ ვაპირებ, ამ შეხვედრის პერიპეტიების დაწვრილებით გადმოცემას, ეს არც არის საჭირო. მთავარია, რომ ჩვენი წინადადება შევარდნაძისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ურთიერთობაში მას უკმეხობა არა სჩვეოდა, მაგრამ ახლა კი საკმაოდ უკმეხად გვიპასუხა. წამოვარდა, ოთახში რამდენჯერმე ნერვულად გაიარ-გამოიარა. არ შევეპუეთ. ყოველ მის არგუმენტს კონტრარგუმენტი დავუპირისპირეთ. ორივე მხარე სიმწრის ოფლში გავიწურეთ. ორმა თუ სამმა საათმა ისე გაიარა, არც კი გაგვიგია.

ჩვენდა სასიხარულოდ, შევარდნაძე ბოლოს მოტყდა, ვიღაცას სამციფრიანი სამთავრობო ტელეფონით დაურეკა, უთხრა, ეს, ეს და ეს ათ წუთში შენთან მოვლენ და ჭიშკარში კაცი დაახვედრეო.

სად მივდიოდით? სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ ალექსი ინაურთან! შევარდნაძემ, როდესაც პირგამეხებული გვემშვიდობებოდა, აღგვითქვა, რომ სანამ ჩვენ იქ მივიდოდით, ინაურს კიდევ დაელაპარაკებოდა და ჩვენთვის სასურველ ნიადაგს შექმნიდა.

მივედით ასე ჯგუფად, დაგეხვდნენ ჭიშკართან, სადაც ბევრი შესულა, უკან კი ცოტა ვინმე თუ გამოსულა და ნახევრადბნელი კიბეებით აგვიყვანეს მეხუთე თუ მეექვსე სართულზე, სადაც გენერალი უკვე გველოდა.

აქ ხელახლა მოგვიხდა ჩვენი მჭევრმეტყველების მოშველიება. გენერალი დიდხანს და ყრუდ იცავდა თავის პოზიციას. ბოლოს ეტვიც კი გაგვიჩნდა: რაღაც არა ჰგავდა, რომ ცენტრალური კომიტეტის შენობიდან ჩვენი გამოსვლის შემდეგ შევარდნაძემ საჭირო ნაყოფიერი ნიადაგი მოგვიმზადა.

ბოლოს საკმაოდ დაძაბული მოლაპარაკება, სადაც მხარეთა არათანაბარი მდგომარეობა ზომაზე მეტად იგრძნობოდა, იმით დამთავრდა, რომ ინაურმა აღგვითქვა, სათანადო შუამდგომლობით მივმართავ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ პაველ გილაშვილს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული მწერლობის თხოვნა შეწყნარებული იქნებაო.

ვიკითხეთ, საჭირო იყო თუ არა ბატონ გილაშვილთან მისვლა და თხოვნის ერთხელ კიდევ განმეორება, რაზედაც უარყოფითი პასუხი მიეიღეთ, გამოვემშვიდობეთ მასპინძელს და წამოვედით.

მას შემდეგ დიდი დროა გასული და ზუსტად ვეღარ გამიხსენებია. ამ დღიდან რამდენი კვირის შემდეგ დაიბეჭდა მცირეფორმატიან გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" რესპუბლიკის დღევანდელი პრეზიდენტის ვრცელი ნარკვევი, რომელიც ყიზლარის იალაღებზე მყოფ ჩვენს მეცხვარეებს და იქაურ პრობლემებს ეძღვნებოდა. კიდევ რამდენიმე კვირაც და ყოფილი პოლიტიკური პატიმარი შინ, თბილისში დაბრუნდა.

ნუ დამძრახავს მკითხველი, თუ ამას პირადად მე ვწერ, იცოდეს ღმერთმა, არავისგან არაფერი მჭირდება. გულმართლად და შეულამაზებლად ვწერ იმას, რაც არასოდეს გამიზიარებია ჩემი უფროსი მეგობრის შვილისათვის, რომელიც მას ასე უყვარდა, არასოდეს დამდგარა ამის საჭიროება, უბრალოდ არც გამხსენებია, მაგრამ დღეს ვწერ,

ეწერ იმისათვის, რათა საზოგადოებამ იცოდეს, რაც საცოდნელია, ზოგ-ზოგებმა კი თავი დაანებონ ქართული მწერლობის და მისი ცალკეული წევრების უმართებულო ქირდვასა და შეურაცხყოფას.

რაო მაინც, რისთვის სჭირდება გურამ სხირტლაძეს პრეზიდიუმის სია, რომელმაც ზვიად გამსახურდია მწერალთა კავშირიდან ერთხმად გარიცხა? იქ ხომ თანამედროვე საქართველოს თითქმის ყველა გამოჩენილი მწერალი იყო, ტოტალიტარული რეჟიმის ხუნდებით გათანგული და კედელთან მიყენებული? ეს ხომ ტრაგედიაა! იმ დროს ბევრ მათგანს ხომ ჯერ კიდევ არ დაეწერა თავისი „დიდოსტატი" და „დავით აღმაშენებელი", „მთვარის მოტაცება" და „ხოგაის მინდია". ბევრი რამ, რითაც დღეს ერი თავს იწონებს, ჯერ კიდევ არ იყო!

ბატონ გურამ სხირტლაძეს, ეტყობა, ეადვილება მთელი ქართული მწერლობის, თუ მთელი მწერლობის არა, მისი პრეზიდიუმის კანონგარეთ გამოცხადება. ვითომ თავად აპირებს ყველას მაგივრობას? ღმერთმა ხელი მოუმართოს, ის მაინც დააწერინოს, რასაც პირადად მისგან მოელის მკითხველი! ერთი კი აქვე უნდა შევნიშნო: ასე გასწორ-გასწორ ლაპარაკი, რაც მან გაზეთში თავმჯდომარისადმი გაგზავნილი ლია წერილის სახით შემოგვთავაზა, მხოლოდ სუფრაზე თუ შეიძლება, ისიც არა ისეთ ზნეკეთილ სუფრაზე, დარბაისელ ქართველებს რომ შეჰფერით, ხოლო რაც შეეხება მწერლობას, ყოველი აწეული სიტყვის თქმის მორალური უფლება ბრძოლით უნდა მოიპოვო, სიტყვასთან გამუდმებული შერკინებით, როგორც დიდი კონსტანტინე ბრძანებდა, და იმ ცხოვრებით, რომელმაც ერის თვალწინ გაიარა. სხვა ყველაფერი თავის მოტყუება და ფუჭი ბაქიბუქია!

1991 წ.

ეს რა ძოგაგი გვყოლია

გასული კვირის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ჟურნალისტ ია ბაგრატიონ-მუხრანელის ვრცელი პუბლიცისტური წერილი „კოლეგებო, დაბრუნდით, ბრძოლა გრძელდება!“

სათაურს უძღვის წარწერა: „გულახდილად“ და ახლავს მსხვილი შრიფტით აწყობილი ქვესათაური: „ბალანსირება დანის პირზე ანუ უმუშევარი ჟურნალისტის აღსარება“.

ბუნებრივია, დავინტერესდი და წერილი თავიდან ბოლომდე ყურადღებით წავიკითხე. დაინტერესება უმთავრესად ქვესათაურმა გამოიწვია. აღსარება, მე ასე მესმის, ცოდვების გამხელას და აღიარებას ეწოდება და თავისთავად გულისხმობს გულწრფელობას, გულახდილობას ყოველგვარი ბალანსირების გარეშე, დანის პირზე იქნება იგი თუ მავთულზე.

აღსარების დროს გულახდილობა, გულწრფელობა მხოლოდ იმ ადამიანებს ახასიათებთ, რომლებიც სულიერ სრულყოფას ესწრაფვიან, ცდილობენ, დღეს უკეთესნი იყვნენ, ვიდრე გუშინ და შეწყნარებასაც, შენდობასაც სწორედ ამით იმსახურებენ.

ცოტა არ იყოს, გამიკვირდა და სახტადაც დავრჩი, მოლოდინი რომ არ გამიმართლდა და დაპირებული აღსარების, საკუთარი ცოდვების გამხელისა და აღიარების მაგიერ ხელში შემრჩა ავტორის ჟურნალისტური მოღვაწეობის, უკლებლივ ყველა შემთხვევაში მისი მოქალაქეობრივი შემართების დამადასტურებელი ვრცელი ნუსხა, რომელსაც ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, ოღონდა არა აღსარება, ისიც არა უმუშევარი ჟურნალისტისა, როგორც ქვესათაურში მკითხველის თანაგრძნობის მოსაპოვებლად ხაზგასმით არის მითითებული. ამ წერილითვე ვტყობილობთ, რომ სიმართლისათვის დევნილი ჟურნალისტი უმუშევარი უკვე აღარ არის, ვინაიდან „7 დღის“ რედაქციაში — „თავისუფალ, დამოუკიდებელ გაზეთში“ დაუწყია მუშაობა.

„7 დღე“ მართლაც საინტერესო, თავისუფალი და დამოუკიდებელი გაზეთია, და დამსახურებული პოპულარობაც დაიმკვიდრა მკითხველთა შორის. მე ისღა დამრჩენია, ქალბატონ ია ბაგრატიონ-მუხრანელს ამ გაზეთის რედაქციაში მუშაობის დაწყება მივულოცო.

მაგრამ მე, რასაკვირველია, ხელში კალამი ამ მილოცვის გამოსაქვეყნებლად არ ამიღია. გულისწყრომის საჯაროდ გამოთქმის საღერღელი ამიშალა მიახლოებითმა, ხშირად არაზუსტმა და კუდმოკვეცილმა ფორმულირებებმა, უფრო კი ავტორის ცდამ, მკითხველს თავს თავისი სუბიექტური შეხედულებები მოახვიოს და ამით ფონს გავიდეს.

მე, რა თქმა უნდა, არაფერი მაქვს სადაო წერილის მამხილებელ პათოსთან, მის სულისკვეთებასთან, რაც საქართველოში გამეფებული, მთელი საბჭოთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი რეჟიმის კრიტიკაში გამოიხატა. მკითხველისათვის, ვინც თვალს ადევნებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, ცნობილია, რომ ამ რეჟიმის შეურიგებელი კრიტიკით პრესაში და ე.წ. მაღალ ტიბუნებზე მე მაშინ გამოვდიოდი, როცა ის ორივე ფეხზე მაგრად იდგა და ფოლადის კბილებით ყოველი სხვაგვარად მოაზროვნის ძვლების დაფშვნა შეეძლო, დღეს კი,

როდესაც იგი უკვე აღარ არსებობს, ანდა მის არსებობას არარსებობა სჯობს, რაღა ღმერთი გამიწყრება, მის დასაცავად კრინტი დაეძრა!

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჩემი მსჯელობა არა განზოგადებული, არამედ უპირატესად კონკრეტული იქნება და პოლიტიკურ კონცეფციებთან შეხების წერტილები არ ექნება.

მაშ, გადავიწეროთ პირჯვარი და მივყვეთ ტექსტს.

თუ წერილის ავტორს დავუჯერებთ, მის თაობას ჟურნალისტებისა (იგულისხმებიან გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" თანამშრომლები) „სურდა დაემსხვრია წინა თაობის უხამსი დათაფლულობა, ცრუ პათოსი, პლაკატური, უკონფლიქტო ხელოვნების დოგმები" და სხ. და ა.შ.

ლაპარაკია, რასაკვირველია, ქართულ ხელოვნებაზე, რომელიც, ისევე როგორც ყველა სხვა ხელოვნება, ეროვნულია. ეროვნულობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მის ქართულენოვნებას. განა ცხადი არ არის, რომ ყველა იმ მაღალი მიზნის მისაღწევად, სამოცდაათიანი წლების „მოლოდიოჟ გრუზიის" ჟურნალისტებმა რომ დაისახეს, ქართულ ეროვნულ ხელოვნებას და არა ხელოვნებას საერთოდ, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, თავისი საკუთარი ეროვნული ინსტიტუტი გაჩნია ქართული ჟურნალისტიკისა და ქართული პრესის სახით?

ასე რომ, თუ ჩვენს პატივცემულ ავტორს სურდა, მშობლიურ ხელოვნებისათვის დიდი ან მცირე სამსახური გაეწია, ქართული ენის სტიქიაში უნდა შეჭრილიყო და ქართული ეროვნული ჟურნალისტიკის ფერხულისათვის აება მხარი.

ეს საკითხის ერთი მხარეა. ახლა მეორე მხარესაც მივხედოთ.

შეიძლება, ის მხატვრულ-ესთეტიკური მანკიერება, რომლის წინააღმდეგ ხმალჩაუგებელი ბრძოლა „მოლოდიოჟ გრუზიის" ჟურნალისტებმა მიზნად დაისახეს, მხოლოდ ერთ რომელიმე თაობას ახასიათებდეს? ხომ ცნობილია, რომ ამ მხრივ საკითხს წყვეტს არა ავტორის ასაკი, არამედ მისი შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი ინდივიდუალობა. შეიძლება, მაგალითად, ლეონარდო და ვინჩი, ვოლფგანგ გოეთე და ლევ ტოლსტოი, მხოლოდ იმის გამო, რომ ღრმა სიბერეში გარდაიცვალნენ, მათი ბოლოდროინდელი ნაწარმოებების კვალობაზე, უხამს რეაქციონერებად, ყველა იმ სიავის მატარებლად გამოვაცხადოთ, რადაც „ჟურნალისტებმა" „წინა თაობა" გამოაცხადეს?

ეგეც რომ არ იყოს, ეს „წინა თაობა" ხომ შედარებითი ცნებაა, ყოველთვის, ყოველ ისტორიულ მონაკვეთში არსებობს და, რამდენადაც მე ვიცი, საზოგადოების მიზანს სულაც არ შეადგენს მისთვის განურჩეველი, ტოტალური ბრძოლის გამოცხადება.

ხელოვნება, დღეს ეს არავის ესწავლება, ყოველთვის კონკრეტულია და მისადმი მიდგომაც ყოველთვის კონკრეტული უნდა იყოს. მე ცოტა არ იყოს თავს უხერხულად ვგრძნობ, რომ ამ ბანალურ, ყველასათვის ცნობილ ჭეშმარიტებას „სოვეტსკაია კულტურას" ყოფილ თანამშრომელს ვახსენებ.

ჩანს, „ს რაღაც აქვს სათქმელი, მაგრამ, ეტყობა, ისე ვერ გამოთქვა, როგორც განზრახული ჰქონდა.

ვერ იჩენს ავტორი სიზუსტეს ვერც იქ. სადაც აღნიშნავს, თითქოს ოთ. იოსელიანის ფილმები და მ. მაჭავარიანის ლექსები ოდესმე ვინმეს აეკრძალოს. შავბნელი დრო იყო, მართალია, სატანა დაუსჯელად პარ-

პაშებდა, მაგრამ ეს მაინც არ მომხდარა. დასახელებულ ავტორებს აკრიტიკებდნენ, ჭკუას ასწავლიდნენ, მათს ლაბორატორულ მუშაობაში უხეშად ერეოდნენ, არიგებდნენ, რა და როგორ ეკეთებინათ, მაგრამ განა მარტო მათ?

წერილში მოყვანილი სია, რომელსაც ამომწურავობის პრეტენზია აქვს, აშკარად ნაკლოვანი, ტენდენციური და არასრულია, სცოდავს ჭეშმარიტების წინაშე!

შემდეგ წერილის პატივცემული ავტორი ქართველი ინტელიგენციის აქტივობის საკითხზე გადადის და გვეუბნება:

„მახსოვს ინტელიგენციის უშედეგო ბრძოლა თამარის ეპოქის საეკვო სპეციალისტ ვერმიშევთან."

ძნელია აქ რისამე გაგება. ვინ იყო ეს ვერმიშევი, მართლაც „თამარის ეპოქის საეჭვო სპეციალისტი", როგორც ქალბატონ ია ბაგრატიონ-მუხრანელს ჰგონია? ეს ხომ უნდა გავაგებინოთ მკითხველს, ვისაც ეს გვარი პირველად ესმის, ვინც არ იცნობს მის გარშემო არსებულ ლიტერატურას?!

იმ გაგებით. რა გაგებითაც ია ბაგრატიონ-მუხრანელი ამბობს, ვერმიშევი არავითარი „სპეციალისტი" არ ყოფილა. იგი წარმოშობით სომეხი, თბილისური პლუტოკრატიის წარმომადგენელი, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები რუსულენოვანი მწერალი გახლდათ. სამოციანი წლების მიწურულს მან ცნობილი რუსი მწერლის სტეფანე ზლობინის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოაქვეყნა უზარმაზარი რომანი „ამირსპასალარი", რომელიც თამარ მეფის დროის საქართველოს მიუძღვნა და რომელითაც საყოველთაოდ დადგენილი ისტორიული სიმართლე თავდაყირა დააყენა.

აღშფოთდა მთელი ქართველი ერი. ამ მზაკვრული გამოხდომის უპასუხოდ დატოვება არ შეიძლებოდა, რადგან ამით ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის დასამარებას უნდა შევრიგებოდით.

წიგნი 70 ათასიანი ტირაჟით გამოსცა მოსკოვის „ვოენნოე იზდატელსტვომ". ავტორს ზურგს უმაგრებდა მარშალი ბაგრამიანი, ხოლო ორივეს ერთად თვით მედროშე რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმისა, საბჭოთა სახელმწიფოს პირველი იდეოლოგი მიხეილ სუსლოვი.

აი, ასეთი იყო ბრძოლის ველის მასშტაბი და ძალების განლაგება ამ ბრძოლის ველზე.

დაიწერა და უდიდესი ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვის შემდეგ ჟურნალ „მნათობის" ფურცლებზე დაიბეჭდა ვრცელი წერილი-გამოკვლევა „რაც მტრობას დაუნგრევია", რომელსაც დაუყოვნებელ რუსულ პუბლიკაციაში კიდევ უფრო მკვეთრი სათაური „Что разрушает дружбу" ეწოდა.

პატივცემული ია ბაგრატიონ-მუხრანელი, როგორც თავად მოგვითხრობს, ამ დროს „მოლოდოჟ გრუზიიში" მუშაობდა და თუ ქართულად არა, ეს ერთობ გახმაურებული სტატია, რომელიც ყოველ ქართველს და არაქართველს პირზე ეკერა, რუსულად მაინც უნდა წაეკითხა.

რით დაგვირგვინდა ეს სამახსოვრო ამბავი? მოსკოვის სამხედრო გამომცემლობამ, „ვოენნოე იზდატელსტოვომ" წერილობითი სინანული გამოთქვა ვერმიშევის რომანის დასტამბვის და ქართველი ერისათვის

უნებლიე შეურაცხყოფის მიყენების გამო და ჩაშალა წიგნის ახალი გამოცემის ანაწყობი. იგი ნახევარმილიონიანი ტირაჟით უნდა გამოცემულიყო.

აბა, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: სად არის აქ „ინტელიგენციის უშედეგო ბრძოლა"? სხვა რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამ ბრძოლას, ავტორსა და გამომცემლობას ხომ ვერ დახვრეტდნენ, მით უფრო ბაგრამიანსა და სუსლოვს, რომლებიც უშუალოდ იყვნენ გარეული საქმეში!

გიორგი ნატროშვილი იგონებს ბატონ პაელე ინგოროყვას იმდროინდელ ნათქვამს: ეს იყო დიდი ომი, რომელიც საქართველოს გამარჯვებით დასრულდა!

რა გვიჯობს, ვუთხრათ მკითხველს სიმართლე, რომ მრავალტანჯული ქართველი ერი უპატრონოდ, მისი სიმართლის დამცველთა გარეშე არასოდეს არ ყოფილა, თუ მოსისხლე მტრის გასახარებლად ეროვნული ნიჰილიზმის ნიღაბი ავაფაროთ და ყველა და ყველაფერი გავაბიაბრუოთ?

თუნდაც იმ ადამიანებს, ჩვენს თანამემამულეებს, რაღას ვერჩით და ვემართლებით, ვინც ეს საშვილიშვილო საქმე იტვირთა და მაშინ, როდესაც შეეძლო ჩირგვში მყუდროდ მჯდარიყო, თავი ყულფში გაეყო? რისთვის ვუმალავთ მათ მცირე ღვაწლს თანამედროვე მკითხველს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას? მაგრამ სანამ სხვას გავუზიარებდეთ, ჯერ ხომ თავად უნდა ვიცოდეთ მისი არსებობა!

გული მტკივა, გალანტურობის საზღვარს რომ უნდა გადავაბიჯო და მანდილოსანს შევნიშნო, რომ მას მეხსიერება არსად ღალატობს, სრულებითაც არ ავიწყდება, თუ სადმე რაიმე გაუკეთებია და გამოწელილვით გვიამბობს!

გნებავთ საბუთი? ინებეთ: „ასე მოვახერხეთ მოწამეთის კარიერის გაუქმება."

თუ ავტორს ვენდობით და დავუჯერებთ, ეს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საქმე, მოწამეთის კლდეებში აფეთქების შეწყვეტა, აფეთქებებისა, რომელიც გელათის სამონასტრო ანსამბლს აზიანებდა, თურმე ნუ იტყვით, „მოლოდოქ გრუზიის" ჟურნალისტებს „მოუხერხებიათ".

ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელი რომ ქართულ პრესას თვალს ადევნებდეს, არ გამორჩებოდა წერილი დიდი ქართველი მწერლისა, ვისი სახელის ამ კონტექსტში მოხსენიება მე არა მსურს.

მომხერხებლებმა არ ვიცი რა მოიმოქმედეს, არ იცის არც ქართველმა საზოგადოებრივობამ, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ერის მიერ აღიარებული ღვაწლმოსილი მწერლის უკომპრომისო გამოსვლამ უმსგავსობა იმ დღესვე აღკვეთა, რა დღესაც წერილი გაზეთში გამოქვეყნდა და იმ დღიდან ამ დღემდე სამშენებლო ქვის მოსაპოვებლად მოწამეთის კლდეების აფეთქება აღარ განახლებულა.

რაკი თავადაც იქ ბრძანდებოდა, ქ-ნ ია ბაგრატიონ-მუხრანელს მიაჩნია, რომ საზოგადოების გამოღვიძება ბაკურიანის სემინარებზე და გარეჯის სამონასტრო ანსამბლის დასაცავად გამიზნული მისი პუბლიცისტური წერილით დაიწყო, მანამდე კი ყველას, დიდსა და მცირეს, ყურთბალიშზე ეძინა.

არა გჯერათ? ინებეთ საბუთი: „მე თავს იმით ვინუგეშებდი, რომ კრიტიკა (რომელსაც მისი პუბლიკაცია შეიცავდა - რ.ჯ.) ერთსულოვნად აიტაცა ახალგაზრდობამ. დავით გარეჯის დამცველი კამპანია თანდათანობით ისტორიის, ეროვნული კულტურის, ენის დამცველ მოძრაობაში გადაიზარდა."

ჩვენი პატიეცემული ავტორი, დღეს საშოვარში რომ გამობრძანებულა და იმის მომკას ლამობს, რაც არ დაუთესია, ქართულ ინტელექტუალურ სამყაროსთან, ეთქვათ, მწერლობასთან, ასე თუ ისე ახლოს რომ ყოფილიყო და მისი ჰირი და ლხინი გაეზიარებინა, 1970 წელს, ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო პლენუმზე, საქართველოს მწერალთა კავშირში რომ გაიმართა, აი, ამ სიტყვებს მოისმენდა (შომყავს პლენუმის სტენოგრამის მიხედვით):

„... ქართული ენა, როგორც კანონგარეშე ელემენტი, მთლიანად გამოდევნილია რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების — პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მოღვაწეობიდან. რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში მუშაობს არა ერთი და ორი დიდი და მცირე თანამდებობის პირი, ვინც არ იცის ქართული ენა და არც სურს იცოდეს. რესპუბლიკური მნიშვნელობის საზოგადოებრივი ფორუმები — ყრილობები, პლენუმები, თათბირები, თვით სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირიც კი, რუსულ ენაზე ტარდება. ჩხოროწყუდან, ვანიდან თუ ამბროლაურიდან ჩამოსულ მოწინავე მეჯოგეებს და მევენახეებს, დედაენის გარდა სხვა ენა რომ არ გაუგიათ და არც გაეგებათ, დედაქალაქში გამართულ თათბირზე რუსულად ეჩიჩინებიან და, ასე გასინჯეთ, მათაც კი იძულებულს ხდიან, რუსულად წარმოთქვან თავიანთი სიტყვები. ჩვენ არა ერთჯერ მოგვისმენია ენობრივი თვალსაზრისით შემზარავი ეს გამოსვლები აუდიტორიაში, რადიოთი და ტელევიზიით. ქართულ ენას ხამუშ-ხამუშ, კოლორიტისათვის, გონებამახვილური სენტენციების წარმოსათქმელად და ხალხის გასაცინებლად იყენებენ. ქართული ენა შეგინებული და კუთხეში მიგდებულია თვით ისეთ საზოგადოებრივ ადგილებშიაც კი, როგორიცაა რესპუბლიკის სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა... რად ღირს მშობლიური ენის უგულვებელყოფის და აბუჩად აგდების თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს გასაბჭოების 48 წლისთავზე არ გაგვაჩნია ტელეგრაფის აპარატები დეპეშის ქართული ტექსტის გადასაცემად. ვის მიუქცევია ყურადღება რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული შეიარაღებული ძალების აბრებისათვის? მე ხომ იმას არ ვამბობ, რომ ამიერკავკასიის ჯარების სარდლობის სათავეში არ არის არც ერთი ქართველი გენერალი? ამჯერად არ ვამბობ, რადგანაც არ მინდა, მსჯელობის აღებულ საგანს გადავუხვიო. ყველგან, ყველა აბრასა და ფირნიშზე, თვით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბისა და ოფიცერთა სახლის აბრებზე, საქართველოს დედაქალაქის შუაგულში, ზიზღით უკუგდებული და იგნორირებულია ქართული ენა, ენა იმ ხალხისა, ვის შორისაც ოლქის პირად შემადგენლობას უხდება ცხოვრება და სამსახური. აუწერლად უარესი მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, სადაც ყველა მოთხოვნას, კანონიერს და უკანონოს, ანგარიში ეწევა, გარდა ქართული მოსახლეობისა და ქართველი ხალხის მოთხოვნებისა. ქართველ

ხალხს, მის შეგნებულ ნაწილს, მერწმუნეთ, სრული უფლება აქვს იკითხოს: რისთვის მოხდა, ამხანაგებო, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რისთვის დავდეთ თავი დიდ სამამულო ომში პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ, რისთვის დავტოვეთ აღმოსაელეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიწაზე მეოთხედ მილიონზე მეტი ქართველი ვაჟკაცისა და ქალიშვილის გვამი? ნუთუ იმისათვის, რომ ჩვენს ოჯახში, ჩვენს დედაქალაქში, ჩვენს სამშობლო საქართველოში ქართულად ვერ ვილაპარაკოთ, საკუთარ ღმერთს მივაფურთხოთ და სხვისი ღვთაების ხატზე ვილოცოთ?"

ეს სიტყვა რომ სამარისებურ სიჩუმეში დასრულდა, ლენინისადმი მიძღვნილი საიუბილეო პლენუმი რამდენიმე საათით შეწყდა. სარაჯიშვილისეული სასახლე ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელმა პირებმა და სახელმწიფო უშიშროების ოფიციალურმა და არაოფიციალურმა თანამშრომლებმა აავსეს. გამოსელა ორატორის დაუსწრებლად ოთხკედელშუა განიხილეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაიცა პლენუმის გაგრძელების განკარგულება.

ჰქონდა სიტყვის წარმომთქმელს რაიმე გარანტია, რომ შინ უვნებლად დაბრუნდებოდა? მაშ, რად ქნა ეს, გიჟი იყო და ცეცხლს სიგიჟის გამო ეთამაშებოდა? როდია დასამალი, საზოგადოებაში ამასაც ლაპარაკობდნენ. მაშინ არ იყო, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ოთარ ჩხეიძეს რომანი რომ განიხილა, მისი დამბეჭდავი გამოჩენილ. პოეტი სიმონ ჩიქოვანი რედაქტორობიდან მოხსნა, ხოლო რომანის ავტორი ანათემას გადასცა?

მაშ, რისთვის მივაყაროთ დავიწყების ნაცარი ყველაფერს, რაც ჩვენ არ ვიცით, არ გაგვიგია და არც გვაინტერესებს? ხოლო თუ გავიგებთ და დავინტერესდებით, გარეშოება გვაიძულებს, ცოტა უფრო მოკრძალებული და თავდაბლები ვიყვეთ, ჩვენს ცხვირზე ჩამომჯდარი ბუზი სპილოდ არ მოგვეჩვენოს!

იმის იმედად ყოფნას ჩემდათავად ვერავის ვურჩევ, რომ არავის არაფერი ახსოვს და არავინ არაფერი იცის, ანდა მავანს და მავანს რაღაცის გამო გამბედაობა უღალატებს და პირში წყალს ჩაიგუბებს!

რა ვქნა, როგორც ადამიანს, ძალიან მეხათრება, მაგრამ, აბა, მიბრძანეთ, როგორ ავუარო გვერდი 800 ათასიანი ტირაჟით გავრცელებულ ამგვარ თვითრეკლამას: „ეცდილობდით, არ გავყიდულიყავით, ჟურნალისტური ვალისა და რწმენისათვის არ გვეღალატა." თანაც არაა მითითებული ან ნაგულისხმევი ის პირები, რომელთა გამოც ზმნა მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი.

გარდა ამისა, თუ ღმერთი გწამთ, რა არის ეს „ჟურნალისტური ვალი", რომელსაც არასგზით არ ეღალატება? ნუთუ ის განყენებულად, თვითმიზნის სახით არსებობს? ნუთუ არაფერია ე.წ. ჟურნალისტურ ვალზე უფრო მაღალი ზნეობრივი სტიმული? ხომ არ შემოგვეპარა აქ კოსმოპოლიტიზმი, რომელიც საბჭოთა კავშირში დღეს სხვა სახელით იხსენიება და ჩვენი ნამდვილი მოქალაქეობრივი მოვალეობის ადგილი მან ხომ არ დაიკავა?

„აკადემიის რექტორი კი მოხსნეს (მისი წერილის შემდეგ. – რ.ჯ.), მაგრამ სამმართველოები და ხელმძღვანელი იდეოლოგები არ შეხებიან ხელისუფლების იერარქიას"; „მორიგმა კომისიამ გარეთ დარჩენილ აბი-

ტურიენტთა დიდი ნაწილი ჩარიცხა (კორესპონდენტის ჩარევის წყალობით. – რ.ჯ.), ახალი რექტორიც დაინიშნა, მაგრამ მე ეს ბრძოლა დიდი ენერგიის დახარჯვის და ნერვიულობის ფასად დამიჯდა."

მსგავსი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლივ შეიძლება. დავიჯეროთ, ეს აღსარებაა, რომელსაც შემდგომ სინანული და შენდობა უნდა მოჰყვეს?

1979 წელს ჭ-ნი ია ბაგრატიონ-მუხრანელი მოსკოვის „სოვეტსკაია კულტურას" საკუთარ კორესპონდენტად დაუმტკიცებიათ და ზემოთ მოყვანილი ორი უკანასკნელი მაგალითიც სწორედ იმ პერიოდს განეკუთვნება.

„მე არც შანტაჟის, არც ჭორის და არც მუქარის არ მეშინოდა, ვინადან მჯეროდა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას გაიკვლევდა, – ახასიათებს ავტორი თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობის ამ ათწლიან პერიოდს. – გული მაინც მტკიოდა".

საკვირველი ის არის, რომ ჩვენმა კორესპონდენტმა ქართული კულტურის სიწმინდისათვის ბრძოლა საქართველოს დედაქალაქიდან კოლონიური იმპერიის სატახტო ქალაქში გადაიტანა და თანაგრძნობის გამოცხადებას ქართველი მკითხველისაგან მოელის!

მე სრულებითაც არა მსურს ვთქვა, რომ ჟურნალისტი ჩვენი ქართული ცხოვრების მრავალ ჩრდილოვან მხარეს წააწყდა და არ სურდა თავისი მშობელი ხალხი და ქვეყანა უკეთესი ენახა. საკითხავი სხვა რამაა: შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ილია ჭავჭავაძეს თავისი მამხილებელი „ბედნიერი ერი" თუნდაც ჩერნიშევსკის პროგრესულ „სოვრემენნიკში" დაებეჭდა და სასურველი შედეგის მიღების იმედი ჰქონოდა? შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სულმნათი აკაკის ტრაგიკული ამოძახილი, ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოო, სადმე უცხოეთში დაბეჭდილიყო და ქართველ ერს იქიდან ამანათად მოსვლოდა? ნუთუ შეიძლება ვიყოთ ისე გულუბრყვილო, რომ წითელი იმპერია, ხალხების სისხლში ამოთხვრილი, მონოლითურ, ერთი რწმენითა და სულისკვეთებით შედუღაბებულ ორგანიზმად წარმოვიდგინოთ, რომელშიაც ეროვნული თანხმობა და ეანგარობა მეფობს და ძლიერი ერისაგან სუსტის დაჩაგვრა, მიწასთან გასწორება ყოვლად წარმოუდგენელია?

ნუთუ ძნელია იმის მიხვედრა, რომ იმპერიის პრესაში სამსახური იმპერიული ზრახვების სამსახურია? აკი თავადვე წერს პატივცემული ია ბაგრატიონ-მუხრანელი: „ამ უსიცოცხლო მექანიზმის (აშკარად სხვა სიტყვაა საჭირო. რ.ჯ.) ჭანჭიკი არ მინდოდა ეყოფილიყავი და ცენტრალური გაზეთიდან წამოვედი." მაგრამ ხომ ვიყავით 10 წელიწადი? ნუთუ ეს ცოტაა?

ახლა კი მივადექი იმას, რასაც ჭკუათმყოფელი კაცი არ დაიჯერებს, თუ წერილიდან სათანადო ამონაწერი თავიდან ბოლომდე არ მოვიტანე. აი, ისიც:

„ლიტერატურის ერთ-ერთმა „დიდოსტატმა", – წერს პატივცემული ია ბაგრატიონ-მუხრანელი. – რომელმაც წარმატებით გამოსცა თავის თხზულებათა რვატომეული, მწერალთა კავშირში სრულიად აბსურდული აზრი გამოთქვა ჩემი არაქართული წარმოშობის შესახებ."

მთარგმნელს შეეშალა თუ ავტორის ლაფსუს-ლინგვაა? რას ნიშნავს „აბსურდული აზრი გამოთქვა ჩემი არაქართული წარმოშობის

შესახებ"? ე.ი. ქართველი ვარ და ის კი ამტკიცებს, რომ არაა ქართველიო? მაგრამ თუ ელემენტარული გრამატიკის წესებით მივუდგებით, აქ სრულიად საპირისპირო აზრი სწერია: მე კი არ ვარ ქართველი, მაგრამ მან აბსურდული აზრი გამოთქვა ამ ფაქტის შესახებ. თუ მას უნდოდა ეთქვა ის, რაც უნდოდა, წინადადება დაახლოებით ასე უნდა გაემართა: „მან აბსურდული აზრი გამოთქვა, თითქოს მე ქართველი არ ვიყო."

მაგრამ მოდით, ამას თავი დავანებოთ, სხვა რამ ვიკითხოთ: ვინ არის ის მწერალი-„დიდოსტატი", რვატომეულის ავტორი, რომელმაც აბსურდული აზრი გამოთქვა? ვინაა, ჩვენი კორესპონდენტის ქართველობაში ეჭვი რომ შეიტანა? გთხოვთ, ამ კითხვას თქვენს გულში უპასუხოთ, მე ენა არ მომიბრუნდება.

აი, სადამდე მიდის უკონტროლობა, რომლის გაწევის უნარი თითოეულ ჩვენგანს უნდა შესწევდეს. ნუთუ ვინმე სერიოზულად ფიქრობს, რომ ზემოთმოყვანილი სიტყვების დაწერა და გამოქვეყნება ჩვენი საზოგადოების დემოკრატიულობისა და პრესის თავისუფლების მაჩვენებელია? პირიქით! ეს სხვა არაფერია, თუ არა თავაშვებულობა, კრიტერიუმის დაკარგვა, ბრმა სიძულვილი და შურისძიება, ეს მე როგორ მკადრეს და გაბედეს, ვინც არ უნდა იყოს ის მკადრებელიო.

რა ჰკადრეს ჩვენს განაწყენებულ მანდილოსანს? მან არ შეიძლება არ იცოდეს, რომ არც საქართველოში და არც სადმე სხვაგან არ არსებობს გვარი მუხრანელი. ის თარგმანია რუსული მუხრანსკისა და მხოლოდ ფსევდონიმი შეიძლება იყოს. ხომ არსებობს წესი, რომლის თანახმადაც გვარი, ისევე როგორც ბევრი სხვა საკუთარი სახელი, არ ითარგმნება, ენიდან ენაში უცვლელად გადადის, ხოლო რაც შეეხება ფსევდონიმს, მით კაცის ეროვნულ კუთვნილებას ვერ დაადგენ. ხსენებულმა მწერალმა „დიდოსტატმა", ვისაც ქართველ ბაგრატიონთა მუხრანის შტოს ისტორია, ისევე როგორც მთლიანი საქართველოს ისტორია არავიზე ნაკლებ არ მოეხსენებოდა, უთუოდ გაიხსენა, თუ ილიასეული „ბედნიერი ერი" და აკაკისეული „ფურთხის ღირსი ხარ!..." რომელ სამრეკლოზე უნდა ჩამორეკილიყო და როდესაც აშკარა შეუსაბამობა შენიშნა, თავისი დაეჭვება პირუთვნელად გამოთქვა, ეს ქალბატონი ქართველი არ უნდა იყოსო. მე თავად იქ გახლდით და სხვებზე უკეთ ვიცი, როგორც იყო საქმე.

მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებ იმაზე, რომ, წერილის ავტორის თქმით, მწერალმა „წარმატებით გაძოსცა", ე.ი. მოახერხა გამოეცა თავისი თხზულებების რვატომეული, ისევე როგორც ქ-ნმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა და მისმა ამხანაგებმა მოახერხეს „მოწამეთის კარიერის გაუქმება". თურმე მთავარია გამოთქმა „მოახერხო", თორემ უკვდავი ქმნილებების დაწერას და ერის გულში სამუდამო ადგილის მოპოვებას ყველა შესძლებს!

ნიკო ბური, რაინდ მუხრან-ბატონთა დიდებული შთამომავალი, არ მოუწონებდა თავის გაუცხოებულ შვილთაშვილს გვამებით პირის ჩატკბარუნებას. გვამი გვამია, პოლიტიკურიც და ფიზიკურიც. თუ ხორცის მქამელი ტყიური ხარ, როცა ჭრილობიდან სისხლი გადმოვა, ჭამის მადა მაშინ უნდა გაგელვიძოს და შიმშილიც მაშინ უნდა მოიკლა. სხვაგვარი მოქცევა სილაჩრეა და თავისი ღირსების პატივისმცემელ ადამი-

ანს, მით უფრო ჟურნალისტს, ვისგანაც მკითხველები მხოლოდ ამაღლებულ სიმართლეს მოელიან, არ ეპატიება!

და კიდევ ერთი: ჩვენ ყველა, მკითხველები, ია ბაგრატიონ-მუხრანელს ია მუხრანელად ვიცნობდით. ვის უმალავდა აქამდე, ამ უკანასკნელ დრომდე თავის დიდებულ გვარს, დავითისა და თამარის, გიორგი ბრწყინვალისა და პატარა კახის გვარს, სათაყვანებელ გვარს ყოველი ქართველისათვის, მაშინაც კი, როცა ამის გამომჟღავნება არავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა? მომიტევონ და ვერ ჩავუთველი ამას დიდ გაბედულებად. მე ამის წარმოდგენა შეურაცხმყოფს, როგორც ქართველს!

ღმერთო, იხსენი საქართველო და ყველა მისი შვილი ასეთი ქომაგებისაგან!

1991 წ.

ბევრირდება ქართული სამხედრო ტერმინოლოგია

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმის მეორე წელსვე ქვეყნის უზენაესი ხელისუფლების გადაწყვეტილების თანახმად საბჭოთა არმიის შემადგენლობაში შეიქმნა ეროვნული სამხედრო ნაწილები და შენაერთები. მათი ფორმირება რესპუბლიკების ტერიტორიაზე ხდებოდა და სამხედრო მოსამსახურეთა ძირითად მასას ამ რესპუბლიკებიდან გაწვეული სამხედრო ვალდებული პირები შეადგენდნენ.

ეროვნული ნაწილებისა და შენაერთების ფორმირება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამა თუ იმ ეროვნულ ნაწილში, ანდა შენაერთში ამ ეროვნების ყველა წარმომადგენელს მოეყაროს თავი, ვინც კი იმ დროს წითელი არმიაში, შემდგომ საბჭოთა არმიაში მსახურობდა. პირიქით, სამხედრო კონტინგენტის უდიდესი ნაწილი სხვადასხვა ფრონტის შემადგენლობაში განაგრძობდა სამსახურს. ასევე იყვნენ ქართველებიც. 650 ათას მეომარს, ქალსა და კაცს, რომელიც პატარა საქართველომ ომში გამოიყვანა, მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული 5–6 ეროვნული დივიზია როგორ დაიტევდა!

ეროვნული ნაწილები და შენაერთები, მართალია, არსებობდნენ და ფრონტებზე სისხლს აქცევდნენ, მაგრამ მათ ერთ საჯარისო ერთეულად გამაერთიანებელი სარდლობა არ გააჩნდათ, საერთო სარდლობას ექვემდებარებოდნენ და ერთგვარ შინაგან ავტონომიას მხოლოდ თავის შეზღუდულ ფარგლებში ინარჩუნებდნენ.

ქართულ დივიზიებში გამოდიოდა ქართული გაზეთები, ერთადერთი ქართული სამხედრო გაზეთი ჰქონდა ამიერკავკასიის ფრონტსაც. სომხურ და აზერბაიჯანულ გაზეთებთან ერთად იგი ამავე სახელწოდების რუსული გაზეთის — დღევანდელი „ლენინსკოე ზნამიას" დუბლიკატს წარმოადგენდა.

სამხედრო უწყებაში სამსახურს, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სხვა სფეროში სამსახურს, საკუთარი თავისებურება და სპეციფიკა აქვს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პატრიოტულად განწყობილი ქართველი ოფიცრობა საველე თუ საკლასო მეცადინეობებს ქართულ ენაზე ატარებდა და საბრძოლო პირობებშიაც ქართული ენით ხელმძღვანელობდა, რადგანაც მათი ხელქვეითი რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა რუსულ ენას ერთობ სუსტად ან სავსებით ვერ ფლობდა, ცხადი გახდება, რომ მათ წინაშე ახალი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის შექმნის მეტად რთული ამოცანა იდგა. ამ ამოცანის სასწრაფოდ გადაწყვეტა განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვა ქართულ სამხედრო პრესას, დივიზიებისა და ფრონტის სამხედრო გაზეთს, რომელთაც თანამედროვე ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის უქონლობის გამო თითქმის სრულიად ცარიელ ადგილზე უხდებოდათ მუშაობა.

უკანასკნელი ქართული ეროვნული დივიზია, ანაპის 414-ე, რომლის შტაბიც ბათუმში იდგა, 1956 წელს განაიარაღეს და დაშალეს. ეს სწორედ იმ დღეებში მოხდა, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე, კავშირგაბმულობის სახლის წინ და სანაპიროზე, სტალინის მონუმენტთან, ასობით ქართველი ახალგაზრდა ტყვიამფრქვევებითა და ავტომატებით მოცელეს და ერთ პოლკამდე დაყვანილმა ერთადერთმა ქართულმა დივიზიამ, რადგანაც მის გადმოსაყვანად ეშელონს არავინ შეადგენდა, ქუთაისიდან თბილისში ფეხით ჩამოსვლა დააპირა.

თოთხმეტიოდე წლის განმავლობაში, რაც საერთო-საჯარისო დაქვემდებარების ქვეშ მყოფი ქართული ეროვნული შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები არსებობდნენ და სანამ ერთადერთი ქართული სამხედრო გაზეთი ჯერ კიდევ გამოდიოდა, ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის განახლების, შევსების და დაკანონების საკითხში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჯერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ საჯარისო ფორმირებებს, მწერლებს, სამხედრო ჟურნალისტებს, შემდეგ კი, მეორე მსოფლიო ომის დროს, ჩვენს ქართველ ოფიცრობას და ქართულ სამხედრო პრესას, რომლებშიც ბევრი გამოჩენილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი თანამშრომლობდა. მე აღარაფერს ვამბობ მოთხრობებსა და რომანებზე, ომში ქართველი ერის მონაწილეობის თაობაზე ომის შემდეგ რომ შეიქმნა და გამოქვეყნდა.

ამჟამად საქართველოს რესპუბლიკა თავისი ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბების კარიბჭესთან დგას. ბუნებრივია, თავისი მუშაობა მან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე — ქართულ ენაზე უნდა წარმართოს და როგორ იზამს ამას, თუ დაუყოვნებლივ არ შევუდექით ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის აღორძინებას. არავის სჭირდება ველოსიპედის გამოგონება, ანუ ყველაფრის თავიდან დაწყება. ქართული სამხედრო ტერმინოლოგია, ურომლისოდაც ქართული სამხედრო ფორმირებანი წინ ერთ ნაბიჯსაც ვერ წასდგამენ, უკვე არსებობს. რა არის ახლა საჭირო? სპეციალისტების მიერ მისი აღდგენა, დაზუსტება-შევსება და შესწავლა!

მოკლე წერილში, რაც მხოლოდ მეტად საჭირბოროტო, გადაუდებელი საკითხის დაყენებას ეძღვნება, მე საშუალება არა მაქვს და არცა ვცდილობ საკითხს ჩავუღრმავდე, მაგარამ, ამავე დროს, არ შემიძლია ყურადღების გარეშე დავტოვო ის არასწორი ფორმები, რომლებიც ბოლო დროს ყოველ ნაბიჯზე გაისმის და ყოველი საქმეში ჩახედული კაცის გულისწყრომას თუ არა, გაკვირვებასა და შეცბუნებას მაინც იწვევს.

გავიხსენოთ, მაგალითად, სიტყვა-ტერმინი „შენაერთი". იგი რამდენჯერმე გაისმა ეროვნულ სტადიონზე და რადიო-ტელევიზიით, როდესაც ჯარში ახალგაზრდა გვარდიელები სამხედრო ფიცს იღებდნენ. მე არ

ვიცი, რამდენი ასეული იყო იმ დღეს სტადიონზე, იქნებ ეს სამხედრო საიდუმლოებაა, მაგრამ ვეარაუდობ, რომ 1000-1500 კაცზე მეტი არასგზით არ იქნებოდა. იქნებ ესეც დიდი ციფრია?

რატომ ვიხდით თავს სასაცილოდ, მტრის სამასხარაოდ? ვის და სად გაუგონია, 500, 1000 და თუნდაც 3 ათასი კაცისაგან შემდგარ მწყობრს ვინმე შენაერთად იხსენიებდეს? თუ ვხმარობთ სამხედრო პრაქტიკაში უკვე დამკვიდრებულ-დაკანონებულ ტერმინს, ისეთს, როგორიც „შენაერთია", ხომ უნდა ვიცოდეთ მისი მნიშვნელობა? ტერმინის უადგილო ადგილას ხმარება, როცა მის მაგივრად სულ სხვა ტერმინი უნდა გვეხმარა, ნაღვლიან ღიმილს იწვევს, მტერს კი გულში ირონიულად ჩაეცინება, ჯერ ბავშვი არ დაბადებულა და ეს მამაცხონებულები უკვე აბრამს არქმევენ, ნაცარს ნებაყოფლობით იყრიან თვალებშიო. მაშ, რა არის „შენაერთი", რა მოცულობის ჯარს იხსენიებენ შენაერთად? ვფიქრობ, ჯობს, თავიდან დავიწყოთ.

ქვეითი ჯარის ყველაზე მცირე საჯარისო ერთეული ათეულია. იგი 10-15 კაცისაგან შესდგება, რომელთაგან ერთი, სერჟანტი, მეთაურია. იმავე ათეულს სატყვიამფრქვევო, სანაღმტყორცნო და საარტილერიო სპეციალური დანიშნულების საჯარისო ერთეულებში გუნდი ეწოდება. გუნდის წევრთა შემადგენლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი კაცისაგან შემდგარი პერსონალი სჭირდება ამა თუ იმ ტექნიკური საშუალების მომსახურებას, საბრძოლო მასალების მიწოდებას და ერთი ადგილიდან მეორეზე ტრანსპორტირებას.

სამი ათეული შეადგენს ოცეულს, ხოლო სამი ოცეული კი ასეულს. ასეული, საბრძოლო ვითარებაში, შესაძლოა, 150 კაციდან 250 კაცამდე ითვლიდეს.

სამი ქვეითი ასეულისაგან, სპეციალური დანიშნულების ორ ასეულთან და რამდენიმე ოცეულთან ერთად, დგება ბატალიონი, ანუ ათასეული.

სამი ათასეული, აგრეთვე სპეცდანიშნულების რამდენიმე ათასეულთან და საარტილერიო დივიზიონთან ერთად, უკვე პოლკია, იგივე ლეგიონი.

სამი ლეგიონისაგან, არტპოლკისაგან და სხვა სპეციალური დანიშნულების პოლკებისაგან და ათასეულებისაგან იქმნება დივიზია.

სამი დივიზია, აგრეთვე სპეცდანიშნულების ფორმირებებით შევსებული, კორპუსია, სამი კორპუსისაგან და შესაბამისი სპეცდანიშნულების მქონე ფორმირებებით კი არმიას ადგენენ.

არმიები ექვემდებარებიან ფრონტს, რომელთა შემადგენლობა უმაღლესი მთავარსარდლობის შეხედულებისდა მიხედვით, სტრატეგიული და ტაქტიკური თვალსაზრისით იცვლება და ყოველთვის სტაბილური არ არის.

ახლა მივდგეთ და სათითაოდ გავარჩიოთ, რომელს რას ეეძახით.

ასეული და მასთან გათანაბრებული საჯარისო ერთეულები ქვედანაყოფია, ბატალიონი, ანუ ათასეული – დანაყოფი, პოლკი ანუ ლეგიონი – ნაწილი, დივიზია, კორპუსი და არმია – შენაერთი.

ვფიქრობ, ახლა უკვე ცხადად ვხედავთ, რიგით ჯარისკაცთა, უმცროს მეთაურთა, უმცროს, საშუალო და უფროს ოფიცერთა, გენერალთა რა უზარმაზარ მასას გულისხმობს სიტყვა – ტერმინი „შენაერთი“ და რა დიდ შეცდომას ჩავდივართ, როცა მას უადგილო ადგილას ვხმარობთ!

ველოსიპედის თავიდან გამოგონება არც ერთ დარგში არ გვარგებს, მით უფრო სამხედრო საქმეში. გონიერი სამხედრო პირები ყველა ქვეყანაში იყენებენ სხვა ერებისა და სახელმწიფოების გამოცდილებას, თაობების მიერ დაგროვილ ცოდნას. მათ სამხედრო დოქტრინებში გათვალისწინებულია ჯარების შინაგანი ორგანიზაციის, მათი საბრძოლო წვრთნის და ბრძოლაში მართვის ყველა საკითხი მაკედონელიდან და ჰანიბალიდან მოკიდებული ვიდრე დღემდე. სხვისგან სწავლა სირცხვილი როდია, სირცხვილი დოგმატიკოსობა და საკუთარ უცოდველობაში თავის დარწმუნებაა.

ღმერთმა აშოროს ეს მანკიერება საქართველოს მომავალ არმიას და მის მეთაურებს!

1991 წ.

ვის ვუთვობთ ტრიბუნას?

„ლიტერატურული საქართველოს“ 15 ნოემბრის ნომერში, თვალსაჩინო ადგილას, ისე, რომ ყველამ წაიკითხოს, მეორე გვერდზე, პატივცემული რედაქტორისადმი მიწერილ ერთ უცნაურ კორესპონდენციას წავაწყდი. კორესპონდენციის ავტორი თავს მწერალთა გაზეთის „ერთ უბრალო მკითხველს“ უწოდებს და ნუ ჩამითვლით დიდ ცოდვად, თუ ქვემოთ სწორედ ასე მოვიხსენიებ, რადგანაც მისი სახელი და გვარი მკითხველს სრულებით არაფერს ეუბნება.

„ერთი უბრალო მკითხველი“ ქუთაისელი კაცი ყოფილა, პროფესიით ინჟინერი, სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული პიროვნება და დედაქალაქში იმ მიზნით ჩამოსულა, რომ შეეტყო, როგორია აქ ხალხის, უპირველეს ყოვლისა ინტელიგენციის განწყობილება, რას ფიქრობს იგი ხელისუფლებაზე და იმ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რომელსაც ის ატარებს.

რა უქნია ამის შესატყობად? შინ სწვევია ჩვენი ეროვნული ინტელიგენციის რომელიმე წარმომადგენელს, მათ შორის მწერლებს, ან სამსახურში უნახავს რომელიმე მათგანი და მისთვის საინტერესო კითხვები დაუსვამს? არადა, მას ნამდვილად შეეძლო, ამ ხერხით ბევრი რამ საგულისხმო გაეგო და საზოგადოების წინაშე სერიოზული კაცისათვის სრულიად შეუფერებელ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო.

ძვირფასი ავტორი სხვა, მისი აზრით უფრო მარტივ და უტყუარ გზას დასდგომია: ორი დღე და ორი ღამე რუსთაველის პროსპექტზე უყურყუტია და გამვლელ-გამოვლელისათვის თვალი და ყური მალულად უდევნებია. მას ამ გზით სარწმუნოდ დაუდგენია, რომ ხელისუფლების საწყენ სიტყვას არავინ ამბობს, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა ყოფილიყო. მაგრამ აი, გამომცემლობა „მერნის“ წინ მას დაუნახავს მწერალთა ჯგუფი. მათ შორის უცვნია რევაზ ჯაფარიძე და გურამ გვერდწითელი. მე მათ დიდ პატივს ვცემდიო, შენიშნავს იქვე, თუკი აქვს ამას რაიმე მნიშვნელობაო. მისულა და, ჩვეულებისამებრ, ყური დაუგდია, რას ლაპარაკობდნენ.

როგორ მოგწონთ, ძვირფასო მითხველო? ხომ არავინ მიკარნახებს, რა ქვია იმ კაცს, მშვიდობიან საუბარში გართულ უცნობ ადამიანებს რომ ჩუმად მიპარვია და გაფაციცებული ყურს უგდებს, იქნებ უბის წიგნაკშიაც ინიშნავს, რაზე და რას ლაპარაკობენ? თავისი ნებით სჩადის ამას თუ ვინმეს დავალებას ასრულებს? ცოტა უხერხულად ხომ არ გეჩვენებათ ამგვარი სუბიექტების, ამ ხელობის ხალხის არსებობა საზოგადოებაში, რომელსაც თავის უზენაეს მიზნად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება განუზრახავს?

თავი დავანებოთ იმას, რომ არავითარი რევაზ ჯაფარიძე და არავითარი გურამ გვერდწითელი „ერთ უბრალო მკითხველს“ გამომცემლობა „მერნის“ წინ არ უნახავს. გურამ გვერდწითელი გამომცემლობა „მერნის“ დირექტორია, იქ საკმაოდ ფართო სამუშაო კაბინეტი აქვს და მასა და მის ავტორს, რევაზ ჯაფარიძეს, სხვა მწერლებთან ერთად, ნუთუ არ შეეძლოთ, კაბინეტში ესაუბრათ და არა გამომცემლობის წინ, ქუჩაში, სადაც მილეთის ხალხი მიდი-მოდის?

მაგრამ მთავარი ეს არ გახლავთ. ადამიანები, მათ შორის მწერლები, არამარტო კაბინეტში, არამედ ქუჩაშიაც შეიძლება დაელაპარაკონ ერთმანეთს. რამდენადაც ვიცი, ეს ჯერჯერობით არავის აუკრძალავს. მთავარი სხვა რამაა: რაზე ლაპარაკობდნენ მწერლები, მათ შორის რევაზ ჯაფარიძე და გურამ გვერდწითელი? რა არის მიზეზი, რის გამოც მათდამი დიდ პატივისცემას ავტორი უკვე წარსულ დროში იხსენიებს? გაიგონა მათგან ის, რასაც ეძებდა, მავანთა და მავანთა აუგად ხსენება, რის შესატყობადაც ქუთაისიდან დედაქალაქში ჩამოვიდა და ზედიზედ ორი დღე და ღამე რუსთაველის პროსპექტზე ათენ-აღამა? თუ ხელისუფლებასთან და ხალხთან დაბეზღებაა, დაბეზღება იყოს!

სამწუხაროდ, „ერთი უბრალო მკითხველი" ამის შესახებ კრინტსაც არ ძრავს, რადგანაც, ეტყობა, მისი აზრით, აშკარად საეჭვო პოზიციაში გვარების მოხსენიებით გასაკეთებელი საქმე უკვე გააკეთა, ოდესღაც მისთვის პატივცემულ მწერლებს ლაყე კვერცხი ესროლა, ვიღაცას ვასიამოვნებ, არ შეიძლება, ეს ვინმე ზემდგომ პირს არ ესიამოვნოს, მე კი არაფერს ვკარგავო და ზედ გრძელი ტირადაც მიაყოლა:

„მწერალი, ბატონებო, ჩვენში ყოველთვის ერის გონების, მისი მეთაურის, წინამძღოლის როლში გამოდიოდა, ჭირსა და ლხინში ხალხთან იყო. ახლა რა ხდება, სადაა მწერლობა, რატომ აჰყოლია მისი ნაწილი (ეს ფრაზა ნამდვილად რედაქციაში ჩამატებულს ჰგავს!-რ.ჯ.) ქუჩის დემოკრატებს და ოპოზიციას, განაწყენებულ ვაი-ინტელიგენტებს?"

რა მოხდა ამის შემდეგ? მწერლებს გაკვირვებიათ, თუ ღმერთი გწამთ, ვინ არის ეს კაცო, შებრუნებულან და გულფიცხი ორატორისათვის ზურგი შეუქცევიათ.

პირდაპირ ასე წერს ჩვენი გულნატკენი „ერთი უბრალო მკითხველი:

„პასუხად ერთი კი ამათვალიერეს და მერე ყველამ ზურგი უხმოდ შემომაქცია."

მაშ, რას იზამდნენ? გამომცემლობის წინ მდგომი რამდენიმე კაცი, რომელთა შორის „ერთმა უბრალო მკითხველმა" რევაზ ჯაფარიძე და გურამ გვედწითელი შეიცნო, იქნებ მწერლები სულაც არ იყვნენ, სხვანი იყვნენ, რაღაც თავიანთ საქმეზე ლაპარაკობდნენ და უცნობი მოქალაქის სრულიად უადგილო ტირადა საღი გონების მქონე ადამიანის ნათქვამად არც მიიჩნიეს!

გამიკვირდა, მართალი გითხრათ, ეს ანგარებით საესე უპასუხისმგებლო აბდაუბდა მწერალთა გაზეთში გამოქვეყნებული რომ ვიხილე. მას მთელი ნახევარი გვერდი უკავია! თუ გაზეთს ასე აინტერესებდა ჩემი პოზიცია ზოგიერთი საზოგადოებრივი მოვლენის მიმართ, ბატონ გურამ გვერდწითელზე და მის პოზიციაზე ვერას გეტყვით, რაღა მოხალისე მაბეზღარის დახმარებას მიმართა, კორესპონდენტი გამოეგზავნა ან ტელეფონზე დაერეკა და ყველაფერს დაუფარავად, გულმართლად მოვახსენებდი. მოვახსენებდი, მაგალითად, რომ ჩემს უახლოეს მეგობარს და უსაყვარლეს პოეტს მუხრან მაჭავარიანს მწერალ რევაზ

ჯაფარიძისაგან დასაცავი, ისიც ვიღაც-ვიღაცეებისაგან, არაფერი ჭირს, ვეტყოდი იმასაც, რომ რესპუბლიკის კონსტიტუციას პატივისცემა და დაცვა უნდა, დაცვა უნდა პიროვნების, მისი მოქალაქეობრივი ღირსების ხელშეუხებლობასაც, რომ ქართველი ერის ნების ოფიციალური გამომხატველი, მიუხედავად იმისა, რომ მე მისი წევრი არა ვარ, როგორც ყოველ ცივილიზებულ დემოკრატიულ ქვეყანაშია მიღებული, ხალხის დიდი უმრავლესობის მიერ არჩეული უზენაესი საბჭო და პრეზიდენტია, რომ ხელისუფლებას უნდა შესწევდეს უნარი სახელმწიფოში წესრიგი დაამყაროს, რომ ამა წლის 2 სექტემბერს და შემდგომ მომხდარ ამბები, ორად გახლეჩილ მასებს შორის რომ მოხდა, ქართველი ერისათვის ბევრად უფრო დიდი და ავის მომასწავლებელი უბედურებაა, ვიდრე 9 აპრილის ტრაგედია, რომ არც ერთ ვიგინდარას არა აქვს არც იურიდიული და არც მორალური უფლება, ქვეყნის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე მოძრაობა შეაჩეროს და ხელისუფლებას რაღაც ულტიმატუმები წაუყენოს, ვეტყოდი, რომ ყოველივე ეს, რაც ახლა ხდება, ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობის მომასწავლებელია, რომ წაჯექ-უკუჯექობა ჭეშმარიტი დემოკრატია გვეგონა და მთელ მსოფლიოს, რუსეთსა და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებზე კიდევაც რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენს უგუნურ ამბიციებზე ვახარხარებთ. კიდევ ბევრს რასმე ვიტყოდი და შეეცდებოდი, მოვლენებისადმი ფხიზელი, ანალიტიკური დამოკიდებულება გამომეჩინა. ეს რომ ასე მომხდარიყო, „ერთი უბრალო მკითხველის“ ბეზღისათვის და სხვა მსგავსი მასალებისათვის, ე.წ. ფუტი გასროლებისათვის, ჩვენს პერიოდულ პრესაში ასე ჭარბად რომ იბეჭდება, გაზეთში ადგილი აღარ დარჩებოდა!

სად ვეძებთ მტერს? ვის შორის ვეძებთ? ვის ვაძებნინებთ და ვის ვუთმობთ ტრიბუნას? დღეს გახდა გამოსარკვევი, აქამდე არ გამორკვეულა, 68 წლის რევაზ ჯაფარიძე, რომელმაც ნახევარი საუკუნე თავდადებულ შრომასა და ბოროტ ძალებთან შეურიგებელ ბრძოლაში გალია, ანდა გურამ გვერდწითელი მტერია სამშობლოსი თუ მოყვარე? საქმე გამოგველია და უადგილო ადგილას მახათს ვიყრით? ვაი ჩვენს პატრონს!

იქნებ ზოგმა ვინმემ არც იცოდეს, ახლა ყველას ქრონიკული გულმავიწყობის წყეული სენი შეგვეყარა, რომ მე ძველი სამხედრო პირი ვარ, ჯარისკაცი, შვიდ წელიწადს ხელიდან იარაღი არ გამიშვია. ასე განსაჯა არსთა გამრიგემ, ასეთი იყო ჩემი თაობის ბედი. პისტოლეტსა

და ავტომატს კალამზე უარესად როდი ვფლობ, მაგრამ, იცოდეს ღმერთმა, საქართველოში, ქართულ ეროვნულ ურთიერთობებში, მე თოფ-იარაღი არ მჭირდება, მძულს, ვინაიდან ათასწილ მიჯობს, მე მომკლან, ვიდრე დავასწრო და მე მოვკლა ვინმე!

1991 წ.

ნუ ვაქცევთ სამშობლოს ნაფუძრად

მთხოვეს, რამე მეთქვა გაზეთის საშუალებით. მეც გულით მინდა ვთქვა, მკითხველს ცოცხალი სიტყვა მივაწოდო, მაგრამ მიჭირს, არ ვიცი, საიდან დავიწყო. იმან, რაც საახალწლოდ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას ეწვია, ყველა ერთნაირად გაგვაოგნა და დაგვამუნჯა. სად რა უნდა მომხდარიყო ამის მსგავსი და ამაზე უარესი? კულტურულ ერს, სამიათასწლოვანი ისტორიით თავს რომ ვიწონებთ, ქრისტეს დაბადებამდე მესამე საუკუნეში სახელმწიფო ენა !რომ გვქონდა, ის ენა, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობთ, ხოლო თვით სახელმწიფო, ქართული სახელმწიფო წარმონაქმნები სამასი წლით ადრე გაჩნდა, ის დაგვემართა, რაც აფრიკაში, ნილოსის სათავეებში ახალაღმოჩენილ ველურ ტომსაც არ დაემართებოდა: პატივმოყვარეობის ჯორცხენზე ამხედრებულნი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დავეძგერეთ და ძმათა სისხლი ზღვად დავღვარეთ.

თურმე ის წუხილი, ბაზალეთის ძმათამჭლეტი ომის გამო რომ განვიცდიდით, ყალბი წუხილი და გულის ამაჩუყებელი პოზა ყოფილა, ვინაიდან კაენის ცოდვის ჟინი სისხლში ღრმად გვქონია ჩაბუდებული და ის თურმე თავს უმალ აიშვებდა, როგორც კი ოდნავ ხელის შემწყობი ისტორიული მომენტი დადგებოდა. თურმე ცივილიზებული ქართველის ძარღვებში ათასწლობით უცხოვრია ციხიკოსისა და მკვლელის ბაცილას და აი, ამ ბაცილამ ბაზალეთის სამარცხვინო ომის შემდეგ ეს მეორედ იჩინა თავი, რათა კულტურული კაცობრიობა, რომ იტყვიან, კარებამდე არ გვენდოს, არ დაიჯეროს ქართველი კაცის შინაგანი თავისუფლება, კაცთმოყვარეობა, ღვთისმოსაობა, დემოკრატიულ წესწყობილებისაკენ მისწრაფება.

ასე გაგვიცნო მსოფლიომ ე.წ. „თავისუფალ ერთა ძმური კავშირის“ დარღვევის შემდეგ, როცა ცივილიზებულმა მსოფლიომ სცნო მონობის უღელაყრილი ჩვენი მოძმე ერები, ჩვენ კი კანიბალებად გამოგვაცხადა, ვითარცა ახალი ავტორიტარული რეჟიმის ტრფიალნი, რაც დღესდღეობით ფაშიზმზე უარესი ატესტაციაა და ჩვენი ცნობა, დამოუკიდებელ კულტურულ ერად ჩაგდება, განუსაზღვრელი დროით გადასდო!

ვაი,სირცხვილო, საბა-სულხან ორბელიანისა და წმიდა ილია მართლის საქართველოვ! შენ ბევრჯერ გაქლეტილხარ, გადაბუგულხარ, 800 ათას სულამდე დამცრობილხარ, მაგრამ ასეთი სირცხვილი და თავის მოჭრა ჯერ არ გრგებია! ამას სიკვდილი ჯობს, ამას ათასწილ ჯობს, საერთოდ არ ვარსებობდეთ ქვეყანაზე და მხოლოდ არქეოლოგებისათვის იყოს მისაწვდომი ჩვენი წარსული!

ჩვენ კი რა ვუპასუხეთ, თავი რით დავიმშვიდეთ? მით უარესი ცივილიზებულ მსოფლიოსათვის, გულღრძო ბუმისთვის და თავქარიანი მიტერანისათვის, თუ არა გვცნეს და დამშეულ პაწაწინა ქვეყნისათვის, სადაც გარდა ქართველებისა სხვაც ბევრი ვინმე ცხოვრობს, ლუკმა პურიც არ გაიმეტეს და როგორც ცოფიანი ვირთხები, ზღვაში ჩასანთქმელად გაგვწირესო.

მაგრამ მართლა ყველა ვდუმდით? დუმილი, როცა არ უნდა დუმდე, რასაკვირველია, დანაშაულია, მაგრამ არსებობს უფრო დიდი დანაშაულიც – ბოროტების თანადგომა!

ჩვენ შორის აღმოჩნდნენ ადამიანები, ჩვენი თანამემამულენი, არა მარტო თავიანთი უნიკობითა და ხელმოცარულობით გამძვინვარებულნი, არამედ ზეგარდმო ნიჭით ცხებულნიც, ვინც უგუნურობის დროშას მიეტმასნა და, რათა თავისი პიროვნული ანგარებითი მიზნები აღესრულებინა, ცალკეულ პიროვნებათა უსაზღვნო განდიდებას გუნდრუკი უკმია.

ჩვენდა სავალალოდ, მათგან ეს პირველი არ არის. ასევე უკმევდნენ გუნდრუკს ავტორიტარული რეჟიმის სხვადასხვა გამოვლინებას, შემდეგ ღალატობდნენ მათ და ახალ ბანაკში გადადიოდნენ, რათა თავი ზედაპირზე შეენარჩუნებინათ. ბოლოს ფიცით შეეკვრნენ ამ უკანასკნელ ავტორიტარულ რეჟიმსაც და მასაც ჩვეულებისამებრ უღალატეს, არ გაიზიარეს მისი ტრაგიკული ხვედრი, მორალური კრახის საპასუხოდ შუბლში ტყვია არ იკრეს!

ნურავის შეიპყრობს წინასწარ შიში და ძრწოლა. მე არ ვაპირებ აქ ვისმე დასახელებას, ვინაიდან არ მევალება და ვერ ვიკისრებ ჯალათის როლს. ყველამ ყველაფერი იცის და თითოეულს თავის საქმისდა მიხედვით მოეკითხება. ამ „მოეკითხებაში“ მე არ ვგულისხმობ მაინც და მაინც სასამართლოს მიერ გამოტანილ მკაცრ განაჩენს. თუ აქამდე არ გაუგია, დაე ამიერიდან იცოდეს ყოველმა, მაღალი თანამდებობის პირმა თუ რადიო-ტელევიზიითა და პრესის ფურცლებით მოლაყბემ, რომ მათ ასობით ქართველი ადამიანის სისხლი ადევთ, მათ სინდისს მოუქარვებელი ცოდვა აწვიმებს და განა შეიძლება, ქვეყნიერებაზე არსებობდეს ამაზე უფრო დიდი სასჯელი?

ერთმა სტუდენტმა გოგონამ ამას წინათ ტელევიზორის ეკრანზე თქვა, ერის კეთილდღეობისათვის, მისი ზნეობრივი სიწმინდისათვის ალბათ საჭირო იყო, რომ ეს მოწამებრივი სისხლი დაღვრილიყოო.

ანგელოზი მეტყველებდა იმ გოგონას პირით, რომელმაც თავისი კატეგორიული განცხადებით დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა გამოიჩინა!

დადგა ისტორიული წუთი, როდესაც მოვლენათა გარდაუვალმა ლოგიკამ რუსთაველის პროსპექტზე გაჩაღებულ ძმათამჭლეტ ომამდე მიგვიყვანა. მაგრამ რა პარადოქსიც არ უნდა იყოს, პირველი გასროლა 2 სექტემბერს მოხდა და არა 22 დეკემბერს. 2 სექტემბერს სისხლი დაიღვარა, მაგრამ სიკვდილით არავინ მომკვდარა. ეს იყო ძმათა მჭლეტი ომის პირველი ნიშანი, ხელისუფლების მხრიდან ნასროლი პირველი ტყვია, რომელსაც მრავალი ენის მცოდნე, კლასიკოსის ოჯახში გაზრდილი, რომელსაც ქართველი ინტელიგენცია არაფრად ესაჭიროებოდა, რადგანაც თავად იყო ინტელიგენტი, გონზე უნდა მოეყვანა და გაეხსენებინა მისი იდეალი დე გოლი, რომელიც პრეზიდენტობიდან მაშინ გადადგა, როდესაც სორბონაში პოლიციის პატრული შეეიდა და ფრანგულ დემოკრატიას, პრეზიდენტისაგან დაცვა რომ სჭირდებოდა, მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა.

ასე იხსნა დიდმა დე გოლმა ფრანგი ერი და საფრანგეთის დემოკრატია! როდესაც იდეალებად ისტორიულ პირებს ვირჩევთ, მარტო ის კი არ უნდა იწვევდეს ჩვენს აღტაცებას, როგორ აღზევდნენ და როგორ მართავდნენ ისინი თავიანთ ხალხებს, არამედ ისიც, თუ როგორ დასტოვეს ასპარეზი და თავიანთი წასვლით ერთხელ კიდევ დაამტკი-

ცეს, რომ არა პრეზიდენტის სკამზე თავდავიწყებით შეყვარებული წვრილმანი კარიერისტები, არამედ დიდი ადამიანები და სამშობლოს კეთილდღეობისათვის გულით მებრძოლი დიდი მამულიშვილები არიან!

მე ვერ დავუჯერებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, რომ მის მიერ გადოქტორებულ პიროვნებას ხიჭით თავი უსკდება და ცისქვეშ მისი ბადალი რუსთველოლოგი არ მოიპოვება, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ყოფილ დისიდენტს და ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლ მოქალაქეს გარკვეული სარგებლობის მოტანა შეეძლო საქართველოსათვის მაშინაც კი, როცა რუსთაველის ძეგლის წინ 1991 წლის 2 სექტემბერს ქართველი კაცის ხელით სატანამ პირველი ტყვია გაისროლა! ეს დღე, არასოდეს რომ არ ამოვა ქართველი ერის მეხსიერებიდან, მის მიერ პრეზიდენტის სავარძლის დათმობის და ზნეობრივად სუფთა სიტყვის თქმის დღედ უნდა გამხდარიყო. რაოდენ მონუმენტურ სახედ დარჩებოდა მაშინ ის საქართველოს ისტორიაში, მიუხედავად იმ მიუტევებელი შეცდომებისა, რაც მასა და მის დასს ვითომდა ჩრდილში მდგომი ვიღაც უპასუხისმგებლო დედაკაცების ისტერიული დაჟინებით მოუვიდა! მაშინ ხომ არც ამდენი ლეჩაქი გაშავდებოდა, არც ასობით დაჭრილ-დაკოდილი ეწამებოდა საოპერაციო მაგიდაზე, არც რუსთაველის პროსპექტი დაინგრეოდა ასე უწყალოდ, არც ქართულ კულტურას მოუვიდოდა აუნაზღაურებელი ზარალი და, რაც მთავარია, არც საქართველო გაუტოლდებოდა ნილოსის სათაევებში ახლახან ნაპოვნ ველურ ტომს!

გვაკმარე-შეთქი, ღმერთს ვეევედრებოდით, როდესაც პრეზიდენტმა და მისმა ამალამ ბუნკერი დასტოვა და სისხლით მორწყული გზით თავი მეზობელს შეაფარა.

როგორ ფიქრობთ, თანამემამულენო, მე, ამ სტრიქონების ავტორი, როდესაც ამ წერილს ვწერ, ვის მხარეზე ვარ?

საქართველოს მხარეზე, რასაკვირველია, კანონიერების მხარეზე, კანონიერად არჩეული პრეზიდენტის მხარეზე. არც ისაა უყურადღებოდ დასატოვებელი, რომ იგი ჩემი უფროსი მეგობრის, დიდებული ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შვილია, ჩემს თვალწინ გაზრდილი და არცთუ მამის და მისი ახლობლების გაელენის გარეშე დავაყაკაცებული, არც იმპერიის მართლმსაჯულების ხელიდან მის გამოგლეჯაში მიმიძღვის უკანასკნელი როლი, მაგრამ არანორმალური, საღი გონებიდან გადასული ადამიანი ვიქნებოდი, თუ მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ვერ დავინახავდი და ვერ შეეაფასებდი იმას, რაც უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე საქართველოში ხდებოდა!

რას დაგვიჟინია, მეგობრებო, ეს არჩევნები, ეს კანონიერად არჩეული პრეზიდენტი? უკეთუ შეცდომა მოგვივიდა, უკეთუ საარჩევნო კომპანია ყოვლად უთანასწორო პირობებში მიმდინარეობდა, უკეთუ ბოროტმა ძალებმა თავისი ნება თავს მოგვახვიეს, უკეთუ ამოდენა სისხლისღვრის შემდეგ ხსნის ერთადერთი მართებული გზა უკვე ნაპოვნია, გონს არ უნდა მოვიდეთ, ეშმაკს არ უნდა მივაფურთხოთ და ხელი არ უნდა შევუწყოთ ჩვენი გალანძღული, შეგინებული, მსოფლი-

ოში თავმოჭრილი, შიშველ-ტიტველი და მშიერი სამშობლოს ლაფიდან ამოყვანას, მის აღორძინებას?

როგორ ფიქრობენ მავანნი და მავანნი, ტახტიდან იარაღის ძალით ჩამოგდებული პრეზიდენტი კახელი რომ ყოფილიყო, ან იმერელი, ან ქართლელი, ან აჭარელი, ან რაჭველი, ან გურული, ან სვანი, ან ხევსური, ამით რაიმე შეიცვლებოდა? ნუთუ ეინმესათვის ძნელი გასაგებია ან საერთოდ გაუგებარია, რომ აქ საქმე ეხება ადამიანის პიროვნულ თვისებებს და არა მის წარმოშობას, ქართველი ერის შემადგენელი რომელიმე ტომთან მის გენეტიკურ კავშირს?

სირცხვილს სირცხვილი დავამატოთ, დამწვარზე მდუღარე გადავასხათ? არ დავფიქრდეთ, არ ავწონ-დავწონოთ, რა გვემართება, რას ვუპერთ მხარს და რის წინააღმდეგ ვიბრძვით?

გუშინწინ ამ დღეების კიდევ ერთი მსვერპლის, ირაკლი აბაშიძის პანაშვიდზე მივდიოდი. გზაში ერთი ზუგდიდელი ინტელიგენტი შემხვდა. გადამეხვია, გადამკოცნა, მომიკითხა და შემდეგ მითხრა, თუმცა თქვენთან გამოსაჩენი პირი ჩვენ აღარ გვაქვსო. ვის თქვენ და ვინ ჩვენთან-მეთქი, გულწრფელად გაკვირვებულმა ვკითხე. შეწუხდა, ყველა ეთაძახეთზე უარესები ვართო, დააგდო, ხელი ჩაიქნია და წავიდა. მე კი გულში ჭრილობა დამრჩა, ცრემლი მომერია. გამახსენდნენ დიდი ქართველი მოღვაწენი, სამშობლოს დიდი მოჭირნახულენი. აგერ გუშინ და გუშინწინ ჩვენს შორის რომ დადიოდნენ: შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია...

აბა, ეცადე და გამოაკელი ყველა ეს სახელი ქართულ ეროვნულ კულტურას და მეცნიერებას, გამოაკელი სხვა კუთხეთა მათებრ სულმნათი შვილები! დაშალე სრულიად საქართველო, ქართველი ხალხის ეროვნული სხეული! სხვა რა უნდა მოსისხლე მტერს, განზე რომ განდგარა, განაბულა, სეირს გვაყურებს და ხან ერთ მეომარ მხარეს აწვდის იარაღს, თანაც მისაწვდომ ფასში, ხან მეორეს.

გონს მოდი, ქართველო! იცოდე, რომ ეგ უსაგნო სიძულვილი, გულში ძმის მიმართ რომ ჩაგნერგვია, სატანის ნამოქმედარია. ნუ აზეიმებ სატანას, ნუ მიჰყიდი სულს, ნუ დაარქმევ სამშობლოს ქართველთა ნაფუძარს!

1992 წ.

ლაბა ხარის ბედი

საქართველოს ტელევიზიამ მეტად სასარგებლო საქმე წამოიწყო: კინოაპარატით ხელში დადის სოფელ-სოფელ და ფირზე იღებს, როგორ უყურებს ჩვენი გლეხობა სოფლად კერძო საკუთრების აღდგენას, მიწის პრივატიზაციას, ვისთვისაა ის სასარგებლო და ვისთვის საზიანო, როგორ მოვიქცეთ ისე, რომ ამ ისტორიულმა პროცესმა არამცთუ მხოლოდ დაღუპვის პირას მისული, არამედ უკვე უფსკრულში გადაჩეხილი ქვეყანა ფეხზე წამოაყენოს, ცოცხალ-მკვდარს სიცოცხლის სული შთაბეროს და მომავლის რეალური იმედი გაგვიღვიძოს.

ტელეეკრანზე ვხედავთ ჩვენი სოფლის მოსახლეობის არა ერთ ბრძენ წარმომადგენელს, გამორჩევით მთქმელს, ვინც მარტო მიწას კი არ ჩაჰკირკიტებს, რათა ოჯახის გამოსაკვები ლუკმაპური მოიყვანოს, არამედ ქვეყნის ბედ-იღბალზე ფიქრობს, როგორც ქეშმარიტ მამულიშვილს შეეფერის, შორს იხედება, ყველა ჰო და არას ითვალისწინებს და თავისი წერილშვილის მომავალი სამშობლოს მომავლისაგან განცალკევებულად ვერ წარმოუდგენია.

ესეც დრომ მოიტანა და არა ვისიმე პიროვნულმა ნება-სურვილმა, როგორც ხშირად ხატავენ ხოლმე, როცა მავანნი და მავანნი დაუმსახურებელი დაფნის გვირგვინით სურთ შეამკონ და საზოგადოებაში მომხდარი ყველა სიკეთე ერთსა და ორ ამოჩემებულ პირს მიაწერონ.

ჯერ კიდევ გუშინ ვინ კითხაედა გლეხს ქვეყნის ბედ-იღბალზე ფიქრსა და ზრუნვას. ქვეყნის ბედს თვით უპირველეს, ქვეყნის უანგარო სამსახურში გაჩაღარავებულ საზოგადო მოღვაწეებსაც არავინ ეკითხებოდა. უკლებლივ ყველას მაგივრად ფიურერი ფიქრობდა სადღაც მიუწვდომელ სიმაღლეზე, ცხოვრების ავ-კარგი, მათ შორის სოფლის ჭირი თუ ლხინი, იქ წყდებოდა და ადამიანები, ვისი ხელიც დოვლათს ქმნიდა, მხოლოდ ჭანჭიკების როლს ასრულებდნენ.

ამან ჩაკლა სწორედ პირადი ინიციატივა, საზოგადოების უპირველესი მამოძრავებელი და მაორგანიზებელი ძალა, მოშალა საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, ინდივიდის მაგივრად წინ უსახო კოლექტივის წამოწევამ საფუძველი გამოაცალა პროგრესს, ბოლო მოუღო პიროვნებას და გზა გაუხსნა ანარქიას, არაკომპეტენტურობას, ცხოვრების ყველა სფეროში უცოდინარობის პარპაშს. აქედან, შვიდი ათეული წლის წინათ, დაიწყო ჩვენი სვლა სოციალურ უფსკრულისაკენ, იქით, სადაც ამჟამად ვიმყოფებით.

ოცი თუ ოცდახუთი წელიწადი იქნება, რაც ცენტრალური კომიტეტის ერთმა პირველმა მდივანმა, რომელთანაც მე პირადი ურთიერთობა მქონდა, მითხრა, ოთხი წელიწადი დამჭირდება იმის მისაღწევად, რომ ყველა დარგს სათავეში დარგის ზედმიწევნით მცოდნე კომპეტენტური პირები ჩაუდგნენო. აღარ ვიტყვი, რომ სწორედ პირიქით მოხდა. ანდა ვის უნდა გაეზომა ხსენებულ პირთა კომპეტენტურობის ხარისხი? ალბათ, პირველ მდივანს, ყველაფრისა და ყოვლის ხელმძღვანელს, ვინც პირობას იძლეოდა, ოთხ წელიწადში კომპეტენტური სპეციალისტების მეშვეობით რესპუბლიკას ავაყვავებო! მაგრამ, საკითხავია, თვითონ კი იყო კომპეტენტური თუნდაც ამ კომპეტენტურთა

შერჩევაში? მისი მაღალი თანამდებობა კი არ საჭიროებდა არავითარ კომპეტენციას?

ვერავინ მიკიჟინებს, თითქოს შემართება მაკლდეს, თვით დამთრგუნველ საშიშროებისთვისაც კი თვალი თვალში არასოდეს გამეყაროს, მაგრამ ეს არ ვკითხე, არა ვკითხე, თქვენ თუ ბრძანდებით-მეთქი კომპეტენტური, ყველა სიკეთე თუ ბოროტება ხომ აქედან იწყება-მეთქი. არა და, შექმნილი სიტუაცია თავად მოითხოვდა ამ კითხვის დასმას. მომკალით, არ შეიძლებოდა. არ შეიძლებოდა იმიტომ კი არა, თითქოს ვინმე რაიმეს უფრთხილდებოდა, თავს იზღვევდა. არ ჰქონდა ამას არავითარი პოზიტიური აზრი. მას საზოგადოებისთვის სარგებლობის მომტანი არაფერი მოჰყვებოდა, მხოლოდ ყოვლისშემძლე თვითმპყრობელს გავაღიზიანებდი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავიკიდებდი და მეც არ ვიკითხე ის, რაც აუცილებლად უნდა მეკითხა.

ჩვენს საცოდავ ერს ბედი არ სწყალობს. თავისი აზრის უცოდველობაში ღრმად დარწმუნებულ კომუნისტ ხელმძღვანელთა თაობები თვით ერის მიერ არჩეულმა, ყოველგვარი საზოგადოებრივი პრობლემისაგან, უბრალოდ, საღი აზრისაგან, გონივრული ანალიზის უნარისაგან შორს მდგომმა პიროვნებამ შესცვალა, შესცვალა და დამწვარს მდულარე გადაესხა, ისედაც დარღვეული ეკონომიკა, შერყეული მორალი, რესპუბლიკის შინაური და საგარეო ურთიერთობა, ძაამებელთა აქტიური ხელშეწყობით, რომელთა ნაკლებობასაც არასოდეს არ განვიცდიდით, თავბრუდამხვევი სისწრაფით გაექანა უფსკრულისაკენ და აი, ახლა ჩვენ იქა ვართ კრემლისა და მისი აგენტურის დაუხმარებლად! ისღა დაგვრჩენია, თავზარდაცემულებმა ერთმანეთს ვკითხოთ: რა გვიხსნის, რით ვუშველოთ ნოლზე დასულ ეკონომიკას? სად ვიშოვოთ ხედლეული გაჩერებული მრეწველობის ასამუშავებლად? ვის დავუჩოქოთ, ვის შევევედროთ? როდემდე გვეყოფა ძველი ქონი ბარტერული გაცვლებისათვის, რის საფასურადაც უცხოეთიდან მარტოოდენ კვების პროდუქტები, უპირველეს ყოვლისა მაძასისხლად გაძვირებული ხორბალი შემოგვაქვს? რა რაღაზე გავცვალოთ, ხელი რითღა მოვინაცვლოთ, როცა უკლებლივ ყველა საწყობი დაიცლება, აღარც შარშანდელი შამპანური გვექნება, აღარც სახელგატეხილი კახური ღვინოები, აღარც არანაკლებ სახელგატეხილი ქართული ჩაი, აღარც კონიაკი, აღარც მადნეული?

გაზაფხული კარზე მოგვადგა, მშიერი გაზაფხული, როცა ყოველ ნორმალურ საზოგადოებაში და ნორმალურ სახელმწიფოში მთელი წლის მოსავალს ეყრება საფუძველი. რა ვაქამოთ ხელებში შემოჩერებულ ბავშვებს, ან თავად რა ვქამოთ, რათა ღონე მოვიკრიბოთ და მარჩენალ მიწაში მომავლის თესლი ჩავაგდოთ? დავდგეთ ყველა ერთად და ბრალიანმა თუ უბრალომ ის ვიყვიროთ, რასაც ოსტანკინოს ტელეცენტრში ერთი ქართველი ხეიბარი ყვიროდა? რას მოგვიტანს მერე ეს ცხოველური ყვირილი, რომლის გამოც მთელი მსოფლიო თავზე ჰომერულ ხარხარს გვაყრის?

პრივატიზაციის პრობლემას ჩემდა უნებურად ერთობ დავშორდი, რისთვისაც ბოდიში უნდა მოვიხადო, მაგრამ რადგანაც ასე ღრმად შევტოპე, რამდენიმე წუთით კიდევ ვითხოვ მკითხველის ყურადღებას.

ყოფილ საბჭოთა კავშირის მწერალთა უკანასკნელ ყრილობაზე, კრემლში რომ გაიმართა,როგორც ყველასათვის ცნობილია, ქართველ ერს ტრიბუნიდან გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენეს: მას საჯაროდ, მთელი მსოფლიოს გასაგონად, ავადმყოფი ერი უწოდეს, რასაც ხალხმრავალმა დარბაზმა ერთსულოვანი მქუხარე ტაშით უპასუხა. ეს იყო სიძულვილისა და ჩირად არჩაგდების მძვინვარე ტალღა, რომელსაც ყველასა და ყველაფრის წალეკვა შეძლო.

რადგანაც სხვა გზა აღარაფერი დაგვრჩენოდა, ჩვენ, საქართველოს წარმომადგენლებმა, ნიშნად პროტესტისა, ყრილობა დავტოვეთ.

ვიცოდით კი მაშინ, როცა ფოიერში გამოვდიოდით, რომ ქართველთა არაკეთილმოსურნეების, არცთუ ,ნიკს მოკლებული რუსი ლიტერატორების პირით თვით ჭეშმარიტება ღაღადებდა? რომ მანკის შემჩნევა გარედან უფრო ადვილია, ვიდრე შიგნიდან და როდესაც ამ მანკზე ბოროტად თუ კეთილმოსურნედ მიგითითებენ, პროტესტი კი არ უნდა გამოხატო და ფორუმიდან ამაყად თავაწეული გახვიდე, რითაც კიდევ უფრო სასაცილო ხდები, არამედ თავი უნდა ჩაღუნო და შენს, შენი ერის მდგომარეობას ჩაუფიქრდე, ჩიხიდან მისი გამოყვანის გზები ეძებო!

მწერლები, ვინც იქ ჩვენს ერს წარმოვადგენდით, ასე არ მოვქცეულვართ. შინ ვალმოხდილნი დაებრუნდით, თითქოსდა მეტროპოლიის სატახტო ქალაქში დიდი რამ სანაქებო საქმე გაგვეკეთებინოს, ერი კი, ჩვენი მშობელი ერი,მრავალ ჭირსა და ვაებაში გამოვლილი, ისევე ავადმყოფი დაგვრჩა, როგორც მანამდე იყო.

მაშ, სხვა რა ეწოდება იმას, რაც დღესდღეობით გვჭირს, თუ არა ავადმყოფობა, ავადმყოფობა საშინელი, ძნელად მოსარჩენი, შორს წასული, ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანისათვის თითით საჩვენებელი?

თავი რომ უაღრესად ცივილიზებული, დიდად კულტურული, ეპოქის სიმაღლეებზე მდგომი, სანატრელ დემოკრატიისაკენ მიდრეკილი ერი გვეგონა, ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, თურმე ის ერი ვყოფილვართ, რომლის წიაღშიაც ადვილად შეიძლება გაიფურჩქნოს და გაღვივდეს შემზარავი, შუასაუკუნოებრივი ტოტალიტარიზმი, შეუზღუდავი დიქტატურა, ერთთა განუზომლად განდიდება და მეორეთა ფეხქვეშ გათელვა!

ჩვენ, მხოლოდ ჩვენ გვახასიათებს თურმე, ყოფილ საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ერისაგან განსხვავებით, პიროვნების გაფეტიშება, მესიის რანგში აყვანა, რომელსაც მხოლოდ ერისაგან მონიჭებული უფლებები აქვს, მოვალეობა კი არავითარი არ ეკისრება, ვისაც შეუძლია, ერს შეიარაღებისაკენ მოუწოდოს, რათა საკუთარი სისხლით დაიცვან ეროვნული თავისუფლებისთვის დაცემულთა გვამებზე აღმართული მისი ტახტი, ვისაც ხელეწიფება პირად კარიერას ასობით თანამემამულის სიცოცხლე ანაცვალოს და ძმათამჭელტი ომისაგან დაქცეული სამშობლოდან გადახვეწილმა, სადღაც თავშეფარებულმა, კულტურული მსოფლიოს გასაგონად თავი მოიწონოს, მე ვარ ის პირი, კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, ვინც საქართველოში ეროვნულ დაუმორჩილებლობას მეთაურობს, ვინც საბოტაჟს აწყობს, რკინიგზებსა და ხიდებს აფეთქებს, რათა ქვეყანა დანარჩენ სამყაროს მოსწყვიტოს, სამშობლოს უკეთესი შვილების დასახოცად უცხო ტომის დაქირავებული მკვლე-

ლებს აგზავნის და იმედს უკანონოდ შეიარაღებულ თანამზრახველებზე ამყარებს!

აფერუმ, ბიჭო!

ერის არცთუ მცირე ნაწილი კი რას შვრება ამ დროს? ფანატიკოსთა მიტინგებს მართავს და მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირის: „დაგვიბრუნეთ ჩვენი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი!“ „ძირს სისხლისღვრით მოსული დროებითი მთავრობა!“ „სა-ქართ-ვე-ლო!“ „სა-ქართ-ვე-ლო!“ „სა-ქართ-ვე-ლო!..“

რა არის ეს, ჩემო საბრალო თანამემამულენო, ქართელებო და კახელებო, იმერლებო, მეგრელებო და გურულებო, აჭარლებო და სამცხე-ჯავახელნო, თუშ-ფშაე-ხევსურნო,რაჭველებო და სვანებო, ყველა ერთად ქართველებო, რა არის ეს, თუ არა ავადმყოფობა? რა დავარქვათ საყოველთაო ფსიქოზს, რომელმაც საზოგადოების მრავალი ფენა მოიცვა, რასაც მოჰყვა ერის სულიერი საყრდენების მოშლა, მორალური დეგრადაცია, რაც ამ ზომით და ამ მასშტაბით არ ახსოვს საქართველოს ისტორიას?! გაიღვიძეს ველურმა ინსტინქტებმა, თურმე აქამდე რომ ბუდობდნენ ქართველი კაცის ბუნებაში, გაიღვიძა აღვირაწყვეტილმა სიხარბემ, მოძმის ნაოფლარის დანაშაულებრივად მისაკუთრების წყურვილმა, ულმერთობამ, ფარისეველობამ, შეუბრალებლობამ, ცინიზმმა, ერის კულტურულ ფასეულობათა ფეხქვეშ გათელვის ვნებამ, ადამიანებს მოსწყურდათ ძმათა სისხლი, გადაეკიდა კუთხე კუთხეს, ცოლი – ქმარს, შვილი – მშობელს, მეზობელი – მეზობელს. მეფობს სიძულვილი, სიძულვილი და მხოლოდ სიძულვილი! ვინ დაგვწყევლა ასე საშინლად, ნეტა რა ცოდვა მიგვიძღვის ასეთი, ძლივს ერთი სახელმწიფო დროშის ქვეშ შეკოწიწებული სამშობლო რომ თვალწინ გვენგრევა და ჩვენ კი უმწეონი ვართ, ვერაფერი გაგვიწყვია!

რა არის ეს, თავს უფლებას ვაძლევ და კიდევ გეკითხებით, თუ არა მტრისთვისაც კი თავზარის დამცემი, ძარღვებში სისხლის გამყინავი ავადმყოფობა? ეს ხომ ფაქტია, ეს ხომ ჩვენთვის არავის დაუბრალებია, ეს ხომ დღისით, მზისით მთელი კულტურული კაცობრიობის თვალწინ ხდება!

ვინ ვარ მე, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, გულის გამგმირავი სიტყვები ქაღალდზე რომ გამომყავს, კრემლის აგენტი, ქართველი ხალხის მტერი,როგორც ვიღაც „მიმომხილველები“ და მათი ხელის დამცელი არამზადები ამ ცოტა ხნის წინათ შავით თეთრზე ამტკიცებდნენ? დღეს საშუალება მეძლევა, გაზეთის შემწეობით ვიყვირო, ვიყვირო მთელი ერის გასაგონად, რომლის სულიერი ამაღლებისათვის ცოტაოდენი წვლილი იქნებ მეც მიმიძღვოდეს, რომ უფსკრულში გადავცვივდით, რომ მეფე შიშველია, რომ როგორმე უნდა ამოვიდეთ ამ უფსკრულიდან, უნდა დავიბრუნოთ ადამიანის სახე და კვლავაც შევუერთდეთ კულტურულ საზოგადოებას, რომლის სრულუფლებიანი წევრიც ოდესღაც ვიყავით, არ ვიყვირო?

საზოგადოების საფუძველთა საფუძველი, როგორც უჩვენოდაც **დიდ ხანია ცნობილია, ეკონომიკაა. ვიდრე მყარ ეკონომიკურ საფუძ**ველს არ შევქმნით, ვიდრე დოვლათს არ დავაგროვებთ, ვიდრე მრეწველობა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგი არ ამუშავდება და ნაყოფს არ მოგვცემს, ჩვენი საშველი არ იქნება! მოსკოვს კრემლების

არა სჯერაო. განა მარტო მოსკოეს! ამაში ხომ სულ ბოლო ხანს მიმდინარე მოვლენებმა დაგვარწმუნა. არაფერს მოგვიტანს გულუბრყვილო თავისმართლება: რა გაეწყობა, ასეთი მემკვიდრეობა მივიღეთო. როგორი მემკვიდრეობის პატრონიც არ უნდა ვიყოთ, სამშობლოს არავინ გამოგვიცვლის, ეგ არის და ეგ! ტყავში უნდა გავძვრეთ, ყველა სულიერი და ფიზიკური ენერგია დავძაბოთ და თავი დავაღწიოთ კრიზისს, რომელშიაც მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზის წყალობით აღმოვჩნდით!

მართალი მოგახსენოთ, გულში იმედის შუქი ჩამიდგა, ტელეეკრანიდან ჩვენი გლეხკაცების დარბაისლური, აწონილ-დაწონილი საუბარი რომ მოვისმინე. რამდენი უნდა მეწანწალა სოფელ-სოფელ, კუთხიდან კუთხეში, რაიონიდან რაიონში,ისიც როდის, როცა ყოველ ბუჩქსუკან ჩასაფრებული მკვლელი და მძარცველი გელოდება, რომ საქმისთვის აგრერიგად საჭირო ფასდაუდებელი ინფორმაცია დამეგროვებინა!

მოკამათეთაგან ზოგი ცხარობს, მართალია, თანასოფლელებს, ვისაც მათზე მეტი გაეგება, აზრის დაბოლოებას არ აცლის, მაგრამ ერთი მაგათ გულშიაც ჩაიხედოს კაცმა: ტკივილი აყვირებთ! ეს ერთხელ მიეცათ ხმის ამოღების უფლება და ახლაც არა თქვან?

დალაგებულადაც, საბუთიანად, საქმის ზედმიწევნით ცოდნითაც რამდენი ვინმე ლაპარაკობს! თურმე არც ასე ადვილად ხელწმოსაკრავია სოფლად კერძო საკუთრების აღდგენა, მიწების პრივატიზაცია, როგორც ბევრ საქმეში ჩაუხედავ პირს შეიძლება ეჩვენოს. ჩვენი სოფლის ცხოვრებაში ეს რევოლუციას უდრის. ყველა ერთხმად ეთანხმება და მხარს უჭერს მთავრობის მიერ წამოჭრილ აზრს, რომ პრივატიზაცია, რომელსაც სოფლად ესაა ვიწყებთ, დროულია, გადაუდებელია, დაგვიანებულიც კია. ამ დონეზე და უფრო წინ ჩვენ ჯერ კიდევ შარშან ამ დროს უნდა ვყოფილიყავით. მიზეზთა და მიზეზთა გამო დავიგვიანეთ და ქვეყანაც ჩიხში მოექცა, გზა ახალმა სიძნელეებმა გაგვირთულეს.

კახელები თვლიან, რომ ვჩქარობთ, ასე საჰაიჰაროდ, როცა საგაზაფხულო სამუშაოები უკვე კარზე გვიკაკუნებენ, პრივატიზაციის პირველი ეტაპის მართებულად ჩატარება გაძნელდება. გაძნელდება თუნდაც იმის გამო, რომ სოფლების მიმდებარე მიწები ხელშეუხებელ ფონდებშია მოქცეული, რომელთა საკარმიდამო მიწებად გაცემას კანონი კრძალავს, ის მიწები კი, რომლებიც პრივატიზაციას ექვემდებარება, სოფლებს ოცი-ოცდაათი და მეტი კილომეტრითაა დაშორებული. რა აზრი აქვს ამ ნაკვეთების გამოყოფას და კერძო საკუთრებაში გადაცემას? აქამდე მისასვლელად ხომ გლეხს არც ტრანსპორტი მოეპოვება და არც საწვავი?!

ეს პრობლემა ხომ ყოველთვის დარჩება, სანამ ქართველი გლეხი ამერიკელი ფერმერის მდგომარეობას არ მიაღწევს!

ამას რომ ვამბობ, მე მახსენდება ტარიბანას ველი, სადაც დედოფლისწყაროელ მევენახეებს ვენახების დიდი მასივები აქვთ გაშენებული. რაიონის სოფლებიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებული ეს მასივები ივრის წყლით ირწყვება. წყალს სატუმბავი სადგურის საშუალებით ტუმბავენ და მასივების თავზე მოთავსებულ, რამდენიმე მი-

ლიონი კუბმეტრის ტევადობის საგუბარს ავსებენ, საიდანაც საჭიროებისდა მიხედვით წყალი ნაკვეთებს მიეწოდება.

როგორც ვხედავთ, ტარიბანის მასივების გაშენება, მოვლა-პატრონობა, მოსავლის მოწევა და შინ მიტანა დიდ მატერიალურ ხარჯებს მოითხოვს, ამ ხარჯების დანაწევრება კი, ტექნიკური თვალსაზრისით, ყოვლად წარმოუდგენელია. მას ბევრად უფრო შეძლებული, სათანადო ტექნიკით აღჭურვილი მრავალრიცხოვანი პატრონი სჭირდება, ვიდრე ერთპიროვნული გლეხია, რომელსაც სახლიდან ნაკვეთამდე გადასაადგილებელი სატრახსპორტო საშუალებაც აო გააჩხია, ეგ კი არა, ცხენი, ხარი ან კამეჩიც კი არა ჰყავს.

იგივე შეიძლება ითქვას შირაქისა და ალაზნის ველ-მინდვრებზე, საქართველოს პურის ბელელზე, სადაც გარდა ხორბლეულისა სხვა კულტურებიც მოჰყავთ და მეცხოველეობის დიდი კომპლექსებია განლაგებული.

აი, როგორ პირობებში ხდება პრივატიზაცია კახეთის რეგიონში, თანაც სასწრაფოდ, საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე!

არ უნდა იყოს საფუძველმოკლებული სიღნაღელი და ყვარელი გლეხობის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, თუ შევეცდებით, კახეთის რაიონებში, სადაც ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით საგაზაფხულო სამუშაოები ადრე იწყება, პრივატიზაციის პირველი პერიოდი ამ გაზაფხულზევე განვახორციელოთ, ეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს მიიღებს და იმ შედეგს ვერ მოგვცემს, რასაც აქედან მოველით. ამიტომაც ჯობს, საგაზაფხულო და სხვა სამუშაოები ძველი წესით წარვმართოთ, ჭირნახული მოვიწიოთ და პრივატიზაცია მშვიდად, ყოველგვარი ფუსფუსისა და აჩქარების გარეშე, შემოდგომაზე ჩავატაროთ.

გადახედვას მოითხოვს თვით კანონიც პრივატიზაციის შესახებ და ის ნუსხაც, სადაც ჩამოთვლილია სოფლების მიმდებარე ნაკვეთები, რომლებიც საკარმიდამო ნაკვეთის დანამატის სახით გაცემას არ ექვემდებარება. საკარმიდამო იმის საკარმიდამოა, რომ იგი სოფლის ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული და მისი მოვლა გლეხს მამაპაპური იარაღებითაც უნდა შეეძლოს. ამიტომ დადგენილ ნორმამდე საკარმიდამო მიწების შესავსებად სწორედ სოფლის მიმდებარე მიწები უნდა გაიცეს და არა ტარიბანისა, შირაქისა და ალაზნის ველის მასივები, რომელთა დამუშავებასა და მოვლა-პატრონობას კვლავაც მსხვილი სახელმწიფო ან რაიონული მასშტაბის სამეურნეო ორგანიზაციები დასჭირდება.

მაგრამ რაც გარდაუვალია კახეთისათვის, ის სრულებითაც არ არის სავალდებულო დასავლეთ საქართველოს მცირემიწიან რაიონებისათვის, თუმცა მსგავსმა სიძნელეებმა შეიძლება იქაც წამოჭყონ თავი.

კომუნისტებს ერთი სახელმძღვანელო ფილოსოფიური სენტენცია ჰქონდათ, რომელსაც უპირველეს ყოვლისა თავად არღვევდნენ და არასოდეს არ იყენებდნენ: ყველაფერი დამოკიდებულია ადგილსა, გარემოებასა და დროზეო. ამას სხვაგვარად კონკრეტული აზროვნება ერქვა. ეს აზროვნება ვითომ შაბლონს უპირისპირდებოდა და ყოველგვარი სახელმწიფო ღონისძიების ჩასატარებლად ადგილობრივი პირობების გათვალისწინებას მოითხოვდა. ამას ხელი არ შეუშლია საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობისათვის, ცენტრიდან დაშვებული

დირექტივის თანახმად, აღმოსავლეთ ევროპის უნაპირო ველებზე გაშენებული რუსეთისა და უკრაინის „გამოცდილება“ გაეზიარებინათ და ჩვენს მთაგორიან რესპუბლიკაში, სადაც ბევრგან თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებს, ე.წ. სკოლმეურნეო მშენებლობა წამოეწყოთ.

არა მარტო პლანეტა დედამიწის ერთი მეექვსედის მასშტაბით, საბჭოთა კავშირი რომ ეწოდებოდა, „საყოველთა კოლექტივიზაცია“, კერძო გლეხური მეურნეობის მოშლა და მის მაგიერ კოლექტიური მეურნეობის ჩამოყალიბება, თვით ერთი ციცქნა საქართველოს მასშტაბითაც კი „ადგილობრივი პირობების“ გათვალისწინების სრული უგულვებელყოფა იყო, რამაც რესპუბლიკის უდიდეს ნაწილში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის გაჩანაგება, მოსახლეობის გაღატაკება, საარსებო საშუალებების სოფლის გარეთ ძიება, სოფლების მასობრივი აყრა, ქალაქისაკენ ლტოლვა, ისტორიული საცხოვრისების გაუქმება, ქართველი გლეხის მიწიდან საბოლოოდ მოწყვეტა და სასოფლო-სამეურნეო ჰირნახულის მწარმოებლიდან მისი მომხმარებლად გადაქცევა გამოიწვია.

ზემო იმერეთის იმ სოფელში, სადაც მე დავიბადე და ვიზრდებოდი, ბევრი იყო ოჯახი, რომელსაც კოლმეურნეობაში 500-600 შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული, წლის ბოლოს კი შინ ერთი გამოცხობა მჭადის ფქვილი და ერთი ქოთანი ლობიოც არ მოჰქონდა.

ეს გახლდათ მონათმფლობელობის ყველაზე მახინჯი ფორმა, რომელსაც ცენტრი ნერგავდა და პერიფერიაც ვალდებული იყო მით ეხელმძღვანელა. ყველაზე მახინჯი ფორმა იმიტომ, რომ არ არსებულა ქვეყნად ისეთი მონათმფლობელი, რომელსაც თავისი მონის, თავისი მუშა პირუტყვის სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად არ ეზრუნოს. საბჭოთა ხელისუფლება სოფლად ამ ლაბა ხარის დავარდნასაც არ უშინდებოდა. მანამ ხედნიდა და ყელეფავდა შეუბრალებლად, ვიდრე საცოდავს პირში სული ედგა, მერე კი წითელი დროშის ფრიალით სასაფლაოზე, სამუდამოდ მოსასვენებლად გააგზავნიდა. სად უნდა მივეყვანეთ ასეთი უკულმართი წესით ცხოვრებას, თუ არა იქ, სადაც მიგვიყვანა?

კომუნისტების სწორი პრინციპი, რომელსაც თავად არასოდეს არ იყენებდნენ, რადგანაც, წინააღმდეგი მათი მტკიცებისა, წმინდა წყლის დოგმატიკოსები ბრძანდებოდნენ, ადგილის, დროისა და გარემოების გათვალისწინება იქნებ საქმის სასარგებლოდ ჩვენ მაინც გამოვიყენოთ, შაბლონების გამოდევნებას თავი დავანებოთ და სახელმძღვანელო გადაწყვეტილება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით თვით ადგილობრივ ხელისუფლებას მივაღებინოთ?

იქნებ არ მოგვეშალა კახეთისა და საქართველოს ზოგიერთი სხვა რაიონის ჩვენი საზომებით უზარმაზარი კოლექტიური მეურნეობები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში თავსაც ინახავენ და წევრებსაც შეძლებული ცხოვრების საშუალებას აძლევენ? ასეთი მეურნე-

ობები მე ქიზიყსა და სამეგრელოში მეგულება. ნუ ავყრით რკინიგზებს, რაკი მით რუსხელმწიფის ოჯახი მგზავრობდა, ის რკინიგზები ჩვენს დღევანდელ მოთხოვნილებებს დაეუმქვემდებაროთ და ისე მოვიქცეთ, როგორც ჩვენს ახლებურ ცხოვრებას მოუხდება.

რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში, ვინც ამჟამად მიწის პრივატიზაციის ურთულეს პრობლემებზე მუშაობს და ახალი გზების ძიება უხდება, ბევრი ჩემი მეგობარია. ვიმედოვნებ, რომ ამ ჩემს წერილს ყურადღებით წაიკითხავენ და არ შემომწყრებიან, თუ მათ ყურამდე ხალხის ხმა მივიტანე.

1992 წ.

არჩევანი ჩვენზეა*

ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ გასული პერიოდი, მწერალთა წინა, მეათე ყრილობას რომ გვაშორებს, ერთ-ერთი ყველაზე უფრო დრამატული პერიოდია საქართველოს მწერალთა კავშირის არსებობის ისტორიაში. იგი დაემთხვა ყოფილ საბჭოთა კავშირში და თვით ჩვენს სამშობლოში, საქართველოში, მომხდარ უდიდეს პოლიტიკურ და სოციალურ ძვრებს და ჩვენ ყველა, ამ დარბაზში მყოფნი, ამ უმნიშვნელოვანესი ძვრებისა და გარდატეხების მოწმე და მონაწილე შევიქენით.

თუ წინა, X ყრილობა კომუნისტური თვითმპყრობელობის პირობებში ჩატარდა, ეს, XI ყრილობა, ტარდება დამოუკიდებელი დემოკრატული საქართველოს პირობებში, რასაც სულითა და გულით უნდა მივესალმოთ!

იწყება ახალი ერა ჩვენი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი ცხოვრებისა!

ქართული მწერლობა დაბადების პირველი დღეებიდანვე ყოველთვის სახალხო და ეროვნული მოძრაობის შუაგულში ტრიალებდა, მისი გული და გრძნობა იყო. ტრადიციისამებრ, წინ უძღოდა, გზას აჩვენებდა ერს და ამიტომ არცაა გასაკვირი, თუ მწერალთა სასახლე, საქართველოს მწერალთა თავშესაყარი შტაბ-ბინა მაჩაბლის ქუჩაზე ამ მოძრაობის შტაბ-ბინა გახდა.

მწერალთა კავშირმა, როგორც შემოქმედებითმა ორგანიზაციამ, ამ წლებში თავისი ტრადიციული სახე დაკარგა. მის დარბაზებსა და ცალკეულ კაბინეტებში შემოქმედებითი დისკუსიების ნაცვლად პოლიტიკური შეხლა-შემოხლები იმართებოდა.

უკვე აქ, მწერალთა კავშირის კედლებში, იჩინა თავი საშიშმა ტენდენციებმა, რომლებმაც შემდგომ ერი სისხლიან კატასტროფამდე მიიყვანა და რომლისაგანაც თავის დაღწევა დღემდე ვერ მოგვიხერხებია.

ამ მტკივნეულ ამბავს იმისათვის მოგახსენებთ, რომ არ შეიძლება, განვლილი უახლოესი პერიოდის მწერლობის თაობაზე თუნდ ერთი სიტყვა დასძრა და არ დაუკავშირო იგი ერის ყოველდღიურ ცხოვრებას. მწერლობა ხომ თავისი ბუნებითა და დანიშნულებით გულის გულია ამ ცხოვრებისა და მისი ამა თუ იმ პერიოდის ისტორია გარკვეული აზრით ემთხვევა და გამოხატავს კიდეც ერის ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთს.

ტრაგედიის ჩანასახზე ლაპარაკისას მე ვგულისხმობ არა მარტო ცალკეულ პირთ, მათ შორის სხვადასხვა ყალიბის ლიტერატორთა, მისწრაფებას, თავიანთი პიროვნული როლის წინ წამოწევას რომ ლამობდნენ, რათა მუდამ მოვლენათა ზედაპირზე ეტივტივათ და მოძრაობაში სხვათაგან გამორჩეული მდგომარეობა დაეკირათ, არამედ, უპირველესეს ყოვლისა, იმას, რომ საქართველოში იმთავითვე არასწორად იქნა გაგებული და შეფასებული დიდი მსოფლიო-ისტორიული

---

* შესავალი სიტყვა საქართველოს მწერალთა XI ყრილობაზე, 1992 წლის 25 მარტს

მოვლენა, რომელიც ყოფილი კომუნისტური იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეებზე ხდებოდა.

ჩვენში დავიწყებას მიეცა უბრალო ჭეშმარიტება, რომ საბჭოთა იმპერიის არც ერთ პერიოდში, სტალინამდე, სტალინის დროს და სტალინის შემდეგ არასოდეს არ შექმნილა და ვერც ვერასოდეს შეიქმნებოდა იმპერიის მიუდგომელი ციტადელის ქვემოდან დანგრევის რაიმე შესაძლებლობა.

არამცთუ ადრე, როცა პოლიციური სახელმწიფო მანქანა შეუფერხებლივ მუშაობდა და ყოველ ცოცხალ აზრს ჩანასახშივე კლავდა, კავშირიდან გასვლაზე და დამოუკიდებლობაზე ფიქრი და მცდელობა, თვით რამდენიმე წლის წინათაც კი, საბჭოთა კავშირში შემავალ ყოველ ერს ფიზიკურ განადგურებას, უკეთეს შემთხვევაში ისტორიული საცხოვრისიდან აყრას და უკიდეგანო აზიის რომელიღაც მიყრუებულ, უდაბურ კუნჭულში გადასახლებას უქადდა!

მაშ, როგორია დასკვნა? მაშ, ხალხები, მათ შორის იარაღის ძალით წამოჩოქებული და დაპყრობილი ქართველი ხალხი, განწირული იყო სამუდამო მონობისათვის და მოქმედების მაგიერ ყოველ მის შვილს გულხელი უნდა დაეკრიფა? ნუთუ კომუნისტ იმპერიალისტთა ციხე-სიმაგრე მართლაც ყოველმხრივ მიუდგომელი იყო, არსაიდან შემოევლებოდა და არა ძალას არ შეეძლო მისი დანგრევა?

ისტორიამ დაგვიდასტურა, რომ ბუნებაში არსებობდა ორად ორი შესაძლებლობა, რომელსაც ძალუძდა, პარტიულ დიქტატურაზე დაფუძნებული საბჭოთა ხელისუფლება პირისაგან მიწისა აღეგავა.

პირველმა მათგანმა, ყოვლისმომცველმა სამხედრო ინტერვენციამ, გარედან დარტყამამ, ჯერ 1920 და შემდეგ 1945 წელს მარცხი განიცადა. ფაშისტების სახით ახალი ავტორიტარული რეჟიმის დაბადებამ ევროპის ცენტრში მსოფლიო დემოკრატიის ბალანსი დაარღვია და ევროპისა და ამერიკის დემოკრატიული სახელმწიფოები სწორედ იმ ბანაკში აღმოჩნდნენ, რომლის წინააღმდეგაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ებრძოლათ!

კაცობრიობას რჩებოდა მეორე და ერთადერთი შესაძლებლობა: კომუნისტური იმპერიის სათავეში უნდა მოსულიყვნენ ადამიანები, თვით კომუნისტები, ლენინ-სტალინის პარტიის გამოზრდილები, რომლებიც ზემოდან, ყოველგვარი სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე დაშლიდნენ ათეულობით მილიონი ადამიანის ძვლებზე აგებულ მიუდგომელ ციხე-სიმაგრეს, ვინაიდან ქვემოდან მისი აფეთქების ყოველი ახალი მოწადინება, ანდა კონსტიტუციური გარდაქმნების მოხდენის ცდა უიმედო საქმე იყო და კვლავაც მრავალი მილიონი ადამიანის უაზრო მსხვერპლს გამოიწვევდა!

ვერ ვიტყვი, რომ გორბაჩოვის „პერესტროიკას", საჯაროობას და სხვა მისთანებს ასე შორს მიმავალი მიზნები ჰქონოდათ. მე თუ მკითხავთ, ის პოლიციური სახელმწიფოს დემოკრატიული საკერველით შერემონტებას აპირებდა, მაგრამ, როგორც სახარებაში სწერია, არ ჩაისხმება ახალი ღვინო ძველ ტიკში და არც ძველი ტანსაცმელი დაიკერება ახალი საკერველით!

ასე თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უსასტიკეს იმპერიას, რეჟიმს, რომელიც გაუგონარ

სიცრუესა და ძალმომრეობაზე იყო აგებული, ყოვლის დამანგრეველი ნაღმი გორბაჩოვმა დაუდო და მსოფლიო-ისტორიული აფეთქების შემდეგ იმპერიის შემადგენელ ცალკეულ რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, ეროვნული მოძრაობის სრული ლეგალიზების შესაძლებლობა დაიბადა!

ახლა საჭირო იყო მოვლენათა გონიერული მართვა და ყოველგვარი დანაკარგის, ზედმეტი ფუსფუსისა და ცალკეული ხელმძღვანელების მხრიდან პატივმოყვარული გამოხდომების გარეშე სამშვიდობო ნაპირზე გასვლა, რაც ჩვენგან განსხვავებით, კიდევაც მოახერხეს მთელმა რიგმა რესპუბლიკებმა და სანუკვარ მიზანს ყოველგვარი 9 აპრილის გარეშე მიაღწიეს!

სწორედ ეს ისტორიული შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული საქართველოში, ვინაიდან საწინააღმდეგო აზრის დამტკიცება და ბოგინი, თითქოს იმპერიის ნგრევა ქვემოდან მომხდარიყოს, მომხდარიყოს ამა და ამ პირთა თავგანწირული ხელმძღვანელობით, ამა და ამ ერის საპროტესტო აქციებისა და ეროვნული დაუმორჩილებლობის წყალობით, ხალხის მოტყუების გზაზე დამდგარ ზოგიერთ ლიდერს და მის ფეხისხმას აყოლილ ბრბოს სჭირდებოდა.

ვერ ვიტყვით, რომ ქართული პრესა დუმდა, ინტელიგენციის, მწერლობის მხრიდან არც ერთი გამომაფხიზლებელი სიტყვა არ თქმულა და არ დაბეჭდილა, თითქოს ყოველივე თვითდინებაზე, საკუთარი პერსონით აღტაცებული მანიაკების ნება-სურვილზე იყო მიშვებული, რომ ისტორიული სიმართლის გასარკვევად და მოძრაობის სწორი გეზის ასარჩევად არაფერი გაკეთებულა. გაკეთდა, ითქვა, გამოქვეყნდა, მაგრამ, საუბედუროდ, მასა ისე იყო დაელექტროებული, რომ გონების ხმის გაგონება ჭირდა. მას ახშობდნენ ყოველგვარი საშუალებით. ამან ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა ცალკეული პირების ყოვლად დაუმსახურებელ განდიდებას, გაფეტიშებას, მესიის რანგში აყვანას, იმ სახელების დარქმევას, რაც მათ არ ეკუთვნოდათ და მოძრაობის გულწრფელ, პატიოსან მონაწილეთა რიგების დანაგვიანებას პირადი გამორჩენის მაძიებელი სუბიექტებით.

ჰიპნოზში მყოფ მასას მიაჩნდა, რომ ერთადერთი სწორი აზრი ხელთ ეპყრა, აზრი, რომელიც მას თავს მოახვიეს და ვინც ამ აზრს უყოყმანოდ არ გაიზიარებდა, იგი კომუნისტური რეჟიმის მომხრის, საქართველოს გათავისუფლების მოწინააღმდეგის იარლიყს იმსახურებდა. არა და, ამ საქმეში ღრმად ჩახედულ მოაზროვნე ადამიანებს, სამშობლოს ბედზე ფიქრში და მისთვის თავის გამოდებაში მრავალი პერანგი რომ შემოსცეოდათ, არ შეეძლოთ, წრფელ, მაგრამ ზერელე ემოციებს აჰყოლოდნენ და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა ქუჩაში, ხალხმრავალ მიტინგებზე, მტრისა და მოყვარის თანდასწრებით გადაეწყვიტათ.

საყოველთაო ფსიქოზის დანერგვაში, რამაც ბევრი მიტინგის მონაწილე სრულ გაველურებამდე მიიყვანა, ვაი რომ წილი ჩვენი სამწერლო ორგანიზაციის წევრებსაც მიუძღვით. ეტყობა, გადაწყვიტეს, თავიანთი შემოქმედებითი უნაყოფობის კომპენსაცია პოლიტიკურ ბრძოლაში გარევით და ძალაუფლების მოპოვებით მოეხდინათ. ისინი მათ შორის იდგნენ, ვინც ჩვენს წიგნებს აუტოდაფეს უწყობდა, უბრალოდ

წვავდა და ავტორებთან ფიზიკურ ანგარიშსწორებას მოითხოვდა. საზოგადოებისათვის გზის დაბნევაში, შავის თეთრად გამოცხადებაში, ძმათა სისხლის ზღვად დაქცევაში ხსენებულმა პირებმაც დაიდეს წილი და ეს წილი სხვათა წილზე ნაკლები როდი იყო!

დღეს ზოგიერთი თავს იკატუნებს, მონანიების წერილებს წერს, თავს იმართლებს და ის კოშმარი კი დავიწყებია, რითაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ემუქრებოდა!

გამცემლობის და ღალატის სიმბოლოა „ლიტერატურული საქართველოს" თურცლებზე დაბეჭდილი ოპუსი ვინმე ინკოგნიტო „მიმომხილველისა", ვინც ეშეფოტზე ასაყვანად გაიმეტა თითქმის მთელი ქართველი მწერლობა, რათა შავანი და მავანი ხელისუფალი ესიამოვნებინა და გასამჯელოდ ჯინჯილები და ოქროს ეპოლეტები მიეღო!

ასეთი რამ ხომ თვით ბოლშევიკ-ფანატიკოსებსაც არ გაუკეთებიათ, როდესაც დაპყრობილი ქვეყნის სათავეში მოდიოდნენ და ჩვენს ღვაწლმოსილ კლასიკოსებს მჩაგვრელი კლასების ინტერესების გამომხატველად რაცხდნენ.

მთელი ქართული ინტელიგენცია, ე.წ. მამათა თაობა, უპირველეს ყოვლისა მწერლები, კომუნისტური ხელისუფლების მიერ მოსყიდულად, კორუმპირებულად გამოცხადდა. ბევრი ენაალესილი ორატორი, მათ შორის ისინი, ვისაც ჯიბეში საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის ბილეთი ედო, დემაგოგიით გაბრუებულ მსმენელებს მიტინგზე არწმუნებდნენ, ქართველ ერს სიმართლისათვის წამებული, სიყმაწვილიდანვე ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ორად ორი გმირი ჰყავდა და ჰყავსო, რომლებმაც მარტოდმარტო იშიშვლეს მახვილი და იმპერიის მიუვალი ციხე-სიმაგრის კედლებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენო.

მე სრულებითაც არ მსურს რაიმე ჩრდილი მივაყენო ვისიმე კეთილ ზრახვას, მით უფრო მოქმედებას, მაგრამ არ შეიძლება, მთელი ქართული მწერლობის წინაშე პირში წყალი ჩავიგუბო, ვისიმე შიშით ან სასიამოვნებლად დავდუმდე და დემაგოგიას, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, კვერი დავუკრა.

დავიწყებ ცოტა შორიდან, რათა ქართული მწერლობის მეამბოხე სულის განვითარება და უწყვეტობა ნათელვყო.

რა იყო და რა არის „ჯაყოს ხიზნები", „ყვარყვარე თუთაბერი" და „დიდოსტატის მარჯვენა", თუ არა შეურიგებელი პროტესტის გამოხატვა ტირანიული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, მისი არსის წარმოჩენა, სამზეოზე გამოტანა და სამარცხვინო ბოძზე გაკვრა?

რა იყო და რა არის ლადო ასათიანისა და ანა კალანდაძის პოეზია, თუ არა სამშობლოს კერპის წინაშე ლოცვა, ადამიანის სულის სიღრმეებისაკენ მიბრუნება, რაც იმ დროს პირსისხლიან ნაციონალიზმად აღიქმებოდა და შანთით ამოსაწვავად იყო განწირული?!

რისთვის დაუკრეს ლექსების პირველი წიგნი ლადო ასათიანს, რამაც მისი სიცოცხლე შეიწირა, იქნებ იმისთვის რომ სული ეშმაკს მიჰყიდა და არსებულ რეჟიმს გუნდრუკს უკმევდა?

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის უმალვე რისთვის დაესხნენ თავს ანა კალანდაძეს, ნუთუ იმისათვის, რომ წინამორბედთა აღთქმას უღა-

ლატა და კომუნისტურ ძალადობას, კრემლის ძლევამოსილებას...ჭიმნი უძღვნა?

რისთვის განიხილა საქართველოს კომპარტიის ცანტრალური კომიტეტის ბიურომ და რისთვის გადასცა ანათემას ოთარ ჩხეიძის რომანები „ჯებირი", „ბურუსი" და „მეჩიჩი", ნუთუ იმისათვის, რომ ამ მწერალსაც ცოუნებამ სძლია, კრემლს ოცდაათ ვერცხლად მიეყიდა და მხოლოდ მის სიამოვნებაზე ფიქრობდა?

რისთვის გამოაძევეს უნივერსიტეტიდან კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე, ნუთუ იმისათვის, რომ ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტებს და სხვებს, მის ლექციებს რომ ესწრებოდნენ, მარქსიზმ-ლენინიზმის ხოტბა-დიდებას უკითხავდა?

იქნებ ეს უკეთური ეპვი „ცოდვილის", „თვალი პატიოსანის", „აბელის დაბრუნების", „ვარსკვლავთცვენის", „ცისფერი მთების", „გოლიათის", „ჩიტების დარდის" ავტორებსა და სხვათა და სხვათა მიმართაც აღგვეძრას? იქნებ ბატონის ნასუფრალს ითხოვს პოეტი 1971 წელს დაწერილ ლექსებში:

მშვენიერია ორ ზღვას შუა
კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ ვის?" ბებერ
გულში ლახვრად მაჩნია.
არავითარი სხვა სამშობლო
ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

მე, როგორც ხედავთ, არ ვცდილობ მწერლობის ამათუ იმ პერიოდის მიმოხილვას. მიმოხილვა შორს წაგვიყვანდა და არც ურიგო იქნებოდა, მაგრამ ეს არ არის დღეს ჩემი ამოცანა. მე მხოლოდ იმის ნათლად წარმოდგენა მსურს, რომ, წინააღმდეგ დემაგოგიური მტკიცებისა, ხელმოცარულმა პირებმა ხალხში რომ გაავრცელეს, რათა ცარიელ ადგილზე თავი უფრო ხალვათად ეგრძნოთ, მწერლობა ყოველთვის იქ იყო და არის, სადაც ევალება და მშობელი ერის უანგარო სამსახურზე უარი მას არასოდეს არ უთქვამს.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებს, ამინდს კი მხოლოდ ისინი ქმნიან ლიტერატურაში, უკან არ დაუხევიათ, თავიანთ რაინდულ სულს, ეროვნული იდეალებისადმი ერთგულებას, ვაჟკაცურ შემართებას ინარჩუნებენ მაშინაც კი, როდესაც, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ეშაფოტზე იდგნენ და სასროლად შემართული თოფის ლულას თვალს უსწორებდნენ.

იქნებ ვინმეს ეს ლიტონი სიტყვები ეგონოს?

1942 წელს სახელმწიფო უშიშროების ჯურღმულში დახვრიტეს კოტე ხიმშიაშვილი, ეს მეორე დიდბუნოვანი ხიმშიაშვილი, ბოლშევიკური ტირანიის მსხვერპლი რომ გახდა, უნიკიერესი მწერალი, ჰუმანარიტ

ინტელიგენტი, რამდენიმე მოთხრობისა და რომან „ჯონქა ხორნაულის“ ავტორი.

მეგობრის ბედი გაიზიარა ინგლისური პოეზიის ბრწყინვალე მთარგმნელმა გიორგი ძიგვაშვილმა და კიდევ რამდენმა, ჩვენთვის ნაკლებად ცნობილმა მათმა თანამოკალმემ, სულ 17 კაცმა.

ისინი დაეცნენ სამშობლოსათვის და ყრილობას ვთხოვ, ერთხელ კიდევ წამოიშალოს, წუთიერი დუმილით პატივი მიაგოს მათ უკვდავ ხსოვნას!

მეგობრებთან ერთად შეიპყრეს და სასჯელის უმაღლესი ზომა დიდი ხნის გადასახლებით შეუცვალეს კიდევ ორ მწერალს: კიტა ბუაჩიძეს და გიორგი კალანდაძეს. თქვენ ყველა იცნობთ მათ. პირველი სახელმოხვეჭილი დრამატურგი და პუბლიცისტია, ხოლო მეორე, აწ განსვენებული გიორგი კალანდაძე, პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატურის თეორეტიკოსი.

როგორ შეიძლება, ამ თემაზე სიტყვა ჩამოაგდო და თვალწინ არ დაგიდგეს მრავალი შთაგონებული ნაწარმოების რომანების, მოთხრობების, პიესების, წერილების ავტორი ლევან გოთუა. თავისი სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი ლევანმა საპყრობილეებსა და გადასახლებაში გაატარა. ბოლოს, სულ უკანასკნელი პატიმრობა რომ გაუთავდა შორეულ ჩრდილოეთში და გამოუშვეს, იქვე პირობა ჩამოართვეს, ამდენი და ამდენი წლის განმავლობაში მშობელ მიწაზე ფეხი არ დაადგა, რადგანაც იქ ცხოვრება აღკვეთილი გაქვსო. მან ისევ ციხეში დაბრუნება არჩია, დაბრუნდა და მანამ იჯდა იქ, სანამ ეს წლებიც არ ამოიწურა.

იქნებ ღირდეს აქ იმის გახსენებაც, რომ თავისი უზარმაზარი რომანი „გმირთა ვარამი“ ლევან გოთუამ მიწის ზედაპირიდან 500–600 მეტრის სიღრმეზე დაწერა ვორკუტის შახტებში. იქ ელოლიავებოდა მწერალი თავისი მტერმორეული სამშობლოს ტრაგიკულ წარსულს!

მრავალი წელი დაჰყო გადასახლებაში მეორე სასიქადულო მწერალმა ქაბუა ამირეჯიბმა. ეს ხომ ერთი იმათგანია, ასე ადვილად რომ გაიმეტა ჩვენმა ინკოგნიტო „მიმომხილველმა“ და მსოფლიოში გახმაურებული რომანის „დათა თუთაშხიას“ ავტორი, სამშობლოსათვის თავდადებული კაცი. სამოცდაათიოდე თანამოკალმესთან ერთად, სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა!

დაპატიმრება და ციმბირის საბადოებში მრავალი წლის გატარება წილად ხვდა ქართველ პოეტებს: მარი აბრამიშვილს და შალვა მჭედლიშვილს. ყრილობის მოსამზადებელმა კომისიამ გაითვალისწინა შალვა მჭედლიშვილის დამსახურება სამშობლოს წინაშე, გაითვალისწინა მისი ლექსების მაღალი მხატვრული ხარისხი და ნახევარი საუკუნის დაგვიანებით მიიღო იგი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად.

პირადად მე ჩემს სიყრმის მეგობარს, შალვა მჭედლიშვილს ვუმადლი, რომ 1942 წელს უკვე მოქმედ არმიაში მყოფი არ დამაპატიმრეს და არ დამხვრიტეს, ვინაიდან 18 წლის ყმაწვილი არალეგალურ ჟურნალს ერედაქტორობდი და მომქმედ არმიაში გაწვევამდე 6 ნომრის გამოშვება მოვასწარი. შალვა აწამეს, მაგრამ არ გატყდა, არ დაასახელა თანამონაწილენი და მსჯავრის მთელი სიმძიმე თვით იკისრა!

1948 წელს დააპატიმრეს და შორეულ ციმბირში გადაასახლეს სამშობლოს მონობის წინააღმდეგ ამხედრებული უნივერსიტეტის სტუდენტები. მათ შორის იყვნენ ჩვენი ნიჭიერი მწერლები ოტია პაჭკორია და გივი მაღულარია.

ცოტა უფრო ადრე 25 წლით გადაასახლეს მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე ტყვედ ჩავარდნილი ლადო სულაბერიძე, ჩინებული პოეტი, დღესაც რომ ჩვეული შთაგონებით მოღვაწეობს და ალექსანდრე კალანდაძე, გამოჩენილი მწერალი, პროფესორი, მრავალი გახმაურებული წიგნის ავტორი, რომლის როლი და დამსახურება საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში საყოველთაოდ ცნობილია.

კომუნისტური დიქტატურის სასტიკი რეპრესიები განიცადეს, დიდი ხანი დაჰყვეს ციხეებსა და გადასახლებებში პოლიტიკურ ნიადაგზე დაპატიმრებულმა მწერლებმა: გიორგი შატბერაშვილმა, მამია ასათიანმა, ალექსანდრე ბეგაშვილმა, ლევან ხაინდრავამ, ალექსანდრე სიგუამ, ვალერიან კანდელაკმა, მირიან აბულაძემ, რამაზ კობიძემ...

არც ერთ მათგანს, ქართველი ხალხის ღირსეულ შვილს, ქართველ მწერალს წარბი არ შეუხრია, სულმოკლეობა არ გამოუჩენია და მოსისხლე მტრის წინაშე არ დაუჩოქია. სამშობლოს საკურთხეველზე უშურველად მიიტანეს ყველაფერი, რაც კი გააჩნდათ, უპირველეს ყოვლისა საკუთარი სიცოცხლე!

როგორ იტყვით, ძვირფასო მეგობრებო, რამდენი გმირი ჰყოლია საქართველოს, თუნდაც მხოლოდ მწერალთაგან, ორი და მეტი არა, ანდა მავანისა და მავანის მიერ ნაგულისხმები გმირები რითიმე შეედრებიან ზემოთ ხსენებულთ?

მაგრამ მე კიდევ არ მითქვამს ყველაფერი, თუმცა ყველაფრის თქმას არცა ვცდილობ. ყველაფერს ათი ასეთი სიტყვაც ვერ დაიტევს!

აქ მყოფთაგან ვის შეუძლია დააკვიწყდეს აზვირთებული, ერთ მრისხანე მუშტად შეკრული, მშობლიური ენის დასაცავად აღმდგარი მე-8 ყრილობა ქართული მწერლობისა, რომელიც მხსნელ 1985 წელზე გაცილებით ადრე, 1976 წელს შეიკრიბა და სათავე დაუდო ეროვნული მოძრაობის ლეგალიზებას საქართველოში. აქ დატრიალებულმა ამბებმა მსოფლიო რეზონანსი მოიპოვეს, რაც ტოტალიტარიზმის ბატონობის ეპოქაში ერთობ იშვიათი მოვლენა გახლდათ. ქართველ მწერალთა ამ ყრილობის შესახებ წლების განმავლობაში წერდნენ ევროპისა და ამერიკის გაზეთები, გადმოსცემდა უცხოეთის რადიო.

მე აღარ გავიხსენებ სხვა უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტებს ქართული მწერლობის ცხოვრებიდან, მაგრამ როგორ შემიძლია, ამ კონტექსტში გვერდი ავუარო გამოჩენილი ქართველი მწერლების, დიდი ქართველი ინტელიგენტების, მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიციან ტაბიძის დახვრეტას და პაოლო იაშვილის მიერ თავის მოკვლას მწერალთა კავშირის შენობაში, რითაც სათავე დაედო სხვაგვარად მოაზროვნე მწერალთა სიცოცხლის ხელყოფას მთელი საბჭოთა კავშირის მაშტაბით?

იმავე 1937 წელს დახვრიტეს ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი დია ჩიანელი – დავით ჩხეიძე, მამა ჩვენი გამოჩენილი კინორეჟისორის რევაზ ჩხეიძისა.

ამ შემზარავი ისტორიული ფაქტების მიჩქმალვა, ვითომც არც არაფერი მომხდარიყოს, თითქოს მწერლობას, ეროვნული ინტელიგენციის ამ ყველაზე უფრო მგრძნობიარე ნაწილს, თავი მორცხვად ჩაეღუნოს და ქედმოდრეკილსა და ხელისუფლების მიერ მოსყიდულის ათეული წლების განმავლობაში მართლაც მტრის გასახარი საქმე ეკეთებინოს, მავანმა და მავანმა განიზრახეს, განიზრახეს ვერაგული მიზნით, რათა ერის ისტორიაში სხვათა ადგილს დაპატრონებოდნენ, სხვის კუბოში ჩაწოლილებს თავი არხეინად ეგრძნოთ.

ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა გამოვტყდეთ, რომ თავიანთ უკეთურ მიზანს მათ ნაწილობრივ კიდევაც მიაღწიეს: ათასობით ალალმართალ ადამიანს, ეროვნული მწერლობის გულწრფელ პატივისმცემელს და მიმდევარს გზა-კვალი აუბნიეს.

სადა გვაქვს დღეს თბილისში ან საქართველოს რომელიმე სხვა ქალაქში ეშაფოტზე გმირულად ასული კოტე ხიმშიაშვილის, გიორგი ძიგვაშვილის და სხვა მათ თანამოძმეთა სახელობის ქუჩები და პროსპექტები, სად არის მათი სახელობის ქარხნები, თეატრები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა მოსწავლე ახალგაზრდობა მათი მამულიშვილური მაგალითის მიხედვით უნდა აღიზარდოს?

ნუთუ ეშაფოტზე ასვლა, სამშობლოს უღალატო სამსახურისთვის შუბლში ტყვიის მიღება ზოგ-ზოგებს, კერპთაყვანისმცემლური სიყვარულის სენით დაავადებულებს, უფრო ადვილად მიაჩნიათ, ვიდრე ორსამ თვეს თუ წელიწადს თავისუფალ გადასახლებაში ყოფნა, როდესაც შინ გავლენიანი მამა და მის მხარში ერთსულოვნად მდგომი მთელი მწერლობა გეგულება?

ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ის მწერლობაა, რომელმაც ჩვენი ექსპრეზიდენტი ციხიდან ორჯერ გამოიხსნა?!

მაშ, თუ ჩვენ, ქართველები, მართლა სამართლიანი ხალხი ვართ და ჭეშმარიტების ერთგულება უზენაეს ზნეობრივ მოვალეობად მიგვაჩნია, რად მივეცით ნება მავანთ და მავანთ, სამშობლოს საკურთხეველზე სისხლდაღვრილი გმირები დაეწიხლათ და მათ მაგიერ წინ წამოქიმულიყვნენ, ეს ჩვენა ვართ, რომი რომ ვიხსენითო?

მწერლობა ერის სინდის-ნამუსია. საქართველოში ოდითგანვე ასე დამკვიდრებულა. მაგრამ იგი განყენებული, აბსტრაქტული ცნება არ გახლავთ. მწერლობა ცოცხალი ორგანიზმია და ცოცხალ ადამიანებისაგან შესდგება. მწერლობის სინდის-ნამუსი მის წევრთა სინდის-ნამუსის ჯამია. არ გვმართებს დავიწყება, რომ თუნდაც ერთი წევრის უზნეობა სახელს უტეხს ერის წმიდათა-წმიდას და თანამემამულეებში გულის აცრუებას, ყველაფერზე ხელის ჩაქნევას ბადებს!

აბა, რა მწერალია ის მწერალი, ვინც თავისი პირადი ცხოვრებითა და შემოქმედებით თავის პიროვნულ, ადამიანურ პატიოსნებას საეკეოდ გახდის და ხალხის ყბაში ჩავარდება?! თუ ის უნიკოა, ჯანდაბას მისი თავი, უნიკო და გაქნილი კაცი, არაფერის წინაშე უკან რომ არ დაიხევს და არც არავის არაფრად უღირს, იძულებულია, ათასი სიკეთე დაიბრალოს და ყოველ გამვლელ-გამომვლელს წინ დაუსკუპდეს, თავი ზეგარდმო ნიჭით ცხებულად მოაჩვენოს, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, რა რჯის ნიჭიერ შემოქმედს, ღმერთს რომ უხვად დაუჯილდოვებია, სამარცხვინოდ დახურდავდეს და რაღაც გამოხრული ძვლის გუ-

ლისათვის საკუთარი პიროვნული ღირსება ვისაც ფეხქვეშ გაათელვინოს!

მაშინ ჯანდაბას, როდესაც ცდები და შენს მიერ ბოლომდე შეუცნობელ ბოროტებას სიკეთის სახელით აკეთებ, მაგრამ თუკი წინასწარვე მშვენივრად იცი, რომ უსინდისოდ ტყუი, ხალხსა და ქვეყანას თვალებში ნაცარს აყრი, რომ შენი ნაბიჯი, ქვენა გრძნობამ რომ გიკარნაჩა, სულმდაბლობაა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმის გამო ერი და შთამომავლობა პასუხს მოგთხოვს, ასე რად უნდა სჩადიოდე?

ვერ დავიჩემებ, ამერიკა აღმოვაჩინე-მეთქი, თუ ვიტყვი, რომ კარიერისტი არამზადაა და მას სამშობლო არა აქვს, არა ჰყავს არც ოჯახი და არც მეგობრები. ის ისე შეპყრობილია განდიდების მანიით, ერთ მშვენიერ დღეს შეუძლია, ყველაფერი - სამშობლოც, ჭეშმარიტებაც, ოჯახიც, მეგობრებიც თავის უსაზღვრო და სრულიად აზრს მოკლებულ აღზევებას, კარიერას შესწიროს. ეს რომ ასე არ მოხდეს, უნდა იფხიზლოს სამშობლომაც, ოჯახმაც, უნდა იფხიზლონ მეგობრებმაც. კაცმა არ იცის, დღეს ან ხვალ ვინ რა გუნებაზე დადგება და სულში ჩამძვრალი სატანა როდის მოითხოვს თავის წილს!

ყველას მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მწერალთა კავშირს ამჟამად არც პრეზიდიუმი ჰყავს და არც სამდივნო, არა ჰყავს არც თავმჯდომარე, რომელიც, როგორც ყრილობის წესია, თქვენს წინაშე საანგარიშო მოხსენებით უნდა წარმომდგარიყო და გახელილი პერიოდის ლიტერატურული პროდუქცია მიმოეხილა, მაგრამ ვაი, რომ ეს ასე არ მოხდა. ჩვენმა თავმჯდომარემ მხოლოდ გათავისუფლება ითხოვა და ჩვენ, პრეზიდიუმის წევრები, აღარ დაველოდეთ საერთო კრებას, პრეზიდიუმის სხდომაზე შევასრულეთ ბატონ მუხრან მაჭავარიანის თხოვნა და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის საპატიო პოსტიდან გავათავისუფლეთ. დავშალეთ აგრეთვე ფაქტიურად უკვე დაშლილი, არაერთსულოვანი სამდივნო და ყრილობის მომზადება პრეზიდიუმის მიერ დანიშნულ საორგანიზაციო კომისიას მივანდეთ. ამჟამად კომისია ყრილობის წინაშე იხსნის თავის უფლებამოსილებას.

მუხრან მაჭავარიანი, როგორც პოეტი, ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. არავინ უარყოფს ამ უცილობელ ფაქტს. როგორ გამოიჩინა მან თავი როგორც საზოგადო მოღვაწემ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე? იყო გულისხმიერი, პრინციპული, დაინტერესებული მშობლიური ლიტერატურის ბედით? ყველა ამ საჭირბოროტო კითხვაზე პასუხის გაცემა თითოეულ თქვენთაგანისთვის მომინდვია.

ცოცხალი სულმნათისა არ იყოს, სამოქალაქო ომის გაუჩაღებლად არც ძვირფასმა მუხრანმა დაგეტოვა. მისი არცთუ საფუძვლიანი განაწყენებით ისარგებლეს ლიტერატურის ადმინისტრაციულ სათავეებთან ახლო მდგომმა პირებმა, სული აუფორიაქეს თანამოკალმეთა ერთ ნაწილს, რომელთა ბედზე ფიქრი ნაკლებად აწუხებდათ და ათასგვარი არასერიოზული დაპირებით ყველა მათგანი ცოტა არ იყოს კარიკატურულ მდგომარეობაში ჩააყენეს. არავის გაახსენდა უმთავრესი რამ: მწერლის ერთადერთი წმიდათა-წმინდა საქმე ღვთისაგან ნაბოძები ნიჭით სამშობლოს სამსახურია, იმ სამშობლოსი, სიცოცხლე რომ შესწირეს ჩვენმა უფროსმა თანამოკალმეებმა კოტე ხიმშიაშვილმა და გიორგი

ძიგვაშვილმა, იმ სამშობლოსი, ტანჯვით რომ შეკრიბა და გააერთიანა დიდებულმა ბაგრატ მესამემ, აღამაღლა აღმაშენებელმა და ერთსულად ჰქმნა დიდმა ილიამ.

რა გვიჯობს დღეს, მეგობრებო, შევმჭიდროვდეთ, როგორც ყოველთვის და მტრისა და მოყვარის თვალში ღირსებააყრილ ჩვენს ერს ურღვევი ერთიანობის, ურთიერთდანდობის ქრისტესმიერი სიყვარული ვუჩვენოთ, თუ სხვათა დაქვემდებარების მონატრული ზოგიერთი კარიერისტის სატანური სურვილი აღვასრულოთ, ერთმანეთს დავერიოთ, სისხლი ვადინოთ, გულში დაგროვილი ბოღმა და სიძულვილი გადმოვანთხიოთ, წვრილ-წვრილ, ერთმანეთს დაპირისპირებულ გუნდებად დავიფანტოთ და ამღვრეულ წყალში მტერსა და ავის მოსურნეს თევზი დავაჭერინოთ?

არჩევანი ჩვენზეა. აქ სწორედ ამის გამოსარკვევად, ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციის, ჩვენი ეროვნული ტრიბუნის ბედის გადასაწყვეტად შევიკრიბეთ!

ᲓᲐᲑᲘᲪᲐᲕ, ᲓᲛᲔᲠᲗᲝ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲔᲣᲙᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ!

იქნებ ბევრმა ვინმემ არ იცოდეს, რა გასაკვირია, თუ აქამდე არც მე ვიცოდი, რომ თბილისში გამოდის მცირეფორმატიანი გაზეთი „ქართული აზრი“, სადაც ადგილი ეთმობა ყველაფერს, ტყუილს თუ მართალს, რაც კი ამჟამინდელ ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა კი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს უპირისპირდება.

ამას წინათ ტელევიზიაში ყური მოვკარი, რომ გაზეთის მესვეურები, რედაქცია და ავტორთა კოლექტივი მას არალეგალურს უწოდებს, თითქოს იგი ლენინის „ისკრას“ მსგავსად სადღაც ქენევაში იბეჭდებოდეს და გამოცდილ კონსპირატორებს ათასგვარი მაქინაციის გამოყენებით, სიცოცხლის რისკზე შეგდებით სამშობლოში შემოჰქონდეთ.

აქ საქმე გაცილებით მარტივადაა: გაზეთი აქვე, თბილისში იბეჭდება და ხელის მოთბობაზე დახარბებული გამვრცელებლები მას ყოველ ხიდისყურში შემოგაჩეჩენენ, ოღონდ კი საკმაოდ სოლიდური თანხა გადაუხადე. ასე რომ, უკეთუ ხელისუფლებას სურვილი დაებადება, აღკვეთოს მისი გამოცემა-გავრცელება, ამაზე ადვილი არც არა არის რა, მაგრამ, ეტყობა, უფრო საშური, გადაუდებელი საქმეები გასჩენიათ, ვიდრე ცრუპენტელა, ზიზღითა და ცილისწამებით გაჟღენთილი „ლისტოკის“ ქუჩა-ქუჩა დევნაა და ამის წყალობით „ქართული აზრის“ შემოქმედნიც არხეინად გრძნობენ თავს.

ჩემს ხელთაა გაზეთის ერთადერთი, 12 მაისის ნომერი. სასაუბრო მასალას ეს ნომერიც ბლომად იძლევა, მაგრამ მე არც დრო მაქვს და არც სურვილი, აქაური მასალების ელემენტარულ შესატყვისობას სინდის-ნამუსთან კბილი მოვუსინჯო, შეეხები მხოლოდ ერთ ეპიზოდს ერთი წერილისა „მითი და სინამდვილე“, რომელიც, თანახმად მინაწერისა, გაზეთში გაგრძელებებით იბეჭდება.

ამ ეპიზოდში გახსენებულია საქართველოს მწერალთა მე-8 ყრილობა, 1976 წელს რომ ჩატარდა. იმჟამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება დასურათებულია იმ სიტყვის მიხედვით (იხ. რევაზ ჯაფარიძე – „მხაპუნა წვიმა“, პუბლიცისტური წერილების კრებული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1991 წ. გვ. 163), რომელიც მე ამ ყრილობაზე წარმოვთქვი.

აი, რას ვკითხულობთ ვინმე „მეველის“ მიერ ხელმოწერილ წერილში:

„გავიხსენოთ 1976 წელი... „უჩიტელსკაია გაზეტას“ ხსენებული წლის 10 იანვრის ნომერში საქართველოს განათლების იმჟამინდელი მინისტრი ცნობილი ფუნქციონერი თ. ლაშქარაშვილი წერდა: „საინტერესო მუშაობა წარმოებს ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატში. აქ ისტორიის, გეოგრაფიის და ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება რუსულ ენაზე უკვე მეხუთე კლასიდან.“ ავტორი ასახავს სკოლებში რუსული ენის უკეთ და ეფექტურად სწავლების გზებს.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 6 თებერვლის ნომერში მოთავსებულ პუბლიკაციაში „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალისტური ვალდებულებანი 1976 წლისათვის“ აღნიშნულია: „პრაქტი-

კაში შემოღებული იქნება რიგი საგნების სწავლება რუსულ ენაზე, რისთვისაც გათვალისწინებულია წამყვანი რუსი სპეციალისტების მოწვევა".

დაიბეჭდა ანალოგიური ხასიათის სხვა რამდენიმე სტატია... სწორედ ამ აღმაშფოთებელმა, ერის რუსიფიკაციის ამ გეგმამ გამოიწვია მწერლების ნოდარ წულეისკირისა და რევაზ ჯაფარიძის მძაფრი გამოსვლები მწერალთა კავშირის ყრილობაზე ხსენებული წლის აპრილში."

შემდეგ ავტორი იხსენებს თბილისის პარტიული ორგანიზაციის იმავე წელს ჩატარებულ პლენუმს და ამხელს მის მდივანს თ. მენთეშაშვილს, მოჰყავს მისი სიტყვები:

„საყოველთაო აღმავლობის ასეთ ვითარებაში სრულიად გაუგებარი და აღმაშფოთებელია ზოგიერთი პიროვნების საქციელი, რომლებიც ცდილობენ არარსებული საკითხებიდან რაღაც პრობლემები შექმნან.

... ამავე პლენუმზე ასევე ცნობილმა პარტიულმა ფუნქციონერმა ენუქიძემ განაცხადა: განსაკუთრებით სამწუხაროა რომ, ამ ადამიანებს აფარებული აქვთ ეროვნული ინტერესების დამცველთა ნიღაბი, ძირს უთხრიან ჩვენი ქვეყნის ხალხთა წმიდათა-წმინდა ინტერნაციონალურ ძმობას და მეგობრობას".

„ნიშანდობლივია ისიც — წერს ქვემოთ ჩვენი ახალი „მეველე", — რომ არც ერთ გაზეთს სიტყვაც არ დაუძრავს იმაზე, თუ რა მოხდა მწერალთა მე-8 ყრილობაზე, თუ რატომ დაატყდა ზოგიერთ პიროვნებას ("პიროვნება"აქ უკვე მხოლოობით რიცხვშია!) რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის რისხვა."

როგორც ვხედავთ, საქმე სახუმარო არ ყოფილა. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს დარბაზი, რომელშიაც დაწვა-განადგურებამდე ათას კაცზე მეტი ეტეოდა, გაჭედილი იყო, თუ გავიხსენებთ, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსთან ერთად ყრილობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე შაურო, რესპუბლიკურ სამწერლო ორგანიზაციათა დელეგაციები, უცხოელი სტუმრები და ჟურნალისტთა კორპუსი ესწრებოდა, რომელმაც საერთაშორისო გახმაურება მისცა ქართველ მწერალთა ამ ყრილობას, დაახლოებით მაინც შეგვეძლება წარმოვიდგინოთ იქ დატრიალებულ ბატალიათა ხასიათი და მასშტაბი.

ვენდოთ ჩვენს „მეველეს" და დავუჯეროთ, რომ ყრილობამ მართლაც უკვალოდ ჩაიარა? სანდოა მისი საისტორიო ძიებანი და ამიერიდან მომავალმა თაობამ მის კეთილსინდისიერებაზე დაყრდნობით უნდა შეითვისოს, რა როგორ მოხდა? მე კი ვიცი, მაგალითად, რომ ზემოთხსენებული ყრილობის გარშემო ვრცელი და ამომწურავი ანგარიშები გამოაქვეყნეს ევროპისა და ამერიკის გაზეთებმა, მათ შორის ფრანგულმა „მონდმა" და ამერიკულმა „კრისჩენ საინს მონიტორმა". გარდა ამისა, მთელი ხუთი წლის განმავლობაში უცხოური „ხმების" ერთი მთავარი თემა სწორედ ეს საკითხი გახლდათ.

მაგრამ ქართული პრესა? სად იყო ქართული პრესა, რომელსაც „სიტყვაც კი არ დაუძრავს იმაზე; თუ რა მოხდა მწერალთა მე-8 ყრილობაზე?"

რაკილა ასეა, მაშ, აღვიჭურვოთ მოთმინებით და გადავშალოთ გაზეთ „კომუნისტის“ 1976 წლის 25 აგვისტოს ნომერი, რომელშიაც რესპუბლიკის პარტიული აქტივის ანგარიშია დაბეჭდილი.

იქ შავით თეთრზე ვკითხულობთ: „გამოსულები აღშფოთებით ლაპარაკობდნენ მწერალთა მერვე ყრილობაზე რევაზ ჯაფარიძის დემაგოგიური გამოხდომის შესახებ, რომელმაც დაამახინჯა ცალკეული ფაქტები და ჩიოდა, თითქოს ჩვენს დღეებში დიდმპყრობელური ხასიათის ზეგავლენას ახდენდნენ ქართულ ენასა და სხვა ეროვნულ ინსტიტუტებზე, იმ გამოხდომის შესახებ, რომელსაც თანაგრძნობით შეხვდა აუდიტორიაში შემთხვევით მოხვედრილი საზოგადოების ნაწილი. ამ გამოხდომის უმწიფარი, არაჯანსაღი განწყობილება იმითაც გამოვლინდა, რომ მგზნებარე ემოციებით „იღვწოდნენ“ რა ქართულლი ენის დასაცავად, მათ არსებითად ლაპარაკის საშუალება არ მისცეს დედაენის ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებელს, რომელიც ყრილობაზე გამოვიდა და რესპუბლიკის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი პრობლემები აღძრა. როგორც ჩანს, არის რაღაც კანონზომიერება იმაში, რომ ეროვნული კარდახშულობისა და შეზღუდულობის მქადაგებლებად, როგორც წესი, გამოდიან უვიცი, დაბალი საერთო კულტურისა და ცოდნის მქონე ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ, ან არ სურთ დაინახონ, რა გრანდიოზული ტემპით ვითარდება შინაარსით სოციალისტური, სულისკვეთებით ინტერნაციონალისტური და ფორმით ეროვნული ქართული საბჭოთა კულტურა. მათ ოდნავადაც არ ესმით ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის ერთადერთი სწორი გადაწყვეტა, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ერის ჰეშმარიტ აყვავებას...

თათბირის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარების საკითხები. გაზეთ „პრავდის“ მოწინავეში ნათქვამი იყო, ხაზი გაუსვეს ორატორებმა, რომ „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება უწინარეს ყოვლისა მოწმობს, რაოდენ სასარგებლოა კრიტიკული მიდგომა საკუთარი საქმეებისადმი.“

სად არის ან სად იგულისხმება აქ ნოდარ წულეისკირი? აკი ჯერ ის აღფოთებულა და მერე ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც ჩვენს „მეველესავით“ ფსევდონიმს კი არ ამოფარებია და, ემანდ ფარსაგი არ შემამთხვიონო, ბუჩქებში კი არ დამალულა, ტრიბუნაზე საკუთარი სახელითა და გვარით ავიდა და საკუთარი კეთილდღეობა, მეტი რომ აღარაფერი ვთქვათ, სასწორზე ყოველგვარი ანგარების გარეშე დასდო. ამას მოითხოვდა მშობელი ერის სასიცოცხლო ინტერესი და ღვთისაგან დაწესებული მოქალაქეობრივი მოვალეობა, ყოველ ჰეშმარიტ მწერალს რომ აწევს მხრებზე!

იქნებ ვინმეს ჰგონია, მე არ ვიცი, ვისმა ოქროს კალამმა გამოაგვირისტა ზემოთ მოყვანილი სამარცხვინო ტირადა, იქნებ ჰგონია, ვერა ვხვდები, საით გამისტუმრა გურამ ენუქიძემ, თენგიზ მენთეშაშვილმა და კომპანიამ. ვიცი, ყველაფერი მშვენიერად ვიცი, არც მიხვედრილობა მაკლია, ვგონებ არც სწავლა-განათლება უნდა მაკლდეს, მაგრამ რა ვუყოთ, თუ აზრადაც არ მებადება ვინმეს სამაგიერო გადავუხადო, ჩა-

დენილ ბოროტებას ბოროტებითვე მიეუზღა. ამით რა გამოვა? ჩემი პიროვნული შურისძიებით რაიმე შეემატება საქართველოს, რომელიც ჩვენი საერთო სამშობლოა?

„მეველეს" კი რა ამოძრავებს? რისთვის დასჭირდა ნოდარ წულეისკირის იქ წამოსკუპება. სადაც ის არ ყოფილა და, გარდა მსოფლიო პრესისა, ამის მოწმე ასობით ჩვენი თანამედროვე ქართველი ადამიანია? მიზანი ერთადერთის: გულუბრყვილო მკითხველი დააჯეროს, თავშიაც ჩვენ, „ძრგვალები" ვიყავით, ბოლოშიაც ჩვენა ვართ და თუ ეს არა გჯერათ, მარტო ბატონ ნოდარ წულეისკირის გალაშქრება რადა ღირსო.

მე თვითონ წულეისკირისა მიკვირს: თუ ღმერთი გწამთ, რას გაჩუმებულა? ვერ იტყვის, ცდებით, შვილებო, ეგ აგრე არ იყო, ნუ მაბრალებთ იმას, რაც მე არ გამიკეთებია, რა პატიოსანი კაცის საქმეა სხვის კუბოში ჩაწოლაო?!

მიკვირს, რომ ეს დიპლომატიური წაყრუება მისთვის არც პირველია, არც უკანასკნელი! „მეველე" უთუოდ შეამჩნევდა, რომ მისი პირველი ციტატა მე უადგილი ადგილას გავწყვიტე. იქნებ იფიქრა კიდევაც, შიგ გულში მოვარტყი და იმიტომ გამიჩუმდაო. მე ვგულისხმობ ადგილს, სადაც ავტორი წულეისკირისა და ჯაფარიძის გამოსვლებზე ლაპარაკობს. იქვე ფრჩხილებში შენიშნავს: „აქვე გვსურს გავახსენოთ ყოველივე ბატონ რევაზ ჯაფარიძეს, რომელმაც ესოდენი მეტამორფოზა განიცადა ამ ჩვიდმეტიოდე წლის მანძილზე."

რა „ყოველივე" უნდა გავახსენოთ რევაზ ჯაფარიძეს? რა „ყოველივეზეა" აქ ლაპარაკი? კითხვა კი დავსვით, მაგრამ მას პასუხიც ხომ უნდა? არა გვაქვს სასურველი პასუხი? მაშ. რიტორიკული კითხვა რისთვისღა გვჭირდება? ვმადლობ ღმერთს, 69 წელიწადი ისე ვიცხოვრე, რომ ასე ადვილად „გასახსენებელი" და წამოსაძახებელი არც მტრისთვის მიმეცა და არც მოყვრისათვის, ხოლო თუ ეს ასე არ არის, მთელი ერის წინაშე უმორჩილესად გთხოვთ, გაისარჯოთ და საბუთები წარმოადგინოთ!

რა წერია ფრაზის მეორე ნახევარში? იქ როგორც უკვე წავიკითხეთ, წერია, რომ ბატონ რევაზ ჯაფარიძეს „ესოდენი მეტამორფოზა განუცდია ამ ჩვიდმეტიოდე წლის მანძილზე."

„მეტამორფოზა" ბერძნული სიტყვაა და ქართულად სახეცვლილებას, გარდაქმნას ნიშნავს. რაკი „მეველე" მას თავისი უარესი ფორმით ხმარობს და სიტყვა „ესოდენით" აძლიერებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ გარდაქმნა, სახეცვლილება უკიდურესი ყოფილა, ანუ, სხვა სიტყვებით, რევაზ ჯაფარიძე თავის შეხედულებებში 180 გრადუსით შემოტრიალებულა და თუ 17 წლის წინათ ერის ღირსების დასაცავად თვით სიცოცხლესა და სამწერლო კარიერას სასწორზე აგდებდა, დღეს იმავე ქართული ენის, ერის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ ილაშქრებს, სამშობლოს დაუძინებელი მტრების ბანაკში გადაბარგებულა!

აი, რას გვიმტკიცებს ჩვენი ახალი „მეველე", აი, რა ყოფილა ქართული აზრი!

ბუჩქებში მიმალული, ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი აგრერიგად არ დაიბნეოდა და ნაშუაღამევს ავლაბარში დაკარგულ ნემსს კინტოსავით გაზის ფარნებით გაჩირაღდნებულ ერევნის მოედანზე არ

დაუწყებდა ძებნას, აქაოდა იქ ბნელა, აქ სინათლეაო, ოდნავად მაინც რომ ერკვეოდეს ისტორიულ ფაქტებში და ანალიზის სულ მცირეოდენი უნარი მაინც გააჩნდეს.

ზემოთხსენებული. მე-8 ყრილობის შემდეგ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა, პრეზიდიუმის ყველა წევრს შესთავაზეს დაეგმო ამ სტრიქონების ავტორის საქციელი და მის მიერ ყრილობაზე წამოჭრილი დებულებები.

როგორ ფიქრობთ, გამძვინვარებული ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში შეეძლო კი პრეზიდიუმს, რომელიც ერისათვის საყვარელი გამოჩენილი მწერლებისაგან შესდგებოდა, დაეცვა ის ჭეშმარიტება, რომელიც მე ყრილობაზე გამოვიტანე? არ შეეძლო, რადგანაც ეს საკავშირო „სკანდალს გამოიწვევდა, საქართველოს წინააღმდეგ აამხედრებდა იმპერიის მთელ დამსჯელ აპარატს, ჯერ კიდევ სამოციან წლებში რომ იმუქრებოდა საქართველოს ურალს იქით გადასახლებით.

ეს სკანდალი გაცილებით დიდი და ყოვლისმომცველი იქნებოდა, თუ მწერალთა ყრილობის ორატორის პოლიტიკურ პოზიციას საქართველოს ოფიციალური ხელმძღვანელობა და პირადად ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გაიზიარებდა.

ნუთუ ძნელია ამ უბრალო რამის მიხვედრა?

ამიტომ, ძვირფასო მკითხველო და შენ, ჩემო მამხილებელო, მე მყოფნის გონიერება, არც ერთი ჩემი კოლეგა, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, ვინც იმ სამახსოვრო სხდომას ესწრებოდა და იძულებული იყო დაეგმო ჩემი გამოსვლა, ჩემს ავის მოსურნედ არ ჩავთვალო, ამიტომაც არასოდეს მიმიჩნევია სიმწრის ოფლში გაწურული ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც ყრილობაზე შევეჯახე, ჩემს პირად მტრად!

გასაგებია, ცოტა ადრეული წლები რომ ყოფილიყო, ეს ამბავი ჩემთვის ტრაგიკულად დამთავრდებოდა, ამის ნახევარიც არ იქნებოდა საჭირო, მაგრამ საფლავში მწოლიც რომ ვინმეს გაეღვიძებინე და ჩემთვის ეს კითხვა დაესვა, მერწმუნეთ, მე ამავე პასუხს გავცემდი.

სამოცდაათიანი წლების დამლევს ერთხელ კიდევ შემოუტია მოსკოვმა ქართულ ენას. მოვიდა ზემდგომი ორგანოს სავალდებულო დირექტივა, ყველა ქართულ უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებელში ერთი მთავარი საგანი რუსულად უნდა ისწავლებოდესო, ზუსტად ისე, როგორც ქალბატონ თამარ ლაშქარაშვილის ზემოთ ციტირებულ კორესპონდენციაში სწერია. მე მესტუმრა უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი გიორგი ხარატიშვილი, რომელსაც მანამდე პირადად არ ვიცნობდი და ეს საგანგაშო ამბავი შემატყობინა. საქმე უკვე იქამდე იყო მისული, რომ სამეცნიერო საბჭოები სასწრაფოდ არჩევდნენ რომელი საგანი უნდა ესწავლებინათ დიდი რუსი ხალხის ენაზე. იმავე დღეს მომადგა თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა დიდი ჯგუფი. მათ იგივე მიამბეს და გამიზიარეს თავიანთი გადაწყვეტილება, რომ ნიშნად პროტესტისა ქუჩაში გამოსვლას აპირებდნენ.

დგებოდა ახალი განსაცდელი. იქნებ იმაზე უფრო მწვავეც, ვიდრე 1956 წელს დაგვატყდა. საქმე უსისხლოდ არ დამთავრდებოდა.

მეორე დღესვე მოხერხდა ქართველი ინტელიგენციის დიდი ჯგუფის შეხვედრა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ედუარდ შევარდნაძესთან.

რა მოხდა შემდეგ, მე აღწერილი მაქვს სტატიაში „წიგნები დავწვათ თუ წავიკითხოთ", რომელიც 1990 წლის 1 აპრილს დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე.

ერთ კვირასაც არ გაუვლია, მოსკოვმა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქიდან, მათ შორის თბილისიდან, უკან წაიღო თავისი დახაშაულებრივი დადგენილება, იმპერიის იდეოლოგ სუსლოვის ტვინიდან გამოწურული და მისი კვალი დღემდე არსად ჩანს, ნურც გამოაჩინოს ღმერთმა! არ მომხდარა არც სტუდენტთა გამოსვლები, არ დაღერილა თბილისის ქუჩებში ქართველი ახალგაზრდობის მოწამებრივი სისხლი.

ვისი მეშვეობით, ვისი პირადი თავგამოდებით გაკეთდა ეს საშვილიშვილო საქმე? ნუთუ სამარცხვინოა ფაქტის აღიარება, იმის პატიოსნად თქმა რაც ნამდვილად იყო? რას ვუგდოთ ყური, რას ვერწმუნოთ, რაზე ავაგოთ ჩვენი წარმოდგენები, ფაქტზე, ცხოვრებისეულ სიმართლეზე, თუ იმაზე, ვის ვინ უყვარს და ვინ ვის გულზე არ ეხატება?

მესამე ლაშქრობა ქართულ ენაზე მოსკოვმა 1978 წელს, კონსტიტუციის პროექტის განხილვისის მოაწყო, როდესაც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა დაუპირა და მისი სამზარეულოში სახმარად გასტუმრება გადაწყვიტა. აღდგა მთელი საქართველო. საქართველოს მწერალთა კავშირში, რომელსაც მაშინ პოეტი გრიგოლ აბაშიძე თავმჯდომარეობდა, სამ დღეს თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ხალხმრავალი სხდომები იმის დასადგენად, როგორ შემოგვევლო საქმისათვის, როგორ გაგვეტეხა იმპერიალისტური მოსკოვის წინააღმდეგობა ისე, რომ ქართველი კაცის სისხლი არ დაღვრილიყო.

მსჯელობა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტში გაგრძელდა, სადაც საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, და მთელი ქართველი ხალხის სახელით მოძალადე კრემლის წინაშე სიტყვა აიღო ედუარდ შევარდნაძემ, არა ჩვენ ყველამ ერთად, არამედ მხოლოდ მან!

დღეს ყოველმა ბალღმა იცის, რით დამთავრდა ეს ბატალია და ვის ზურგზე გადაიარა ბრძოლის მთავარმა სიმძიმემ.

ღმერთი აღარ არის, ხალხო?

მაშ, რა მეტამორფოზა განუცდია რევაზ ჯაფარიძეს? რომელი მტრის ბანაკში გადაბარგებულა, სამშობლოს და ერის ინტერესები ვისთვის მიუყიდია? რით გამოიხატა მისი მსოფლმხედველობის 180 გრადუსით შეცვლა? ნუთუ სამარცხვინო არ არის, დროული კაცი, ცალი ფეხი რომ უკვე სამარეში უდგას, ერთან დააბეზღო და მის გასამტყუნებლად ერთი სარწმუნო საბუთიც ვერ მოიტანო?

ჯერ ადრეა, ასე ადვილად არ ვაპირებ წერილის დამთავრებას. თავზე ცაც რომ ჩამომაქციონ, სათქმელი ერთხელ კიდევ ბოლომდე უნდა ითქვას.

უაღრესად მკაცრ წერილში „ერთი დედა, ერთი სამშობლო, ერთი საფლავი", რომელიც ბატონ ედუარდ შევარდნაძის ერთ-ერთ ინტერვი-

ეს მივუძღვენი და რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ 1991 წლის 16 მაისის ნომერში დაიბეჭდა, - მე სხვათაშორის ვწერდი:

„მე არ მეგულება თავისი ეროვნული გენის პატიოსანმცემელი არც ერთი საღად მოაზროვნე ქართველი, ვინც ამ წლების მთელ მანძილზე გულისფანცქალით თვალს არ ადევნებდა ედუარდ შევარდნაძის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და, მიუხედავად თავისი პოლიტიკური მრწამსისა და მსოფლმხედველობისა, გულში არ ამაყობდა, რომ ისიც „ჩვენი გორისაა“!

ყოველივე ეს ისტორიული ფაქტია, ქარის წისქვილია, რომლის ფრთების დასალეწადაც კარგა ხანია დაირაზმა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყველაზე რეაქციული, მოფაშისტო ფრთა. მას არაფრად ულირს, რომ ედუარდ შევარდნაძის სახით საქმე აქვს მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწესთან, პოლიტიკოსთან, რომლის სიტყვასაც უდიდეს ანგარიშს უწევს დედამიწის რომელიც გნებავთ მეფე, პრეზიდენტი და პრემიერმინისტრი. ეს განა იმის გამო ხდება, რომ ის გუშინ უზარმაზარი სუპერსახელმწიფოს საგარეო საქმეთა შტურვალთან იდგა, არამედ იმიტომაც, რომ ის ედუარდ შევარდნაძეა, სხვათაგან განსხვავებული სულიერი წყობის ერის შვილი და პიროვნება!.. მე მისი თავგამოდებული კეთილისმსურველი ვარ და მხოლოდ ის მინდა ვინატრო, რომ ის ისეთივე კომპეტენტურობითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდოს თავისი მტერმორეული სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესებს, როგორც დანარჩენი მსოფლიოს ყველაზე დიდი თუ მცირე საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას უდგება.“

ნატვრა აღსრულდა. ღმერთმა გადმოგვხედა, ერს მისთვის თავდადებული წინამძღოლი მოუვლინა, რომელმაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეაქცია ზურგი უზრუნველ ცხოვრებას, აუტკივარი თავის ატკივებას და უმადურ საქმეს, დაქცეული, მშიერი, ყოველისმხრივ შეურაცხყოფილი სამშობლოს ფეხზე წამოყენებას შეუდგა!

მე ვეკითხები ე.წ. „ქართული აზრის“ მესვეურებს და მათ კორესპონდენტს „მეველეს“, სად უნდა იყოს რევაზ ჯაფარიძე ამ დროს, სამშობლოს საკეთილდღეოდ აღმდგარ ყველა კეთილი ნების ქართველთან ერთად, ერის სიდუხჭირიდან გამოსაყვანად ხელებდაკაპიწებულ სახელმწიფო მოღვაწის გვერდით, თუ იმათ გვერდით, ვინც ხიდებს, სკოლებს, ელექტროგადამცემ ანძებს აფეთქებს, ვინც მშობელ ხალხს გლობალურ უსაქმურობისაკენ მოუწოდებს და იარაღის მუქარით აიძულებს, თითი თითზე არ დააწოს, ვინც ეთნოკონფლიქტებს გვიღვივებს, თესავს აქამდე გაუგონარ შუღლსა და მტრობას საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შორის, ვინც ძარცვავს, აწამებს ადამიანებს, თავის თვისტომთ, მიწის პირისაგან აღსაგველად სწირავს სამშობლოს!

„მეველე“ ძირძველი ქართული სიტყვაა და დარაჯად, მცველად, ყარაულად განიმარტება. ის სოფლის მიერ არჩეული სანიმუშო პატიოს-

ნების მქონე პირია, რომელიც ნადირისაგან, პირუტყვისაგან, ავი თვალისა და ხელისაგან იცავს ჯერ კიდევ მოუწეველ, ცისქვეშ, ყანა-ვენახში მყოფ პირნახულს, იცავს საზოგადოების დოვლათს და ამით სოფელ-ქვეყანას პირნათლად ემსახურება.

როგორ იცავს და პატრონობს ქვეყანას, საზოგადოებას, სამშობლოს, მის სულიერ და მატერიალურ ღირებულებებს ჩვენი „მეველე", „ქართულ აზრში" რომ თანამშრომლობს და თავი ჭეშმარიტების უმწიკვლო მღაღადებლად მოაქვს, ზემოთ თვალნათლივ დავინახეთ.

რაღა შეიძლება ნათქვამს დაემატოს? მხოლოდ ვედრება ზენაარისადმი: „დაგვიცავ, ღმერთო, ასეთი მეველისაგან!"

1992 წ.

დღეს საქართველო გაოგნებულია. ყველა ერთმანეთს ეკითხება: რა გვეშველება? არის თუ არა ხსნის გზა? ვისი იმედი ვიქონიოთ?

საბედისწერო კითხვებია. ვერც ერთ მათგანს ვერსად გაექცევი. ყველა ეს კითხვა პასუხს მოითხოვს. მაგრამ ვის შეუძლია დამაჯერებელი პასუხის გაცემა? ვის შეუძლია მზამზარეული რეცეპტი მოგვაწოდოს?

ალბათ, არავის, მაგრამ მე მაინც შევეცდები, მკითხველს ჩემი პირუთვნელი აზრი გავუმხილო და ზოგი რამ ისეთიც ვუთხრა, რაზეც ხმამაღლა ლაპარაკიც ჩვენში რატომღაც მიღებული არ არის, რითაც იმ სირაქლემას ვემსგავსებით, მტრის დანახვისას თავი რომ სილაში წარგო, ტანი კი გარეთ დარჩა და მაინც ეგონა, რომ დამალული იყო, ვერავინ ხედავდა.

ხშირად სვამენ ხოლმე კითხვას: ხომ არ შევცდით, სამთავრობო ჯარები საქართველოს იმ რეგიონში რომ შევიყვანეთ, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია?

პასუხი ამ კითხვაზე ცნობილია და არა მგონია, ვინმე ჭკუათმყოფელს საეჭვოდ მიაჩნდეს.

ხსენებულ რეგიონში ჯარების შეყვანა აუცილებელი და გადაუდებელი საქმე იყო და შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, საქართველოს ხელმძღვანელობას ის ცოტა ადრეც უნდა მოემოქმედებინა. მაგრამ არ იყო ამის არც დრო და არც შესაძლებლობა. შიდა ქართლში ხიზანი ოსები და ქედგადაღმიდან აქ საშოვარზე მოსული ე.წ. მოხალისენი, მძარცველთა და მკვლელთა ბანდები მოქმედებდნენ. საჭირო იყო ამათთვის ლაგმის ამოდება, შიდა ქართლის მიწაზე მუდმივი თუ არა, დროებითი ზავის ჩამოგდება. ამას ზედ სხვის ღმერთზე მლოცველი ნაპრეზიდენტალის მიერ გაბრიყვებული დამნაშავე ელემენტების პარპაში მოჰყვა, რომლებიც თავისიანს, მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას აწიოკებდნენ და პირიდან ლუკმას აცლიდნენ. გამწვავდა კრიმინოგენური ვითარება. საერთო ეკონომიკურ კრიზისს ზედ სარკინიგზო შემადგენლობებზე თავდასხმები, მსუბუქ და სატვირთო მანქანებზე ნადირობა, ლიანდაგების აყრა, ხიდებისა და სახალხო მეურნეობისათვის დიდმნიშვნელოვანი ობიექტების აფეთქება, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების, მათ შორის მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოღვაწეთა მოტაცება დაერთო. სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა, რასაც სომხეთის ზარალიც ემატება, მრავალ მილიარდ მანეთს მიაღწია.

რა პოზიცია დაიკავა სრულიად საქართველოსათვის ამ ტრაგიკულ სიტუაციაში გამსახურდიას რეჟიმის ლოცვა-კურთხევით შექმნილმა, კონსტიტუციურ ძალდატანებაზე, ფიზიკურ ძალმომრეობაზე დაფუძნებულმა, უკანონო სამხედრო ფორმირებებს ამოფარებულმა არძინბას აფხაზეთმა? იგი მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალებებით მებრძოლი ბანდების, დივერსანტებისა და ტერორისტების საიმედო თავშესაფრად და მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადაიქცა!

არძინბას მიერ უზურპირებულმა ხელისუფლებამ ყურად არ იღო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თხოვნა და შეგონება იმის თაობაზე,

რომ საჭირო იყო სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების დაცვა მავანთა და მავანთა ხელყოფისაგან, ადამიანთა გამტაცებლების შეპყრობა, შეპყრობილთა გათავისუფლება და დამნაშავეების მართლმსაჯულებისათვის გადაცემა, კრიმინოგენურ სიტუაციისათვის შეურიგებელი ბრძოლის გამოცხადება.

სხვა რაღა გზას უნდა დასდგომოდა საქართველოს ხელისუფლება გარდა იმისა, რომ ხსენებულ რეგიონში ხსენებულ ბოროტებათა აღსაკვეთად თავისი სამთავრებო ჯარები უნდა შეეყვანა?

სად არის აქ შეცდომა, თუკი ვინმე კიდევ ფიქრობს, რომ ხელისუფლების ეს ნაბიჯი ნაუცბათევი და ამდენად მიზანშეუწონელი იყო?

დღეს აფხაზეთში, საქართველოს ძირძველ მიწაზე, საგანგაშო მდგომარეობაა. აფხაზ სეპარატისტთა და ჩრდილოკავკასიელ მარბიელ-მკვლელთა ხელში გადავიდა ძირითადად ქართველებით დასახლებული ხალხმრავალი ქალაქ-კურორტი გაგრა, განთიადი, ლესელიძე...

ნუთუ ამ დასანანი მარცხის მიზეზი მარტოოდენ ისაა, რომ სეპარატისტ აფხაზებს და ჩრდილოკავკასიის ველურ ტომთა ნაშიერებს, რომელთაც ჯიბეში აფხაზეთის მცხოვრების პასპორტი უდევთ, ზურგს რუცკოი და ხაზბულატოვი უმაგრებენ, რომელთა თანამოაზრეებს გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ რუსეთის პარლამენტში?

დიახ, ეს ერთ-ერთი მიზეზია ჩვენი წარუმატებლობისა, რომელსაც თვით რუსეთიც ვეღარ უარჰყოფს, მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე რომც აღარაფერი ვთქვათ, მაგრამ საკითხავია, არსებობს თუ არა სხვა მიზეზიც, ამაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, საქართველოსათვის კიდევ უფრო მტკივნეული?

დიახ, არსებობს!

ესაა ის, რომ საქართველოს დღესდღეობით არა ჰყავს თავისი ტერიტორიული მთლიანობის დამცველი პროფესიონალური არმია. მე ვლაპარაკობ სამხედრო მეცნიერების, ყველა მოთხოვნის მიხედვით აშენებულ ჯარზე და არა სანუკვარი სამშობლოს სიყვარულით ანთებულ, თავგანწირვისათვის ყოველთვის მზადმყოფ, დედის კალთას ჯერ კიდევ გუშინ მოწყვეტილ ჭაბუკთა დიდ თუ მცირე ჯგუფებზე, რომელსაც ჩვენში მტრის გასაცინებლად და მოყვრისათვის გულზე ლახვრის დასაცემად რატომღაც შენაერთებს ეძახიან.

საფუძველთა საფუძველი ამისა ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ, 28 ოქტომბერს რომ აირჩიეს, ეროვნული არმიის აშენება ყოველი მსურველისათვის ხელმისაწვდომ საქმედ მიიჩნია. ხელისუფლებას აზრადაც არ მოუვიდა ის საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, რომ სამხედრო საქმე, რომელსაც მრავალი განშტიება და ასპექტი აქვს, ძნელად დასაძლევი ურთულესი მეცნიერებაა და მის ცოდნას მსოფლიოში ცნობილ სასწავლო დაწესებულებებში, სამხედრო აკადემიებში სრულყოფენ, რომ ისევე როგორც ყოველგვარ სერიოზულ საქმეს, სამხედრო საქმესაც თავისი სხვადასხვა რანგის სპეციალისტები სჭირდება, რითაც ასე სავალალოდ ღარიბ-ღატაკია ჩვენი დღევანდელი საქართველო. მეორე მსოფლიო ომის ცეცხლში გამოვლილი და გამობრძმედილი ქართული გენერალიტეტი და ქართველი კადრის ოფიცრობა, რომელთა კორპუსი მრავალ ათას წევრს ითვლიდა, დღეს თითქმის აღარ არსებობს. დრომ, ნახევარმა საუკუნემ, ომის შემდეგ რომ გაია-

რა, თავისი გაიტანა. მას შემდეგ მნიშვნელოვანწილად შემცირდა ქართველი ოფიცრების, უპირველეს ყოვლის მაღალ სამხედრო თანამდებობებზე დაწინაურებული ქართველი მხედართუფროსების რიცხვი ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში. ჩვენგან მხოლოდ უენო ჯარისკაცებს, საზარაზნე ხორცს მოითხოვდნენ. იმედის თვალით უნდა ვუყურებდეთ იმ რამდენიმე ასეულ საშუალო და უფროს ოფიცერს, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირის ჯარებში მსახურობენ და სამხედრო აკადემიებში სწავლობენ. მათი უშუალო დახმარებისა და ეროვნული არმიის სათავეში ჩადგომის გარეშე სრულყოფილი სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების ჩამოყალიბება საქართველოში სრულიად უიმედო საქმეა. უკეთუ ზოგიერთ მათგანს პატრიოტული გრძნობები დაჩლუნგებული აქვს და სამშობლო მხოლოდ განცხრომისათვის სჭირდება, ძველმა მეომარმა ერმა, წარსულში მთელ მუსულმანურ კოალიციებს რომ უმკლავდებოდა და უთანასწორო ომში გამარჯვებული გამოდიოდა, თავი უნდა დაიმდაბლოს და დახმარებისათვის მეგობარ სახელმწიფოებსა და არმიებს მიმართოს.

თუ საქართველოსათვის სიკეთე სურდა და ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნა გულით ეწადა, წინა ხელისუფლებას სამხედრო აღლუმები კი არ უნდა გაემართა დინამოს სტადიონზე და ტელეკამერის წინ კი არ უნდა ეკეკლუცა, მთელი საქართველოს გადამდგარი და თადარიგში მყოფი ოფიცრობა უნდა მოეწვია და ყველა წესისა და რიგის დაცვით ეროვნული არმიის მშენებლობა მეცნიერულ საფუძვლებზე დაემყარებინა.

ეს ასე არ მოხდა. უქმად დაიკარგა წელიწადი და კიდევ მეტი. დაიკარგა ის დროც, რაც დანაშაულებრივი რეჟიმის დამხობის დღიდან გავიდა და დღესაც იქ ვიტკეპნებით, სადაც გუშინ და გუშინწინ ვიყავით და ამა თუ იმ პირისადმი მიმართული ქათინაურებით ვკმაყოფილდებით.

ნაღვლიან ღიმილს იწვევს საქმეში იმათი ჩაუხედავობა, ვინც სამხედრო მოსამსახურეებს წოდებებს ანიჭებს. ამდენი პოლკოვნიკი, დღეს რომ გვყავს, მგონია წარსულ ომშიაც არ გვყოლია. პირადათ მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო რომელიმე მათგანის მიმართ. პირიქით, ბევრი ღირსეულ, სამშობლოსათვის ნამდვილად თავდადებულ ადამიანად მიმაჩნია, მაგრამ ვეპკვობ, რომ რომელიმეს ნაჩქარევმა პოლკოვნიკობამ რაიმე შემატა, თუნდ ოდნავ მაინც ჩაახედა სამხედრო ხელოვნების საიდუმლოებებში.

სამწუხაროა, მეტი რომ არა ვთქვა, რომ არასამხედრო პირებმა, რომელთაც სათანადო სამხედრო განათლება, გამოცდილება და წლების მანძილზე გამომუშავებული ჩვეულები არა აქვთ და ამაზე არც უფიქრიათ, სამხედროობა დაიბრალეს და ჩვენ ყველა, ხელისუფლებასთან ერთად, ფეხს ავუვევით, მართლა დავიჯერეთ, რომ მათი სახით სამშობლოს საიმედოდ დამცველი სამხედრო პირები გვყავს! დაგვავიწყდა, რომ პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, ხოლო ჯღანი მეჯღანემ დაკეროს? მარტო თავგანწირვით, მოწადინებით, „ძძიმე ტექნიკის“ ხშირ-ხშირი ხმარებით, ობივატელთა გულის გამკეთებელი კვეხნით, რომ მტერს დიდად ეჭარბობთ, მხოლოდ აქამდე მთელი ძალები არ გამოგვიყენებია, ფონს ვერ გავალთ. საჭიროა უმკაცრესი სამხედრო დისციპლინით და

მხედრული ცოდნით ერთ მუშტად შეკრული ათეულები, ოცეულები, ასეულები, ათასეულები, პოლკები, დივიზიები!.. მტერზე გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება და ერის სირცხვილის წუმპიდან ამოყვანა მხოლოდ მათ შეუძლიათ!

მაგრამ საქმე განა მარტო სამხედრო ხელოვნების დაუფლებაა, რომელიც ერთნაირად მართებს ჯარისკაცსაც და ოფიცერსაც. არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც საფუძვლად უდევს სამხედრო ფორმირების ძლიერებას. ეს ფაქტორი თითოეული მეომრის ზნეობრივი სრულფასოვნება გახლავთ. ზნეობაშელახული პიროვნება სამშობლოს ჯარისკაცად არ გამოდგება!

ზნეობაში, ადვილი მისახვედრია, მე სამხედრო დისციპლინას ვგულისხმობ.

ერთმა ჩემთვის მეტად საპატივცემო პირმა, რომელლსაც შეიარაღებულ ფორმირებებში თვალსაჩინო პოსტი უჭირავს, ერთ-ერთ ინტერვიუში, როდესაც ჰკითხეს, როგორ გამოიყურება, თქვენთან საქმე დისციპლინის მხრივო, დაახლოებით ასე უპასუხა:

-დისციპლინა... იცით, ჩვენ ამ საგანზე არ ვლაპარაკობთ. იქ ყველაფერი მეგობრობას ეფუძნება. უფროს-უმცროსობაც იმის მიხედვით გვაქვს, თუ ვინ როგორ ვომობთ!..

გული მეთანაღრება, მაგრამ უნდა ვაღიარო: ვერ არის საქმისათვის ნამდვილად გამოსადეგი პასუხი. ამ პრინციპზე დაყრდნობით შეიძლება ყველაფერში წარმატებას მიაღწიო, მაგრამ არა სამხედრო საქმეში! მეგობრობა მეგობრობად, ეს არავის არავისათვის აუკრძალავს და ვერც აუკრძალავს,მაგრამ ურთიერთობას სამხედრო მოსამსახურეთა შორის, უფროს-უმცროსობას, სხვადასხვა მოვალეობას სამხედრო წესდებათა მთელი რიგი არეგულირებს და ყოველი მათგანის მოთხოვნა ყოველ არმიაში, რომელსაც მტერთან შერკინება და გამარჯვება ხელეწიფება, კანონის ძალითაა აღჭურვილი. თითოეული დარღვევა .წესდების მოთხოვნისა კანონის დარღვევაა და კანონითვე შესაბამისად ისჯება.

კიდევ ერთმა სამხედრო პირმა, ხელმძღვანელი მდგომარეობა რომ უჭირავს ჩვენს შეიარაღებულ ძალებში, ოფიციალური საუბრის დროს ასეთი რამ განაცხადა:

— მოხალისეს რას მოთხოვ? მოხალისეა. თავისი ნებით მოვიდა. შეეშინდა და გამოიქცა. სხვა რომ ყოფილიყო...

იმ პირისადმი და სამშობლოს წინაშე მისი დიდი დამსახურებისადმი ჩემი პატივისცემის მიუხედავად ვერ დავიჯერე, რომ შეიძლება ასეთი რამ მსოფლიოს რომელიც გნებავთ არმიის სამხედრო მოსამსახურემ განაცხადოს.

ვინ არის მოხალისე? პირი, ვინც თავისი ნებით ჯარში ჩაეწერა და თავისივე სურვილის თანახმად ბრძოლის წინახაზზე გაგზავნა მოითხოვა. სანამ მისი თხოვნა არ შეუწყნარებიათ და სამხედრო პირად არ მიუჩნევიათ, მოხალისედ მოსულ კაცს არაფერი ევალება, შეუძლია უკან გაბრუნდეს და განზრახვაზე ხელი აიღოს, მაგრამ თუ მისი სურვილი დააკმაყოფილეს და ნაწილში ჩარიცხეს, იმ წუთიდან ის უკვე ჯარისკაცია და კანონის წინაშე ისევე პასუხისმგებელია, როგორც ნებისმიერი სხვა ჯარისკაცი.

ასე რომ, სამხედრო მოსამსახურეს მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს ის გარემოება, მოხალისეა იგი თუ სამხედრო უწყების მიერ საგალდებულო წესით გამოწვეული მოქალაქე.

სამხედრო პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით საქმეს არჩევს და მსჯავრი გამოაქვს სამხედრო ტრიბუნალს ან საველე სასამართლოს, რომელიც ომის დროს ომის დროის კანონებით ხელმძღვანელობს.

მე ამას იმისთვის კი არ ვწერ, რომ მაინც და მაინც ვისიმე დასჯას მოვითხოვ, ვწერ მხოლოდ იმის შესახსენებლად, რომ სამხედრო პროკურატურა და სამხედრო ტრიბუნალი ნამდვილ რეგულარულ არმიაში ისევე აუცილებელია, როგორც ყველა სხვა მისი კომპონენტი.

თუ მტერზე მართლა გამარჯვება და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მიზნად დაგვისახავს, ერს თვალებში ნაცარი არ უნდა შევაყაროთ და ჩვენი ჭირი პირდაპირ და პატიოსნად ვაღიაროთ.

აი, ძაგალითად ერთი ჭირთაგანი: გარდა მკვლელობისა, ისიც გაუგონარი ცინიზმით, რის უფლებასაც თავს გერმანელი ფაშისტებიც კი არ აძლევდნენ დაპყრობილ ტერიტორიაზე, აფხაზეთში გავრცელებულია ძარცვა-გლეჯა, მოროდიორობა, სხვისი ქონებით ხელის მოთბობა და ამ ბოროტებას მარტო გადამთიელი ავაზაკები და აფხაზი ექსტრემისტები როდი სჩადიან. საჭიროა თუ არა საქმის არა გაჭიანურებული, არამედ უსწრაფესი გამოძიება და ჩვენი პატიოსანი, სამშობლოსათვის თავდადებული ჯარისკაცების შემარცხვენელი და ჩირქის მომცხები გარეწრების გამომჟღავნება და სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით საკადრისად დასჯა?

ნუთუ ეს ახალი ამბავია? მაშ, რატომ გულახდილად, პატიოსნად არ ვლაპარაკობთ და ამით ძარცვა-გლეჯასა და მოროდიორობას გასაქანს მთელ რესპუბლიკაში ვაძლევთ?

გარდა ყოველივე ზემოთ თქმულისა, რა ასუსტებს და აქვეითებს ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერებას? ძალების დაქსასულობა, ცალკეული ქვეგანაყოფების თუ რაზმების დაკომპლექტება ტერიტორიულ-ეთნიკური პრინციპით, რაც ფეოდალური ჯარის სტრუქტურას მოგვაგონებს. ეს სტრუქტურა დიდი ხანია უარყოფილია ცივილიზირებულ მსოფლიოში და ჯარების დაკომპლექტებისას თითეოული სამხედრო მოსამსახურის სადაურობას, კანის ფერს თუ ეროვნებას არავითარი ყურადღება არ ექცევა. თუ ჩვენც ასე არ მოვიქეცით, არასოდეს არ გვეყოლება სრულიად საქართველოს რეგულარული ჯარი, რომელიც მისი ყველა კუთხიდან გამოსული საქართველოს მოქალაქეებისაგან უნდა შესდგეს და მის მაგიერ საქმე გვექნება ვიწრო კუთხური ინტერესებით შეპყრობილ რაზმებთან, რომელთა ერთი არმიის დროშის ქვეშ გაერთიანება ერთობ გაძნელდება. არმიის ფორმირების ტერიტორიულ-ეთნიკური პრინციპი რომ თავიდანვე უკუგდებული ყოფილიყო და რესპუბლიკის სამხედრო უწყების სათავეში ამ საქმის ზედმიწევნით მცოდნე პირები მდგარიყვნენ, მაშინ ნაპრეზიდენტალი ვერ მოახერხებდა საქართველოს ზოგიერთი რაიონის სამხედრო ფორმირებათა გადაბირებას, თავის მხარეზე მათ გადაყვანას და დანარჩენ საქართველოსთან დაპირისპირებას, რაც, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება.

შეიარაღებული ძალების შინაგანი დაქსაქსულობის მიზეზი მარტო ეს ტერიტორიულ-ეთნიკური პრინციპი არ არის. არსებობს მეორე მიზეზიც, რომელიც აგრეთვე უდიდეს ზიანს აყენებს რესპუბლიკის სამხედრო ძლიერებას და შემოსეულ მტერთან წარმატებით გამკლავების უნარს. ეს გახლავთ კბილებამდე შეიარაღებულ პირთა დაჯგუფებანი, სხვადასხვა სახელწოდებისა, რომლებიც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ინტერესებს გამოხატავენ და საკუთარი სამშობლოს მიწაზე ვინ იცის რა თვითნებობას არ სჩადიან!

არ გვმართებს დავიწყება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის უმთავრესი მიზეზი რუსეთის მე-11 არმიის ძლევამოსილება კი არა, ჩვენს შეიარაღებულ ძალთა - არმიისა და გვარდიის შეუთანხმებლობა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ერთი პირის უქონლობა იყო. ოციანი წლების პარტიულებმა თავიანთ პარტიულ ამბიციებს სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა გადააყოლეს. დღესაც იგივე გავიმეოროთ? ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა თუ არ ვიცით ეს ისტორია? არად ჩავაგდოთ არცთუ შორეული წარსულის საბედისწერო მაგალითი?

ახლა ბევრს ლაპარაკობენ და პირობასაც სდებენ, რომ ეს ფრაქციული შეიარაღებული რაზმები მალე საერთო სამხედრო ხელმძღვანელობას დაექვემდებარება და მოხდება ეს აფხაზეთში. როდის? როცა ჩვენი არაორგანიზებულობით გათამამებული პირსისხლიანი მტერი, მიუხედავად ცალკეულ ქვეგანაყოფთა მართლაც სპარტანული წინააღმდეგობისა, თბილისში შემოვლენ და როგორც მიზნად დაუსახავთ, აქ სიკვდილის კალოს გალეწავენ?

ჩვენ ვერავის დაველოდებით. ჩვენ კი არა, თვით დრო არ იცდის. თუ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას თავის შემადგენლობაში თუნდაც ერთი შეიარაღებული პირი აღმოაჩნდება, იუსტიციის სამინისტრომ მისი რეგისტრაცია დაუყოვნებლივ უნდა გააუქმოს და პარტია კანონგარეთ გამოაცხადოს!

სამშობლოს ინტერესები მოითხოვს გადამჭრელი ზომების მიღებას, რაც რესპუბლიკის ლეგიტიმურმა პარლამენტმა და ხმათა ფანტასტიკური უმრავლესობით არჩეულმა მისმა თავმჯდომარემ უნდა იკისრონ. დროა უკუვაგდოთ პროვინციალიზმი და ცივილიზებული სახელმწიფოს ყველა ნიშან-თვისება შევიძინოთ!

ჩვენი საქმე სამართლიანია, წინ სიმართლის დროშა მიგვიძღვის! აფხაზ ექსტრემისტებს, რომელთაც ზურგში მახვილი ჩაგვცეს და კაენის ცოდვა ჩაიდინეს, თავი გამარჯვებული ჰგონიათ, მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს მასხარად იგდებენ და პირობებს აქეთ გვთავაზობენ. მათ უტიფრობას საზღვარი არა აქვს და იმედს კვლავ ჩვენს ქრისტიანულ შემწყნარებლობაზე, შინაგან უთანხმოებაზე, თავმოუბმელობაზე ამყარებენ.

კმარა!

ამიერიდან მათი იმედები უნდა დაიშხვრეს, დაილეწოს, ქართველმა ქართველობა უნდა დაიბრუნოს!

1992 წ.

არსებობს თუ არა „ებრაელთა საკითხი“?

მართალი მოგახსენოთ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ მწერალ გურამ ბათიაშვილთან, ჩემს გულითად მეგობართან და კეთილის მსურველთან, რომლის სახელს ქართველ-ებრაელთა თუ ებრაელ-ქართველთა კეთილი ურთიერთობის გაღრმავების არა ერთი საყურადღებო ფაქტი უკავშირდება, ოდესმე რაიმე საკამათო და ამასთან ერთობ ცხარე საკამათო გამიჩნდებოდა. გურამ ბათიაშვილი უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, მოქალაქე, ერისა და კაცობრიობის იდეალებზე ღრმად დაფიქრებული მწერალია და ამიტომაც გამაკვირვა მისმა უაღრესად სადავო წერილმა, რომელიც „ლიტერატურული საქართველოს“ 19 ივნისის ნომერში დაისტამბა.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ხსენებული წერილი „ქართველ ებრაელთა გასაჭირი და სულისკვეთება“ არა ერთ და არა ორ აზრობრივ შეუსაბამობას შეიცავს, რამაც მე ხელში კალამი ამაღებინა და მაიძულა მეგობარს დავპირისპირებოდი. აკი თქმულა: მიყვარს პლატონი, ჩემი მეგობარი, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო მიყვარსო.

მთავარი შეუსაბამობა წერილის სულისკვეთებაში დევს: მართლაც არსებობს თუ არა საქართველოში „ებრაელთა საკითხი“? იგულისხმებოდნენ თუ არა ებრაელები ე.წ. სტუმართა რიცხვში, რომლებსაც, თუ ჩვენს შინ გამომცხვარ მოფაშისტო ელემენტებს დავუჯერებდით, ადრე თუ გვიან უნდა დაეტოვებინათ საქართველო, ქართველთა მიწა-წყალი?

გულახდილად რომ ვთქვა, მე არასდროს მიფიქრია, ამ ქუჩის პოლიტიკოსებისათვის ყური მეგდო და მათთან თეორიული პოლემიკა გამემართა, ვინაიდან თავიანთი აზროვნების ზერელობისა და უპრიმიტიულესი დონის გამო ისინი ამას არ იმსახურებდნენ.

ჯერ ერთი, სად გაგონილა მთელი ერების აყრა და გადასახლება თავისი მუდმივი საცხოვრისიდან, როგორც არ უნდა მოგვცეს ამის ნება საერთაშორისო სამართალმა, ვინმეს ქუჩა-ქუჩა ღრიალით გადაეწყვიტოს? განა ეს სახელმწიფოებრივი, ერთაშორისი საკითხი არ არის, რომლის გადაწყვეტაშიაც უპირველესი სიტყვა დაინტერესებული ერებისა და სახელმწიფოების უფლებამოსილ პირებს ეკუთვნით?

ეგეც არ იყოს, ვის უნახავს სადმე „სტუმრად“ მყოფი ერი, ან მისი ნაწილი, დიდი იქნება ის თუ მცირე? გვესმის სიტყვა „სტუმრის“ შინაარსი? სტუმარი ხომ მოკეთის ოჯახში მისული მოკეთეა, რომელიც გარკვეული ვადით სარგებლობს მასპინძლის სტუმართმოყვარეობით და მერე თავისი გზით მიდის? შინ, საკუთარ სახლში!

სმენია ვინმეს, დიდი თურქობის ჟამს და უფრო ადრეც საქართველოსთან და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან მოკედლებული და საშვილიშვილოდ დაფუძნებული სომხობა ვინმეს ქართველთა და სხვათა „სტუმრად“ მოეხსენებინოთ?

იმხანად, როდესაც მოვიდნენ, თუნდაც ებრაელები ნაბუქოდანოსორ მეფის დროს, 2600 წლის წინათ, ისინი ხიზნები იყვნენ და არა „სტუმრები“, რადგანაც მათ სახლი,საშობლო აღარ ჰქონდათ, იგი უკვე მტერს ეკავა და თუ ოჯახის პატრონი ქართველი ერი წინააღ-

მდეგი არ იქნებოდა, არსადაც არ აპირებდნენ წასვლას. შემდეგ ისინი თანდათან დამკვიდრდნენ ახალ მიწაზე, ახალი ცის ქვეშ და ყოფილი ხიზნები ამ ქვეყნის მოქალაქეებად იქცნენ, ისწავლეს ენა, დაიხურეს აქაური ქუდი და სულიერად შეერწყნენ თავის ახალ სამშობლოს.

ვის გაუგია, მოკეთესთან მოსულ სტუმარს სტუმრიანობა არც მეტი, არც ნაკლები, საუკუნოობით გაგრძელებოდეს. ებრაელების შემთხვევაში ხომ ეს დრო რეკორდულ ციფრს — 26 საუკუნეს აღწევს!

ამაშ, რაზე ვიმტვრევთ თავს, რა ახალი პრობლემები გაგვჩენია, საკადრისია, სერიოზული კაცი, მწერალი, ისეთი, როგორიც გურამ ბათიაშვილია, ქუჩის ყიამყრალობას აპყვე და იქ გაგონილი ფრაზეოლოგია, კაცმა რომ არ იცის, ვისი პირიდან ამოსული, სერიოზული მსჯელობის საგნად აქცეო?

შევუშვათ თავში და ვისაც დღემდე არ შეუგნია, ერთხელ და სამუდამოდ დავიხსომოთ: ერები სტუმრად არ დადიან, არ არსებობს „სტუმარი ერი", ის ქუჩის პოლიტიკოსთა ენაზე აგორებული უგუნური მონაჩმახია და მეცნიერულ აზროვნებასთან, საღ აზრთან არავითარი კავშირ-ურთიერთობა არა აქვს. სამაგიეროდ, შესაბამისმა მეცნიერებამ იცის ძირითადი, აბორიგენი, გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ რეგიონისათვის „სახელწოდების მიმცემი ერი". ამას გარდა, არსებობს „მოსული ეროვნული უმცირესობაც", რომელიც დროთა განმავლობაში „ძირითადი ერის" ენასა და ზნე-ჩვეულებებს ითვისებს და აბორიგენთან ერთად მისი ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების თანაზიარი ხდება.

ასეთი იყო დავით აღმაშენებლის საქართველო, „ნიკოპსიიდან დარუბანდამდე", რომელიც თითქმის მთელ კავკასიას მოიცავდა. დავითის დროს, მანამდეც და შემდეგაც საქართველოს მოსახლეობის განმსაზღვრელ ნაწილს, ვისი სახელითაც სახელმწიფო იწოდებოდა, ქართველები შეადგენდნენ, თუმცა მათი საერთო რაოდენობა 5 მილიონს არ აღემატებოდა, სულ კი სახელმწიფოში, თუ არ ვცდები, სხვადასხვა ეროვნების და სარწმუნოებრივი აღმსარებლობის 12 მილიონი კაცი ცხოვრობდა!

აქ ის კი არ არის მთავარი, ვინ რა ეროვნული წარმომავლობისაა, არამედ ის, თუ ვის რა ეკონომიკური, კულტურული თუ სამხედრო წილი შეაქვს ქვეყნისათვის „სახელწოდების მიმცემი ერის" ეკონომიკურ, კულტურულ და სამხედრო ცხოვრებაში!

იქნებ ვინმეს გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ მაკედონელის, კიროსის, პეტრე დიდის და სხვათა იმპერიები მარტოოდენ ბერძნებმა, სპარსელებმა და რუსებმა ააშენეს!

ასევეთვე წესით აშენდა დავით აღმაშენებლისა, თამარისა და გიორგი ბრწყინვალის „დიდი საქართველო". „დიდი საქართველოს" მშენებელ ქართველებთან და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ „უცხო ტომის" შვილებთან ერთად იყვნენ, რასაკვირველია, ქართველი ებრაელებიც, რომლებიც იმთავითვე ჩაებნენ ქართველი ერის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და ყოველთვის ითვლებოდნენ, ითვლებიან და მომავალშიაც ჩაითვლებიან საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებად, მის ღვიძლ შვილებად!

ეს რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა ქართველი ებრაელობა ჩაითვალოს „სტუმარ ერთა" შორის და გავუწიოთ თუ არა რაიმე სე-

რიოზული ანგარიში ქუჩის ყიამყრალებს, რომელთაც „სა-ქარ-თვე-ლო!“, „სა-ქარ-თვე-ლო!“,“სა-ქარ-თვე-ლოს“ ქუჩა-ქუჩა ბღავილი და მომუშტული ხელის მაღლა აწევა მამულიშვილური გრძნობების უკიდურესი გამომეღაენება და დიდი პატრიოტული საქმის კეთება ჰგონიათ!

მეორე დიდი გასაჭირი, რაზედაც ჩვენი ავტორი წერილში მიანიშნებს, ქვეყანაში გაბატონებული თავაშვებულობა, ადამიანის მიერ ადამიანის სიძულვილი და სულის შემძვრელი კრიმინოგენული სიტუაციაა.

დიახ, ეს თანამედროვე საქართველოს უდიდესი უბედურება და მისი ობიექტური სურათი გახლავთ! ამდენი სისხლისღვრისა და მსხვერპლის გაღების შემდეგ ქართველმა ერმა ნატვრა აღისრულა, თავის ისტორიულ მიწა-წყალზე დამპყრობლის მიერ წართმეული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერხნობით ისე საგანგაშოდ დაბალია რესპუბლიკის საზოგადოების პოლიტიკური აზროვნების დონე, რომ შინაგანი დესტრუქციული ძალები, ეითომდა იგივე საქართველოს დემოკრატიის დროშით, ძირს უთხრიან და უფსკრულში ჩახთქმით ემუქრებიან საქართველოს, მის წარსულს, აწმყოს და მომავალს!

გარდაუვალი კატასტროფა ემუქრება არა ებრაელ, არა სომეხ, არა აზერბაიჯანელ, არა რუს, არა ბერძენ, არა ოს, არა ასირიელ და სხვა ერებს, რომელთა წარმომადგენლები საქართველოში, ქართველების გვერდით ცხოვრობენ, არამედ უპირველეს ყოვლისა ქართველ ერს, რომლისთვისაც მრავალ ვაებაგამოელილი საქართველო ერთადერთი სამშობლოა, სხვა სამშობლო მას არა აქვს!

თუ გაუპირდა, თუ წვრილშვილს მოუშივდა, თუ დამნაშავეთა სამყარომ ცხოვრების სახსარი მთლიანად წაართვა, ებრაელი აიყრება და წავა თავის ისრაელში, სომეხი – სომხეთში, აზერბაიჯანელი – აზერბაიჯანში, რუსი – რუსეთში, ოსი – ოსეთში და ა.შ., ვერსად წავა მხოლოდ ქართველი! სადღა ეძებოს მან სამშობლო, მისი სამშობლო ხომ საქართველოა, რომელიც დღესდღეობით მისივე ხელით იღუპება!

თუ ვინმეს უჭირს დღეს საქართველოში, ქართველს უჭირს, უჭირს თავისივე სატანას მინდობილ შვილისაგან, მისი პოლიტიკური უმწიფრობისაგან, ქართველს აქამდე წვითა და დაგვით მოყვანილი სამშობლო ეღუპება, თავადაც იღუპება და ხსნის უტყუარი გზა ვერ უპოვნია!

განა ამასთან სახსენებელია რაიმე სხვა უბედურება?

გამხეცებამ იმ ზღვარს შიაღწია, რომ დღისით-ძზისით, მთელი საზოგადოების თვალწინ, საშინელი ცინიზმითა და გულგრილობით ყოველგვარი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელი შეიქნა. ყვარელში გატეხეს და გაქურდეს ერის მამის, დიდი ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. მძარცველებმა მშობელ ერს მოსტაცეს ილიას ხელმონაკიდი ნივთები, რომელთაც მძარცველთათვის არა ისტორიული, არამედ მხოლოდ სახმარი ღირებულება აღმოაჩნდათ, თითქოს მათ არავითარი კავშირი არ ჰქონოდეთ ღმერთკაცის სახელთან!

ესეც არ იკმარეს! წიწამურში ტყვიით დაცხრილეს ობელისკი, რომელიც იქ არის აღმართული, სადაც 1907 წელს მოკლეს ილია!

მეტი რომ არა ვთქვა, მკრეხელობა არ არის, ამ ძარცვა-გლეჯასა და ყოველგვარ ძალადობაში, ადამიანების მოტაცებასა და მოროდიო-

რობაში, საკუთარ სიწმინდეთა შეუწყნარებელ წაბილწვაში, ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოში რომ მეფობს, კაცმა ცალკე გამოყო ერი, რომელსაც შენ გენეტიკურად ეკუთვნი და წერილად გამოაცხო „ქართველ ებრაელთა გასაკირი და სულისკვეთება“?

ხომ არ არის ეს ყბადაღებული პოპულიზმი და მისწრაფება, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს თავი მათი ინტერესების დამცველად მოაჩვენონ?

ასე ჰგავს და, ჩემი ღრმა რწმენით, ეს არასაკადრისი საქციელია.

ქართველი ებრაელობა ნაწილია საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისა და გამეფებულ ქაოსსა და ვაი-უშველებელში მასაც იგივე დღე ადგას, რაც უკლებლივ ყველა ქართველს და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყოველ მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა. ამას ხომ თავადვე ამბობს ბატონი გურამ ბათიაშვილი, მაგრამ შემდეგ, მომდევნო მსჯელობებში, კალამი იქით მიურბის, საითაც არ უნდა გაჰქცეოდა!

მძარცველს და მოროდიორს ეროვნება არ გააჩნია, არც სინდისისა და საზოგადოების წინაშე რაიმე პასუხისმგებლობა. მისთვის სულ ერთია, ვის და რას გაძარცვავს, ბანკს თუ დავრდომილ დედაბერს, სინაგოგას, მუზეუმს თუ უამისოდაც საშინელ გასაჭერში ჩაკარდნილ ქვრივ-ობოლს, ცხრა მთას იქიდან შენი ქვეყნის სიყვარულით ჩამოსულ უცხოელს, თუ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეს. ოღონდ კი ფული გამოძალოს (ეა მით უზრუნველად იცხოვროს!

ალალმართალი ქართველი ერი, რომლის გულშიაც მოყვასის გაუნელებელი სიყვარული ღვივის, პასუხს ვერ აგებს მის მიწა-წყალზე დაუსჯელად მოთარეშე ბანდების გამო. ამ ბანდების ჩვენში არსებობა და პარპაში სრულებითაც არ მოასწავებს იმას, რომ საქართველოში ებრაელობისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, რომ ქართველობამ გადაუხვია იმ გზას, რომელსაც 2600 წლის განმავლობაში ადგა. ამის თქმა და მტკიცება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში საესებით ვერ ერკვევა და უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მსჯელობისას მოვლენის ზედაპირზე რჩება. მაშ, რა შეიცვალა? შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური სახე, მოხდა დიდი გადატრიალება, რამაც ბევრი რამ, რაც აქამდე ურყევი და ხელშეუხებელი გვეგონა, თავდაყირა დააყენა! ქართველი მოსაკლავად იმეტებს და კლავს ქართველს, კლავს ძმა - ძმას, შვილი მამას, მეზობელი - მეზობელს! სხვა დროს როდის დაგვტყდომია თავს მსგავსი უბედურება? არასოდესო, გვეუბნება საქართველოს პირუთვნელი ისტორია!

თუ ეს ასეა და რომ ეს ასეა, დღეს არავინ დავობს, რაღა მაინც და მაინც ებრაელთა უბედურება გამოვყოთ და ავტონომიური მოთქმა-გოდება გავაჩაღოთ, ვითომ სხვები, მათ შორის ქვეყნისათვის „სახელწოდების მიმცემი“ ქართველი ერი უკეთეს დღეში არიან?

ამიტომაც კეთილი ინებოს ყველამ, ვისაც ბედმა თუ ისტორიულმა უკულმართობამ ქართველი კაცის გვერდით, მის მიწა-წყალზე ცხოვრება არგუნა, თავი დაანებოს დედაბრულ წუწუნს, ჩემს ერს ავიწროებენო და მხარში ამოუდგეს მის სამშობლო საქართველოს!

ტყუილად ფიქრობს გურამ ბათიაშვილი, რომ დანაშაულზე წასწრებულ ბოროტმოქმედის მიმართ ძალის ხმარება ებრაელ კაცს ქართველებისადმი სიძულვილში ჩამოერთმევა. აკი ითქვა ზემოთ: ბოროტმოქმედს, ვინც არ უნდა იყოს იგი, ეროვნება არა აქვს, ის წყლულია საზოგადოებისა და საზოგადოებისაევ შეერთებული ძალისხმევით უნდა მოიკვეთოს!

წერილის მესამე და უკანასკნელი შეუსაბამობა ჰეშმარიტებასთან ის გახლავთ, თითქოს ებრაელებისადმი დამოკიდებულება არა მარტო დამნაშავეთა სამყაროში, ინტელიგენციის წრეებშიაც კი შეცვლილიყოს და ეს უკანასკნელი ანტისემიტიზმის სენით დაავადებულიყოს.

ავტორი აქვე ახასიათებს ანტისემიტიზმს და სამართლიანად აღნიშნავს, რომ იგი არა იმდენად სიძულვილის ობიექტს – ებრაელობას აზიანებს, რამდენადაც იმ ერს, რომლის წიაღშიაც დაიბადა. შემდეგ გურამ ბათიაშვილი იშველიებს დიდი რუსი მწერლების ლევ ტოლსტოის, მაქსიმ გორკის, მ. კოროლენკოს ავტორიტეტს და წერს, რომ ისინი მთელი ძალით ებრძოდნენ რუს ერში ჩაბუდებულ ანტისემიტიზმს არა მაინც და მაინც იმისათვის, რომ ებრაელობა დაეცვათ, არამედ იმისათვის, რომ მშობელი ერის ჰუმანისტური ტენდენციების სრულყოფისათვის მიეღწიათ.

აქ კი ცამდე მართალი ბრძანდება ჩვენი ავტორი. ანტისემიტიზმი, ებრაელთა სიძულვილი, ისევე როგორც სიძულვილი რომელიც გნებავთ სხვა ერისა, სამარცხვინო გრძნობაა და მას ყოველი საშუალებით უნდა ებრძოდეს ყოველი კეთილი ნების ადამიანი.

მაშ, რა გვაქვს საკამათო?

სად, რომელ პუბლიკაციაში გამოიკვეთა ეს უაღრესად საჩოთირო და უგუნური სულისკვეთება? ნუთუ რომელიმე ქართველ მოღვაწეს, მნიშვნელოვანს თუ წვრილფეხას, მართლაც გაუწყრა ღმერთი და შავით თეთრზე ის დაწერა, რაც 2600 წლის განმავლობაში ქართველ კაცს გულშიაც არ გაუვლია?

იქნებ ბევრმა ვინმემ არ იცოდეს და საჭირო იყოს თქმა, რომ ებრაელობა ყოველთვის გამორჩეული პატივით და ყურადღებით სარგებლობდა ქართველ მეფეთა და დიდებულთა კარზე. ებრაელი ერი იყო ერთადერთი ერი და რჩება ერთადერთ ერად, რომლის არც ერთ წარმომადგენელს საქართველოსათვის და ქართული საქმისათვის არ ულალატნია! ებრაელობა მუდამ გვერდში ედგა ქართველობას, რომლის ენა და კულტურა იმთავითვე შეითვისა, ამ ენისა და კულტურის ერთგული თანაზიარი გახდა და ათასწლეულებში მის ჭირსა და ლხინს პატიოსნად ინაწილებდა. ამ გარემოებამ წარმოშვა სწორედ სხვათათვის გაუგებარი სიყვარული, ამ ორ ერს შორის რომ არსებობს, ამიტომაა, ისრაელში, ისტორიულ სამშობლოში მიმავალ ებრაელს თვალი რომ უკან რჩება. აქ, კავკასიაში, მას თავისი ცოცხალი სამშობლო – საქართველო და მამა-პაპის ძვლები ეგულება!

წერილის ავტორი არ ასახელებს ანტისემიტიზმის გამოვლენის არც ერთ კერძო შემთხვევას და ამით, თავისდა უნებლიედ, მკითხველის სამართლიანი მსჯავრისაგან იცავს იმას, ვის დასათრგუნავადაც ხმალი უშიშვლებია. ნუთუ ასე მოედო ეს საზიზღარი, სამარცხვინო სენი ქართულ ბეჭედით სიტყვას, რომ მის გარშემო უკვე განზოგადებით,

თითო-ოროლა კონკრეტული მაგალითის მოუხმობლადაც შეიძლება ლაპარაკი?

რა ბადებს ამ აზრს? ავტორის ზოგადი მსჯელობა და საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათა ქადაგება.

მე არ ვდავობ. შეიძლება მართლაც დაიწერა რაღაც მსგავსი, დაიწერა სხვათა ხაბაძვით, რაც ქართველებს, სამწუხაროდ, ასე გვახასიათებს. უკეთუოი ინერციით და ფართო საზოგადოებამ ინფორმაციის ამ ოკეანეში ეს ვერ შენიშნა? მაშინ დაუყოვნებლივ საჭიროა აქ კაცთმოძულე, ქართველი ერის სულისკვეთების გამყალბებელი ლაყბობის მხილება არა მარტო ეროვნებით ებრაელი მოღვაწეებისაგან, რამედ ყველასაგან, ვისთვისაც ძვირფასია საკუთარი ერის ღირსება და ისტორიული სამართლიანობა!

არა მგონია, ამ მხრივ, ჩვენ, ქართულ ინტელიგენციას, რაიმე გვესწავლებოდეს თუნდაც იმ დიდბუნებოვან მწერალთაგან და მოღვაწეთაგან, რომლებიც ბატონ გურამ ბათიაშვილის წერილის კვალდაკვალ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ.

გარდა თბილისისა, კოსმოსში სამყაროს გასაგონად ქართულ ენაზე ღაღადებს კიდევ ერთი გეოგრაფიული წერტილი. ეს ისრაელია, სადაც საქართველოდან ჩასული თუ ამოსული ებრაელები სახლობენ. ისინი აქედან გაექცნენ არა ანტისემიტიზმს, არამედ დესპოტურ წესწყობილებას. გარდა საქართველოსი, არის კიდევ ერთი კუთხე მსოფლიოში, სადაც ცეცხლოვან ქართულ ცეკვებს ცეკვავენ და მრავალხმიან ქართულ სიმღერებს აგუგუნებენ. არის კიდევ ერთი კუთხე მსოფლიოში, გარდა, რასაკვირველია, საქართველოსი, სადაც ქართულად უხსნიან სიყვარულს. ქართულად წერენ ლექსებს და ღმერთს ქართულად ევედრებიან. ეს ისრაელია!

იქ კითხულობენ ქართულ წიგნებს, ქართულ პრესას, მათ შორის ქართველ მწერალთა გაზეთს „ლიტერატურულ საქართველოს" და მე არ მინდა, ბატონ გურამ ბათიაშვილის ბოლომდე გაუაზრებელმა წერილმა, რომელსაც მის ერთ-ერთ საუკეთესო გამოსვლად ვერასგზით ვერ ჩავთვლი, იქ გაუგებრობის თესლი დათესოს, ადამიანებს გული აუმღვრიოს, სიცოცხლე მოუწამლოს. ამიტომაც ვკადნიერღები და მკითხველს ამ ჩემს მცირე შენიშვნებს ვთავაზობ.

1992 წ.

არ შეიძლება არა ყოფნა

ამ რამდენიმე წლის წინათ მკითხველებთან შეხვედრა მქონდა ზუგდიდში. დასწრების მსურველები ქალაქის თეატრმა ვერ დაიტია და შეხვედრა ქალალდის კომბინატის კულტურის სახლში გაიმართა. დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. შეიძლება თამამად ვთქვა, რომ ეს დღე ერთ-ერთი უბედნიერესი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში, თუმცა ხალხმრავალ შეხვედრებს სხვა ქალაქებშიაც ბევრს შევსწრებივარ, მათ შორის ჩხოროწყუში, სენაკში, წალენჯიხაში, ფოთში, ბაგრამ მე მაინც გამორჩეულად ჩამრჩა გულში ზუგდიდელებთან შეხვედრა და რამდენი წელიც არ უნდა ვიცოცხლო, ის არც არასოდეს დამავიწყდება. როგორც ვინდაო, ჩამომართვით, ბაგრამ მე იმ დღეს ვიგრძენი და დავიჯერე საქარადჟამოდ,რომ მცირე ღვაწლი, რომელიც სხვა თანამოკალმეებთან ერთად მეც მიმიძღვის მშობლიური მწერლობის წინაშე, ვიღაცას ნამდვილად ჭირდება, ჭირდება ამ ხალხს, ამ უთვალავ ხალხს, თვალებანთებული რომ შემოგყურებს და შენგან სასწაულს ელის, ჭირდება ადამიანებს, რომელთაც შენი სჯერა, სჯერა შენი უდიდესი სიყვარულისა მისდამი, სჯერა, რომ არასოდეს უღალატებ, რომ თუნდაც ცეცხლს შეებმი, თუკი შენი მშობელი ხალხისა და საშობლოს ინტერესებმა ასე მოითხოვა!

არა მცხვენია აღიარება: ავცრემლდი, ხმა ამიკანკალდა, მიჭირდა, ამ სიკეთით სავსე ადამიანებისათვის, დარბაზი რომ აევსოთ, რაიმე ღირებული და დასამახსოვრებელი მეთქვა.

ბაგრამ ამ დღეში მარტო მე არ ვიყავი. დარბაზში მყოფი ბევრი ზუგდიდელის, ქალის თუ კაცის, ახალგაზრდის თუ ხანშიშესულის თვალზეც შევნიშნე მე იმ საღამოს ცრემლი. წმინდა ცრემლი, მთელი ჩემი ცხოვრებისა და თავაუღებელი შრომის ყველაზე მაღალი ჯილდო, რომელზე მაღლა მხოლოდ ღმერთია!

იმ საღამის მე ორატორებმა მთხოვეს და დარბაზმაც მხარი მხურვალედ დაუჭირა, ახალ წიგნს რომ დავწერდი, აქ ჩამომეტანა განსაზილველად, აქ მომესმინა მკითხველის პირუთვნელი მსჯავრი, სად ვნახავდი უკეთეს ადგილს, უკეთეს, უფრო მართალ, უფრო გულწრფელ. მწერლობის უღრმეს წიაღში უფრო ჩახედულ აუდიტორიას და ძეც ასევე მხურვალედ დავთანხმდი და მქუხარე ტაშიც მივიღე.

აი, მერამდენე წელიწადი მიდის, სათვლავიც კი ამერია და მე ისევ ცოცხლად ჩამესმის ის ხმები, ის ტაში და დღემდე არ გამნელებია სურვილი, დაპირებული რომანი ზუგდიდში ჩავიტანო და უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე რამდენიმე თავი მაინც წავიკითხო.

ბაგრამ, მოხდა უბედურება. მეხი დაგვეცა ბაშინ, როდესაც სამშობლოს თავისუფლების ნაპირი გამოჩნდა, როცა ყველა ერთად, ერთ განუყოფელ ოჯახად უნდა შევკრებილიყავით, ხელები დაგვეკაპიწებინა და ვისაც რით შეგვეძლო, თავისუფალი სამშობლოს კედლების ამოყვანა დაგვეწყო. სწორედ ამ დროს იქექა საქართველოს ცაქ და მანანის ბაგიერ ყოვლის გამანადგურებელი და მომსვრელი სეტყვა წამოვიდა. აღმოჩნდნენ ჩვენს შორის ადამიანები, ჩვენივე თანამემამულენი, ვინც პირადი კეთილდღეობა, პრესტიჟი, ამბიცია, თავისი პიროვნული განსაკუთრებულობა სამშობლოსა და თავისუფლების იდეალებზე მაღ-

ლა დააყენა, ერის მიერ უაზროდ, უანგარიშოდ დაღვრილი სისხლი კვარცხლბეკად გამოიყენა და სამოცდაათწლოვანი სულისშემხუთველი რეჟიმისა და თვით ისტორიის ხელით ოავდახსნილ ხალხსა და ქვეყანას და კიდევ უფრო უსასტიკეს ტირანად მოევლინა.

ერი ორად გაიყო. გამყოფმა ხაზმა ადამიანების გულზე გადაიარა და დაინგრა ის ერთობა, ის ერთიანი ძალისხმევა, 1989 წლის 9 აპრილს რომ გვასულდგმულებდა. მაშინ ქართველები და ყველა, ვინც ქართველების გვერდში საქართველოს კურთხეულ მიწა-წყალზე ცხოვრობს და მის ქირ-ვარამს ძმურად იზიარებს, „ჩვენ" ვიყავით, ჯერაც არ დავყოფილიყავით „ჩვენად" და „იმათად", მტერი მხოლოდ ეროვნული სხეულის გარეთ გვეგულებოდა, სწორედ იქ, სადაც ის ნამდვილად იყო!

10 აპრილის დილა განწმენდის დილად მოგვევლინა. დაღუპულთა სულებმა განწმინდეს ჩვენი სული, წარხოცეს ყველა ცოდვა. ჩვენ ერთსულად და ერთხორცად გვაქცია საყოველთაო სიყვარულმა, ქრისტესმიერმა სიყვარულმა. ყოველი ქართველის გულში რომ ჩასახლდა. ვეღარავის წარმოედგინა, თუ ამიერიდან ვინმეს კიდევ რაიმე ავკაცობის ჩადენა შეეძლო. პირველ სამ დღეს ხელ-ფეხი შეეკრათ თვით ლაგამაწყვეტილ ბოროტმოქმედთაც კი, მთელ საქართველოში ერთი სისხლის სამართლის დანაშაულიც არ მომხდარა!

ყველაზე დიდი დანაშაული ღვთისა და კაცის წინაშე, ვფიქრობ, მაშინ მოხდა, როდესაც საყოველთაო არჩევნებში მოტყუებული ქართველი ხალხის მიერ პიედესტალზე აყვანილმა პრეზიდენტმა, უკვე ბუნკერში გამაგრებულმა და ოთხივე კუთხივ ალყაშემორტყმულმა, ზუგდიდის ბატალიონი დაიბარა და ის დანარჩენ საქართველოს დაუპირისპირა. ეს სწორედ ის ნაბიჯი იყო, რასაც მთელი სიცოცხლე ებრძოდა სულგანათლებული მამამისი, დიდი ქართველი მწერალი და მოღვაწე, საქართველოს ერთი დიდი და გაუტეხელი მეცხოვნე კონსტანტინე გამსახურდია და ამავე კუთხიდან გამოსული სხვა დიდი მოღვაწენი!

ბუნკერში დაპატარავდა, დაიმცრო, დაიშალა საქართველოს ერთიანობის საშვილიშვილო იდეა, დახურდავდა ის წვრილმან ვნებათაღელვად, ვის რა სკამი რგებოდა, ვინ წინ დამჯდარიყო და ვინ უკან!

მჯერა, დიდ კონსტანტინეს რომ აქამდე ეცოცხლა და სამშობლოს ამ შავ დღეს შესწრებოდა, ის პირველი აჯანყდებოდა, პირველი გაილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ამქვეყნიურ დიდებას ებღაუქებოდნენ და არას გზით არ თმობდნენ მოტყუებით, ძალმომრეობით, თვალთმაქცობით მიღებულ პრივილეგიებს, არც ერთ მათგანს არც ნიჭით, არც კომპეტენტურობით და არც კეთილსინდისიერებით რომ არ დაუმსახურებიათ!

ვის და რას შეეწირა ამდენი სისხლი? ვინ არის მიზეზი და მიზეზთა მიზეზი უბედურებისა, სამშობლოს რომ დაატყდა? ვის მიუძღვის უპატიებელი დანაშაული იმ სასოწარკვეთილი ცოლ-ქმრის სიკვდილში, რომლებმაც შიმშილისაგან აზიაქებული მცირეწლოვანი შვილების ცქერას ვერ გაუძლეს და იმედით, იქნებ ამ უბედურებს სახელმწიფო მაინც მოეპატრონოსო, ფანჯარა გააღეს და მეათე სართულიდან გადმოცვივდნენ?

მიპასუხეთ, ძმებო, დებო, შვილებო, ვის, ვის, ვის?

ვის შეეძლო ყველა ეს უბედურება სამშობლოსათვის, გულით მასზე მინდობილ, მის ამომრჩეველ თანამემამულეებისათვის რომ აეცდინა? მხოლოდ ერთადერთ კაცს – ყოფილ პრეზიდენტს. ზვიად გამსახურდიას! მას ერთადერთს ძალუძდა, პოსტიდან ღირსეულად გადამდგარიყო, როგორც დიდი დე გოლი გადადგა და დიდსულოვნად ხელი შეეწყო ქვეყნის დაშოშმინებისათვის. ერი ჯეროვნად დააფასებდა მის ამ ცივილიზებულ ნაბიჯს, კიდევ უფრო შეიყვარებდა და მომავალ არჩევნებში, ვინ იცის, პირველობის პალმა ისევ მას რგებოდა!

რა მოხდებოდა მაშინ?

არავის დასჭირდებოდა ზუგდიდის ბატალიონი და ქვეყნის ერთი კუთხის ღვიძლი შვილების დანარჩენ საქართველოსთან დაპირისპირება,არ დაიღვრებოდა სამშობლოსათვის თავდადებული ასობით ახალგაზრდა ქართველის სისხლი, არ გვეყოლებოდა არც ერთი ღეჩაქგაშავებული ქართველი დედა, არც ერთი ნაადრევად დაქვრივებული ყმაწვილი ქალი, არც ერთი ობოლი, არ დაინგრეოდა თბილისის ცენტრი და მის ხელახლა ასაშენებლად საჭირო ფული კვლავაც მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებს მოხმარდებოდა, არ გამოჭნდებოდით განათლებული მსოფლიოს თვალში ველურების ქვეყნად, ისტორიის ხონჩით მირთმეული ეროვნული თავისუფლება რომ ვერ შევიფერეთ და ერთმანეთს სისხლმოწყურებულ მგლებივით დაეერიეთ!

აი, რა მოხდებოდა მაშინ, პრეზიდენტს გონიერი მამულიშვილების რჩევა რომ ყურად ეღო, მისთვის სიხარბეს თავგზა რომ არ აებნია და შეუფერებელი პოსტიდან მამისეული სიბრძნითა და სიდარბაისლით გადამდგარიყო!

ეს ასე არ მოხდა, არ მოხდა და საქართველო, რომლის საკეთილდღეოდაც ვითომ ორივე მხარე იბრძოდა, უფსკრულში გადაიჩეხა. ქვეყანა აღმოჩნდა სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში. იგი ენერგეტიკულმა და ყველა სხვა სახის კრიზისმა მოიცვა. ეგრთ წოდებული ეროვნული ხელისუფლების უგუნურმა, ქვეშაზე აშენებულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ ის გააკეთა, რომ მსოფლიომ ზურგი შემოგვაქცია და ეთნოკონფლიქტების ხანძარში გახვეულნი, 1001 პარტიად დაქსაქსულნი, ერთმანეთს დაპირისპირებულნი და სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულნი ბედის ანაბარა მიგვატოვა. საქართველო, უფრო მეტად კი მისი დასავლეთი ნაწილი, უფრო მეტად კი აფხაზეთის და სამეგრელოს რაიონები, კრიმინალური ბანდების სათარეშო ასპარეზად გადაიქცა. ააფეთქეს ხიდები, გააჩერეს და გაძარცვეს ასობით სატვირთო და სამგზავრო მატარებლები. შიმშილობის ზღვარზე მყოფ სამშობლოს, ყოველი კაპიკი რომ საძებარი აქვს, მილიარდობით მანეთის ზარალი მიადგა...

ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ზემოთ თქმულში თუნდ ერთი სიტყვა ტყუილია, სიმართლეს არ შეეფერება და ვისიმე მტრობა ან ეინმესადმი ამოჩემებული სიმპატია მალაპარაკებს?

რა ხსნა გააჩნდა ამ გამოუვალ ჩიხში მოქცეულ საქართველოს?

მე ამას ყველას არ ვეკითხები. არ ვეკითხები, კერძოდ, იმას, ვისაც ემოცია, პირადი გრძნობები, სიმპატია-ანტიპატია წინ უსწრებს და თავადაც არ ესმის, რას რატრატებს. ვეკითხები ცხოვრებით დაბრძენე-

ბულ, ჭირგამოვლილ, ავისა და კარგის გამჩრჩეე, საღად მოაზროვნე, ქვეყნისა და ერის ბედ-იღბალზე მიწყივ მაფიქრალ ადამიანებს!

აი, ასეთი ადამიანების მცირე ჯგუფმა, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ ერის საუკეთესო ნაწილის სახელით მოქმედებდა, გადაწყვიტა: დედამიწის ზურგზე, ჩვენდა საბედნიეროდ, მოიპოვება ერთადერთი ადამიანი, ვისაც, თუ მხარში ამოვუდგებით და ერთგულად გავწევთ საქვეყნო ჯაპანს, ერთადერთს ძალუძს, საქართველო უფსკრულიდან ამოიყვანოს. სხვა მხსნელი და მშველელი არ არის!

ეს ერთადერთი ადამიანი ყოფილი კომუნისტი, პოლიტბიუროს ყოფილი წევრი, ყოფილი ავად სახსენებელი საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძეა!

მაგრამ საკითხავი სხვა იყო: იკისრებდა კი მსოფლიო პოლიტიკის ცის კაბადონის ერთ-ერთ ბრწყინვალე ვარსკვლავი, პლანეტის ერთ-ერთი გავლენიანი პირი, საერთაშორისო ავტორიტეტი, ასაკით აღარ-ცთუ ახალგაზრდა ადამიანი შინაგანი წინააღმდეგობებით დაფლეთილ თავის პატარა სამშობლოში დაბრუნებას, მითქმამოთქმის ჭუჭყიან ჭაობში ყელამდე ჩაფლობას და აუტკივარი თავის ატკივებას?

შედგა ოფიციალური წერილი, რომლითაც ის სამშობლოში მოიწვიეს. წერილს, თუ არ ვცდები, ქვემოთ 20 თუ 25 ხელმოწერა უზის. ნუ მიწყენენ ისინი, ვინც მე რამდენიმე წლის წინათ ზუგდიდის ქაღალდის კომბინატის კულტურის სასახლის დარბაზში მისმენდა და გულითადად ნასიამოვნები ტაშს მიკრავდა, თუ იმ ხელმოწერებს, შორის ერთ-ერთი ჩემია!

ხელმოწერას ახლავს ჩემი განუხრელი იმედი, რწმენა, რომ სამშობლოს გადარჩენის ერთადერთ სწორ გზას მივაგენით, რომ არ არსებობს ცის ქვეშ სხვა კაცი, ვისაც ამ ძნელბედობის ჟამს შეიძლება ერის ბედი მიენდოს, რომ საქართველო ღმერთმა არც დღეს გასწირა, არ გაიმეტა დასაღუპად, როგორც მაშინ, როდესაც არაბებისაგან დაღრღნილი და იავარქმნილი ქვეყნის სამეფო ტახტზე ერთი თექვსმეტი წლის უწვერული ყმაწვილი ადიოდა, როგორც მაშინ, ხვარაზმელებისა და მონღოლებისაგან ლუკმა-ლუკმა დაგლეჯილ, გაევრანებულ ქვეყანას კიდევ ერთი მხსნელი, მისი გამაერთიანებელი და აღმდგენელი ძოეევლინა. ნუ შეგვაკრთობს ისტორიული ანალოგიები. გამოხდება ხანი, ჩვენი დროც შორეულ ისტორიად იქცევა და, თუ მართლა გადარჩენა გვიწერია, ისტორიის პრიზმაში ყველაფერი სწორედ ასე გამოჩნდება!

შევარდნაძემ, როგორც მოსალოდნელი იყო, მიიღო ერთადერთი მამულიშვილური გადაწყვეტილება და ჩამოვიდა, ჩამოვიდა არა ახალი მაღალი თანამდებობის დასაკავებლად, არამედ დასაღუპად განწირული სამშობლოს გადასარჩენად!

შემობრუნდა მსოფლიო ჩვენკენ. არ შემობრუნდა? იგივე მდგომარეობა გვაქვს, რაც გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში გვქონდა? საქართველო უკვე სცსო სამოცდაათზე მეტმა სახელმწიფომ - ევროპამ, აზიამ, ამერიკამ, აფრიკამ, ავსტრალიამ. არა ერთ მთავარ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა ელჩების დონეზე. თბილისში, საქართველოს ისტორიაში პირველად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოები გაიხსნა. დღე-დღეზე ველით ახალი საელჩოების გახსნას. საქართველო

თავის სრულუფლებიან წევრად მიიღეს ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის ევროპის სახელმწიფოთა თანამეგობრობამ, რომლის წევრობაც ამას წინათ ჰელსინკში გაფორმდა. აღდგა ნორმალური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან, რომელთან უმაღლეს დონეზე შეთანხმებითაც მოხერხდა ინსპირირებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება შიდა ქართლში. ლტოლვილობაში გაწამებული ქართველი და ოსი მოსახლეობა თავის საცხოვრიის უბრუნდება. მიღწეულია სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოება თურქეთის მხრიდან, რომლის მთავრობის მეთაურმა, თანამედროვეთა ერთ-ერთმა დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ. სულეიმან დემირელმა, ბატონ ედუარდ შევარდნაძის მოწვევით, პატივი დაგვდო და უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულების ‹დასადებად ჩვენს მრავალტანჯულ საატახტო ქალაქ თბილისში გვეწვია.

ხოლო 31 ივლისს 1992 წლისა, სულ რამდენიმე დღის წინათ, უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული ფაქტი განხორციელდა: რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეწყობით და დიდი ბრიტანეთის რეკომენდაციით საქართველოს რესპუბლიკა მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, რითაც დაგვირგვინდა მისი სახელმწიფო [illegible] უკიდებლობის მსოფლიო აღიარება. გაეროს წევრ სახელმწიფოთა დროშების ტყეში საქართველოს დროშაც აფრიალდა!

არა, არ დავწერდი მე ამ წერილს, დიდი გულისტკივილი, დიდი ფიქრი რომ არ მაწუხებდეს, სიხარულს რომ არ მიჩრდილავდეს, მოსვენებას არ მიკარგავდეს. ეს ფიქრი უმთავრესად ედუარდ შევარდნაძის სამეგრელოს რაიონებში ბოლოდროინდელ მოგზაურობას უკავშირდება.

თვენახევრის თუ ორი თვის წინათ მე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე წამოვეერი აზრი, რაძღენიმე მწერალი ზუგდიდს ეწვეოდით და ხალხს დაელაპარაკებოდით. ეს ძაშინ იყო, პირველი არეულობა რომ დაიწყო და გამწვავდა. ტელეგადაცემები სამეგრელოს არ მისდიოდა. არ ვრცელდებოდა პრესა. რეგიონი ცასა და ქვეყანას მოწყვეტილი ცხოვრობდა. წაღმა-უკუღმა ვრცელდებოდა ჭორები. რომ იტყვიან ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა. კოლეგებმა რატომღაც მხარი არ დამიჭირეს. მარტოდმარტო წასვლას კი რა შნო და ლაზათი ექნებოდა!

რაკი ბატონ ედუარდს მის სარისკო მოგზაურობაში ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენელიც მიყვებოდა, მეგონა, იმ ჩემს ძველ სურვილს ვინმე გაიხსენებდა და სამეგრელოში წასვლას მეც შემომთავაზებდნენ. არ გაახსენდათ, არ შემომთავაზეს და მეც აღარ ძიეეძალე, ეტყობა, საჭირო არა ვარ-მეთქი.

ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ დელეგაციაში არ ვიყავი და ჩემი თვალით არ ვნახე, რაც ხალხით სავსე დარბაზების მისადგომებზე ხდებოდა. ახლა სიკვდილით ვის გააკვირვებ, მაგრამ გული ნამდვილად გამისკდებოდა და სადავიდარაბო გავხდებოდი. დიდი ფიზიკური გამძლეობა სჭირდება იმას, რომ კაცმა საკუთარი ხალხის, თუნდაც მისი მცირე ნაწილის გაუგონარ ზნეობრივ დამდაბლების, ურცხვობას, უხამსობას უყურო და ელდისაგან იქვე არ გათავდე!

დიდია დამცირება და ტკივილი, რაც საქართველოს ამ უმშვენიერეს, ყოველსაირად გამორჩეულ კუთხეს მიადგა, მწარეა დაღუპულთა დედების,ქვრივების, ობლების, ახლობელ-მეგობართა ცრემლი, მაგრამ სიდარბაისლით განთქმულ კოლხეთს არავისაგან ესწავლება, რომ გლოვას თავისებური სიდიადე და სულიერი ამაღლება შვენის. მუდამ და ყოველთვის ამის უზადო მაგალითს მეგრელი დედები, ცალად დარჩენილი მეუღლეები და უნუგეშოდ შთენილი ობლები იძლეოდნენ. ახლა რა მოგვივიდა, ხალხო, ისეთი რა მოხდა, საუკუნოებრივი ტრადიცია თავდაყირა რომ დავაყენეთ და პაპუასებს დავემსგავსეთ!

ვის ვებრძვით; ვის ვიგდებთ მასხარად, ვის ვუტოლებთ თავს, ვის ვუღერებთ მუშტს, ვის ვეძახით მკვლელსა და არამზადას, ვინც საკუთარი სიცოცხლე, ოჯახის კეთილდღეობა, პირადი თავმოყვარეობა, სახელი და დიდება სამშობლოს საკურთხეველზე მიიტანა და უყოყმანოდ დასდო?

ეს მოურჩენელი ტკივილი, გულს რომ მიღონებს, იქნებ არც გამემხილა, არავისთვის და მითუმეტეს მკითხველისათვის არ გამეზიარებინა, ჩამეკლა გულში, როგორც ბევრი სხვა ტკივილი, რამდენიმე წლის წინათ ის სამახსოვრო შეხვედრა რომ არ მქონოდა ჩემს ზუგდიდელ მკითხველებთან. სინდისმა შემაწუხა. რას ფიქრობენ დღეს ისინი, სულგანაბული რომ მისმენდნენ და ჩემგან თითქოს სასწაულს მოელოდნენ? სად წავედი მას შემდეგ? სად დავიკარგე? განა შეიძლება ასლა გაჩუმება? არა, არ შეიძლება, ჩემო მეგობრებო! არ შემიძლია არა ვთქვა, რაც ვთქვი!

თუ ამ წერილის გამო წყევლა-კრულვას არ გამომიგზავნით და თავს არ დაირწმუნებთ, როგორც ზოგიერთმა გზადაბნეულმა დაირწმუნა, რომ მე ჩემს ძველ მრწამსს გადავუხვიე, თუ არსთა გამრიგემ დღე არ შემიმოკლა, მე ისევ ჩაძოვალ საყვარელ, ძარად დაუვიწყარ ზუგდიდში, დაპირებისამებრ, ახალ რომანს ჩამოვიტან, რომელიც რწმენისა და სამშობლოსათვის წამებულ დედოფალ ქეთევანს მივუძღვენი და რამდენიმე თავს მაინც, ძალიან რომ არ დაგღალოთ, თქვენს შორის წავიკითხავ!

1992 წ.

ცხრა შეკითხვის ცხრა პასუხი

1. ახალსა და გამორჩეულს ვერაფერს გეტყვით. ყოფის სიმძიმეს, მატერიალურ სიდუხჭირეს ახლა თავისი მარჯვენის შემყურე ყოველი პატიოსანი ადამიანი ერთნაირად გრძნობს, რომელ საზოგადოებრივ ფენასაც არ უნდა განეკუთვებოდეს.

ჩვენ ხელი შევუშვით ბერკეტებს და პანიკით მოცულნი ღია ზღვაში უნიჩბებოდ მივცურავთ. არა მგონია, ეს ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა ფატალური აუცილებლობით იყოს ნაკარნახევი და თუნდაც ფასების გათავისუფლება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, რომელთა ანაბანა ცოტა ვინმეს თუ გაეგება, არავითარ მართვას, რეგულირებას არ ექვემდებარებოდეს. ვერ ვბედავ თქმას, არავინ არაფერი იცის-მეთქი, ან არ უნდა, აუტკივარი თავი აიტკივოს, თუმცა შექმნილი საზოგადოებრივი ვითარება საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, სწორედ ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს.

ეკონომიკის მართვის ბერკეტების ხელიდან გაგდება და ერის ყოველდღიური ცხოვრების წესის თვითდინებაზე მიშვება საზოგადოებას კატასტროფისაკენ მიაქანებს. ჩემებრ უბირი კაცისთვისაც კი ძნელი დასაჯერებელია, თითქოს შეუძლებელი იყოს ამ სტიქიური სრბოლის შეჩერება!

ეს ხომ იგივეა, რაც ე.წ. უნაპირო დემოკრატიის პარპაში საშინაო პოლიტიკაში!

უნაპირო-მეთქი, იმიტომ ვამბობ და სიტყვა პარპაშსაც იმისთვის ვხმარობ, რომ „უნაპირო დემოკრატია" არ არსებობს, ის ანარქიაა! ნამდვილ დემიკრატიას მართვა, საზღვრებში ჩაყენება სჭირდება, რათა საზოგადოება ღუზამოწყვეტილ გემად არ გადაიქცეს და უგზოუკვლოდ ხეტიალისას კლდეებს არ შეასკდეს.

დალაგებულ ცივილიზებულ საზოგადოებას ყოველთვის ახსოვს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოც სახელმწიფოა, სახელმწიფო კი, თავისი ატრიბუტებითურთ — ჯარით, პოლიციით, სასამართლოთი, სამართალდამცავი ორგანოებით ძალმომრეობის იარაღია. ნუ შეგვაშინებს ეს სიტყვა, იგი პირველად არ გვესმის,თუნდაც უმრავლესობისა უმცირესობის დასათრგუნავად, გონივრულობის უგუნურებაზე, სამართლიანობის უსამართლობაზე გასამარჯვებლად, მაგრამ მაინც ძალმომრეობის იარაღია.

გავიხსენოთ თუნდაც სულ უკანასკნელი ამბები, ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ დატრიალდა. უდიდესი დემოკრეტიული სახელმწიფოს პრეზიდენტ ბუშს, ისიც გახურებული საარჩევნი კომპანიის დროს, როცა თეთრ სახლში მისი დარჩენა-არდარჩენა ბეწვზე ჰკიდია, როდესაც ცალი ხელით დიდძალი ასიგნობა გასცა დესტაბილიზაციით ქვეყნისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, მეორე ხელით საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ ასობით თანამემამულეს ციხის კარისაკენ მიუთითა.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამით ამერიკული დემოკრატიის პრინციპები არ შებღალულა. პირიქით, ყოველივე გაკეთდა სწორედ მისი სახელით, მის დასაცავად და მის განსამტკიცებლად!

თუ ვერ ვიცავთ ჩვენს სიმართლეს, თუ ვერ გადაგვწყვეტია, ასე მოვიქცეთ თუ ისე, მაშასადამე, ბოლომდე არ გვწამს იგი და მხოლოდ პოლიტიკურ თამაშს ვეწევით, ხოლო თუ მართლა გვწამს, ვერავინ შეგვიშლის ხელს, ვიყოთ ბოლომდე გულახდილნი, პრინციპულნი და დესტაბილიზაციას ისეთივე არაორაზროვანი ომი გამოვუცხადოთ, როგორიც ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გამოუცხადა!

დემაგოგები, ვიცი, აყვირდებიან და ტელეფონის ზარით ამიკლებენ, როგორ, მწერალი ისედაც სისხლიან ხელისუფლებას რეპრესიებისაკენ მოუწოდებო? არა, ბატონებო, პირიქით, მე ხელისუფლებას და ყოველ მამულიშვილ ქართველს, საქართველოს ყოველ მოქალაქეს მოვუწოდებ სამშობლოს გადარჩენისაკენ, იმათ უცერემონიო ალაგმვისაკენ, ვინც ანგრევს ხიდებს, აჩერებს და ძარცვავს მატარებლებს, ვინც მილიარდობით ზარალს აყენებს უამისოდაც გაღარიბებულ, მშიერ ქვეყანას!

2. უპირველესი მიზეზი ამისა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ პოლიტიკური მდგომარეობის არაზუსტი პროგნოზირება და აქედან გამომდინარე ნაგვიანები რეგულირების მცდელობა გახლავთ.

ათეული წლების განმავლობაში, როგორც ერთ ისე მეორე რეგიონში ჩვენ უგულებელყოფილი გვქონდა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებები, რამაც ეს უკანასკნელი რეგიონის მეორეხარისხოვან მცხოვრებთა მდგომარეობაში ჩააყენა. ჩვენ, ვითარცა ლენინური ხალხთა მეგობრობის ტრფიალნი და მიმდევარნი, ეურიგდებოდით ავტონომიურ წარმონაქმნებში ძირძველი ქართველი მოსახლეობის აშკარა ჩაგვრას, დამცირებას, ეროვნულ შეურაცხყოფას და ნაციონალიზმი არავინ დაგვწამოსო, მოღალატე ეროვნული უმცირესობის მიმართ ყოვლად გაუმართლებელ დათმობებზე მივდიოდით. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა თავს იწონებდა მოჩვენებითი დემოკრატიულობით, ავტონომიურ წარმონაქმნებში ადგილობრივი არაქართველი კადრების დაწინაურებით და მათი დანაშაულებრივი პარტიკულარიზმის წაყრუებით, რაც მკვიდრი ქართველი მოსახლეობის პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების ხარჯზე ხდებოდა.

ორივე რეგიონში გაბატონებულ არაქართველ ძალებს, რომლებიც ისე გათავხედდნენ, რომ თავიანთ უკეთურ ზრახვებს აღარც კი მალავდნენ, იმთავითვე მხარში ამოუდგა რუსეთის მმართველი წრეების იმპერიალისტური ამბიცია, რომელიც ყოველ ახალ ისტორიულ ვითარებაში სულ ახალ-ახალი სახით გვეელინება.

[illegible] რეგიონის ქართველი მოსახლეობის პოლიტიკურმა პასიურობამ,ცენტრიდან,რესპუბლიკის დედაქალაქიდან რომ მომდინარეობდა, განაპირობა მმართველობის უმაღლესი ორგანოების არადემოკრატიული, ადმინისტრაციულ ძალმომრეობაზე დაფუძნებული არჩევნები. პარტიული ნიშნის მიხედვით ქართული მოსახლეობის დაქსაქსვამ ხელ-ფეხი მთლიანად გაუხსნა და შეუზღუდავი თავისუფლება მიანიჭა ანტიქართულ ძალებს. სრულ პოლიტიკურ უგუნურებაზე აშენებული პარტიული ამბიციები, ავადმყოფური აკვიატებები და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის წინდაუხედავი მოთხოვნილებები და ულტიმატუმები

იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ აფხაზეთში მცხოვრებმა მეოთხედმა მილიონმა ქართველმა თავისი პოზიციის გამოსაძუშავებლად ეროვნული ყრილობის მოწვევაც კი ვერ მოასერხა. აღმოჩნდა ათასობით ადამიანი, ეროვნებით ქართველი, ვინც შავი თეთრისაგან ვერ გაარჩია, ბრმად აპყვა გროზნოელ „ემიგრანტთა“ ღვთის გამარისხებელ მოწოდებებს და წყალი საკუთარი სამშობლოს დაუძინებელი მტრების წისქვილზე მიუშვა.

საღმა აზრმა, მადლობა უფალს, ადგილობრივი ინტელიგენციის თავგამოდებით, მაინც გაიმარჯვა, ეროვნული ყრილობა შესდგა და აფხაზეთის მთელი შეგნებული მოსახლეობის მიმართ რადიკალური ხასიათის დადგენილებაც მიიღო, მაგრამ ამასობაში არც უზურპატორებს ეძინათ. მათ ყოველ ღონეს მიმართეს, რათა ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველობის პარალიზება მოეხდინათ და თავიდან აეცილებინათ მთავრობის საწინააღმდეგო ხალხმრავალი მიტინგი სოხუმში,რასაც ნაწილობრივ კიდეეაც მიაღწიეს.

ხელახალ არეულობებს, არა მარტო აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში, ხელმძღვანელობს და წარმართავს ადგილობრივ რეაქციულ ძალებთან ალიანსში მყოფი გროზნოს ემიგრაცია, რომელიც იმდენად გააშმაგა კარიერისტულმა მისწრაფებებმა, რომ ხმალამოღებული იბრძვის საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ, სწორედ იმ 87 პროცენტი ამომრჩევლის წინააღმდეგ, რომელმაც ექსპრეზიდენტი აირჩია!

ეს ბრძოლა ნაკლებად საშიში იქნებოდა, ყოველი ქართველი ადამიანი საღი თვალით რომ ჭვრეტდეს დღესავით ნათელ მოვლენებს და [illegible] ალავოდ არ თვლიდეს, იმას, რაც [illegible]

3. ჩემი პროგნოზი ოპტიმისტურია. მიუხედავად გროზნოში დაბანაკებული ემიგრაციის დანაშაულებრივი მცდელობისა, იგი გზასაცდენილ აფხაზ სეპარატისტებთან ერთად სრულიად საქართველოს, მისი ტერიტორიული და პოლიტიკური მთლიანობის წინააღმდეგ გამოეყენებინა. აფხაზეთის ქართველობამ ბოლოს და ბოლოს გამოიღვიძა და ადგილობრივი ინტელიგენციის მეთაურობით სიმართლისათვის აქტიური ბრძოლის გზას დაადგა.

არძინბას ფაშისტურ ხროვას სამარცხვინო კრახი მოელის, თუმცა არც იმის ანგარიშის ჩაუგდებლობა შეიძლება, რომ ეს ვაჟბატონი, მსგავსად მისი გროზნოელი თანამზრახველისა, ყოველ უკადრის საშუალებას მიმართავს, რათა პოლიტიკური ხომალდის კაპიტნობა შეინარჩუნოს. არ გაგიკვირდეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მანაც მშობელ ხალხს ტყვია დაუშინოს. რას იზამ, ხდება ხოლმე, ასე იცის კარიერის, სხვათა დაქვემდებარების ლაგამაწყვეტილმა სიყვარულმა!.

სხვა მდგომარეობაა ყოფილ სამხრეთ ოსეთში. აქ, ალბათ, ვერ ავცდებით შეიარაღებულ ბანდებთან სამხედრო დაპირისპირებას, ოსები იქნებიან ისინი, თუ ვაი-ქართველები.

4. ერის ზნეობა ტოტალურად დაცემული რომ არ იყოს, მე ღრმად მწამს, საქართველოს, ქართველ ხალხს ის ძნელად გადასაკრელი პრობლემებიც არ ექნებოდა, რომელიც დღესა აქვს. ქართველი ერი არასოდეს არ ყოფილა ასე დაქსაქსული, დახურდავებული, ასე ადვილად მოსარევი და დასამონებელი, როგორც დღესაა. მეოცე საუკუნის ბოლოს, როდესაც კაცობრიობის აყვავებამ უმაღლეს ფარდებს მიაღ-

ნია, როცა ყოველი კულტურული ერი თავისი დემოკრატიული მიღწევებით ამაყობს, მას კერპთაყვანისმცემლობის ანაკარა ნიშნები აღმოაჩნდა, იმ კერპთაყვანისმცემლობისა, რომელსაც ქაცობრიობამ ბრძოლა ჯერ კიდევ ბიბლიური მოსე წინასწარმეტყველის დროს გამოუცხადა. კერპთაყვანისმცემლობის ბაცილამ დაშალა ერი, ერთი ამაღლებული მიზნისათვის რომ იბრძოდა 9 აპრილის ბარიკადებზე, ერთმანეთს დააშორა და დააპირისპირა ერთ სანგარში მყოფი ადამიანები, დაშალა თვით ადამიანი. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მისი ხასიათი, გზა გაუხსნა და ზედაპირზე ამოატივტივა ადამიანზე უფრო მდაბალი გრძნობები და მისწრაფებები, რაც კი სულის წიაღში ოდითგანვე არსებობდა. არსებობდა დამალულად, ფარულად, ჩვენდა შეუგნებლად, მომაკვდინებელი სენით მოწამლა მთელი საზოგადოება.

ვაი იმ ერს, რომელიც „ჩვენ“ და „ისინისაგან“ შესდგება, ვაი იმ ქართველს, ვინც გამარჯვებას მოძმის დამარცხებაში პოულობს, ვინც სხვათა დასანახად პირჯვარს იწერს და თავისივე მსგავსის უსასტიკესად წამება შეუძლია!

ეს უბედურება არ ახსოვს საქართველოს, თკით მაშინაც კი, როდესაც ქართ-კახეთში ზნედაცემული ნაზარალი-ხანი მეფობდა, მაშინაც კი, როდესაც უპატრონოდ მთესილ საქართველოს გულს ოსმალები დაეპატრონენ და მრავალჭირნახული ქართლი ტფილისის ვილაიეთად გამოაცხადეს!

მაშინ ქართველი მაინც ქართველი იყო. გული სამშობლოსთვის უძგერდა, ღმერთი სწამდა, მოყვასი უყვარდა, მზად იყო, ყველა და ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, მამულის წმინდა საკურთხეველზე მიეტანა.

ვართ დღეს ჩვენ ის ქართველები? ვაი რომ არა, არა ვართ!

არა მსურს დავწვრილმანდე, სათითაოდ ჩამოვთვალო სულის შემძვრელი დანაშაულებანი, რომელსაც ჩვენი თანამემამულენი ყოველ ფეხის ნაბიჯზე სჩადიან. არა კმარა სულ ბოლო დღეებში სოფელ კეხვთან მომხდარი საშინელი მკვლელობის, მკვლელობის კი არა, ხოცვა-ყლეტის გახსენება? მსგავსი ბოროტება ქართველმა ბოლშევიკებმა ჩაიდინეს სოფელ არგვეთასთან 1924 წელს, როდესაც დახურულ ვაგონებში ტყვიამფრქვევით დახვრიტეს ასობით ადამიანი, ჩაიჰარად მოგროვილი და შიგ შერეკილი ქართველობა, დიდი და პატარა, ერი და ბერი, და შემდეგ ერს აუკრძალეს გახსენებაც კი იმ გაუგონარი ვანდალური ფაქტისა. აქაც იგივე მოხდა: ცინიზმით დაავადებულმა მკვლელებმა არ იცოდნენ, ვის ესროდნენ. ბავშვებს, ქალებს თუ მოხუცებს, შეიარაღებულ „ბოევიკებს“ თუ მშვიდობიან მოსახლეობას. დანამდვილებით იცოდნენ მხოლოდ ორი რამ: ავტობუსი ჯავაში მიდიოდა და მგზავრები ოსები იქნებოდნენ და რომ ეს უაზრო ხოცვა-ყლეტა თავდაყირა დააყენებდა ექსტრემისტების მიერ ერთმანეთს დაპირისპირებულ ორ ერს შორის დაწყებულ სამშვიდობო მოლაპარაკებას, გზას გაუხსნიდა შეიარაღებულ ძალადობასა და მკვლელობებს, რომლებშიაც, ეს პირუთვნელად უნდა განვაცხადოთ, არც ქართველები და არც ოსები ერთმანეთს არ ჩამორჩნენ!

პირადად მე იმითღა ვსულდგმულობ, რომ მწამს, ჯერ ყველაფერი არ დაღუპულა, ჯერ კიდევ ისმის პროტესტის ხმა, გადაგვარების გზაზე

დამდგარი ერი ჯერ კიდევ მთლად არ გადაგვარებულა, ჯერ კიდევ შეგვეძლია, სულის გადარჩენაზე ვიფიქროთ!

5. ქართული სოფლის სატკივარი ისევე ტრაგიკულია, როგორც ჩვენი ცხოვრება. სამოცდაათი წლის ტირანიის მსახვრალი კვალი ისე ნათლად არაფერს ემჩნევა, როგორც სოფელს. კომუნისტურმა წესწყობილებამ ძირფესვიანად დააქცია სოფელი, მარჩენალ მიწასთან შეკიდებული, ქვეყნის ბურჯი გლეხი მონა კოლმეურნედ, სოფლის უუფლებო პროლეტარად აქცია, რომელსაც მამა-პაპის დანატოვარ მიწასთან უკვე აღარაფერი აკავშირებდა, გარდა ადმინისტრაციული იძულებისა.

ღღეს პრივატიზაციას ვიწყებთ. ეშმაკის კერძად ქცეული მიწა მის დამამუშავებელს მუდმივ საკუთრებაში უნდა გადაეცეს.

ნუ გავიკვირვებთ, თუ ეს საქმე ისე ადვილად მოსაგვარებელი არ აღმოჩნდა, როგორც ბევრს, ვითარებაში არასაკმაოდ გარკვეულ ენტუზიასტს ეგონა. ვიდრე დავიწყებას მიცემული და ისტორიის კუთვნილებად ქცეული გლეხის ხასიათი, გლეხური ფსიქოლოგია არ აღდგება, რასაც, ალბათ, მრავალი წელი დასჭირდება, ქართული სოფელი იმ მამაპაპურ სახეს ვერ მიიღებს, როგორც მას ბოლშევიკების საქართველოში შემოსვლამდე ჰქონდა.

თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს რომ თავი დავანებოთ, რითაც კოლექტიური მეურნეობა მიწას ამუშავებდა, ღღეს სოფლის მწარმოებელს (ჯერ კიდევ ნაადრევია მას გლეხი ვუწოდოთ!) პრიმიტიული მამა-პაპური საწარმოო იარაღებიც კი აღარ გააჩნია, როგორიცაა თოხი, ბარი, ნამგალი, ცელი, წერაქვი, გუთანი, სახნისი, კევრი. საწნახელი და უამრავი სხვა რამ, სოფლის კაცს ყოველ ღღე და ყოველ წუთს რომ სჭირდება, არა ჰყავს, რაც მთავარია, გამწევი ძალა. ცხენი, ხარი და კამეჩი. მაშ მიწა რით დააშუშაოს, წლის მოსავალი რით მოიწიოს?

გავიხსენოთ ისიც, რა ღირს ლიტრი საწვავი, შხამქიმიკატები, კირი, გოგირდი და შაბიამანი, ვიანგარიშოთ, რა დაუჯდება გლეხს კილო ხორბალი ან კილო ყურძენი, როგორია მათი საბაზრო ფასი, მოგებას ნახავს თუ იზარალებს. ჩვენი გაკერძოების იდეა მიზეზთა და მიზეზთა გამო ჰაერში ხომ არ ჩამოეკიდება?

ისე წახდა საქმე, რომ ეს მე, არასპეციალისტმა, უნდა შეეახსენო ჩვენს მეცნიერ ეკონომისტებს, სადირექტივო ორგანოებს და კომპანიას, ვისაც [illegible] დაკარგული.

ასე რომ, ყურადღების გამახვილება მარტო იმაზე, რომ მიწა მეკობურებზე გავანაწილოთ, არ კმარა. არ კმარა და ეს აწუხებს სწორედ გლეხსაც, ესაა მისი სატკივარი.

6. თანამეროვე საქართველოს მთავარ პრობლემად ერის სულიერი გაჯანსაღება, დაკარგული ზნეობრივი ორიენტირების აღდგენა, ბრომისადმი ჯანსაღი დამოკიდებულების, ყოველი მოქალაქის მიერ საზოგადოებაში საკუთარი როლისა და ადგილის ზუსტად განსაზღვრა მიმაჩნია.

7. ისეთი გულმხურვალე პუბლიცისტების ნაკლებობას, როგორიც ნაირა გელაშვილი, ნოდარ გრიგალაშვილი და სხვანი და სხვანი, რომლებიც სამწერლო ასპარეზზე ბოლო წლებში გამოჩნდნენ და უკვე მოასწრეს მნიშვნელოვანი კვალი გაევლოთ ერის სულიერ ცხოვრებაში,

მაინც და მაინც არ განვიცდით, მაგრამ პუბლიცისტიკისადმი საყოველთაო გულგრილობა და მიტინგომანია მაინც თავისას სჩადის. ძლიერნი ამა ქვეყნისანი არცთუ ისე დიდი ენტუზიაზმით ეტანებიან იმას, რაც ჩვენი პუბლიცისტების ხელიდან გამოდის, მიტინგების მოყვარულნი კი საყურადღებოდ მხოლოდ იმას სცნობენ, რაც ყვირილისაგან ჩახლეჩილი ხმით ტრიბუნაზე ითქმის. ტრიბუნა ანალიზისა და აწონ-დაწონვის ადგილი არ არის, ანალიზისა და გონების სასწორზე აწონ-დაწონვის გარეშე კი ქვეყნად ჯერ არც ერთი ღირებული, საზოგადოებისათვის სასარგებლო აზრი არ გამოთქმულა და არც საქმე გაკეთებულა.

8. წიგნის უეცრად გაქრობა მაღაზიის თაროდან, რასაკვირველია, არ გამოდგება მისი ნამდვილი ღირებულების დასადგენად. სენსაციური ბესტსელერები მეტწილად მეტეორიეით გაიქროლებენ ხოლმე ცის კაბადონზე და ისევე უკვალოდ ქრებიან, როგორც გამოჩნდნენ. ბესტსელერი ბიზნესისთვისაა გამიზნული, პორნოგრაფიული თხზულება იქნება იგი, პოლიტიკური ინტრიგების ამსახველი ქრონიკა თუ ამათუ იმ პოპულარული პიროვნების საყოფაცხოვრებო დეტალების არცთუ ზნეობრივი გამომზეურება.

სამწუხაროდ, საქართველოს წიგნის ბაზარი ამ ბოლო დროს სწორედ ამგვარი ლიტერატურული პროდუქციის ასპარეზად გადაიქცა. ბულვარული მაკულატურა, რომელიც თქვენ ახსენეთ, გაუმაძღრად ნთქავს ნამდვილი ლიტერატურისათვის განკუთვნილ ქაღალდის ფონდს და ერთადერთ დანიშნულებას ასრულებს – გაამდიდროს გამომცემელი და საშუალება მისცეს მას, მიღებული ფინანსური მოგება კიდევ უფრო მდაბალი ემოციების აღმძრელი წიგნების გამოცემას მოახმაროს, რათა განუსაზღვრელად ზარდოს და ზარდოს ფულადი შემოსავალი.

თითოეული მკითხველის პირადი საქმეა, ვინ რა წიგნს შეიძენს და წაიკითხავს. ჰეშმარიტ მწერლობას, რომელსაც ერის სულიერი წინამძღოლის მისია აკისრია, ბრძოლისა და გამარჯვების მხოლოდ ერთადერთი გზა აქვს: არ დასთმოს მშვენიერებისაკენ ლტოლვის პოზიცია, გაიტაცოს მკითხველი და აზიაროს ის ჰეშმარიტებას!

მაგრამ, ბირთალი ბრძანდებით, ეს რომ მოიმოქმედოს, წიგნი უნდა გამოვიდეს. თუ ის არ გამოვა და მკითხველამდე ვერ მიაღწევს, რით და როგორ უნდა შესძლოს ზემოქმედება?

სიძნელეც სწორედ ესაა. ცის ქვეშ ადგილის მოპოვება, მკითხველის გულამდე მისვლა ყოველთვის ყოფილა და არის ყოველი შემოქმედის სანუკვარი ურთულესი საქმე. ეს საქმე გაგვირთულა საბაზრო ურთიერთობებმა, რომელიც, კულტურული დასავლეთის კვალდაკვალ, ესაა იკიდებს ფეხს ჩვენში და სახელმწიფო საგამომცემლო გეგმის მიხედვით წიგნების გამოცემის ადგილს იკავებს.

მე ასე მგონია, არ არსებობს სხვა ძალა, კონკურენციაში რომ გაგამარჯვებინებს, გარდა მაღალმხატვრულად წერისა. მწამს, რომ მკითხველი არასოდეს არ შეაქცევს ზურგს კარგ წიგნს და სულიერ საზრდოდ მდარე ლიტერატურას არ გამოიყენებს.

მკითხველებს შორის მე ვგულისხმობ გამომცემლებსაც, რომლებიც, რა უკეთესმართი ლიტერატურული გემოვნების პატრონიც არ უნდა იყვნენ, ჰეშმარიტ მხატვრულ ქმნილებას ლიტერატურულ სუროგატს წინ არასდროს არ დაუყენებენ. მაგრამ ცოტაა ეს „ჰეშმარიტი მხატვრული

ქმნილებები". ძნელი საშოვარია, წიგნის ბაზარი კი, როგორც საზოგადოდ ყველა ბაზარი, თავისას მოითხოვს!

9. დიახ, ჩემი ბოლო წიგნი „ქაქუცა და მისი ძმებია". ამ მოთხრობების შესაქმნელად ძე ლეგენდარული ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლთა მეტყველური ჩანაწერები გამოვიყენე და შევეცადე, თითოეულ მათგანში ეპოქის სული აღმედგინა. სამწუხაროდ, წიგნის თითქმის მთელი ტირაჟი, 9 ათასი ცალი, ცეკავშირის ლილოს ბაზარში აწყვია და იმ მიზეზით, რომ ბენზინის დეფიციტს განიცდიან, მთელი 6 თვის განმავლობაში წიგნი ბაზარზე ვერ გაუტანიათ.

სრულიად ახალი წიგნი, რომანი „გზა გოლგოთისაკენ", რომელიც შარშან ზაფხულზე დავასრულე, უკვე დაბეჭდილია საკმაოდ დიდი, 40 ათასიანი ტირაჟით და თუ გამომცემლობა „მერნის" ხელმძღვანელებს დავუჯერებთ, სულ მალე უნდა გამოვიდეს წიგნის ბაზარზე.

ეს წიგნი თითქმის ნახევარი წლის წინათ უნდა გამოსულიყო. ჯერ უსაშველოდ გაძვირებულ საბეჭდ ქაღალდს ვერ მოუყარეს თავი, შემდეგ მუყაო, წებო და ათასი სხვა მასალა გახდა საძებარი. ამას გარდა, წიგნი შინსკის ერთ-ერთ სტამბაში დაიბეჭდა და იქიდან აქამდე მოსვლაც ხომ უნდა!

ველი მოუთმენლად, როდის ჩამოაღწევს, როდის ძვა მკითხველამდე, რას იტყვის მკითხველი, ამაოდ ხომ არ დავწერეთ...

უფრო ახალი წიგნი? ვწერ! ვმუშაობ თავაუღებლად. ეკუძლებ გზადაბნეულ, ავის მოსურნეთა ანონიმურ წერილებს, რომლებიც სრულებითაც არ მიორკეცებენ შემოქმედებითი შრომის უნარს, ვუსმენ ანონიმურ დამოძღვრებს ტელეფონით და ვწუხვარ, სად იყო აქამდე ამდენი შხამი, სიძულვილი, რაში ეტეოდა. ნუთუ ვინმეს მართლა ეგონია, რომ სამშობლოს კეთილღეობა თითოეული ჩვენგანის ასაშენებელი არ არის, რომ მავანი და მავანი საჭიროა, მავანი და მავანი კი ზედმეტია? არა, ბატონებო, ზედმეტი არავინ არ არის. ყველა საჭირო ვართ და თითოეულს ჩვენ-ჩვენი ჯვრის ზიდვა გვაკისრია!

1992 წ.

მარტოლაცი ჯამაშიაც ბრალია

ერთი ინტერვიუს გამო

მეტად უსიამოვნო და უმადური საქმეს შეეჭიდე. უსიამოვნოდ მას იმიტომ ვთვლი, რომ ქვემოთ შეურიგებელი კამათი მომიხდება ადამიანთან, რომელიც ოდესღაც, არცთუ ისე შორეულ წარსულში, კეთილისმყოფელ მეგობრად და თანამოაზრედ მიმაჩნდა, ხოლო უმადურად იმიტომ, რომ ვიცი, კედელს ცერცვს ვაყრი, ის მაინც ჯიუტად დაიჟინებს, გინდა თუ არა ჩემი ჯობს და ჭორები მომაშორეთო.

საქმეც ეგაა, რომ ჩვენს მსჯელობაში ჭორებისაგან შორს ვიქნებით, შევეცდებით, მსჯელობა ფაქტობრივ მასალაზე დავამყაროთ და სათანადო საბუთებიც თავის ადგილზე მოვიტანოთ.

სიტყვა შეეხება პოეტ მუხრან მაჭავარიანის ინტერვიუს. „განდგომილ პოეტთან", რომლისა არამცთუ ლექსი, თვით დუმილიც კი „რეკს", იგი ახალბედა რედაქტორს აუღია და მე ის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე წავიკითხე. ნეტამც არ წამეკითხა! მუხრან მაჭავარიანი ყოველთვის თავმომწონე და თავისნათქვამა კაცი იყო, მაგრამ მაინც მეგონა, რომ დრო თავისას იზამდა, პოეტი თავის დროზე უმართებულოდ გადადგმულ ნაბიჯს დაუფიქრდებოდა, მის ავსა და კარგს გონების სასწორზე ახლა მაინც ასწონ-დასწონიდა, მიუდგომელ მსჯავრს გამოიტანდა და იქ დადგებოდა, სადაც გულმართალ, სამშობლოს ბედ-იღბლით ნამდვილად შეწუხებულ შემოქმედ ადამიანს შეშვენის დგომა.

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მუხრან მაჭავარიანმა, ჩემი ღრმა რწმენით, კიდევ ერთი ბედნიერი შემთხვევა გაუშვა ხელიდან, არა და მშვენიერი შემთხვევა კი იყო!

ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ „განდგომილ პოეტს", როგორც მას ინტერვიუერი უწოდებს, მთელი ჩვენი საქართველო ერთ გრძელ სუფრად წარმოუდგენია, რომლის გარშემოც მისი ნიჭის ძალით თავბრუდახვეული თანამეინახენი სხედან, სხედან და მუხრან მაჭავარიანის იქით ვერაფერს ხედავენ. იქნებ სადმე ძაღლაც მოიპოვებიან ადამიანები, რომელნიც გულწრფელად ჰგონიათ და სწამთ, რომ მუხრან მაჭავარიანის ბადალი საქართველოში არც პოეტია სადმე და არც მამულიშვილი, რომ ის ერთადერთი, მარტოდმარტო ებრძოდა და ებრძვის ბოროტებას, სხვები კი, მისი თანამედროვენი, გულხელაკრეფილნი სხედან და ბუზებს ულაპავენ.

აკი პოეტი თვით ბრძანებს რედაქტორის მიერ დასმული შეკითხვის პასუხად: „ორმოცი წელია, ხმალი ქარქაშში არ ჩამიგია! როცა ყველას მუცელში ჰქონდა ენა ჩაგდებული, მე ერთადერთი ვუყვირობდი ჩვენი ერის უბედურებაზე! ეს დიდი გმირობა იყო მაშინ (ბევრი გიჟად მთვლიდა ჩემი გაბედულების გამო)!"

ცოდვა გატეხილი ჯობს, ეს სიტყვები რომ არ წამეკითხა, იქნებ კალამი ხელში არ ამეღო, მაგრამ რაკი მცირედ გამოპასუხება დავაპირე, ვიდრე მაგიდას წერილის დასაწერად მივუჯდებოდი, მე ერის ამ ერთადერთი გულშემატკივრის ლექსების კრებულებსაც გადავსედე, სხვადასხვა დროს რომ გამოდიოდა, პრესასაც თვალი გადავავლე და მწერალთა კავშირის არქივსაც მივმართე, რათა ზოგიერთი რამ, რაზედაც ასე

გაბედულად, მთელი ქვეყნის გასაგონად ლაპარაკობს პოეტი, იქ შემოწმებინა და შემდეგ ჩვენი დღევანდელი მკითხველის სამსჯავროზე გამომეტანა.

მუხრან მაჭავარიანის ლექსების პირველი წიგნი, სათაურით „ლექსები", 1955 წელს გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობამ. თუ მაშინდელი პოლიტიკური ვითარების მიხედვით ვიმსჯელებთ, წიგნში ვერ მოხვდებოდა ვერც ერთი ე.წ. უიდეო, მით უფრო არსებული წესწყობილების წინააღმდეგ მიმართული ლექსი. უფრო მეტიც: თუნდაც ერთი ამგვარი დაუბეჭდავი ლექსის ავტორს არამცთუ წიგნს გამოუცემდნენ, დღის სინათლესაც მოანატრებდნენ.

1962 წელს, როგორც იდეურად სანდო და კომუნისტური მსოფლმხედველობის საიმედო ბურჯი, მუხრან მაჭავარიანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში შეივიდა, მაშინვე მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „პიონერის" რედაქტორის პოსტი და სასამსახურო მანქანა. რამდენიმე წლის შემდეგ ის აგრეთვე ჟურნალ „დილას" უდგება სათავეში, საიდაც ოთხმოციანი წლების დამდეგამდე დაჰყო.

იმ დღიდან ამ დღემდე ათიოდე წელიწადია. როგორ მოახერხა მუხრან მაჭავარიანმა ხმალი ხელიდან არ გაეგდო და როცა ყველას ენა მუცელში ჰქონდა ჩაგდებული, ერთადერთს ეყვირა ჩვენი ერის უბედურებაზე? ვითომ კომუნისტები აგრე გულუბრყვილოები და ხელით საირევი იყვნენ, საყმაწვილო ჟურნალის ერთ ურჩ რედაქტორს ვერ გაუსწორდებოდნენ და პერსონალური მანქანიდან ძაინც ვერ ჩამოსვამდნენ?

აი, ერთი ამონაწერი მისი ლექსიდან „ლენინი", რომელიც 1953 წელს დაიწერა და რომლითაც ზემოთხსენებული პირველი წიგნი იხსნება:

ნუგეში მუშის, ოკეანის გალმა-გამოლმა,
ვლადიმერ ლენინ!-
ახსენე მხოლოდ და წყვდიადში იფეთქებს შუქი,
ახსენე მხოლოდ და გვალვაში დაუშვებს წვიმა,
ახსენე მხოლოდ-
გზას დაგითმობს მძაფრი ქარბუქი,
ახსენე მხოლოდ-
და გათბები, როდესაც გცივა.

ლექსში „იოსებ სტალინი" პოეტი გვარწმუნებს:

ცხოვრება ჩვენი ბედნიერი არის იმდენად,
იმდენად არის ძვალმაგარი ჩვენი ცხოვრება,
რომ არც მუსიკა,
რომ არც ლექსი,
რომ არც სიმღერა-

ჩვენ
უიმედო
არაფერი მოგვეპოვება.

აქ, როგორც ხედავთ, ყველაფერია და ჩვენს პოეტსაც არავითარი მიზეზი არ გააჩნია ხმალი ქარქაშში არ ჩააგოს და ჩვენი ქვეყნის უბედურებაზე მან ერთადერთმა იყვირის. არც მუცელში ენაჩაგდებულთ აქვთ რაიმე სასაყვედურო, რადგანაც ქვეყანაში საყოველთაო კეთილდღეობა სუფევს და „უიმედო არაფერი მოგვეპოვება".

პოეტს ჯერ კიდევ 1948 წელს სწამს, რომ კომუნიზმი კარს მოგვადგა, მაგრამ „ამ ვიწრო ქუჩაში ვერ შემოეტევა" და „ელვის უსწრაფესად ქუჩები ფართოვდება".

თუ გავიხსენებთ, რომ ეს წლები, როდესაც ზემოთ მოყვანილი სტრიქონები იწერება, ომისშემდგომი შიმშილობის მძვინვარე წლებია, ერთობ დაგვაეჭვებს ხმალამოღებული პოეტის ოპტიმიზმი ქვეყნის კომუნისტური მომავლის შესახებ.

პოეტის ფანტაზია უსაზღვროა და დედამიწის ყოველ მტკაველს სწვდება. ის მარტო დედამიწის ერთი მეექვსედით არ შემოიფარგლება, შორეულ კონტინენტებსაც ეხმიანება და ლექსში „ლენინის ქუჩა" იქაურ მშრომელ მასებს სოციალური უსამართლობისაგან თავის დაღწევის გზებს სთავაზობს, მსოფლიო რევოლუციისაკენ მოუწოდებს:

უმუშევარო!
რაც უნდა გერქვას შენ,
ჯეკი. მარტინი, გინდ ჯონი!–
ეიცი: დამშეული, გამათხოვრებული...
რესტორანთან დგახარ ახლა.
    რატომ??
— აი, რატომ:
მანდ, ამერიკაში, არ არის ლენინის ქუჩა!
ვიდრე არ გაჩნდება მანდ ლენინის ქუჩა,–
    მშიერი იქნები, ჯონ!

იქნებ ეინმე გამოდგეს და მისაყვედუროს: მაშ, რა ექნა პოეტს? ასეთი დრო იყო! სწინააღმდეგოს ხომ ვერ დასწერდა, თავს ხომ ვერ წააგებდა! გმირობა, რაზედაც ზემოთ ლაპარაკობდა ბატონი მუხრანი, არავისთვის სავალდებულო არ არის. მით უფრო არ არის სავალდებულო მაინც და მაინც ის დაიბრალო და დაიჩემო, რაც არ გაგიკეთებია. მსგავს შემთხვევაში კი, როცა დიქტატურისათვის თვალის გასწორება და კამათი შენს ძალღონეს აღემატება, პროტესტის ერთადერთი უტყუარი ფორმა უნდა აირჩიო: დუმილი! ასე იქცეოდა ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, ეინც ძალლთაპირებთან კამათს უიმედო საქმედ თვლიდა, ჩრდილში იდგა და მეფის ნავს ახლოსაც არ ეკარებოდა.

შეუძლებელია. ერთსა და იმავე დროს შინაც იყო და გარეთაც, ოჯახეთის, ცეცხლიც გეკიდოს და ნეტარებასაც განიცდიდე, გულში მოყვასის სიყვარულიც გაქვს და იმავე მოყვასს მოსაკლავადაც იმეტებ-...

თავის ინტერვიუში პოეტი კიდევ ერთ მისტიფიკაციას შინართავს და ინტერვიუერს აინუშუნებს, ეს ყველას ახსოვს, ჩემი თაობის ხალხსაც და უმცროსებსაც, რადგანაც ყოველივე მათ თვალწინ გათამაშდა.

რა მოხდა მაინც?

ერთ შშვენიერ დღეს პოეტმა და რედაქტორმა მუხრან მაჭავარიანმა საზღვარგარეთ გასეირნრბა მოისურვა და სანახაევ ქვეყანაც აირჩია: ბულგარეთი! დაწერა განცხადება და...

მაგრამ უმჯობესია, ისევ ინტერვიუს მივმართოთ:

„საშსახურიდან მომხსნეს... სამშობლოდან გაშასახლეს (ვგულისხმობ ბულგარეთში ჩემს სამწლიან, ვითომდა შემოქმედებით მივლისებას)".

რა მოხდა სინამდვილეში, რასაც ქვემოთ სათანადო საბუთებით დავადასტურებ, რომელიც მწერალთა კავშირის არქივის სათანადო ფონდში მოვიპოვე?

დაწერა ბატონმა მუხრანმა განცხადება და მიმართა მწერალთა კავშირის თავჯდომარე გრიგოლ აბაშიძეს. განცხადებაში სხვათაშორის ისიც ეწერა, რომ პოეტს განზრახული ჰქონდა ბულგარეთში ყოფნა საქმის სასარგებლოდ გამოეყენებინა, იქაური პოეზიის ანთოლოგია შეედგინა, ეთარგმნა და სამშობლოში გამოეცა. ბატონმა გრიგოლმა კოლეგის სურვილი და შემოქმედებითი გეგმა შეიწყნარა და ოფიციალური შუამდგომლობით ძიძართა ცენტრალური კომიტეტის მდივანს ბატონ დევი სტურუას. ბატონმა დევი სტურუამ სათანადო გადაწყვეტილება მიიღო და ბატონი მუხრანიც ორჯერ სამ-სამი თვით და ერთჯერ ორი კვირით გაემგზავრა ბულგარეთში. გაცვლის წესით საქართველოში „გვეწვია ბულგარული პოეტი კინჩევი და შეუდგა ქართული პოეზიის ანთოლოგიის შედგენა-თარგმნას.

.აი, რამდენიმე ამონაწერი მუხრან მაჭავარიანის მიერ შედგენილ ავტობიოგრაფიებიდან, კადრების აღრიცხვის ბარათიდან და დახასიათება-რეკომენდაციებიდან, რომლებიც მწერალთა კავშირისაგან და მისი პარტიული ორგანიზაციისაგან არის გაცემული.

„1965-66 წლებში ორჯერ სამ-სამი თვით შემოქმედებითი მივლინებით ვიყავი ბულგარეთის სახალხო. რესპუბლიკაში".

„1965-66 წლებში ვიყავი ბულგარეთში შემოქმედებითი მივლინებით".

„მწერალი მ.ი. მაჭავარიანი მორალურ-პოლიტიკურად სანდო და ჩამოყალიბებული ამხანაგია".

იგივე განმეორდა 10 წლის შემდეგაც, 1976 წელს, როდესაც პოეტი ბულგარეთში ორი კვირის ვადით გაემგზავრა მთარგმნელთა სემინარში მონაწილეობის მისაღებად და კომფორტაბელურ საზღვაო კურორტზე დასასვენებლად.

სულ რამდენი ხანი დაუყვია მუხრან მაჭავარიანს შემოქმედებით მივლინებაში, რომელსაც ინტერვიუში რატომღაც „სამშობლოდან გასახ-

ლებად" იხსენიებს? ექვსთვენახევარი! მაშ, რა საქიროა სამშობლოდან გასახლების ის სამი წელი, რომელიც ინტერვიუში ფიგურირებს?

არა, არ ვარგა ასე, ნამდვილად არ ვარგა. ვინ მოვატყუოთ, საქმეში ჩაუხედავი მკითხველი, რომელსაც ჩვენი სჯერა და შემოწმებას, მართალს ვამბობთ თუ არა, არც კი იკადრებს?!

ბატონმა მუხრანმა ბულგარეთში ნაყოფიერად იმუშავა, სამშობლოდან განდევნის სუსხი, რასაკვირველია, სულაც არ უგრძვნია, მუშაობა შინ დაბრუნების შემდეგაც განაგრძო და 1974 წელს გამოსცა ბულგარული პოეზიის 461 გვერდისაგან შემდგარი ანთოლოგია, კარგი ანთოლოგია, ბულგარული ბწკარედიდან მშვენივრად თარგმნილი თვით მუხრან მა[illegible] მიერ. წიგნი დაიბეჭდა ორი ტირაჟით, 14 ათასი ცალი ანთოლოგია, [illegible]ჯერად უკვე 363 გვერდი, ხუთი ათასიანი ტირაჟით გახმოვანებია [illegible]ია 1982 წელს. 1989 წელს, მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აოჩევისთანავე, მთარგმნელი გამომცემლობა „მერანს" ავალებს ანთოლოგიის მესამე, 312 გვერდიან გამოცემას. გასაგები მიზეზის გამო ტირაჟი ორი ათასამდე დავარდა, მცირე ტირაჟის გადამკიდე. წიგნი ზარალიანია და გამომცემლობა იძულებული ხდება ქაღალდი დაზოგოს სხვა, მომგებიანი წიგნების გამოსაცემად.

ინტერვიუში ნახსენებია პარტიული, კომკავშირული და ლიტერატურული პრესის „გააფთრებული თავდასხმები" პოეტზე, ბოლოს კი სამსახურიდან მისი უსაბრალოდ მოხსნა.

„გააფთრებული თავდასხმებისა" რა მოგახსენოთ. ეს თავდასხმები იქნებ სხვებმა, „განდგომილი პოეტის" მუცელში ენაჩაგდებულმა ყოლეგებმა გადაიტანეს და არა პირადად მან, ხოლო რაც შეეხება „სამსახურიდან მოხსნას", ამის გარშემო კი ღირს ორიოდე სიტყვის თქმა.

1979 წლის აგვისტოში ჟურნალმა „დილამ", რომელსაც მუხრან მაკავარინი რედაქტორობდა, დაბეჭდა პოეტ იორამ ქემერტელიძის ალეგორიული ლექსი „დიალოგი ექვსი წლის მვილთან".

ლექსი [illegible]იმ დროისათვის მართლაც ბუნტარული იყო და მისი დაბეჭვდვა არამც თუ ავტორს, რედაქტორსაც დიდ გაბედულებად ჩაეთვლებოდა. ამ უკანასკნელს ავტორთან ერთად რომ გაეყო პასუხისმგებლობა და თავისი მოქალაქეობრივი მრწამსის დასაცავად ბოლომდე ებრძოლა.

ვაი რომ მოხდა პირიქით: პატივცემული რედაქტორი, პარტიისა და მთავრობის წინაშე პირველი პასუხისმგებელი პირი ლექსის გამოქვეყნების გამო, ბრძოლის ველს გაეცალა და ავტორიცა და რედაქციაც, რომლის სათავეშიაც იდგა, მოწინააღმდეგე ძალებს შეატოვა. რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოები, მათ შორის უპირველეს ყოვლისა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, დიდად შეაშფოთა და აღაშფოთა ჟურნალ „დილას" ხსენებულმა პუბლიკაციამ. დაინიშნა კომისია ჟურნალის მუშაობის შესასწავლად, ორი თვის შემდეგ კი შედგა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზედაც განიხილეს კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შედეგი. კამათში გამოსულმა ორატორებმა, ისევე როგორც კომისიამ, ჟურნალ „დილას" მოღვაწეობა ფრიად არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს, ის პირდაპირ მიწასთან გასწორეს და წამოაყენეს მოსაზრება რედაქციის პერსონალური შეძაგეულობის გადახალისების შესახებ. ბუნებრივია, ეს „გადახალისება"

უპირველეს ყოვლისა მის პასუხისმგებელ რედაქტორს ბატონ მუხრან მაჭავარიანს უნდა შეხებოდა.

ბიუროს სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ბატონი მუხრანი. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის ანგარიში თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა 1979 წლის 20 ოქტომბრის „ახალგაზრდა კომუნისტმა“ და თქვენის ნებართვით იქიდან აქ მცირე ამონაწერს მოვიყვან.

„მ. მაჭავარიანმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ჟურნალის მუშაობაში ისეთ ნაკლოვანებებზე, როგორიცაა ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილი მასალების ეპიზოდურობა, არასაკმაო მიზანსწრაფულობა, აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანი სისტემის უქონლობა, განსაკუთრებით კი ნორჩი თაობის პოლიტიკური აღზრდის საკითხების მშრალად, ხშირად არაფრისმთქმელად გაშუქება. რუბრიკები „ვრცელია ჩვენი სამშობლო“, „რევოლუციის რაინდები“ თავისი ფორმით და შინაარსით სრულებით ვერ აკმაყოფილებენ ნორჩი მკითხველის ცნობისმოყვარეობას.“

ამგვარად, ჟურნალ „დილას“ მუშაობა, როდესაც მას სათავეში მუხრან მაჭავარიანი უდგა, რედაქტორისვე აღიარებით, მთლიანად მანკიერი. წყალწასაღები ყოფილა. რა უნდა ჰქნას ამ დროს რედაქტორმა, თუკი მუშაობა არ გამოუდის? ქუდი უნდა დაიხუროს და წავიდეს რედაქციიდან, რათა ახლა სხვას მისცეს საშუალება პარტიისა და მთავრობის მიერ დაკისრებული საქმე უკეთ გააკეთოს!

როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცა რედაქტორი, „განდგომილი პოეტი“? ის ვერ შეელია ბოძებულ შავ ვოლგას, ხელფასს და პილატესავით ხელი დაიბანა, გაბედული ლექსის ავტორი პოეტი იორამ ქემერტელიძეც და თვით რედაქციაც, მისგანვე გალანძღული და ბოლშევიკურ ჯვარზე გაკრული, მარტოდმარტო დასტოვა! თვითგვემამ შედეგი გამოიღო: რედაქტორის მაგივრად რედაქციიდან გაუშვეს ჟურნალის... პასუხისმგებელი მდივანი პოეტი ანზორ აბულაშვილი, აი, ისა, შემდგომში უაღრესად პოპულარული ლექსი „წუხელის ვაჟი დაბადებულა“ რომ დაწერა.

ჟურნალ „დილას“ რედაქტორის სკამიდან ჩვენი შერისხული, „განმდგარი პოეტი“ ალმანახ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორის სავარძელში გადაბრძანდა.

1988 წელს მუხრან მაჭავარიანი უკვე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა. იმავე ხანებში ის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატიც ხდება. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის უაღრესად საპატიო პოსტზე მისი კანდიდატურა წამოაყენა რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ. მწერალთა საერთო კრებას, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორი თავმჯდომარეობდა. პირველიდან უკანასკნელ წუთამდე ესწრებოდა ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში ბატონი ნუგზარ ფოფხაძე.

იქნებ ესეც დევნა და შევიწროებაა, რომელსაც კომუნისტები მიმართავდნენ იმ უბადალებული ხმლის გამო, „შერისხულ პოეტს“ ორმოც წელიწადს ხელიდან რომ არ გაუგდია? ისიც როდის, როცა ყველას ენა მუცელში ჰქონდა ჩაგდებული და ის – „ერთადერთი ყეიროდა ჩვენი ხალხის უბედურებაზე!“

როდის აქეთაა, კომუნისტი ლიდერები ამისათვის ჯილდოებს რომ არიგებდნენ, ამა თუ იმ პიროვნებას სამსახურებრივ პოსტებზე აწინაურებდნენ და ბოლოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატადაც კი ირჩევდნენ?

სად გაგონილა მსგავსი რამ? მაშ, რატომ გვგონია, ან რატომ უნდა გვეგონოს, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისი მოხდა და მუხრან მაჭავარიანის ნიჭი, მოხიბლულმა კომუნისტებმა თავიანთ ხნესა და ჩვეულებას უღალატეს?

იმპერიის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატობა ბრალად, რასაკვირველია, არავის ედება, მისი წევრი ოდესღაც თვით დიდი ილია ჭავჭავაძეც კი გახლდათ, მაგრამ გააჩნია, იქ რას გააკეთებ. კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და პირადი ძალაუფლების მოსვექის მიზნით დაჯდები, თუ შენს მაღალ მდგომარეობას სასიკეთოდ გამოიყენებ, ხმას აიმაღლებ და შენს დაჩაგრულ სამშობლოს მწედ ეყოლები, თუნდაც ისეთად, როგორიც კოლეგა-დეპუტატები: ვალერიან ადვაძე, თამაზ გამყრელიძე, ელდარ შენგელაია, გივი გუმბარიძე, თენგიზ აბულაძე და თენგიზ ბუაჩიძე რომ იყვნენ!

1988-1989 წლებში ეროვნულმა მოძრაობამ იმძლავრა. კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრებული ახალგაზრდობა მწერალთა კავშირს მოაწყდა. მოაწყდა არა იმიტომ, რომ აქ სამშობლოს ერთადერთი ქომაგი მუხრან მაჭავარიანი ეგულებოდა, არამედ იმიტომ, რომ მწერალთა კავშირში იყვნენ ადამიანები, ვინც თავიანთ თავმჯდომარეზე ადრე იტვირთეს ერის უღალატო სამსახურის მძიმე ჯვარი და დღესაც მზად იყვნენ, თავიანთი ნიჭი, შემართება და თვით სიცოცხლეც კი სამშობლოს ინტერესებისათვის ენაცვალებინათ!

ვის შეუძლია თქვას და ამტკიცოს, რომ მთელი ამ ათეული წლების განმავლობაში ქართული მწერლობა მუცელში ენაჩაგდებული იყო და ხმას მხოლოდ ერთადერთი ყარიბი პოეტი იმაღლებდა? მხოლოდ იმას, ვისაც თავისი ეროვნული მწერლობა არაფრად მიაჩნია, ჩირადაც არ უღირს და თავის პირად ინტერესებს ყველაზე და ყველაფერზე მაღლა აყენებს!

მე ამას ერთადერთ ზედგამოკრილ სახელს – ინტელექტუარულ მოროდიორობას დავარქმევდი, რომელიც ჩვეულებრივ მოროდიორობაზე – საფლავების ძარცვაზე უკეთესი არაფრით არ არის!

შეიქმნა არა ერთი პარტია და გაერთიანება, რაც ერთიან ეროვნულ მოძრაობას წვრილ-წვრილ ნაკადებად დაქსაქსვა-დანაწევრებით დაემუქრა. წამოიჭრა აზრი, შექმნილიყო სრულიად საქართველოს ეროვნული ფრონტი, რომელიც მოძრაობის ყველა ნაკადს კელავ თავს მოუყრიდა და ერთი საბოლოო მიზნისაკენ მიმართავდა. საქმე გაჭიანურდა, თუმცა პირზე ყველას ეროვნული ფრონტის გადაუდებელი საჭიროება ეკერა, რომელიც შემდეგ სახალხო ფრონტად ჩამოყალიბდა.

ფრონტი ჯერ კიდევ არ იყო, მისი ჩანასახიც არ არსებობდა, რომ პარიზში ვიღაცამ ამბავი ჩაიტანა, საქართველოში ეროვნული ფრონტი ჩამოუყალიბებიათ და მის თავმჯდომარედ ცნობილი პოეტი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მუხრან მაჭავარიანი აურჩევიათო. არ დააყოვნა მოლოცვამაც. მოლოცვა იმავე პარასკევს გაზეთის პირველ

ბევრდზე გამოქვეყნდა: „საქართველოს ეროვნული ფრონტის თავმჯდომარეს ბატონ მუხრან მაჭავარიანს“!

არავინ დაგიდევდა იმას, რომ ამ ფრონტის თავმჯდომარე ბატონი მუხრან მაჭავარიანი არასოდეს არ ყოფილა, მას დაარსების დღიდან პროფესორი ნოდარ ნათაძე ხელმძღვანელობს, მაგრამ მთელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ხომ გავარდა ხმა, რომ ყველაფერს, რაც ამჟამად საქართველოში ხდება, მთელ ეროვნულ მოძრაობას მწერალთაგან გაბედულებით გამორჩეული პოეტი მუხრან მაჭავარიანი ხელმძღვანელობს!

ყველასათვის მოულოდნელად ბატონი მუხრან მაჭავარიანი მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი გახდა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეუწყა საზოგადოებას პრესისა და რადიო-ტელევიზიის საშუალებით. პარტიულ სიაში, რომელიც საარჩევნო კომპანიის დროს გამოაქვეყნეს, ის მეორე იყო და კიდევაც აირჩიეს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად.

დეპუტატი-პოეტის ცხოვრების ეს ხანმოკლე პერიოდი საგანგებო შესწავლას და მორალური ხასიათის დასკვნების გამოტანას საჭიროებს. მე დღეს არ ვაპირებ ეს მისია ვიკისრო, თუმცა სელი ყოველ წვრილმანზე და მსხვილმანზე მიმიწვდება, მხოლოდ იმ მხარეს შევეხები, რომელიც უშუალოდ ქართულ მწერლობას უკავშირდება.

ყველასათვის ცნობილია, რომ 1991 წლის მეორე ნახევარში რესპუბლიკაში მეტად მწვავე ფორმები მიიღო ე.წ. ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულმა მოძრაობამ. ოპოზიციონერთა მრავალრიცხოვან არმიაში არა ერთი ცნობილი მწერალი იყო, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებში, ხოლო რაც შეეხება მთლიანად მწერალთა კავშირს, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, იგი მხარში უდგა ოპოზიციაში მდგომ ძალებს და პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომას მოითხოვდა.

სექტემბრის დამლევს საქმე იქამდე მივიდა, რომ მწერალთა დიდმა ჯგუფმა, უპირატესად ახალგაზრდებმა, რომელთა გვერდში უფროსი თაობის მწერლებიც იდგნენ, არსებული წესების თანასმად, მწერალთა საერთო კრების მოწვევა მოითხოვა. კრებას მუხრან მაჭავარიანის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა განეხილა. ამის პასუხად მწერალთა კავშირის კარში, პირველად მისი არსებობის ისტორიაში, შეიარაღებული მილიცია დააყენეს და მწერლებს თავიანთი კავშირის შენობაში შესვლა აღუკვეთეს.

შემდგომში ეს ფაქტი იმით აიხსნა, რომ ექსტრემისტული ჯგუფები თითქოს მწერალთა კავშირზე თავდასხმას აპირებდნენ და „თანამშრომელთა და მწერალთა უსაფრთხოების მიზნით“ აქ საჭირო გახდა მილიციის საგუშაგოს შექმნა. გაითამაშეს კიდევაც თავდასხმის ინსცენირება. უცნობმა პირებმა მანქანით ჩაუქროლეს მწერალთა კავშირის სარაჯიშვილისეულ შენობას მაჩაბლის ქუჩაზე და ავტომატის ჯერებით დაცხრილეს უნიკალური შენობის ფასადი. დაიბეჭდა რამდენიმე ათეული მწერლის მიერ ხელმოწერილი საპროტესტო სტატია. რასაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ, მისი თავმჯდომარის მეთაურობით, ვინმე „მიმომხილველის“ ხელით შეთითხნილი სამარცხვინო პასკვილი დაუპირისპირა.

პასკვილის ავტორი, რომლის ვინაობა დღესაც უცნობია, უხეშად შეურაცხყოფს ათობით ღვაწლმოსილ ქართველ მწერალს. უშვერი, ქუჩური სიტყვებით ლანძღავს მათ მხოლოდ იმის გამო, რომ მუხრან მაჭავარიანის შემდგომი ყოფნა მწერალთა კავშირის სათაკეში მიზანშეუწონლად მიჩნიათ.

წერილში ბოლოს ნათქვამია:

„საქართველოს პარლამენტმა თბილისში დატრიალებული მოელენები შეაფასა, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. გამოიყო სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გაარკვიოს, ვინ ვინ იყო და რა პოზიცია ექირა. ამ კომისიას პუტჩის მხარდამჭერ და თანამგრძნობელ მწერალთა მოძიება არც კი დასჭირდება. პიდაპირ აიღებს ამ სიას და ყველაფერი ნათელი გახდება!"

ასე მზადდებოდა ბაროლომეს ღამე ქართული მწერლობისათვის!

ეს შემზარავი დოკუმენტი, 1937 წლის დამბეზღებლებსაც რომ შეაძრწუნებს, მუხრან მაჭავარიანის ლოცვა-კურთხევით და, ვინ იცის, მისი მონაწილეობითაც დაიწერა და გამოქვეყნდა.

როგორ ფიქრობთ, მკითხველო, დასაჯერებელია პოეტის მტკიცება, რომ ორმოც წელიწადს ხმალი ხელიდან არ გაუგდია და როდესაც „ყველას ენა მუცელში ჰქონდა ჩაგდებული", ის – ერთადერთი ყვიროდა „ჩვენი ერის უბედურებაზე"?

ვერწმუნოთ, რომ „თქმა სიმართლისა დღეს უფრო სახიფათოა, ვიდრე ამ სამი ათეული წლის წინათ იყო"?

ეს ფრაზა რომ სიმართლის ნატამალს მაინც შეიცავდეს, როგორღა მოახერხებდა ბატონი მუხრანი პერიოდული პრესის საშუალებით მის გავრცელებას? ეტყობა, ის დღესაც გმირია, რადგანაც არარსებულ ქარის წისქვილებს ებრძვის!

მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო, უთქვამთ ჩვენს ძველებს, მაგრამ მუხრან მაჭავარიანთან მიმართებაში ეს ფრაზა ცოტა არ იყოს ირონიულად ჟღერს და სათაურადაც ამისთვის ავირჩიე.

მართალი არ ვიქნებოდი, აქვე რომ არ აღშენიშნა, მუხრან მაჭავარიანის უეჭველი დამსახურება ერის სულიერ აღზევებაში. იგი არცთუ ცოტა შთაგონებული ლექსის ავტორია, რაც პოეტის მაღალნიჭიერებაზე მეტყველებს და რის გარშემოც მეც არა ერთჯერ მითქვამს და დამიწერია. მაგრამ განა ეს ამართლებს მას საზოგადოებისა და ერის წინაშე? გზასაცდენილ ნიჭიერ შემოქმედს გაცილებით მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე უნიჭოს. მუხრან მაჭავარიანი დღეს მართლაც განმდგარია, რადგანაც ყველა ჭაში ჩაანერწყვა და აღარავისთან მიესვლება, ხოლო [illegible]სთანაც მიესვლება, ის დიდი ხანია ანათემას გადასცა [illegible]ავისსაკე [illegible]ელმა ერმა და ერთხელ და სამუდამოდ შეაჩვენა!

1992 წ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲚᲐᲓ, ᲬᲘᲜ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲬᲐᲛᲐᲜᲐ!

წერილი რედაქციის მიმართ

არ გამკვირვებია, ერთ-ერთ წინა ნომერში, რედაქციამ რომ აღგვითქვა დღეის ამას იქით გაზეთის ფურცლებზე რედაქციის პორტფელში ჭარბად დაგროვილ ალტერნატიულ მასალასაც დავუთმობთ ადგილსო.

ალტერნატივა, ჩემი გაგებით, აზრია, რომელიც ჩვენს აზრს, ჩვენს თვალსაზრისს, თუნდაც მთელი საზოგადოების აზრსა და თვალსაზრისს უპირისპირდება.

ურიგო როდი იქნება, თუ მონოპოლიური სწორხაზოვნების ტრადიციებზე აღზრდილები ახლა მაინც მივცემთ გზას სხვადასხვა აზრს ლიტერატურული ნაწარმოების შეფასებაში, პოლიტიკაში, სხვადასხვა მიდგომაში ამა თუ იმ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ფენომენისადმი, თუ ერთსა და იმავე საგანს არა ერთადერთი. მონოპოლიური, არამედ ნებისმიერი რაოდენობის რაკურსიდან დავინახავთ.

ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს პროგრესს, პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

ასე რომ, მე თუ მკითხავთ, რედაქცია სწორ გზაზე დამდგარა და როდესაც ალტერნატიული მასალების დაბეჭდვაზე მისი ოფიციალური განცხადება წავიკითხე, განცხადებისადმი არავითარი პროტესტის გრძნობა არ აღძძვრია. პირიქით, კიდეეაც მომეწონა და გულში მხარიც დავუჭირე.

მე ისე გავიგე, რომ გაზეთის ფურცლებზე აზრი აზრს, თვალსაზრისი თვალსაზრისს დაუპირისპირდებოდა და რადგანაც ეს უკანასკნელი თვალსაზრისი ალტერნატიულია, საზოგადოებაში მართებულად თუ უმართებულოდ ფეხმოკიდებულ აზრს,თვალსაზრისს უპირისპირდება, იგი სათანადოდ იქნებოდა დასაბუთებული.

რაც შეეხება თვით დასაბუთების ცნებას, იგი წარმოუდგენელია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კომპონენტების გარეშე, ხოლო როგორ და რანაირად ხდება ეს დასაბუთება, ამას ფილოსოფიური დისციპლინა ლოგიკა შეისწავლის და მის გარშემო მსჯელობის გაჩაღება აქ ვგონებ საჭირო არ უნდა იყოს.

გარდა იმისა, რომ ყოველი თვალსაზრისი, მით უფრო ალტერნატიული, აუცილებელ დასაბუთებას საჭიროებს, გამოსაქვეყნებლად და საზოგადოებრივ ასპარეზზე საპაექროდ რომ გამოდგეს, იგი შესაფერის ლიტერატურულ ფორმაში უნდა იყოს ჩამოსხმული და ამავე დროს ითვალისწინებდეს პრესის შესახებ კანონის მოთხოვნებს.

თუ დარღვეულია პირველი პირობა, რის მეოხებითაც აზრი დასაბუთებული უნდა იყოს, განცხადება ობიექტურ ღირებულებას მოკლებული აღმოჩნდება და, საცა სამართალია, ის არ უნდა მოხვდეს პრესის, მეტადრე ლიტერატურული პრესის ფურცლებზე.

თუ დარღვეულია მეორე პირობა, რომლის მეოხებითაც აზრი შესაფერის ლიტერატურულ ფორმაში უნდა იყოს ჩამოსხმული, იგი ასევე არ იმსახურებს გამოქვეყნებას და ბეჭდვითი ორგანოს, მათ შორის ლიტერატურული პრესის საშუალებით მკითხველამდე მისვლას.

რაც შეეხება მესამე პირობას, რის საფუძველზეც პრესა ვალდებულია ადგილი არ დაუთმოს პიროვნების ღირსების შემლახველ გამოთქმებსა და ეპიθეტებს, მით უფრო როდესაც მასალა ვერც წინა ორ პირობას აკმაყოფილებს, რედაქცია, ავტორთან ერთად, მოვალეა პასუხი აგოს სასამართლოს წინაშე და დაზარალებულ პირს, რომელმაც სარჩელი აღძრა, მორალური დაკმაყოფილება მისცეს.

ეს „მორალური დაკმაყოფილება", რაც ყოფილ საბჭოთა კავშირში სრულ არარაობამდე იყო დაყვანილი, რადგანაც ადამიანის პიროვნული ღირსება არაფრად ფასობდა, ცივილიზებული მსოფლიოს ბევრ პერიოდულ გამოცემას, იმისდა მიხედვით, თუ რა ზომის დანაშაულია ჩადენილი, ასეულ ათასობით და ძილიონობით დოლარი უჯდება. არცთუ იშვიათად სასამართლოს მიერ დაწესებული ჯარიმა სასჯელის სხვა სახეობითაც იცვლება ხოლმე, რომელიც დამნაშავის განსაზღვრული დროით პატიმრობას ითვალისწინებს.

ყოველივე ეს ხდება დემოკრატიულ სამყაროში, სადაც პრესა გაჩენის დღიდანვე თავისუფალია და არავითარ ცენზურულ შეზღუდვებს არ ექვემდებარება. დემოკრატია თავს იცავს, ქეშმარიტებასთან ერთად იცავს ადამიანის ღირსებას და კანონის სიმკაცრე სწორედ ამით არის განსაზღვრული.

წარმოვიდგინოთ სხვა ჩვენი ლიტერატურული ორგანოების მსგავსად ჯიბექესატი. სხვისი ხელის შემყურე, სპონსორების გუნება-განწყობილების მოიმედე „ლიტერატურული საქართველო" ამ დღეში, „დემოკრატიის მარწუხებში" და ადვილად მიხვდებით, რა დაუჯდება მას მავანთა და მავანთა ე.წ. ალტერნატიული ოპუსების გამოქვეყნება, მიუხედავად იმისა, იზიარებს თუ არა ავტორთა თვალსაზრისს.

არ გვმართებს დავიწყება, რომ „ლიტერატურული საქართველო", როგორც სახელწოდებაც მიუთითებს, უპირველეს ყოვლისა ლიტერატურული უნდა იყოს. სხვაგვარად მას მწერალთა გაზეთსაც ეძახიან და ხელისმომწერიც ლიტერატურის მოყვარული ჰყავს. ამ გაზეთში ლიტერატურულად გამართული, ლოგიკურად დასაბუთებული და ზნეობრივად უმწიკლო პუბლიცისტიკა, კრიტიკა და სხვა ჟანრის ლიტერატურა უნდა იბეჭდებოდეს.

„ლიტერატურული საქართველო" მწერალთა გაზეთია და მისგან მკითხველი მხოლოდ პროფესიულ სიტყვას, პროფესიულ აზრს მოელის.

იქნებ ზოგს, ვინც ამ მცირე წერილს წაიკითხავს, გაუკვირდეს: რადაა იგი დატვირთული ზოგადი შეგონებებით და არავითარ კონკრეტულ საკითხს არ ეხება? ნუთუ ასე ძნელი მისახვედრია? ეხება, ბატონებო, როგორ არ ეხება! ეს აზრები, რომელთა წვრილად ჩამოყალიბება და რედაქციისათვის გამოგზავნა საჭიროდ დავინახე, აღმიძრა 11 დეკემბრის „ლიტერატურული საქართველოს" მე-13 გვერდმა ანუ „ალტერნატიულმა გვერდმა", როგორც მას რედაქცია ერთ-ერთ წინა ნომერში უწოდებს.

მე არ ვეპირებ იქ მოთავსებული რომელიმე წერილი გავარჩიო, როგორც არ გავარჩევ იმ უწმაწურ, ცხოველური სიძულვილითა და ბოღმით აკიღლნთილ, საღი გონებისათვის არც თუ ადვილად ამოსახსნელ ასოსიმურ წერილებს, რომლებსაც ასევე უწმაწურ ფსევდონიმებს ლაჩრულად ამოფარებული ჩვენიევე თვისტომნი ეროვნული ინტელიგენ-

ციის გამოჩენილ წარმომადგენლებს უგზავნიან და ერთადერთ მიზანს ისახავენ, მოახდინონ მათი შემოქმედებითი ძალების სრული პარალიზება, გააუფასურონ ყველა და ყველაფერი, დათესონ ნიჰილიზმის თესლი, ბინძურ წუმპეში ამოავლონ ათეული წლების თავდადებული შრომითა და ბრძოლით მოპოვებული სახელი.

ვის სცალია აქ რისამე დასასაბუთებლად, ნაფიქრ-ნააზრევის ლიტერატურულ ფორმაში ჩამოსაყალიბებლად, მსხვერპლად ამორჩეულის ღვაწლის გასახსენებლად და მისი ადამიანური ღირსებისათვის თავის ასატკივებლად!

აქვს რაიმე ფასი ამგვარ ყიამყრალობას? არაეითარი! რა შეიძლება მან მოგვიტანოს? მხოლოდ შემდგომი დეგრადაცია და სულიერი დაქვეითება!

რით გინდა ორიოდე სიტყვით, ერთი საპასუხო წერილით დამტკიცო, რომ შენ არა ხარ, რასაც ცილისმწამებელი გიწოდებს?

ეს საშინელი სიმწარე თვით ერის მამას, დიდ ილიასაც კი ერგო სანამ ტყვეით გულს გაუგმირავდნენ. გაზეთ „მოგზაურში“ მის წინააღმდეგ საზიზღარი პასკვილი დაიწერა და მხცოვან პოეტს, სამშობლოზე გადაგებულ კაცს, რაღა არ დააბრალეს! თუ მართალი ხარ, თავი იმართლეო. თავი როგორ და ვის წინაშე უნდა იმართლო, თუ ბრალდება არ წამოუყენებიათ, თუ შენი ავკაცობა არ დაუსაბუთებიათ! ამის მაგიერ ერთადერთი ეპითეტით ამკობენ: ხელები სისხლში გაქვს მოსერილი, მკვლელი ხარ, სამშობლოს დაუძინებელი მტერი ხარო. მიდი და ორიოდე სიტყვით დაუმტკიცე, რომ არც ართი არა ხარ, რომ სწორედ პირიქით ხარ, რომ მთელი შენი სიცოცხლე თვისტომის სამუდამო მონობიდან გამოყვანას, სამშობლოს ფეხზე წამოდგომას და მის ავის მდომელთა წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარე!

გულის დამწველ საპასუხო წერილში „ნუთუ“, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი დროის უდიდესი პოლემისტი იყო, ილიამ ვერ შესძლო ყოველივე ამის დამტკიცება. ვერც სხვა ვინმე შესძლებს. ერთადერთი გამამართლებელი საბუთი მთელი სიცოცხლეა, რომელმაც ერის თვალწინ გაიარა, მაგრამ ავ მესიტყვეს, თავისი ბინძური მიზანი უდევს გულში და ეს სრულებითაც არ აინტერესებს. შეიძლება არც იცის, რადგან ადამიანებში მხოლოდ ღალატს და ყოველგვარ სხვა უზნეობას ხედავს!

ახლა ჩვენ გვინდა, ეს სიბინძურითა და მოყვასის სიძულვილით გაჟღენთილი ფოლკლორი, აქამდე ანონომური წერილებისა და ტელეფონზე ასევე ანონომურად დარეკვით რომ ვრცელდებოდა, „ლიტერატურული საქართველოს“ ალტერნატიული გვერდის საშუალებით ქვეყანას მოვსდოთ და ისედაც მოწამლული ატმოსფერო კიდევ უფრო მოვწამლოთ, რათა ერს აღარაფერი წმინდა, ამაღლებული აღარ შერჩეს?

ნუთუ ბეჭდვითი სიტყვის ამდაგვარი თაეისუფლება ვინმეს მართლა დემოკრატიის მონაპოვარი ჰგონია? ეს ხომ ზნეობრივი პოზიციის უქონლობაა და არა დემოკრატია, ეს ქვენა გრძნობების გაუგონარი ზეიმია, ეს ხომ ყველა ბარიერის დანგრევაა, რომელიც მტყუანს და მართალს, კეთილსა და ბოროტს, წმინდასა და არამზადას, ავსა და კარგს ერთმანეთისაგან ანცალკევებს?

ეს სქირდება დღეს ჩვენს დანგრეულ, მტრის სამასხარაოდ ქცეულ სამშობლოს? ნუთუ საკმარისი არ არის, რაც უკვე მოსდა და ახლა დადგა დრო, ერს სულიერი საყრდენები მოვუშალოთ, იგი ურწმუნოების უფსკრულში გადავჩეხოთ, მიეცეთ საშუალება ყველა მეშურნესა და ხელმოცარულს, გული იჯეროს ერისათვის თავდადებული ადამიანების ქუჩური ლანძღვა-გინებით, ქეშმარიტი მწერლობა, რომელიც თავის მაღალ მოვალეობას არასოდეს არსად გაქცევია და ყოველთვის იქ იდგა, სადაც უნდა მდგარიყო, გაზეთს ჩამოვაშოროთ და მისი ადგილი ე.წ. „ალტერნატიული გვერდის" ავტორებს დავუთმოთ?

პილატესავით ხელის დაბანა ვერაფერი შვილი ვაჟკაცობაა, მაგრამ თუ ამ ჩემმა კეთილშეგობრულმა შეგონებამ ვერ გასჭრა და გაზეთი გაკრეფილ ვენახს დაემსგავსა, რომელშიაც სოფლის ნახირი დაბალაბობს, რადგანაც მეტი არაფერი შეძიძლია, პირადად მე თავს შორს დავიჭერ მწერალთა გაზეთისაგან, რომელშიაც თითქმის ოთხ ათეულ წელიწადს ვთანამშრომლობდი, რათა ისტორიის წინაშე და შთამომავლობის თვალში მის დღევანდელ მესვეურთა მოღვაწეობის თანამონაწილე არ შევიქნე!

1992 წ.

ნამუსიანი წიგნი

შეუბღალავი ნამუსი განა მარტო ლამაზ ქალს ამკობს და ამშვენებს. ნამუსიანობა და უნამუსობა წიგნების თვისებაცაა. ერთნი მათ შორის თვალებში ნაცარს გვაყრიან, იგრიხებიან, კოპწიაობენ, შეიმომხედეთ, რა მართალი და მიუწვდომელი ვართო, ხოლო მეორენი მორიდებულად, ძალდაუტანებლად, ყოველგვარი გარეგნული ზიზილ-პიპილების გარეშე გვიმხელენ სათქმელს და გულს წრფელი სიტყვით შეგვიძრავენ.

მე ამას წინათ წავიკითხე ერთი ასეთი ნამუსიანი, მართალი წიგნი და სინდისმა ნება არ მომცა, უბრალ ჩამევლო, ჩემი კმაყოფილება და აღტაცება მკითხველისათვის არ გამეზიარებინა.

მაგალი იტყვის, რა დროს წიგნების წერა და ამ წიგნებით აღტაცება, წვითა და დაგვით აშენებული ქვეყანა თავზე გვენგრევაო. ამ რეპლიკას, გამოთქმულს თუ გამოუთქმელს, მე იმით ვუპასუხებდი, რომ მართალი, ნამუსიანი წიგნების წერა და ამათში ჩაქსოვილი სულისკვეთებით აღტაცება ყველაზე უფრო მაშინ არის საჭირო, როცა ერსა და ბერს უჭირს, როცა სამშობლო განსაცდელშია, როცა საზოგადოება, ერი ორად არის გასული და ქვეყანა ეთნოკოსმოლიტეტი. ყოველის შთანმოქმელ ხანძარს ძოუცავს.

მაინც რა წიგნია ასეთი, ვინ დაწერა, რა ქვია, რაზე მოგვითხრობს, შემაწყვეტინებს ჩემი გრძელი შესავლით გულშეღონებული მკითხველი. ახლავე მოგახსენებთ. წიგნის ავტორი ჩვენი ნიჭიერი პოეტი და მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილია, წიგნს კი სათაურად „გამოიღვიძე, ქნარო" ეწოდება.

ძნელია დაადგინო ამ წიგნის ჟანრი. ის მეცნიერული გამოკვლევაცაა, ლირიკული პროზაც და პუბლიცისტური ნარკვევიც, რომელიც ებრაული ცივილიზაციის ფესვებზე, ბიბლიაზე, ებრაელი ერის ბედზე, მის ტრაგიკულ ისტორიაზე, ასირიის მრისხანე მეფის ნაბუქოდანოსორის მიერ იერუსალიმის დანგრევაზე, ორი ათას ექვსასი წლის წინათ იბერიის დედაქალაქ მცხეთაში ლტოლვილ ებრაელთა პირველ, შემდეგ მეორე ტალღის მოსვლაზე, ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე და ჩვენს დროში, 1948 წელს, ისრაელის სახელმწიფოს აღდგენისა და მსოფლიო ებრაელობის აღთქმულ მიწაზე დაბრუნების ამბებს მოგვითხრობს.

წიგნი უსულგული სქემა გამოვიდოდა, იგი თანამედროვეობის სუნთქვით რომ არ იყოს გამთბარი, სამართლიან და კეთილ ძიზანს რომ არ ისახავდეს და სხვადახვა ხასიათის ფაქტებს ავტორისეული აზროვნების ბეჭედი რომ არ ესვას.

მიუხედავად მისი მცირე მოცულობისა, წიგნში ათობით მასალაა თავმოყრილი და ერთმეორის გვერდით დალაგებული, მაგრამ მასალათა ეს თავმოყრა და ერთ სიუჟეტურ ძაფზე ასხმა ავტორის გარკვეულ თვალსაზრისს ემორჩილება და მკითხველის მიერ სხვადასხვა წყაროდან ამოწერილ ციტატებად სულაც არ აღიქმება.

[illegible] ბიბლიიდან, თორის ხუთწიგნეულიდან, ახალი აღთქმიდან, უძველეს ებრაულ და ქართულ მატიანეებიდან [illegible] ებრაელი ერის მდგომარეობას, ძისი გა-

ეგოსარი ჩაგვრა-შევიწროების ამბებს ანდა ამ ფაქტებისადმი სხვათა, უპირველეს ყოვლისა ქართველი საზოგადოების და ცალკეულ მოღვაწეთა დამოკიდებულებას გვიხატავენ.

ეროვნებით ებრაელი მწერალი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, ქართულენოვანი, თავისი საშობლო საქართველოს გულმხურვალე პატრიოტი, მის ავ-კარგზე დაფიქრებული მამულიშვილი არსად არ ცდილობს თავისი გვარტომის განსაკუთრებულობა ამტკიცოს. ის მხოლოდ ერთიმეორის გვერდით ალაგებს ისტორიული მსგავსებელობის ფაქტებს და მკითხველს ანდობს ამ ფაქტებიდან დასკვნის გამოტანას.

ამბობენ, ერის განსაზღვრება, აქამდე რომ ბატონობდა ჩვენს მეცნიერებაში და დღემდე ბატონობს, ნაკლოვანიაო. ის სრულად ვეთანხმოაჩენს ერის ცნებაში ჩაქსოვილ შინაარსსო. შორს წაგვიყვანდა თეორიული მსჯელობის გაყოლა. ორი სიტყვით მე მხოლოდ იმის თქმა შეშიძლია, რომ არსად ისე არ მოიკოკვლებს, ისე ნათლად არა ჩანს ერის გავრცელებული ცნების შინაარსობრივი შეზღუდულობა და სწორხაზობრივი ხასიათი, როგორც მა'შინ, როდესაც მას ებრაელ ერს უსადაგებენ.

თუ განსაზღვრების მიხედვით ვიმსჯელებთ, ებრაელი ერი სინამდვილეში ერი არ არის, ვინაიდან იგი დადგენილი ცნების არსებით და სპეციფიკურ ნიშნებს არ შეიცავს. დედამიწის ხუთსავე კონტინენტზე გაბნეულ ებრაელობას, რომელმაც ორი ათასი წლის წინათ სამშობლო დაკარგა და სიცოცხლის გადასარჩენად სხვა ერებს მიეკედლა, არც საერთო ენა გაჩნდა, რომელიც უპირველესი პირობაა იმისათვის, რომ ერი ერად იწოდებოდეს, არც ტერიტორია, არც ეკონომიკური კავშირები და არც „ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა", საიდანაც მისი „სულიერი წყობა" უნდა აღმოცენებულიყო.

სულიერება, პიროვნული ხასიათის თავისთავადობა, გენეტიკურად თაობიდან თაობაში რომ გადადიოდა და აზროვნების გარკვეული კონსერვატიზმი. სულში ღრმად ჩანერგილი რწმენა მესიისა, რომელსაც ღმერთი მოავლენდა და რომელიც კვლავ ერთად შეკრიდა ბოროტი ძალების მიერ ქვეყნიერებაზე მიმობნეულ ებრაელობას და კვლავაც ქანაანის მიწაზე, იქ დაასახლებდა, სადაც ეგვიპტის მონობიდან გამოსული, უდაბნოში 40 წლის ხეტიალის შემდეგ, დამკვიდრდა, არის ყოვლისმომცველი ერთადერთი ნიშანთვისება, რომელიც ამ საკვირველ ერს სხვა ერებისაგან განასხვავებს.

ებრაელი ერის ხასიათსა და ისტორიაში ჯერაც ამოუხსნელი და გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლოებაა ჩამარხული და მის ამოცნობას, კაცობრიობის მისაწვდომ ენაზე ამეტყველებას მომავალშიაც უთუოდ მრავალი, ასი და ათასი წლის კვლევა და ძიება დასჭირდება.

ჯემალ აჯიაშვილი ეძიებს ამ საიდუმლოს და ძიების ფონზე დედამიწის ამ უძველესი, მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ერის ისტორიული პერიოდების დამაჯერებელ სურათებს წარმოგვიდგენს, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, არსად არ ცდილობს, ებრაელი ერის განსაკუთრებულობა ამტკიცოს და კაცობრიობას მის მიერ გაწეული სამსახური დაამადლოს. მას არ სჭირდება ამ მხრივ რისამე მტკიცება, რადგან ფაქტები თავად მეტყველებენ. თუნდაც ის, რომ 1986

წლის მონაცემებით ებრაელობა პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 36 მეათასედ პროცენტს შეადგენდა და ამავე დროს ნობელის საერთაშორისო პრემიის ლაურეატთა 22 პროცენტი ებრაული წარმოშობისაა. მათ აღამაღლეს და განადიდეს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, გერმანია თუ საფრანგეთი, პოლონეთი თუ სკანდინავია, ამერიკის შეერთებული შტატები თუ რუსეთი, აღამაღლეს ქვეყნები, სადაც ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ, ვის მოქალაქეებადაც ითვლებოდნენ. მაგრამ ვაი, რომ, საუბედუროდ, დიდი ჭირის გადამტანი და მაინც საკაცობრიო იდეალებისათვის მებრძოლი ერი მადლიერების ნაცვლად თითქმის ყველგან უმადურობას იმკიდა და დევნილსა და ყოველის მხრივ შევიწროვებულს თავისი სიცოცხლის გადარჩენისათვის დაუსრულებელი ზრუნვა უხდებოდა. ჯემალ აჯიაშვილის ეს კვეთილი, გულმართალი წიგნი თავისებური „თეთრი წიგნიცაა", რომელშიაც სკრუპულოზური სიზუსტით, სათანადო საბუთების მოხსენებით გახსენებულია, რომელ ერსა და ქვეყანას რა წვლილი მიუძღვის ანტისემიტიზმის, იუდოფობიის გაღვივებაში, ებრაელების დევნაში, საყოველთაო რბევების მოწყობაში. იმპერიალისტურ რუსეთში „პოგრომების" სახელით რომ მოიხსენება. რომელი ერი და ქვეყანა არ იხსენიება აქ, თავი ვინ არ შეირცხვინა, მაგრამ მათ შორის რუსეთი მაინც პირველ ადგილზეა, [illegible] ებრაელი [illegible] მორჩებიან, ეგვიპტე, ასირია, ძველი რომი, ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, იტალია, პოლონეთი...

წიგნს თავიდან ბოლომდე გასდევს ებრაელთა და ქართველთა სულიერი ნათესაობის და ლხინსა თუ გასაჭირში ერთმანეთის მხარდაჭერის ამბავი. იგი სწორედ ამ ქარგაზეა აგებული.

სამშობლოდან ლტოლვილ ებრაელთა პირველი ტალღა, როგორც ცნობილია, იბერიის საზღვრებს ორი ათას ექვსასი წლის წინათ, ქრისტეს დაბადებამდე ექვსასი წლით ადრე მოაწყდა და თავშესაფარი ითხოვა. ქართულმა მატიანემ შემოგვინახა ებრაელ ლტოლვილთა გამოჩენის და ადგილობრივ მკვიდრ ქართველებთან მათი პირველი შეხვედრის დეტალები, რაც, რასაკვირველია, უყურადღებოდ არ დარჩენია ჩვენს ავტორს.

ქართულ მიწაზე დაფუძნების 600 წლის შემდეგ გოლგოთაზე ქრისტეს ჯვარცმას შეესწრნენ ქართველი ებრაელები ლონგინოზ კარსნელი და ელიოზ მცხეთელი, რომლებიც, როგორც ებრაელთა დიასპორის წარმომადგენლები, საგანგებოდ მიიწვიეს იერუსალიმს „იუდეის მეფის" სიკვდილით დასჯაზე დასასწრებად.

ჰეშმარიტი მხატვრული ძალითა და დამაჯერობლობით დაუწერია ეს ადგილი ავტორს, რომლის ბადალსაც ცოტას როდი შეხვდები წიგნში.

ჯვარზე გაკრულ ქრისტეს რომ უკანასკნელი გმინვა აღმოხდა და სული განუტევა, „ქვეყანა შეინძრა და კლდენი განსკდის". გუგუნმა მცხეთასაც მოაღწია და „ხმა ესმა დედასა ელიოზისასა". მან „მეუსეულად იკრჩხიალნა" და ცას შეჰღაღადა: „მშვიდობით მეფობაო ისრაელისაო!" ღვთისმოშიში ქალი ხომ მცხეთაშივე შეეგებრა იუდეაში მიმავალთ, არ გაესვარათ ხელი მაცხოვრის სისხლში. მათ აღთქმა აღასრულეს და მცხეთაში ქრისტეს კვართი ჩამოიტანეს. ამ კვართთან ერთად დაიმარხა ელიოზის და სიდონია, შორი გზიდან ძობრუნებულთ

ქიშკართან რომ შეეგება და მაცხოვრის კვართი გულში ჩაიხუტა. შემდეგ ამ ადგილზე აშენდა სვეტიცხოველი, ქარკელია საპატრიარქო ტაძარი.

ღრმა ქვეტექსტის შემცველი მეტყველი სიმბოლოა!

თხრობა ორიგინალური ხერხით ვრცელდება. ებრაელ-ქართველთა ჰუმანური ურთიერთობა, რომელსაც ორი-სამი სიტყვით ვერას გზით ვერ დაახასიათებ, კინემატოგრაფიული ტერმინი რომ ვიხმაროთ, მსხვილი პლანით იხატება საერთაშორისო ანტისემიტიზმის საერთო ფონზე და ეს სულისა და გულის შემძვრელ კონტრასტს ქმნის.

მეძალება ცთუნება, დასაბამიდან ჩვენს დღეებამდე ყოველივე აქ გავიმეორო და ზნეობრივი გადაგვარების მოლიპულ გზაზე შეძდგარ ჩემს ერს ვეუბნებოდეს, იქეი, დაიცათ, ერთ წამს, დებო და ძმებო, სად მიხვალთ, დაინახეთ, [illegible] ბრეთ, რანი ვიყავით გუშინ, გულში რომ [illegible] ძალას გაუნელებელი სიყვარული გვედო, მაგრამ ეს ძართლაც გამეორება გამოძიეიდოდ, რადგან ჯემალ აჯიაშვილის ძთელი წიგნი სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება!

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყანაში და ბევრ სხვა ქვეყანაში, ებრაელობა განტევების ვაცის როლს ასრულებდა. გვალვა ქვეყანას გადახრუკავდა და საშინელი შიმშილობა ჩამოვარდებოდა, დამნაშავენი ებრაელები იყვნენ და საზოგადო უბედურება, რასაც ისინი სხვებთან ერთად იზიარებდნენ, მათ საკუთარი სისხლით უნდა ეზღოთ, ომში მტერი დაგჯაბნიდა, დამარცხების მიზეზი და მოღალატეები აქაც ებრაელები იყვნენ და ისევ მათი და მათი ბავშვების სისხლის ტბა უნდა დამდგარიყო; ქვეყანას ეკონომიკური კრიზისი გათანგავდა, ან ახალი ომის წამოსაწყებად სასარგებლო ვერ იშოვნიდნენ, დამნაშავე ხელის შემშლელებად აქაც ებრაელები გამოჰყავდათ და ათასობით უდანაშაულო ადამიანს ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ; რაიმე სახადი გაჩნდებოდა და ათასობით ადამიანს იმსხვერპლებდა, პასუხი ებრაელებსა და მათ წვრილშვილს უნდა ეგო!

განა შეიძლება, ერთ პატარა წერილში, თუნდაც წიგნში წვრილად აღნუსხო, მრავალი ასეული წლის მანძილზე ებრაელი ერის შვილები რა ცოდვების მტვირთველებადაც მიუჩნევიათ და ყველა მომხდარი თუ მოუმხდარი ბოროტებისათვის პასუხიც მათთვის უგებინებიათ! თვით იასნაია-პოლიანელი ომერთკაციც კი აღაშფოთა ებრაელთა წინააღმდეგ მიმართულმა კაცთმოძულეობამ, რომელიც მისი დროის რუსეთში ძვინვარებდა და თავისი პროტესტი სწორედ წინასწარმეტყველური სიღრმითა და მასშტაბით გამოხატა.

ეს პროტესტი, რომელიც არასოდეს დაბეჭდილა მწერლის თხზულებათა არც ერთ სრულ კრებულში, რუსეთის ტერიტორიაზე რომ გამოიცა. მოყვანილია ჯემალ აჯიაშვილის წიგნში და მის ერთ-ერთ კულმინაციურ ადგილს წარმოადგენს.

ქართული მწერლობა და პრესა, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა, როდესაც ებრაელობის დევნა-შევიწროება იმპერიის ყველა რეგიონში განსაკუთრებით გახშირდა, წარბშეუხრელი პირდაპირობით ამხელდა ბნელეთის მოციქულებს და ყოველ კრიტიკულ მომენტში უსამართლოდ დაჩაგრული ებრაელობის მხარეზე იდგა.

ამ მხრივ დაუფასებელია დიდი ილია ჭავჭავაძის ღვაწლი და მაგალითი. ის აქაც პირველი იყო და თავისი „ივერიით“ მოძალადეთაგან ჩაწიხლულ ებრაელთა დაცვის კეთილშობილ საქმეს აკეთებდა.

წმიდა ილიას ხატი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ქართველმა ებრაელებმა შეასვენეს,ადგილი დიდი შოთას ფრესკასთან მიუჩინეს და ქართველ სამღვდელოებასთან ერთად ილოცეს. ამ უნიკალური სურათის აღწერით იწყება სწორედ ეს წიგნი. უცხო დამსწრეთაგან საკუთარ თვალებს ვერავინ უჯერებდა. რა ხდებოდა? სად იუდეველთა სარწმუნოების აღმსარებელი და სად ქრისტიანეთა წმიდანის ოაუვანისცემა და ქრისტიანულ საყდარში ყველასათვის უცხო ქართულ ენაზე ლოცვა!

ერთობ შთამბეჭდავია საბა კლდიაშვილის მოკლისა და ოდესიდან სამშობლოში ჩამოსვენების ეპიზოდი, რომელიც წიგნში დავით კლდიაშვილის მოგონებებიდანაა მოყვანილი:

„მახლობლების გარდა აქ არავის უშვებდნენ, მაგრამ, რაღაც ხერხით, ერთ ჯარისკაცს მაინც მოეხერხებინა და მოიკრა კუბოსთან. კარგად მახსოვს მისი აღელვებული სახე, მისი აკანკალებული, ათრთოლებული ხმა,რომლითაც მან მიმართა მიცვალებულს:

ძვირფასო ადამიანო, შენ ჩვენთვის გასწირე შენი სიცოცხლე, შენი მეცნიერება, ჩვენი საცოდავი ხალხის მოსაშველებლად ვამოხვედი... შენც იგი გხვდა, რაც ჩვენებს და ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ შენს სახელს, ჩვენთვის ძვირფას შენს სახელს! გმადლობ, გმადლობ, ძვირფასო ადამიანო! შეჩვენება შენს მკვლელებს, მტარვალებს!

მწარედ აქვითინებული იგი გაშორდა კუბოს. იგი იყო ებრაელი ჯარისკაცი“.

ამასვე ეხმაურება წიგნში მოხმობილი მეორე ეპიზოდი, რომელიც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ერთი ჩვეულებრივი სხდომის სურათს ასახავს:

„დეპუტატი ზამისლოვსკი: წყნარად ვერ ვილაპარაკებ „ყიდებზე“, ვინაიდან ისინი სამშობლოს მოღალატეები არიან...

დეპუტატი ჩხენკელი: გთხოვთ, ასე ნუ ლაპარაკობთ. ეს არ არის საპარლამენტო გამოთქმა!

ზამისლოვსკი: რა სამარცხვინო დროებაა, რომ რუსის სათათბიროში „ყიდებზე“ ლაპარაკის სებას არ გაძლევენ!..

ჩხენკელი: იქვეს გეუბნებიან, არ იხმაროთ ასეთი სიტყვები!

ზამისლოვსკი: დიახ, სიძვირის უმთავრესი მიზეზიც „ყიდები“ არიან!

ჩხენკელი: ხულიგნებო!

თავმჯდომარე:სხდომიდან გააძევეთ დეპუტატი, რომელმაც ეს სიტყვები იხმარა!

ჩხენკელი გააძევეს.“

ეს და ბევრი რამ სხვაც რომ სცოდნოდათ იმ უცხოელთ, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში წმინდა ილიას ხატის შესვენებას რომ დაესწრნენ. გასაკვირი აღარაფერი დარჩებოდათ, მაგრამ ვაი, რომ ცოტა თუ ვინმემ იცის თვით ფაქტიც კი ჩვენი არსებობისა და ისიც რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ ლაფშია ამოსვრილი!

ჯემალ აჯიაშვილის ნამუსიან წიგნს, რომელსაც ეს წერილი ეძღვნება, დიდ გასაკირში მყოფ ქართველი ერისათვის, იხფორმაციულ ვაკუ-

უმში რომ არის მოქცეული და უსახსრობის გამო ამ ვაკუუმისათვის თავი ვერ დაუღწევია, ჩვენთვის აგრერიგად საქირო საბსახურის გაწევა შეუძლია. მე ვიცი, რომ ის ინგლისურ ენაზე ითარგმნება. სხვა ენებზედაც მალე გვესახოს!

ეს წიგნი სამუსიანი, სიმართლისა და მხოლოდ სიმართლის მღალადებელი არამც და არამც არ იქნებოდა, ავტორს ფაქტები თვითნებურად, თავისი გუნება-განწყობილების მიხედვით რომ შეერჩია და დაინტერესებულ მკითხველისათვის მისი კონცეფციის საწინააღმდეგო ფაქტი დაეშალა!

ეს გახლავთ თავის დროზე გასმაურებული სარა მოდებაძის საქმე, რომელმაც ისევე როგორც დრეიფუსისა და ბეილოსის საქმეებმა, მსოფლიო პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

თუ საფრანგეთის არმიის ოფიცერს დრეიფუსს სამშობლოს - საფრანგეთის ღალატს სწამებდნენ, ბეილოსსა და ქართველ ებრაელს, სარა მოდებაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილს, საზიზღარ დანაშაულს საკრალური მიზნით ქრისტიანეთა სისხლის ხმარებას აბრალებდნენ.

ორივე შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, მართალია, გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, მაგრამ, უგუნური ბრალდების ფაქტი ფაქტად დარჩა და ისტორიის მეხსიერებიდან არც არასოდეს ამოიჩეხება. დავიწყებული არ არის ის არც დღევანდელ ისრაელში. აი, რა წერებულა კრებულ „ფესახის ჰაგადაში", რომელიც 1980 წელს გამოუციათ:

„აღსანიშნავია, რომ საქართველოში რუსეთის შემოსვლამ განაპირობა ანტისემიტიზმის გავრცელება და განვითარება, მაგრამ მიუხედავად ამისა,ის არასოდეს არ გამოვლენილა ისეთ საშინელ ფორმებში,როგორც დასავლეთში. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ქართველი ხალხის ღრმად ჰუმანისტურ ტრადიციებში."

მაგრამ ეს,რომ, ქართველი ხალხი დღეს ის აღარ არის, რაც თუნდაც გუშინ და გუშინწინ იყო, არაფერიც რომ არა ვთქვათ მის შო[illegible] [illegible] ძმ[illegible] ქმასა ჰკლავს, მამა შვილს გადაჰკიდებია და მოსაკლავად არ ინდობს. [illegible] სატანა ჩაგვჯდომია და თავის ნებაზე [illegible] ერი, ინგრევა ოჯახები, ნათესაური და მეგობრული კავშირები. თავი წამოყო სამარცხვინო პარტიკულარიზმმა. იმის მაგივრ, რომ შიგ გულში დაკოდილ სამშობლოს მალამოდ დაედონ და თავისი სისხლი გადაუსხან, ზოგიერთები დიდ წინაპართა წამხედურობით მისთვის მხოლოდ ფურთხს იმეტებენ და ვერ კი მიმხვდარან, რომ თავისი მშობელი ერის სულიერი დაცემის მიზეზი თავადვე ბრძანდებიან! შიმშილი და სხვა ნივთიერი გაჭირვება არ გვაკლია. მშვიდად ვერც გარეთ გავსულვართ და ვერც შინ დავრჩენილვართ. ადამიანისათვის სიცოცხლის მოსწრაფება, მტერი იქნება თუ მეგობარი, არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენს, რადგან დაირღვა, ძირფესვიანად ამოიძირკვა ყველა ზღვარი და ბარიერი. რაც კეთილსა და ბოროტს, წმიდასა და არაწმიდას ერთმანეთისაგან აშორებდა. ჩვენთვის აღარც ადამიანის მოტაცებაა უცხო, არც კედელზე აყუდებული კუბოს სახურავის გადამალვა ფულის გამოძალვის მიზნით, არც საფლავის მოთხრა და მიცვალებულის გაძარცვა! ვინლა ჩივის, ვინ რომელი ეროვნებისაა, ვის რა სტკივა და ვის რა უნარია!

თუ ქვეყნად, ისტორიულ ქვეშეთში კიდევ რაიმე დარჩა კეთილი და იმედის მოსაცემი, ყველამ და ყველაფერმა თავი ერთად უნდა მოიყაროს, რათა ხელიხელჩაკიდებულები, ერთიანი ძალით შეეებრძოლოთ კარშემოჩამოსდგარ განსაცდელს და არა სათითაოდ მივიმალ-მოვიმალოთ საკუთარ ეროვნულ ქოხში. ვერ დაიკირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანიო, ხომ გაგიგონიათ.

ყოველივე ამის გარშემო მე ამას წინათ ვწერდი ამავე გაზეთის ფურცლებზე და მაშინდელ ნათქვამს აქ აღარ გავიმეორებ. მხოლოდ ჯემალ აჯიაშვილს შევეკითხები, რას ფიქრობს ის, როგორც ებრაელი და როგორც საქართველოს მოქალაქე ამავე პრობლემაზე.

აი, მისი პირუთვნელი პასუხიც, რომელიც წიგნის 90-ე გვერდზე სწერია:

„დიახ, მახსოვს საქართველოს ებრაელების გაწბილება (იგულისხმება სამტრედიის ავად მოსაგონარი ინციდენტი.-რ.ჯ.),ოგრამ ასევე მახსოვს ქართველობის, ჩემი მეგობრების, უამრავ ნაცნობ-უცნობის შეძრწუნებული, ალეწილი სახეები. ეს გამომეტყველებაა იმის საწინდარი, რომ ბიბლიისა და ვეფხისტყაოსნის შემქმნელ ერებში ბოროტებისა და კაცთმოძულეობის უდღეური ფესვი ვერ გაღივდება, თორემ, სხვაგვარად, ის უკეთური ძალა, ასე ავბედითად რომ ჩასაფრებია დღევანდელ საქართველოს, არავის დაინდობს, გინდ ქართველი იყოს, გინდ ებრაელი ერთნაირი სიშმაგით დაეძგერება ეკლესიასაც და სინაგოგასაც, ბიბლიის წმიდა გრაგნილებს შებილწავს, მოძმეს და ნათესავს ამოძირკვავს და, თუ დრო აოიხელთა, წიწამურთან ხელახლა მოკლავს მკვდრეთით აღმდგარ ილიას. რაც შეეხება ბერბიჭაშვილობას, იგი არც ერთი ერის „პრივილეგია" არ არის – თითო-ოროლა ბერბიჭაშვილი ყოველ ხალხსა ჰყავს თავისი სახლის კუთხე-კუნჭულში!"

ეშმარიტად ოქროს სიტყვებია და მისი თქმა მხოლოდ ნამუსიან, სამშობლოს საქართველოს დღევანდელი უსასოო მდგომარეობით გულშემოყრილ მამულიშვილს შეუძლია, ვინც უნდა იყოს ის გვარტომობით — ქართველი თუ არაქართველი!

1992 წ.

ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘ, ᲨᲔᲛᲬᲔᲚᲔᲑᲘ!

საქართველოს მოქალაქენო! ძვირფასო თანამემამულენო! ქართველებო, აფხაზებო, რუსებო, აზერბაიჯანელებო, სომხებო, ბერძნებო, ასირიელებო, ქურთებო, ოსებო, მადლიან ქართულ მიწაზე მოსახლე უკლებლივ ყველა ერის შვილებო, დებო და ძმებო, მოგილოცავთ ახალ, 1993 წელს!

მოეტანოს ამ წელს დარღვეული მშვიდობის აღდგენა, დაპირისპირებულ მხარეთა შორის შუღლის სამარადჟამოდ აღმოფხვრა, დაბრუნებოდეთ ადამიანებს ურთიერთნდობა და სიყვარული, თვალდამდგარი გვენახოს მტერი!

ბოლო წლებმა, ყველაზე მეტად გასულმა 1992 წელმა, რომელსაც ამაღამ ვაცილებთ და ისტორიის კუთვნილებად ვხდით, ერსა და ქვეყანას არცთუ იოლად მოსაშუშებელი ჭრილობები მიაყენა.

არ გადის დღე, სამშობლო რომ არ შეაძრწუნოს ახალმა და ახალმა დანაკლისმა. იღუპებიან, თავიანთი მოწამებრივი სისხლით ალტობენ მშობელ მიწას, სამშობლოს ერთიანობასა და მისი წმიდათა-წმიდა საზღვრების ხელშეუხებლობას თავს სწირავენ ჩვენი ძმები, შვილები და შვილიშვილები, უკეთესნი უკეთესთა შორის, თავისი გულის ძახილით მისულნი იქ, სადაც ძმობის ფიცის გამტეხი აფხაზი განდგომილნი და მათი მხარის ამბმელი დაქირავებული გადამთიელები სიკვდილს თესავენ და ქართულ მიწაზე მისი პატრონი ქართველი კაცის გასაგისის აღგვას ლამობენ!

მათ უკვე მორწყეს ქართველთა სისხლით გაგრა, განთიადი, ლესელიძე... ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მოხუცი, მხოლოდ იმისათვის, რომ ქვეყანას ქართველად მოევლინა, სიცოცხლეს გამოასალმეს და მათ სისხლს მწყურვალე აფთრებივით დაეწაფნენ. ქართველების მოჭრილი თავებით, იმ ქართველებისა, რომელთა სტუმართმოყვარე ჭერქვეშ გუშინ იქნებ მეგობრულ ტაბლას უსხდნენ და ოჯახის დიასახლისი ფერადოვანი სიტყვებით აღღეგრძელეს, ფეხბურთი ითამაშეს.

ეს ხდება ცივილიზებული მეოცე საუკუნის მიწურულს, განათლებული მსოფლიოს თვალწინ, ხდება ის, რაც შუა საუკუნეების ბნელეთის მოციქულებსაც კი თავზარს დასცემდა და სისხლმოწყურებული აფხაზი გარეწრის მიმართ კანონიერი გულისწყრომით აღავსებდა!

მსოფლიო მაინც დუმს. მიუხედავად აქ მოვლინებული მრავალი მეთვალყურის თვალწინ დატრიალებული გაუგონარი ვანდალიზმისა, მაინც არ სჯერა, რაც აფხაზეთში დღისით მზისით ხდება.

სწორედ ეს გახლავთ დასტური იმისა, რომ ცისქვეშეთში მარტონი ვართ, რომ დამხმარე არავინაა და, როგორც წარსულ საუკუნეებში, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ვიქონიოთ!

რუსეთის გენერალიტეტი აღშფოთებულია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი საქართველო მას კვლავ თავის ფერხთა მტვრად მიაჩნია, მხარს ურცხვად უმაგრებს ქვეყნის ტეროტორიული მთლიანობის ხელმყოფ ექსტრემისტებს და კულტურული მსოფლიოს დუმილით გათამამებული კიდევ მეტი სისხლისღვრით იმუქრება!

დიდია ჩვენი დანაკლისი. დღითიდღე ის კიდევ უფრო მატულობს და სამშობლო ძაძით იმოსება.

ვაი რომ ძაძებით შემოსილნი, სამშობლოსათვის გულგანგმირულ მამულიშვილთა წმიდა საფლავების წინ დაჩოქილნი ვხვდებით ყოველთვის სიხარულისა და იმედის მომტან ახალწელიწადს, ვაი, რომ ცრემლი ყელში გვებჯინება და გულიც მწუხარებით გვაქვს სავსე!

ძნელია მოიძებნოს სანუგეშო სიტყვა. აბა, რა ნუგეშის სიტყვებით უნდა მიმართო დედას, რომელსაც ერთადერთი შვილი, თვალის სინათლე, გაპირვებაში გამოზრდილი, სიბერის ერთადერთი დასაყრდენი და მშობელი ერის მომავალთან დამაკავშირებელი წინ მტრის ტყვიით განგმირული უსვენია! რა სიტყვებს ძალუძთ მისი მოუქარვებელი ვაჟამის განელება!

ვინ გაუწევს მამობას მცირეწლოვან შვილებს, თვალი რომ ერთთავად კარზე ეჭირათ და სამამულო ომის ფრონტიდან, ირძინბას ფეხს აყოლილმა კაცთმოძულე აფხაზებმა და სხვის მონაგარს დახარბებულმა გადამთიელმა არამზადებმა რომ გაგვიჩაღეს. საღსალამათ მამას ელოდნენ და მის მაგიერ გარეწრის ხელით მოკლული, დამახინჯებული და ნაწამები გვამი მოასვენეს!

რა ახალი წელი დაუდგათ ჯერაც პირზე რძეშეუმშრალ ქერივებს, გულით საყვარელი ჭაბუკი მეუღლის მკლავზე ორიოდე წელიწადიც რომ ვერ მოათიეს და აფხაზეთიდან მოსული სავალალო ცნობა გულზე ლახვრად დაესოთ!

მწარეა, აუნაზღაურებელია დანაკლისი, მაგრამ რა გაეწყობა! როგორც დიდი შოთა ბრძანებდა, ჭირსა შიგან გამაგრება, გასალკლდევება, მშობელ მიწაზე მაგრად დადგომა გვმართებს. განა პირველად ვიხოცებით, განა პირველად ვეწირებით მამა-პაპის სისხლითა და ოფლით გაპოხილ მშობელ მიწას. ოდითგანვე ეს გვარგუნა ბედმა, მაგრამ აქამდე მაინც მოვედით, ოცდამეერთე საუკუნის გადასახედს მოვაღწიეთ, მოვაღწიეთ იმ დროს, როდესაც არა ერთი ძლევამოსილი იმპერია, მათ შირის ლენინ-სტალინის პარტიის მიერ შექმნილი ხალხთა საპყრობილე – საბჭოთა კავშირი, ჩვენს თვალწინ დაინგრა, საქართველო კი, მრავალჯერ სისხლისგან დაცლილი და იავარქმნილი, კვლავ ფეხზე დგას და მარადისობასთან შეჭიდებული კვლავ წინ და წინ მიაბიჯებს!

მაპატიეთ, ძვირფასო თანამემამულენო, ეს აწეული, პათეტიკური ტონი, მაგრამ დღეს ახალწელიწადია და როგორადაც არ უნდა გვიჭირდეს, გვშიოდეს და გვციოდეს, ცოტაოდნად აწეული, იმედიანი, გულში მხნეობის ჩამნერგველი ტონი ამ დღეს უნდება!

რა გვჭირდება დღეს უპირველეს ყოვლისა? რას უნდა მიველტვოდეთ? ერთიანობას, ერთმანეთის მხარდამხარ დგომას, მიტევებას, აწ უკვე დავიწყებულ მოყვასის სიყვარულს, მოყვასისიათვის თავის გამოდებას!

პირველი ლექსი, რომელიც, სანამ წერა-კითხვას ვისწავლიდი, დედამ მასწავლა და დღესაც, სამოცდათი წლის შემდეგ, ღვთისადმი აღსავლენ ლოცვასავით ზეპირად მახსოვს, დუტუ მეგრელის სტრიქონებია:

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი.

საქართველო პოეტების ქვეყანაია, ასე ამბობენ. მართლაც რამდენი დიდებული, ზეგარდმო ნიჭით ცხებული პოეტი გვყავს! გვყავს სულმნათი რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა...

მაპატიონ მათმა უკვდავმა სულებმა, თუ ვიტყვი, რომ ქართველი კაცის სულიერი კრედო, მისი დამოკიდებულება სამშობლოსადმი, ორიოდე სიტყვით ისე ვერავინ გამოხატა, როგორც ამ პაწაწინა ლექსშია გამოთქმული:

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო.

ვისაა. ეს ღვთისაგან ნაკარნახევი სიტყვები საეკვოდ რომ გაუხდია. ძალაყინი რომ ძოუმარჯვებია და თავისუფალი სამშობლოს, მისი ეროვნული ერთიანობის კედლებს დანგრევით ემუქრება?!

მე არ მინდა, მათ ეთი ორი წლის წინათ ხმარებაში შემოსული და ზედმეტად გარჯილი სიტყვა მტრები ვუწოდო, თუმცა მტრულ საქმეს კი სჩადიან და წყალს მტრის წისქვილზე უშვებენ.

არა, ისინი მტრები არ არიან, თავისებურად უყვართ კიდევაც საქართველო, მის მზეს ფიცულობენ. არ შეიძლება ქართველი კაცი სამშობლოს მტერი, სამშობლოს შეგნებული მტერი იყოს! ის ძე შეცთომილია, ეშმაკის გავლენაშია მოქცეული. რადგანაც სული მისთვის მიუყიდია და ახლა ველარ ახერხებს უკან დაბრუნებას. პატიოსან წინაპართა პატიოსან გზაზე დადგომას, სიკეთის საკურთხეველზე მსხვეპლის მიტანას!

ამ ხუთი-ექვსი დღის წინათ ტელეეკრანზე ყური მოვკარი: თურმე ვიღაც-ვიღაცეებს მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემა დაუწყიათ, გალაკტიონის „ძე და ღამე" მეგრულად უთარგმნიათ და კიდევაც მიუთითებიათ, სად შეიძლება მისი დედნის წაკითხვა!

აფერუმ, ახალბედა ქართველო ჟურნალისტებო, გაუმარჯოს თქვენს ქართველობას, თქვენს უზადო მამულიშვილობას!

იქნებ ფიქრობთ, რომ ეგ საქმე, ახლა რომ გამოგიწყიათ და ნებით თუ ეზებლიეთ სამშობლოს საძირკველს უნგრევთ. პირველად თქვენს თავში დაიბადა? ნუ მოეტყუვდებით და თავს ხურც ნურავის მოატყუნებინებთ!

ეგ აზრი, რომ ქართული სალიტერატურო ენის ამოუწურავი რეზერვუარი - მეგრული საწყიგნობრო ენად ექციათ, თავში პირველად ცარისტული რუსეთის ყველაზე უფრო რეაქციულ წრეებში მოუვიდათ და, როგორც მცირერიცხოვან ერთა უანგარო მოსარჩლენი, კიდევაც შეუდგნენ თავიანთი ვერაგული განზრახვის განხორციელებას.

ძაან ისევე აწუხებდა „ქართველების მიერ შევიწროებული და ჩაგრული მეგრელების" დარდი, როგორც გუდაუთაში, არძინბას ბანაკში მყოფ ჩვენს თანამედროვე რუს გენერალ კონდრატიევს აფხაზებისა!

იმ დროს, როდესაც საერო და სასულიერო რუსმა კულტურტრეგერებმა მეგრული ენის ჩაგვრისაგან განთავისუფლება და ამავე ენაზე სკოლების გახსნის იდეა წამოაყენეს, ქართული ენა, ენა, რომელზედაც ყველა ქართველი ტომი ლაპარაკობს და ყოველი ქართველის მშობლიური ენაა, რადგანაც ღმერთს მხოლოდ ამ ენაზე მიმართავს, ოფიციალურად აკრძალული იყო. რუსი შოვინისტები მას „ძაღლის ენასაც" კი უწოდებდნენ.

ძნელი მისახვედრია, რისთვის სჭირდებოდა ყოველივე არარუსულის დაუძინებელ მტერ პირსისხლიან ცარიზმს მეგრული ენის საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის ტომობრივი ენის გამოსარჩლება, როცა მისგან ამას არავინ მოითხოვდა და ყველა ქართული ტომის გამაერთიანებელი ეროვნული ენისათვის ზისი დაპირისპირება? ვგონებ არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი. რუს შოვინისტებს ეს მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდათ, რომ დაემხოთ ქართველთა ეროვნული ერთიანობა, დაეშალათ ერი ტომებად და მერე სათითაოდ გაერუსებინათ თითეული მათგანი.

სამეგრელოს აღგილობრივმა არისტოკრატიამ, ინტელიგენციამ და მოსახლეობის დაბალმა ფენებმა უმალ გახვერიტეს რუსეთის ცარიზმის მუხანათობა და, როგორც ერთმა კაცმა, გადაკრით გაილაშქრეს იმ გზის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენი დღევანდელი თანამემამულეები თავისივე უმეცრებისა და პოლიტიკური აღღოს უქონლობის გამო დასდგომიან.

იშოვნეს ხელსაყრელი დრო. ცოცხალთა შორის აღარ არიან აღარც დიდი კონსტანტინე, აღარც დიდი არნოლდ ჩიქობავა, აღარც სიმონ ჯანაშია, აღარც ამბროსი ხელაია, აღარც აბაშელი, აღარც ჩიქოვანი...

ახალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს შესახებ რომ ლაპარაკობ, არ შეიძლება თვალწინ არ წარმოგიდგეს ისრაელი, რომელიც დედამიწის ხუთსავე კონტინენტზე გაბნეულმა ებრაელებმა ერთხანევარ ათასზე მეტი წლის შემდეგ ხელახლა ააშენეს. ებრაელთა ეროვნული ერთიანობა, ანალოგი რომ არ მოეპოვება მსოფლიოში, მაგალითია ყველა თავმოყვარე ერისათვის და მათ შორის ქართველებისათვის!

მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში გაბნეული, დევნილი და შეიწროებული ებრაელები ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში შეულახავად ინახავდნენ თავიანთ ეროვნულ სახეს, რწმენას და დაუძლეველ იმედს, რომ დადგებოდა დრო, როდესაც კვლავაც დაუბრუნდებოდნენ აღთქმულ მიწას, თავს მოიყრიდნენ, მშობლიურ ენაზე ალაპარაკდებოდნენ და ორი ათას ექვსასი წლის წინათ მრისხანე ნაბუქოდანოსორის მიერ დაქცეულ ეროვნულ სახელმწიფოს კვლავ აღაშენებდნენ.

ჩვენი თაობის თვალწინ აღსრულდა ისრაელი ერის საუკუნოებრივი ოცნება. დღეს ისრაელი ერთ-ერთი ძლიერი და ანგარიშგასაწევი სახელმწიფოა მთელს ახლო აღმოსავლეთში და თავისუფალ ებრაელ ერს თავისი წვლილი შეაქვს საკაცობრიო ცივილიზაციაში!

ჩვენ, ქართველები, ებრაელებისაგან განსხვავებით, მშობლიურ მიწიდან არავის ავუყრივართ, თუმცა ბევრჯერ იყო ,ამის მცდელობა, კვლავაც იქ გვიდგას კერა, სადაც ჩვენი შორეული და ახლო წინაპრები ცხოვრობდნენ, მხოლოდ სახელმწიფოებრივობა გვქონდა დაკარგუ-

ლი და ღვთის განგებით აგერ ისიც დავიბრუნეთ. ედემის მკვიდრთ მხოლოდ ერთმანეთის მხარდამხარ დგომა და გულდადინჯებული მუყაითი შრომა გვჭირდება, რომ გაჭირვებიდან გამოვიდეთ და ესოფლიოს დაწინაურებულ ერთა ფერხულში ჩავებათ.

კეთილი იყოს საქართველოსათვის და მის მიწაწყალზე მცხოვრები ყველა ერისათვის ახალი, 1993 წელი! მას მოჰყოლოდეს მშვიდობა, სიყვარული, სიუხვე და ბედნიერება!

იხარე, ჭერო!

ერთხელ კიდევ გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო თანამემამულენო!

31 დეკემბერი, 1992 წ.

19 იანვარი 1993 წლისა...

ეს თარიღი სამუდამოდ აღიბეჭდება საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ღირშესანიშნაები დღე, რომელიც კი ოდესმე, ამ ორნახევარი ათასი და მეტი წლის მანძილზე გასთენებია ქართველობას.

ამ დღეს, დილაადრიან თბილისის აეროპორტზე აფრინდა ეროვნულ ავიაკომპანია „ორბის" რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი და გეზი ირანის სატახტო, ქალაქ თეირანისაკენ აიღო. თვითმფრინავს, რომელსაც ქართული ეკიპაჟი მართავდა, ირანში მიჰყავდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფოს მეთაურის თავკაცობით.

გამგზავრების მიზანი ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება იყო. სამშვიდობო მისიის წამომწყები ირანის მხარე გახლდათ. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ოფიციალური ვიზიტით მიიწვია ირანის პრეზიდენტმა და აი, ჩვენ ყველა, ვინც მშობლიურ თვითმფრინავში ვისხედით და მთებითა და ხეობებით დაღარულ, უტეხი თოვლით გადაპენტილ დედამიწას 11 კილომეტრის სიმაღლიდან დავცქეროდით, მოუთმენლად მოველოდით ისტორიული წუთის დადგომას.

დელეგაცია არცთუ მცირერიცხოვანი იყო. აქ ბრძანდებოდნენ რესპუბლიკის მინისტრები, რომელთაც ხელი უნდა მოეწერათ დარგობრივ შეთანხმებებზე თავიანთ ირანელ კოლეგებთან ერთად და საფუძველი ჩაეყარათ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის მომავალ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობისათვის. ერთი კვირით ადრე, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, თეირანში ჩავიდნენ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მუშაკებთან ერთად და ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხების განხილვას და ხელშეკრულებათა პროექტების შედგენას შეუდგნენ. საზეიმო ვითარებაში ამ სამთავრობო დოკუმენტებზე ხელის მოწერა წინასწარ ჩატარებულ ძუშაობას დააგვირგვინებდა და თითოეული მათგანის შესრულებას, ორივე სახელმწიფოსათვის სავალდებულოდ გახდიდა.

პირველი არაოფიციალური მოლაპარაკება ირანის სამთავრობო წრეებთან, კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ჩვენს სახელოვან მეცნიერს, თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს მოუხდა, რომელიც ამ ორი წლის წინათ სამეცნიერო მივლინებით თეირანში იმყოფებოდა.

იმ დროს, ისევე როგორც დღესაც, საქართველო საწვავი აირის დიდ ნაკლებობას განიცდიდა და საქართველოს მთავრობის დავალებით ბატონ თამაზს წინადადება მიეცა, გამოეყენებინა თავის სამეცნიერო მივლინება, აგრეთვე პირადი ავტორიტეტი და მოესინჯა ნიადაგი სპარსეთის მმართველ წრეებში საქართველოსათვის საწვავი აირის მიწოდების თაობაზე.

ცნობილია, რომ იმ დრომდე, სანამ ირანში სახელმწიფო გადატრიალება მოხდებოდა და შაჰის მონარქიას აიათოლა ჰომეინის მიერ შექმნილი ისლამური რესპუბლიკა შეცვლიდა, საქართველო, როგორც ყო-

ალი საბჭოთა კავშირის ნაწილი, ირანისაგან აირს ღებულობდა. შემდეგ ირანმა აირის მიწოდება შეწყვიტა და შეწყვიტა არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე რეგიონებთან, არამედ სხვა მეზობლებთანაც, რამაც ისლამური რესპუბლიკის თვითიზოლაცია და აირის მარაგის ჭარბი დაგროვება გამოიწვია. საქმეში ჩახედული ეკონომისტების რჩევით ირანის მთავრობამ მაშინ ახალ ღონისძიებას მიმართა: ხელი მიჰყო აირსადენი მაგისტრალების გაყვანას ქვეყნის შიგნით და მთელი მრეწველობა და ელექტროენერგიის მოპოვება სააირო რეჟიმზე გადაიყვანა, რაც უდიდეს ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რადგანაც აირმოპოვებელი საბადოები არა ქვეყნის რომელიმე ცენტრალურ რაიონში, არამედ მის უკიდურეს ჩრდილოეთში, თურქმენეთის საზღვართან და უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთში სპარსეთის ყურეში. გახლაგებული.

მალე ირანის ეკონომიკამ გადალახა ეს დიდი სიძნელე და საქმე ისე მოაწყო, რომ ქვეყანას აირის ახალი საბადოების მოპოვებისათვის მუშაობის დაწყება მოუხდა.

ამგვარ დაძაბულ ვითარებაში ბატონ თამაზს გაუჭირდა რაიმე წარმატებისათვის მიეღწია, თუმცა ირანის მხარე აირის მოცემაზე გადაჭრილ უარს არ ამბობდა, მაგრამ თავის საქონელს ჩვენი გაღატაკებული ეკონომიკისათვის მიუწვდომელ უზარმაზარ ფასს ადებდა.

რამდენიმე თვის შემდეგ იმავე მიზნით ირანს ეწვია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი ბატონი თენგიზ სიგუა. სამწუხაროდ, ირანის მხარემ ამჯერად მეტისმეტი სიმტკიცე გამოიჩინა, ნაღდი ფულით, რაღა თქმა უნდა, უცხოური ვალუტით ანგარიშსწორება მოითხოვა და პირველად გამოცხადებულ საფასურსს ერთი დოლარიც არ დაუკლო.

ბატონი თამაზი, რომელიც წინადღეს გერმანიიდან დაბრუნდა, სადაც ინდო-ევროპული ენების გენეზისის თაობაზე შექმნილი მისი მსოფლიოში გახმაურებული ნაშრომის გამოცემაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს, და მე გვერდიგვერდ ვიჯექით თვითმფრინავის სალონში და ილუმინატორიდან თოვლით დაფარულ მთებს დავყურებდით.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ უდაბნოების ქვეყანა სპარსეთი, იგივე ირანი, ასე მთაგორიანი იყო და ზამთრობით ასე დიდი თოვლის საფარით იფარებოდა. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, უხვთოვლიანობა ამ ვეებერთელა ქვეყნის მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილს ახასიათებდა, რომლის თავზეც ამჟამად მივფრინავდით, ცენტრალური დ სამხრეთი ნაწილი კი ზამთარ-ზაფხულ უთოვლოა, თუმცა ზამთრობით სიცივე იქაც გვარიანი იცის.

ეს საკითხი ჩემთვის, მწერლისთვის, ინტერესმოკლებული სულაც არ გახლავთ. დაინტერესებულმა მკითხველმა, ვისაც წიგნის კითხვაზე ხელი ჯერ კიდევ არ აუღია, იცის რომ უკანასკნელ წლებში მე დიდ ისტორიულ ტილოზე ვმუშაობ. რომელიც ქეთევან დედოფალსა და მის ტრაგიკულ დროს მიეძღვნება.

სპარსეთის სატახტო ქალაქი, სადაც ყიზილბაშმა მებადრაგეებმა ტყვედქმნილი დედოფალი და მძევლებად წამოყვანილი მისი მცირეწლოვანი შვილიშვილები ლევანი და ალექსანდრე ჩაიყვანეს, მაშინ ის-

ჯაჯანი იყო. მაშინდელი დიპლომატებისა და მოგზაურების მოწმობით მსოფლიოს ერთ-ერთ უმშვენიერესი, მდიდარი და ხალხმრავალი ქალაქი. იქამდე თეირანიდან მეტი მანძილია, ვიდრე თბილისიდან თეირანამდე. ხოლო შირაზი ფარსის ბეგლარბეგ იძამყული-ხან ჯენდილაძის საბრძანებლო ქალაქი. სადაც 1624 წლის 13 სექტემბერს ქრისტეს მცნებისა და სამშობლოს ერთგული ქეთევანი წამებით აღესრულა. კიდევ უფრო სამხრეთითაა. ასე რომ, რეაქტიული თვითმფრინავით ამ მანძილის დასაფარავად ორგზის და სამგზის მეტი მანძილის დაფარვა დაგვჭირდება, ვიდრე [illegible] ქართველოდან მოძავალთ დღეს მოგვიწევს.

[illegible] ვთქვა, რომ ირანი, სხვაგვარად სპარსეთი, [illegible] ქვეყანაა. შირაზიდან მის საშხრეთ საზღვრამდე ორიოდე საათის საფრენი კიდევ იქნება, ხოლო ქურთისტანის მთებიდან ვიდრე ავღანისტანამდე ქვეყნის სიგრძე სიგანეს არ ჩამოუვარდება!

აი, ვის პირისპირ იდგა ისტორიული საქართველო. აი, ვის წინააღმდეგ გადაიხადა ჯერ წიწამურის, შემდეგ მარტყოფის ომი, ვის სძლია მარაბდასთან, თუმცა გამკეთლობამ და ღალატმა ბოლოს თავისი მაინც გაიტანა და ვის ემსხვერპლა კრწანისის ომში 1795 წელს და რად გახდა იძულებული თავისი ბედი კიდევ უფრო საშიში ჩრდილოელი მეზობლისთვის მიენდო.

ირანის მბრძანებლები ხშირად იცვლიდნენ სატახტო ქალაქებს. ეს პატივი ქვეყნის არა ერთ დიდ ქალაქს ერგო. მათ შორისაა ყაზვინი, თავრიზი, ისპაჰანი და თეირანი.

ილუმინატორიდან ბევრი ვეძებე ურმიის ტბა, რომლის ნაპირებთან 1603 წელს შაჰ-აბასის 60 ათასიანმა არმიამ, რომლის შემადგენლობაშიაც ქართლის მეფე გიორგისა და კახბატონ ალექსანდრეს ჯარებიც იბრძოდნენ, ოსმალთა 100 ათასიანი არმია დაამარცხა, მაგრამ თვალი ვერსად მოვლანდე. ეტყობა, ის სამხრეთ-დასავლეთით დარჩა. ჩვენ კი აღმოსავლეთისაკენ მივაპობდით სიერცეს, კიდევ უფრო მაღალი მთების თავზე, რომელთა გადალმაც, ჩრდილოეთში, კასპიის ზღვა და შაჰ-აბასის საყვარელი სანადირო ადგილები მაზანდერანი შეგულებოდა. ნადირობ-ნადირობით სწორედ აქამდე გამოიტყუა შაჰ-აბასმა ცოლიძმა ლუარსაბ მეფე, რომელმაც კახეთიდან შემოსულ მძვინვარე სიძეს შებმა ვერ გაუბედა და უკუქცეულმა თავი იმერეთს შეაფარა. აქ შესთავაზა გამაჰმადიანება და როდესაც გადაჭრილი უარი მიიღო, ხელ-ფეხში ბორკილებგაყრილი გულაბის ციხის კაზემატში ჩასაკეტად შირაზს გაგზავნა. სადაც 1620 წელს, მისივე ბრძანების თანახმად, საბლით მოაშთვეს.

სამშობლოს წარსულში ასე თუ ისე ჩახედულ კაცს თავში სხვა რა აზრი უნდა გიტრიალებდეს, როდესაც იმავე თვითმფრინავის სალონში ზიხარ, რომელსაც უკიდეგანო ირანის უზენაეს მბრძანებელთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად დამოუკიდებელი საქართველოს მეთაური და სამთავრობო დელეგაცია მიჰყავს! ეს მეთაური უსათუოდ შენ თვითონ უნდა იყო, რომ იგრძნო ამ წუთების მთელი სიდიადე? შენი საშშობლო დღეს თავისუფალია! იქნებ ეს ვინმეს ეცოტავება?! ამაოდ ნურავინ შეეცდება ვინმე დაარწმუნოს, რომ ორისამი წლის წინათ შეეძლო წარმოედგინა, ეწინასწარმეტყველა ეს ამბავი. თუ შენ შენი საშშობლოს მართლა ერთგული შვილი ხარ, შეიძლე-

ბა იმისდამიხედვით იმსჯელო, ვის რომელი ხელისუფალი უყვარს და საქართველოს აწმყო და მომავალი შენი ემოციური დამოკიდებულებით შეაფასო? საკუთარი გრძნობების აყოლა შორს ვერ წაგიყვანს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც სასწორზე სამშობლოს ბედ-ილბალი დევს!

ამას რომ ვწერ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მახსენდება, ოღონდ ამჯერად საქართველოს უახლესი ისტორიიდან.

იდგა მარტი 1921 წლისა. სატახტო ქალაქიდან იძულებით გამოხიზნული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უკვე ბათუმში იმყოფებოდა და უცხოეთში გადასახვეწად ის იყო გემზე ადიოდა. ბრესტის ზავის შესაბამისი მუხლის თანახმად ქალაქში თურქი ასკერები შემოვიდნენ და მთელ აჭარასთან ერთად მისი ყველა სიმაგრე დაიკავეს. საქართველო ახლა უკვე სამუდამოდ ჰკარგავდა თავის მშვენიერ ბათუმს და სამშობლოს გაუტეხელ ციხე-სიმაგრე აჭარას. ამას ხედავდნენ ქვეყნის მესვეურები, რომლებიც სამშობლოს დამპყრობელის უხეში ძალის მოწოლის გამო სტოვებდნენ და ხედავდნენ ისინიც, ვინც მოდიოდა და დედაქალაქ თბილისში დამპყრობელის დროშა ააფრიალა. ორივენი ქართველები იყვნენ. რევკომის თავმჯდომარე ორახელაშვილიც და პრემიერმინისტრის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძეც. ორივენი პასუხს აგებდნენ ისტორიისა და შთამომავლობის წინაშე. ისინი, მეურიგებელი მოწინააღმდეგენი, პირდაპირი მავთულით დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რადგანაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა უბრალდ დაშორება, ამბიციის აყოლა, სამშობლოს დაღუპავდა და მათ, არც ერთს და არც მეორეს, რომელი პარტიის წევრებიც არ უნდა ყოფილიყვნენ, ღვთისა და ქვეყნის წინაშე ამის მორალური უფლება არ ჰქონდათ!

რადგანაც საქართველოს დამპყრობი მე-11 არმია რუსეთის არმია იყო, რომელმაც მეომარ მხარესთან, თურქეთთან, ბრესტში ზავი დასდო და აჭარა-შავშეთი, ბათუმითურთ, თურქეთის კანონიერ ნაწილად სცნო და ამით ქართველი ერის წინაშე უდიდესი დანაშაული ჩაიდინა, უკვე აღარ შეეძლო საერთაშორისო კანონები დაერღვია და თურქი დამპყრობლები აჭარა-შავშეთიდან გაედევნა. გამოინახა ერთადერთი გამოსავალი: ბათუმი და მისი ოლქი ასკერებისაგან უნდა გაეწმინდა დამარცხებული არმიის ჯარს, იგი გამარჯვებულისათვის გადაეცა და, როგორც საბჭოდრო შენაერთს, არსებობა მხოლოდ ამის შემდეგ შეეწყვიტა.

მაგრამ საქართველოს არმიის გასვლისა და მე-11 არმიის შემოსვლის დროის მონაკვეთში [illegible] 1 ასკერებს ხომ შეეძლოთ, დაკავებული პოზიციები ისევ დაეკავებინათ და რუსეთის არმიის პირისპირ მდგომთ ძისთვის კვლავ გაძოუვალი მდგომარეობა შეექმნათ!

ეს რომ არ მომხდარიყო, ბათუმში მყოფ საქართველოს მთავრობას მოწინააღმდეგისათვის უნდა მიეწოდებინა სარკინიგზო ეშელონები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში დაგროვდა, რათა მე-11 არმია შიგ ჩაბარგებულიყო და ბათუმი მაშინ დაეჭირა, როდესაც საქართველოს ჯარის ქვეგანაყოფები ქალაქის საპირისპირო გარეუბანს დასტოვებდნენ.

ბათუმი აიღო გენერალმა მაზნიაშვილმა, მართლაც ლეგენდარულმა გმირმა, და გადასცა იგი რუსეთის რწმენებულს სერგო ქავთარაძეს. რომელიც სხვა ბოლშევიკებთან ერთად იქ ციხეში იჯდა.

ასე გადაგვირჩა ბათუმი და მთელი აჭარა. სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ პარტიულ მოწინააღმდეგეებს, ქართველებს, ერთი ერისა და ქვეყნის შვილებს, ყველაზე უფრო დრამატულ წუთებში ეყოთ გონიერება, თავიანთი პარტიული აბბიციები უკანა პლანზე გადაეტანათ და წმიდათა-წმიდა სამშობლოს ხატის წინაშე ერთად დაეჩოქათ!

უნიკალური შემთხვევაა. მსგავსი შემთხვევა მე არ მეგულება რომელიმე სხვა ხალხის ისტორიაში, რომელსაც კი ვიცნობ.

ვგონებ არავის უნდა გაუკვირდეს, თუ თეირანის აეროდრომზე დაშვებისას მე ეს ისტორიული ფაქტი გამახსენდა და ფიქრი ამეკვიატა.

სულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ თეირანი რვამილიონიანი ქალაქი ყოფილა. მოკლე დროში ის ოთხი მილიონით გაზრდილა. თანამგზავრ ქალაქებთან ერთად თეირანის მოსახლეობა ამჟამად 16 მილიონს შეადგენს. ეს მეტია, ვიდრე ლონდონის, ტოკიოს და სხვა დიდი საატახტო ქალაქების მოსახლეობის რიცხვი და მხოლოდ მეხიკოსა და სან-პაულოს ჩამორჩება.

ამუშავდნენ კინოკამერები, აწკაპუნდნენ ფოტოაპარატები. თვითმფრინავმა თვლები გამოუშვა, სამუხრუჭე ფრთები მოკეცა. ძირს უკვე ციმციმებდნენ წითელი და მწვანე ნათურები, თვითმფრინავს დასაჯდომ ზოლს აჩვენებდნენ. აი, აეროპორტის თეთრი შენობაც! კვადრატებად დაწყობილი ორკესტრი და საპატიო ყარაული. თვლები ბეტონს შეეხო და მძიმე თვითმფრინავი ძრავების გრიალით ასაფრენ ბილიკზე გასრიალდა. საიდანღაც პოლიციის საპატრულო მანქანა გაჩნდა და სასიგნალო ნათურების ციმციმით ხომალდს წინ გაუძღვა. რამდენჯერმე მივუხვ-მოვუხვიეთ და ბოლოს თეთრად მოქათქათე აეროპორტის წინ გავედით, სადაც დამხვდურთა კარგა მოზრდილი ჯგუფი, ორკესტრი და საპატიო ყარაული გვეგულებოდა.

თვითმფრინავს გაჩერების უმალვე მოაწყდნენ კამერებმომარჯვებული ტელე და ფოტოჟურნალისტები. მათ არც ჩამოსული ჟურნალისტები ჩამორჩნენ და ტრაპი სხვა მგზავრებზე ადრე ჩაირბინეს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს თეთრებში გამოწყობილი ირანის პრეზიდენტი ტრაპთანვე მოეგება და სამგზის გადაკოცნა. გაისმა მხედრული ბრძანება. საპატიო ყარაულმა ფეხის ტერფთან მიდგმული შაშხანები აიტაცა და პირისახის წინ შეეულად დაიკავა. რუსულად ამას "ნა კრაულ" ეწოდება. ქართულად ჯერ შესაბამისი ტერმინი არა გვაქვს. გარნიზონის სასულე ორკესტრი შეხვედრის მარშს უკრავდა. საქართველოს მეთაური ამ დროს აეროდრომზე მის შესახვედრად მოსულ მთავრობის წევრებს და ირანის პრეზიდენტთან აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს ხელს ართმევდა.

აეროდრომის ბეტონი, რომელზედაც ორი სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებს მოუხდებოდათ გავლა, ხალიჩების ზოლით იყო მოფენილი. ისინი გაჰყვნენ ალისფერი ხალიჩების ბილიკს. თეთრჩალმიანი, თეთრმოსასხამიანი პრეზიდენტი, როგორც მასპინძლობის წესი

ძოითხოვდა, ოდნავ უკან ჩამორჩა სტუმარს. ისინი შედგნენ საგანგებოდ გაჰართულ ფანჩატურში და მზერა მათ წინაშე გაქიმული საპატიო ყარაულს მიაპყრეს. მარჯვნივ და მარცხნივ, შეესაბამისად, ქარი საქართველოს რესპუბლიკისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის დროშებს ატაცუნებდა. ეს დაწყვილებული დროშები შემდეგ მთელ გზაზე გვხვდებოდა, როდესაც საპატიო ესკორტის თანხლებით გალაპლაპებულ ლიმუზინებში ორ-ორად განაწილებული სამთავრობო დელეგაცია და სახელმწიფოს მეთაური თავის რეზიდენციისაკენ მიემართებოდა.

ორკესტრმა დასჭექა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. ეს პირველია საქართველოს ისტორიაში! საოლოოდ ჩაცმულმა ირანელმა ოფიცრებმა, თითქმის უძირო თეთრი ბათინკები რომ აცვიათ, ხმლები იშიშვლეს და გაქვავდნენ. შეგუბდა სული. აღტაცების ცრემლი ქუთუთოებს მოაწვა და თვალები დაბერა. გაუნძრეველად იდგა თავჩალმიანი პრეზიდენტი და მოწიწებით ისმენდა შეზობელი სახელმწიფოს ჰიმნის ერუანტელის მომგვრელ ბგერებს და მასთან ერთად ისმენდა მთელი ირანი აზერბაიჯანიდან ბელუჯისტანამდე, ქურთისტანის მწვერვალებიდან ავღანისტანის მთებამდე, რადგანაც შეხვედრის ეს ცერემონიალი რადიოთი და ტელევიზიით გადაიცემოდა.

დასრულდა საქართველოს ჰიმნი და ჰაერი ახლა ირანის ჰიმნმა შეარხია. ის შეტად კეთილხმოვანი და ნატიფია, როგორც სპარსული მინიატურა, ორკესტრთან ერთად, კაპელა ასრულებს და ქვეყანაში კეთილი გულით მოსულს ყელამდე სიხარულით გავსებს.

დადგა კიდევ უფრო საზეიმო წუთი. ყარაულთან ზურგით მდგარმა უფროსმა ოფიცერმა შიშველი ხმალი მკლავზე გადაიწვინა, სამწყობრო ნაბიჯით, ისე რომ ფეხის ქვინტი თითქმის ცხვირამდე მიჰქონდა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ხუთიოდე ნაბიჯზე მიეახლა და მკექარე, მკაფიო ხმით საკმაოდ გრძელი მხედრული პატაკი მისცა.

ამის შემდეგ ორივე სახელმწიფოს მეთაური ფიცარნაგიდან ჩამოვიდა და ხმალგაშიშვლებული ოფიცრის თანხლებით იმ დროშის წინაშე თავის დასახრელად გაემართა, რომელიც ბევრჯერ შეღებილა ქართველ მამულიშვილთა სისხლით, დღეს კი იგივე ქართველებისათვის პატივის მისაგებად აქ გამოებრძანებინათ და აღემართათ.

იქნებ ზოგ მკითხველს გაუკვირდეს, რად აღვწერ ასე დაწვრილებით შეხვედრის ცერემონიალს, რომელიც არაერთხელ გვინახავს ტელევიზიით თუ ცხადად და თითქმის ზეპირადაც ვიცით, რის შემეგ რა ხდება. გვინახავს, რასაკვირველია, თანაც არა ერთჯერ, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ საქართველოს სამფეროვანი დროშა იმ საზეიმო შეხვედრების დროს დღემდე არავის აღუმართავს და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წინაშე, მეფე იყო ის თუ რომელიმე სხვა მაღალი თანამდებობის პირი, საპატიო ყარაული არავის ჩაუმწკრივებია. საქართველო ხომ სამი ათას წელიწადს ელოდა ამ დიდებულ წუთს და აი, ეს წუთიც დადგა!

ნურავი დამძრახავს, თუ ბედნიერი ვარ, რადგანაც ამ დღეს მოვესწარ! საქართველოს დღეს შია, სწყურია, მისი უკეთესი შვილები გარეშე თუ შინაური მტრების ხელით ილუპებიან, ჩვენი საქმეები უახლოეს დღეებში იქნებ ვერც დავალაგოთ და უფროც გაგვიჭირდეს, მაგრამ

ჩვენ მაინც ერთ-ერთი ვართ მსოფლიოს თავისუფალ ერთა შორის. აღარავის შეუძლია ჩვენი ეროვნული ღირსების ჩაწიხლვა და ფეხქვეშ გათელვა, რაც მრავალი ასი და ათასი წლის განმავლობაში სდებოდა!

აი, რამ შეგვძრა ყველა, აი, რის ნიშანი და მომასწავებელი იყო ორი სახელმწიფოს მეთაურების საზეიმო შეხვედრა თეირანის აეროდრომზე და აი, რატომ აღვწერე მე იგი ასე დაწვრილებით და გულის თრთოლვით!

აეროდრომის შენობის უკან, ფართო მოედანზე, ათობით ლიმუზინი და ავტოინსპექციის საპატრული მანქანა დაგვიხვდა. დავიკავეთ თუ არა წინასწარ მოჩენილი ადგილები, კოლონა დიდი სისწრაფით დაიძრა. გზად ერთიც არავინ შეგვხვედრია. შემდეგ გავიგეთ, რომ გზის ამ მონაკვეთზე, ქალაქსა და მის აეროდრომს, ერთმანეთთან რომ აკავშირებს, ყოველგვარი მოძრაობა შეწყვეტილი იყო. სადაც დღეისათვის ავტოსტრადის ორივე მხარეს აქ მანქანების ტევა არ არის და სიჩქარეც საკმაოდ შეზღუდულია. ამაში თავადვე დავრწმუნდით, როდესაც შინ მომავალნი კოლონას უცაბედად მოვწყდით და მანქანების მშფოთვარე ზღვაში აღმოვჩნდით. მე შენ გეტყვი, ვინმეს ბენზინი ენანება და ამ მიზეზით მანქანას გარაჟიდან არ გამოიყვანს! მთელს ირანში საწვავის ფანტასტიკური სიიაფეა. 40 ლიტრი ბენზინი ერთ ამერიკულ დოლარად ფასობს. ეს მაშინ, როდესაც შოკოლადის საშუალო ფილის საყიდლად ორი დოლარის გადახდა მოგიხდება.

სამთავრობო დელეგაციას რეზიდენციად ამერიკელების მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშენებული ფეშენებელური სასტუმრო „გრანდ-ოტელი" გამოეყო. სასტუმრო თექვმეტსართულიანია და ჩვენ სწორედ მეთექვსმეტე სართულზე მოვთავსდით. აქედან კარგად მოჩანს ქალაქის პანორამა, ანუ, უფრო სწორად, მისი ერთი ნაწილი.

თეირანს ირგვლივ მაღალი მთების მასივი არტყია და მისი საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან ორი ათას ხუთას მეტრს აღწევს. სასტუმრო „გრანდ-ოტელიდან" მოჩანს უზარმაზარი დათოვლილი მთა, რომლის კალთასაც შეძლებულ მოქალაქეთა უბნები შეჰფენია.

მთის უმაღლესი წერტილი, რომლის უდაბური კალთები ზაფხულობით მთლიანად შიშვლდება, ათასი მეტრის სიმაღლიდან დასცქერის ქალაქს. საპირისპირო მხარეს მრგვალგუმბათიანი მიზგითი და მინარეთია, საიდანაც მუეზინის რადიოგალობა ისმის. იქით და იქით, თვით ცის დასალიერამდე, ერთიმეორეზე მჭიდროდ მიკუჭკული უბნები მოჩანს. რომელიმე ამ უბანში მოხვედრილი კაცი ვერასოდეს ვერ იგრძნობ, რომ უზარმაზარი სახელმწიფოს სატახტო ქალაქში იმყოფები, რომ ეს ქალაქი 12 მილიონ სულს ითვლის, ხოლო თანამგზავრ ქალაქებთან ერთად მისი მოსახლეობის ოდენობა 16 მილიონს აღწევს.

თეირანი ნაუცბათევად აშენებული ქალაქის შთაბეჭდილებას სტოვებს. საუკუნის დასაწყისში მისი მოსახლეობა მილიონსაც არ აღემატებოდა, მაგრამ შემდეგ მოსახლეობის სწრაფი ზრდის კვალად, როცა შენობათა ხუროთმოძღვრული ფორმების სრულყოფისათვის არავის ეცალა და არც დღესდღეობით სცალია, მან როგორღაც პროვინციული იერი მიიღო.

აქ არაფერი მოგტაცებს თვალს, არაფერი გაგაოცებს, როგორც შაპ-აბასის მიერ სხვა ერების ხარჯზე აშენებულ ისპაჰანში, სპარსული

ხუროთმოძღვრების თავისთავადობით დღესაც რომ განცვიფრებს და თვით რომსა და პარიზსაც კი უწევს მეტოქეობას.

თეირანისათვის არსთა გამრიგეს არც წყალუხვი მდინარე უბოძებია, მსგავსად ზაინდერუდისა, ისპაჰანს რომ ამშვენებს. სასმელი წყლის ნაკლებობა მოსახლეობას მოურჩენელ ჭირად გასჩენია. ირგვლივ მხოლოდ უდაბური მთებია და, თოვლი რომ გადნება, მაცოცხლებელი ნიავის მაგიერ იქიდან დღენიადაგ ხახაგამშრალი უდაბნოს ხორშაკი ქარი უბერავს.

სამი საათისათვის თავი ჰოლში მოვიყარეთ. სასტუმროს წინ უკვე ჩაემწკრივებინათ ლიმუზინები დელეგაციისა და ჟურნალისტთა კორპუსის პრეზიდენტის სასახლეში გასამგზავრებლად, სადაც საქართველოსა და სპარსეთს შორის უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების პირველი სხდომა უნდა გამართულიყო.

საერთო შთაბეჭდილება ქალაქზე, „გრანდ-ოტელის" ფანჯრიდან რომ მოჩანდა, არც თვით ქალაქის ქუჩებში მოგზაურობისას შეგვცვლია. შენობებს ნაცრისფერი დაკრავს, რაც გულის გამაწვრილებელ მოწყენილობას გგვრის. სახლების უმეტესი ნაწილი ორ და სამ სართულიანია. ცოტა როდი შეგხვდება ერთ სართულიანი სახლიც. აქედან ადვილად მიხვდება კაცი, რა ვეებერთელა ტერიტორია უპირავს ქალაქს, რომლის მოსახლეობის საერთო რიცხვი კოლოსალურ ციფრს აღწევს! არც პარკებია, არც ხიდები, ქუჩებიც ვიწროა და გამ-ვლელ-გამოვლელსაც იშვიათად მოკრავ თვალს.აქა-იქ კოკებამდე შავ ჩადრში გახვეული ქალი გაივლის. ქალებს მხოლოდ სახე უჩანთ, სხვას ყველაფერს კი ეს უფორმო ჩადრი უფარავთ. ხმარებიდან გადავარდნილი ჩადრი ხელახლა შემოიღეს, როდესაც ჰომეინის რეჟიმმა გაიმარჯვა და რეზა-ფეჰლევის მონარქიული სპარსეთი, ასე დიდხანს რომ სცემდა თავზარს მთელ ახლო აღმოსავლეთს, ირანის მუსულმანურ რესპუბლიკად გამოცხადდა!

მოყვითალოდ შეფეთქილი, თეთრზოლებიანი პრეზიდენტის სასახლე შუაგულ ქალაქშია. სასახლეს პაწაწინა ეზო აქვს და გარს აგურის გალავანი არტყია. ბრინჯაოს ჭიშკარი შეიარაღებულმა დაცვამ გაგვიღო და მანქანებიანად შიგ შეგვიშვა.

● სასახლე სადაა, გემოვნებით აშენებული და აღმოსავლური პომპეზურობისა არაფერი ატყვია. იგი სამსართულიანია. პირველი სართულის საკმაოდ ფართო ვესტიბიულიდან, სადაც პალტოები გავიხადეთ, ოთხ თუ ხუთ საშუალო სიზიდის დარბაზში შედიხარ. ერთი მათგანი ოვალური დარბაზია, სადაც მეორე დღეს მინისტრების მიერ შედგენილი დოკუმენტების ხელმოწერა გაიმართა, ერთიც სწორკუთხოვანი, სადაც უმაღლესი დონის თათბირები და მოლაპარაკებები იმართება. დანარჩენი დარბაზები ჰოლის თუ ვესტიბიულის გაგრძელებაა და აქ სტუმრებს დაბალ მაგიდებზე ჩამწკრივებული ნუშის კაკლით, ყურძნით, ციტრუსით, ყავით და ხილის წვენებით უმასპინძლდებიან.

უქმად წუთიც არ იკარგება. როგორც კი სტუმრებმა და მასპინძლებმა თავი მოვიყარეთ, გაიღო სწორკუთხა დარბაზის კარი. არავითარი ლივრეიანი კარისკაცები და ლაქიები. ირანი რევოლუციური ქვეყანაა და აქ რევოლუციის შესაფერისი სისადავე და წესრიგი მეფობს. თვით მინისტრებსაც კი უბრალო ქსოვილისაგან შეკერილი ევ-

როპული კოსტუმები აცვიათ. ყველა უპალსტუხოა. ყელი მოღეღილი აქვთ. ან პერანგის მაგიერ შიგ მაღალყელიანი ნაქსოვი აცვიათ. წვერის მოშვება სახელმწიფო მოხელისათვის და მათ შორის მინისტრებისათვის, სავალდებულოა. მაგრამ ამასაც ზომა-წონა სჭირდება. წვერი მხოლოდ იქამდე უნდა მოუშვა, რომ ხელი ეკიდებოდეს. ამიტომაც უკლებლივ ყველა თანამდებობის პირი დაუდევრობის გამო გაუპარსავს ჰგავს. ეტყობა, ფეხსაცმლის გაწმენდაც ფუფუნებად და შაჰის რეჟიმის გადმონაშთად არის მიჩნეული და ამიტომაც ზოგიერთ მინისტრს ფეხსაცმელზე ტალახის კვალი ამჩნევია.

დარბაზი უკვე აევსოთ ჟურნალისტებს და ყოველი კუთხიდან გამალებული იღებდნენ. შეხვედრის საქმიანი ნაწილის დაწყებისთანავე ისინი დარბაზიდან გაიკრიფნენ. ორივე დელეგაციის წევრები ჩვენ-ჩვენი სკამების უკან დავდექით. ყველას გვედგა მაგიდაში ჩამონტაჟებული საკუთარი მიკროფონი და ფურცლების დასტა ჩანაწერების გასაკეთებლად.

არ გაუვლია ორ-სამ წუთსაც, დარბაზში იმავე კარით საქართველოს რესპუბლიკის მეთაური და ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი შემოვიდნენ. დამხვდურთ თავის დაკერით მიესალმნენ და მაგიდის შუაგულში, ერთმანეთის პირისპირ, თავ-თავისი ადგილი დაიკავეს.

პრეზიდენტი საშუალოზე ოდნავ მაღალია, სიგამხდრეც არ ეთქმის და ირანის ტანმორჩილ, თითქოსდა შიმშილობაგადატანილ მინისტრებში გოლიათად გამოიყურება. მაღალი თანამდებობის პირებს შორის წვერს მარტო ის იპარსავს. მეჩხერი ჭაღარა ულვაში თითქმის არ ემჩნევა. სახეზე სულ მუდამ კეთილი ღიმილის შუქი ადგია.

– სახელითა ალაჰისათა! – წარმოსთქვა მან მაჰმადიანთა უპირველესი საკრალური ფრაზა, რითაც ყოველი ოფიციალური სიტყვა იწყება და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა მისი მოწვევის მიღებისა და აქ ჩამობრძანების გამო. შემდეგ ვრცლად შეეხო ირანის დაინტერესებას ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ბედით, რომელთაგან სამი ამიერკავკასიაშია. მათ შორის საქართველო, თავისი უახლოესი მეზობელი, გამორჩეული სითბოთი მოიხსენია და აღუთქვა დამსწრეთ, რომ ირანის მთავრობა, თავის მხრივ, ყველაფერს გააკეთებდა მისი ეკონომიკის ფეხზე წამოსაყენებლად. საქართველოს ეკონომიკური სიძნელეები პრეზიდენტმა რეგიონულ სიძნელეებად მიიჩნია და დაახასიათა, როგორც საერთო მოვლენა. რომელიც დიდი ფედერალური სახელმწიფოს დაშლის გამო ეკონომიკური კავშირების რღვევას მოჰყვა. ირანი შზადყოფნას გამოთქვამს გვერდში ამოუდგეს მის შეგობარ საქართველოს, განაცხადა მან. გარკვეულ დათმობებზედაც წავიდეს და იკისროს ისეთი ვალდებულებებიც კი. რომელთა მიღება ამ ცოტა ხნის წინათ შეუძლებელიც კი ჩანდა. კერძოდ, პრეზიდენტი შეეხო ნავთობისა და საწვავი აირის საკითხს, რომელიც საქართველოს ენერგეტიკას ასე სჭირდება და აღნიშნა, რომ ირანის მხარე ყველა ღონეს მიმართავს საქართველოსათვის სასურველი შეთანხმების მისაღწევად. ირანის მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტზე და სთხოვა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, გამოეყენებინა თავისი გავლენა კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების მხრივ. აქვე დაუმატა, გაზსადენი მაგისტრალი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის და თქვენ, ალბათ,მოგიხდებათ, აზერბაიჯანის მთავრობასთან სათანადო შეთანხმებას მიაღწიოთო.

დასასრულ საქართველოს სამთავრობო დელეგაციას და სახელმწიფოს მეთაურს პრეზიდენტმა წარმოუდგინა დელეგაციის წევრები. ირანის ისლამური რესპუბლიკის მინისტრები და სიტყვა დაუთმო ედუარდ შევარდნაძეს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაიხადა თავაზიანი მოწვევისა და გულითადი დახვედრისათვის, რაც პირადად მას და საქართველოს სამთავრობო დელეგაციას თეირანში მოუწყვეს. მოკლედ მიმოიხილა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და მადლიერება გამოთქვა მეგობარი ირანელი ხალხის მიმართ. რომელიც მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს მეზობელ საქართველოს, როდესაც მას უჭირს. პარლამენტის თავმჯდომარემ გაიზიარა პრეზიდენტის რჩევა, კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინოს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტზე უარაბახში და აღნიშნა,რომ საქართველოს მართლაც, გააჩნია საამისო რეზერვები და ეს რეზერვები გამოყენებული იქნება.

– რაც შეეხება საწვავი აირის ტრანსპორტირებას, – თქვა შემდეგ საქართაველოს სახელმწიფოს მეთაურმა. – შეიძლება თქვენმა აღმატებულებამ ჩათვალოს, რომ ეგ საქმე აქ ჩამოსვლამდე მოვაგვარეთ. ჩვენ მოველაპარაკეთ აზერბაიჯანის მთავრობას და მივიღეთ თანხმობა, რომ მის ტერიტორიაზე გამოვლით აირის ტრანპორტირება მოვახდინოთ!

ამ წუთამდე მოლაპარაკება მკაცრ სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში მიმდინარეობდა. ყველა დაძაბული და უაღრესად სერიოზული იყო. იფიქრებდი, მტრისა და ავისას, წინ მიცვალებული უსვენიათო. მაგრამ აი, შევარდნაძემ დაიწყო დელეგაციის წევრების წარდგენა, რომელთაგან არამინისტრი მხოლოდ ბატონი თამაზ გამყრელიძე და ამ სტრიქონების ავტორი ვიყავით.

ჯერი მიდგა საქართველოს ფინანსთა მინისტრ ბატონ კახაბერ პოპიაშვილზე.

– ფინანსთა მინისტრი კახაბერ პოპიაშვილი, – თქვა ბატონმა ედუარდმა, გაიღიმა და პროტოკოლს ზევით დაუმატა: – კარგი კაცია, კარგი მინისტრიცაა, მაგრამ რად გინდა, ფული არა აქვს!..

ჩვენ თავი ველარ შევიკავეთ და გაგვეცინა. ეს სიტყვები რომ თარჯიმანმა, ბატონმა ჯემშიდ გიუნაშვილმა სპარსულად თარგმნა, მოლაპარაკების მაგიდაზე ვითარებისათვის სრულიად უცხო ჰომერული ხარხარი ატყდა. მოყვდა სიცილით მისი აღმატებულება პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი, იცინოდა მისი მკაცრი საგარეო საქმეთა მინისტრი, ამას წინათ პარიზში რომ შეხვედრია ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძეს, იცინოდა თვით შევარდნაძეც. ადამიანებს შორის ადამიანურმა ურთიერთობამ გაიღვიძა. არა და, რა ქვეტექსტი ჰქონდა პროტოკოლის დამარღვეველ ხუმრობას, რამდენი ასეული პირქუში სიტყვა უნდა დახარჯულიყო, მათში ჩაქსოვილი აზრის გამოსათქმელად!

იყო მეორე უწყინარი ხუმრობაც. ის სწორედ მაშინ ითქვა, როდესაც დელეგაციის წევრების წარდგენა დამთავრდა.

- საქართველო ხელმიკლე ქვეყანაა, მაგრამ, როგორც ხედავთ, მინისტრების ნაკლებობას არ განიცდის!

ავდექით, როგორც მეგობრები. თუმცა ერთმანეთის ენა არ გვესმოდა, თითქოს სულაც არ არსებულიყოს ის ორი ათას ხუთასი წელიწადი, ქართველს და სპარსელს, როგორც დაუძინებელ, მოსისხლე მტრებს, ერთმანეთისაგან რომ აშორებდა. წარმოიდგინეთ, მოლაპარაკების დროს გვერდს ვერც ისტორიას აუვლიდი, არადა ის ჩვენთვის აგრერიგად საჭირო შეთანხმების სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებდა!

მეორე დღეს, ხანმოკლე ვიზიტის დასკვნით შეხვედრაზე, როდესაც იმავე მოლაპარაკების მთავარი პრინციპების შემცველ ერთობლივ დეკლარაციას ხელი მოაწერეს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ნახევრად ხუმრობით თქვა:

-მე განათლებით ისტორიკოსი გახლავართ. ახლა რომ ისტორიის ანალებზე გადავიდე, ხვალ ამ დრომდე ვერ მოვათავებ!..

ამით ყველაფერი ითქვა და თანაც ისეთი ფორმით, რომელიც არავის არაფერს ავალდებულებდა.

დეკლარაციაზე ხელის მოწერის შემდეგ, სანამ დარბაზში გადავინაცვლებდით, სადაც ორივე მხარის მინისტრებმა ხელშეკრულებათა 16 პროექტზე მოაწერეს ხელი და დედნები გაცვალეს, პრეზიდენტმა რაფსანჯანიმ თქვა:

-ძვირფასი სტუმრები ჩვენ აგრე ადვილად არ გვეთმობა. გეპატიჟებით ჩვენი სამშობლოს სამხრეთში, სადაც ახლა თბილა და მეგობრული დახვედრა გელით!..

მიპატიჟების მიღება დროის უქონლობის გამო ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, მიღწეულია შეთანხმება, რომ საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ამა წლის აპრილში ეწვევა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო ზაფხულის პირველ თვეს თვით პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი.

პრეზიდენტისა და თარჯიმნის თანხლებით საქართველოს სახელმწიფოს მეთაური შეხვდა ისლამური რესპუბლიკის საერო და სასულიერო ბელადს, აიათოლა ჰომეინის შემცვლელ აიათოლა ჰამენეის, რომლის პორტრეტებით, აიათოლა ჰომეინისა და პრეზიდენტ რაფსანჯანის პორტრეტებთან ერთად, მოფენილია მთელი თეირანი და მთელი ირანი.

სამწუხაროდ, მე არ შემიძლია დამსწრის უშუალობით გადმოვცე ირანის რევოლუციის ბელადთან ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრის პერიპეტიები. მხოლოდ ის ვიცი, რომ შეხვედრა მეტად თბილი და კეთილმეგობრული იყო. ირანს ახსოვს, ახსოვს თვით აიათოლა ჰამენეისაც, რომ ედუარდ შევარდნაძემ, როდესაც ის ჯერ კიდევ უოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, დაუფასებელი სამსახური გაუწია პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცეულ მეზობელ სახელმწიფოს, აიათოლა ჰომეინის პირადად ესტუმრა მის რეზიდენციაში და ირანისათვის უაღრესად სასარგებლო წინადადებები შესთავაზა. ბატონ ედუარდს გაუხსენეს ავანსად გაცე-

მული სიკეთე და აღუთქვეს, რომ ამის სამშობლო საქართველოს სამაგიერო სიკეთეს მიაგებენ.

მეორე დღეს, 20 იანვარს, საღამოს 5 საათზე ანუ იმათებურად 5 საათსა და 30 წუთზე აეროპორტის თეთრი შენობის წინ კვლავ გაიკიმა საპატიო ყარაული, კვლავ დაიგო ალისფერი ხალიჩები, კვლავ ატკაცუნდა საქართველოს რესპუბლიკისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები, კვლავ აჟღერდა ჰიმნები და უძრავად გაქვავებული მწყობრის ჩამოვლის შემდეგ ორივე სახელმწიფოს მეთაურები საპატიო ხალიჩის ტრაპისაკენ გაემართნენ. აქ ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და ახალი მეგობრული შეხვედრის იმედით დაშორდნენ.

აეროდრომზე ცივი ქარი ქროდა. რაფსანჯანმა ხელი ჩალმაზე იტაცა, თეთრი მოსასხამი საიმედოდ შემოიტმასნა და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად აეროპორტის შენობის აივანს მიაშურა სადაც ქარი ნაკლები სიძლიერით უბერავდა. ტრაპებმა უკან დაიხიეს და თავისი გზით წავიდნენ. სმენაზე მდგარი ორკესტრი და საპატიო ყარაული ადგილიდან არ დაძრულა.

თვითმფრინავმა ძრავები ჩართო. ილუმინატორში დიდხანს ჩანდა ირანის მთავრობის წევრთა ჯგუფი, რომლის შუაგულში თეთრებში გამოწყობილი პრეზიდენტი რაფსანჯანი იდგა. ისინი თვალს მხოლოდ მაშინ მიეფარნენ, როდესაც ხომალდი ძრავების გუგუნით შებრუნდა და ასაფრენ ბილიკზე გავიდა.

1993 წ.

პატარა მდინარის დიდი შეიდლი

ამ მდინარეს ზანა ჰქვია. იგი სულ ახლოს ჩაუდის ტრიალ მინდორს, რომლის შუაგულშიაც ღარიბი ოდესშელი აზნაურის სიმონ გამსახურდიას ბოკონებზე შეყენებული, ისლით გადახურული სახლი იდგა, სახლი, რომელშიაც 100 წლის წინათ დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია დაიბადა.

ამ ისლით გადახურულ მეგრულ სახლში ელოდებოდა მოხუცი დედა შორეულ ევროპაში.. დიდ მდინარეთა ნაპირებთან დაბადებულებთან საპაექროდ წასულ მზეკაბუკს და აქვე დაილია, როგორც სარკმლის რაფაზე შემოდგმული სანთელი. ევროპამოვლილმა კონსტანტინემ მოლოდინში გათეთრებულ დედას ცოცხალს ვერ მოუსწრო და იგი ობლად დარჩენილი შვილის წრფელი ცრემლებით დაიტირა.

მომავალი დიდი მწერლისა და მოღვაწის მახსოვრობაში აქ, მამისეული სახლის წინ, დიდრონი კაკლები მდგარა. მწვანედ აბიბინებულ ეზოს კარის ვენახისაგან წნელის გამწვდომი ღობე ქყოფდა. კონსტანტინეს მეხსიერებაში ჩარჩა წითელი ჩაბალახით თავწაკრული მამა, მთელი დღის ნაშრომი და ნაჯახირევი ვენახის ალაგზე რომ გადმოაბიჯებდა, თოხს ნალიის ქვეშ მიაყუდებდა და ოწინარიან ჭისაკენ წავიდოდა წყლის ამოსაღებად.

დროთა განმავლობაში აქ ყველაფერი შეიცვალა და გაუდაბურდა. დედა და მამა უკვე აღარ იყვნენ. ძმა და უმცროსი და სადღაც სწავლობდნენ. კონსტანტინემ საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ მშობლიური დედაქალაქი აირჩია, სადაც ერის ცხოვრება დუღდა და მისი ხვალინდელი დღე იქედებოდა.

ოციანი წლების მიწურულს აქაურობას ძალისძალად ჩამოყალიბებული კოლექტივი დაეპატრონა. არავისად ქცეული ეზო გაევრანდა, ქა გველ-ბაყაყით აივსო, ოდესაც მამის ხელით ნალოლიავები ვენახი სოფლის ნახირმა გადაჭამა, ფიცრული სახლიც [illegible] ხელმრუდმა ხალხმა და ბოლოს იმ დიდრონ კაკლების ჟამმაც დაჭკრა ასე ღრმად რომ ჩარჩენოდა კონსტანტინეს ხსოვნაში. [illegible] გასხიპეს, დამორეს და სადღაც წაიღეს.

მახსოვს, მრავალი ათეული წლის შემდგომ, როდესაც 70 წლის სამახსოვრო იუბილე კონსტანტინეს უკვე გადახდილი ჰქოლდა, როგორც მის უმცროს მეგობარს, აბაშელი ხელმძღვანელები მეწვიენენ და კოლხურ კოშკში დასადგურებულ დიდ მწერალთან ვაყოლა მთხოვეს, რათა პატარა მდინარის, ზანას ნაპირზე სახლმუზეუმის აშენების დასტური მიეღოთ.

ბატონმა კონსტანტინემ მოიწყინა, როგორც კი სტუმრების ვინაობა და მოსვლის მიზანი შეიტყო. ისინი ორნი იყვნენ და მიუხედავად თავიანთი ძალიან საძსახურეობოვი მდგომარეობისა, დიდებული მასპინძლის წინაშე საშინლად ღელავდნენ და აღარ იცოდნენ, ხელები სად წაეღოთ.

კონსტანტინემ ორივე ცივად მიიღო. არც სახლმუზეუმის აშენების იდეას გაუხარებია. კაკლები და ოწინარიანი ჭა გაიხსენა, რომლებიც მხოლოდ მის მეხსიერებაში განაგრძობდნენ არსებობას.

გარკვეული პასუხი ვერ მივიღეთ. აბაშელები ყურებჩამოყრილნი წამოვიდნენ, თუმცა ცოცხალი დიდი კონსტანტინეს ხილვით აღფრთოვანებული იყვნენ და გზაში ჩუმად გამიტყდნენ, სულ ერთია, ჩვენ მუზეუმს მაინც ავაშენებთ და წინა თაობების შიერ ჩადენილ ცოდვას გამოვისყიდითო.

მათ სიტყვა პატიოსნად აღასრულეს. ზუსტად იმავე ადგილას, სადაც კონსტანტინეს მამისეული სახლი იდგა, ახალი ბოკონებიანი სახლი დადგეს, მაგრამ იმის მცოდნე კი აღარავინ იყო, ჰგავდა თუ არა ახალი, სამუზეუმო სახლი ძველს, მამისეულს, რომლის ყოველ კუთხეში დიდი კონსტანტინეს გარდასული ბალღობა და სიყმაწვილე ილანდებოდა.

ილიასა და აკაკის შემდეგ, გალაკტიონთან ერთად, კონსტანტინე ალბათ პირველი მწერალი იყო, სიცოცხლეშივე რომ შეესწრო ერის მიერ აღიარებას და გაღმერთებას. მას მიწაზე მხოლოდ ფეხი ედგა, მთელი არსებით კი მარადისობას ეკუთვნოდა. ხანგრძლივი სიცოცხლე თავაუღებელ შრომაში გაატარა, მაგრამ დიდი მწერლისა და მამულიშვილის სახელი ადრევე დაიგდო.

კონსტანტინეს შემოქმედების სახით ქართულ ლიტერატურაში ახალი ევროპული მწერლობის სიომ დაქროლა, ოღონდ ეს სიო კი არა, ქარბორბალა იყო, რამაც ბევრი რამ ძველი და დრომოჭმული თავდაყირა დააყენა და მწერლობას ახალი გზა გაუკაფა. „დიონისოს ღიმილი", „ხოგაის მინდია", „გოეთეს ცხოვრების რომანი", მოთხრობები, „მთვარის მოტაცება" ენციკლოპედია მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ყოფისა, შემდეგ „დიდოსტატი" და „დავით აღმაშენებელი"...

კონსტანტინე დიდი ილიას ყაიდის კაცი იყო, მისებრ ედგა დარაჯად თავის ხალხს და ქვეყანას, მისებრ ფხიზლობდა და მისებური სიფიცხით არავის შეეძლო მუხთალი მტრის მოგერიება.

ერთი გენახათ ტრიბუნაზე აბრძანებული. ცეცხლს აფრქვევდა. მასთან დავა და კამათი ერთობ ძნელი საქმე იყო.

მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა, მე ახლო ვიცნობდი ბატონ კონსტანტინეს. მასთან ერთგული ძეგობრობა მაკავშირებდა და კვირა ისე არ გაივლიდა, ერთმანეთს არ შეეხმიანებოდით, ერთმანეთის ამბავი არ გვეკითხა.

უცნაური მოალერსება იცოდა. შე თათაროო, გეტყოდა, როცა რითიმე ასიამოვნებდი და გეფერებოდა.ერთხელ ამიხირდა, გინდა თუ არა, ბატონ კონსტანტინეს ნუ მეძახი, უბრალოდ კონსტანტინე დამიძახე. ძმები ვართ, აბა, რა საჭიროა ეს ოფიციალობაო. არა და, ზუსტად მამაჩემის ხნისა ბრძანდებოდა,30 წლით უფროსი იყო ჩემზე. უარი მოვახსენე. ბატონობით რომ არ მოგმართოთ და გაგიშინაურდეთ, ეგ თქვენ არაფერს დაგიშავებთ, მაგრამ მე დავზარალდები-მეთქი. ამაზე ბევრი იცინა. შე თათაროო, ეგ რა არგუმენტი წამოაყენეო, [illegible] ამის შემდეგ ამ საკითხზე სიტყვა [illegible]

[illegible]

ესწრო, რა 'დღე დაათია იმაეე სამშობლოს მისმა შვილმა, მის უბეში გაზრდილმა ბახალამ, დიდ მეცნიერად და მამულის უანგარო შემწედ რომ ამზადებდა.

პატარა მდინარის პირას დაბადებული დიდი მწერალი, დიდ მდინარეთა ნაპირებზე დაბადებულთ ტოლი რომ არ დაუდო, თავის ეზოში განისვენებს უსაყვარლესი მეუღლის მირანდას და ქალიშვილის თამარის გვერდით. შორს აღარ არის დრო, როცა მთელი საქართველო მოვა აქ მუხლის მოსადრეკად. მოვა, როგორც ქართული გენის აშაღლებისა და დაცემის სიმბოლოსთან; გულის ფიცარზე იმის დასაწერად, როგორ უნდა იცხოვროს და როგორ არ უნდა იცხოვროს ქართველმა კაცმა.

12 მაისი, 1993 წ.

სად ეგიჟებიან, შვიდლიანი, საქართველოს?

ამ საჭირბოროტო სადღეისო კითხვაზე, რომლის დასმა უახლოეს წლებში გადაუდებლად .საჭირო იყო, მაგრამ იმედი მაინც იმედობდა და გულის საბოლოოდ გატეხის ნებას არ გვაძლევდა. ამჟამად ერთადერთი პასუხის გაცემა შეიძლება: დანგრევისაკენ, დაშლისა და დაქუცმაცებისაკენ, ძმათამძვლეტ ომებისაკენ, რომელთაც ბოლო არასოდეს მოეღება, სანამ ორი ქართველი კიდევ დააბიჯებს დედამიწაზე და ერთმანეთისთვის ტყვიის სროლა შეუძლია.

საქართველოს საყრდენები ეცლება მაშინ, როდესაც საუკუნეობით ნანატრი თავისუფლება მოვიდა, როდესაც თავი ჩვენი ჩვენვე გვეყოფნის, როცა სხვები, გუშინ და გუშინწინ ჩვენს ბედში მყოფნი, ფრთებს იმაგრებენ და ხალხთა მსოფლიო ფერხულში ებმებიან.

შინა და გარე ექსტრემისტებისაგან შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩაბმული, მშიერ-მწყურვალი, უკიდურესად გაღატაკებული, ტრის სასაცილოდ ქცეული საქართველო, ოდესღაც ამაყი, კაცთმოყვარე, ღვთის მცნების ერთგულად მიმდევარი ქვეყანა საშინელი სისწრაფით უფსკრულისაკენ მიექანება. ის უდიდეს სულიერ და მატერიალურ კრიზისს განიცდის. სანახევროდ შეჩერებულია სამრეწველო საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი, პრივატიზაციის შუა გზაზე გაყინულა ქვეყნის მარჩენალი სოფლის მეურნეობა, ქვეყანას ქრონიკულად არ ყოფნის ენერგეტიკული რესურსები, თითქმის მთლიანად შეჩერებულია სხვადასხვა რეგიონთან და გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო მიმოსვლა.

საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებულმა საშინაო პოლიტიკამ, რომლის უძირო მორევშიაც იმთავითვე ყოველგვარი წინასწარი მომზადების, დამცავი ჯებირების აღმართვის გარეშე გადავეშვით, სამზეოზე ამოიყვანა აქამდე სადღაც მიმალული ათასი ჯურის ჭიაღუნა, რომელმაც ხელთ იგდო სასაქონლო მიმოქცევა და ფასების დადგენის შეუზღუდავი მონოპოლია მოიპოვა. სავაჭროთა შორის ჯანსაღი კონკურენციის უქონლობის პირობებში ამან ფასების კაფასტროფიული ზრდა გამოიწვია, რამაც შორს ჩამოიტოვა ხელფასის ოდენობა და მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გამოუვალ ჩიხში მოაქცია.

კანიბალიზმამდე ბევრი აღარაფერი დაგერჩენია და თუ საშველს ვერაფერს მივაგენით და ასე გაგრძელდა, დღეს თუ ხვალ ამასაც მოვესწრებით. ამის თავდებია მოსახლეობის ძირითადი ნაწილის უკიდურესი სიღატაკე, ფულის კურსის ფანტასტიკური დაცემა, ბავშვებისა და უმწეო მოხუცებულების გამოფიტვა და შიმშილით სიკვდილი. აქედან კანიბალიზმამდე, ადამიანის ხორცის ჭამამდე ერთი ნაბიჯია!

რამ მიგვიყვანა ამ ზომამდე? რას ეწირება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხის ბედ-იღბალი და მრავალ ჭირსა და ვაებაში გამოვლილი, ოდესღაც ყოველმხრივ ძლიერი და ჭირში მყოფ თანამოძმეთა ხელის გამმართველი ერი და ქვეყანა?

ეწირება მისი თითო-ოროლა გაზულუქებული შვილის ლაგამაწყვეტილ კარიერიზმს, საკუთარი სულიერი ძალებისა და ინტელექტუალური მონაცემების შეუფასებლობას, მისწრაფებას იოლი გზებით აურაც-

ხელი სიმდიდრის მოხვეჭისაკენ. ეწირება ხალხის სიბრძავეს და სიყრუეს, ოოძელსაც დასაშაულებრივ ინტერესთა თამაშში შავი და თეთრი, ქეშმარიტი და არაქეშმარიტი ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია და იმის მაგიერ, შეურიგებელი პროტესტით ბოროტების თესლის გაღვივებას წინ აღუდგეს, ბოლომდე გაუაზრებელ წვრილმან ვნებათღელვას აპყოლია და ეროვნულ მოძრაობაში არაერთხელ უკვე თავშერცხვენილ პირებს საზოგადოებრივ ასპარეზზე პარპაშის ნებას აძლევს!

მკაცრად ნათქვამია? ერთობ ღრმად შეეტოპე? მე თავადაც ვგრძნობ ამას, სხვა დროსა და ვითარებაში ეს იქნებ არც მექნა, მაგრამ ვისმე წინაშე უკან დახევას და თავის მოკატუნებას სულაც არ ვაპირებ!

მე მახსენდება 1989 წლის 9 აპრილი. მახსენდება ის საბედისწერო ღამე და უწმიდეს კათალიკოს ილიას გამოსვლა მიტინგზე ხოცვა-ჟლეტის დაწყებამდე სწორედ რამდენიმე წუთის წინ. მახსენდება მისი ლოცვა, მისი მამობრივი თხოვნა მიტინგის ათიათასობით მონაწილისადმი, ნუ წამოეგებოდნენ მტრის მიერ მუხანათურად დაგებულ ანკესს...

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ მტერი მარტოოდენ იმპერიულ ძალებში უნდა გვეგულისხმა. სიტყვით მოყვარე და საქმით მტერი, მტერი პირველზე უფრო ვერაგი და საშიში, მოქმედებდა მეორე მხარესაც, რომელსაც სამშობლოს სამსხვერპლოზე სუფთა გულით მოსულ ნამდვილ მამულიშვილთა სისხლი სჭირდებოდა, რათა იგი კვარცხლბეკად გამოეყენებინა და უსახელო გმირების გვამებზე ამაღლებულს ერთპიროვნული ხელისუფლება მიეღო.

მე არ გახლავართ ის უბირი კაცი, ვინც მხოლოდ ყურმოკრულად იცის, სად რა დევს და რას რა ეწოდება. მე მქონდა ბედნიერება, ზოგიერთი მათგანი, ვინც ზემოთ პერსონალურად ვიგულისხმე, მართლმსაჯულებისაგანაც კი გამომეხსნა, ვინაიდან გულწრფელად ვფიქრობდი,რომ ისინი თავიანთი დამონებული ერის მოსიყვარულენი და მოსარჩლენი იყვნენ, რომელთაც ცხოვრებაში ერთადერთი კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდათ, მტლედ დასდებოდნენ მტერმორეულ სამშობლოს თავისუფლებას, ყველაფერზე ძვირფასს, რაც კი შეიძლება ამ ქვეყანაზე ადამიანს გააჩნდეს!

ისინი სრულიად ახალგაზრდები იყვნენ, ჩემზე ბევრად უმცროსები, შვილებად შემეფერებოდნენ და ეს მახარებდა, მარწმუნებდა, რომ ეროვნული თავისუფლების სული არ მომკვდარა საქართველოში, რადგანაც იგი თაობიდან თაობაში გადაცის!

მოხდა 9 აპრილის ტრაგედია, ერთ-ერთი ულამაზესი ტრაგედია კაცობრიობის ისტორიაში, თუკი შეიძლება ტრაგედია ლამაზი იყოს. აკრიფეს უწყალოდ დაჩეხილთა გვამები, ამოიცხეს, მაგრამ მათ შორის ერთიც არავინ აღმოჩნდა, ვინც ათასობით თანატოლს სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა, ვინც ყველაზე მაღალ ტრიბუნაზე იდგა და ყველაზე ხმამაღლა გაჰყვიროდა!

ქართულად ამას გამცემლობა და ღალატი ჰქვია. არცერთ ლექსიკონში მას სხვა განმარტება არ მოეპოვება. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს. თუ აქამდე რატომღაც არ იცის, რომ მას დღემდე არ დაუსჯია თავისი ახალგაზრდობის გამყიდველი მოღალატენი, რომლებმაც იმ

ღამეს მოხერხებულად აიცდინეს მათთვის ალესილი ნიჩბები, ჩახოცილ გოგონებს ურცხვად გადაალაჯეს და საკუთარი მძორის გადასარჩენად უშიშარ ალაგებს მიამურეს. მათი მზაკვრულლი მიზანი უკვე მიღწეული იყო: იმპერიულმა ძალებმა პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინეს და უბრალოთა მოწამებრივი სისხლი დაღვარეს.

აქციის წამომწყებთ და სამშობლოს წინაშე პასუხისსმგებელთ ყოველივე იმისათვის, რაც სასახლის წინ მოხდა, მხოლოდ მომდევნო დღეებში მიაკვლიეს მიტინგის ადგილისაგან ძალზე შორს და მათი ნაწილი კიდევაც დააპატიმრეს. ყოვლის შემნდობი ქართველი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის თხოვნითა და თავდებობით ისინი დაუყოვნებლივ გათავისუფლეს და მათაც ისე განაგრძეს თავიანთი საქმიანობა, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს!

იქნებ არ ვამბობ მართალს? იქნებ ვცრუობ მავანისა და მავანის სახელის გასატეხად, რაც. დღეს ასე მიღებულია და დოკუმენტურ დასაბუთებასაც არავინ საჭიროებს? იქნებ გამოძიებამ სულ სხვა რამ დაადგინა?

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ვიგემეთ 28 ოქტომბრის არჩევნებით დამკვიდრებული ეროვნული თავისუფლება. საქართველოს საბჭოზიდენტო რესპუბლიკად გარდაქმნა, ე.წ. კორუმპირებული ინტელიგენციის საძარცვინო ბოძზე გაკვრა, მისი ოცდაათიოდე საუკეთესო წარმომადგენლის სიის გენერალურ პროკურატურისათვის გადაცემა შემდგომი ზომების მისაღებად, მწერალთა კავშირის შენობის დახერეტა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, სამოცდაათი მწერლისა და ლიტერატორის კანონგარეთ გამოცხადება, საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მოხვედრა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, შიმშილობის პირველი ნიშნები და ოდესღაც ერთიანი ეროვნული მოძრაობის დაპირისპირებულ მხარეებად შუაზე გახლეჩა, რაც 1991 წლის 2 სექტემბერს შოთა რუსთაველის ძეგლის პირდაპირ, კინოს სახლის წინ, ხელისუფლების სისხლიანი აქციით დაგვირგვინდა.

მოვესწარით არაკომპეტენტური მინისტრებით მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტაბას, კარვის ქალების შეკრას ცხოვრების ყველა სფეროში, უსირცხვილო კორუფციას თითქმის ყოველი თანამდებობის პირის მხრივ, მოვესწარით, რაც მთავარია, სატანის ზეიმს, პიროვნების, ოჯახის, ნათესავ-მეგობრობის, ერის, მთელი საზოგადოების რღვევას, შეურიგებელი სიძულვილის ვარდის გაფურჩქნვას იქ, სადაც ყოველ დროსა და ვითარებაში მხოლდ ძმობა და სიყვარული ყვაოდა.

დღეს საქართველო სიძულვილის კლასიკური ქვეყანაა. აი, რა მოვიმკეთ, რა მოვიპოვეთ! აი, რა გვჭირს იმათი გამოისობით, ვინც თანამებრძოლი მშობელი ერი მომაკვდინებელი განსაცდელის ჟამს მიატოვა და წარუმატებელი ექსპერიმენტის შემდეგ ახალი ექსპერიმენტისათვის მზადების იმედით ბუჩქებში მიიმალ- მოიმალა!

შევრიგდებით კი ოდესმე? ანდა გვაქვს შესარიგებელი პირი? მეტისმეტად ღრმა უფსკრულები გაითხარა. ოდესღაც ღვთისმოსავი და [illegible] ამაღლებული ქართველი ერი განუსაზღვრელი მანძილით [illegible] ეს მანძილი კი არ იკლებს, დღითიდღე იზრდება.

პერმანენტული უგუნური გაფიცვებით, სრულიად უმისაძართო და უმიზნო ეროვნული დაუმორჩილებლობით, ეროვნული ნაწარმის გამოშვების მკვეთრი შემცირებით, გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალების წინდაუხედავი გადაკეტვით იმ სამახსოვრო დეკემბერ-იანვარში, ასობით თავდადებული მამულიშვილი ახალგაზრდის სიცოცხლე რომ შეიწირა, საქართველო უკვე გაჩანაგებული იყო. გასაგები მიზეზის გამო გარედან აღარაფერი შემოდიოდა. ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს შექმნილი მარაგი, როგორც საკვები პროდუქტების, ენერგეტიკის, ისე სამშენებლო მასალებისა და სამრეწველო ნედლეულის მხრივ როდემდე გვეყოფოდა? განა გასაკვირი არ იყო, რამდენ ხანსაც გვეყო?

ყველა სახის ნედლეულის, სურსათის, სამშენებლო მასალებისა და ენერგეტიკული რესურსების უმთავრესმა მომწოდებელმა რუსეთმა ზურგი შემოგვაქცია. რუსეთის მაგალითს მიბაძეს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა უმრავლესობამ, რომლებთანაც საეკონომიკური კავშირების შენარჩუნება არავის უცდია.

არსებითად შეწყდა სწავლა სამუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. სწავლაზე გულაყრილი და ლიანდაგიდან მთლიანად ამოვარდნილი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის გაცილებით ადვილი აღმოჩნდა ქუჩა-ქუჩა სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლოს ღრიალი, ვიდრე რთულ სამომავლო, სახვალიო პრობლემებზე მუშაობა! ამაზე შორს არც ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის „ზროვნება წასულა. ნამდვილ საქმეს, ძველი, ნაცადი მასალით ახალი ქვეყნის აშენებას, როგორც უკრაინასა და ყაზახეთში იქცეოდნენ, იმ უკრაინაში, „ევროპის უდიდესი ქვეყანა“ რომ იყო, ჩვენ, ქართველმა მამულიშვილებმა ერთობ საეკვო სწავლა-განათლებისა და კიდევ უფრო საეკვო ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე პირტიტველა პარტიული ლიდერების აყოლა ვარჩიეთ, თავი ქუდში დავიგულეთ და მშობელი ქვეყანა, მრავალჭირნახული ხალხი, ყველა სასიცოცხლო რესურსის სრულ ამოწურვამდე მივიყვანეთ.

სამშობლოს ბედით შეშფოთებულმა ადამიანებმა, რომლებიც, საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ კიდევ მოიპოვებიან, სწორედ ამ დროს მოიწვიეს მოსკოვში მყოფი ედუარდ შევარდნაძე. ის რომ საქართველოს წვრილფეხა ბელადების ტოლი და სწორი სახელმწიფო მოღვაწე ყოფილიყო და საკუთარ ტყავზედაც ეზრუნა, როგორც ისინი ზრუნავდნენ და წუმპედან ყოველთვის მშრალი ამოდიოდნენ, კეთილმოსურნე თანამემამულეთა წინადადებას არამც და არამც არ მიიღებდა. იტყოდა, დაგვიანებულია, ძმებო, ყველამ დავიგვიანეთ, საქართველოს საქმე უკვე დაღუპულია, მას აწ ვერა ძალა ველარ გადაარჩენს. და თუმცა მე ეს ძალიანა მწყინს, ვინაიდან იგი ჩემი სამშობლოა, მაგრამ მე სრულებითაც არა მსურს, ჩემი შეურცხვენელი სახელი, სახელი [illegible] სათრევად ვავახდეთ.

[illegible]

იქნებ აჯობებდა, ეს პირობა თუ პირობები მაინც წამოეყენებინა. მაგრამ ვინ მისცემდა იმის უტყუარ გარანტიას, რომ შესაბამისი პირები, ვისი ვინაობაც ყველამ მშვენივრად ვიცით, ამ პირობის შეუფერხებელ აღსრულებას წინ არ აღუდგებოდნენ. ეს კიდევ უფრო დაძაბავდა უამისოდაც უაღრესად დაძაბულ კრიტიკულ სიტუაციას, რამაც შევარდნაძე იძულებული გახადა, ცეცხლმოკიდებულ სამშობლოში დაბრუნებულიყო და მისი პირველი მეხანძრეობა ეკისრა!

ადრეც არა ერთჯერ ვამბობდი, ვწერდი, დღესაც ვიმეორებ და ვითხოვ, ჩემმა თანამოაზრეებმა ჩემი პირით გაიმეორონ მომავალშიაც, როდესაც ამ ქვეყნად აღარ ვიქნები: არსებულ ისტორიულ ვითარებაში ედუარდ შევარდნაძე იყო და არის ერთადერთი პიროვნება დედამიწის ზურგზე, ვისაც ხელეწიფება ფეხზე დააყენოს უკვე უფსკრულში გადაჩეხილი საქართველო!

დღეს, 1993 წლის 14 თებერვალს, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, როდესაც აფხაზეთში სისხლი ზღვად იღვრება, სოხუმის ბედი ბეწვზე ჰკიდია და ქვას ამოფარებული ოსიც ახალი ნახტომისათვის ემზადება, კიდევ არის ამის შესაძლებლობა!

ღმერთმა საბოლოოდ არ გასწირა მრავალგზის ცოდვილი საქართველო, რომელიც კარგა ხანია, ცინიზმის, კაცთმოძულეობის, სიცრუისა და გაუტანლობის ასპარეზად არის გადაქცეული. კრიტიკულ ჟამს მას აღმოაჩნდა ღვიძლი შვილი, ვისაც მომაკვდავის გამოცოცხლება და ამ ქვეყნად მობრუნება შეუძლია!

ოღონდ როდესაც მე ედუარდ შევარდნაძის პიროვნების განსაკუთრებული მისიის დასახასიათებლად ზემოთ მოყვანილ სიტყვებს ვწერდი, იქვე დავძენდი: ნუ დაგვავიწყდება, რომ ის ღმერთი, მესია არ არის, ჩვეულებრივი ადამიანის შვილია, ცით მოვლენილი სასწაულის მოხდენა არ ძალუძს, ვერაფერსაც ვერ გახდება, ერის ჯანსაღი ძალების ყოველწუთიერი, ყოველწამიერი მხარდაჭერა და დახმარება თუ არ ექნებამეთქი.

რა მალაპარაკებს ყოველივე ამას?

ნუთუ სულიერად ისე დავეცით, ისე დავკნინდით და გავიხრწენით, არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რომ დროული კაცი, თუნდაც ახალგაზრდა, ან შუა ხნისა, მართალს ამბობდეს, იმას გვიზიარებდეს, რასაც ნამდვილად ფიქრობს და თავისი ქვეყნისათვის უმჯობესად მიაჩნია, რომ შეიძლება ის გულწრფელი იყოს და მაინც და მაინც არ თვალთმაქცობდეს და თაღლითობდეს?

ნუთუ ვინმეს მართლა ჰგონია, რომ ედუარდ შევარდნაძე მე პირადად რაღაცაში მჭირდება და ჩემი კატეგორიული დასკვნებიც სწორედ აქედან გამომდინარეობს? ნუთუ არ შეიძლება, დასკვნის გასაკეთებლად რაიმე სხვა საფუძველი არსებობდეს, გარდა პირადი კეთილდღეობისა? ნუთუ ისე დაბნელდა ქვეყანა, რომ არავის აღარაფერი ახსოვს, არც წიგნში ან გაზეთში წაუკითხავს, არც სხვისგან გაუგონია და ვინმე ურწმუნო თომას დასარწმუნებლად ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ?

წესიერ ქვეყანაში და წესიერ საზოგადოებაში პიროვნების, მით უფრო საზოგადო მოღვაწის, მიმართ ასეთი ბილწი ეჭვი ხომ არავის დაებადება, მაგრამ ჩვენ საქართველოში ყველაფერს შეგვაჩვევს. ერთი-

რამ მაინც უდავო მგონია: ყველაფერი შეიძლება დააბრალო ამ სტრიქონების ავტორს, ყოველგვარი ცილი დასწამო, მაგრამ კომუნიზმისა და მისი იდეალების სიყვარულს, მისთვის თავგამოდებას ვერ დააბრალებენ.. წლების მანძილზე ადრე ტრიბუნებზე თქმული ბევრი მასალა გამოქვეყნდა, რომელთაგანაც ერთიც კი საკმარისი იყო მისი და მწერალთა თუნდაც მთელი თაობის პირისაგან მიწისა აღსაგველად!

ასე ვცხოვრობდით და ასე ვიბრძოდით, ასე ვინარჩუნებდით სიცოცხლეს, რომელიც ერთხელ გვეძლევა, და მუშაობის შესაძლებლობას. ვმუშაობდით და ვიბრძოდით სხვადასხვაგვარად, ვის როგორც შეგვეძლო და ვისაც რა დაგვანათლა მაღალმა ღმერთმა!

ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ნახევარი საქართველო თუ მთლიანად არა, დღეს სანეხველაზე გადასაგდები იქნებოდა. კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობის ხანაში ყოველივე კეთილი და არაკეთილი კომუნისტური მსოფლმხედველობის ორბიტაში იყო მოქცეული. მას, როგორც სიკვდილს, ვერსად გაექცეოდი.

ყველა ნიჭიერი კაცი, მიუხედავად გაბატონებული იდეოლოგიის უმკაცრესი ხუნდებისა, მაინც ახერხებდა ერისა და ღვთის სარგო საქმის გაკეთებას, თუმცა ეს მეტად დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული.

ეს რომ ასე არ ყოფილიყო,არ გვეყოლებოდა არც დიდი ივანე ჯავახიშვილი, არც მთელი პლეადა ოციან-ოცდაათიანი წლების მეცნიერებისა, რომლებმაც 1918 წელს ქართული უნივერსიტეტი დააარსეს, არ გვეყოლებოდა არც დიდი ქართული მწერლობა გალაკტიონ ტაბიძის, კოსტანტინე გამსახურდიას, პოლიკარპე კაკაბაძის და სხვათა და სხვათა სახით, არც კოტე მარჯანიშვილი, არც სანდრო ახმეტელი, არც ზაქარია ფალიაშვილი, არც ლადო გუდიაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა, უშანგი ჩხეიძე, ვანო სარაჯიშვილი...

ნუ დაგვავიწყდება, რომ ბევრი მათგანი კომუნისტური პარტიის წევრი იყო, მანდატს ატარებდა და ყოველთვიურად საწევრო ანარიცხებს იხდიდა. მაგრამ არ გემართებს იმის დაჯერება, რომ ისინი მართლა კომუნისტები იყვნენ და ლენინ-სტალინის იდეებს იზიარებდნენ. ისინი მხოლოდ თავს იფარავდნენ ამ წყეული ბილეთით, რათა სამშობლოსა და მშობელი ხალხის სამსახური შესძლებოდათ. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბევრ მათგანს ამანაც არ უშველა.

მე ვიცნობდი ერთ რაიკომის მდივანს, რომელიც ბატონ კანდიდ ჩარკვიანის ცეკას მდივნობაში დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ, რაღა ერთ-ერთ, პირდაპირ ვიტყვი, საჩხერის რაიონს ხელმძღვანელობდა და მას სახელად ვარლამი ერქვა. გვარად ბერაძე იყო. თავს არ შეგაწყენთ აღწერით, რას და როგორ აკეთებდა თავის საგამგებლო რაიონში, მხოლოდ იმას დავძენ, რომ დღესაც, სიკვდილიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ვარლამის მოსაგონარ სადღერძელოს სვამენ საჩხერელი გლეხები, მის ყოველ სიტყვასა და ნაბიჯს კეთილ ღიმილით იგონებენ და იმ ქვეყანაში შენდობასა და ლოცვა- კურთხევას უგზავნიან.

ასე რომ, მოვეშვათ ხელების ქნევას, გულზე მუშტის ბოგაბრუგს და თავის იმად წარმოდგენას, რაც არა ვართ! ეს რომ თავიდანვე ეროვნული მოძრაობის ლეგალიზაციის პირველ დღეებშივე მომხდარი-

ყო, მოძრაობის სადავეები სწორედ იმათ არ ეგდოთ ხელთ, ვისი წინამძღოლობაც სასიკეთოს ვერაფერს მოიტანდა. მაშინ გარდამავალი პერიოდი, ასე ტრაგიკულად რომ განვიცადეთ და მას ერის სულიერი ერთობა გადავაყოლეთ, სწორედ ისე წარიმართებოდა, როგორც უკრაინასა, ბელორუსიასა, ყაზახეთსა და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში წარიმართა და დღეს საქართველო ძმობის შუქით გაბრწყინებული მდიდარი და აყვავებული ქვეყანა იქნებოდა.

ზოგიერთებს, თავიანთ პარტიულ ჯიხურებში გამოკეტილთ, საკმაოდ არ მიაჩნიათ, რაც სამამულე რქებდალეწილ სამშობლოს ამ ორსამ წელიწადში დამართეს. დღეს ახალ-ახალი არევ-დარევისათვის ემზადებიან, „ქალაქელი ბიჭები" თავს იყრიან, ბენზინის გასამართ სადგურებში გავლენის სფეროებს ინაწილებენ და ამას სჩადიან იმით დაიმედებულნი, რომ ხალხი, მასა, ახლაც სიყრუეს და სიბრმავეს გამოიჩენს და თან დაფსა და ზურნას აჰყვება!

რა იცი, იქნებ აჰყვეს კიდეც. დღეს კაცს რაღა უნდა გაგიკვირდეს. ერთნი გაიძახიან, მთავრობა უნდა გადადგეს, რადგანაც უკანონოაო. შევარდნაძემ იმედი ვერ გაამართლა და მანაც სხვას უნდა დაუთმოს სახელმწიფო საქმე. რას არ გაიგონებ თვით პარლამენტის ტრიბუნიდანაც კი!

საით უბიძგებთ, შვილებო, საქართველოს? ჩემი მამობრივი და ძმური რჩევა იქნება: ცეცხლს ნუ ეთამაშებით! საქართველოს თქვენ არავინ დაგაღუპინებთ. ჯერ ბედაურები მოლიანად არ დახოცილან!

რით ვერ შევადგინეთ საქართველოს კანონიერი მთავრობა? როდემდე უნდა ვიძახოთ და ვარწმუნოთ გაძვლელ- გამომვლელი, რომ ის უკანონოა? მთავრობა ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა არ დანიშნა? ამის ზევით კიდევ რა კანონიერება არსებობს, თუ ღმერთი გწამთ? სახელმწიფოს მეთაური, რომელიც პარლამენტმა საგანგებო უფლებებით აღჭურვა, ამომრჩეველთა 96 პროცენტმა არ აირჩია? კანონი ბოლოს და ბოლოს მარტო იმან იცის, ვინც მის შესახებ ყველაზე ბევრს ლაპარაკობს? ისე ხომ არ ხდება, როგორც ეს ერთ ქართულ ანდაზაშია, მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო?

ზედმეტ ლათაიებს და სიდუხჭირით გულშეღონებული ხალხის სათავეში მოქცევის სურვილს დროა გამოვეთხოვოთ, სანამ ყველა სახელი და გვარი თავის ადგილზე არ დასმულა და თუ მაინც არ მოგვიშლია, სადაც საჭიროა, ჯანმრთელობის ცნობა, სულიერი სრულფასოვნების დამადასტურებელი დოკუმენტი წარვადგინოთ და ერის სათავეში ჩადგომა შერე მოვითხოვოთ!

1993 წ.

დედა, და, მეუღლე!..

აი, სამი წმინდათა-წმინდა, რომლის წინაშე მუდამ მუხლს იყრიდა ქართველი კაცი და რაზედაც მისი პიროვნული თავისთავადობა, ცხოვრების ფილოსოფია და გარემომცველ სამყაროსადმი დამოკიდებული იყო დაფუძნებული.

ერის ზნეობას ბალავრად დედის, დის, მეუღლის შეუბღალავი ნამუსი, დედობის, და-ძმობის, უღლის ერთგულად გამწევი თანამეცხედრის მადლი ედო.

ეს ტრადიცია ქრისტეს მოძღვრებიდან მომდინარეობდა, დედის მუცლიდანვე მოსდევდა ქაროველ კაცს და მოწიფულობაში მის ერთ უმთავრეს მორალურ კრედოდ გადაიქცეოდა.

საქართველოს, მისი მკვიდრი ქართველი ერის გადაგვარება და დამხობა მხოლოდ ამ ზნეობრივი საძირკველის მოშლას შეეძლო. ეს იცოდა მტერმა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ლამობდა, ერის ზნეობისათვის ძირი გამოითხარა, ლამობდა და ალაგ-ალაგ, ხანგაძოშვებით, ამას კიდევაც ახერხებდა. ახერხებდა მაშინ, როცა ძალა აღმართს ხნავდა, ათის წინააღმდეგ ხმალდახმალ მეომარ ქართველ კაცს მტრის გამკლავების ღონე აღარ შესწევდა და თავის უკანასკნელ ციხე-სიმაგრესთან – დედის, დის, მეუღლის ნამუსთან ერთად ეცემოდა.

ამაზე რომ ვფიქრობ, უნებლიეთ მაგონდება კახბატონი თეიმურაზი, ერთ-ერთი იმ ქართველ მეფეთაგანი, რომელსაც, შეიძლება ითქვას, თანამოძმეთაგან ყველაზე უფრო ტრაგიკული ბედი ერგო. მის ერთგულებაში დაეჭვებულმა თუ შარის მაძიებელმა შაჰ-აბასმა ძძეელად მეფეს შვილი მოსთხოვა და რადგანაც ბალღი, ბატონიშვილი ალექსანდრე, მცირე-წლოვანი იყო, უბედურმა მამამ პატარას ბებია, დედოფალი ქეთევანი გააყოლა.

აღრე დაქვრივებული ქეთევანი, მეფის დედა და პატარა ბატონიშვილის ბებია, ჯერაც თვალისმომჭრელი მეფური სილამაზით შემკული მანდილოსანი ბრძანდებოდა. თეიმურაზი, ქრისტიანულ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი კაცი, დარწმუნებული იყო, რომ თვით გარყვნილი, ზნედაცემული შაჰ-აბასიც კი მის დედობას, ყველაზე უზენაეს წოდებას, რომელიც შეიძლება ადამიანს ამ ქვეყნად გააჩნდეს, თავისი სიბილწის გამოხატვას ვერ გაუბედავდა და მის წინაშე ქედს მოიდრეკდა.

არ გამართლდა მეფის მოლოდინი. ქეთევანის საარაკო სილამაზით მოხიბლულმა შაჰმა არამცთუ ეს გაბედა, ქეთევანს უწმაწური ქათინაურით მიმართა და როდესაც სიტყვა თავაზიანად ბანზე აუგდეს, შინ დაიმედებულად გამოსტუმრებულს გზაში თავისი კაცები დაახვედრა, უპატიურად შეიპყრო და ციხილბაშთა ბადრაგის თანხლებით ისპაჰანს გაგზავნა.

განჯაში დაბანაკებულმა ყაენმა, სანამ კახეთს ცეცხლითა და მახვილით შემოესეოდა, მეფეს ახლა ცოლი, თავისი ცოლისდა, მშვენიერი ხორეშანი მოსთხოვა.

განა არ იცოდა ვერაგმა შაჰმა: ამაზე უფრო ქართველი კაცის დამცირება, მისი კაცობის ფეხქვეშ გათელვა შეუძლებელი იყო! მას

ჰარამხანაში ჰყავდა თეიმურაზის და ელენე, ქეთევან დეთოფალს სარეცელს თავაზობდა და რადგანაც ეს სურვილი ვერ შეისრულა, ახლა დედოფალ ხორეშანს წაპოტინა!

თეიმურაზს რომ შაჰის ეს კაპრიზი შეესრულებინა, ვინ იცის, რა მოხდებოდა, როგორ წარიმართებოდა ისტორია. იქნებ გადარჩებოდა კიდეც კახეთი აკლებას, ათი ათასობით ვაჟკაცი ბრძოლის ველზე სიკვდილს, აქაური ნასოფლარები ელის მეჯოგე ტომების ჩამოსახლებას, ვინ იცის!.. ვინ იცის, არც მაზანდერანი, ფერია და ფერეიდანი აევსოთ სამშობლოდან სამარადისოდ აყრილი ქართველებით!..

გამოდის, რომ იმდროინდელი კახეთი და მასთან ერთად ქართლიც თეიმურაზის დედის, ქეთევანისა და მეუღლის, კახეთის ახალგაზრდა დედოფალ ხორეშანის სამუსის შეუბღალობას შეეწირა!

[illegible] ია არ კიცხავს თეიმურაზს ამის გამო. ერთი საყვედურიც არსად გაისმის. არც თანამედროვენი უჩივიან. თეიმურაზი ქართველი კაცი იყო და ისტორიული ტრადიცია, მის სისხლსა და ხორცში გამჯდარი ადათი სხვაგვარად მოქცევის უფლებას არ აძლევდა. საქართველოს წარსული, ახლო თუ შორეული, საესეა მსგავსი მოვლენებით, რომელიც ამ ერის შვილთათვის საყოველთაო იყო და არც ერთი წოდების პრივილეგიას არ წარმოადგენდა.

დედის, დისა და ცოლისადმი დამოკიდებულებაში წოდებრივი განსხვავება არ არსებობდა. აქ მეფე და ყმა თანასწორნი იყვნენ და ეს არც არავის უკვირდა!

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო!..“ შეჰღაღადა პოეტმა ცას და ამით თავისი ყველაზე უფრო წმიდა, სანუკვარი გრძნობები გამოხატა.

მე მინდა, ეს სტრიქონები ყოველი ასაკის ქართველმა ქალმა წაიკითხოს. განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც სარფის საბაჟოს გაელით მეზობელ თურქეთში სავაჭროდ წასვლა განუზრახავთ.

წერილი ძალზე მაღალ ნოტაზე დავიწყე. ახლა მიჭირს, მიჭირს კი არა, აღარ ძალმიძს დაბლა დავეშვა და სიბინძურეში ხელი ავურიო.

განა ძნელია წარმოსადგენად, როგორ ენგრევათ თავზე ცარგვალი ისტორიის უკუღმართობით სამშობლოს ფარგლებს მიღმა დარჩენილ ქართველებს, როდესაც მემლექეთიდან ჩამოსული ქართველი დედის, დისა და მეუღლის ზნეობრივ დამდაბლებას უყურებენ? სად არის აქ ტრაგიკული აუცილებლობა?! ეს ხომ ნიშანია ერის დაცემისა, დეგრადაციისა. მისი ზნეობრივი პრინციპების მოშლისა? მაშ, რაღაზე ვდგევართ? იქნებ სულმდაბლობაც „უკანონო ხელისუფლებას“ დავაბრალოთ და პროტესტის ნიშნათ ასიათასიანი მიტინგი გავმართოთ, ანდა რუსეთის დასამშვევად სამტრედიაში მატარებლები გავაჩეროთ?

„ჰოი, დედანო!..“ – დღეს ეს ამაღლებული სიტყვები სულ სხვა ელერადობას იძენს. საყვედურად ჟაისმის და გულზე ლახვრად ხვდება იმას, ვისაც მტერმორეული სამშობლოს ბედზე, მის აწმყოსა და მომავალზე ერთხელ მაინც უფიქრია და ცალკეული ხეების უკან ტყე დაუნახავს!

1993 წ.

სიძულვილს გაუხლეჩია და რამდენიმე ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად დაუნაწევრებია ჯერ კიდევ გუშინ ერთიანი, ერის მაშვრალ მამათა დაუღალავი მეცადინეობით თავმოყრილი, ერთ მძლავრ მუშტად შეკრული საქართველო. უაზრო, აუხსნელი და ლოგიკურ კანონზომიერებას მოკლებული სიძულვილი ჩამდგარა ძმასა და ძმას შორის, ცოლსა და ქმარს შორის, მამასა და შვილს შორის. დაუძინებელ მტრებად ქცეულან და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებიან ისინი, რომელთა გულებს შორის ურთიერთსიყვარულისა და თანადგომის ხიდი იყო გადებული და ამ ხიდის დანგრევასა და იავარქმნას ვერავინ ვერასოდეს წარმოიდგენდა. შეგინებულია და ფეხქვეშ უდიერად გათელილია ყოველივე წმინდა და სულის ამამაღლებელი, რაც კი ერს გაჰნდა, ლაფში ამოსვრილია მისი ღირსება, ამაყი და თავმოყვარე ქართველი კაცი საუკუნეების მანძილზე საკუთარი სისხლის ფასად რომ იცავდა.

და ეს ჩადენილია არა მომხვდური მტრის მიერ, არასდროს რომ არ გვაკლდა, არამედ იმავე ერის შვილების, ქართველების ხელით. ჩვენივე ხელით.

პირდაღებული და გაოცებული შემოგვყურებს კულტურული მსოფლიო. ნუთუ ეს ის ხალხი და ქვეყანაა, ახალი ერის გარიჟრაჟზე კაცთა შორის სიყვარულის დამამკვიდრებელი რელიგია რომ აღიარა და საკაცობრიო სულიერ საგანძურში თავისი წვლილი შეიტანა, ნუთუ ეს ის ხალხი და ქვეყანაა, ათასწლეულების მანძილზე მარტოდმარტო რომ ერკინებოდა აღმოსავლეთის უნაპირო ტრამალებიდან დაძრულ ველურ ურდოებს და თავისი მოწამებრივი სისხლით საკაცობრიო ღირებულებებს იცავდა, ნუთუ ამ ხალხმა ააშენა ოშკი, ბანა, გელათი და სვეტიცხოველი, მან დაწერა ვეფხისტყაოსანი და სათავე დაუდო კაცთმოყვარეობისა და ადამიანებს შორის ურთიერთგაგების მსოფლიო ზეიმს? ნუთუ ესაა ის ერი და ქვეყანა, ვისი მეფეებიც სიბრძნითა და სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით გამოირჩეოდნენ, სხვისი ჭირი თავის ჭირად მიაჩნდათ და მუხთალი მტრის მიერ საცხოვრისიდან აყრილ ყოველ გაჭირვებულს კარს მოყვრულად უღებდა, თავის მიწაზე ასახლებდა, ლუკმას უყოფდა და შემდეგ თვით ხდებოდა თავისი გულმოწყალების მსხვერპლი?!

დღეს სხვა დრო წამოგვეწია. ერის უძღები შვილები, შეიარაღებულ დაჯგუფებათა ფორმაში ჩაცმულნი თუ უფორმონი, რომელთა საერთო რიცხვი ასობითა და ათასობით განისაზღვრება, თვით ანგრევენ, იტაცებენ და ხელის ჰუჰკუზე გადასაცვლელად იმეტებენ ყოველივეს, რაც მაშვრალ, ღვთის მორწმუნე მამა-პაპას პატიოსანი შრომით მოუპოვებია, იმ შრომითა და რუდუნებით. დღეს რომ სამარცხვინო გამხდარა და რჩეულთათვის სათაკილოდ ითვლება.

საქართველოს ყველა ისტორიული კუთხე და რაიონი ერთმანეთს ეჯიბრება სულმდაბლობასა და დაუნდობლობაში, ქურდ-ბაცაცობაში, ყაჩაღურ თავდასხმებში, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების გატაცებაში, ჩასაფრებაში, განზრახ მკვლელობაში, მცირეწლოვანთა გაუ-

პატიურებაში. აღარ დარჩა სახლი გაუძარცვავი, ბინა გაუტეხავი. მანქანა გაუტაცებელი...

სამშობლოს ერთადერთი კუთხე, მეორედმოსვლაში, სისხლის წვიმების ქამს მშვიდობიანობას დღემდე რომ ინარჩუნებს და მომავალშიც ამასვე გვპირდება, აჭარაა, ყოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის მშობლიური, მრავალ ჭირგამოვლილი საყვარელი აჭარა.

დღეს ეს გარემოება მითქმა-მოთქმისა და გაოცების საგნად ქცეულა. მთელი საქართველო შინა და გარე ომშია გახვეული, მხოლოდ ამ ერთადერთ რეგიონს საქართველოისა არ შეეხებია კაცის კვლისა და ომის მსახვრალი ხელი. რა ხდება ბოლოს და ბოლოს? არის თუ არა აჭარა საქართველო? თვლიან თუ არა აჭარლები თავს ქართველებად? აწუხებთ თუ არა ის, რაც დანარჩენ ქართველებს. ორას პარტიად რომ დანაწევრებულან და მტრის გასახარად და მოყვრის გულის დამწველად ერთმანეთს დარევიან?

ამ საჭირბოროტო კითხვამ, აჭარის ფარგლებს გარეთ ყოველ მეორე კაცს პირზე რომ აკერია, თავი იჩინა თვით აჭარაშიაც. აქაც აღმოჩნდნენ ადამიანები, მოღვაწენი, რომლებმაც ჯერ ერთმანეთს ჰკითხეს, ხოლო შემდეგ ტრიბუნაზე გადმოდგნენ და იმავე კითხვით ერს მიმართეს: რად უნდა სუფევდეს მშვიდობა, ურთიერთდანდობა, მოქალაქეობრივი თავშეკავება, სახელმწიფო და პირადი ქონების ხელშეუხებლობა. საერთოდ საზოგადოებრივი წესრიგი აჭარაში, როდესაც აფხაზეთში ომია და მთელ საქართველოს სატანა .აზანზარებს?

არეულობისა და დესტაბილიზაციის მოსურნენი ერთ ჯგუფად გაერთიანდნენ. რამდენიმე ათეული თანამოაზრე გვერდში ამოიყენეს, როგორც პარტია, სათანადო რეგისტრაციაში გატარდნენ და გენერალური მიზნის მისაღწევად შესაფერისი ორიენტირიც ამოირჩიეს. მათ, ეტყობა, თავიდანვე გაითვალისწინეს. რომ მარქსისტული დებულება „გმირებს ქმნის ისტორია" არასწორად ასახავს სინამდვილეს, რადგან ისტორიას თვით გმირები ქმნიან და არა პირიქით. როგორც მარქსსა და პლეხანოვს ეგონათ და იერიში პირდაპირ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძეზე მიიტანეს.

კაცმა რომ თქვას, შეტევის მიმართულების არჩევაში მაინც და მაინც არ შემცდარან. ასლან აბაშიძე, აჭარის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი. გახლდათ სწორედ ის პიროვნება, ვინც აჭარაში მიმდინარე ამბებს თავკაცობდა და დესტაბილიზაციის მოსურნეთ უპირველეს ყოვლისა ვინ უნდა ჩამოეცილებინათ გზიდან თუ არა ის?!

აბაშიძეთა გვარი ისტორიული გვარია და მისი წარმომადგენლები არასოდეს არ გამოირჩეოდნენ ხასიათის სისუსტითა და გაუბედავობით. მათი აჭარული შტოს წარმომადგენელი ასლანიც არ აღმოჩნდა ის, არეულობისა და მშვიდობიანი აჭარის თავდაყირა დაყენების მოსურნეთ რომ ეგონათ. მან ბრეკალი გამოჰყო და ყველას აგრძნობინა, კანონის მთელ სიმკაცრეს მივმართავ იმათ მიმართ, ვინც ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დესტაბილიზაციის იმპორტს მოინდომებს და ამის მისაღწევად თუნდ ერთ ნაბიჯს გადასდგამსო.

მაშინ შეფიცულმა მეამბოხეებმა ხერხს მიმართეს: კერიიდან ნაკეერცხლების გამოყრა სხვისი ხელით მოიწადინეს. რისთვისაც საქარ-

თველოს სხვა რეგიონიდან ავტომატური იარაღით კბილებამდე შეიარაღებული პირები მოიწვიეს. არ ეძინა არც ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამსახურს. სარწმუნო წყაროებიდან მისთვის ცნობილი გახდა, ავტომატური იარაღით შეიარაღებული პირები აჭარას რა მიზნით ეწვივნენ. მიაკვლიეს მათ ადგილსამყოფელს, უკლებლივ ყველა დააკავეს, იარაღი და საბრძოლო მასალები ჩამოართვეს, ბათუმიდან ხელცარიელი გამოუშვეს და თანაც დაარიგეს, თუ აჭარაში სტუმრად ჩამოსვლას კიდევ მოიწადინებთ, კეთილი ინებეთ და უიარაღოდ ჩამობრძანდითო.

მდგომარეობა დაიძაბა. შეფიცული მეამბოხეები ხედავდნენ, რომ აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელი თანდათან ძალას იკრებდა. მისი თავიდან მოშორება გადაუდებელ საქმედ იქცა.

დაიყარა ხმები, რომ აჭარა ანტიქართული საქმეების ბუდეა, რომ ამ საძრახის საქმეებს სათავეში უდგას არა სხვა ვინმე, არამედ თვით აჭარის აღორძინებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი მემედ აბაშიძის შვილიშვილი ასლან აბაშიძე, რომ ის ამ მაღალ თანამდებობაზე თვით ავადსახსენებელმა პრეზიდენტმა გამსახურდიამ გამოამწესა, რომ ის ცეცხლითა და მახვილით სდევნის ქრისტიანულ სარწმუნოებას, ბათუმი და მისი შემოგარენი ჯამეებით აავსო, ააღორძინა ისლამური ფუნდამენტალიზმი, რომ აჭარაში ყოველ ნაბიჯზე შეხვდები თურქ რეზიდენტებს, რომლებიც ასლან აბაშიძესთან დაძვრებიან და ბნელ საქმეებს აკვარახვინებენ, რომ აჭარის პოლიტიკური ხელმძღვანელი აშკარად, გამომწვეევად პატიჟობს ბათუმის რუსული გარნიზონის და სასაზღვრო ჯარების გენერლებს და მათთან მეგობრულ ურთიერთობას აყალიბებს, რაც თავისთავად გულისხმობს სეპარატისტულ კავშირს რუსეთის იმპერიულ წრეებთან და სხ. და ა.შ.

ყიამყრალობამ თავისი საჯაჯი საქმე გააკეთა. შეშფოთდა მთელი საქართველო, დიდი და პატარა, თუმცა ის მაინც აუხსნელი რჩებოდა, რად სუფევდა სამოქალაქო მშვიდობა აჭარაში, რად არ კლავდა ძმა ძმას, რით და როგორ ინარჩუნებდნენ დანარჩენ საქართველოსათვის ესოდენ სანატრელ საზოგადოებრივ წესრიგს.

შარშან, რომ გამოიზაფხულა, მარტის პირველ ნახევარში, საქართველოს ტელევიზიამ ინტერვიუ სთხოვა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს და სრულიად საქართველომ, პირადად ამ სტრიქონების ავტორმაც, პირველად იხილა ეს მხარბეჭჩაკირული, სპორტული აღნაგობის, მტკიცე გამომეტყველების მქონე ტანთხელჩ კაცი, რომელიც ყურადღებით უსმენდა კორესპონდენტის ყოველ ახალ კითხვას, გონების სასწორზე სწონიდა და შემდეგ, პასუხის გაცემისას, ყოველი მხრიდან განიხილავდა.

ტელეკორესპონდენტი ფლერი კვარაცხელია ჩვეულებისამებრ კორექტული იყო, მაგრამ, ამავე დროს, საპირო აგრესიულობასაც იჩენდა. მისი ამომწურავი კითხვები და სიტყვასა და სიტყვას შორის ნაგულისხმევი ქვეტექსტი არავითარ გასაძრომ-გამოსაძრომს არ სტოვებდა, მაგამ, თავის მხრივ, არც ასლან აბაშიძე ლამობდა რისამე დამალვას, პირიქით, ალაგ-ალაგ ზღვარს იქითაც კი იჭრებოდა.

ქვემოთ თავს ნებას ვაძლევ და სიტყვასიტყვით მოვიყვანო პირადი წერილი, რომელიც ამ სტრიქონების ავტორმა იმხნად ბატონ ასლან აბაშიძეს გაუგზავნა.

„ძვირფასო ბატონო ასლან!

უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით მოვისმინე თქვენი ინტერვიუ ტელეჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიასთან. არ შეძიძლია პირადად არ გამოგიცხადოთ ჩემი კმაყოფილება. არ დაგიმალავთ, რომ თქვენი პიროვნების გარშემო სრულიად სხვა, საკმაოდ უსიამოვნო ხმები დადიოდა და ეს აწუხებდა და აშფოთებდა ყოველ შეგნებულ ქართველ მამულიშვილს. თქვენმა გამოსვლამ, თავის დაჭერამ,აზროვნების წესმა, სიდარბაისლემ, სიმტკიცემ, მოვლენების სიღრმეში წვდომამ და პირუთვნელობამ დამარწმუნა, რომ საქმე გვაქვს ერთ-ერთ სარიოზულ მამულიშვილ პოლიტიკოსთან.

მე არ შეძიძლია უშეცდომოდ განვსაზღვრო, რამდენად სწორი იყო ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებას მოაწოდეთ, ის კი მინდა ვთქვა, რომ თქვენი ეროვნული და ადამიანური პოზიცია ყოველი საღად მოაზროვნე ქართველი კაცის მხარდაჭერას და მოწონებას უნდა იმსახურებდეს.

ბატონო ასლან! თქვენი შეხედულება ყოფილი პრეზიდენტის თაობაზე ჩემთვის აბსოლუტურად ძიუღებელი გახლავთ, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, დავინახო ჯანსაღი მარცვალი, რომელსაც თქვენი შეხედულება შეიცავს და რომლის უყურადღებოდ დატოვება არა და არ ეგების. ყველაფრიდან ჩანს, რომ თქვენ ნაკლებად იცნობთ ყოფილი პრეზიდენტის პიროვნებას, მე კი შეიძლება ამ მხრივ ცოტა უპირატესობა მქონდეს. ვინაიდან მისი ხასიათის ფორმირება ჩემს თვალწინ ხდებოდა. თქვენი ინტერვიუს შემდეგ მე ვხვდები, რატომაც აჭიანურებთ სესიის მოწვევას. სამწუხაროდ, არ ვიცნობ თქვენს ოპონენტებს, ე.წ. ოპოზიციას, რომელიც პრესის საშუალებით იბრძვის თქვენი „დიქტატურის“ წინააღმდეგ. მაგრამ ეგ „დიქტატურა“, გულახდილად რომ ვთქვა, ვიდრე ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობიანობა დამყარდებოდეს, გარკვეული აზრით საჭიროდაც მიმაჩნია.

შეცდომაა სასულიერო სკოლის გახსნა ზემო აჭარაში, ეროვნული ძალების უხეში ჩარევა სარწმუნოების საკითხებში, რამაც არასასიამოვნო ადგილობრივი რეაქცია გამოიწვია და საპასუხო ნაბიჯიც გადმოიდგა.

როგორც ერთ ქართველ კაცს, მიხარია და მეამაყება, რომ აჭარაში ევროპული დონის მტკიცე პოლიტიკოსი ზის თქვენი სახით, რომლისგანაც ყოველთვის ჭონივრულ, მშობელი ერისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს და პრაქტიკულ ნაბიჯებს უნდა მოველოდეთ.“

მაისის მუა რიცხვებში, როცა ბათუმში უზენაესი საბჭოს სესია მიმდინარეობდა, ავტორის ნებართვით ეს წერილი აჭარის ადგილობრივ პრესაში დაიბეჭდა, რასაც კვალდაკვალ მოჰყვა ერთი იქაური უზენაესი საბჭოს დეპუტატის გამოსვლა თბილისის ტელევიზიით. გამოსვლაში ავტორიტეტულად აღინიშნა, რომ ჩვენგან ჯაფარიძის პირადი წერილის პრესაში გამოქვეყნება აჭარის ხელმძღვანელობის მორიგი შეცდომა იყო და რომ წერილს არამც და არამც არ უნდა ენახა დღის სინათლე.

რატომ? რა ვნახეთ აქ ისეთი კრიმინალი, რომ ცენზურის ხუნდებახსნილ ჩვენს ქვეყანაში იგი კაცს არ გაეგონება?

ეს არამკითხე ცენზორი გახლდათ სწორედ ის პიროვნება, რომელმაც ბათუმის აეროპორტში მოძხდარი ინციდენტის გამო მშვიდობიანი აჭარის მშვიდობიანი ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე საქართველოს დაუძინებელ მტერს ტორეზ კულუმბეკოვს შეადარა და ეს მერამდენედ, ამჯერად უკვე საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან მისი გადაყენება და სამართალში მიცემა მოითხოვა.

ბატონ დეპუტატს, როგორც ჩანს, დემოკრატიული თავისუფლებანი მხოლოდ თავისთვის და თავის თანამზრახველებისათვის ემეტება, მხოლოდ იმ პირობით, თუ იგივე დემოკრატია სხვებისთვის პიროგამეხებული ტირანია იქნება!

საშემოდგომო სესიაზე საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის წევრებს დაურიგდათ ამონაკერი მოსკოვურ „ნეზავისიმაია გაზეტადან", სადაც ბატონ ასლან აბაშიძის ინტერვიუ იყო გამოქვეყნებული.

პარლამენტარებისათვის დამატებით არავის განუმარტავს, რა მიზნით დაარიგეს ეს ამონაკერი, თუმცა ინტერვიუში ხაზგასმულ სტრიქონებიდან და მინაწერიდან, რომ „შენიშვნები", ე.ი. სტრიქონებს შორის გასმული ხაზები „ეკუთვნის დეპუტატ თ. დიასამიძეს", ჩანდა, რომ მიზანი უცვლელი იყო: აჭარის ახლანდელი ხელმძღვანელის პარტიკულარული ზრახვების მხილება, მათი სააკკარაოზე გამოტანა. დეპუტატ ასლან აბაშიძის გაშავება და ანათემაზე გადაცემა ახალარჩეული, საქმეში ჯერ ჩაუხედავი პარლამენტის წინაშე.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ამ ინტერვიუს ძირითად დებულებებს საფუძვლიანად განვიხილავთ.

რა უნდა ვეძებოთ და ვიპოვოთ იქ, რა სურდა დაემტკიცებინა „შენიშვნების" პატივცემულ ავტორს? უწინარეს ყოვლისა ასლან აბაშიძის პარტიკულარისტული, სეპარატისტული შეხედულებები, რომლებიც საბოლოო მიზნად ისახავენ საქართველოს ძირითადი კუთხის აჭარის სამშობლოსაგან, განდგომას და მოწინააღმდეგე ძალების ბანაკში მის გადაბარგებას.

თუ ეს დამტკიცდა, ასლან აბაშიძის მოღალატური საქმიანობა საქვეყნოდ გამოაშკარავებული იქნება და „შენიშვნების" ავტორს და მის ინკოგნიტო თანამოაზრეს სიფხიზლის გამოჩენის გამო შადლობის ბეტი აბა რა ეთქმის!

მაგრამ რა ვუყოთ, თუ საქართველო, ქვეყანა, როძლის განუყოფელ ნაწილსაც აჭარა წარმოადგენს, თავიდანვე, პირველი სტრიქონებიდანვე ფიგურირებს ინტერვიუში. ის სწორედ ამ სიტყვებით იწყება: „აჭარის ახლანდელი სიტუაცია საქართველოს საერთო მოვლენების ფონზე უნდა განვიხილოთ."

რა გამოდის? აჭარა თურმე დღესაც საქართველოს ნაწილი ყოფილა და მის ავ-კარგში ისე ვერ გაეერკვევით, თუ აქ მოქმედი მოვლენები „საქართველოს საერთო ფონზე" არ განვიხილეთ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კი დღესდღეობით „მდგომარეობა ძალზე რთულია."

ჩვენაო, ეუბნება კორესპონდენტს ასლან აბაშიძე, აჭარაში სტაბილიზაცია ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გატარებით შეინარჩუნე-

თო. ვიდრე რესპუბლიკის მესვეურები პოლიტიკური ენებათაღელვით იყვნენ გართულნი, ჩვენ გადავწყვიტეთ, მთელი ძალები ეკონომიკური საკითხების მოსაგვარებლად გადაგვეესროლა და ამ დარგის წინ წამოწევის გზით მრავალი სოციალური პრობლემის მოგვარებისათვის მიგველწია. ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩენოდა არც ერთი მარტოხელა დედა, არც ერთი ობოლი, არც ერთი შრომის უნარს მოკლებული მოხუცებულიო. ჩვენ ამათ დამატებითი დახმარების ფონდი შევუქმენით იმას ზევით, რაც კანონის თანახმად პენსიების სახით ეკუთვნოდათ, წინასწარ უზრუნველყავით მათი სოციალური დაცვაო. ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქენი უკვე აღარ იხდიან ელექტროენერგიის გადასახადს, სოფლის მოსახლეობა კი ასევე თავისუფალია ყველა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგანო.

გულზე ხელი დაიდე და მიბრძანე, მკითხველო, თუ ხედავ აქ რაიმეს, რაც საქართველოს ეროვნული ერთობის, მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ არის მიმართული, თუ აწყენდა საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას, მამასისხლად ღირებული ელექტროენერგია უფასოდ რომ მიეღო და სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ყველა გლეხი ერთბაშად რომ გაეთავისუფლებინათ?

რაკი ეს საკითხი დავიწყეთ, მოდი, ნუ მოვერიდებით გამწვავებას, მივყვეთ ბოლომდე.

ასლან აბაშიძეს პირდაპირ ჰკითხეს:

„აპირებს თუ არა აჭარა, შექმნას თავისი არმია, ურომლისოდაც თავს ვერ გაიტანს ვერც ერთი სახელმწიფო?“

კითხვაში, როგორც ხედავთ, მრავალგანზომილებიანი ქვეტექსტია ნაგულისხმევი: აპირებს თუ არა აჭარა საქართველოსაგან გამოყოფას? სურს თუ არა გამოაცხადოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა? თუ აპირებს და სურს, მაშ, თავისი საკუთარი არმიაც უნდა იყოლიოს, რათა თავი დაიცვას აგრესიისაგან თუნდაც საქართველოს მხრივ, რომლის განუყოფელ ნაწილადაც თავს ადრე აცხადებდა.

ასლან აბაშიძის პასუხი მოკლეა და მკაფიო:

„არა, აჭარა არ შექმნის თავის საკუთარ არმიას. საკმარისია ის, რომ იქმნება საქართველოს ეროვნული არმია, რომლის ქვეგანაყოფები, თუ საჭიროებამ მოიტანა, შეიძლება იდგნენ ჩვენი ავტონომიის ტერიტორიაზე.“

მაშასადამე, რა გამოდის? ასლან აბაშიძის აზრით და რწმენით, რასაც ის საქვეყნოდ აცხადებს, განსხვავებით აფხაზ სეპარატისტებისაგან, რომელთაც საქართველოსაგან ჩამოშორების სურვილი ამოძრავებთ, აჭარას არ შეიძლება ჰყავდეს თავისი საკუთარი არმია, რადგანაც ის საქართველოს შემადგენელი ნაწილია და საქართველოს ეროვნული არმიის შექმნა მას საკუთარ საკმარისად მიაჩნია თავისი უშიშროების დაცვის გზაზე.

„აჭარა ისტორიულად საქართველოს ნაწილს წარმოადგენს, – დასძენს ასლან აბაშიძე. – და ჯერ ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას რაიმე პრობლემა შექმნა დედა-სამშობლოსათვის.“

მაშ, რით მტკიცდება, რომ აჭარა დედა-სამშობლოსაგან განცალკევებას აპირებს, რომ ასლან აბაშიძეს სეპარტისტული მიზნები ამოძრავებს? აკი მოსკოვური გაზეთის ამონაჭერიც სწორედ ამ იდეის გამო-

სააშკარავებლად და ასლან აბაშიძის ვერაგული ჩანაფიქრის მხილების მიზნით დარიგდა რესპუბლიკის პარლამენტში?

აჭარის ხელმძღვანელს კორესპონდენტმა ესეც არ აკმარა და კიდევ დაუსვა ერთი სახიფათო კითხვა:

„რატომ არ არის აჭარის ტერიტორიაზე ეროვნული გვარდიის არც ერთი რაზმი, ანდა „მხედრიონის" ფორმირებები?"

ეს თითქმის იგივე შინაარსის შეკითხვაა, რაც მას წინ უძღვის: საქართველოს ყველა კუთხეში დგანან და მოქმედებენ ეროვნული გვარდიისა და „მხედრიონის" ქვედანაყოფები. თუ აჭარა საქართველოს ნაწილია და ასევე რჩება, რატომ არ ვხედავთ აქ იგივეს?

ასლან აბაშიძის პასუხი:

„აჭარაში მშვიდობიანობაა და ამიტომაც არ არის საჭირო ვიყოლიოთ აქ შეიარაღებული ფორმირებები."

ცოტა ქვემოთ ასლან აბაშიძე ანვითარებს თავის აზრს და პირუთვნელად აღნიშნავს:

„ერთ-ერთი ფაქტორი აჭარის სტაბილურობისა გახლავთ ის, რომ აქ არ არიან ხსენებული ფორმირებები. ამიტომაც კრიმინოგენური სიტუაცია განსხვავდება იმისაგან, რაც დღესდღეობით თბილისში სუფევს."

აჭარის ხელმძღვანელი თავის მსჯ[illegible] ...ბაში მეძიოყოგლა ძარტოოდენ რესპუბლიკის დედაქალაქით და ...ოაფერი თქვა სამეგრელოს რაიონებზე, რომელთა ტერიტორიაზე შეიარაღებული ფორმირებების თარეშმა ქვეყანა კრიტიკულ მდგომარეობამდე მიიყვანა და არსებითად შუაზე გახლიჩა განუყოფელი საქართველო.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ გვარდიელისა და მხედრიონის სამხედრო ფორმით არცთუ ცოტა თავზეხელაღებული არამზადა სარგებლობს და საკუთარ დედა-სამშობლოს დაპყრობილ ქვეყანასავით აწიოკებს. როგორ გავარჩიოთ ნამდვილი გვარდიელი და მხედრიონელი არანამდვილისაგან, იმათაგან, ვინც მათი ფორმით სარგებლობს? სანამ ოპერაცია არ დამთავრდება და შავი და თეთრი არ გაირკვევა, მათი ერთმანეთისაგან გარჩევა შეუძლებელია, ხოლო როდესაც ყოველივე დამთავრდება, მტყუანისა და მართლის ძიება მაშინ უკვე დაგვიანებულია.

არამზადები, რომელთაც ტანთ გვარდიელისა და მხედრიონელის სამხედრო ფორმა აცვიათ და გარეგნულად მათგან არაფრით განირჩევიან, მხოლოდ მარჯვე მომენტს ელიან, რომ შეცვივდნენ ჯერ კიდევ ხელუხლებელ აჭარაში და იქ იგივე ჯოჯოხეთის ცეცხლი დაანთონ, დანარჩენ საქართველოში, უწინარეს ყოვლისა დასავლეთ საქართველოს რაიონებში რომ ბრიალებს!

რით შეუძლია ასლან აბაშიძეს ვითომდა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესული შეიარაღებული ფორმირებების შეკავება და, სანამ უბედურება არ მომხდარა, აჭარის ფარგლებიდან მათი კინწისკვრით გაძევება? მას არა ჰყავს საკუთარი ჯარი და, როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ, არც აპირებს მის ჩამოყალიბებას. მაშ, სხვა რაზმული ძალის მოშველიებით შეიძლება კრიტიკული მდგომარეობიდან თავის დაღწევა?

ეს კითხვა, თქვენ წარმოიდგინეთ, „ნეზავისიმაია გაზეთას" კორესპონდენტსაც მოუვიდა თავში და იგი ასლან აბაშიძეს დაუსვა.

ბატონმა ასლანმა ჩვეული პირდაპირობით და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უპასუხა:

„აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ სამხედროებს (იგულისხმება რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების ძალით ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდგომი რუსეთის სამხედრო ძალა. – რ.ჯ.). აქ (აჭარაში.-რ.ჯ.) სამხედროებზე თავდასხმის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს მე ვუბრძანე მილიციას, გაუფრთხილებლად ესროლოს ყველას, ვინც კი სამხედროებს თავს დაესხმის."

ამონაკერის ეს ადგილი ტექსტში. რასაკვირველია, ხაზგასმულია. საქმეში ჩაუხედავ პარლამენტის წევრებს ამით ეუბნებიან: დახე, როგორ დგება ასლან აბაშიძე რუსების მხარეზე, როგორ აპირებს ქართველი გვარდიელებისა და მხედრიონელების ამოწყვეტას რუსული იარაღით!

ნამდვილად კი როგორ გამოიყურება საქმე?

სახელმწიფოებს შორის დადებული ოფიციალური ხელშეკრულების თანახმად საქართველოს ამ ნაწილში – აჭარაში. როგორც ცნობილია, რუსეთი თავს არავის ესხმის, არ ესხმის, რასაკვირველია, არც ქართულ შეიარაღებულ ფორმირებებს თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი აქ არ იმყოფებიან. თავის მხრივ, არც საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება აგზავნის მის იურისდიქციაში დაქვემდებარებულ ძალებს სადმე. სადაც მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას საფრთხე არ ემუქრება. თუ დღევანდელ მშვიდობიან აჭარაში ქართული შეიარაღებული ფორმირებები ოღაც მანქანებით მაინც აღმოჩნდებიან, შეგვიძლია თუ არა ვიფიქროთ, რომ ისინი თავიანთი კანონიერი მთავრობის ნება-სურვილს, მის ბრძანებას ასრულებენ? არა, რასაკვირველია! აქ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს უკვე წუთები წყვეტს. დაყოვნებას და ყოყმანს ბევრი რამის გაფუჭება შეუძლია.

აი, ვის წინააღმდეგ, რა ჯურის სამხედრო ფორმირებების წინააღმდეგ არის მიმართული ასლან აბაშიძის დაპირება, რომლის შესრულების აუცილებლობა, მადლობა ღმერთს, ჯერ არ დამდგარა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არც არასოდეს დადგება!

არ არის დასამალი, რომ პარლამენტის სესიაზე გაკეთდა კატეგორიული განცხადება იმის თაობაზე, რომ გაზეთის ამონაკერის დეპუტატებისათვის დარიგება კეთილ საქმეს არ ემსახურება, მისი შემოგდება აშკარად პროვოკაციულ მიზნებს ისახავს და ამის ასე უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, რადგანაც კაცნი ვართ, ვაითუ ვინმეს მოთმინების ფიალა აევსოს და სამწუხარო შედეგის მოწმე და მონაწილე გავხდეთო.

ვიდრე საქართველოს პარლამენტი, ეს დიდი და მძიმე ხომალდი დაიძვროდა და შემოტრიალდებოდა, მწერალთა მეტად მცირე ჯგუფმა ერთი პატარა ნავი ვიკმარეთ და ბათუმს გავემგზავრეთ, რათა ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა, სკკუთარი თვალით გვენახა. დავრჩით იქ რამდენიმე დღე და ნახახ-განცდილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ აღმოვჩნდით მზითა და სიყვარულით გამთბარ საქართველოში. შემოვიარეთ აჭარის რაიონები, შეეხვდით და ვესაუბრეთ სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობის თანამემა-

მულეებს, გავმართეთ ლიტერატურული საღამოები. დარბაზებში ხალხის ტევა არ იყო. გვაოცებდა გვიან ღამემდე მშვიდობიანად მოსეირნეთა სიმრავლე ბათუმის ქუჩებში და ზღვის სანაპირო ბულვარებში, ხალვათობა პურისა და სურსათის მაღაზიებში და ერთთავად თვალწინ გვედგა ჩვენი საეკვეოდ ჩაბნელებული, ძარცვისა და ტერორის შიშით შეძრწუნებული საბრალო დედაქალაქი. თითქმის დილამდე იყო ღია საკომისიო და კერძო სავაკროები. მოვაკრენიც იქ ისხდნენ არხეინად და ტკბილად მასლაათობდნენ.

საყოველთაო მშვიდობა აჭარაში მარტო ამ გარეგნული ნიშნებით არ ხასიათდება. აჭარა ისევეა ომში ჩაბმული, როგორც საქართველოს სხვა ნებისმიერი ნაწილი. აქ შექმნილია მოხალისეთა ლეგიონი, რომელიც ომში წასვლის მსურველთ აიარაღებს და საომრად ამზადებს. ისინი აქედანვე მიდიან აფხაზეთის ფრონტზე, სადაც სხვა კუთხის შვილებთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძვიან. ბევრი აჭარელი დედის ლეჩაქი გაშავდა, ბევრი ქალი დაქვრივდა, ბევრი ობლის ცრემლი დაიღვარა და იღვრება.

მაშველ ძალასთან ერთად აჭარიდან აფხაზეთში მიდის სურსათით, ტანსაცმლით, ტექნიკური საშუალებებით დატვირთული გემები. ბათუმელმა მენავთობეებმა ქვეყნის თავდაცვის საჭიროებებისათვის უსასყიდლოდ გადაამუშავეს და დანიშნულების მიხედვით გააგზავნეს 1 მილიარდი მანეთის ღირებულების ნავთობპროდუქტები. აჭარის კურორტებს თავს აფარებს აფხაზეთიდან ევაკუირებული 16 ათასი ლტოლვილი, რომელთა შენახვის ყველა ხარჯი ავტონომიური რესპუბლიკის კისერზეა.

მიუხედავად თითქმის გადაულახავი სიძნელეებისა, აჭარის მკვიდრთ საქართველოს საერთო მდგომარეობამ რომ შეუქმნა, აქ ერთი წუთითაც არ შეწერებულა მშვიდობიანი აღმშენებლობა. ახლახან დამთავრდა საქართველოს ყველაზე უფრო გრძელი ხიდის აგება. იგი იმიერ საქართველოდან მომავალ წყალუხე ჭოროხზე აშენდა და სიგრძით 476 მეტრია. გარდა ჭოროხის ხიდისა, ამას წინათ მომხდარი სტიქიური უბედურებების აღმოსაფხვრელად აჭარის დიდსა და მცირე მდინარეებზე 105 სხვა ხიდიც გაიდო. სხვაგან ხიდებს მხოლოდ აფეთქებენ. აქ მხოლოდ აშენებენ! ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გაიმართა და მოეწყო ახალი საბაჟო სოფელ სარფის მახლობლად, რამაც ერთიორად და მეტად გააიოლა საავტომობილო მიმოსვლა მეზობელ თურქეთთან.

წელს აჭარაში მწყობრში ჩადგა 4 ახალი სასკოლო შენობა. ეს იმ დროს, როდესაც დანარჩენ საქართველოში არც ერთი არ აშენებულა. დღესდღეობით მშენებარეა და ამა წლის 1 სექტემბერს, ახალ სასწავლო წელს, განათლების ქსელს გადაეცემა კიდევ 8 სასკოლო შენობა.

ბათუმში, საქართველოში პირველად, საეპისკოპოსო ტაძართან გაიხსნა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია, რომელშიაც სწავლა ფასიანია და სადაც სწავლა უაღრესად პრესტიჟულად ითვლება.

შარშან აჭარაში 35 კილომეტრი სიგრძის წყალსადენი გაიყვანეს. ბათუმი მთლიანად მარაგდება სასმელი და ტექნიკური წყლით. ხულოში თეატრის ახალი შენობა ააშენეს, რომელიც უკვე შეუდგა მუ-

შაობას. ბათუმში დაფუძნდა ოპერის თეატრი. წელს აქ პირველად აღ-ღერდება ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერი".

ბათუმის ერთადერთ ჯამეთსთან აღიმართა მინარეთი. მოქმედი კონ-სტიტუცია და ელემენტარული ჰუმანიზმი, ისიც სარწმუნოებრივი შემ-წყნარებლობით განთქმულ საქართველოში, ვისიმე სინდისის თავისუფ-ლების შეზღუდვის უფლებას არ იძლევა და არც არის ამის რაიმე სა-ჭიროება.

ყოველივე ეს საქმეს ოდნავადაც არ შველის. გააფთრებული იერი-შები, ზეპირად თუ ბეჭდითი სიტყვის მოშველიებით, ამ ბოლო დროს საქართველოს პარლამენტის ძაღალი ტრიბუნიდანაც, რომლის პირადი მიზნებისათვის გამოყენება უმძიმეს ცოდვადაა მიჩნეული, აჭარის უზე-ნაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ მა-ინც გრძელდება. გრძელდება ჭორები, მითქმა-მოთქმა, რას არ გაიგო-ნებ! ბევრი. ვისაც ამ საქმისა არაფერი გაეგება, ფიქრობს: რასაც ლა-პარაკობენ, ამის ნახევარი თუ მაინც მართალია...

ბათუმში გამოდის ალტერნატიული გაზეთი, სადაც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის პორტრეტი თავდაყირა იბეჭდება. ეს, ეტყობა, კრიტიკის ახალი ხერხია. იბეჭდება წერილები მისი ანტიქარ-თული საქმიანობის შესახებ. ბრალდება იმის გაკეთება, რასაც მთელი სიცოცხლე ებრძვის. დღისით-მზისით კეთდება ყველაფერი კაცის მოთ-მინებიდან გამოსაყვანად, რათა, როგორც ხელმძღვანელს, ხელისუფალს, რაიმე ანტიდემოკრატიული საქციელი ჩაადენინონ. ხელში საბუთი ჩა-იგდონ და მიზანში ამოღებული პიროვნება, რომელიც წარბშეუხრე-ლად დგას თავის პოზიციაზე და მოწინააღმდეგეს გასაქანს არ აძლევს, გზიდან ჩამოიცილონ. ამ უკანასკნელთ ავიწყდებათ, რომ ასლან აბაში-ძეც პიროვნებაა. მოქალაქეა, ერთი ჩვენთაგანია. მისი სურათის უკუღ-მა ბეჭდვა და მის წინააღმდეგ ურცხვი ცილისწამების გაჩაღება ულირსი საქციელია. პიროვნების ღირსების ხელყოფაა და. ყველა არსე-ბული კანონმდებლობის ძალით სასამართლო პასუხისგებას ექვემდება-რება. მაგრამ ისინი აქაც მოგებული გამოდიან. თუ სასამართლო დამ-ნაშავეთა გამამტყუნებელ ვერდიქტს გამოიტანს, მსჯავრდებულნი თავს პოლიტიკურ პატიმრებად გამოაცხადებენ, განგაშს ატეხენ და შავ დღეში მყოფ ხელისუფლებას, ჩვენს ძნელ დროში ისედაც რომ უჭირს ქვეყნის პატრონობა, ახალ საფიქრალს გაუჩენენ!..

მაგრამ ეს ქვეყანა არც ისე ყრუ და ბრუტიანია, როგორც ზოგი-ერთს ჰგონია. ხალხი ხედავს, რა როგორაა და წყლის ამმღვრევეთ თუ მადლობას არ ეუბნება, პირიქით, მუშტსაც უჩვენებს, ვითომ ეს ვინმეს დიდად უნდა გაუკვირდეს?

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის მკვახე ტრანსპარანტი, საქართვე-ლოს პარლამენტის წევრებს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომად-გენლებმა აჭარის უზენაესი საბჭოს შენობის წინ რომ შეაგებეს, მოგე-სალმებით, ძვირფასო სტუმრებო, საქართველოს პარლამენტარებო, ამი-სა და ამის გამოკლებითო.

მართალი გითხრათ, შემზარა ამ წარწერამ. იმ ჩემი კოლეგების ად-გილზე საკუთარი თავი წარმოვიდგინე. შენს მშობელ კუთხეს, შენს ხალხს, ვის შორისაც გაიზარდე, შენი დანახვაც არ უნდა, მშობლიურ ქალაქიდან შენს გასახლებას მოითხოვს, ანგრევს და ანადგურებს ყვე-

ლაფერს, რაც კი შენი ხელმონაკიდია. თუ ახლომახლო თვალი სადმე მოგლანდეს ცემით სიკედილზე მიყენებას გპირდებიან. შე დედ-მამაგანათლებულო, რაღას ეტენები, რაღა გეპარტიება და გერესპუბლიკელება, არ გიჯობს, თავს უშველო და სადმე მიუდგომელ ადგილას გადაიხვეწო?

გასულ თვეში საქართველოს პარლამენტის წევრებს დაურიგეს ახალი მამხილებელი დოკუმენტი: ინფორმაციის ამონაბეჭდი გაზეთ „აჭარიდან". დოკუმენტის შინაარსი ანუ ოფიციალური ცნობა საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ მეორე დღეს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამაც" გამოაქვეყნა. ეს გახლდათ საპროტესტო დეპეშა პარლამენტის თავმჯდომარე ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი, რომელსაც ხელს აწერდნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ალექსანდრე გობრონიძე და აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი გურამ ვაშალომიძე.

სიტყვა შეეხებოდა ინციდენტს ბათუმის აეროპორტში, სადაც უცნობმა პირებმა საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი თამაზ დიასამიძე მოიტაცეს, მაგრამ სწრაფი რეაგირების სახელმწიფო რაზმის თანამონაწილეობით გატაცებიდან 10-15 წუთის შემდეგ იგი უკანვე დააბრუნეს და თბილისში მიმავალ თვითმფრინავში ჩასვეს.

„გაცნობებთ, რომ, - ვკითხულობთ საპროტესტო დეპეშაში. - მიმდინარე წლის 7 აპრილს ბათუმში ჩამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები... მიუხედავად მათი მტკიცებისა, რომ ვიზიტი ატარებდა ვიწრო პარტიულ ხასიათს და დაკავშირებული იყო პარტიის ბათუმის რეგიონის ორგანიზაციაში კრების ჩატარებასთან, თავიდანვე გამოიკვეთა, რომ ეს განცხადება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ფაქტობრივად მათი ვოიაჟი ატარებდა მიზანმიმართულ პროვოკაციულ ხასიათს, რაც აშკარად ჩანს მათ მიერ უკანასკნელ ხანს გაკეთებული განცხადებიდან - თითქოს აჭარაში შექმნილი იყოს მძიმე, არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება და ამჟამად იქ არსებული სიტუაცია ისეთი იყოს, როგორიც იყო აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების წინა პერიოდში. აგრეთვე მათი მიმართვიდან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისადმი, სადაც ისინი მოითხოვდნენ გაემიჯნოს ბატონ ასლან აბაშიძეს. ამაზე მიუთითებს აგრეთვე პარლამენტის წევრის დ. ბერძენიშვილის არაობიექტური და ტენდენციური განცხადებები რესპუბლიკის პარლამენტსა და რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რაც მოსახლეობის მიერ აღიქმება როგორც აშკარა შეურაცხყოფა აჭარისა და მისი ხელმძღვანელებისა... აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით თავს ვალდებულად ვთვლით, მოგმართოთ პირადად თქვენ, ბატონო ედუარდ, და საქართველოს პარლამენტის ყველა წევრს, ვისაც გული შესტკივა საქართველოს ერთიანობაზე და გაგებით ეკიდება აჭარაში არსებულ ვითარებას, ჯეროვანი შეფასება მისცეთ... პარლამენტის ზოგიერთი წევრის მოქმედებას... აქედან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შემდგომი გამწვავებისა და მისგან გამომდინარე

კმართავი შესაძლო შედეგებისათვის თავიდან იხსნის პასუხისმგებლობას და აკისრებს მას რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელებს."

აი, რა სუნი უდის თურმე შშვიდობის ერთადერთ ოაზის აკარის საქმეებში ხელის უპასუხისმგებლო ფათურს, რა შეიძლება მოაყვეს ცალკეულ ამბიციურ პირთა ბატონკაცურ ჯგიმვას და პარლამენტის მიკროფონის ბოროტად გამოყენებას.

აკარის ხელმძღვანელთა მიერ გამოგზავნილი საპროტესტო დეპეშა და მთელი ეს უსიამოვნო ინციდენტი, რომელიც ჯობდა არ მომხდარიყო, მრავალ ფიქრსა და ეარაუდს აღძრავს.

ვინ იყვნენ ის უცნობი პირები, პარლამენტის დეპუტატი აეროპორტიდან რომ გაიტაცეს და 10-15 წუთის შემდეგ ასე უმტკივნეულოდ და უდავიდარაბოდ დაუთმეს სწრაფი რეაგირების სახელმწიფო რაზმის წევრებს? თვით დეპუტატი, 10-15 წუთიანი განსაცდელი უვნებლად რომ გადაიტანა და მის გამო ქვეყანა შესძრა, იქნებ ღმერთი მომეხმაროს, მიზანში ამოღებულ ასლან აბაშიძეს რაიმე ვავნოო, აკარის ალტერნატიული გაზეთის ფურცლებზე ფერებს არ იშურებს და შავით თეთრზე წერს: „გამტაცებლები გამოირჩეოდნენ ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიური სიძულვილით."

კაცმა, თუ ენა წინ მიგირბის და საკუთარ ემოციებს ვერ ფლობ, შეიძლება ის წამოისროლო, რაც მოგაგონდება, მაგრამ იმას კი რაღა ეკუთვნის, ვინც ამ სიტყვებს ბეჭდური წესით გაავრცელებს? ჩვენი იმუნიტეტშელახული დეპუტატი სულ 10-15 წუთს იყო პირსისხლიან გამტაცებელთა ხელთ და ამ გაჭირვებულებმა უზომოდ მცირე დროში როგორ მოასწრეს „ყოველივე ქართულისადმი" თავისი „ფიზიოლოგიური სიძულვილი" გამოეძღვანებინათ? ვინ იყვნენ, რა ენაზე შეტყველებდნენ, ციდან ხომ არ ჩამოცვივდნენ? საც შეიძლება იმოვნო აკარაში თუნდ ერთი, თუნდაც ნახევარი კაცი, ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიურ სიძულვილს რომ ამეღვანებდეს? იქნებ პატივცემული დეპუტატი თავის პერსონას სრულიად საქართველოსთან, უფრო ზუსტად, „ყოველივე ქართულთან" აიგივებს და გადაწყვეტილი აქვს, 8 მილიონი ქართველი, სახელმწიფო საზღვარს აქეთ და იქით, თავისი პირადი არაკეთილმოსურნეების წინააღმდეგ აგვიმხედროს? იქნებ კიდევაც ავმხედრებულიყავით, მაგრამ სანამ ამას ვიზამდეთ, ისიც ხომ უნდა გავარჩიოთ, ვინ არის ეს არაკეთილისმოსურნე და ვის წინააღმდეგაა მიმართული მისი ქმედება?!

გასულ კვირაში, როგორც პრესიდან და რადიო-ტელევიზიიდან უკვე ცნობილია, საქართველოს პარლამენტის წევრთა დიდმა ჯგუფმა აკარაში იმოგზაურა და თავისი თვალით ნახა ყოველივე ის, რაც მკითხველს ზემოთ ასე მოკლედ და კუდმოკვეცილად მოვუთხრე, დიახ, სწორედ მოკლედ და კუდმოკვეცილად, ვინაიდან საგაზეთო წერილი, თუნდაც ისე ვრცელი, როგორც ეს წერილია, ყველაფერს ვერ დაიტევს.

დამშვიდობებისას ბატონმა ასლან აბაშიძემ შემოგვჩივლა: მთავრობაში რამდენიმე მინისტრის ვაკანტური ადგილი მაქვს, კარგი ხანია ვეძებთ შესაფერ კანდიდატურებს, მაგრამ ჯერჯერობით არჩევანი ვერავიზე შეგვიჩერებია.

მაშინვე ჩემი კოლეგა-პარლამენტარები გამახსენდა, აი, ისინი, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, თუნდაც ამ საქმეს მთელი აკარა და ნახევარი საქართველოც შეეწიროს, ასლან აბაშიძის „დიქტატურის" დამხობას რომ აპირებენ. ეტყობა, მათ არ შესთავაზეს ეს უაღრესად საპატიო თანამდებობები, ან შესთავაზეს და მათ თავი შორს დაიჭირეს? ვინ იცის. იქნებ განხეთქილების ვაშლიც სწორედ ესაა და ჩვენ, გულუბრყვილონი, სულ სხვაგან, მაღალ მატერიებში ვეძებთ?

1993 წ.

შინაარსი გასცემდა გულის სიმბოლს

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ორმოციანი წლების მიწურულში, როდესაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში რამდენიმე ეროვნული: აზერბაიჯანული, სომხური და ქართული დივიზიები ჯერ კიდევ ირიცხებოდა, რომელთაგან ერთი – ანაპის 414-ე ქართული დივიზია, ბათუმში იდგა, თბილისში რუსულ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე საოლქო გაზეთები გამოდიოდა.

მე მაშინ 414-ე ქვეითი დივიზიის გაზეთში ვმუშაობდი ლიტერატურულ მუშაკად და საოლქო გაზეთშიაც ვთანამშრომლობდი, როგორც მისი კორესპონდენტი. ამ გაზეთის ქართულ გამოშვებას სათავეში ჩვენი ცნობილი დრამატურგი და დიდებული ადამიანი ვანიონ დარასელი უდგა, რომელიც გულთბილობასა და ყურადღებას არც ერთი ჩვენგანის მიმართ არ იშურებდა და ცხოვრების ძნელი გზის გამკვალავ უფროს ძმასავით გვერდში გვედგა.

დაუვიწყარია ჩემთვის ეს დღეები, ჩემი მაშინდელი უფროსი ამხანაგები და თანამოკალმენი: პეტრე შამათავა, დივიზიის გაზეთის მაშინდელი რედაქტორი დავით გაბრიაძე, ქვარცხავა, გიორგი ბოგველიშვილი, კარლო გოგოძე, კოტე მესხი, კომანდო დობორჯგინიძე, ვარლამ აფხაზავა და კიდევ სხვები, რომელთა სახელები და გვარები ამდენი ათეული წლის, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ მეხსიერებამ ვერ შემოინახა.

მათ შორის იყო ემანუილ ფეიგინი. ფეიგინი რუსულ გაზეთში მუშაობდა, რედაქტორის სპეციალური კორესპონდენტი იყო. მე მას ხშირად ვხვდებოდი ბათუმში, როდესაც გაზეთისათვის მასალის ასაღებად იქ ჩამოდიოდა. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ მაიორი ფეიგინი მწერალი იყო, ომის თემაზე რამდენიმე წიგნი ჰქონდა გამოცემული და მისდამი პატივისცემას და მოწიწებას ეს გარემოება კიდევ უფრო ამძაფრებდა.

შემდეგ, როდესაც არმიიდან დაბრუნდი და პირველი მოთხრობები გამოვაქვეყნე, ემანუილ ფეიგინს, უკვე არასამხედრო პირს, პროფესიონალ მწერალს, თბილისში შევხვდი და მისი მეგობრული მხარდაჭერაც არასოდეს დამავიწყდება. ემანუილი უაღრესად გულთბილი, კეთილმოსურნე, ნიჭიერი, საქართველოს, ქართული მწერლობის ზედმიწევნით მცოდნე და მოყვარული ადამიანი იყო. ის არა ერთ ქართველ მწერალთან მეგობრობდა, მათ შორის ჩემთანაც და ეს დიდ პატივად და ჯილდოდ მიმაჩნია.

შემთხვევით როდი მოხდა, რომ ემანუილ ფეიგინმა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ საცხოვრებლად ჩვენი მშვენიერი დედაქალაქი თბილისი აირჩია. ომგადახდილი, მატერიალურ სიდუხჭირეგამოელილი, ჯერ კიდევ ხელმოკლე, მაგრამ მაინც ხალისიანი და ძველი ეროვნული ტრადიციების ერთგული თბილისი მაშინ, მშვიდობიანი, გულით ნათელი ქალაქი იყო. როგორც შრომაში გაკაჟებულ ვაჟკაცს შეშვენის, ის ადრე იღვიძებდა და გვიან იძინებდა. სანამ არ ინათლებდა, ქუჩები და სანაპიროები გაჩახჩახებული იყო. ერთმანეთის სანახავად შუალამისას ტუსთაველის პროსპექტზე ავდიოდით. ერთმანეთს არ ვკოცნიდით, უამისოდ გვიყვარდა ერთმანეთი, გვახარებდა ერთმანეთის ნახვა და ერთად ყოფნა. სანატრელი და დაუვიწყარია ჩემთვის ომისშემდგომი თბი-

ლისი, რომელიც ემანუილ ფეიგინმაც მშობლიურ ქალაქად შეიტკბო, მისი ერთგული შვილი გახდა, თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები აქ გაატარა და სამუდამო განსასვენებელიც ქართულ მიწაში ჰპოვა.

ქართულად ითარგმნა და მკითხველმა შეიყვარა ფეიგინის ნაწარმოებები: „ჯარისკაცი შვილი ჯარისკაცისა", „მზეონა" და სხვები. ერთ-ერთი მათგანი „იონა" მეც ვთარგმნე და ცალკე წიგნად გამოვეცი.

თვით ემანუილ ფეიგინი დიდ მთარგმნელურ მუშაობას ეწეოდა. ბევრი ქართველი მწერლის ახალი ნაწარმოებები მისი თარგმანებით გაიცნო რუსულენოვანმა მკითხველმა. მათ შორისაა შემდეგ სხვა ენებზე რუსულიდან გადათარგმნილი ჩემი მოთხრობები „ძაღუხის თეთრი ღამეები" და „მხიარული მატარებელი", რომელიც მწერალმა ქართული ენის კარგად მცოდნე ბორის გასთან ერთად თარგმნა.

დღემდე რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენი ემა ახლა 80 წლისა იქნებოდა. იქნებ ბედნიერიცაა, თავისი საყვარელი საქართველოს შავ დღეს, მისი ყველა წმიდანის შეგინებას რომ ვერ შეესწრო, მაგრამ ჩვენ, მის მეგობრებს, ვისაც იგი გვახსოვს და მარად გვეხსომება, დიდად გვაკლია ღიმილიანი, თავაუღებლად მშრომელი, მოფუსფუსე კაცი, რომელმაც კარგად იცოდა მეგობრობის ფასი და თავადაც უხვად გასცემდა საკუთარი გულის სითბოს.

1993 წ.

აჭარის აღორძინების სრულიად საქართველოს კავშირი, პატრიოტული ორგანიზაცია ბათუმში სცემს გაზეთ „აღორძინებას“. .მის ფურცლებზე მრავლად შეხედებით ცინცხალ, მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილ მასალას როგორც ქვეყნის წარსულიდან, ასევე ჩვენი თანამედროვე ცხოვრებიდან. შემიძლია ვთქვა, რომ მე ერთგული მკითხველი ვარ ამ გაზეთისა და ისიც მსიამოვნებს, რომ მას ჩემი აჭარელი მოგვარე, ნიჭიერი ჟურნალისტი ნუგზარ ჯაფარიძე რედაქტორობს.

ბატონი ნუგზარი, ასაკით ბევრად უმცროსი კაცი, ვფიქრობ, არ გამიჯავრდება, თუ მისი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ზოგიერთ მასალას კრიტიკოსის თვალით შევხედავ და ჩემს შეხედულებას რესპუბლიკის მკითხველ საზოგადოებას გავუზიარებ.

ამ წლის 12-18 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია მასალა, სათაურით „მზერის კუთხის შემობრუნება“, რომელსაც გაზეთის ორი გვერდი უჭირავს. ის ყოველგვარი მინაწერის, შენიშვნის გარეშეა გამოქვეყნებული და ეს გვაფიქრებინებს, რომ წერილში გამოთქმული მოსაზრებანი ცოტად თუ ბევრად გაზეთის რედაქციის მოსაზრებასაც წარმოადგენს.

ბევრიც რომ დავმალო, ქვემოთ გამოჩნდება, რომ ამ მოსაზრებებს მე პირადად არ ვიზიარებ და ხელში კალამი სწორედ ამ გარემოებამ ამაღებინა.

წერილის ცენტრში ფიგურირებს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ასლან აბაშიძე. ყოველმა წიგნიერმა ქართველმა და საქართველოს ყოველმა კეთილის მოსურნემ იცის, რომ ამ პიროვნებას, ბატონ ასლან აბაშიძეს, ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი რეგიონის აჭარის სტაბილურ მდგომარეობას უნდა ეუმადლოდეთ. მაგრამ პოეტმა თქვა: ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო. ბატონ ასლანსაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი. მას სეპარატისტობა, განკერძოება დააბრალეს და სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილი კაცი მთელს საქართველოში პრესითა და რადიო-ტელევიზიით გამოაჭენეს. ხალხი შეშფოთდა. ვინაა მართლა ეს ასლან აბაშიძე? რა უნდა? საით იყურება აჭარა, რომელსაც ის ხელმძღვანელობს? შეიქმნა საკმაოდ დრამატული სიტუაცია, რომლის განტვირთვასაც მცირე ძალისხმევა როდი დასჭირდა. ორპოფული, უფრო ასლან აბაშიძისათვის არასახარბიელო აზრმა ფეხი [illegible]იკიდა საქართველოს პარლამენტშიც. მითქმა-მოთქმამ თავის კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

ცოდვას ვერ მოვიკიდებ და დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ ასეთივე გაურკვევლობა, უფრო ზუსტად, ბატონ ასლან აბაშიძისადმი ნეგატიური დამოკიდებულება სუფევდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობაშიც. ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჯერ კიდევ ახალი პარლამენტის არჩევამდე აჭარაში იმოგზაურა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. რამდენადაც ოფიციალურად ცნობილია, ბატონ ედუარდს იქ საგანგაშო არაფერი შეუმჩნევია და არც ბატონი ასლან აბაშიძე უცვნია სადღაც მაცქერალ კაცად.

საზოგადოებრივი აზრი მაინც ბორგავდა. ის მაინც აჭარის ამბების ნეგატიურ შეფასებისაკენ იხრებოდა.

ეს ყველაფერი ასე დაწერილებით მოთხრობილი არ არის ზემოთ მოხსენიებულ პუბლიკაციაში. ის სულ სხვაგან, სხვა ავტორის მიერ არის მოთხრობილი, თანაც უფრო ვრცლად, მაგრამ იგულისხმება სტატიის სათაურში „მზერის კუთხის შემობრუნება". ე.ი. არსებულა სხვა, განსხვავებული აზრი იმაზე, რაც დღეს თავისი ნამდვილი სახით ჩანს და ყოველ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ამავე სახით წარმოუდგება, თუმცა კაცმა არ იცის, რა არის ეს „მზერის კუთხე", ასეთი რამ ქართულ სიტყვათშეთანხმებაში არ მოიპოვება და დღემდე კაცს-სულიერს არ გაუგონია. რად უნდა ბევრი კვლევა-ძიება, რომ „მზერის კუთხე" რუსული „უგოლ ზრენიის" სიტყვასიტყვით თარგმანია, უხეში, ქართული ენის ბუნებისათვის მიუღებელი კალკია და მისი ამ სახით ხმარება არც ავტორს და არც რომელიმე ბეჭედით ორგანოს საქებარ საქმედ ვერ ჩაეთვლება. მით უფრო გამაოგნებელია ამ „მზერის კუთხის" „შემობრუნება"!

მაგრამ მთავარი ეს როდია. ეს, ზემოთ მოთხრობილი, აკი მოგახსენეთ,სათაურში მხოლოდ იგულისხმება. წერილის პათოსი კი სხვა გახლავთ. რა არის ეს პათოსი? იმის დამტკიცება, რომ სიმართლეს ფარდა აეხადა, ჭეშმარიტებამ იზეიმა, შუბი ხალთაში არ დაიმალა! ყოველივე ამის გამო დღეს საქართველოში ბავშვმაც კი იცის, ვინ არის ბატონი ასლან აბაშიძე და საით იყურება აჭარა, რომელსაც ის უდგას სათავეში!

ეს მართლაც ასეა, დღეს ამაზე აღარავინ დავობს, მაგრამ განსაცვიფრებელი ისაა, რომ წერილის თავდაჯერებულ ავტორს ყოველივე ამის ერთადერთ საფუძვლად „საქართველოს .რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული თავისივე წერილი მიაჩნია.

ის პირდაპირ წერს:

„როდესაც აჭარის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ხაზის განსხვავებული ხედვა (?) შევთავაზე მკითხველს (იგულისხმება ზემოთხსენებული პიბლიკაცია.-რ.ჯ.) ბევრი დუმილით შემხვდა. მათ შორის ის აპარატი, სადაც იმჟამად ვმუშაობდი. ის სახელმწიფოს მეთაურის აპარატი გახლდათ."

რა არის ეს თუ არა შემაზრზენი თვითრეკლამა, რაც არც ერთ სერიოზულ მოღვაწეს არ ეკადრება და თავშიაც არ მოუვა?

საქმეს კიდევ უფრო ართულებს ქათინაურები, რომლებიც ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს მოსდევს: აპარატი, სადაც ბევრი მაღალნიჭიერი ადამიანი მოღვაწეობს."

აპარატის მუშაკებს, როგორც ეხედავთ, ვერაფერი შველის, თვით მათი „მაღალნიჭიერებაც" კი. მჯობნის მჯობნი არ დაილია და, მადლობა ღმერთს, მათ შორის ერთს მაინც აღმოაჩნდა „ხედვა" აჭარის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ხაზისა!

ნამდვილად კი რა მოხდა? იმ დროისათვის, როდესაც ხსენებულ გაზეთში ხსენებული ავტორის წერილი გამოქვეყნდა, ბრძოლა სიმართლის დასადგენად აჭარისა და მისი ხელმძღვანელობის გარშემო უკვე დამთავრებული იყო. ეს ბრძოლა სრულიად სხვა პირებმა გადაიხადეს სრულიად სხვა სიტუაციაში და „აღორძინების" ფურცლებზე გამოქვეყ-

ნებული სტატიის ავტორს ამ ბრძოლაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია!

მაშ, რისთვის გვაყრიან თვალებში ნაცარს, რისთვის აყალბებენ სინამდვილეს, ავანსცენაზე საკუთარი პერსონის წამოჭიმვა ნუთუ ასე გადაულახავი ყინია?

ავტორი, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას, იხსენიებს საქართველოს პარლამენტის ჩასვლას ბათუმში. ეს მართლაც ასე იყო და ამ ვიზიტმა დამაგვირგვინებელი აკორდის როლი შეასრულა ავისა და კარგის გარჩევაში. ნუთუ საზოგადოებრივი აზრის ასეთი ცხოველი გამხვილება მართლაც ყველასათვის უცნობი ჟურნალისტის წერილმა მოახდინა და აქამდე სიბნელეში მყოფ ერსა და ბერს თვალები აუხილა?

არა, არ იყო ასე. თუ რა და როგორ ხდებოდა, ეს ცნობილია, ხოლო ვინც არ იცის, რა და როგორ იყო, ამ თემაზე წერილებს არ უნდა წერდეს, მით უფრო ჟურნალისტი, რომელსაც ჭეშმარიტების ღაღადის პრეტენზია აქვს. და სურს თავი მიუდგომელ მსაჯულად, მოვლენათა მართალ მემატიანედ წარმოგვისახოს!

აქ დავამთავრებდი, საქმე რომ უფრო რთულად არ იყოს, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ყოფილი თანამშრომელი ამით რომ კმაყოფილდებოდეს და მთლად დაუკრეფავში არ გადადიოდეს.

სტატიის ავტორი მწყობრად ჩამოთვლის აჭარის ხელისუფლების დამსახურებას და თავისებური ინტერპრეტაციითაც აგვირგვინებს:

„დაპირისპირება ძველ ხელისუფლებასთან? არა. ძალისმიერი მიდგომა აფხაზეთის პრობლემისადმი? არა. მონაწილეობა სამეგრელოს მოვლენებში? არა. დემოკრატობანას თამაში? არა. კონფლიქტი რუს სამხედროებთან? არა. ცენტრალური ხელისუფლების მორჩილება საკადრო პოლიტიკაში? არა. საერთო კავკასიური ოჯახის უარყოფა? არა. დაპირისპირება დასავლეთთან? არა. რუსეთთან? მით უმეტეს."

რა ვქნა, არა ვთქვა, რომ რამდენი სიტყვაცაა, იმდენი შეცდომა ან ტყუილია?

აღვიჭურვოთ მოთმინებით [illegible]

თუ ჩვენს ჟურნალისტს დავუჯერებთ, აჭარის ხელმძღვანელობა მთლად აპოლიტიკური ყოფილ[illegible], რადგანაც არც ძველ ხელისუფლებას უპირისპირდება და არც ახალს უჭერს მხარს. მაგრამ ის ხომ მთლიანი და განუყოფელი საქართველოს შემადგენელი ნაწილია. შეიძლება, ნაწილმა მთელისაგან განსხვავებული პოლიტიკა გაატაროს და ამან კონფლიქტის გარეშე ჩაიაროს? ეს რომ მართლა ასე იყოს, როგორც ჟურნალისტი შავით თეთრზე გვიმტკიცებს, რა დაერქმეოდა ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკურ კურსს? სეპარატიზმი! ძლივს მოხერხდა იმის დამტკიცება, რომ აჭარაში მსგავს მოვლენას ადგილი არა აქვს და ახლა პირუკუ ვაპირებთ ლაშქრობის წამოწყებას?

ავტორს ჰგონია, ან უნდა საქმე ისე წარმოადგინოს, რომ აფხაზურ კონფლიქტში, რომელიც მტრულმა ძალებმა საქართველოს თავზე მოახვიეს, აჭარას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და მთელი ამ ხნის მანძილზე დედა-სამშობლოსაგან განდგომილი იყო. მაშ, რისთვის იგზავნებოდა ბათუმიდან აფხაზეთში, სამთავრობო ჯარების და ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად, ათასობით ტონა სურსათ-სა-

ნოვაგე, ტანსაცმელი და იარაღ-საჭურველი? რას შეეწირნენ საშშობ-ლოს ერთიანობისთვის წასული ბათუმელი თუ ქობულეთელი, ქედელი თუ ხულოელი მამულიშვილები?

საქართველოს, მთელი ქართველი ერის უდიდესი სატკივარია, რაც სამეგრელოში მოხდა და ამჟამად ხდება. ის ადამიანები ან შეიარაღებულ ადამიანთა ბანდები, რომლებმაც თავიანთივე საშშობლოს მიწაზე არაკაცობა, სათაკილო საქმეები ჩაიდინეს და თავი შეირცხვინეს, ნუთუ ვინმეს საქართველოს დანარჩენი კუთხეების, ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ინტერესების გამომხატველი ჰგონია? ბანდიტი ბანდიტია. მას არც ეროვნება გააჩნია და არც შვილობრივი დამოკიდებულება მშობელი ქვეყნის რომელიმე კუთხესთან. თუ ნამდვილად სიკეთე გვინდა ერისათვის, გვიჯობს, სწორი აზრი მივიტანოთ ადამიანებთან, ჩვენს სისხლთან და ხორცთან და მაღალფარდოვნად კი არ შევძახოთ: „მონაწილეობა სამეგრელოს მოვლენებში? არა!" თითქოს ეს ამბავი სადღაც ცხრა მთას იქით ხდებოდეს და საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხეს ერთნაირად არ ესებოდეს!

თურმე საქართველოში ვიღაც „დემოკრატობანას" თამაშობს და ამას აკარა არამც და არამც არ აკუვება! ამას ამტკიცებს ჩვენი ავტორი და ვერკი ხედავს, რომ მისი ნიშნისმომგები სიტყვები სულ სხვა ბანაკიდან ნასროლ რეპლიკას ჰგავს, აი, იმ ბანაკიდან, რადაც ობივატელები, მათ შორის ნაფიცი პოლიტიკოსები, ამ ცოტა ხნის წინათ აკარას ნათლავდნენ.

რაც შეეხება უგუნურ კონფლიქტებს რუს სამხედროებთან, რომელთაც ადგილი აქვთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, აკარაში კი ამ მხრივ სრული სიწყნარეა, ჩვენს ბათუმელ ავტორს იგი თურმე ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკის ნაწილი ჰგონებია და, რაღა თქმა უნდა, ამ საქმეში ბრალსაც მასვე სდებს. ეს ხომ იგივეა, რასაც ოსტანკინოელი ტელეჟურნალისტები ამტიცებენ და საქართველოსათვის, მშვიდობისმოყვარე ქართველი ერისათვის თავლაფის დასასხმელად საქვეყნოდ გაჰყვირიან!

ვის პოზიციაზე დგას ჩვენი ავტორი, რომელსაც სრული შესაძლებლობა ჰქონდა, მოვლენებში უფრო ღრმად ჩაეხედა და სწორი დასკვნები გამოეტანა? ერის მტერს უმაგრებს ზურგს თუ მოყვარეს?

კადრების საკითხზე მსჯელობისას თავის ჩიქორთულ ფრაზაში „ცენტრალური ხელისუფლების მორჩილება საკადრო პოლიტიკაში? არა." ჩვენი ავტორი აკარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას სრულ განცალკევებისაკენ, ამ ბოლო დროს მოდაში შემოსულ და დამკვიდებულ ე.წ. ეროვნულ დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებს, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს რეალური აკარის რეალურ სინამდვილესთან.

სინამდვილეში რა ხდება? არსებული ტრადიციის მიხედვით არამცთუ „ცენტრალურ ხელისუფლებას" შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატი ავტონომიური რესპუბლიკის რომელიმე ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად, არამედ, პირიქით, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასაც აქვს სრული უფლება, ზემდგომ რესპუბლიკურ ხელმძღვანელობას რესპუბლიკური მაშტაბის ვაკანსიის შესავსებად თავისი კანდიდატი მიაწოდოს. საკითხი ამ შემთხვევაში სრული კოლეგი-

ალური ურთიერთგაგებით წყდება. რა შუაშია „ცენტრალური ხელისუფლების მორჩილება საკადრო პოლიტიკაში? არა!" ეს ფუკი ფრაზეოლოგია მხოლოდ იმას სჭირდება, ვისაც ქართული ცენტრისა და პერიფერიის ერთიანობა გულზე ლახვრად ესობა და უნდა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მათ შორის მტრობა და შუღლი ჩამოაგდოს!

გაუგებარია, რას გულისხმობს ავტორი, როდესაც „საერთო კავკასიური ოჯახის" უარყოფისათვის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ჯვარზე აკრავს, ხოლო მისი უარყოფის უარყოფისათვის აჭარის ხელმძღვანელობას ოსანას უგალობს.

რომელ პოლიტიკურ დოქტრინაზეა ლაპარაკი? სად არის ეს დოქტრინა, ვინ წამოაყენა და განახორციელა, რომ ან მხარდაჭერა შეძლებოდეს მისი და ან უარყოფა? ეს დოქტრინა ბუნებაში არ არსებობს, დროც მეტად არახელსაყრელი მგონია მისი წარმოქმნისათვის და სირცხვილმა მაინც არ უნდა შეგვაწუხოს, გაუგებარი ბრალდების გამო საქართველო უკანასკნელი სიტყვებით ვაძაგოთ, ხოლო მისი ნაწილი აჭარა ცამდე ავიყვანოთ?

„ცენტრალური ხელისუფლების" კიდევ ერთი უპატიებელი დანაშაული დასავლეთთან დაპირისპირება ყოფილა. თუ ასე არ არის, რატომ ვსვამთ კითხვას ამნაირად: „დაპირისპირება დასავლეთთან? არა."

ღირს, ავტორის მსჯელობას კვალში ჩაუდგე და ის აბსურდამდე მიიყვანო? მისი ეს მოსაზრება, რითაც ის საქართველოს საგარეო პოლიტიკისაგან აჭარას გამოჰყოფს და როგორც ნაწილს მთელთან აპირისპირებს, ან სრული უცოდინარობაა დღესავით ნათელი საგნისა და ან გაუგონარი ცილისწამება, რასაც ისევ და ისევ ოსტანკინოელ სიმართლის მაძიებლებთან მიყევართ!

იგივე ითქმის რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობაზეც, თუმცა აქ ავტორი ორიგინალურ ხერხს მიმართავს და დამხობილი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას რუსეთისადმი დამოკიდებულებაში ახლანდელ ხელისუფლებას მიაწერს. შეიძლებოდა უარესიც ექნა. ვინა ჰყავს დამშლელი!

აი, ეს გახლავთ სულ ავტორისეული ჩამონათვალი იმისა, თუ რაში სცოდავს „ცენტრალური ხელისუფლება" და რაში უპირისპირდება მაა აჭარის სწორ გზაზე მდგომი დემოკრატია. სინამდვილეში, როგორც დავინახეთ, ავტორის არც ერთ მოსაზრებას საყრდენი ნიადაგი აო გააჩნია. არც საგარეო და არც საშინაო პოლიტიკაში აჭარასა და დანარჩენ საქართველოს შორის არავითარი განსხვავება და ურთიერთდაპირისპირება არ არსებობს, ის არსებობს მხოლოდ ოსტანკინოელ ტელეეურნალისტთა თავში, რომლებსაც აჭარა საქართველოსაგან განსხვავებული ეთნიკური ერთეული ჰგონიათ და ყველა ღონეს ხმარობენ იმის მისაღწევად, რომ იგი დედა-სამშობლოს დაუპირისპირონ!

„მზერის კუთხის შემობრუნების" ავტორი მთელისა და მისი განუყოფელი ნაწილის ორი განსხვავებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოჩენით არ კმაყოფილდება და საკითხს უფრო აკონკრეტებს, ცალკეული ხელმძღვანელი პირების დაპირისპირებაზე გადადის. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია და ამაში სულ მალე დავრწმუნდებით.

„საინტერესოა აბაშიძისეული სტილი, – წერს ის. – იგი უამრავ რამეში არ ეთანხმება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, რო-

გორც ეკონომიკის ისე პოლიტიკის სფეროში, მაგრამ არასოდეს ახდენს ამის აფიშირებას, უფრო საქმეში ცდილობს თავისი ხედვის გამოხატვას."

არ უნდა იკითხოს კაცმა, ვის სჭირდება და ვისი საქმის წარმატებას ემსახურება ეს ერთობ სათუო დაედაჯერება? ვინ აღნუსხა და ვინ იანგარიშა, რაში დაეთანხმა ან არ დაეთანხმა ბატონი ასლან აბაშიძე „საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას"? ,რა გვაძლევს განზოგადების უფლებას? ფორმალური ლოგიკის კანონებს ხომ მაინც უნდა ვფლობდეთ! თუ ის, ბატონი ასლან აბაშიძე, თვით არ ახდენს თავისი საქმის „აფიშირებას", რატომ აკეთებს ამას ჟურნალისტი, რომელსაც გაცდილებით ნაკლები მონაცემები გააჩნია, ვიდრე თვით ბატონ ასლან აბაშიძეს და რომელიც გნებავთ წევრს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გუნდისა?!

სინამდვილეში ხომ ვიცით, რომ საქმე ასე სულაც არ არის. ბატონი ასლან აბაშიძე შემოქმედი პიროვნებაა, მისთვის არავითარი შაბლონი არ არსებობს. ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტას ის ყოველთვის შემოქმედებითად უდგება. ვინ დაუშალა მას, ხელმძღვანელს, ცოცხალ ადამიანს, საქმის წარმატებისათვის ახალი და საკუთარი გზები ეძიოს? განა ამ გზების ძიება და პოვნა რითიმე ეწინააღმდეგება „საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების" პრინციპებს? განა ის, „ცენტრალური ხელისუფლება" ამასვე არ უქადაგებს უკლებლივ ყველას, ვისაც კი საქართველოში რაიმე ეკითხება? ქუთაისის მერია და მისი ხელმძღვანელი თეიმურაზ შაშიაშვილი მაინც გავიხენოთ!

სტატიის ავტორი ტყავიდან ძვრება, რომ როგორმე ყველას წინაშე ბატონ ასლან აბაშიძის უპირატესობა დაამტკიცოს და აზრადაც არ მოსდის, რომ საწინააღმდეგო შედეგს იღებს, მეტად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ამ მართლაც არაორდინარულ, ჭეშმარიტ სახელმწიფო მოღვაწის მრავალი განუმეორებელი თვისებით შემკულ ადამიანს.

აი, თუნდაც ავიღოთ კადრების პოვნისა და გაბედულად მათი დაწინაურების საკითხი.

ბატონ ასლანს მაღალი სახელმწიფოებრივი პოსტი მიუნდვია ერთ ახალგაზრდა კაცისათვის, რომელსაც სტატიის ავტორი უაღრესად აღფრთოვანებულ რეკომენდაციას აძლევს. არა გვაქვს არავითარი საფუძველი, დავეჭვდეთ მის გულწრფელობაში ან პიროვნების შეფასების სამართლიანობაში. ახალგაზრდა, ეტყობა, მაღალ ხელმძღვანელ პოსტს იმსახურებს. ბატონმა ასლანმა ის შენიშნა და კიდეეაც მიანდო საქმე.

კეთილი და პატიოსანი.

მაგრამ რას წერს ჟურნალისტი შემდეგ?

„გიორგი თარგამაძის დანიშვნა ფაქტობრივად ახალი ფსიქოლოგიაა(?) საკადრო პოლიტიკაში!"

მეტისმეტად ხმამაღლა არ გამოგვდის, წინამდებარე სტრიქონი გინდამც სწორი ქართულით რომ იყოს დაწერილი? მეტისმეტად უხერხულ მდგომარეობაში არ ვაგდებთ დაწინაურებულსაც და დამწინაურებელსაც, რომელთაც ბრალი არაფერში მიუძღვით?

ამ ფაქტთან დაკავშირებით სტატიის ავტორს ისევ სახელმწიფოს მეთაურის აპარატი ახსენდება, სადაც ადრე მუშაობდა და წერს:

„ახალი ადამიანის მოყვანა პასუხისმგებელ თანამდებობაზე ძველი სტრუქტურების ჯერ ფსიქოლოგიურ მსხვრევას გულისხმობს, მერე ფიზიკურს(?) სახელმწიფოს მეთაური ვერ ხედავდა ამას ბოლომდე, ყოველ შემთხვევაში თავის აპარატში, მიუხედავად იმისა, რომ იგი გრძნობდა და გრძნობს თანამედროვე სულს. გიორგი თარგამაძეს, როგორც ტელეჟურნალისტს, როგორც მოქალაქეს და პიროვნებას, მიუხედავად ძალზე ახალგაზრდა ასაკისა (ასაკი არც ახალგაზრდა შეიძლება იყოს და არც ხანდაზმული.-რ.ჯ.) უკვე მთელი საქართველო იცნობს, მაგრამ, დამერწმუნეთ, ვერავინ გაბედავდა მთელ საქართველოში მის ასეთ მაღალ და პასუხსაგებ პოსტზე გაყვანას(?), გარდა ასლან აბაშიძისა."

მე აღარ მომყავს ამ აბზაცის ბოლო ნაწილი, რომელიც კიდევ უფრო შორს მიდის და გონების შემარყეველ განზოგადებებს შეიცავს!

გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით: სჭირდება ეს დღეს ან თარგამაძეს, ან აბაშიძეს, ან შევარდნაძეს და ან საქართველოს, თუ არ ჭირდება და მხოლოდ დათვურ სამსახურს უწევს ერთსაც, მეორესაც, მესამესაც და მეოთხესაც, მაქვს თუ არა უფლება ვიკითხო, რატომ დაიწერა და დღის სინათლეზე რისთვის გამოვიდა?

არ მოველოდი, თუ წერილი ასე დიდი გამოვიდოდა და ამდენ დროსა და ენერგიას წამართმევდა. ამიტომ შევწყვეტ. ბოლომდე არ გავყვები ათას შეუსაბამობას, რომელიც „მზერის კუთხის შემობრუნებაში" შეიძლება კაცმა ამოიკითხო, მკითხველის ყურადღებას მხოლოდ იმაზე-ღა გავამახვილებ, რომ ავტორი მეტისმეტ გაბედულებას იჩენს ამა თუ იმ ტერმინის ან მოვლენის დახასიათებისას და არად დაგიდევს შედეგს, რაც შეიძლება ამას მოჰყვეს.

თავისი სამშობლო მას, მაგალითად, „მსხვრეულ და დაქუცმაცებულ საქართველოდ" მიაჩნია. თავი დავანებოთ ამ ჩიქოროულ „მსხვრეულს", ავტორი აზროვნების ორიგინალობის გამოსამჟღავნებლად რომ მიმართავს და მაშინვე უნდობლობას აღძრავს, მივმართოთ მეორე ადგილს. იქ სწერია: „დაქუცმაცდა საქართველო, დაიმსხვრა კუთხეებად, პოლიტიკურ პარტიებად და მიმდინარეობებად, ძველი და ახალი ხელისუფლების მომხრეებად."

მეკი, 70 წელს გადაშორებულმა კაცმა, მსურს გავამხნევო სტატიის ავტორი და ისინიც, ვინც შეიძლება ასე ფიქრობდეს და ჩემოდანს აწყობდეს საზღვარგარეთ გასაქცევად, რათა უკან მაშინ დაბრუნდეს, როდესაც სხვისი სისხლისა და ოფლის ფასად ყველაფერი დალაგდება. არა, ბატონებო, პანიკას ნუ მიეცემით, ტანზე ნუ შემოიხევთ, ბუჩქი მგლად ნუ მოგეჩვენებათ. საქართველო არ დაყოფილა კუთხეებად, არ დაშლილა, არ დამსხვრეულა, როგორც „აღორძინებაში" გამოქვეყნებული სტატიის ავტორი გვარწმუნებს და ეს დიდ ტრაგედიად მაინც და მაინც არ მიაჩნია, რადგანაც წვრილმანებზე საუბრის ხალისი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს. პოლიტიკურ პარტიებად და მიმდინარეობებად საზოგადოების დაყოფა დრომ მოიტანა და ის ნიშანია არა მსხვრევისა, არამედ აღმშენებლობისა, ახალი თავისუფალი, ღვთის მორწმუნე, ზნეობით ცამდე ამაღლებული საქართველოს აღმოცენებისა.

1993 წ.

მთელი საქართველო, ყოველი ქართველი, ვისაც ამ საყოველთაო დაქვეითების, ზნეობრივი დაცემის ეპოქაში სინდის-ნამუსი კიდევ შერჩენია, გაოგნებული და შეძრწუნებულია. რა ხდება? სიკეთისა და თავისუფლების ამ ნანატრ დროს, როდესაც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ხალხთა საპყრობილეში გამომწყვდეულმა ერებმა, მათ შორის ქართველობამ, მონობის უღელი გადაიგდეს და ძლივს შვებით ამოისუნთქეს, რა ემართება ჩვენს ხალხსა და ქვეყანას? რა უდევს საფუძვლად ძმათა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას? აკი 9 აპრილს ყველა ერთად ვიყავით და ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმულნი ქართული სახელმწიფოებრივობის აღდგენისათვის ვიბრძოდით? რისთვის გახლეჩილა საზოგადოება ორ ნაწილად, რისთვის გვემუქრება კარზე მომდგარი სამოქალაქო ომი, რა ვერ გავიყავით? რისთვის დამდგარან ერთმანეთის პირისპირ ქართველთა შეიარაღებული ძალები ცხენისწყლის გაღმა-გამოღმა მხარეს? რა შუაშია ეს პირტიტველა ახალგაზრდები, ავტომატები რომ ჩაუბღუჯავთ და უკანასკნელ ბრძანებას-ღა ელიან, რომ ერთმანეთი გაიმეტონ? იცის თუ არა ქართველმა ერმა, იციან თუ არა ამ სასიკვდილოდ გამეტებულმა ჭაბუკებმა, რაზეა დავა, რისთვის იწირება ათასობით თანამემამულის, ერის მომავალის სიცოცხლე?

არა, არ იცის! ჯერ ყველა საგანს თავისი სახელი არ დარქმეულა!

საქმე ეხება ერთადერთ სავარძელს! ვინ ჩაჯდება ამ სავარძელში და მის კვალობაზე ვინ დაიკავებს სხვა, უფრო მომცრო სავარძლებს. მიუხედავად იმისა, მესწევს თუ არა უნარი, ჯერარნახული ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანოს ქვეყანა, დაიხსნას იგი ფიზიკური განადგურებისაგან, არა აქვს არავითარი მნიშვნელობა არც რეფერენდუმს, არც საერთაშორისო მეთვალყურეების თვალწინ ჩატარებულ დემოკრატიულ არჩევნებს, არც მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს. არაფერს, არაფერს არა აქვს მნიშვნელობა. მტყუანი და მართალი, როგორც ჩანს, ავტომატმა უნდა გაარჩიოს, მაგრამ განა ისინი გამოდიან ცეცხლის ხაზზე, ვისაც სავარძელი ელოდება, მათ წინ დემაგოგიით გაბრუებული, გზას აცდენილი, ანდა დაშინებული თანამემამულენი, იგივე საზარბაზნე ხორცი უყენიათ და ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლეს ამოფარებულნი დასახულ მიზნისაკენ წარბშეუხრელად მიიწევენ!

თუნდა განახევრდეს საქართველო, თუნდ გაქეოთხედდეს, თუნდ ერთ კუთხემდე და ერთ სოფლამდე დავიდეს, ზოგიერთის თვალში ის მაინც საქართველო იქნება და მოიპოვება ქვეყნად პიროვნება. ქართველი, ჩვენი სისხლი და ხორცი, ვინც ამგვარი საქართველოს პრეზიდენტობას არ ითაკილებს. მთავარია, კაცს პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური გერქვას და სულ ერთია, რის პრეზიდენტი იქნები. ძალადანვითარებული, მსოფლიოში პატივცემული კულტურული ქვეყნისა, თუ უკიდურესად ჩამორჩენილი, ათასი ყაჩაღის მიერ გაძარცვული. შინა ომებში გაჩანაგებული, შიმშილობის ზღურბლზე მისული, შინაურ და გარეშე მტრებისაგან მასხარად აგდებული სახელმწიფოსი!

ძნელია კაცმა დაიჯერო ასეთი პიროვნების არსებობა, მაგრამ უფრო ძნელია ირწმუნო, რომ არსებობს ქვეყანაში ათასობით ადამიანი,

ვისაც მიაჩნია, რომ ქვეყნის სათავეში სწორედ ის უნდა იდგეს, ის, ვისაც მშობელი ერი და ქვეყანა თავისი სავარძლის გულისათვის განწირული ჰყავს, ვინც ათასობით მკვლელსა და მძარცველს აგზავნის საკუთარ სამშობლოში, ვისაც თავისი მშობლიური ქვეყანა ისე ვერ წარმოუდგენია, თუ მის სათავეში თავად არ იქნება!

უნახავს ვინმე სადმე და მითუმეტეს დემეტრე თაედადებულის, ლუარსებ მეფის და ქეთევან დედოფლის საქართველოში, ერი და ქვეყანა პიროვნების ამბიციებს, მის ყოვლად დაუმსახურებელ განდიდებას შესწირვოდეს. თუ თავად პიროვნებამ სინდისზე ხელი აიღო და მზადაა, სამშობლოც და ერიც თავის პირად აღზევებას ანაცვალოს, არ უნდა ვიკითხოთ, სადაა თვით ერი, ვის თავზედაც ისტორიის დოლაბი ტრიალებს, სადაა მისი ფხიზელი გონება, მისი თავმოყვარეობა, ელემენტარული საღი აზროვნების უნარი?!

ნუთუ ყველაფერი ერთად დავკარგეთ და ახლა, ოღონდ კი ეაამოთ ჩვენს გულის რჩეულს, თვალდახუჭული უფსკრულში მივექანებით?

ვაი რომ ასეა და ჩვენი გადარჩენა ახლა მხოლოდ ღვთისაგან მოვლენილ სასწაულს შეუძლია!

მთელი საქართველო, ქართველთა დამოუკიდებელი სახელმწიფო ძაფზე გამობმულ საგანს ეგავართ, რომელიც სივრცეში ჰკიდია და საკმარისია გაწყდეს ღვთისაგან ბოძებული ეს ძაფი, როგორც ზღაპარშია ნათქვამი, უფსკრულში ისე ჩავინთქებით, ჩვენს ასავალ-დასავალს ყვავ-ყორანიც ვეღარ მიაკვლევს!

ამას რომ ვამბობ, ვისიმე აკვიატებული სიყვარული როდი მალაპარაკებს, მალაპარაკებს რეალობის გრძნობა, საღი აზრი, რომელიც მეტნაკლებად ყველას გააჩნია, ვინც ღმერთმა არ დასაჯა და გონი მთლად არ წაართვა!

საქართველოს შვილები, ყველა ერთად, წაღმართნიც და უკუღმართნიც, ვინც ღმერთმა ერთ მიწა-წყალზე, ერთმანეთის გვერდით დაგვასახლა, წინდაუხედავად ვეჯაჯგურებით ამ ძაფს, უგუნური აღტაცებით ვცდილობთ მის გაწყვეტას და არ გვინდა, რეალობას თვალი გავუსწოროთ, წარმოვიდგინოთ, ამას რა მოჰყვება.

შეეუშვათ თუ არა თავში, დავიჯეროთ თუ არა ერმა და ბერმა, წაღმართმა და უკუღმართმა, რომ ეს ძაფი, ერთადერთ საიშედო საყრდენი, რაც სივრცეში გვამაგრებს, ედუარდ შევარდნაძეა. კანონიერ დემოკრატიულ არჩევნებში ქართველმა ხალხმა სახელმწიფოს მეთაურად რომ აირჩია, ხოლო უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, პარლამენტმა, იგი საგანგებო უფლებებით აღჭურვა!

— გადადგეს შევარდნაძე! — გაჰყვირის მავანის ფეხმისხმას აყოლილი რამდენი ვიგინდარა და ამას იმეორებს სავარძლის მაძებარ უმეცართა მიერ გაბრიყვებული მასა, კბილებამდე შეიარაღებული რომ დამდგარა ცხენისწყალს გაღმა და თუ ეს კატეგორიული, ქვიშაზე აშენებული მოთხოვნა არ შეეუსრულეთ და „ვერცხალა ბიჭს" სავარძელი არ გავუთავისუფლეთ, სამშობლოს წალეკვით ემუქრება.

კარგი, ვთქვათ, გადადგა შევარდნაძე. ეს ძნელი საქმე სულაც არ არის, რადგან ჯოჯოხეთი, რაშიაც საკუთარი ნებით ჩავარდა, პირადად მას არაფერში სჭირდება, მაგრამ, ხუმრობაგაშვებით, ვინ შეიძლება დადგეს მის ადგილზე, ვის შეუძლია დღეს მისი შეცვლა, ამაზე თუ

გვიფიქრია? ნათლად გვაქვს თუ არა წარმოდგენილი „შევარდნაძის ფენომენი“, რომელიც დედამიწის ხუთსავე კონტინენტზე კარგად ცნობილია, მხოლოდ ერთი ციცქნა საქართველოა გამონაკლისი, თითქოს ის დღესაც ამ სამყაროს მილმა იმყოფებოდეს. ვიცით თუა არა, როგორ მოვიხმართ შევარდნაძის ტალანტს, კულტურული მსოფლიო ამით ქართველი ერის ინტელექტუალურ რეიტინგს შეაფასებს.?

გვიფიქრია თუ არა იმაზე, რომ ედუარდ შევარდნაძის წასელით, ე.წ. გადადგომით საქართველო სრულ პოლიტიკურ იზოლაციაში აღმოჩნდება, გაცილებით მეტ იზოლაციაში, ვიდრე ქვეყნის სათავეში მის მოსვლამდე იყო, რომ გაწყდება და დაიწყებას მიეცემა საერთაშორისო კავშირები,რომ აქეთ აღარავინ გამოიხედავს, მათ შორის არც მსოფლიო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა ამერიკის შეერთებული შტატები, ავანსცენიდან ჯურღმულში გადავინაცვლებთ. იმპერიალისტური რუსეთი თავს აიშვებს, ხოლო მანამდე ლუკმაპურის უქონლობით გაგიჟებული საქართველოს მოსახლეობა ერთმანეთს დაჭამს?!

ყოველივე ამის გამო პასუხისმგებელი ვინ იქნება. ან ვისიმე პასუხისმგებლობა ვის რას უშველის, როდესაც ერი და ქვეყანა პირისაგან მიწისა აღვიგვებით?

თუ უფიქრიათ ყოველივე ამის გამო იმათ, პარლამენტის ტრიბუნაზე რომ გადმოდგებიან ხოლმე, სიძულვილის შხამს ანთხევენ და ჰგონიათ, რომ სიძულვილი ერთადერთი მასალაა ქვეყნის ასაშენებლად!

არა, ძვირფასო თანამემამულეებო, სიძულვილით, ასე რომ გაუდგამს ფესვი ქართულ ნიადაგში, ჩვენს საზოგადოებაში და პარლამენტში, არასოდეს არაფერი აშენებულა, პირიქით, აშენებულიც დანგრეულა!

ცეცხლს ნუ ვეთამაშებით! ნუ დაგვავიწყდება, რომ ისტორია ჩვენს თვალწინ იქმნება, ჩვენვე ვქმნით ამ ისტორიას და ნუ ვიზამთ ისე, რომ ჩვენ აღმოვჩნდეთ ის ტრაგიკული თაობა, რომელმაც მრავალ ჭირსა და ვაებაში გამოვლილი საქართველო უფსკრულში გადაჩეხა და ქვეყნიერებაზეც სამუდამოდ წაშალა მისი სახსენებელი!

10 სექტემბერი 1993 წ.

ვის მხარეზეა სიმართლე?

მოსკოვში მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მეოთხე რაუნდი. ჯერჯერობით კაცმა არ იცის, დამთავრდება თუ არა ამ რაუნდით ეს მოლაპარაკება და დასდებენ თუ არა მხარეები კეთილმეზობლურ ხელშეკრულებას, რომლის დადება-არდადების მიზანშეწონილების თაობაზე ასეთი დიდი მითქმა-მოთქმა და აზრთა უკომპრომისო ჭიდილია ჩვენს საზოგადოებაში.

ვის მხარეზეა სიმართლე? იმათ მხარეზე, ვინც ასეთი ხელშეკრულების დადებას ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად და ფეხქვეშ გათელვად თვლის, თუ იმათ მხარეზე, ვისაც იგი, ეს ხელშეკრულება, უდიდეს განსაცდელში მყოფი საქართველოს კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთ გადამწყვეტ საშუალებად მიაჩნია?

როგორი უნდა იქნეს დღეს და მომავალში ჩვენი სახელმწიფოებრივი ურთიერთობა რუსეთის მეტროპოლიასთან? უნდა დავამყაროთ თუ არა მასთან ეკონომიკური და სხვა სახის კავშირები, თუ ისიც დავწყვიტოთ, რაც აქა-იქ შემოგვრჩენია და მისი სრული იგნორირება მოვახდინოთ?

შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ორივე მხარეს ჭარბად გააჩნია თავისი მოსაზრების დამადასტურებელი და ამავე მოსაზრების გამამბათილებელი საბუთები!

უბედურება იქნებ არც ისე დიდი ყოფილიყო, დაპირისპირებულ შეხედულებათა ჭიდილი მხოლოდ აზრის სფეროში რომ მიმდინარეობდეს, მავანი და მავანი ოპონენტთან კამათს, სიტყვას რომ სჯერდებოდეს და ბანდიტურ თავდასხმებს არ აწყობდეს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის სამხედრო ნაწილებზე, იარაღს არ იტაცებდეს, სისხლის ღვრასაც არ ერიდებოდეს და ყოველივე ამას, მისი აზრით, საქართველოს საკეთილდღეოდ, ძველი და ახალი ჯავრის ამოსაყრელად რომ არ სჩადიოდეს.

რესპუბლიკაში ჩამოვარდნილი ეს საგანგაშო ვითარება ძაბავს ჩვენს სახელმწიფოებრივ ურთიერთობას რუსეთთან, მის შეიარაღებულ ძალებთან, რომლის მილიტარისტულ გენერალიტეტსაც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისათვის დღემდე ვერ უპატიებია მისი ისტორიული დამსახურება კომუნისტურ იმპერიალიზმისაგან ევროპის განთავისუფლების და საომარი ფსიქოზის გაუვნებლების საქმეში. საბოდიშო განცხადებები და დაღუპულთა ოჯახების მიმართ თანაგრძნობის გამოცხადება, რომლებსაც ჩვენი მთავრობა აკეთებს, სასურველ მიზანს ვერ აღწევს და ალალმართალი ქართველი ხალხი, საქართველოს მთელი მოსახლეობა, არაფერ შუაში რომ არ არის, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე დამნაშავის როლში გამოდის.

დასამალი როდია: გულისწყრომის საფუძველი ნამდვილად არსებობს. მარტო აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების პროვოკაციული მოქმედებები, მშვიდობიანი სოხუმის დაბომბვების და ცხინვალის რეგიონში ვითომდა სამშვიდობო მისიით მოსული სამხედრო კონტიგენტის გახსენება რად ღირს! პირველნი გამოუცხადებელ ომს ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო მეორენი თავიანთი დანაშაულებრივი წაყრუებით ხელს უწყო-

ბენ ახალი ხანძრის გაღვივებას შიდა ქართლში. მათი ფარული მხარდაჭერით აუარებელი იარაღ-საჭურველი შემოდის ყოფილი საძმრეთ ოსეთის მიწა-წყალზე და ყოველი დღის გათენება ახალ დაუნდობელ ხოცვა-ჟლეტასთან გვაახლოებს!

მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ გამოდგება იმის საბაბად, ეს ეს ერთმორწმუნე მეზობელს, ვის ძლიერ ფრთებსაც ძნელბედობის ჟამს შეევეფარეთ, არა ერთჯერ ციხეებურად [illegible] საქართველოსათვის, ბრძოლის ველს არა ერთჯერ მაშინ ვასცლია, როდესაც საქართველოს დანა და ყელი ერთად ჭრილია და [illegible]ული მტრის პირისპირ იგი მარტოდმარტო მიუტოვებია.

საამისო მაგალითები უამრავია და მათი მოტანა XVI საუკუნის დამლევიდანვე შეიძლება, როდესაც რუსეთის ხელმწიფე ივანე მრისხანის გონებასუსტი მემკვიდრის თეოდორეს დროს რუსმა დიპლომატებმა ფეხი პირველად დაადგეს ქართულ, კერძოდ, კახეთის მიწას.

აი, თუნდაც 1723 წელი.

რუსეთის ხელმწიფე პეტრე დიდმა ავღანელების მიერ შეეიწროებულ სპარსეთზე გალაშქრება მოინდომა, რათა ოსმალებისათვის დაესწრო, მისთვის კასპიისპირა მიწები წაერთმია და მოკავშირედ ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე მიიწვია.

ვახტანგმა მთელი თავისი სამხედრო ძალის მობილიზაცია მოახდინა და 40 ათასი რჩეული მხედრით შუა ზაფხულის პაპანაქებაში განჯის გზას გაუდგა. აქ, შეხვედრის დათქმულ ადგილას, ზაფხულის მიწურულამდე ელოდა დიდი ჩრდილოელი მეზობლის გამოჩენას, მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი და ომების ისტორიაში გაუგონარი რამ: იმპერატორი პეტრე დიდი ფლოტითა და არმიითურთ ასტრახანში კი ჩამოვიდა, მაგრამ აქ რაღაც მოიმიზეზა, უკან გაბრუნდა და ლაშქრობა მომავალი წლისათვის გადასდო.

ქართლს ეს უსინდისო ღალატი სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაკარგვად დაუჯდა. მას ოსმალები შემოესივნენ, აიკლეს და ტფილისი ვილაიეთად გამოაცხადეს. რუსეთი ზავით შეეკრა დამპყრობელს და მოტყუებული ქართლი, აწ უკვე ტფილისის ვილაიეთი, მას საჯიჯგნად მიუგდო. მთებში გახიზნული მეფე ვახტანგი იძულებული შეიქნა, 1200 რჩეული პირი ეახლებინა და რუსეთის ემიგრაციაში წასულიყო იმ იმედით, რომ პეტრე დიდის ძლევამოსილი არმიის თანხლებით მომდევნო წელიწადს უკან მობრუნდებოდა და ურჯულო მტრის მიერ იავარქმნილ სამშობლოს გამოიხსნიდა.

მეფის ოცნება და ვარაუდი ახლაც უნიადაგო გამოდგა. არც საქართველო და არც საგაისოდ გადადებული სპარსეთის კომპანია რუსეთში აღარავის გახსენებია. პეტრე დიდმაც სული განუტევა და შინ გამობრუნებულმა გულგატეხილმა მეფე ვახტანგმა, რომლის ბრწყინვალე ამალის ნახევარზე მეტი რუს ხელმწიფის სამსახურში შესულიყო და უკან აღარ გამოპყოლია, თავისი ტანჯული ძვლები ასტრახანის მიწაში ჩაჰყარა.

მაშინ არ იყო არც ნიუ-იორკი და არც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. რუსეთის ორპირობა და ღალატი არავის დაუგმია და ის მხოლოდ საქართველოს ისტორიაში დარჩა, რადგანაც მსოფლიო ისტორიას მსგავსი წვრილმანებისათვის არა სცალია.

1768 წელს რუსეთმა ომი აუტეხა თურქეთს. კავკასიის ფრონტის გასახსნელად იმპერატორმა ეკატერინემ იმერეთის მეფე სოლომონ პირველს, თანახმად მისივე თხოვნისა, ჯარი გამოუგზავნა. რუსეთ-პრუსიის შვიდწლიანი ომის მონაწილე სალდაფონმა გენერალმა ტოტლებენმა, რომელიც საექსპედიციო კორპუსს სარდლობდა, მეფე სოლომონს ქუთაისის ციხის ალყის დროს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა, მოსისხლე ოსმალების ფარული ხელის შეწყობა დააბრალა, როგორც მოღალატეს, სახეში შეაფურთხა, ბრძოლის ველზე მარტო დასტოვა, ფრონტი გააშიშვლა, რამაც მეფის მცირერიცხოვან ლაშქარს მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა და პროვიანტის მოსამარაგებლად და გამოსაზამთრებლად ქართლში გადავიდა.

იმავე ტოტლებენმა სამცხეში ულალატა მისივე დაჟინებული მოთხოვნით ახალციხის ასაღებად აღძრულ მეფე ერეკლეს და იმის მაგიერ, იერიშზე გადასულიყო, ჯარი უკან გამოაბრუნა და თბილისის ასაღებად ქართლში შევიდა. ერეკლემ თავი დაიმცირა: აბ სიტყვის პირდაპირი გაგებით დაუჩოქა რუსის გენერალს და შეევედრა, ნუ დაგვღუპავ, ახლა რაღა დროს ჩვენი დატოვებაო. არ შეისმინა ტოტლებენმა, შეიკრა ქართლში და გორი აიღო, სადაც დაუცველად დატოვებული თბილისის აღების სამზადისს შეუდგა.

რაკი უკან დასაბრუნებელი გზა მოკრილი ჰქონდა, ერეკლე წინ წავიდა, ახალციხეს გვერდი აუქცია, ასპინძასთან ჩასაფრებულ მტერს წააწყდა, რომელმაც ომი გაუმართა და ჯავახეთის გზით თბილისს მოამურა, რათა იგი თავისი მოკავშირის შემოტევისაგან დაეფარა.

მოკავშირეც ასეთი უნდა!

1783 წელს გეორგიევსკში ხელი მოაწერეს რუსეთ-საქართველოს მფარველობით ტრაქტატს. ტრაქტატის სათანადო მუხლის თანახმად ქართლ-კახეთის მეფე უარს ამბობდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე და თავს რუსეთის ხელმწიფის ხელდებულად აცხადებდა. მამაპაპური სამართლის წესით ტახტზე ასული ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან რუსეთის ხელმწიფეს უნდა დაემტკიცებინა და სამეფო ნიშნებიც მისგან უნდა მიეღო. სამაგიეროდ, მფარველობაში შესული ქართლ-კახეთი სრულ შინაგან თვითმმართველობას ინარჩუნებდა და ქვეყანა კვლავინდებურად მეფესა და მის ადმინისტრაციულ აპარატს უნდა გახეგო.

რუსეთი, თავის მხრივ, კისრულობდა უზრუნველყო ქართლ-კახეთის უშიშროება და ამ მიზნით მის ტერიტორიაზე გამუდმებით უნდა ყოლიყო ორი ბატალიონი „რეგულის ჯარი“.

ერთხანს, ვიდრე რუსეთის მმართველ წრეებში ახალი მზაკვრული იდეა თავს იჩენდა, ყოველივე მშვიდობიანად მიმდინარეობდა, რუსეთის ორი ბატალიონი კახეთის მცხუნვარე მზეს ეფიცხებოდა და საქართველომაც სული მოითქვა მარბიელთა შემოსევებისაგან.

მალე ქართლ-კახეთის სუვერენული მეფე და ქვეყნის შინაგანი ავტონომია რუსხელმწიფის კაცებმა ზედმეტ ფუფუნებად მიიჩნიეს. საკი-

რო გახდა, ქართლ-კახეთის სრული ანექსიისათვის სამართლებლივი საფუძველი შეექმნათ და საერთაშორისო სარბიელზე რუსეთი ახლაც მშვიდობისა და სამართლიანობის მაძიებელ ქვეყანად წარმოესახათ. გაჩაღდა საიდუმლო ემისრების მისვლა-მოსვლა თეირანსა და სანკტ-პეტერბურგს შორის. ეს მისვლა-მოსვლა ბოლოს იმით დაგვირგვინდა, რომ რუსის ბატალიონებმა, წინაალმდეგ გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულებისა, ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ფარგლები დასტოვეს და სამშობლოში დაბრუნდნენ.

ამ ფაქტის გამოც დუმს მსოფლიო ისტორია. მისი გლობალური მაშტაბებისათვის ესეც ხომ წვრილმანია! ეს კი მოხდა 1795 წელს, აღა-მაჰმადხანის მიერ, თბილისის აოხრების წელს. როდესაც მოხუცებული მეფე ერეკლე ღალატისა და ლაშქრის სიმცირის გამო იძლია კრწანისის ველზე და სამი წლის თავზე კიდევაც გარდაიცვალა.

ლოგინად ჩავარდნილი გიორგი მეთორმეტე, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, ხელოვნურად შექმნილმა საგარეო და საშინაო ვითარებამ აიძულა ხელი მოეწერა ცნობილ „ვედრების პუნქტებზე", ქართველი დიპლომატებიც ასევე იძულებული გახდნენ კარზე ტალახი აეყენებინათ იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძისათვის და უსაშველოდ დასუსტებულ თავიანთი სამშობლო, რომლის მოსახლეობის საერთო რიცხვი 800 ათას სულამდე დაეცა, მისთვის სინით მიერთმიათ, შეირთეთ და ისე მოექეცით, როგორც საჭიროდ დაინახავთო.

ეს სამწუხარო ფაქტი ბევრმა ვინმემ არ იცის, თუმცა საქართველოს ისტორიაში შავით თეთრზე სწერია.

ამგვარად, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, არც მწვადი დაიწვა და არც შამფური. ასე მოიშალა მეფეთა ტახტი საქართველოში და ასე გადაიქცა იგი რუსეთის ორ განაპირა გუბერნიად!

რუსეთმა, ამჯერად უკვე საბჭოთა რუსეთმა, საქართველო კიდევ ერთხელ 1918 წელს გაჰყიდა, როდესაც ბათუმი და ბათუმის ოლქი, ზავის პირობის თანახმად, თურქეთის ტერიტორიულ კუთვნილებად გამოაცხადდა. ლენინის დავალებით ზავს ხელი მოაწერა ჩიჩერინმა და მსოფლიო ისტორიის მასშტაბით უმნიშვნელო, მაგრამ პატარა საქართველოსათვის ერთობ მნიშვნელოვანი უსამართლობა ჩაიდინა.

ამას მოჰყვა 25 თებერვალი. მე-11 არმიას ფეხქვეშ გაათელვინეს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და საქართველოსავე შვილების ხელშეწყობითა და სარდლობით თბილისის თავზე კომუნისტური რუსეთის წითელი დროშა ააფრიალეს!

ისტორიული ტრადიცია, ერთ-ერთი ძირითადი ქვეტექსტი სადღეისო ურთიერთობებისა, როგორც ვხედავთ, კარგს არაფერს გვეუბნება, თუმცა კეთილსინდისიერება მოითხოვს აქვე ისიც აღინიშნოს, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლისა და მასთან „ნებაყოფლობით" შეერთების შემდეგ სამეფო-სამთავროებად დაქსაქსული და ნაწილობრივ სხვა ქვეყნების საზღვრებში მოქცეული საქართველო ტერიტორიულად გაერთიანდა და მცირე გამონაკლისების გარდა აღდგა თავის ისტორიულ საზღვრებში.

ქართული მიწების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული თავმოყრა, რაც XIX საუკუნის განმავლობაში რუსული იარაღის შემწეობით ხორციელდებოდა და მარტოოდენ ქართველი ხალხის ძალისხმევით მისი

მოხდენის ცდაც კი აუხდენელი ოცნება იყო, რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა და, რასაკვირველია, ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ ინტერესებთან საერთო არაფერი ჰქონდა.

სახელმწიფოებისა და ხალხების ურთიერთობებში სენტიმენტალობას ადგილი არ რჩება და, როგორც წესი, ორივე მხარე ყოველთვის პირადი სარგებლიანობის თვალსაზრისით მოქმედებს. ასე იქცეოდა და იქცევა რუსეთიც და რადგანაც ძალა შესწევს ქადილისა, მას ამის გამო სამარცხვინო ბოძზე ვერავინ გააკრავს!

როგორც სუბიექტს, ქართველ ხალხს, მართლაც აქვს სრული მორალური უფლება, ნაწყენი და გულაცრუებული იყოს რუსეთზე, როგორც სუბიექტზე, ნაწყენი და გულაცრუებული იყოს თუნდაც იმ რამდენიმე ისტორიული ფაქტის გამო, ზემოთ რომ გავიხსენე, მიიჩნდეს ის ოკუპანტად, მაგრამ არ იქნება დიდი პარადოქსი თუ ვიტყვი, რომ სუბიექტური ფაქტორი პოლიტიკაში ყველაზე ნაკლებ როლს ასრულებს და უხეშ შეცდომას ვერ ასცდება ის სახელმწიფო მოღვაწე თუ მთავრობა, ვინც პოლიტიკის ქვაკუთხედად მის გამოყენებას მოინდომებს!

დიდი დაკვირვება და სიბრძნე არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ რუსეთი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაღატაკებული და შიმშილობის ზღვარზე მისული უზარმაზარი ფედერალური სახელმწიფო, დღესაც არანაკლები წარმატებით მისდევს იმპერიული ცხოვრების წესს, როგორც აქამდე, კომუნისტური იმპერიის დანგრევამდე მისდევდა.

ამის თავდებია თუნდაც 3 სექტემბრის ხელშეკრულების მაუდქვეშ ამოდება, რუსეთის პარლამენტის უცერემონო ჩარევა საქართველოს შინაურ საქმეებში და სალდაფონი გენერლის, რუსეთის შეიარაღებული ძალების მინისტრის გამომწვევი ეოიაჟი გუდაუთასა და ბათუმში.

იმპერიული სულისკვეთება არამცთუ კბილებამდე შეიარაღებული გენერლის, ყოველი რუსი ადამიანის ბუნებაში ზის და მას საზოგადოებრივი წყობის ვერავითარი გარდაქმნით ვერ აღმოფხვრი. ეს, ალბათ, მრავალრიცხოვანი ერის შვილის განუყრელი თვისებაა. ასეთები იყვნენ და ასეთებად დარჩნენ შუა საუკუნეების ესპანელები, ინგლისელები და ისევ და ისევ რუსები, უფრო ადრე კი სპარსელები, არაბები, თურქსელჩუკები და სხვები.

დიდმა ლევ ტოლსტოიმ, ყველა დროის სწორუპოვარმა ჰუმანისტმა, დიდმა მაქსიმ გორკიმ და ბევრმა სხვა გამოჩენილმა რუსმა მწერალმა ისე იცხოვრა საქართველოში, თბილისში და შექმნა საყოველთაოდ გახმაურებული ნაწარმოებები, რომ ქართველი კაცი, ვისი გულითადი სტუმართმოყვარეობითაც სარგებლობდა, არც კი შეუმჩნევია და, ბუნებრივია, არც არსად გამოუხატავს, ხოლო რაც შეეხება ლერმონტოვს, მან ქართველი კაცი მხოლოდ ბრძოლის ველიდან გაქცეული დაინახა!

ეს ფაქტია და ამას, პატარა ხალხის ხვედრს, რადგანაც ღმერთმა მისი შვილობა გვარგუნა და არა იმ ხალხისა, ვეტოს უფლებით რომ სარგებლობს უშიშროების საბჭოში, უნდა შევურიგდეთ. თავის გამოჩენა სხვა მხრივ გვმართებს. ნუ გავიხდით თავს სასაცილოდ, ნუ წარმოვდგებით იმად, რაც ნამდვილად არა ვართ. ამით არაფერი მოგვემატება, მხოლოდ დაგვაკლდება!

დღეს ისტორიული მომენტი გვიდგას. როცა ჩვენი ყოფნა-არყოფნის, ფიზიკური გადარჩენისა და უკვე მოპოებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების ბედი უნდა გადაწყდეს!

მართალია, ყველა ხალხისათვის ერთნაირად საძულველი იმპერია დაინგრა, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. საქართველოს სტკივა ხელოვნურად, წინდაუხედავად, უგუნურად მოკვეთილი სისხლძარღვები, რომლებითაც, როგორც ერთი ცოცხალი ორგანიზმის ნაწილი, სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან და სამრეწველო ნედლეულისა და სურსათის უმთავრეს წყაროსთან — რუსეთთან იყო დაკავშირებული.

შედეგად ამას ის მოჰყვა, რომ დაბრკოლდა და გაჩერდა ჩვენი სახალხო მეურნეობა. მისი მრავალი დარგი, გაქრა ასი ათასობით სამუშაო ადგილი, სოციალურად დაუცველი ადამიანები, ჩვენი თანამემამულენი, ქუჩაში გამოყრილი აღმოჩნდნენ.

ეს პროცესი დღითიდღე ძლიერდება და აპოგეას აღწევს. ყოველივე ამას, წარმოების მოშლას და ეკონომიკურ სიდუხჭირეს, ზედ ერთვის ადამიანთა სიცოცხლისა და საარსებო რესურსების შთანმთქმელი ომი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. სახელმწიფო ხაზინა ცარიელია. პიროველი მოთხოვნილების საგნების, მათ შორის სურსათის, შესაძენად და ქვეყანაში შემოსატანად უცხოური ვალუტა არ გაგვაჩნია. კარგა ხანია შეწყვეტილია საქონელბრუნვა და საბანკო ოპერაციები რუსეთთან. ამოიწურა ან ამოწურვის პირზეა ეროვნული მარაგი ბარტერული გაცვლების საწარმოებლად. მსგავს ვითარებაში ყოველად წარმოუდგენელია ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში შემოტანა, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვენ ამ საქმეში არასაკმაოდ გაცნობიერებული ადამიანები. ინფლაცია მასაც ფეხქვეშ გაიგდებს, საზღვარგარეთ კი მით ერთ კილოგრამ ხორბალსაც ვერ იყიდი, საბჭოთა მანეთი ამერიკული დოლარის მსგავსად ძვირდება. ეროვნული ვალუტის შემოღებას და სამანეთო სისტემიდან საბოლოოდ გასელას დიდი წინასწარი სამუშაოების ჩატარება სჭირდება, რისაც ჩვენ არც დრო გვაქვს და არც სახსრები.

ეს სრული კატასტროფაა, კატასტროფა თუ არა, მისი წინადღეა!

ჩვენში, სამწუხაროდ, დღესაც მოიპოვებიან ძალები, რომლებიც რუსეთთან კონფრონტაციის გამწვავებას, მასთან მოლაპარაკების შეწყვეტას ან წინასწარი პირობების წაყენებას მოითხოვენ, მოითხოვენ ისე ამაყად და თავმომწონედ, თითქოს უშიშროების საბჭოში ჩვენი მუდმივი წარმომადგენელი გვიჯდეს და მისი თითის აწევაზე იყოს დამოკიდებული მსოფლიოს ბედ-იღბლის გადაწყვეტა!

ექვიც არ მეპარება, რომ ამ უკანასკნელთ სამშობლოსაოვის სიკეთე სწადიათ. მეც სიამოვნებით დავდგებოდი მათ მხარეზე, მაგრამ ვაი, რომ თავს ზემოთ დამოკლეს მახვილივით ჰკიდია კითხვა: რით ვუპასუხოთ ეკონომიკურ ბლოკადას, რომელიც რუსეთმა უკვე გამოგვიცხადა? რით, რომელი სახსრებით შევიძინოთ საზღვარგარეთ ხორბალი და სათბობ-ენერგეტიკული რესურსები. რომლებშიაც ოქროს გვთხოვენ, ჩვენ კი საბჭოთა მანეთებიც აღარ გაგვაჩნია და ისევ რუსეთზე, ძის ბატონკაცურ ნება-სურვილზე ვართ დამოკიდებული?

საზოგადოების ზედაპირზე წამოტივტივებულ ზოგიერთ პირს, წამოტივტივებულს არა რაიმე დამსახურების მეოხებით, არამედ პირადი

თავხედობით და სხვებზე გაბატონების უნარით, ჯერ ოფლი რომ არ მოუდენია და საკუთარი შრომის ფასად ლუკმა პურიც არ მოუპოვებია, თავი კი სამშობლოს მხსნელად წარმოუდგენია, ეს დღეები, ხვალ და ზეგ რომ გაგვითენდება, 9 აპრილი ნუ ეგონება. მაშინ მხოლოდ რამდენიმე ასეული დაჭრილ-დაჩეხილი დარჩა ადგილზე, ახლა კი იგივე დღე მთელ ხუთმილიონნახევრიან საქართველოს ემუქრება. ისინი, როგორც მსუქანი ვირთხები, ახლაც მაშინდებურად უშიშარ ნაპირს მიაშურებენ საკუთარი ბყრალი მძორის გადასარჩენად, მაგრამ რითიღა ვუშველოთ შინაგანი უთანხმოებით დაცხავებულ გემს — სამშობლოს, რომელიც, თუ გონს ახლავე არ მოვეგეთ და ყოველ დამნაშავეს, მძარცველს თუ მოლაყბეს, ყელში ხელი არ ვტაცეთ, უკვე იძირება?

ვაცალოთ პროფესიონალ პოლიტიკოსებს პოლიტიკის წარმართვა, ნუ ჩაეჩრით ცხვირს იქ, სადაც ჩვენი დილეტანტობის გამო არაფერი გვეკითხება, ნუ მივიწევთ კარიერის დაუფლებისაკენ, ვის რად უნდა უნდოდეს კარიერა დაქცეულ სახელმწიფოში, თუ მას ვედრებით არ შემოგაჩეჩებენ, ნუ გავაქარწყლებთ ღირსეულთა [illegible] საქმეში ღრმად ჩახედულთა თავგანწირვას, ნუ ავყვებით მავან მცირემცოდნეთა ე. წ. პატრიოტულ ლოზუნგებს, რომელთა უკან მხოლოდ ძირადი ახგაიერ[illegible] იმალება!

1993 წ.

ვის სწყალობს ღმერთი?

საქართველოს შინაომი აფხაზეთის ტერიტორიაზეე იქნებ არც დაწყებულიყო, თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო. შარაგზის უაჩაღების დაუსჯელ პარპაშს რომ არ მოეცვა. სატრანსპორტო არტერიების გადაკეტვამ, ხიდებისა და ელექტროგადამცემი ხაზების აფეთქებამ, გზებზე გაუგონარმა ძარცვა-გლეჯამ და სისასტიკემ, ჩვენს თაობებს მხოლოდ წიგნებში ან კოვბოურ ფილმებში რომ ენახათ, კატასტროფული მასშტაბები და გაქანება მიიღო.

ადამიანებმა, ჩვენმა ადამიანებმა, ქართველებმა, ხალხმრავალ მიტინგებზე რომ ერთხმად გაიძახოდნენ ღმერთი ჩვენთან არისო და მაღლა აწეულ მუშტს ატურტურებდნენ, ადამიანის სახე დაკარგეს, თავისიანე სისხლისა და ხორცის მოძულედ გადაიქცნენ და სხვის ხარჯზე გამდიდრება სიცოცხლის ერთადერთ მიზნად გაიხადეს.

ეროვნული მოძრაობის დასაწყისში, უკეთუ ის მართლა სამშვიდობოს იწყება, ვინ იფიქრებდა, თუ მავანსა და მავანს სამარცხვინო ანგარება ამოძრავებდა, თუ ზოგს დიდი მატერიალური სიმდიდრის მოხვეჭა უნდოდა და ზოგს კი მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობა, რითაც გუშინდელ თანამებრძოლს დაიყმობდა და საკუთარ ეზო-კარმიდამოდ ქცეული სამშობლოს შეუზღუდველი მბრძანებელი გახდებოდა!

ვაი რომ ამად დახურდავდა ჩვენი ეროვნული მოძრაობა, ვაი რომ ეროვნული თავისუფლების მაგიერ საყოველთაო თავაშვებულობა მივიღეთ და დღეს უკვე აღარ ვიცით, ვის რა გადავაბრალოთ და ვის რა ცილი შევწამოთ!

ვინაა ჩვენი მტერი? ჩვენივე თავი! საკუთარ თავზე უფრო საშიში და მძვინვარე მტერი არა მგონია, დღეს ჩვენ ვინმე გვყავდეს და თუ სიკეთის დროს დაღუპვა, ისტორიის უფსკრულში ჩანთქმა გვიწერია, მხოლოდ საკუთარი თავი, საკუთარი უგუნურება დაგვღუპავს!

საქმე ისე გართულდა, რომ დასავლეთ საქართველოს რკინიგზებზე სატვირთო და სამგზავრო მატარებლების გაძარცვით სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა 12 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. აქედან ნახევარზე მეტი სომხეთისათვის მიყენებული ზარალი იყო, რომელიც საქართველომ, ჩვენმა სამშობლომ, უნდა ზღოს თანახმად საერთაშორისო კანონმდებლობისა!

ავაზაკები შარაგზის ყაჩაღობით არ დაკმაყოფილდნენ და მშვიდობიანობის დასამყარებლად მიგზავნილი ოფიციალური პირების მოტაცება და გადამალვა დაიწყეს. აფხაზეთი სწორედ ამ უკანასკნელთა უმიშარ თავშესაფარად და ბუნაგად გადაიქცა. ამავე დროს გრძელდებოდა მატარებლებისა და ავტოტრანსპორტის ძარცვა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ფეთქდებოდა ხიდები, წამდაუწუმ წყდებოდა სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა, კოლოსალურ ზარალს ზარალი ემატებოდა.

გადაწყდა, რკინიგზისა და ავტომაგისტრალების დასაცავად აფხაზეთში სამთავრობო ჯარები შეეყვანათ. მოხდა სათანადო მოლაპარაკება საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს შორის. შეთანხმდნენ სამთავრობო ჯარებსა და უკანონოდ შექმნილ ადგილობ-

რივ საჯარისო ქვეგანაყოფებს ერთად გაეწიათ გზების პატრულირება, ოღონდ იმ პირობით თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე სამთავრობო ჯარების შესვლის წინ კიდევ ერთი მოლაპარაკება მოხდებოდა.

სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი პირობა არ შესრულდა, მოლაპარაკება არ შედგა, აფხაზთა მხრიდან თოფი გავარდა და გაუგებრობას შეწირული პირველი ქართველი მებრძოლი დაიღუპა.

ვინ გასცა ბრძანება, რომ სამთავრობო ძალები აფხაზეთში შეკრილიყვნენ, სოხუმი იერიშით აეღოთ, მოედანზე ლენინის ძეგლი დაენგრიათ, მინისტრთა საბჭოს შენობა დაეკავებინათ და შენობაზე აფხაზური ალმის მაგივრად საქართველოს სახელმწიფო ალმი აღემართათ?

ტყუილად იღებს თავზე პასუხისმგებლობას სახელმწიფო საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე, სახელმწიფო საბჭოს ასეთი ბრძანება არ გაუცია და არც შეიძლებოდა გაეცა!

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობაზე რესპუბლიკის კანონიერი ალმის აღმართვა შორს სცილდება დანიშნულებას, რის შესასრულებლადაც, რკინიგზებისა და საავტომობილო მაგისტრალების დასაცავად, აგრეთვე უაჩაღური ბუნაგების გასაუვნებლად, რესპუბლიკის სამთავრობო ჯარი იქ შევიდა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების პირთა უხეში პოლიტიკური და ტაქტიკური შეცდომებით, ილია ჭავჭავაძის სიტყვა რომ ვინმაროთ, წაჯექ-უკუჯექობით, მარჯვედ ისარგებლეს აფხაზმა სეპარატისტებმა, რომელთაც სათავეში ქართველთმოძულე, აფხაზური ფაშიზმის მამამთავარი ვლადისლავ არძინბა უდგათ, მარჯვედ ისარგებლეს რუსმა რევანშისტებმა, რომელთაც აფხაზეთშიაც და მთლიანად საქართველოშიაც თავიანთი მგლური ინტერესები ამოძრავებთ და მშიერ-მწყურვალი, სასიცოცხლო რესურსებით ღარიბი, ცუდად შეიარაღებული და პროფესიულ არმიას მოკლებული საქართველო ომის ხანძარში გაჰხვიეს.

არ მოხერხდა რუსეთის ჯარის გაყვანა აფხაზეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონებიდან, არ მოხერხდა რუსული ბიუროკრატიის ჩარევის აღკვეთა გაეროს წევრ დამოუკიდებელ საქართველოს შინაურ საქმეებში. ყოველივე ამას ზედ დაერთო რესპუბლიკის ჩრდილოეთი საზღვრის მოღიავება, ჩრდილოკავკასიელ ხალხთა კონფედერაციის რაზმების შემოსვლა და მარტოოდენ მოხალისეებისაგან შემდგარი ქართული სამხედრო ფორმირებებთან მათი დაპირისპირება. ბოლოს იმასაც შოვესწარით, რომ კონფედერაციის ერთ-ერთმა ლიდერმა, რომლის სახელის გამეორება აქ არა მსურს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქემ, ჩვენი დედაქალაქი თბილისი უბედურების ზონად გამოაცხადა.

ბოლო ხანს კონფლიქტში პროფესიონალი რუსი სამხედროებიც ჩაერიენენ. სოხუმს, ოჩამჩირეს და სხვა დასახლებულ პუნქტებს უახლესი საარტილერიო დანადგარებიდან ჭურვები დაუშინეს. ჩვენ მათ დიდი ხნის წინათ მწყობრიდან გამოსული და ჩამოწერილი ტექნიკით ვპასუხობდით, სანამ ესეც სანატრელი არ გაგვიხდა და საფრთხე არამცთუ მიწასთან გასწორებულ სოხუმსა და მის მშვიდობიან მოსახლეობას, ზუგდიდსა და ქუთაისს არ დაემუქრა.

ამ დროს, ამ კრიტიკულ მომენტში, როცა სამშობლოს ბედს წუთები წყვეტდა, მოხერხდა აფხაზეთის ომში ცეცხლის შეწყვეტა, ორივე

მხრივ იმის გადარჩენა, რაც ჯერ კიდევ ცოცხალია და სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის ბალავრის ჩაყრაა.

ახლა ამის წინააღმდეგი ვართ? ამის საწინააღმდეგოდ იმართება ხალხმრავალი მიტინგები? ამის წინააღმდეგ იხლეჩენ ყელს სწორედ ისინი, ვინც მრავალტანჯული საქართველო ამ უბედურ დღემდე მიიყვანეს?

იქნებ ვტყუი, ტენდენციურობას ვიჩენ, ფაქტებს ვაყალიბებ?

მაშ გაიხსენეთ ქართველ და აფხაზ დეპუტატთა რიცხობრივი შეფარდება აფხაზეთის უზენაეს საბჭოში, რომელიც ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე არა ერთი გაუგებრობისა და ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი შეუსაბამობის მიზეზი გახდა.

აფხაზეთში მცხოვრები მეოთხედი მილიონი ქართველი, მოსახლეობის 44 პროცენტი, აფხაზეთის პარლამენტში წარმოდგენილი იყო 26 დეპუტატით, ხოლო მოსახლეობის 17 პროცენტი, 70 ათასი აფხაზი, 28 დეპუტატით.

როგორ მოგწონთ ურთიერთმიმართება? რა ეწოდება ამას, თუ არა ქართველობის აპარტეიდი საკუთარ სამშობლოში?!

ვინ ქნა ეს ყველაფერი, სახელმწიფო საბჭომ და ედუარდ შევარდნაძემ? რატომ შუბლის ძარღვი არ გაგვიწყდება!

ვისაც პოლიტიკაში ანბანი მაინც გაეგება, იმან ჩემს დაუხმარებლად უნდა იცოდეს, რომ „შეთანხმება“ და „ხელშეკრულება“ ერთი და იგივე არ არის! თუ მიღწეული არ იქნება შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, უშიშროების საბჭოსაგან მოვლინებული საერთაშორისო მეთვალყურენი საქმეში ვერ ჩაერევიან. ხოლო თუ ისინი საქმეში ვერ ჩაერევიან, ომის ცეცხლი პერმანენტულად გაგრძელდება და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი საომარი რესურსები ძკვეთრად გახსაზღვრულია, მოწინააღმდეგე კი დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე გუშინ იყო!

მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ვისაც სიკეთე გინდათ სამშობლოსათვის და არა ვიღაცის გამონაცვალი თანამდებობა, შევწყვიტოთ ცეცხლი, როცა ამის სრული საშუალება გვეძლევა, თუ ქვეყნის აწმყო და მომავალი ხრამში გადაჩეხოთ? წაიკითხეთ, დაუკვირდით, სად არის აქ ტყუილი და ვისიმე პიროვნების გუნდრუკის კმევა?

მაშასადმე, თუ გვინდა გადავრჩეთ და მავანისა და მავანის მაღალ სახელმწიფოებრივ პოსტს შვილითა და მომავლით არ შევეწიროთ, აფხაზეთში ომის ცეცხლი უნდა შეწყდეს!

ეკარგავთ თუ არა ამით აფხაზეთს? რასაკვირველია, არა! აფხაზეთი კვლავ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში რჩება იმავე ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით, რომელიც მანამდე ჰქონდა. რისთვის-ღა გააჩაღეს ომი, ამდენი სისხლი რისთვის დაიღვარა? ეგ აფხაზ სეპარატისტებს და პირადად არძინბას ჰკითხეთ! აფხაზთა ავტონომია გაეროს და მთელი მსოფლიოს მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობილი და აღიარებული საქართველოს ფარგლებში არასოდეს არავის უარუყვია და, რასაკვირველია, არც დღეს უარყოფს ვინმე!

უკვე დადებული და ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, რაც ადრეულ შეთანხმებებისაგან არსებითად განსხვავდება, მხარეებს შორის დამყარებული მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად, გარდა საერთაშო-

რისო მეთვალყურეებისა. შემოდის უშიშროების საბჭოს მიერ მოვლინებული სამშვიდობო სამხედრო ძალა. რუსეთის არმიის ქვეგანაყოფები სტოვებენ აფხაზეთის ტერიტორიას. მასთან ერთად აქედან გადიან კონფედერაციის ფორმირებები და ქართული ჯარის ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრ მოსახლეობად არ ითვლება.

თუ ვიგულისხმებთ იმას, რომ აფხააზეთის ფრონტებზე ამჟამად იქაური ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოქმედებს, მივხვდებით, რომ ქართული სამთავრობო ჯარების კონტიგენტი იქ თითქმის უცვლელი რჩება.

ხსენებული კონტიგენტისაგან ყალიბდება შინაგანი ჯარი, რომელიც ყაზარმულ მდგომარეობაზე უნდა გადავიდეს და რომელიც აფხაზებისაგან შედგენილ შინაგან ჯართან ერთად იცავს საზოგადოებრივ წესრიგს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტარდება საყოველთაო თანასწორი არჩევნები, რომელიც ირჩევს საკანონმდებლო ორგანოს, ეს უკანასკნელი კი დანიშნავს მთავრობას.

სამშვიდობო რეგულირების განსაზღვრულ ეტაპზე ლტოლვილები უბრუნდებიან თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს და მონაწილეობას იღებენ საყოველთაო თანასწორ არჩევნებში.

პარალელურად მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს სამთავრობო მოლაპარაკება, რომელიც სწორედ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით არის შეწყვეტილი. იდება ორივე მხარისათვის სასარგებლო ხელშეკრულებები, გზა გვეხსნება რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრებისაკენ. რასაც ამდენი ხანია ამაოდ ელის ჩვენი ტრაგიკულად გაღატაკებული სახალხო მეურნეობა. საქართველო, თუ შინაგანი პარტიკულარისტული გამოხდომები ხელს არ შეუშლის, იწყებს აღმშენებლობას და მსოფლიო თანამეგობრობის დახმარებითა და ხელისშეწყობით პლანეტის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა ხდება.

მე რედაქციიდან დამირეკეს და მთხოვეს, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების თაობაზე აზრი გამომეთქვა. აი, ეს არის ჩემი აზრი, რაც ზემოთ შემოგთავაზეთ. იქნებ არ მოგეწონათ? იქნებ თქვენ სხვა აზრისა ბრძანდებით, ღმერთი თქვენ უფრო გწყალობთ? ა ბურთი და ა მოედანი! გამოთქვით, გაგვიზიარეთ, ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ პოზიტიური, ვისთვისმე გამოსადეგი აზრი ის კი არ არის, რომელიც ჩვენ მოგვწონს და გვესიამოვნება, არამედ ის, რაც ობიექტური მონაცემის ანალიზით მტკიცდება და ჩვენი ინდივიდუალური ცნობიერებისაგან დამოკიდებულად არსებობს!

4 აგვისტო, 1993 წ.

რომელია ხსნის გზა?

ის, რაც დღეს ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას, საქართველოს სპირს, სამშობლოს ბედზე დაფიქრებულმა გონიერმა ადამიანებმა რამდენიმე წლის წინათ იწინასწარმეტყველეს და თავიანთი მოსაზრებები, რომელთაც მაშინ ყური არავინ ათხოვა, პრესის ფურცლებზედაც გამოაქვეყნეს.

იქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ რესპუბლიკათა კონგლომერატი, საბჭოთა კავშირად რომ იწოდებოდა, ამ უკანასკნელთა მარტოოდენ პოლიტიკურ ერთობას არ წარმოადგენდა. უპირველეს ყოვლისა ეს გახლდათ სასიცოცხლო ძაფებით ერთიმეორეზე მჭიდროდ გადახლართული სახელმწიფო წარმონაქმნი, რომლის თითოეული ნაწილი სხვებისაგან დამოუკიდებელ, ცალკე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სხეულად არ მოიაზრებოდა.

სამოცდაათი წლის განმავლობაში იმპერიის მესვეურებმა იზრუნეს, რათა ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული უზარმაზარი ქვეყნის ეკონომიკური და ამაზე დაფუძნებული პოლიტიკური ერთიანობა განუსაზღვრელი დროით შეენარჩუნებინათ და გამონახეს კიდევაც გზები ამ მიზნის მისაღწევად.

მათ ისე მოაწყეს საქმე, ისე განალაგეს საწარმოო ნედლეულის წყაროები, წარმოება და ბაზარი, რომ ქვეყნის არც ერთ რეგიონს, მით უფრო ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკას, მეორე რესპუბლიკის, ანდა რესპუბლიკების მთელი ჯგუფის გარეშე არსებობა და ცხოვრება არ შეეძლო.

უწინარეს ყოვლისა ეს შეეხება მრეწველობის სხვადასხვა დარგს, რომლის წარმოების ციკლი იმთავითვე საკავშირო მნიშვნელობის ციკლად გადაიქცა.

იმპერიის მესვეურები ყურით მოთრეული პოლიტიკოსები როდი იყვნენ. მათ მშვენივრად ესმოდათ, რომ ამით „ერთა მძლე კავშირი ძმური“, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური სადაველები ხელთ ეპყრათ და რესპუბლიკების ცენტრიდანული ძალების ყოველი ამოძრავება, კიდევაც რომ ყოფილიყო ეს შესაძლებელი, წინასწარვე ჩასაფუშად იყო განწირული.

რატომ? იმიტომ, რომ რომელიმე მათგანის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, კავშირიდან გასვლის მცდელობა წარმოუდგენელი იქნებოდა საზოგადოებრივი წარმოების ადგილობრივი ციკლის შექმნის, ანუ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების გარეშე. სანამ ესა თუ ის რესპუბლიკა არ მოიპოვებდა ნედლეულის საკუთარ წყაროებს, სანამ წარმოების ციკლი მთლიანად ეროვნული არ გახდებოდა და შინაური და საგარეო ბაზარიც არ უზრუნველყოფდა ამ ეროვნული პროდუქციის გასაღებას, მანამდე ქვეყნის ეკონომიკურ, მით უფრო პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი სხვა არა იქნებოდა რა, თუ არა დემაგოგია და წყლის ნაყვა.

მოხდა ისე, რომ ისტორიაზე ძალდატანებით შექმნილმა „ერთა მძლე კავშირმა ძმურმა“ ზემოდან დაიწყო დაშლა, თუმცა ერთი წლით ადრე ამაზე ოცნებაც შეუძლებელი იყო. ეროვნულ თავისუფლებას

დანატრებულმა რესპუბლიკებმა, რომელთაც რუსების მოსვლამდე საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გააჩნდათ. განზე გაიწიეს და დაკარგული პოლიტიკური დამოუკიდებლობა ისე აღიდგინეს, რომ მის ეკონომიკურ საფუძველზე არც კი დაფიქრებულან. ეროვნული მოძრაობის ლიდერები, თვით მოძრაობამ გზადაგზა რომ დაკბადა, ჰაერში თავისუფლების დროშას აფრიალებდნენ და ხალხს, როგორც პანაკეისაკენ, ძველი კომუნისტური წესწყობილების ნგრევისა და რუსეთისაგან ჩამოშორებისაკენ მოუწოდებდნენ.

ყოველივე ამან ყველაზე უფრო გამოკვეთილი და თვალშისაცემი სახე საქართველოში მიიღო. მოძრაობის სათავეებთან აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც არც ეკონომიკისა, არც პოლიტიკისა, არც სამხედრო საქმისა და ბოლოს და ბოლოს არც ისტორიისა არაფერი გაეგებოდათ. მათ ეგონათ, ან ხალხს წინასწარ განზრახულად არწმუნებდნენ, რომ კომუნისტური წესწყობილების ნაშთების ბატონობას ქვეყანა თავს მხოლოდ მაშინ დააღწევდა, თუ კომუნისტების ნაცვლად ხელისუფლების სათავეში ისინი მოვიდოდნენ. ამიტომაც ესა თუ ის დასი თუ ლიდერი ერთმანეთს ეჯიბრებოდა, ვინ უფრო მეტ ხალხს შეკრებდა მიტინგზე, ვინ უფრო აღანთებდა მასას ცეცხლოვანი გამოთქმებით, ვინ უფრო მეტ გაფიცვებს მოაწყობდა წარმოებაში-დაწესებულებებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, ვინ უფრო მეტ ხალხს მოაცდენდა და სხვაზე მეტ მქუხარე ტაშს მიიღებდა.

ამ დროს ხორბლის შესანახი ელევატორები ჯერ კიდევ პირამდე სავსე იყო წინა ხელისუფლების მიერ შემოტანილი ხორბლეულით, მაცივრები ხორცით და კარაქით, ფაბრიკა-ქარხნების საწყობები რესპუბლიკის გარედან შემოზიდული ნედლეულით და თავისი მზა ნაწარმით, ხოლო საწვავის ავზები აგრეთვე გარედან შემოტანილი იაფი საწვავით, ახლა რომ ენერგომატარებლებს ეძახიან.

ვიდრე დღედაღამ მიტინგები მიმდინარეობდა, ქუჩაში გამორეკილი მოსწავლე ახალგაზრდობა სა-ქარ-თვე-ლო-, სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლოს გაიძახოდა და გადიდკაცებული მდაბიონი სავარძლებს ინაწილებდნენ. რესპუბლიკის საარსებო საშუალებები დაილია, არარეალური ფასების გამო დიდ-დიდ პარტიებად გავიდა მეზობელ რესპუბლიკებში, ნედლეულის უქონლობის გამო მრეწველობა თანდათან გაჩერდა, ჩაკვდა ერთადერთი დარგი ეროვნული წარმოებისა — სოფლის მეურნეობა, ჩაკვდა ბევრი სხვა რამეც, რის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა და ქვეყანაც. ამგვარად, სრული დეპრესიისა და გაჩანაგების გზას დაადგა.

ეს უბედურება მეტ-ნაკლებად ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკას შეეხო, გარდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა, რომლებმაც თავიანთი კომპეტენტურობის წყალობით საქმეს ფილე აუღეს ალლო და გარდაუვალ ეკონომიკურ კრიზისს დამცველი ჯებირები დაახვედრეს. ამან მათ საშუალება მისცა, საკუთარი ძალებით დაეძლიათ ყველა სიძნელე, რომელიც დამოუკიდებლობის გზაზე ხვდებოდათ. სხვები, მათ შორის ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი და სომხეთი, შექმნის პირველი დღეებიდანვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირის წევრები გახდნენ.

რა გამოუცდელი და საქმისაგან შორს მყოფიც არ უნდა ყოფილიყო საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა, მიუხედავად მისი პოლიტიკური მრწამსისა, ამ ფაქტს მაინც უნდა დაეფიქრებინა და ახალ ჩამოყალიბებულ თანამეგობრობასთან დამოკიდებულების საკითხი გონების სასწორზე აეწონ-დაეწონა.

რა არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, მემკვიდრე ხალხთა საპყრობილე საბჭოთა კავშირისა, უნიტარულ სახელმწიფოსი, კომუნისტური იმპერიისა, რომლის შიშითაც მთელი პლანეტა თრთოდა?

არა, ის არ არის საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, სახეშეცვლილი კომუნისტური იმპერია და ასეთი არც შეიძლება იყოს, რადგანაც მასში ნებაყოფლობით შესული დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან გაერთიანებული და მათ ერთმანეთთან მხოლოდ და მარტოოდენ საერთო ეკონომიკური ინტერესები აკავშირებთ!

ხალხებმა, დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, რომელთაც ამიერიდან ვეღარავინ დაიმონებს და ეროვნულ დამოუკიდებლობაზე ხელს ვერავინ ააღებინებს, გადაწყვიტეს, აღადგინონ თავიანთი ეკონომიკური კავშირები, განამტკიცონ თავიანთი ეკონომიკური თავისთავადობა, დადგნენ ფეხზე, შეინარჩუნონ ტერიტორიული მთლიანობა და ხელშეუხებლობა და გამოვიდნენ ამ თანამეგობრობიდან, როდესაც ამას თავისთვის სასარგებლოდ ჩათვლიან.

ახლა ამ საკითხზე პრესაში მსჯელობა ძლიერ საშიშია. ნაფიცი პატრიოტები, რომლებიც როგორც პარლამენტის მიკროფონებიდან ისე ტელევიზიის ეკრანიდან შხამს ანთხევენ, სამშობლოსათვის მართლაც თავდადებულთ მამულიშვილობას ასწავლიან და ადამიანებს მათი აზრისაგან განსხვავებული აზრის გამოთქმას უკრძალავენ, მოღალატეებად და მამულის გაყიდვად უთვლიან, ვინ იცის, რას არ დაგაბრალებენ, რას არ მოგაწერენ და ბოლოს თავსაც მოიწონებენ, მე კი ჩემი სიტყვის პატრონი ვარ, პრინციპულობაში ვინ შემედრება, ხომ ხედავთ, არავითარი მანევრირება აზრადაც არ მებადებაო.

მე სწორედ პირიქით ვფიქრობ. მანევრირება, ისიც საკუთარი ერისა და ქვეყნის გადასარჩენად, ერთადერთ გონივრულ ქმედებაა, მით უფრო მაშინ, როცა ამით არაფერს კარგავ, პირიქით, იძენ!

გუშინ ერთი პარტიის ხელმძღვანელმა ტელეეკრანზე სიტყვების კორიანტელი დააყენა. ამასა და ამას თურმე კომპრომისის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შეყვანა განუზრახავს და ახლავე ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ, პრინციპულები, დაფურთხებულს რომ არ აელოკავთ, ამის წინააღმდეგი ვართ და ნურავის გაუკვირდება თუ ბოლოს ხელსაც გამოვიღებთო.

საკითხავია, ვინ არ არის „ამის წინააღმდეგი"? ვის არ უნდა და დღედაღამ არ ოცნებობს იმაზე, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ მშვიდობიანად იცხოვროს, დაუკავშირდეს კულტურულ მსოფლიოს, ჩაებას ცივილიზებულ ხალხთა ფერხულში, გაშალოს ფრთები და პლანეტის ერთი დაწინაურებული ქვეყანა გახდეს? მიბრძანეთ და დამისახელეთ, ქართველთა და მათ კეთილის მსურველთა შორის ვინ არის ამის წინააღმდეგი? მოიპოვება კი ქვეყნად ისეთი ქართველი, ვისაც მშობელი ქვეყნის კეთილდღეობა არა სურს?

მაგრამ როგორ, როცა ქვეყანაში გამოუვალი კრიზისია, როცა კარიერაზე შეშლილი ექსპრესიდენტი კუთხეს კუთხეზე უჯანყებს ცენტრალურ ხელისუფლებას, როცა საშინელ გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხის მოთმინების ფიალა ავსილია, როცა შინ ბავშვები გვიტირიან და თავადაც მშიერ-მწყურვალთ ხელისდადება პურის ნატეხს გვთხოვენ, როცა საკუთარ უბეში ნალოლიავებმა აფხაზებმა კაცური სიტყვა გატეხეს და ძმათამკვლელი ომი ხელახლა გაგვიჩაღეს, როცა საიმედოდ არც შიდა ქართლში და ქვეყნის სხვა რეგიონებში გვაქვს საქმე, როცა სახელმწიფოს მეთაური, უკიდურესი გაჭირვების ჟამს ერთადერთი იმედი ერისა, ბრძოლის ველზეა და ერთმა ღმერთმა იცის, მუხანათის ტყვია როდის მისწვდება! განგვიდგა რუსეთი, უნამუსოდ უარი განაცხადა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე, განგვიდგა მსოფლიო, მხოლოდ სიტყვიერად თანაგვიგრძნობენ და შეევარდნაძეს საქციელს უწონებენ, ყოჩაღ შენ, ასე რომ წირავ სიცოცხლეს შენი ქვეყნისა და ხალხისათვისო.

ყოველი კაცი, ვისაც საქართველოში ჰკუა მოეკითხება, ერთადერთ საპირბოროტო საფიქრალს მისცემია: რით ვუშველოთ საშინელ განსაცდელში ჩავარდნილ ქვეყანას, ჩვენს სახელმწიფო დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, რით ვიხსნათ ერის მონოლიტურობა, რით, რით, რით?

როცა არაფერზე პასუხს არ აგებ, ადვილია ენა აწიკვინო და ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე დაიწუნო სხვისი პოზიტიური აზრი. მაგრამ რას ფიქრობ თვით შენ? რაში ხედავ ქვეყნის ხსნას? უარმყოფელს თავი ყოველთვის ქუდში აქვს. თუ ვინცობაა, ურემი გადაბრუნდა, იტყვის, მე ხომ ვამბობდიო. მაგრამ ნამდვილი მამულიშვილი, მე მგონია, მაინც ის არის, ვინც გზებს ეძებს, ნამდვილად და არა ვისთვისმე თავის მოსაწონებლად ეძებს ქვეყნის ხსნის გზებს და იმის უნარიც შესწევს, ხმამაღლა,ქვეყნის გასაგონად თქვას თავისი ნაფიქრალი. იქნებ ის ნაფიქრალი ქვეყანას არ გამოადგეს და უმოკლეს დროში, თუკი გვაცალა ამ დრომ, რომელიც მტრის სასარგებლოდ მუშაობს, რაიმე უკეთესი გამოიძებნოს, მაგრამ აზრის პატიოსანი გაზიარებით მაინც არაფერი დაშავდება, მას მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია!

ქეიშაზე დაფუძნებული პატრიოტიზმის, პოპულიზმის, ფუჭსიტყვაობის, ყელყელაობის, უბირ მსმენელთა გაბრიყვების დრო წარსულს ჩაბარდა. დღეს სამშობლო მომაკვდინებელ განსაცდელშია, განსაცდელშია ჩვენი ეროვნული თავისუფლება და ერსა და ბერს მისი მხსნელი გზის გამოძებნა გვმართებს!

21 სექტემბერი 1993 წ.

რას გვიძახებენ ახალი ალიძეა?

დაწყეველილი თაობა ვყოფილვართ. სწორედ ჩვენს დროს გაიწირა საქართველო ისე, როგორც არასოდეს. ჩვენს შორის აღმოცენდნენ ძალები, რომლებმაც ტანჯულ სამშობლოს მეორედმოსვლა მოუელინეს. რომლებმაც შუა გახლიჩეს საქართველო და ეს ნაწილები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირეს. ხდება ის, რაც არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რაც არ ახსოვს არც ერთი ერის ისტორიას. თანამდებობისათვის, კარიერისათვის გაგიჟებულმა ადამიანებმა დაივიწყეს ყველაფერი, რაც კი ამ ქვეყანაზე წმინდა არსებობს და იგი პირად განდიდებას, კარიერას ანაცვალეს.

სამოქალაქო ომი სად არ მომხდარა, მაგრამ ასეთი? საზოგადოება ორად გაყოფილა კლასობრივი ან რომელიმე სხვა ნიშნით, მაგრამ ასე?

XVII! საუკუნის ბოლო მეოთხედში სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო ერთი მთლიანი ეროვნული სხეული რომ ყოფილიყო, მეფე ერეკლეს არ დასჭირდებოდა საბედისწეო ნაბიჯის გადადგმა. ქვეყანა თვით გაუმკლავდებოდა მაჰმადიანი სამყაროს პერმანენტულ თავდასხმებს და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა.

1918–1921 წელს ქართველ ხალხს რომ ერთი პირი ჰქონოდა და ურთიერთდაპირისპირებულ პარტიებად არ დაქუცმაცებულიყო, რომ ერის გამყიდველები თვით ქართველობის შიგნით არ აღმოჩენილიყვნენ, საბჭოთა რუსეთი ვერ შეძლებდა საქართველოს ხელახლა დაპყრობას და აქ სისხლიანი დიქტატურის დამყარებას.

ერთი თუ ორი კვირის წინათ, გასულ სექტემბრის თვეში სამშობლოდან კინწისკვრით განდევნილი პრეზიდენტი რომ არ დაბრუნებულიყო და ჭეშმარიტების გზას აცდენილ მომხრეთ სათავეში რომ არ ჩასდგომოდა, არ მოხდებოდა აფხაზეთის ტრაგედია და ასი ათასობით ქართველი ლტოლვილი აღარ ეწამებოდა მაღალმთიანი სვანეთის გზებზე.

იციან თუ არა ანტიქრისტეს მხრის ამბმელებმა და ტაშის დამკვრელებმა, ნებით თუ უნებლიეთ სამშობლოს მტრებმა, რომ სოჭში მიღებული შეთანხმების თანახმად აფხაზეთიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანა მილიარდობით რუსული მანეთი დაგვიჯდა? უმოკლესი გზა, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში ტექნიკის ძველ პოზიციებზე დაბრუნება შეგვეძლო, ექსპრეზიდენტის არაოფიციალურ სამხედრო დაჯგუფებებს ეკავათ და უკანდახეულ თავის თანამოძმეთ სამეგრელოზე გავლის ნებას არ აძლევდნენ! რუსმა გენერლებმა ყელი უპოვნეს საქართველოს. რადგანაც აფხაზეთიდან ჩვენი ტექნიკის ვამოყვანა ყოვნდებოდა, აფხაზ სეპარატისტებთან ერთად რუსეთის მხარემაც საქვეყნო განგაში ასტეხა. საქართველოს მხარე შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებს და სამშვიდობო შეთანხმებას ჩაფუშვას უქადისო.

საქაროველოს ხელმძღვანელობა, ყოველად უსაფუძვლო ბრალდებისათვის რომ თავი დაეღწია და საქმე უფრო არ გაერთულებინა, იძულებული გახდა კვლავ რუსეთისათვის მიემართა და სოხუმიდან მძიმე ტექნიკის გატანა მისი საზღვაო ფლოტისათვის მიენდო.

რუსეთის მხარეს კარგად შეაფასა საქართველოს გამოუვალი მდგომარეობა, ყოველგვარ დისკრიმინაციულ ზომას მიმართა და ტექნიკის გადატანის საფასურად გაღატაკებული ქვეყნისაგან, ჯერ კიდევ გუშინ იმპერიის შემადგენელი ნაწილი რომ იყო, ისტორიულად თანხ.. მოითხოვა. საქართველო იძულებული გახდა ეს კაბალური პირობები ძიეღო და თავისი უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობა კიდევ უფრო დიდ მატერიალურ გაჭირვებაში ჩაეგდო.

გეკითხებით, ტაშის დამკვრელებო, ვის გამო მოხდა ეს, ვინ მოეხმარა მოსისხლე მტერს და ვინ ჩაწიხლა მშობელი ქვეყანა, იმ ადამიანებმა, რომლებმაც ამჟამად დგანან სახელმწიფოს სათავეში, თუ ვინმე სხვამ? ნუთუ ამის მიხვედრა მართლა ისე ძნელია, რომ თავი და ბოლო ვერასგზით ვერ გაგვიგია?

საქართველო დეღს და გადმოდეღს. თუმცა ლუკაპურს სამადლოდ გვაწვდიან, გვაწვდიან არა როგორც გაჭირვებაში ჩავარდნილ ქვეყანას, არამედ როგოოც მავანის სამშობლოს. აძას პირდაპირ, დაუფარავად გვეუბნებიან, მაგრამ საქმიანი ურთიერთობის დამყარება, მილიარდების ქარში გაფანტვა არც ერთ ქვეყანას არ სურს, უამისოდ კი შეუძლებელია ქვეყანაში წარმოების აღორძინება, პროდუქციის შექმნა, ყოველდღიურად მზარდი ინფლაციის შეჩერება, ეროვნულ ვალუტისათვის სტაბილური ფასის დადება.

ეს რატომ? იმიტომ, რომ არსებობენ დესტრუქციული ძალები, რომლებიც ქვეყანას სამოქალაქო ომის ხანძარში ხვევენ და ხალხს უსინდისოდ იტუეებენ. ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების აღდგენას ვესწრაფვითო. მაგრამ ქვეყანა იღუპება. ხალხი იღუპება, ხალხი შიმშილობს. დღეს თუ ხვალ ყველაფერი ოხრად დაგვრჩება და ვისთვის-ღა გვინდა ეს „კანონიერი ხელისუფლებ", „კანონიერი პრეზიდენტი". თუ არაევინ აღარ ვიქნებით, არც მხრის დამკერნი და არც მოწინააღმდეგენი, თუ საქართველოსაგან მხოლოდ ტერიტორია დარჩება და მასაც გადამთიელი ტომები დაიკავებენ?

ეს, როგორც იტყვიან, ერთი. მეორე: განდევნილი პრეზიდენტი თურმე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 87 პროცენტს აურჩევია. ჩვენ ვიცით, როგორადაც ჩატარდა ეს არჩევნები, რა დემოკრატიული ელფერიც დაჰკრავდა მას. მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ პარლამენტის ახლანდელი თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ამომრჩევალთა 96 პროცენტმა აირჩია?

რომელია მათ შორის კანონიერი და რომელი უკანონო? 87 პროცენტი მეტია თუ 96? ვის ვუწოდებთ „ხუნტას" და რა უფლების ძალით? ბნელა, თანამემამულეთა ერთო. გზადაბნეულო ნაწილო, მთლად დავიბენით, მარჯვენა და მარცხენა ერთმანეთისაგან ველარ გაგვირჩევია?

მე მესმის იმათი, ვინც პრივილეგიური მდგომარეობა, სახელმწიფო ხაზინაში ხელების ფათურის უფლება დაკარგა. ისინი უბრალოდ ხელმოცარული პოლიტიკოსები არიან, რომლებსაც გაბოროტებამ თვალები აუბა და თავადაც არ იციან, რას შვრებიან, მაგრამ მათ უკან მდგომნი, „საქმეში გაუსვლელნი" რას ფიქრობენ, ე.წ. პრეზიდენტის ამკარა თუ ფარული მხარდამჭერებისაგან რა ოქროს ზოდებს და ჩინ-ტიტლებს გამოელიან?

მე შორს ვდგავარ იმ აზრისაგან, თითქოს ცხენისწყლის გაღმა ნაპირზე საქართველოს ეროვნული ერთიანობის დანგრევის მოსურნე ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობა შეგულებოდეს. იქ ხომ აღიულებული საქართველოს ქაფმა მოიყარა თავი, რომელმაც უკანონოდ შეძენილი იარაღით ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დააშინა, აიყოლია. ბევრ ძალოვანს ხელში იარაღი მიაჩეჩა. პროპაგანდისტული ჩიჩინით, რიცა მიმოსვლა ძოშლილია და ქვეყანაში ინფორმაციის ასეთი დეფიციტია, ტვინი გამოულაყა და თავისი საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ აამხედრა.

ზუგდიდში მერცხალა ბიჭის გამოჩენამ მაღალი თანამდებობის დაკარგვით განაწყენებულ კარიერისტებს, რომლებმაც შეფის ძოლოდინში თავი აქ მოიყარეს, ფრთები შეასხა. მათმა სამხედრო ფორმირებებმა, სოხუმის მახლობლად რომ იდგნენ და მომზედურ მტერს კარი ფართოდ გაუღეს, ესეც არ იკმარეს და ხელი უკანდახეული თანამოძმის განიარაღებას და ძარცვას მიჰყვეს.

გეკითხებით, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, ვისაც ჩემი მართალი, გულიდან სისხლის წვეთებად გამოსული სიტყვა ვისიმე ახირებული მხარდაჭერა გგონიათ, ვინ შვრებოდა ამას, ვის უქნია მსგავსი რამ მსოფლიო ისტორიაში და რა გვქვია ბოლოს და ბოლოს ქართველებს ყოველივე ამის შემდეგ? ან როგორ მოგწონთ ჩვენი თავდადებული დედებისა და დების „შევარდნაძის კახპებად" ძოხსენიება, რის უფლებაც საკუთარ ფანტაზიას აყოლილმა ექსპრეზიდენტმა თავის თავს მისცა? დარწმუნებული ვარ, ცოცხალი რომ ყოფილიყო, დიდებული ქართველი მანდილოსანი მირანდა ფალავანდიშვილი-გამსახურდიასი და მისი ჭკუა-გონებით სავსე ქალიშვილი თამრიკო, სამწუხაროდ ჩვენგან ნაადრევად წასული, თანამოქალაქეთა გვერდში იქნებოდნენ და საკითხავია, მაშინ თუ მოიხსენიებდა ჩვენი შორსმჭვრეტელი ექსპრეზიდენტი სამშობლოსათვის აღძრულ ქართველ მანდილოსნებს „შევარდნაძის კახპებად".

აფხაზეთის ძირძველ ქართველ მოსახლეობას უკან ცეცხლითა და მახვილით მოსდევდა სისხლმოწყურებული მტერი. აქ ვინ არ იყო. აფხაზი თუ რუსი, ჩეჩენი თუ ყაბარდოელი, ადიღეელი თუ ოსი! ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მოხუცი, ჯანმრთელი თუ სნეული იძულებული გახდა, ნაამაგარი სახლ-კარი მიეტოვებინა და სიცოცხლის გადასარჩენად სამშობლო ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებისათვის მოეშურებინა.

აფხაზეთის აღმოსავლეთით, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთით, გეოგრაფიულ დაზუსტებებს ახლა აზრი არა აქვს. მრავალ თავდადებულ ქართველთა მშობელი კუთხე სამეგრელოა, რომელიც მაღალი სკამის დაუფლების სურვილით გადარეულ ექსპრეზიდენტს და მის ხელისშემწყობთ თავიანთ დასაყრდენ პუნქტად უქცევიათ. ასი ათასობით ლტოლვილ თანამოძმეს, კაცს, ქალს თუ ბავშვს, რომელსაც უკან სიკვდილის ცელმომარჯვებული მტარვალი მოსდევდა და სადაცაა კიდევაც წამოეწეოდა, ექსპრეზიდენტის მიერ საქართველოს ჯარების მთავარსარდლად გამოცხადებულმა, დაწყებითი სკოლის მეოთხე კლასიდან გამოსულმა ვინმე ლოთი ქობალიამ თავისი რაზმებით გზა გადაუღობა და სამეგრელოში არ შეუშვა!

ლტოლვილთა ლეგიონებმა, ახლო ნათესავის ტყვეობისათვის მკერდი რომ არ შეეშვირათ და საძეგელოს კარიბჭესთან დედაბუდიანად არ ამოწყვეტილიყვნენ. პირი იბრუნეს, კოდორის ხეობის ციცაბო აღმართებს ძეუდგნენ, სადაც ზუსტად 51 წლის წინათ, 1942 წლის სექტემბერში, ქართლ-კახეთ-იმერეთის სოფლებსა და ქალაქებში შეკრებილი ქართველი მეომრები გერმანელ ფაშისტთაგან მარუხის უღელტეხილის დასაცავად მიდიოდნენ. ნაადრევი ზამთრის უამინდობაში და უგზოობაში მშიერ-მწყურვალთ და შიშველ-ტიტველთ ხუთჯერ გრძელი გზა უნდა გაეელოთ და ქუთაისში მოხვედრილიყვნენ, საიდანაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განაწილდებოდნენ.

მოგეხსენებათ, მე პოეზიითი მწერალი გახლავართ, მრავალი რომანისა და მოთხრობის ავტორი, ხელმეწიფება ლტოლვილთა გაუგონარი გაჭირვების ცოცხლად აღწერა და მკითხველისათვის გადმოცემა, მაგრამ ამჯერად ამას ვერ ვიზამ, რადგანაც ყველაფერი უამისოდაც დღესავით ნათელია.

გზაში დაიღუპა და ახლაც, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, 1993 წლის 5 ოქტომბერს, იღუპება ათობით ბავშვი, ქალი და მოხუცი, ვინც შიმშილს, ყინვასა და ფიზიკური ძალების გამოფიტვას ვერ გაუძლო. გზაში დიდი გაჭირვებით თხრიან საძარეებს და შიგ კონკებში გახვეულ ძვირფას მიცვალებულებს მარხავენ. მთელი საქართველო ფეხზეა. მაღალ მთებში, თოვლსა და ყინვაში მოხვედრილ თანამოძმეებისათვის თბილ ტანსაცმელს, ლუკმას და წამლებს აგროვებს, სახელმწიფოს მეთაური მთელ კაცობრიობას მიმართავს, რათა მან სვანეთის მთებს მიაპყროს მზერა და რაიმე გზითა და საშუალებით სასიკვდილოდ განწირული ათი ათასობით ადამიანი ბარში ჩამოიყვანოს. არ ძინავს არც ზუგდიდს, ექსპრეზიდენტის შტაბს, ის ქუთაისზე, ხოლო შემდეგ თბილისზე ავიაციის მისაფანად ემზადება. უცხო ქვეყნებიდან მხოლოდ სიტყვიერი თანაგრძნობა და აღშფოთება ისმის. მოსკოვიდან საგანგებო კომისია ჩამოდის, ლტოლვილების საქმეს იკვლევს. მაგრამ რეალური დახმარება არა ჩანს. მხოლოდ ძეზობელი სომხეთიდან ჩამოვიდა ორად ორი ვერტმფრენი. ორი ამდენი მგონი ომში გაჩანაგებულ საქართველოსაც დარჩენია. როდის ჩამოიყვანენ ისინი ათი ათასობით გაანწამებ ადამიანს, როდის ჩამოასვენებენ ათობით და ასობით მიცვალებულს'

ვინ მიიყვანა ის უბედურები აქამდე? რა ხდება ჩვენს თვალწინ, კულტურული კაცობრიობის თვალწინ ძეოცე საუკუნის მიწურულს? სად არის მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი?

ერთადერთ იმედს რუსეთის მთავრობის განცხადება ბადებს. იქ აღნიშნულია, რომ რუსეთი ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტრიბუნალის ჩამოყალიბებას, რომელმაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარი ქართველი მოსახლეობის გენოციდის საკითხი უნდა განიხილოს. საკუთრივ ქართველობა, რასაკვირველია, იქ ნახსენები არ არის, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით და ჩვენთან ერთად მთელმა მსოფლიომაც, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს შემადგენელი ნაწილია, გარდა ქართველებისა, არავითარი სხვა ხალხის გენოციდი არ მომხდარა!

განსასჯელთა სკამზე, ოღონ თქმა უნდა, კაციქამია არძინბა და მისი თანამზრახველები დასხდებიან, რომლებმაც პასუხი უნდა აგონ გაგრისა

და სოხუმის გაუგონარი ხოცვა-ჟლეტის გამო, მაგრამ საკითხავია, ვის აგებს პასუხს ჯერარნახულ ტრაგედიისათვის, რომელიც მაღალმთიანი სვანეთის გზებზე გათამამდა!

ჯანაბას საერთაშორისო ტრიბუნალი და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი! ამაზე უფრო ძე თვით ჩვენი. საქართველოს საზოგადოებრივი აზრი, ქართველი ერისა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხების გუნება-განწყობილება მაინტერესებს!

მადლობა ღმერთს, რუსეთის ამბები ჩვენდა სასიკეთოდ წარიმართა. გამოჩნდა იმედი აფხაზეთის საკითხის სამართლიანად გადაწყვეტისაც. ბორის ელცინის რეაგირება ბატონ ედუარდის განცხადებაზე, ჩემი ღრმა რწმენით, ამის სრულ გარანტიას იძლევა! ბოროტების ბუდე თეთრი სახლი (ამერიკისა ღმერთმა დაიფაროს!)დაეცა. მდგომარეობას ჩაბღუჯებული რუსეთის სახალხო დეპუტატები, შიმშიკამნი და შერცხვენილნი, ქუჩაში გამოვიდნენ და პრეზიდენტის მიერ შეწყალებულნი აქეთ-იქით მიიფანტ-მოიფანტნენ. ციხის კარგამოკეტილი რუცკოი და ხასბულატოვი, ქართველი ხალხის უბოროტესი მტრები და კაციკამია არძინბას ყონაღები, ვისთან ერთადაც აფხაზეთის ძზეს ეფიცხებოდნენ, თავიანთ ხვედრს ელიან, რომელიც მათ რუსეთის დემოკრატიამ უნდა გამოუტანოს. მე ვგრძნობ, რომ ეს ხვედრი უკიდურესი იქნება სიკვდილით დასჯა! წინაკაცი უკანას ხიდიაო. იქნებ ჩვენც მოვიდეთ გონს და ყოვლად შეუწყნარებელ გულმოწყალებას თავი დავანებოთ. ქრისტე მარტო იმას კი არ გვიქადაგებს, მტერი თქვენი შეიწყნარეთ და შეიყვარეთო. სხვა რამესაც გვიქადაგებს და თუ რას გვიქადაგებს ქრისტე, კარგად უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც ახალი აღთქმა ერთხელ მაინც დაკვირვებით წაუკითხავს!

5 ოქტომბერი 1993 წ.

არ ბრძანდრეობა!

„ლიტერატურულ საქართველოს“ 12 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულია ინტერვიუ ცნობილ მწერალ გურამ გეგეშიძესთან. გულახდილად რომ ვთქვა, არასოდეს მიფიქრია, თუ მასთან ოდესმე რაიმე საუბარ მექნებოდა, რადგანაც იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, ვინც გულწრფელ პატივს სცემს ამ მწერლის მაღალნიჭიერებას და მოქალაქეობრივ შემართებას. გურამ გეგეშიძე ბუნებით მართალი კაცია, შეურიგებელი მებრძოლი ყოველგვარი უზნეობის წინააღმდეგ. არ შეიძლება წაიკითხო თუნდაც ეს ინტერვიუ, რომლის ერთი ეპიზოდის გარშემო მე საპირისპირო აზრის გამოთქმას ვაპირებ და თანაგრძნობითა და პატივისცემით არ განიმსჭვალო მწერლისადმი, რომელიც თავის მშობელ ერს სიმართლეს პირში ეუბნება, არავის წინაშე არ დრკება, არავის და არაფერს ერიდება. მისი ტკივილი ერის საზოგადო ტკივილია და ვინ უნდა გამოხატოს იგი, თუ არა მწერალმა, თანაც ისეთმა პირუთვნელმა და ყოველგვარ ანგარებას მოკლებულმა, როგორც გურამ გეგეშიძეა!

თუ არ ვცდები, ღრმად მწამს, რომ არ უნდა ვცდებოდე, თავის ერცელ ინტერვიუში, რომელსაც გაზეთის ორი გვერდი უკავია, მას მხოლოდ ერთხელ უღალატა ზომიერების გრძნობამ, მხოლოდ ერთხელ არ ეყო არგუმენტები და ეს რომ ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად არ ვთქვა, პირში წყალი ჩავიგუბო და განზე გავდგე, თავად არ ვიქნები პატიოსანი თუნდაც იმავე გურამ გეგეშიძის წინაშე!

ეს ის ეპიზოდი გახლავთ, სადაც გურამ გეგეშიძე პარალელს ავლებს ორ პოლიტიკურ მოღვაწეს შორის და ნებით თუ უნებლიეთ მათ არსებით იგივეობას ამტკიცებს. პირადად მე გამიჭირდებოდა და ახლაც მიჭირს, ეს ორი პიროვნება ერთ კონტექსტში გვერდი-გვერდ დავაყენო, მაგრამ რაკი-ღა სხვა გზა არ არის და შემდგომი მსჯელობა უამისოდ შეუძლებელი გახდებოდა, დავასახელებ ამ პიროვნებებს, ედუარდ შევარდნაძეს, ერთი მხრივ და ზვიად გამსახურდიას, მეორე მხრივ.

ინტერვიუერი მწერალს მიმართავს:

„საქართველოში სასტიკი და სამარცხვინო ომი მოხდა. თაობის საუკეთესო წარმომადგენლები წავიდნენ ომში. ბევრი მათგანი ველარ დაბრუნდა.

საქართველოსათვის ბრძოლა მხოლოდ საბაბია, რადგან იგი ინგრევა და ბრძოლა მიდის მხოლოდ დაკარგული უფლებების აღსადგენად.“

ინტერვიუერის მოსაზრება, როგორც ვხედავთ, პასუხსაც შეიცავს, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია.

ვინ იყენებს „საქართველოსათვის ბრძოლას“ საბაბად და ვინ იბრძვის „დაკარგული უფლებების აღსადგენად“, ომის მონაწილე ორივე მხარე? მართებული იქნება, ეს აზრი განვაზოგადოთ და საქართველოს მიწა-წყალზე გაჩაღებულ სამოქალაქო ომს არა საქართველოს ტერიტორიული და ეთნიკური მთლიანობისათვის ბრძოლა, არამედ „დაკარგული უფლებების აღსადგენად ბრძოლა“ ვუწოდოთ?

ომის, ისევე როგორც შინაგანი წინააღმდეგობებით გათიშულ ყოველ მოვლენას, ორი ურთიერთდაპირისპირებული კომპონენტი გააჩნია. ეს კომპონენტები ერთმანეთს ებრძვიან და ამიტომაც არ შეიძლება, ომის მონაწილე ორივე მხარეს ერთი და იგივე მიზანი ჰქონდეს.

გურამ გეგეშიძე უშენიშვნოდ იზიარებს დასმულ კითხვაში ჩაქსოვილ აზრსა და გამოაქვს დასკვნა: „მთავრობათა ჭიდილს საქართველო არ უნდა შეეწიროს."

საკამათო და სადავო ამ ერთი შეხედვით სწორ დებულებაში სრულებით არაფერი იქნებოდა, მწერალს თავისი მსჯელობა კიდევ უფრო გაბუნდოვნებისაკენ რომ არ მიჰყავდეს. საქართველო, რასაკვირველია, არ უნდა შეეწიროს „მთავრობათა ჭიდილს", მაგრამ თუ გვინდა, ნათელი და ამომწურავი აზრი გამოვთქვათ, ხომ უნდა განისაზღვრონ ეს „მთავრობები". რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან და მათ ბრძოლას „საქართველო ეწირება"?!

მაშ, ჩავეულრმავდეთ საკითხის ისტორიას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1991 წლის დეკემბერსა და მომდევნო წლის იანვარში საქართველოში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც შეიარაღებული ძალით დაამხო ამჟამად უკვე ექსპრეზიდენტ გამსახურდიას ხელისუფლება და იგი სამხედრო საბჭოს გადასცა. სამხედრო საბჭო ფორმალურად უკანონო ხელისუფლება იყო, რადგანაც იგი არავის აურჩევია, მაგრამ ხალხის მხარდაჭერით სარგებლობდა, თავი ყოველგვარი ექსცესის გარეშე შეინარჩუნა და უფლებამოსილება მშვიდობიანად გადასცა სახელმწიფო საბჭოს. სახელმწიფო საბჭოს, გარდა იმისა, რომ ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება უნდა წარემართა, უნდა მოემზადებინა საყოველთაო-სახალხო არჩევნები, რის საფუძველზედაც რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლება შეიქმნებოდა.

სახელმწიფო საბჭოს მეთაურის პოსტზე ქართველი საზოგადოების ერთმა ჯგუფმა ედუარდ შევარდნაძე მოიწვია. მას, მსოფლიოში სახელმოხვეჭილ პიროვნებას, რასაკვირველია, შეეძლო უარი ეთქვა ფაქტიურად დაშლილ, საერთაშორისო იზოლაციაში მყოფ, ეკონომიკურ კატასტროფამდე მისული ქვეყნის მეთაურობაზე. აუტიკივარი თავი არ აეტკივებინა, ფეხი ფეხზე გადაედო, უზრუნველად ეცხოვრა, მემუარების წერას შესდგომოდა, მაგრამ ის განსაცდელში ჩავარდნილი ქვეყანა, სადაც იწვევდნენ, მისი სამშობლო გახლდათ და მანაც სახრჩობელის უულფში თავი ნებაყოფლობით გაჰყო.

ერმა დაუფასა თავის შვილს თავგანწირვა და 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებში, რომელიც მსოფლიო დემოკრატიული ძალების ზედამხედველობით ჩატარდა, ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 96 პროცენტმა იგი რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩია.

მრავალპარტიულმა პარლამენტმა თავისი თავმჯდომარე სახელმწიფოს მეთაურის უფლებით აღჭურვა.

საქართველოს მოსახლეობის მიერ დემოკრატიული წესით არჩეულმა ლეგიტიმურმა პარლამენტმა შეადგინა ქვეყნის ლეგიტიმური მთავრობა, რომელიც სცნო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მსოფლიოს ასზე მეტმა ქვეყანამ. მასთან უშუალო ურთიერთობა დაამყარა არა ერთმა და ორმა დიდმა და მცირე სახელმწიფომ. საქართველოს სატახტო ქალაქში, პირველად

მისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, უცხო სახელმწიფოთა საელჩოები გაიხსნა, დაინიშნა საქართველოს სრულუფლებიანი ელჩები ამერიკასა და რუსეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში...

საქართველოს არ ჰყავს და არც სურს ჰყავდეს სხვა ლეგიტიმური, კანონიერი მთავრობა გარდა იმისა, რომელიც ამჟამად განაგებს რესპუბლიკას.

თუ ეს ასეა და რომ ეს ასეა, თვალნათლივ ჩანს, რამდენად სწორია გურამ გეგეშიძის მტკიცება, თითქოს საქართველოს მიწა-წყალზე გაჩაღებულ ძმათამკვლელ ომში ორი ან რამდენიმე მთავრობა ებრძოდეს ერთმანეთს და რომ „მთავრობათა ჭიდილს საქართველო არ უნდა ეწირებოდეს"? სად არის ის მეორე მთავრობა, რომელიც რესპუბლიკის სათავეში მდგომ რეალურ მთავრობას იარაღით უპირისპირდება? არსად. იგი არ არსებობს ბუნებაში! ხოლო ის ძალა, რომელიც რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებას ებრძვის, ებრძვის მკვლელთა და მძარცველთა დაქირავებული ბანდების მეშვეობით, ქვეყნის დაუძინებელ მტრებთან წინასწარ შეთანხმებით, ძალა, რომელიც სასიკვდილოდ წირავს ასი ათასობით თვისტომს, რომელიც მზადაა, წარუმატებლობის შემთხვევაში ქვეყანა დაანგრიოს, ფეოდალური განკერძოება აღადგინოს, სამშობლოს სულიერი ერთიანობა მოშალოს, მის საბოლოო მიზნად კი „დაკარგულ უფლებათა აღდგენა" გვეელინება, რა ძალაა? შეიძლება, ის „მთავრობად" მოიხსენიო, და ერთი მხრივ სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბრბო, ხოლო, მეორე მხრივ ქვეყნის სულიერი და ტერიტორიული ერთიანობისათვის თავგანწირულად მებრძოლი ძალა ერთი ჯოხით გაიდენოს და მათ შეჯახებას, მოჩვენებითი ობიექტურობით, „მხოლოდ დაკარგული უფლებების აღსადგენად" გაჩაღებული ომი ეწოდოს?

რისთვის ვიბრმავებთ თვალს და ვიხშობთ ყურს, რისთვის ვიყრით თავზე ნაცარს? არ გვეკადრება, სწორედ არ გვეკადრება!

ნუთუ მტრის ბანაკიდან გამსახურდიას ჩამოსვლა მშობელ კუთხეში და გზააბნეული ადამიანების აღძვრა ქვეყნის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, რათა მან და მისმა დამქაშებმა დაუმსახურებლად მოპოებული საკარძლები დაიბრუნონ და სახელმწიფოს მეთაურის ყოფნა სისხლისაგან დაცლილ სოხუმში, შემდეგ კი ცეცხლმოდებულ სამეგრელოში ერთი და იგივე მოვლენაა? ნუთუ ისე დავიბენით, ისე შეგვიპყრო ყოვლისა და ყველაფრის უარყოფის, გაბიაბრუებისა და გაუფასურების წადილმა, შავი თეთრისაგან ვეღარ გაგვირჩევია?

სამწუხაროდ, მე სულ ერთ ადგილზე ვიტკეპნები. ინტერვიუერის შეკითხვის მეორე ნაწილსა და ამაზე მწერლის პასუხის პირველ ფრაზას ჯერაც არ გავცილებივარ.

ერთხანს კიდევ მოშიწევს აქ შეჩერება.

გურამ გეგეშიძე წერს:

„საკუთარი გეთანხმებით, ქვეყანა გაიხლიჩა, მთავრობათა ჭიდილს საქართველო არ უნდა შეეწიროს. მით უმეტეს, არც გამსახურდიას ხელისუფლებას და არც შევარდნაძის ხელისუფლებას ჩვენი ქვეყნისათვის ბედნიერება არ მოუტანია."

არა, არა ჰგავს ეს გურამ გეგეშიძის ნაწერს! ასე ზერელედ და უსაბუთოდ წერა მას არ სჩვევია. მსგავსი რამ მხოლოდ ტროლეიბუსში, მეტროში ან პურის რიგში შეიძლება კაცმა გაიგონოს.

მწერალი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ურთულეს საკითხებს ეხება, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ეხება და ობიექტელური ბუზღუნით კმაყოფილდება. ნაცვლად იმისა, რომ მოვლენა აზრით გააანათოს და მკითხველი მის სიღრმეში ჩაახედოს.

როგორ ფიქრობს ძიუდგომელი მწერალი, მსოფლიო თანამეგობრობისაგან სრულიად მოწყვეტილი, იზოლირებული, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი. მხოლოდ დუდაევის ჩეჩნეთთან დაკავშირებული გამსახურდიას საქართველო და ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გასული, კულტურული კაცობრიობის ზრუნვითა და მხარდაჭერით გარემოსილი დღევანდელი საქართველო ერთი და იგივეა?

არ გვეკადრება განზრახ ყურის მოყრუება და თვალის დაბრმავება. ეს მხოლოდ მტრის წისქვილზე მიუშვებს წყალს, რასაც თავისი საამბოხოს ბედზე დაფიქრებულ, მის გულმხურვალე პატრიოტ გურამ გეგეშიძეს ვერასგზით ვერ დავაბრალებ!

ზემოთ თქმულით სრულიადაც არა მსურს იმის თქმა და მტკიცდება, თითქოს დღევანდელი საქართველო თავს დატეხილ გაჭირვებიდან უკვე ამოსული იყოს, აყვავებულიყოს და ბედნიერად ცხოვრობდეს. ათასწილ არა! ქვეყანა უკიდურეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. გაწამდა ხალხი დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე პურის რიგში დგომით, უტრანსპორტობით, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის უქონლობით. დღითიდღე ახალ გადაულახავ სიძნელეებს ქმნის ინფლაცია და მძარცველთა შეიარაღებული ბანდების დაუსჯელი პარპაში. შრომის ანაზღაურების მხრივ უკანასკნელ ადგილზე ვდგავართ მსოფლიოში და თვით მეზობელ სომხეთსაც კი, რომელიც არანაკლებ გაჭირვებაში იმყოფება. რამდენჯერმე ჩამოვრჩებით.

კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესებისა და საგზაო მაგისტრალებზე მილიარდობით მანეთის ზარალის აღკვეთისა და ადამიანების მოტაცების აღკვეთის აუცილებლობამ ავაზაკთა თავშესაფარად ქცეულ აფხაზეთისაკენ გვიბიძგა. რამაც ექსპრეზიდენტის მიერ ჩადებულ დაყოვნებული მოქმედების ნაღმზე აგვაფეთქა და გუდაუთელ სეპარატისტებთან სისხლისმღვრელ ომში ჩაგვითრია. ომმა კოლოსალური მატერიალური ხარჯები და ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ჯერ კიდევ დეკემბერ-იანვრის მოვლენებამდე რუსეთთან და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან გაფუჭებული ურთიერთობის აღდგენა არ მოხერხდა. აფხაზეთის მებრძოლი ძალების ზურგში ექსპრეზიდენტის მიერ სტრატეგიული სივრცის დაკავებამ, მანამდე კი ღალატმა და გამცემლობამ უკანონო შეიარაღებული ძალების მხრივ, ქვეყნის განუყრელი ისტორიული ნაწილის აფხაზეთის მტრის ხელში გადასვლა და სვანეთის თოვლიან უღელტეხილებზე ლტოლვილთა უწყვეტი ნაკადების გაჩენა მოჰყვა.

გამსახურდიამ სამშობლოს უყელა და სწორედ იმ კრიტიკულ მომენტში, როცა გაწამებული ქვეყანა რევანშის მაძიებელმა ოსთა კრიმინალურმა ბანდებმაც კი დაინდეს, სამოქალაქო ომი გაუჩაღა. ასე და-

იწყო მან „ბრძოლა საქართველოსათვის", უფრო სწორად, ქართველი ხალხის წინააღმდეგ. აიღო სამეგრელოს ცენტრები და უპირველეს ყოვლისა, ფოთი, საიდანაც საზღვარგარეთიდან სამამლოდ შემოზიდულ ხორბალსა და შაქარს ვიღებდით, დაიკავა სამტრედია, გადაჭრა რკინიგზა და ე.წ. კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის მებრძოლმა ქართველმა ფიურერმა თავის სამშობლოს და მის დედაქალაქ თბილისს სასიცოცხლო არტერია გადაუკეტა. შიმშილით სიკვდილი დაემუქრა მილიონობით ადამიანს, მათ შორის ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს.

აი, ძვირფასო მკითხველო, ეს ბრალდება სწორედ შევარდნაძეს, რომელიც პირადად ჩაუდგა ოპერაციებს სათავეში, რათა სამშობლო ეხსნა უაზრო, სამარცხვინო დაღუპვისაგან და მინიმალური დანაკლისის ფასად და გამსახურდიას სიკვდილის მთესველი ურდოები სამშობლოდან გაედევნა.

რას იზამდნენ თუნდაც დავით აღმაშენებელი და გიორგი ბრწყინვალე, შევარდნაძის ადგილზე რომ ყოფილიყვნენ? არ მოუხმობდნენ ყველა ჯანსაღ ძალას, თუნდაც მშიერსა და შიშველ-ტიტველს, მტარვალის ხელყოფისაგან სამშობლოს გადასარჩენად?

საქართველოში ჯერ არ დამდგარა აღმშენებლობის ჟამი, უმისოდ კი ქვეყნის მატერიალური მდგომარეობა არასგზით არ გაუმჯობესდება. შეეძლო ქვეყნის ახლანდელ ხელისუფლებას, რომელსაც სათავეში შევარდნაძე უდგას, ცალი ხელით შინაური და გარეშე პირსისსლიანი მტერი მოეგერიებინა და მეორე ხელით კი ქვეყნის გაჩანაგებული, სრულ არარაობამდე დასული სახალხო მეურნეობა აეღორძინებინა?

სამოქალაქო ომით მოყენებული მატერიალური ზარალი ასეულობით მილიარდი მანეთით თუ დოლარით განისაზღვრება. ვინ და რისთვის მოგვაყენა ეს აურაცხელი ზარალი, ვინ და რისთვის დაგვიხოცა ათასობით თავდადებული ახალგაზრდა, გენოფონდი ჩვენი ერისა? განა არსებობს ვისთვისმე რაიმე გამართლება?

კაცი შეშალა, გააგიჟა სავარძლის ხელახლა დაუფლების ჟინმა, იმ სავარძლისა, ხალხმა კეთილი გულით, როგორც დიდი მწერლის შვილს, სრული ნდობით რომ უბოძა და მან კი ადამიანთა დასაყმობად, დასაჩლუნგებლად, ერთმანეთისათვის მათ დასაპირისპირებლად, ბოროტების სამსახურისათვის გამოიყენა!

აი, ახლა კი განმეორებით წავიკითხოთ გურამ გეგეშიძის სიტყვები, რომლებიც ზევით მოვიყვანე:

„... მით უმეტეს რომ, არც გამსახურდიას ხელისუფლებას და არც შევარდნაძის ხელისუფლებას ჩვენი ქვეყნისათვის ბედნიერება არ მოუტანია"!

ცოტაც ჩავყვეთ და ამაზე უარესსაც წავიკითხავთ.

„ჩვენი ხალხის, შეიძლება ითქვას, ფატალური უბედურებაა, ეუბნება ინტერვიუერს გურამ გეგეშიძე. — რომ საზოგადოება დაიყო ბრმად მორწმუნე „ზვიადისტებად" და „შევარდნაძისტებად".

ქვემოთ იგი განმარტავს ორივე ცნებას და შემდეგ დასკვნამდე მიდის:

„არც „ზვიადიზმი" და არც „შევარდნაძიზმი" არ წარმოადგენს რაიმე იდეოლოგიის ან მსოფლმხედველობის ნასახს, არამედ ეს არის მონური კომპლექსით შეპყრობილი, წინასწარ დადგენილი სტერეოტიპე-

ბით აზროვნებას მიჩვეული, თუ ამასაც აზროვნება ჰქვია, ყოველგვარ საღ აზრს და ლოგიკურ საფუძველს მოკლებული ფანატიკური ახირება."

• რა შეიძლება ამაზე ითქვას? ნამდვილად ასეა? ჩვენი დროის ჯერაც აუხსნელი ავადმყოფობის „ზვიადიზმის" საპირისპიროდ მართლაც არსებობს რაღაც „შევარდნაძიზმი", რომელიც სტერეოტიპული აზროვნების ნაყოფია, „თუ ამასაც აზროვნება ჰქვია" და ადამიანებს ადამიანის სახეს აკარგვინებს?

მე, ავტორი ამ წერილისა და ჩემთან ერთად მრავალი მილიონი ადამიანი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, მსარს ეუბნერ შევარდნაძეს, როგორც ადამიანს და როგორც სახელმწიფო მოღვაწეს. „ზვიადიზმისაგან" განსხვავებით, ეს რწმენა არ არის, ეს აზრია, რომელიც მოვლენათა ანალიზიდან გამომდინარეობს და ამიტომაც შეუძლებელია, ვისიმე სახელით მოინათლოს.

ამას წინათ პროფესორმა ნოდარ ნათაძემ ერთ გაზეთში შავით თეთრზე დაბეჭდა, რომ ვინც საქართველოსათვის გადაუდებელ საკიროებად თვლის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას, ქვეყნის მტერია, დახვრეტას იმსახურებს და კიდევაც დაიხვრიტება. მივიღოთ ეს გამონათქვამი ნორმად და დაეუთმოთ ნოდარ ნათაძეს, როგორც ერთ დროს მარქსსა და ენგელსს, აზროვნების მონოპოლია? ვაი მაშინ ჩვენს ბედკრულ საქართველოს!

დაახლოებით იგივე ითქმის გურამ გეგეშიძეზეც: ვინც მისებურად არ ფიქრობს, ის ფანატიკოსია, მონული კომპლექსით შეპყრობილია, მის აზროვნებას აზროვნებაც არ ჰქვია, რადგან სტერეოტიპებით ხელმძღვანელობს, მისი ნააზრევი ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს მოკლებული აბდაუბდაა!

„საზოგადოებას, რომელიც ვერ აცნობიერებს საკუთარ ინტერესებს, ამბობს შემდეგ იგი. - დიდი ვაჟა-ფშაველა ბრიყვ და რეგვენ საზოგადოებას უწოდებდა."

მწერალი თავის ინტერვიუში პიროვნებებით აღარ კმაყოფილდება, ახლა მთელ სზოგადოებაზე გადადის და, ძე თუ მკითხავთ, დიდი ვაჟას აჩრდილსაც სულ ტყუილად აწუხებს. არც ვაჟას და არც ოომელიმე სხვა საღად მოაზროვნე ადამიანს არასოდეს არ უთქვამს, სინამდვილეს თვალი მოვარიდოთო, არ დავინახოთ ის ისეთი, როგორიც არის და წინასწარ ჩამოყალიბებული სქემებით ვიმსჯელოთო.

აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზთა მიზეზი აქსპრეზიდენტის მიერ დატოვებული მეძკვიდრეობა მხარის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული აპაოტეიდული საარჩევნო კანონი და პირადად გამსახურდიას დავალებით მოქმედი ბანდებია, რომლებიც თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებით უდიდეს ზიანს აყენებდნენ საკუთარ სამშობლოს და ბოლოს მიუდგომელი თავშესაფარი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჰპოვეს.

მითია ეს თუ სინამდვილე?

ყოფილ სამხრეთ ოსეთის ტრაგედია მარტო ოსი ექსტრემისტების სინდისს არ ამძიმებს. აქ ტრაგედიაში თავისი დიდი წილი უდევს ექსპრეზიდენტსაც, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტის ტახტზე ასვლამდე რამდენჯერმე ესტუმრა ამ მხარეს და ადგილობრივი ექსტრემისტე-

ბის მიერ ამოძრავებულ ოსებს სამოცათასიანი ქართული ლაშქრის შემოსევით დაეშუქრა. ნაცვლად იმისა, რომ ჯერ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ებრძოლა და ტერიტორიული მოწყობის შინაგან საკითხებს შემდეგ მიბრუნებოდა, მან და მისმა ხელისუფლებამ ეროვნული უმცირესობები აუმხედრა ქართველ ხალხს და საქმეში ჩაუხედავ სახაროვს ათქმევინა, საქართველო პატარა იმპერიაა, რამაც მსოფლიოს დემოკრატიული ძალები ჩვენს წინააღმდეგ აამხედრა.

მითია ეს თუ სინამდვილე?

ქართველმა ხალხმა და მსოფლიომ კარგად იცის, რა მოჰყვა შემდეგ ამას და როგორ წარიმართა მოვლენები.

ქვეყნის მმართველობიდან განდევნეს ადამიანები, ვისაც კი დაკისრებული საქმისა რაიმე გაეგებოდა და მათ ადგილზე პიროვნული წარმატებით თავბრუდახვეული ექსპრეზიდენტის კუდის გამსწორებელი, ე.წ. მრგვალები დასვეს. გარდა თითო-ოროლა სულმოკლისა, რომელიც ანგარების მიზნით გამსახურდიას ბანაკში გადაბარგდა, მთელი ქართველი ინტელიგენცია, ერის წინამძღოლი და სინდისი, კორუმპირებულად გამოცხადდა. ზაჩემ ემუ ინტელიგენცია, ონ სამ ინტელიგენტ! ქვეყანაში პოლიციური რეჟიმი გამეფდა და იგი დღითიდღე ძალას იკრებდა. მეტის მოთმენა უკვე შეუძლებელი იყო. გამსახურდიას რამდენჯერმე მოსთხოვეს გადადგომა ოპოზიციურმა ძალებმა. ამას მან მთავრობის სახლის მისადგომების გადახერგვით, მთელი საქართველოს დედაქალაქში მოწვევით და ტყვიით უპასუხა, რასაც დეკემბერ-იანვრის მოვლენები, პრეზიდენტის გაქცევა და უზენაესი საბჭოსა და მთავრობის ნებაყოფლობით დაშლა მოჰყვა.

მითია ეს თუ სინამდვილე? დაცულია თუ არა ლოგიკური თანმიმდევრობა და ფაქტების უბრალო მოხმობით დამტკიცებულია თუ არა ის, რომ გამსახურდიას დანაშაულებრივი ხროვის სახით არავითარი კანონიერი ხელისუფლება, „მთავრობა" არ არსებობს?

ამ ხროვის ერთადერთი მიზანი არა საქართველოს კრიზისიდან გამოყვანა, არა ქართული სახელმწიფოებრივობის განმტკიცება, არამედ ექსპრეზიდენტისა და მისი დამჭაშების მიერ „დაკარგული უფლებების აღდგენა" გახლდათ. ამას ენაცვალა ათასობით თანამემამულის სიცოცხლე, სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა და კიდევ ის, რასაც ხალხის ეროვნულ ზნეობას ეძახიან.

„ზვიადიზმი" რეალური ძალაა. ეს ის ბოროტი ძალაა, რომლის მსგავსი საქართველოსა და ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არა ჰყოლია.

მითია ეს თუ სინამდვილე?

ვაი, რომ სინამდვილეა და ამიტომ გახლავთ გაუგებარი და აუხსნელი იმათი საქციელი, ვინც აქამდე ვერ მიმხვდარა, რა როგორ არის, სად ქიცია და სად ქიცმაცური.

ისედაც გრძელ წერილს აღარ გავაგრძელებ და მისხალ-მისხალ არ ჩამოვთვლი. სხვა მილიონობით ადამიანთან ერთად, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, რისთვის და რატომ ვუჭერ მხარს შევარდნაძეს, როგორც ადამიანს და როგორც სახელმწიფო მოღვაწეს.

შევარდნაძე ყოველი ძალითა და საშუალებით იბრძვის იმ უკეთ-მართობის აღმოსაფხვრელად, რაც ზემოთ ძალზე მოკლედ დავალაგე, იბრძვის და ამ ბრძოლაში მას გვერდში უდგას მთელი ქართველი ხალხი, მთელი მსოფლიო, მთელი მოაზროვნე და არა ვინმეს მიერ დამონებული კაცობრიობა.

კიდევ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ერმა თავისი სახელმწიფოს მეთაურს ჯეროვანი მიუზღოს, მისი პიროვნული ძისაცემების თანახმად, ფაქტიურ მდგომარეობაზე დაყრდნობით, თუნდაც ერთადერთ პიროვნებად აღიაროს, ვინც დღეს სჭირდება საქართველოს, ვისაც ხელეწიფება იგი უფსკრულიდან ამოიყვანოს?!

რა არის საერთო გამსახურდიასა და შევარდნაძის შორის, რაც უფლებას მოგვცემდა, ეს ორი არაორდინარული პიროვნება ერთმანეთის გვერდით დაგვეყენებინა? სრულებით არაფერი! გამსახურდია იარაღის ძალით გააძევეს და ის მაინც საძულველი ქართველი ხალხის სახელმწიფოს სათავეში დასაჯდომად ძოისწრაფვის, ძოისწრაფვის ათასობით თანამემამულის სისხლის ფასად, შევარდნაძე კი პირიქით აცხადებს, წამოდგეს ვინმე, პარლამენტის წინაშე წამოაყენოს თავისი გეგმა, რომ ჩემზე უკეთ წარმართავს საქართველოს საქმეს და ეს დღესვე მზადა ვარ, საკე დავუთმო. ეს არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

როდესაც სიტუაცია გამწვავდა და პარლამენტის სხდომაზე მავანი და მავანი, როგორც კახეთში იტყვიან, დაუკრეფავში გადავიდა, შევარდნაძე ტრიბუნაზე შედგა და პარლამენტის წინაშე თავისი უფლებამოსილება მოიხსნა.

ეს იყო ტრაგიკული წუთები, უფრო ტრაგიკული, ვიდრე სოხუმის დაცემა. უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა პარლამენტში. ყველა შევარდნაძეს მივარდა, გზა გადაუღობა. შევარდნაძემ არავის არ ძოუსძინა და წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბა მთელი თბილისი, მთელი საქართველო. იქ ძობოძანდა თვით უწმიდესი კათალიკოსი და მისი საეკლესიო კრებული. შევარდნაძეს სხვა გზა აღარ ჰქონდა. უნდა გამოსულიყო და ეოს სჩვენებოდა. გამოვიდა. ეჩვენა. ერმა დაიჩოქა. დიახ, დაიჩოქა ერმა და უძორჩილესად სთხოვა შევარდნაძეს, უკან წაეღო თავისი სიტყვა. არ ძიეტოვებინა საშინელ განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლო, ოომლის დასახსნელადაც ჩამოვიდა და ემართა ქვეყანა ისე, როგორც საჭიროდ დაინახავდა.

ეს იყო მოლოდინით დამუხტული ამაღელვებელი წუთი. ნუთუ ქართველი ერი ამისათვის გაკიცხვისა და დაცინვის ღირსია? ამ დროს სიცილი და ლაზღანდარობა მხოლოდ გამოუსწორებელ ცინიკოსებს შეუძლიათ. ის დაჩოქება და თუ გნებავთ მუდარაც იმას ძოასწავებს, რომ ერის წიაღში ჯერ კიდევ ღვივის სიკეთის თესლი, თესლი კაცთმოყვარეობისა, სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობისა, შენდობისა, მადლიერებისა, რომ ადამიანების ზნეობაში ჯერ ყველაფერი არ დაღუპულა, რომ ეშმარიტება ღორის ყოლტის გასათელავი არ გამხდარა!

რას ვკითხულობთ ყოველივე ამის გარშემო ინტერვიუში?

„ეს მონური სწრაფვა ვისიმე კულტისაკენ, ეს სამარცხვინო დაჩოქებები და მუდარები ზოგჯერ იმასაც კი მაფიქრებინებს, რომ დღევან-

დელი ქართველისათვის ტვინი გადაიქცა რუდიმენტად, რაღაც ატავისტურ გადმონაშთად, რომელიც მას არ ჭირდება და არც ჰმარობს."

მე არ მემეტება ბურაძ გეგეშიძე საიმისოდ, რომ ამ ტრაგიკომიკურ ტირადას ქვემოთ ის მივუწეროთ, რასაც ის იძსაბუროებს!

შედგა პარლამენტის სესია, იმ პარლამენტისა, რომლის ერთი ნაწილის არაკორექტულმა საქციელმა შევარდნაძე აიძულა, საქართველოსათვის საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა. ჩატარდა კენჭისყრა. რასაკვირველია, არა სახელობითი. სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე მის დარჩენას ხმა მისცა მთელმა პარლამენტმა. წინააღმდეგი არავინ ყოფილა, თავი შეიკავა მხოლოდ ერთმა დეპუტატმა.

კიდევ რა არის საჭირო? კიდევ რა საბუთი უნდა მოვიტანოთ იმის დასამტკიცებლად, რომ მკრეხელობაა, მძიმე ცოდვის ზღვრზე აკიდებაა ყოველივე ის, რის უფლებაც ბურაძ გეგეშიძემ ინტერვიუში თავის თავს მისცა.

ამას წიხათ ფილარმონიის დიდ დარბაზში მიმდინარეობა ყოველის მომცველი გაერთიანება საქართველოს მოქალაქეთა კავშირი დაფუძნდა. ორგანიზაციული საკითხების მოგვარება რომ დამთავრდა, სიტყვა სთხოვეს ამ კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ ედუარდ შევარდნაძეს. ხალხით გაჭედილი დარბაზი ფეხზე ადგა და ტრიბუნამდე მქუხარე ტაშით მიაცილა თავისი სახელმწიფოს მეთაური. დავიჯერო, იქ მხოლოდ „შევარდნაძისტები" შეიკრიბნენ და თავადაც. არ გაეგებოდათ, რას იქმოდნენ?

მე სულ სხვანაირად მგონია. ამ ერთსულოვანი ტაშით და ფეხზე წამოდგომით დარბაზში შეკრებილი საზოგადოება თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა იმისადმი, რაც ამ კაცმა საქართველოს მოლიანობისა და ერის ღირსებისათვის სოხუმში გააკეთა, რაც მან ყოველის მომსურველი საბოქალაქო ომის აღკვეთით დასავლეთ საქართველოში გააკეთა, რასაც ყოველდღე აკეთებს და მომავალშიც ვააკეთებს მშობელი ერისა და ქვეყნისათვის, რომლისთვისაც შეწირული აქვს ყველაფერი. რაც კი გააჩნია.

ბურაძ გეგეშიძეს. რასაკვირველია, შეუძლია ყურად არ იღოს ჩემი შეხედულებები. რაც, საბედნიეროდ, მარტო ჩემი პირადი შეხედულებები არ არის და საქართველოსთან ერთად მას მთელი მოაზროვნე კაცობრიობა ადასტურებს, შეუძლია თავის აზრზე დარჩეს. მაგრამ მე მაინც მინდა ვუსურვო, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ერი ფეხზე დამდგარიყოს მისი სახელის ხსენებაზე და ორიოდე სიტყვის სათქმელად ტრიბუნისაკენ წასული მქუხარე ტაშით გაეცილებინოთ'

24 სექტემბერი 1993 წ.

მეოცის ხახუნი...

გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილით შევიტყე, რომ შალვა მჭედლიშვილი, პროფესიით ექიმი, მოწოდებით პოეტი, რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი, რომელიც ამჟამად კახეთის ერთ-ერთ სამკურნალო დაწესებულებაში მუშაობს, 70 წლისა გამხდარა.

მე არ შემეძლო გვერდი გულგრილად ამეცალა ამ ლირსშესანიშნავი მოვლენისათვის, რადგანაც შალვა მჭედლიშვილი ჩემი სიყრმის მეგობარია და მასთან მეხსიერებიდან მარად ამოუშლელი ხანა, სალექსო სტრიქონთან პირველი ქიდილი მაკავშირებს.

ჩვენ მაშინ ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი წლისა ვიყავით. შალვა ზარბაზნის ქუჩაზე ცხოვრობდა. ჩუღურეთში. ეს ერთი პატარა ქუჩა იყო, აღმართს შეფენილი და მის თავში რომ ფეხი დაგცდენოდა და დაგორებულიყავი, მექოთნეთა ქუჩაზე ისე ჩამოგორდებოდი, გზაში არაფერი შეგაჩერებდა.

შალვას მშობლებს ეროიმეორეში გამავალი ორი ოთახი ჰქონდათ და კიდევ ერთი ბნელი დერეფანი, რომელიც საძზარეულოს მაგივრობას ეწეოდა. ერთადერთი ფანჯრიდან, დასავლეთის კედელში რომ იყო ჩასმული, მამადავითის მთა და მისი მიმდებარე თბილისის შუაგული მოჩანდა.

მე არ ვიცი, როგორ სწავლობდა შალვა სკოლაში, რომელ სასწავლო საგნისადმი რა მიდრეკილებას იჩენდა, მაგრამ ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ მისი პოეტური ნიჭი და დიდი მომავალი არავითარ ეჭვს არ ბადებდა. იგი ერთადერთი შვილი იყო ხანშიშესული მშობლებისა. მოკრძალებული, ხელმოკლე ინტელიგენტები (დედა ექიმი იყო, მამა - მასწავლებელი) შვილსაც ყოველგვარი ფუფუნების გარეშე ზრდიდნენ და ცხოვრების სიძნელეებთან უსაყვედურო ქიდილს სიყრმიდანვე აჩვევდნენ.

ერთმანეთს რომ პირველად შევხვდით, მგონი ნათის რიგში, მიუხედავად თავისი მცირე ასაკისა, შალვა უკვე დამთავრებული პოეტი იყო, ლიტერატურული რემინისცენციების პერიოდს გაეცალა, საკუთარი ხმა და კილო საპოვნი ჰქონდა. ბევრს და გატაცებით სწერდა. შემოქმედებით აღტკინებას მხოლოდ წერის პროცესში განიცდიდა, შემდეგ კი უკვე შექმნილ ნაწარმოებისადმი ყოველგვარ ინტერესს კარგავდა და მას, როგორც მოძულებულ ნივთს, ღვინის თაღია კასრში ჩაუძახებდა ხოლმე. ეს კასრი ტალანში იდგა და გარდა იმისა, რომ შიგ ფურცლის ნაგლეჯებზე დაწერილ შალვას ახალ-ახალი ლექსები ეყარა, კარგად არ მახსოვს, რა დანიშნულებას ასრულებდა.

ეს არცაა გასაკვირი. მას შემდეგ ზუსტად 53 წელიწადია!

ახალი ლექსების ამოსაღებად შალვა კასრის ყელზე გადაიხრებოდა, როგორც რაკეული მეპურეები იხრებიან ცხელ თონეში შოთის ჩასაკრავად და იქიდან მთელ ბღუჯა ლექსებს დაითრევდა.

ახალ-ახალი ლექსი თუ პროზა ორივეს ბევრი გვქონდა და ერთმანეთს გატაცებით ვუკითხავდით.

შალვას მშობლები იშვიათად თუ ჩაერეოდნენ ჩვენს ლიტერატურულ პაექრობაში. მათ თავი ისე ეჭირათ, თითქოს თავიანთი საქმით

იყვნენ გართული და ჩვენთვის არ ეცალათ. მაშა რეეულებს ასწორებდა. დედა კი ტალანში ტრიალებდა ნავთქურასთან და სადილს ხარშავდა.

ზოგიერთ ლექსს, როგორც, მაგალითად ამას:

მოდის ნახირი, თავდახრილი...

შალვა ხმადაბლა .მიკითხავდა და თან თვალს მშობლებისაკენ აპარებდა, ხომ არ ესმითო. ეს ნახირი, თავდახრილი რომ მოდიოდა, საბჭოთა ხალხი იყო და მარტო ეს ერთი სტრიქონიც კმაროდა, რომ შალვასაც და მის მეგობრებსაც, მით უფრო მშობლებს, უკეთუ იგი იქ მიაღწევდა, სადაც ჯერ არს, ციმბირი აქეთ დარჩენოდა. მშობლები ამას ვერ მოუწონებდნენ. ერთადერთი არცთუ ისე ჯანმრთელი შვილი ჰყავდათ, მზე და მთვარე იმაზე ამოსდიოდათ, თანაც ის ჯერ პატარა იყო, დიდ ვეშაპთან, ტირანიასთან ხელდახელ შესაბმელად ჯერ წელი არ მოსდევდა.

მალე განუყრელი მეგობრები გავხდით. ყოველი მელანშეუმშრალი სტრიქონით ერთმანეთისაკენ მივისწრაფვოდით და ფიქრსა და ზრახვას ერთმანეთს ვუზიარებდით. ჩვენი ნაცნობების წრე თანდათან ფართოვდებოდა. თუმცა, ჩვენი ქკეთ, ყველას არ ვენდობოდით და გულისნადების გაზიარებისას აუცილებელ სიფრთხილეს ვიჩენდით. ცუდი დრო იყო. ოცდაჩვიდმეტის სუსხი ჯერ კიდევ იგრძნობოდა და დიდსა და მცირეს ძარღვებში სისხლს უყინავდა. მე, მაგალითად, მაშა ერთი წლის დაპატიმრებული მყავდა. დააპატიმრეს ბიძაც, დეიდის მეუღლე, ვისთანაც ბინად ვიდექი. უფროსთაგან ყველა დაპატიმრებას ელოდა. არავინ იცოდა, ვის როდის წაავლებდნენ ხელს და საქმეს „საპერედაჩოდ" გაუხდიდნენ.

ასეთ დროს განვიზრახეთ არალეგალური ჟურნალის გამოშვება, რომელშიაც ჩვენი ლექსები, მოთხრობები და კრიტიკული წერილები უნდა დაგვებეჭდა. მივადექით კარზე რაოდენ გვეტაძეს. რაოდენი კეთილშობილი კაცი იყო, იმხნად მწერალთა გამომცემლობას ედგა სათავეში და ჩვენ რატომღაც თავი დავირწმუნეთ, რომ არ გაგვაწბილებდა და რითაც შეეძლო, ხელს გაგვიმართავდა.

ახლაც კარგად მახსოვს: გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისში ცხოვრობდა, ჭადრაკის სასახლის გვერდით, სადაც ამჟამად კულტურის ფონდია.

მოსვლის მიზეზი რომ გავუმხილეთ, ჯერ მოიღუშა, ხელმეორედ აგვხედ-დაგვხედა, შერე ტალინში გავიდა, აქაც მიიხედ-მოიხედა, ქუჩასაც შეავლო თვალი და სანამ შემობრუნდებოდა და რაიმეს გვეტყოდა, ჩვენ ჩვენი დაგვემართა.

გაგვამეორებინა მოსვლის მიზეზი. შალვა ჩუმად იყო, მარტო მე ვლაპარაკობდი. არალეგალური ჟურნალი გვინდა გამოვუშვათო? სიცილი წასკდა. კარგა ხანს სულმოუთქმელად იცინოდა. იცინოდა კეთილად, არა დაცინვით, ცრემლებს იწმენდდა. მერე ცოლს დაუძახა, ვინ ვიყავით და რა საქმემ მოგვიყვანა. ახლა იმან შემოიღო ყბაზე ხელი და დედობრივი სიყვარულით და თანაც ნაღვლიანად შემოგვხედა. ეტყობა, კარგი ბიჭები ვიყავით, გაბედული, გულწრფელი. სამშობლოს

სიყვარულით კოცონივით ანთებული, ოღონდ გულუბრყვილონი და გამოუცდელნი.

დაგვარიგეს, ეგ აღარსად გაიმეოროთ, არც ისა თქვათ, რომ აქ იყავით, ნუთუ არ იცით, რა ხდება. ჩვენს თავზე რა წისქვილის დოლები ტრიალებს, ჯერ გაიზარდეთ, ისწავლეთ, დავაქკაცდით, მწერლობისათვის მარტო ღვთის ბოძებული ნიჭი არ კმარა, დიდი ცოდნა და ცხოვრების გამოცდილება უნდა შეიძინოთ, ბრძოლის ხერხები და საშუალებები უნდა შეითვისოთ და საშშობლოს, ისე რომ გიყვართ, მხოლოდ მაშინ გამოადგებითო.

ამას რომ ვწერ და შალვა მჭედლიშვილის გვერდით გატარებულ ტკბილ-მწარე დღეებს ვიგონებ, ძალაუნებურად ჩვენი ავტომატიანი ახალგაზრდები მახსენდება, მეტადრე ისინი, ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში ასი-ასორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი საძმო რომ ჩამოუყალიბებიათ და სანამ კბილებამდე შეიარაღებულები შარაგზის ყაჩაღობას დაიწყებდნენ: თავი საქველმოქმედო საზოგადოებაც და საშობლოს დამცველებლად მოეჩვენებათ. შეარცსვინოს ღმერთმა ასეთი საძმოც და ასეთი საქველმოქმედო საზოგადოებაც! რა დავთესეთ და რა ამოვიდა!

გვეტაძეებიდან გულდაწყვეტილი და შეფიქრიანებული წამოვედით. ოცნებას ფრთები შეეკვეცა. ჩვენ დავაქკაცებამდე და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების შესაძენად მოცდა არ შეგვეძლო. ახლა გვინდოდა ყველაფერი. სანამ ძარღვებში სისხლი გვიდუღდა, სანამ სიცოცხლე არად გვიღირდა!

გადავწყვიტეთ, რაკი ბეჭდურად ვერ მოვახერხეთ, ხელნაწერი ჟურნალი გამოგვეშვა, გამოგვეშვა 10-12 ცალი და სანდო მკითხველებს შორის მორიგეობით გაგვევრცელებინა.

ო, რა ძნელი იყო მაშინ კაცის ნდობა! ყოველ სამ-ოთხ კაცში ერთი იუდა იყო და სადაც ჯერ არს ამბები მიქონდა. ჩვენი გადაწყვეტილების აღსრულება ბეწვის ხიდზე სიარულს უდრიდა. კაცმა არ იცოდა, ხიდი როდის ჩაგვწყდებოდა და ჯოჯოხეთის ადუღებულ კუპრში როდის ჩავარდებოდი! არც ამას მოვერიდეთ. შალვას მშობლებმა შეუმცდარი ალღოთი იგრძნეს, რომ რაღაც საეგებიო გზას დავადექით, ექვი აიღო საწყალმა დეიდაჩემმაც, რომელსაც მარჩენალი ქმრის დაპატიმრების შემდეგ თავზე წვრილშვილი ეხვია. მონახეს ერთმანეთი, გაუზიარეს თავიანთი გაჭირვება და ფრთხილად შეუდგნენ ჩვენს შეგონებას.

მაშინ „იატაკქვეშეთში" გადავინაცვლეთ და საიდუმლო შეხვედრებს მიხაი ზიჩის ქუჩაზე ვაწყობდით, სადაც ერთი ჩვენი თანამოაზრე ახალგაზრდა პოეტი ლეილა ლაშა ცხოვრობდა. ლაშა, რასაკვირველია, ფსევდონიმი იყო. მისი ნამდვილი გვარით არავინ დაინტერესებულვართ. ასევე ფსევდონიმს ატარებდა კიდევ ერთი ახალგაზრდა პოეტი ოთარ მაისურაძე. მას ფსევდონიმად ოთომ ფაზისი აერჩია. მეც მქონდა ფსევდონიმი: ალიონი. დანარჩენები: შალვა მჭედლიშვილი, ვანო ხალიფაშვილი, ვაჟიკა ფხოველი, ვახტანგ ჯაქვაძე, მიხეილ ზასგურაშვილი, კოჩობა აროსია, ბიძინა ლუტიძე და კიდევ ორიოდე სხვაც თავიანთი ნამდვილი სახელითა და გვარით გამოდიოდნენ. ახლა გამახსენდა: შალვა ფსევდონიმად „გომბორს" ატარებდა.

ჟურნალს „ქარიშხალი“ ეუწოდეთ. ყდას დაამწყებ მხატვარს გიორგი იაშვილს ვახატვინებდით. თვით ჟურნალის შედგენა და „უზღერში მოყვანა“ მე ძალიდებოდა. ხელნაწერს ანაქანაზე ვაბეჭდვინებდით ქ-ნ ბაბილინა მაკავარიანს. ჩვენი გახდობილი მეგობრის ეკეკუნა ნაკაშიძის დედას, ვაბეჭდვინებდით შვიდ ცალად. თაბახის ნახევარ ფურცელზე და შემდეგ კუსტარული წესით ვკინძავდით.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ერთი წლინახევრის განმავლობაში ექვსი თუ შვიდი ნომერი გამოვუშვით.

ჟურნალი ერთობ ვიწრო წრეში ვრცელდებოდა. ცოტა-ღა მახსოვს ჩვენი მაშინდელი მკითხველები. აი მათი არასრული სია: კარლო ბერიშვილი, ვლადიმერ ჯაფარიძე, არეთა და ოთარ გამყრელიძეები, ავთანდილ, ჯანო, პორფილე იაშვილები, ნიკო თუხარელი, დოდო ხიშიაშვილი, ილია ფერაძე, ზურაბ (ზუბიკა) კაკიშვილი, გუია ბერულავა, ეკეკუნა ნაკაშიძე, ქეთევან და თინა ყაველაშვილები, ზურაბ და ქეთო კვიტინაძეები, ნინო გოლოვინა...

ხელნაწერ ჟურნალ „ქარიშხალში“ გამოქვეყნებულ პოეტთა შორის პირველობის პალმა შალვა მკედლიშვილის, იგივე შალვა გომბორს ეკუთვნოდა. დიდხანს მახსოვდა ზეპირად მისი დიდებული ლექსი „მეორედმოსვლა“, რომელიც ჟურნალის პირველსავე ნომერში მოვათავსეთ და რომელიც ამჟამად დაკარგულია. ჩამეწერა მაინც. როგორ წარმოვიდგენდი თუ დამავიწყდებოდა! რამდენი ათეული ასეთი ლექსი დაიკარგა და დავიწყებას ძიეცა, რამდენი დიდი ნიჭი დაიმარხა!

1942 წლის სექტემბერში მე არმიაში გაძიწვიეს და ჟურნალმა „ქარიშხალმაც“ შეწყვიტა გამოსვლა. მაგრამ ამასთან ერთად არ შემწყდარა ახალგაზრდა შემოქმედთა საიდუმლო შეხვედრები და ნაფიქრ-ნააზრევის ურთიერთგაზიარება.

ახალქალაქში, 406-ე მსროლელ დივიზიაში მოვხვდი, რომელიც სწორედ იმხანად დაბრუნებულიყო ქერჩიდან, დაბრუნებულიყო განახევრებული თუ გამესამედებული. გერმანელები სტალინგრადის კედლებთან იდგნენ. ღამ-ღამობით კავკასიის ქედზე ამოსული მათი ეგერების არტილერიის განუწყვეტელი გმინვა ისმოდა. სტალინგრადის დაცემისთანავე თურქეთი ომში უნდა ჩაბძულიყო ჰიტლერის მხარეზე. მისი დივიზიების პირველი ლუკმა ჩვენ ვხდებოდით. არ გვქონდა საკმაო იარაღი, გვაკლდა არტილერია და ჯავშანტექნიკა. გვშიოდა, გვწყუროდა, კბენარი გვქამდა და საველე მეცადინეობებსა და სასროლეთზე ფეხშიშველი დავტანტალებდით.

შემოდგომა მიწურული იყო. საქართველოს ციმბირით წოდებულ ჯავახეთში უკვე საშინლად ციოდა. ასეულში მომაკითხეს. გამშვებ პუნქტთან ვიღაც სამოქალაქოდ ჩაცმული ახალგაზრდა დგას და შენ გკითხულობსო. ჩემი ბავშვობის მეგობარი, ჟურნალ „ქარიშხალის“ უპირველესი მკითხველი კარლო ბერიშვილი აღმოჩნდა. მეთაურს დავეთხოვე და ის ერთადერთი ღამე მე და კარლომ თეთრად გავათენეთ ქალაქში.

კარლო ბერიშვილმა საკუთარ სიცოცხლისათვის დიდი რისკი გასწია და დედაქალაქიდან ჩემს გასაფრთხილებლად ჩამოვიდა. ჩვენი ჟურნალი და კიდევ სხვა მამხილებელი მასალები ხელში ჩავარდნოდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს. შალვა მკედლიშვილი და კიდევ

რამდენიმე შეთქმული მასთან ერთად დაეპატიმრებინათ. თავისი საკუთარი სახლის სხვენში ტყვეთით მოეკლათ ვანო ხალფაშვილი. თავს უშველე. დღეს თუ ხვალ შენი გვარიც ამოტივტივდება და ძოგაკითხავენო.

თავს აბა როგორ ვუშველიდი. სახელმწიფო უშიშროებას, ძიწის ქვეშ რა იყო, ისიც რომ იცოდა, როგორ დაეძალებოდი, ხელიდან როგორ დაუსხლტებოდი!

შალვა მშვდლიშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა, ვისთან ერთადაც ის ჩავარდა, არ დაასახელეს, არ „აბოატივტივეს" ჩემი ვინაობა და ამან ჩემი ყოფნა-არყოფნის ბედი გადაწყვიტა!

ოცი რომ დამთავრდა და თბილისის ძიწას ფეხი ისევ დავადგი, პირველად შალვას სახლს მივაშურე ზარბაზნის ქუჩაზე. შვილის დარდითა და წლებით გაღეხილი ძისი მშობლები ისევ იქ ცხოვრობდნენ. მამამ მაჩვენა საძალავი. საიდანაც ჩვენი ჟურნალის კომპლექტი ამოეღოთ. ერთი საყვედურიც არ დასცდენია. მხოლოდ ძაშინ ვიგრძენი, რომ ეს გამხდარი, ცხოვრების სიდუხჭირეგამოვლილი ადამიანები ისეთივე უზადო მამულიშვილები იყვნენ, როგორიც ერთადერთი შვილი გამოზარდეს, საშშობლოს გაუზარდეს და ჩუმად ამაყობდნენ კიდევაც, რომ ის მათი ღვიძლი შვილი იყო, მათი სისხლი და ხორცი!

ორი ათეული წლის შემდეგ დაბრუნდა შალვა. ის სულ სხვა კაცად მოგვეელინა, თუმცა გარეგნულად ცვლილება არაფერი ემჩნეოდა, მხოლოდ თმაში, მეტადრე საფეთქლებთან, ჭაღარა გამორეოდა. აღარ იყო აღარც ის კასრი, რომელშიაც ახალ-ახალ ლექსებს ყრიდა და შემდეგ ბღუჯა-ბღუჯა ამოიქონდა. მგონი საერთოდ აღარ წერდა და მთლიანად თავის ახალ პროფესიას მისცემოდა. თავისუფალ გადასახლებაში, რომელიც სასჯელის მოხდის შემდეგ მიუსაჯეს, სამედიცინო ინსტიტუტი დაემთავრებინა და მკურნალი ექიმი გამხდარიყო.

ყმაწვილკაცობაში ლაპარაკის დროს თავის გვერდზე გადაქანება იცოდა და ოდნავ მოჭუტული თვალებით გვერდიდან გიყურებდა. ეს ჩვეულება გადასახლებაშიაც არ მოეშალა, ოღონდ მის დაკვირვებულ მზერაში ახლა მეტი ირონია იგრძნობოდა.

„მეორედმოსვლა" ვეღარც მან გაიხსენა. ბევრი რამ სამუდამოდ ჩაბარებოდა დაუწერელ ისტორიას. დროს სამუდამოდ ჩაენოქა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მიუბრუნდა პოეზიას და ორი თუ სამი ლირიკული ლექსების კრებული გამოსცა. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრადაც ახლახან მივიღეთ, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნის დაგვიანებით.

შურმან ლებანიძეს, ოთარ ჭელიძეს, მიხეილ ქვლივიძეს და ამ სტრიქონების ავტორს გვახსოვდა შალვას ყრმობისდროინდელი ლექსები, გვახსოვდა ჩვენი მაშინდელი აღფრთოვანება და გული გვწყდებოდა ხოლმე, მის ახალ ლექსებში იმ მწველ შთაგონებას, ტემპერამენტს და მოქალაქეობრივ შემართებას რომ ვეღარ ეპოულობდით.

შეიძლება, ამას არ უნდა ვამბობდე, თაფლში კუპრს არ უნდა ვურევდე, რა დროს ესაა, როდესაც ჯოჯოხეთის ცხრავე რკალში გამოვლილ კაცს. ჩემი სიყრმის მეგობარს 70 წელი შეუსრულდა. ძაგრამ ვაი, რომ არ შემიძლია, აქაც პირუთვნელი არ ვიყო და ის არა ვთქვა, რასაც გული მეუბნება.

შალვა მჭედლიშვილს. როგორც პოეტს და როგორც ექიმს. უყვარს თავისი ავადმყოფები, მთელ თავის სიყვარულსა და ზეგარდმო შთაგონებას მათი გამოჯანმრთელების საქმეს ახმარს. პოეზია კი ლამაზი ქალივითაა. შეუბრალებელი, ეჭვიანი, ღალატს, წამიერ გვერდზე გახედვასაც არ გაპატიებს. თუ მისი ხარ, მთელი არსებით, ყოველ წუთს და ყოველ წამს მისი უნდა იყო, მორჩა და გათავდა!

ჩვენ, მის ძველ მეგობრებს, ისეთიც გვიყვარს შალვა მჭედლიშვილი, როგორც ამჟამად არის. ცხოვრების ძირმწარენაჭამი, ბრძენი, სამშობლოს უანგარო სამსახურში გათეთრებული. დაე, ასეთს ეცოცხლოს დიდხანს და მუხლჩაუხოელად ეწიოს მამულიშვილი პოეტისა და ექიმის მძიმე ჯაჯანი!

17 დეკემბერი 1993 წ.

ულეთოდ ადრეა მისი წასვლა ამ ქვეყნიდან. მისი ამქვეყნიური ცხოვრებისათვის წერტილის დასმა, საყვარელი ოჯახის დაობლება, ათასი გამოწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვება. თესგიზს ეს არ სჩვეოდა. დაწყებულ საქმეს ერთგულად მოლოდინ მიიყვანდა. ბოლო დროს დიდი ილიას ბიოგრაფიით იყო გატაცებული. ვახტანგ ჯავახაძის წიგნის „უცნობის" მიხედვით გალაქტიონზე ფილმის გადაღებას აპირებდა. სულ მუშაობდა, სულ ფიქრობდა, სულ საქმიანობაში იყო...

საქართველოში ცოტას თუ ვინმეს შეეძლო მისებრ ეთქვა. პროფესიონალი ვარ, ადრეულ სიყმაწვილეშივე არჩეულ ჩემს პროფესიას ვემსახურებოდი და ერის სულიერ ცხოვრებაში ჩემი წილი ამ მხრივ შემაქვსო.

მისი ნიჭის თავისებურება რეზო ჩხეიძესთან ერთად გადაღებულ „მაგდანას ლურჯაშივე" გამოჩნდა. „მაგდანამ" გადატრიალება მოახდინა ქართულ კინოში და ხელოვნების ამ დარგის ახალი ეტაპის დამწყებად მოგვევლინა. თენგიზის მეორე მხატვრული ფილმის „სხვისი შვილების" სცენარი ერთად დავწერეთ. დაუვიწყარია ჩემთვის ეს დღეები, კვირეები და თვეები.

თენგიზისაგან, როგორც ოსტატისაგან, თუ მოინდომებდი, ბევრი რამის სწავლა შეგეძლო. შეგეძლო გესწავლა. მაგალითად, ლაკონური აზროვნება, ლაკონური წერა, ნაწარმოებში მხოლოდ იმის დატოვება, რაც ცოცხლობს და მოქმედებს, სხვა დანარჩენის კი მოკვეთა და დაუნანებლივ გამეტება.

ყოველივე ეს დამახასიათებელია კინოდრამატურგიისათვის, მაგრამ ერიგო როდია, როდესაც მას ლიტერატურის სხვა ჟანრებიც იყენებენ.

თენგიზ აბულაძემ, როგორც კინორეჟისორმა, იმთავითვე მიიქცია ყველა ქვეყნის მილიონობით მაყურებლის ყურადღება. „მაგდანას ლურჯათი" და „სხვისი შვილებით" დაწყებული ყოველი მისი მომდევნო ფილმი კინემატოგრაფიის საერთაშორისო მოვლენად გადაიქცეოდა ხოლმე, ხოლო რაც შეეხება „მონანიებას", გზას ტაძრისაკენ წილად ხვდა მსოფლიო მაყურებლის ისეთი აღიარება, რომელიც მანამდე და არც მის შემდეგ არც ერთ ქართულ ფილმს არ ღირსებია.

ბედნიერია საქართველო იმით, რომ თენგიზ აბულაძის სახით ჰყავს მსოფლიო მასშტაბის რეჟისორი, ყავს და ყოველთვის ეყოლება, რადგანაც უკვდავია მის მიერ შექმნილი ფილმები, რომლებიც სიმართლეს ღაღადებენ და კაცთმოყვარეობას ემსახურებიან.

ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვიყავით. ერთად გვიოცნებია, ერთად დაგვიწყია პომავლის გეგმები. იმ გეგმებიდან ბევრი ახდა, ბევრი კი დღესაც განუხორციელებელია. ბოლო დროს ერთმანეთს იშვიათად ვხვდებოდით. ორივეს პროფესია საქმეზე მიჯაჭვას მოითხოვს და ამას მთელი დრო თუ არა, დროის უმეტესი ნაწილი მაინც მიაქვს.

მე ვერაფერს ვიტყვი თენგიზის მაგივრად, მაგრამ ჩემი მხრივ უნდა ვთქვა, რომ ის მუდამ ჩემთან იყო, როგორც ჩვენი საერთო მეგობარი და მასწავლებელი პოეტი სიმონ ჩიქოვანი. სანამ ვარ, ღღეის შემდეგაც ჩემთან იქნება და იცოცხლებს ჩემთან ერთად, რადგან ისეთები, როგორც თენგიზ აბულაძე იყო, მხოლოდ იბადებიან, სიკვდილი კი არასოდეს არ უწერიათ

8 თებერვალი 1994 წ.

მეთორმეტე რესპუბლიკა ერთი
ინტერვიუს ნაბეჭდი

ეს ინტერვიუ ამავე გაზეთის გასულ, 11 ხოლმბრ [illegible] ნომერში დაიბეჭდა. იგი რედაქციის თანამშრომელს, ბატონ [illegible] შერაზადიშვილს მისცა განათლების ყოფილმა მინისტრმა ბატონმა [illegible] ენუქიძემ. როგორც ცნობილია, ვიდრე განათლების მინისტრის პოსტს დაიკავებდა, ბატონი გურამი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო. იდეოლოგიის დარგს განაგებდა. კორესპონდენტისათვის მიცემული ინტერვიუც უმთავრესად ამ პერიოდს შეეხება.

მოგეხსენებათ, აღნიშნული პერიოდი ჩემი თაობის შემოქმედებითი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ეს ფაქტები, ინტერვიუში რომ მოიხსენიებს ბატონი გურამ ენუქიძე და ახლა უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულა, ჩვენ გადაგვხვდა, ჩვენი პირადი ცხოვრებაა და ხერავენ გვიწყენს, თუ მათი სისწორით წარმოდგენის საკითხისადმი გულგრილი ვერ ვიქნებით.

ეს, რასაკვირველია, მარტო ვისიმე პირადი საქმე არ არის. თაობებმა უნდა იცოდნენ, რა როგორ იყო, რათა შეეძლოთ ნათლად და შეუცდომლად წარმოადგინონ, რა და როგორი გზა გაიარა წინა თაობამ, მართლა იყო თუ არა ის ე.წ. კორუმპირებული ინტელიგენცია, როგორც სულ ცოტა ხნის წინათ ქუჩა-ქუჩა და პრესის ფურცლებზე გაიძახოდნენ, იყო თუ არა ის ე.წ. სუკის აგენტი, თუ პატიოსნად იდგა ერის სადარაჯოზე და აკეთებდა იმას, რაც იმ შავბნელ დროში ქვეყნის სასიკეთოდ შეიძლებოდა გაკეთებულიყო.

ამ მხრივ ბატონ გურამ ენუქიძეს საყვედურს ვერ ვეტყვი. ის ყოველნაირად ცდილობს, დროის მართალი სურათი აღადგინოს. თუმცა ინტერვიუსათვის დათმობილი ერთადერთი გვერდი ამის საშუალებას ნაკლებად იძლევა.

შე მიზნად არ დამისახავს მთელი ინტერვიუ თავიდან ბოლომდე განვიხილო, როგორც მოვლენათა ერთ-ერთი მონაწილე, დავეთანხმო ბატონ გურამ ენუქიძეს ან შეეკამათო, მსურს მხოლოდ ინტერვიუს მარტო ერთ აბზაცს შევეხო და ამ აბზაცში დასურათებული ფაქტის გასაგებად მკითხველს ავტორისაგან განსხვავებული თვალსაზრისი მივაწოდო.

აი, ხსენებული აბზაცი:

„სამოცდაათიან წლების ბოლოს ერთ-ერთმა საკავშირო განათლების მინისტრმა საკუთარი ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება უმაღლეს სკოლებში სწავლების რუსულ ენაზე გადაყვანის შესახებ, ხოლო რესპუბლიკის სამინისტრომ ჩვენთან შეუთანხმებლად დაუგზავნა სასწავლებლებს."

ნუ ეწყინება ნურც ბატონ გურამ ენუქიძეს და ნურც რედაქციას, თუკი ვიტყვი, რომ ეს ცნობა სწორი არ არის. არც ერთ „საკავშირო მინისტრს" ეს გადაწყვეტილება საკუთარი ინიციატივით არ მიუღია. იგი თვით პოლიტბიუროდან [illegible]ლისარეობდა, მინისტრი კი მხოლოდ შემსრულებელი გახლდათ.

გადაწყვეტილება არ შეიცავდა მოთხოვნას „უმაღლეს სკოლებში სწავლების რუსულ ენაზე გადაყვანის“ შესახებ. იქ ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირის ყველა არარუსულ უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში ერთ-ერთი სპეციალური საგანი აუცილებლად რუსულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს.

ეს, რასაკვირველია, არსებითად ერთი და იგივეა, მაგრამ პირდაპირ იმის გამოცხადება, რუსული ენა უმაღლეს სასწავლებლებში სახმარ ერთადერთ ენად უნდა გამოვაცხადოთო, პოლიტიკური თვალსაზრისით წამგებიანი იქნებოდა და ამიტომაც საკავშირო ხელმძღვანელობამ პირველს მეორე ფორმულირება აჯობინა და შესასრულებლად პერიფერიებში დაგზავნა.

გარდა ამისა, რაც დავაბრალო საკავშირო განათლების სამინისტროს ის, რაც მას არ ჩაუდენია, უმაღლესი და სპეციალური საშუალო სასწავლებლები უმაღლესი განათლების სამინისტროს ექვემდებარებოდა და აღნიშნული ბრძანებაც სწორედ მის მიერ გამოიცა.

იმავე აბზაცში შემდეგ ბატონი გურამ ენუქიძე ინტერვიუერს ეუბნება: „ეს სრულიად შემთხვევით გახდა ჩემთვის და ბატონ ედუარდისთვის ცნობილი. არაევისთვის არ გვიკითხავს, ისე გამოვითხოვეთ ბრძანება სასწავლებლებიდან და ჩავკეტეთ სეიფში.“

არც აბზაცის ეს მეორე ნახევარი გახლავთ სწორი. მას აქეთ თითქმის ორმა ათეულმა წელიწადმა გაიარა და ბატონ გურამსაც, ეტყობა, ზოგი რამ მეხსიერებიდან ამოუვარდა.

მოსკოვიდან მოსული ფიცხელი ბრძანება მართლაც რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებში გაუვლელად დაურიგეს უმაღლეს და სპეციალური საშუალო განათლების სასწავლებლებს, რათა პედაგოგიურ კოლექტივებსა და სამეცნიერო საბჭოებს გადაეწყვიტათ, რომელი სპეციალური საგანი ესწავლებინათ რუსულ ენაზე და როგორ გარდაექმნათ მის მიხედვით სასწავლო პროცესი.

ბუნებრივია, მეტროპოლიიდან მოსული ეს ბარბაროსული გადაწყვეტილება ცხოვრებაში უმტკივნეულოდ არ გატარდებოდა. აღშფოთდნენ პროფესორ-მასწავლებლები, ყალყზე შედგა სტუდენტი ახალგაზრდობა.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1979 წლის მარტის შუა რიცხვები იყო. ჯერ დამორეკა და შემდეგ ოჯახში მესტუმრა მანამდე ჩემთვის უცნობი პროფესორი გიორგი ხარატიშვილი, დაწვრილებით შემატყობინა, რა ხდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და თანადგომა მთხოვა.

იმავე საღამოს მოვიდა სტუდენტთა ორი დიდი ჯგუფი, ერთი უნივერსიტეტიდან და მეორე პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. მათ იგივე ამბავი მაცნობეს, რაც პროფესორმა გიორგი ხარატიშვილმა, გამომიტყდნენ, რომ ხვალ ან ზეგ ქუჩაში საპროტესტო გამოსვლას აპირებდნენ და მკითხეს რჩევა, როგორ მოქცეულიყვნენ.

1956 წლის 9 მარტი გამახსენდა. ახალი უბედურება კარზე იყო მომდგარი და მისი თავიდან აცილება, თანაც ისე, რომ ეროვნული საქმე არ დაზიანებულიყო, ერთობ ძნელი და თითქმის შეუძლებელი იქნებოდა.

ორივე ჯგუფს, ისევე როგორც პროფესორ გიორგი ხარატიშვილს, აღვუთქვი თანადგომა, ოღონდ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დრო ვითხოვე. ამ დროის განმავლობაში ქართველ ინტელიგენტთა გავლენიანი დელეგაცია უნდა შეკრებილიყო და საქმის გასარჩევად რესპუბლიკის ხელმძღვანელ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ხლებოდა. თუ ამ შეხვედრიდან არაფერი გამოვიდოდა, რჩებოდა სტუდენტების ბიერ არჩეული ერთადერთი გზა, საპროტესტო გამოსვლა ქუჩებში და აქედან გამომდინარე ამბები.

დელეგაციის სია შევადგინეთ ამ სტრიქონების ავტორმა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა გურამ მამულიამ.

აი ეს სიაც: აკადემიკოსები გიორგი მელიქიშვილი, სერგი ჯიქია და ვახტანგ ბერიძე. პროფესორები მარიკა ლორთქიფანიძე, მზექალა შანიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, შოთა ლომსაძე და გურამ მამულია. მწერლები გრიგოლ აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, ჩანსუულ ჩარკვიანი, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი.

დელეგაციის თითოეული წევრისგან ტელეფონით მივიღეთ თანხმობა, იმავე ღამეს ბატონ ომარ ქაჯაიას საშუალებით დავუკავშირდით რესპუბლიკის ხელმძღვანელს და მეორე დღეს, დილით, უკვე მის კაბინეტში ვიყავით.

თათბირს, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა და კიდევ ერთ უაღრესად აქტუალურ საკითხს განიხილავდა, ბატონი გურამ ენუქიძე არ დასწრებია. ცენტრალური კომიტეტის მუშაკთაგან იყო მხოლოდ ედუარდ შევარდნაძე.

ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა, აღწერილია ჩემს ერცელ წერილში „წიგნები დავწვათ თუ წავიკითხოთ", რომელიც გაზეთ „კომუნისტის" 1990 წლის 1 აპრილის ნომერში დაიბეჭდა.

თავიდან რომ არ ვიჯახირო, ქვემოთ მომყავს ერცელი ამონაწერი ამ წერილიდან.

„— ვფიქრობ, საკითხი ამოწურულია, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ და ადგა, წამოვიშალეთ სხვებიც. — მეტი ხომ არაფერი გვაქვს დასაზუსტებელი?

— არის! კიდევ ერთი საკითხი, ბატონო ედუარდ!

ყველამ მე შემომხედა ცოტა არ იყოს გაოცებულმა, შევარდნაძესაც გაუქრა პირზე ღიმილი.

— მე როგორც შევძელი, მოკლედ მოვყევი ის ამბავი, რაც წინადღეს უნივერსიტეტელმა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მომიტანეს, დავახასიათე დადგენილების პოლიტიკური შინაარსი და სტრატეგიული მიმართულება. გასაგები მიზეზების გამო პროფესორი გიორგი ხარატიშვილი არ მიხსენებია. დამსწრეთა ყურადღება გავამახვილე იმაზე, რომ მოსალოდნელი იყო სტუდენტების საპროტესტო დემონსტრაცია, რის გამართვა ან გამართვაზე ხელის აღება იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ ამ კაბინეტიდან რა პასუხს გავიტანდი. სტუდენტები ჩემს პასუხს ელოდებოდნენ...

გამოთქმების შერბილებას არ ვცდილვარ, რათა მათთვის უფრო თვინიერი და მისაღები ფორმა მიმეცა. პირიქით, ერთიმეორეზე უფრო მწვავე სიტყვებსა და გამოთქმებს ვხმარობდი. სტუდენტთა მოსალოდნელ საპროტესტო გამოსვლას, რაც თბილისში 1956 წლის ხოცვა-ულე-

ტის შემდეგ აღარ მომხდარა, მაგალითად, „გარდაუვალი აჯანყება" ვუწოდე. გულახდილად გამოვტყდი, რომ სტუდენტებს მათი კოლონის პირველ მწკრივში ჩადგომა აღვუთქვი. არც ამით დავკმაყოფილებულვარ. პირველ მდივანს მოვუწოდე, მოსულიყო და გვერდში ამომდგომოდა, რადგანაც დემონსტრაციის დასაშლელად აუცილებლად იარაღს გამოიყენებდნენ. ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, ბავშვებს დამსჯელ რაზმების ხიშტსა და ტყვიაზე მარტოდმარტო ვერ გავუშვებდით...

ერთობ მძიმე სიჩუმე გამეფდა.არავინ იცოდა, ეს ამბავი რით დამთავრდებოდა, ყოველივეს მოსმენის შემდეგ რესპუბლიკის ხელმძღვანელი რა გუნებაზე დადგებოდა და რა გადაწყვეტილებას მიიღებდა. მას, სანამ ვლაპარაკობდი, ჩემთვის რეპლიკა არ მოუცია, მოთმინებით მისმენდა, თუმცა, რომ იტყვიან, დაუკრეფავში ბევრჯერ გადავედი. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოლიტბიუროს წევრის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს, მაგალითად, ანტილენინური, ანტიკომუნისტური, ანტისაბჭოთა აბდაუბდა ვუწოდე. ხელი [illegible]�ესაც დავამთავრე, მადლობის ნიშნად თავი დამიქნია და დამსწრეთ მიმართა:

თუ წინააღმდეგი არ იქნებით, წინასწარ ნუ ვიკამათებთ, ჯერ მომეცით საშუალება ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო.

მან თავშეკავებული აღშფოთებით ილაპარაკა და თავიდანვე აღნიშნა, რომ მთლიანად და სავსებით იზიარებდა როგორც სტუდენტების, ის ჩემს გულისწყრომას ხსენებული დოკუმენტის შექმნისა და სასწავლო პროცესში პოლიტიკური ჩარევის გამო. დაუმატა, დადგენილების თუ ბრძანების ტექსტს ძე არ ვიცნობ, თუმცა მისი არსებობა ვიცი, ეტყობა, მინისტრთა საბჭოს მოუკრდა და იქ ისე უყოყმანოდ სცენს, პირდაპირ ქსელში გაგზავნეს, შესრულება ცენტრალურ კომიტეტს აღარ შეუთანხმესო.

სიტყვის ბოლოს ბატონმა ედუარდმა სამი თუ ოთხი დღე მოითხოვ[illegible] საქმის შესასწავლად და საათანადო ზომების მისაღებად, [illegible]აც იქ მყოფი ინტელიგენციის წარმომადგენლები დიდი კმაყოფილებით შეეხვდით.

ვინმეს ხომ არ სურს ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებით რაიმე ბრძანოს?

თურმე დაგუბებული ბოღმით ხალხი ყელამდე იყო სავსე. გამოვიდნენ პირგამეხებული მარიამ ლორთქიფანიძე და მზეექალაქ შანიძე. კორიანტელი დააყენეს. მათ მხარი აუბეს აკადემიკოსმა გიორგი მელიქიშვილმა და ვახტანგ ბერიძემ და პროფესორმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა, რომელმაც ძღელვარე სიტყვაში რუსულად დაწერილი თავისი სადოქტორი დისერტაცია გაიხსენა.

მახსოვს, პარასკევი დღე იყო. ორშაბათს ცენტრალურ კომიტეტში დამიძახეს და ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც ამერიკელი კონგრესმენების შემდეგ მიძილო, პირადად მაცნობა, რომ საკავშირო მთავრობის დოკუმენტი, რომელმაც ასე ააღელვა ჩვენი საზოგადოება და კინაღამ გაუთვალისწინებელი გართულებებიც გამოიწვია, გაბრუნებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან და მისი ხელახალი გამოგზავნა საეჭვოდ ეფარა აღარ არის.

ბუნებრივია, დაიბადება კითხვა: როგორ მოხერხდა ეს ყველაფერი და თანაც ასე მოკლე დროში? გამიძნელდება დამაკმაყოფილებელი პა-

სუხის გაცემა. ეს, ალბათ, ბატონ ედუარდ შევარდნაძის საიდუმლოებაა და მის შესახებ მე არაფერი ვიცი."

როგორც ეხედავთ, რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ეს ამბავი, კინაღამ ახალი 1956 წელი რომ დაგვატეხა. „შემთხვევით" არ გაუგია. როგორ გაიგო იგი შემთხვევით იდეოლოგიური დარგის მდივანმა ბატონმა გურამ ენუქიძემ, როგორ შეკრიბა მოსკოვიდან მოსული სავალდებულო ცირკულარი, როგორ ჩაკეტა იგი სეიფში და საქმე ამით დააძთავრა, საკითხავი აი, ეს არის!

რეპლიკა, რომელიც არავის საწყენად არ დამიწერია, ლოგიკურად აქ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სრული სურათის შესაქმნელად კიდევ დამჭირდება რამდენიმე სიტყვის დამატება.

ორშაბათ დღეს საშვის მისაღებად ცენტრალურ კომიტეტში რომ დავრეკე, მიპასუხეს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ახლა არ სცალია, წუთი-წუთზე ამერიკელ კონგრესმენებს ელის და თქვენ, თუ შეიძლება, ამხანაგ ენუქიძესთან მოიცადეთ, დაელოდეთ და როცა განთავისუფლდება, იქ დაგირეკავთო. მე ასე მოვიქეცი. მხოლოდ ბატონი გურამი არ შემიწუხებია, მის მისაღებში ჩემოვჯექი, მდივანს ვაუწყე, აქ რისთვისაც ვიყავი მოსული და ზარს დაველოდე.

ოცდაერთ წუთის შემდეგ მისაღებში ბატონმა გურამ ენუქიძემ გამოიხედა, გაუკვირდა, აქ მჯდომარე რომ დამინახა და შიგნით შემიწვია. მე გაციებული გახლდით. ძლივს ვლაპარაკობდი. რა მოგვიდაო, შინაურულად მკითხა ბატონმა გურამმა. ასეა-მეთქი. მაგას ცხელი ჩაი მოუხდებაო, თქვა, დარეკა და ჩაი მოატანინა. სანამ ჩაის ვწრუპავდი, საუბარი გაიბა. ბატონი გურამი ახალი გადმოსული იყო რადიო-ტელევიზიის კომიტეტიდან. აქაურობას ჯერ კიდევ ვერ შესჩვეოდა. მე სიტყვასიტყვით ძახსოვს მაშინდელი ჩვენი საუბრის შინაარსი, მაგრამ მისი გახსენება რეპლიკის მთავარ ძარღვს აგვაცდენს და აქ არ მოვიყვან. ცოტა ხნის შემდეგ ბატონი ედუარდის მდივანმა დარეკა, მიკითხა, მანდ არის თუ არაო და მეც ჩავედი ერთი სართულით ძირს ყველასათვის სასიხარულო ამბის გასაგებად.

14 თებერვალი 1994 წ.

ერევნიდან ერთობ სამწუხარო ცნობა მოვიდა: თავისი საკუთარი სახლის წინ, მომძის მიერ გასროლილი ტყვიით დაიღუპა საქართველოს და ქართველი მწერლების ერთგული მეგობარი. გამოჩენილი სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვარდგეს პეტროსიანი.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა ეს ამბავი.

ვარდგეს პეტროსიანი მრავალი წლის განმავლობაში სათავეში უდგა არა მარტო მშობლიურ მწერლობას, რომლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრადაც ითვლებოდა, არამედ მთელს ეროვნულ მოძრაობას სომეხი ხალხისას, რომელმაც, საქართველოსაგან განსხვავებით, ღირსეულად შესძლო კრიზისიდან გამოსვლა და თავისი სახის შენარჩუნება.

ვარდგესის წიგნებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თავ-თავის ენაზე კითხულობენ. თავადაც ფაროო სულიერი მოთხოვნილების მქონე პიროვნება გახლდათ და არც ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, სომხეთში თუ სომხეთის ფარგლებს გარეთ, მისი ყურადღების გარეშე არ რჩებოდა.

როგორც მოქალაქე, მწერალი და მამულიშვილი ვარდგეს პეტროსიანი შორიდან ჩანდა და საკუთარი ერისა და საშშობლოს ავის მდომებმა თავის სამიზნედ იქნებ სწორედ ამის გამოც გამოიყენეს. მათ იცოდნენ, რომ საგრძნობლად ასუსტებდნენ სომხეთს, რადგანაც გულში ერთი მისი საუკეთესო შვილის სიცოცხლის შემოკლება ჩაიდეს.

მათ მიზანს ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს: ვარდგეს პეტროსიანის მადლიან კალამს კვლავაც უნდა შეექმნა შთაგონებული ქმნილებები, თანაც არა ერთი და ორი, რომლებიც მდიდარ სომხურ სიტყვაკაზმულ მწერლობას შეემატებოდა, მაგრამ მუხანათ მკვლელთა მიზანი საბოლოოდ მაინც შეუსრულებელი დარჩა: მწერალმა უკვე მოასწრო შექმნა ნაწარმოებებისა, რომლებმაც სამუდამო ადგილი დაიმკვიდრეს მადლიერი მკითხველის გულში, რათაც ძან უკვდავება მოიპოვა.

დაუვიწყარია ჩემთვის დღეები, რომლებიც ოთხმოციანი წლების დამდეგს სომხეთში ვარდგეს პეტროსიანისა და სხვა სომეხი მწერლების გვერდით გავატარე.

სომხეთი მაშინ თავისი დიდი შვილის რაფის იუბილეს იხდიდა. მე მიპატიჟებული ვიყავი იმ იუბილეზე და როგორც კი ვარდგეს პეტროსიანის დეპეშა მოვიდა, დაუყოვნებლივ გავემგზავრე.

წინა შეხვედრისას, თბილისში, ჩვენი საერთო მეგობრის ნოდარ დუმბაძისა და სხვა ქართველი მწერლების თანდასწრებით მე და ვარდგესი შეთანხმებული ვიყავით, ერთმანეთისათვის ჩვენ-ჩვენი საშშობლოს კიდით კიდემდე გვეჩვენებინა და მერე წიგნები დაგვეწერა, მე – სომხეთზე, იმას – საქართველოზე და ერთსა და იმავე დროს, ერთი ყდის ქვეშ, საქართველოში – ქართულად და სომხეთში სომხურად გამოგვეცა.

ის ოთხი დღე, საოპერო თეატრში რაფის დიდებული იუბილეთ რომ დაგვირგვინდა, სადაც სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩამოსულ მრავალ გულითად მეგობარს შევხვდი, ჩემთვის მართლაც დაუვიწყარია. აღარ ვიცი, როდის მეძინა, როდის ვისვენებდი. ყველა დღე მოგზაუ-

რობამ და სომხეთის ისტორიისა და დღევანდელი დღის ღირსშესანიშ-ნავი ადგილების გაცნობამ წაიღო.

სომეხი თანამოკალმენი, უპირველეს ყოვლისა მასპინძელი ვარდგეს პეტროსიანი, ყველგან თან მახლდნენ და თავიანთ სამშობლოს მაჩვე-ნებდნენ.

ეს გახლდათ ნაწილი იმ შეთანხმების აღსრულებისა, რომელიც ად-რე იყო დადებული და რაც შემდეგ სომხეთზე წიგნის დაწერით უნდა დასრულებულიყო. ერთად მოვინახულეთ თითქმის მთელი სომხეთი, ერთად შევხვედით გამოჩენილ სომეხ საზოგადო მოღვაწეებს, მათ შო-რის სრულიად სომხეთისა და ყოველთა სომეხთა კათალიკოს უწმიდეს ვაზგენს. ჩვენ მაშინ ერთი სულიერი ცხოვრებით ვცხოვრობდით, ერთ ბედში მყოფი ჩვენი ხალხების სულიერ ერთობას ვანსახიერებდით და ასე გვეგონა, რომ სულის ეს ზეიმი სამარადისოდ გაგრძელდებოდა.

შინ შთაბეჭდილებით დატვირთული დავბრუნდი. ყველა გადაუდე-ბელი საქმე გადავდე და ჩაეუჯექი წიგნს, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ ჯერ ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა. ვარდგესი აქტიურ მონაწილეობას იღებდა წიგნის შექმნაში. მაწვდიდა ახლ-ახალ ცნობებს, რომლებიც ტექსტმა მოითხოვა. ბოლოს არარატის ველის ფერადი სლაიდიც გამომიგზავნა, რამაც „მერანის“ მიერ რუსულად გამოცემული წიგნის ყდა დაამშვენა.

ამ წიგნს სახელად „ოთხი დღე ჰაოსის ქვეყანაში“ ჰქვია. მან ბევრი სიხარული მომიტანა. მიზეზთა მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ მსგავსი შინაარსის წიგნები მეტად იშვიათად იწერება. ერები, მით უფრო საუ-კუნეების გაამავლობაში ერთმანეთის გვერდით მცხოვრებნი, უფრო ნე-გატიურ პლანში ხედავენ ერთმანეთს და საკუთარ წარუმატებლობას ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში ხშირად ერთმანეთს აბრალებენ.

„ოთხ დღეში“ პირიქითაა. აქ წინა პლანზეა წამოწეული ის, რაც გვაახლოებს, რაც ურთიერთსიყვარულს და ურთიერთპატივისცემას სა-ფუძვლად ედება და არა ის, რაც გვაშორებს, შურსა და ბოღმას აღ-ძრავს.

მაგრამ „ოთხი დღე ჰაოსის ქვეყანაში“ მხოლოდ ნახევარი იყო თავ-დაპირველად ჩაფიქრებული საქმისა. მას აკლდა ვარდგეს პეტროსიანის წიგნი. რომელიც საქართველოს უნდა მიძღვნოდა. მე დღე-დღეზე ვე-ლოდი სომეხი მოძმის საქართველოში ჩამობრძანებას, რათა მისთვის ჩემი სამშობლო მეჩვენებინა და, ამგვარად, წიგნის დაწერისათვის ხე-ლი შემეწყო.

ღმერთმა სხვაგვარად განსაჯა. მალე ყარაბახის ამბები დაიწყო. ძმა-თა შორის სისხლი დაიქცა. საბჭოთა იმპერიას საფუძველი შეერყა და საშინელ ნგრევასა და მეორედმოსვლაში ვარდგესმა საქართველოში ჩამოსვლა და განზრახული წიგნის დაწერა ვეღარ შესძლო.

ასე დარჩა ცალად სომეხი ხალხისადმი სიყვარულით შთაგონებული „ოთხი დღე ჰაოსის ქვეყანაში“! ვარდგეს პეტროსიანი აღარ არის, მაგრამ დარჩა სიყვარული, რომლის უპასუხოდ დატოვება ცოდვაა ღვთის წინაშე, მით უფრო მაშინ, როცა ეს ორი მოძმე ხალხის აწმყოსა და მომავალს შეეხება, რომ აღარაფერი ვთქვათ ათეულ საუკუნეებზე, რომლებიც მათ გვერდი-გვერდ გაუტარებიათ!

24 აპრილი 1994 წ.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲡᲮᲣᲠᲠᲔᲚᲘ

სულ ცოტა ხნის წინათ რესპუბლიკის მოქალაქეთ საბჭოთა არმიაში სამსახური და სამამულო ომში მონაწილეობა დანაშაულად ეთვლებოდათ. ომის მონაწილეებს ალმაცერად უყურებდნენ. სწორედ ამის გამოვლინება იყო შეკითხვა, ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს პარლამენტში თავდაცვის მინისტრის პოსტზე წამოყენებულ ბატონ ვარდენ ნადიბაიძის მიმართ რომ გაისმა: თქვენ, ბატონო გენერალო, მკერდზე ორდენების ლენტი გიკეთიათ. თუ შეიძლება, გვიპასუხეთ, რაში მიიღეთ ეგ უცხო ორდენები, ვის წინაშე მიგიძღვით ეგზომ დიდი დამსახურება?

რა პასუხს მოელოდა შეკითხვის მიმცემი პარლამენტის წევრი? რაში უნდა მიეღო ორდენები საბჭოთა არმიის გენერალ-ლეიტენანტს, რომელმაც ამჟამად საქართველოს თავდაცვის მინისტრად დამტკიცებამდე რუსეთის არმიის ამიერკავკასიის ჯგუფში მსახურობდა?

ეს შეკითხვა, რომელზედაც პასუხი არ გაცემულა, იმას მეტყველებს, რომ ჩვენს საზოგადოებაში, თვით პარლამენტშიაც კი, ჯერ კიდევ ბოგინობს აზრი, თითქოს საქართველოს მონაწილეობა ფაშიზმის წინააღმდეგ ომში სამარცხვინო მოვლენაა და რაც უფრო მალე მიეცემა იგი დავიწყებას, მით უფრო უკეთესი იქნება!

ვის შეიძლება ეს აბსურდული აზრი თავში მოუვიდეს? მხოლოდ ქკუანაღრძობ ადამიანებს, ანდა იმათ, რომლებიც თავიანთი მსოფლმხედველობით ფაშიზმისაკენ იხრებიან. ასეთები კი, სამწუხაროდ, კიდევ შემოგვრჩნენ და ჯერ კიდევ უქმნიან საფრთხეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში მყოფ ჩვენს ხალხს და ქვეყანას!

ფაშისტური დიქტატურა, რომელიც გონებაშეზღუდულმა ნაციონალ-სოციალისტებმა განახორციელეს და მომაკვდინებელი განსაცდელის წინაშე დააყენეს მსოფლიო ცივილიზაციის მთელი მონაპოვარი, იყო ის რეჟიმი, რომლის მსგავსი ბოროტება ჯერ კაცობრიობას არ მოვლენია. მას დიდად, მართალია, დედამიწის ერთ მეექვსედზე გამარჯვებული ბოლშევიზმიც არ ჩამორჩებოდა სხვაგვარად მოაზროვნეთათვის მოწყობილი თავისი საკონცენტრაციო ბანაკებით, მაგრამ კბილებამდე შეიარაღებული ფაშიზმი მაინც სხვა ძალა იყო და პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები მის წინააღმდეგ სწორედ ამის გამო გაერთიანდნენ.

ყოფილ საბჭოთა იმპერიას გარდაუვალი საფრთხე დაემუქრა. საომრად აღჭურვილი ფაშისტური დივიზიები მის საზღვრებს ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე რომ მოადგნენ, ევროპა ფაქტობრივად უკვე მის ხელთ იყო და მთელი კონტინენტი ფაშისტური შეიარაღებული ძალების მომარაგებისათვის მუშაობდა.

ფაშისტი ურჩხული არა მარტო ბოლშევიკური წესწყობილებას უპირებდა პირისაგან მიწისა აღგვას, არამედ მიზნად ისახავდა მსოფ-

ლიო ბატონობას. გერმანული რასის გამოცხადებას უზენაეს რასად, რომლის მიმართაც დედამიწაზე მოსახლე ყველა სხვა ხალხს, ვინც კი გენოციდს გადაურჩებოდა, ქვეშევრდომობა უნდა ეკისრა და ყურმოჭრილი მონის მდგომარეობით დაკმაყოფილებულიყო.

დღეს მხოლოდ უგუნური გახდის საკამათოდ, იყო თუ არა ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უდიდესი ჰუმანურობა თავის დროზე და დარჩება თუ არა ის ასეთად კაცობრიობის მომავლის ყოველ დროში.

პატარა საქართველომ ფაშიზმის წინააღმდეგ საომრად თითქმის 700 ათასი კაცი გამოიყვანა, გმირულად იომა და მსხვერპლიც უდიდესი გაიღო. ბრძოლის ველზე დარჩა და საძმო საფლავებში დაიმარხა 300 ათასამდე ქართველი მეომარი. უკვე ნახევარი საუკუნე გავიდა და საქართველოს ჯერ კიდევ არ მოუშუშებია მაშინდელი ჭრილობები.

დადიან ადამიანები ჩვენს შორის,. თავს დიდ პოლიტიკოსებადაც თვლიან და მიაჩნიათ, რომ ქართველი ხალხის მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ, სხვის ომში მონაწილეობა იყო და მსხვერპლიც სულ ტყუილად გავიღეთ.

ფაშიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში საქართველოს მიერ გაღებული მსხვერპლი, ისევე როგორც მსხვერპლი, რომელიც სხვა ხალხებმა გაიღეს, წმიდა მსხვერპლია და მას ყოველთვის მადლიერებით მოიგონებს კაცობრიობის ყველა თაობა, მათ შორის ქართველი ხალხი, რომელმაც ამ ომში განსაკუთრებით მძიმე დანაკლისი განიცადა.

7 მაისი 1994 წელი

ერის ინტერესი ერისკაცმა უნდა დაიცვას

მოძმე სომხეთის დედაქალაქ ერევანში, მკვლელის ტყვიამ იმსხვერპლა გამოჩენილი სომეხი მწერალი ვარდგეს პეტროსიანი. კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილით შემცირდა ღირსეულ სომეხ მამულიშვილთა კოპორტა. ვარდგეს პეტროსიანთან, ისევე როგორც არა ერთ სომეხ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან, მე ხანგრძლივი გულითადი მეგობრობა მაკავშირებდა. ეს მეგობრობა იმანაც განამტკიცა, რომ მე და ბატონმა ვარდგესმა ერთი საშვილიშვილო საქმის გაკეთება განვიზრახეთ: მე, ჩემი მხრივ, უნდა დამეწერა წიგნი სომხეთზე, მას კი, თავის მხრივ, საქართველოზე, შემდეგ ეს წიგნები ჩვენ-ჩვენს ენებზე გვეთარგმნა და ერთსა და იმავე დროს დროს სომხეთში და საქართველოში ერთი ყდის ქვეშ გამოგვეცა!

სამგლოვიარო წერილში, რომელიც აწ განსვენებულ ვარდგეს პეტროსიანს მივუძღვენი და რომელიც სხვა ასეთივე ხასიათის წერილებთან ერთად ქართველ მწერალთა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა, მე ვიგონებდი დაუვიწყარ 4 დღეს, სომხეთში რომ გავატარე:

„აღარ მახსოვს, როდის მეძინა, როდის ვისვენებდი. ყველა დღე მოგზაურობამ და სომხეთის ისტორიისა და დღევანდელი დღის ღირსშესანიშნავი ადგილების მოუნახულებამ წაიღო.

სომეხი თანამოკალმენი, უპირველეს ყოვლისა მასპინძელი ვარდგეს პეტროსიანი, ყველგან თან მახლდნენ და თავიანთ სამშობლოს მაჩვენებდნენ. მოვინახულე ფითქმის მთელი სომხეთი, ერთად შევხვდით გამოჩენილ სომეხ საზოგადო მოღვაწეებს, მათ შორის სრულიად სომხეთისა და ყოველთა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქ უწმინდეს ეაზგენს. ჩვენ მაშინ ერთი სულიერი ცხოვრებით ვცხოვრობდით, ერთ ბედში მყოფი ჩვენი ხალხების სულიერ ერთობას ვანსახიერებდით და ასე გვეგონა, რომ სულის ეს ზეიმი სამუდამოდ გაგრძელდებოდა.

მე დავწერე განზრახული წიგნი. სახელად „ოთხი დღე ჰაოსის ქვეყანაში" დავარქვი. წიგნმა ბევრი სიხარული მომიტანა. მიზეზთა მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ მსგავსი შინაარსის წიგნები მეტად იშვიათად იწერება. ერები, მათ უფრო საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ მცხოვრებნი, უფრო ნეგატიურ პლანში ხედავენ ერთმანეთს და საკუთარ წარუმატებლობას ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში ხშირად ერთმანეთს აბრალებენ.

„ოთხ დღეში" პირიქითაა. იქ წინა პლანზე წამოწეულია ის, რაც გვაახლოებს, რაც ურთიერთსიყვარულს და ურთიერთპატივისცემას საფუძვლად ედება და არა ის, რაც გვაშორებს. შურსა და ბოღმას აღძრავს."

სამწუხაროდ, ძვირფასმა ვარდგესმა ვერ მოასწრო საპასუხო წიგნის დაწერა, ვერ მოესწრო ამ ორი წიგნის ერთი ყდის ქვეშ, სომხურსა და ქართულ ენებზე გამოცემა და როგორ ვწუხვარ, რომ მწერალმა გრანტ ბაგრაზიანმა მოძმე ქართველ ხალხთან ურთიერთობის სრულიად საპირისპირო გზა აირჩია, მას ბრალდებები წაუყენა და სამასხა-

ოაო სათაურით „Ложка Джинашия в бочке Грузии" ერევნის რუსულენოვან გაზეთში „Голос Армении"-ში გამოაქვეყნა.

ხსენებული წერილი თბილისის საღამოს გაზეთმა ქსეროქსის წესით გადმობეჭდა და მას ორი ქართველი ავტორის რევაზ ბარამძიძისა და ჯანსუღ ღვინჯილიას მეტად მოკრძალებული კომენტარები დაურთო.

„რატომ იმუქრება ბაგრაზიანი?" სათაურშიეე სვამენ კითხვას ქართველი ავტორები და მეც სწორედ იმ კითხვით მინდა დავიწყო ეს ჩემი მცირე წერილი, რომლის დაწერაზე უარის თქმა არასგზით არ შეძეძლო.

ინტელიგენტი კაცისათვის მუქარა, თანაც ქუჩის მაწანწალების შესაფერისი მუქარა, ეროი მიბრძანეთ, რა საკადრისია! თუ საკამათოა რაიმე და რაიმე საკითხში ვერ შევთანხმებულვართ, ვიკამათოთ, ბურთი და მოედანი ფარიოა, მაგრამ ვიკამათოთ ისე, რომ ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას, საუკუნეების რომ ითვლის, ნუ დავაზიანებთ, ერთმანეთთან მისასვლელ გზებს ნუ ამოვქოლავთ, საერთო მტრებს, ორივეს ჯარბად რომ მოგვეპოვება, ნუ გავახარებთ, ნუ აღვაფრთოვანებთ!

ერევანში გამოქვეყნებული წერილის ავტორის გულისწყრომა გამოუწვევია ჟურნალისტ ვახტანგ ჯანაშიას, რომელიც თურმე მოსკოვში ცხოვრობს და, თუ პატივცემულ გრანტ ბაგრაზიანს დავუჯერებთ, იქაურ პრესაში ხშირად აქვეყნებს ცილისწამებლურ წერილებს სომხების წინააღმდეგ.

არა მგონია-მეთქი, რომ ვთქვა, ქართველ ინტელიგენტთა და საერთოდ ქართველთა შორის სომხეთისა და სომეხი ხალხის მტერი არავინ მეგულება-მეთქი, ვინ დამიჯერებს! ბატონ ვახტანგ ჯანაშიას არც ერთი პუბლიკაცია აქამდე ხელში არ მქერია და მათ გარშემო ვერც კარგს ვიტყვი და ვერც ავს. სამაგიეროდ, კარგად ვიცნობ მეორე ჯანაშიას, რომელსაც ბატონი მწერალი ასეთივე გულისწყრომითა და პიროვნების დამაძცირებელი, მისი ღვაწლის აბუჩად ამგდები ეპითეტებით იხსენიებს. ეს გახლავთ აწ განსვენებული სიმონ ჯანაშია, აკადემიკოსი, დიდი ქართველი ისტორიკოსი, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი.

გარდა ამისა, მე ვიცი ისიც, რომ ვისაც მეცნიერთან და მისი შეხედულებების მიმდევრებთან დავა და კამათი განუზრახავს, მან კეთილი უნდა ინებოს, აღნიშნული მეცნიერის შეხედულებები თავისი მეცნიერულ შეხედულებებს დაუპირისპიროს და ლოგიკური არგუმენტაციით თავის შეხედულების ჭეშმარიტება დაამტკიცოს.

სამწუხაროდ, ბატონი გრანტ ბაგრაზიანი ამ საყოველთაოდ მიღებულ მეცნიერულ პოლემიკისაგან, რაც კატორღულ შრომას, პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და ბევრი რამის ცოდნას მოიითხოვს, ძალიან შორს დგას და წერილში თავისი ოპონენტების ქუჩური ლანძღვა-გინებით კმაყოფილდება. საკაცობრიო ცივილიზაციამ კამათის ეს ხერხი დიდი ხანია მოძველებულად ცნო და მას ერთხელ და სამუდამოდ ზურგი შეაქცია. კამათის ამ ხერხს დღეს მხოლოდ დროის მოთხოვნებს უიმედოდ ჩამორჩენილი, საკუთარ კუნთებზე შაცქერალი სუბიექტები იყენებენ!

სამწუხარო უფრო ის გახლავთ, რომ „ბოლოს არმენიაში" გამოქვეყნებული წერილის ავტორი მწერალი გრანტ ბაგრაზიანი საწინააღ-

ძდეგო თვალსაზრისზე მდგომ ცალკეულ პიროვნებათა ქუჩური ლანძღვა-გინებით და ლაფში ამოსვრით არ კმაყოფილდება. ის მასხარად იგდებს მთელ ხალხს, ვისაც ხსენებული ოპონენტები გენეტიკურად ეკუთვნიან, ამ შემთხვევაში მთელ ქართველ ხალხს, რომელმაც შეიძლება არც კი იცოდეს, სად რა დაიწერა და პატივცემული გაზეთის რედაქციის ხელშეწყობით მას ათას დაუჯერებელ რაიმეს სწამებს და მიაწერს.

ეს კი მის სინდისზე იყოსო, იტყვიან ხოლმე მსგავს შემთხვევაში, მეც ამასვე სიამოვნებით გავიმეორებდი და წერილს აღარ დავწერდი, მაგრამ ვაითუ ბატონმა ბაგრაზიანმა იფიქროს, რომ სათქმელი არავის არაფერი აქვს და კიდევ უფრო უარესი ბრალდებები წამოგვიყენოს!

„მოდერნიზებული ჯანაშია, სახელად ვახტანგი და მისი მსგავსნი, ამკობს ჟურნალისტს და მთელ მის სამშობლოს. ბატონი მწერალი. ამჟამად კვლავ შეუდგნენ წყლის ამღვრევას (სიტყვა ეხება ჩრდილოეთ თურქეთში შემავალ ტერიტორიებს, რომლებიც მას ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გამოურკვეველად ბრესტის ზავის თანახმად თურქეთს მიეკუთვნა). А в самой Грузии начался настоящий шабаш ведьм"

შეიძლება, ყოველივე ამის გამო სერიოზულმა კაცმა, სერიოზულად მოაზროვნე ადამიანმა რაიმე პოზიტიური თქვა? არა, რასაკვირველია! ეს პოლემიკის სწორედ ის ხერხია, რომელიც დიდი ხანია უარყო ცივილიზებულმა საზოგადოებამ და სრული იმედი უხდა ეიქონიოთ, რომ მას არც არასოდეს დაუბრუნდება!

მე შორს გახლავართ აზრისაგან, თითქოს მწერლის ამ და სხვა მსგავს გამონათქვამებს სომხეთის ინტელექტუალური ელიტა და მთელი სომეხი ხალხი იზიარებს. ასეთი მკრეხელობისაგან ღმერთმა დამიფაროს! ზემოთ ციტირებული და აგრეთვე ის სიტყვები, რომელთა ციტირებას ქვემოთ მოვახდენ, ბატონ ბაგრაზიანის ინტელექტუალური დონის, მისი ესთეტიკური გემოვნების მაჩვენებელია და ცივილიზებულ სომეხ ხალხთან არავითარი კავშირ-ურთიერთობა არა აქვს!

მკითხველი, ალბათ, ამჩნევს, რომ მე საგანგებოდ არ ვეხები საკითხს, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ბატონ ბაგრაზიანს თავის სასარგებლოდ გადაწყვეტილი ჰგონია, თუმცა ისტორიის ანალებში ჩახედული ვარ, ცოტა რამ სომხეთის ისტორიისაც გამეგება და, შეიძლება ითქვას, კარგად ვიცი საქართველოს სამეფოს ამირსპასალარის რეზიდენცია ლორეს თავგადასავალი. საგანგებოდ არ ვეხები იმიტომ, რომ ამ საკითხზე კომპეტენტურ მსჯელობას სპეციალისტი ისტორიკოსების საქმედ ვთვლი და რადგანაც მავანსა და მავანს ეს დღესავით ნათელი საქმე საკამათოდ გაუხდია, დილეტანტურ ღობე-ყორეს რომ არ მოვედოთ, ჯობს, ისევ მათ იკამათონ!

წერილის მეორე ნახევარში ავტორი ეხება სომეხ-ქართველთა ომს და რაღა თქმა უნდა, ყველა ბრალს, კერძოდ, ომის დაწყების ფაქტს, ქართულ მხარეს აკისრებს. ის უაპელაციოდ აცხადებს: „Полководцам" был дан приказ: аннексировать Лори!"

თქვენ, ალბათ, შენიშნეთ, პატივცემულო მკითხველო, რომ სიტყვა „პოლკოვოდცი" „მხედართმთავრები", ჩვენმა ავტორმა ბრჭყალებში მოაქცია. ეს კი მართლაც მის სინდისზე იყოს!

ქვემოთ ეკითხულობთ: "Войска Грузии вторглись в Армению, Воина! Однако авантюра окончилось бесславно для вояк из соседней ресрублики. Плохо вооруженная армянская армия нашла в себе силы противостоять непрошенным гостям и не оставила менышевистским горлопанам никаких надежд на успех. Армия противника драпанула до самого Навтлуга и Коджор."

რას იტყვის ბატონი მწერალი და მასთან ერთად დაინტერესებული მკითხველიც, თუ გამოირკვევა, რომ რამდენი სიტყვაცაა ზემოთ დამოწმებულ ციტატაში, ორი იმდენი ტყუილია?

მაშ, ქართული ჯარი შეკრილა სომხეთში, შეკრილა თავისი „მხედართმთავრების" ბრძანების თანახმად!

აქ ორი შესაძლებლიდან ერთია: წერილის ავტორმა ან არ იცის, წარმოდგენაც არა აქვს, რა როგორ იყო, ანდა იცის და განზრახ უბამს თვალს მიმნდობ მკითხველს, რათა ქართველთა მხარის ვერაგობა და გაუტანლობა დაამტკიცოს!

ერთი წუთით გვერდზე გადავდოთ ფაქტი, ვინ ვის დაესხა თავს და ვინ გააჩაღა ძმათამკვლელი ომი მეზობელ ქვეყნის მიწა-წყლის დასაუფლებლად, ეს დასკვნა შემდეგ გავაკეთოთ, ახლა კი მივუყვეთ ამბების მსვლელობას!

როგორც მცოდნეთათვის ცნობილია, ომი ქართველებსა და სომხებს შორის 1918 წლის 8 დეკემბერს დაიწყო, საქართველოს ჯარების საყოველთაო მობილიზაცია კი 10 დღის დაგვიანებით, 18 დეკემბერს გამოცხადდა!

თუ ღმერთი გწამთ, გაგონილა სადმე, სხვათა მიწების დაპყრობის მიზნით ჯერ ომი დაეწყოთ და ამ ომისათვის სამზადისი, კერძოდ, ჯარების მობილიზაცია, მთელი 10 დღის დაგვიანებით გამოეცხადებინოთ?

არა და რა მოხდა ამ 10 დღის განმავლობაში, რაც ჯარების საომრად შეკრებას დასჭირდა? ფრონტი საქართველოს დედაქალაქ თბილისს 60-80 კილომეტრით მოუახლოვდა!

რა მტკიცდება ამით? მტკიცდება ის, რომ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას და არმიას არამცთუ სომხეთის საზღვარი არ გადაულახავს და მისთვის არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არ წაუყენებია, ის თავის საკუთარ ტერიტორიასაც ვერ იცავდა ხეირიანად ძალების უკმარისობის გამო და საშუალებას აძლევდა მოწინააღმდეგეს, მისი დედაქალაქისაკენ თითქმის შეუჩერებელი მარში განეხორციელებინა!

ჰა, როგორ მოგწონთ, ჯერჯერობიით ჩანს სადმე, რომ საქართველოს ჯარებმა სომხეთის საზღვარი დაარღვიეს და სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც მის თუნდაც ერთ გოჯა მიწას დაეპატრონენ?

მოხდა ომების ისტორიაში გაუგონარი რამ, რასაც სომხეთის არმიის მთავარსარდლობა ვერც კი ინატრებდა! ქართულმა სარდლობამ შემტევი მტრის წინაშე ფრონტი გააშიშვლა, მოხსნა ის მცირედიც, რითაც მოწინააღმდეგის შემოტევას ასე თუ ისე უმკლავდებოდა და ბატალიონები დედაქალაქში დაიბარა!

მიზეზი"

მიზეზი ის გახლდათ, რომ ომის დაწყების მეოთხე დღეს, 12 დეკემბერს თბილისში აღლუმით უნდა აღენიშნათ არსენალის აღების პირველი წლისთავი! უჯაროდ სამხედრო აღლუმი აბა როგორ გადაიხდება და აი, დანიშნულ დღეს, 12 დეკემბერს, დილის 10 საათზე, როგორც საზოგადოდ მიღებულია, რუსთაველის პროსპექტზე გამწკრივდა ჯარები, ქვეითი და ცხენოსანი, არტილერიითა და ჯავშანტექნიკითურთ. გარნიზონის ორკესტრმა დასცხო შეხვედრის მარში და მწყობრს თეთრ ცხენზე ამხედრებულმა მთავარსარდალმა ჩამოუარა. მქუხარე ვაშამ თბილისის ცა შეარყია, მოწინააღმდეგის აუხსნელი სისულელით ფრთებშესხმული სომეხი მოიერიშეები კი, რადგან გაშიშვლებულ ფრონტზე არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ, წინ, საქართველოს სატახტო ქალაქისაკენ მოისწრაფოდნენ!

საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობამ თავისი უგუნურობით, სხვა სახელით მის საქციელს ვერ მონათლავ, მტერს გზა მისცა და სააღლუმოდ გამოწკეპილი თავად საბანკეტო სუფრას მიუჯდა!

ყველაფერი ყველაფერი და, მიუდგომელმა კაცმა, წინ ვითომ სამართლის დროშა რომ მიგიძღვის, როგორ უნდა დაიჯერო და შავით თეთრზე დაწერო, რომ ომისათვის სრულიად მოუმზადებელ მცირერიცხოვან ქართველ ჯარს, დიდი დაპყრობითი გეგმებიც რომ ჰქონოდა, სხვის მიწა-წყალზე შეეჭრა და იქ ხოცვა-ჟლეტის გაჩაღება შეეძლო?! ის სომხურ აგრესიას სრულიად მოუმზადებელი შეხვდა და სახამ მთელი ქვეყანა ფეხზე არ დადგა, აგრესორის შეჩერება ვერ მოხერხდა. ეს ღვთის გამარისხებელი ამბავი თბილისში ვერც კი დაიჯერეს. ათასი ურთიერთსაწინააღმდეგო ჭორი ვრცელდებოდა. პატივცემულ მწერალს ნუთუ არც ის მოეხსენება, რომ თბილისის მკვიდრი ვარპეტი ოვანეს თუმანიანი, ნათელი და უანგარო პიროვნება, საგონებელში იყო ჩავარდნილი. ეს ამბავი რომ მართალი გამოდგეს და სომხეთის ჯარები თბილისში შემოვიდნენ. მთელი სომხობა ხომ სამუდამოდ შევრცხვეთ, თავი სადღა გამოგვეყოფაო.

საბედნიეროდ, ხალხთა ძმობის დიდი მომღერლის შიში არ გამართლდა. სომეხთა მოიერიშე ნაწილები თბილისში ვერ შემოვიდნენ. საქართველოში საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა. სარდლობა გონს მოეგო და მტერს გზა გადაუღობა არა სადმე სომხეთში, არამედ შუაგულ საქართველოში, შულავერში, სადაც ერეკლე მეფის ჩამოსახლებული სომხები ცხოვრობდნენ, სადახლოსთან, აშაღსერალთან და მდინარე ხრამზე, მანამდე კი სანაინსა და ალავერდში სისხლი ზღვად დაიქცა.დაიწყო სომხური ბატალიონების დევნა მათ მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან. ქართულ სარდლობაში ფეხი მოიკიდა აზრმა, რომ ომი საზღვრის აღდგენით არ დამთავრებულიყო. ქართველ ჯარს შეტევა განეგრძო სომხეთის ტერიტორიაზე.

ინგლისისა და საფრანგეთის, ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლობამ, რომელთა ფარული მხარდაჭერის იმედით სომეხ სამხედრო პირთა ზედაფენამ ეს უაზრო ავანტურა წამოიწყო, თბილისში საქართველოს მთავრობას მიმართეს და საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივი შეწყვეტა მოითხოვეს, მაგრამ ახლა ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც ქვემო ქართლის, იგივე საბარათიანოს, საქართველოს ტერიტო-

რიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჯერ ისევ სომხეთის შეიარაღებული ძალების ხელთ იყო.

31 დეკემბერს ფრონტებზე მებრძოლმა გეხერლებმა მაზნიაშვილმა, წულუკიძემ, კვინიტაძემ, სუმბათაშვილმა, იმსაძემ და სხვებმა მიიღეს მთავრობის განკარგულება საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. ასე დარჩა სომხეთის ფარგლებში ალავერდი და სანაინი, ომი კი არა ერთ თვეს, როგორც გრანტ ბაგრაზიანს, ეკარწმუნებს, 23 დღეს გაგრძელდა.

ახლა მე თქვენ გეკითხებით, მიუდგომელო მკითხველო, რადგანაც ბატონ გრანტ ბაგრაზიანის მიუდგომლობის იმედი კარგა ხანია დამეკარგა, ორი ომის გააფთრებული ბრძოლებში, 8 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე რომ გაგრძელდა, დასახლებული პუნქტები და გაბატონებული სიმაღლეები რამდენჯერმე ხელიდან ხელში რომ გადავიდა, სომხებზე არას ვიტყვი, თავიანთი საქმე მათ ჩემზე უკეთ იციან, ქართველთა მხრიდან მხოლოდ 1 კაცი დაიღუპებოდა, როგორც სტატიის ავტორი სერიოზულად გვარწმუნებს?

მეგობრულ აქტად ჩაითვლება მეზობელი ქვეყნის მოქალაქის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ომის მსხვერპლთა დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო პროცესიაზე მხოლოდ ერთ კუბოში განისვენებდა ნამდვილი მიცვალებული, სხვა კუბოები კი ქვებით იყო ამოყორილი და მთელი ქართველი ხალხი, პროცესიის ათი ათასობით მონაწილე, მთელი მსოფლიოს წინაშე ამგვარ გაუგონარ სიყალბესა და თვალთმაქცობას სჩადიოდა?

რა დავარქვათ მწერალ გრანტ ბაგრაზიანის საქციელს? იმის მაგიერ, რომ სულმნათ წინამორბედ ოვანეს თუმანიანის მსგავსად წუხდეს, ეს რა უგუნურება ჩავიდინეთ, ძმათა სისხლი სულ ტყუილად რისთვის დავღვარეთ, რა გვიყვეს ამ პოლიტიკოსებმა, ისტორია როგორ გაგვიფუჭეს და დაგვილაჭავეს, დაქცეული სისხლითაც არ კმაყოფილდება, გაუგონარ ცილისწამებას თესავს ხალხში და იარაღს აყღარუნებს, ჭკუით იყავით მანდ, ქართველებო, გააჩერეთ ეგ თქვენი ჯანაშიები, მკვდარიც და ცოცხალიც, თუ არა მე ვიცი, რაც გეკუთვნით და კუთვნილს კიდევაც მიიღებთო!

დაუჯერებელია?

ინებეთ მწერლის წერილიდან ამოწერილი მუქარები: „Во первых, что бы знали, с кем имеете дело и как должно (?) разговаривать с нами, и во вторых, не мешает знать все-таки, кто есть кто?! Не позволяйте своим джанашиям любого калибра лезть грязными руками в наши души“.

ეს ხომ ქუჩიდან მოტანილი ყარგონია! ასე მხოლოდ ქუჩის ბიჭბუჭები ელაპარაკებიან და აშინებენ ეოთმანეთს, თანაც ჰგონიათ, ანდა უნდათ, სხვები დაარწმუნონ, რომ მთელი უბნის სულისკვეთებას გამოხატავენ. როგორც სომხეთის გულითადი მეგობარი და კეთილის მსურ-

ველი, ვწუხვარ, რომ გაზეთმა „გოლოსი“ **არმენიამ“ ადგილი დაუთმო ამ-**
გვარ ხულიგნურ გამოხდომას მოძმე ერის წინააღმდეგ. ადგილი დაუთ-
მო ბინძურ გულში დაგროვილ ჩირქსა და ბალღაძს, საცალად იმისა,
რომ ჩვენს საერთო, სომხურ-ქართულ პრობლემებზე ემსჯელა, თავზე
საყრელი რომ გაგვჩენია, და ორი ხალხის წრფელი მეგობრობის კე-
დელზე კიდევ ერთი აგური დაედო!

12 იგისის 1994 წ.

ბატონო დეპუტატებო!

ძველ რომში, რესპუბლიკის დროს, როდესაც სახელმწიფოს შინა ან გარე საშიშროება დაეშუქრებოდა, კონსულებისაგან შემდგარი სენატი ირჩევდა ერთ პიროვნებას, ვის ხელშიაც თავი უნდა მოეყარა ქვეყნის მთელ ძალაუფლებას. ამ პიროვნებას, რჩეულს რჩეულთა შორის, ვისი სიტყვაცა და გადაწყვეტილებაც ამიერიდან რესპუბლიკის ყველა თანამდებობის პირისა და მთელი ხალხისათვის სავალდებულო იყო, დიქტატორი ერქვა.

გთხოვთ, ნუ შეგაკრთობთ ეს სახელი და ნუ გაათანაბრებთ მის ფუნქციებს, დროებით არჩეული დიქტატორის უფლებამოსილებას და ძალაუფლებას, რომელიმე კლასის, ეთქვათ, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ძიერ დამყარებულ დიქტატურასთან ან ე.წ. პროლეტარიატის დიქტატურასთან, რომელიც რუსეთის 1917 წლის ოქტომბერს რევოლუციამ დაამყარა. როგორც ერთი, ისე მეორე თავისი არსებით პერმანენტული იყო და საზოგადოებრივ ძალებზე მანამ უნდა ებატონა, სანამ ესა თუ ის გაბატონებული კლასი საზოგადოებრივ მოძრაობაში ჰეგემონად გამოდიოდა.

ანტიკურ დემოკრატიას, რის ნიმუშსაც ძველ სამყაროში რომის რესპუბლიკა წარმოადგენდა, გაქირვების ჟამს ერთი პიროვნების ხელში ყველა ძალის თავმოყრა და კონცენტრაცია ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესების დასაცავად სჭირდებოდა, რა საქმეშიაც დემოკრატია, თუნდაც ჩვენი ნაქები საპარლამენტო წყობილება, ყველაზე ნაკლებ ეფექტური იარაღია.

როდესაც ჩვენმა პარლამენტმა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა შემოიღო და უშუალოდ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის თავმჯდომარე უზენაესი უფლებით აღჭურვა, რამდენადაც მახსოვს, რომის რესპუბლიკა აქ არავის უხსენებია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ თავისი გადაწყვეტილება მომაკვდინებელ საფრთხეში ჩავარდნილი რომის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს სენატის ანალოგიურად მიიღო.

სამოცდაათწლიანი მონობიდან თავდახსნილი და პროვინციული ფაშიზმის ჭაობში ყელამდე ჩაფლული საქართველო მაშინ მეტად არაორდინარულ მდგომარეობაში იმყოფებოდა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით და სახელმწიფოს მართვა რომ როგორმე შესაძლებელი გაეხადა, დაშლამდე მისული ქვეყნის ძალაუფლებას პარლამენტმა თავი სახელმწიფოს მეთაურის ხელში მოუყარა.

ეს, ალბათ, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო და სრულიადაც არ მოასწავებდა წინა ხელისუფლების პოლიტიკური პროფილის აღდგენას, როგორც ამას წინათ აქ ქადაგებდნენ.

მე არ შეგაწყენთ თავს იმის მოთხრობით, თუ რა რის შემდეგ მოხდა, მხოლოდ იმაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, რომ ყოფილი სამხრეთ-ოსეთის სომარ კონფლიქტს აფხაზეთის კონფლიქტიც დაემატა და ეკონომიკურ კრიზისსა და საერთაშორისო იზოლაციაში მოხვედრილი საქართველო თავიდან ფეხებამდე ომში ჩათრეული აღმოჩნდა.

ამ ისტორიულ მონაკვეთში საქმე იმით დამთავრდა, რომ ჩვენმა შინაურმა და გარეშე მტრებმა მოახერხეს თავიანთი მიზნის განხორციელება და აფხაზეთი მთლიანად ჩამოაშორეს დედა-საქართველოს. ე.ი. მდგომარეობა კიდევ უფრო გაძწვავდა და საქმეო გახდა ქვეყნის ყველა ძალის გაერთიანება მისი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად!

ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი ჩვენთვის სასურველად, წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით წარიმართა. ეს იმიტომ კი არა, რომ ვისმეს არ უნდოდა ან არ უნდა ოპტიმალური გზა აირჩიოს, არამედ იმიტომ, რომ შექმნილი გარემოება არ იძლეოდა და არ იძლევა, ჩვენთვის უმჯობესი გზით სიარულის საშუალებას!

მე არ დავახასიათებ, რა მდგომარეობაა ამჟამად აფხაზეთში. ეს ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილია და ზედმეტად დროს აღარ წაგართმევთ. წარმოვიდგინოთ რომაელი რესპუბლიკელები ჩვენს ადგილზე. ნუთუ ისინი, ჩვენს ადგილზე რომ ყოფილიყვნენ, იმდენად უგუნურნი იქნებოდნენ, რომ თავისდა საზიანოდ სწორედ მაშინ წამოჭრიდნენ სახელმწიფო ხელისუფლების საკითხს, როდესაც დანა და ყელი ერთად ექნებოდათ? მაშინ მოინდომებდნენ თანამდებობის პირთა ერთი წყების შეცვლას მეორე წყებით, როდესაც ეს მხოლოდ მტერს მოუტანდა სარგებლობას და არა მათ? ნუთუ მათ არ ეცოდინებოდათ, რომ საომარი მოქმედება, ანდა ისეთი გარემოება, როგორიც ამჟამად აფხაზეთშია, ყველაზე ნაკლებ გამოსადეგი ვითარებაა ექსპერიმენტების ჩასატარებლად?

ამ საკითხის გადაწყვეტა, ბატონებო, ჩემი ღრმა რწმენით, პარტიების საქმე არ არის, მთელი ერის საქმეა, მის მიერ არჩეული პარლამენტის საქმეა და თუ გვინდა, წყველა-კრულვით არ მოიხსენიონ თითოეული აქ მჯდომის სახელი, თავი უნდა დავანებოთ რაღაც პარტიულ პრინციპებს, ამბიციებს, გავიხსენოთ, რომ ყველა ქართველი ვართ, გავერთიანდეთ და ჩვენს საერთო საშობლოს მივეშველოთ, რომელიც მომაკვდინებელ საფრთხეშია!

ბავშვი აიც ერთი არა ვართ. ყველა კარგად ვხედავთ, ხედავს მთელი ხალხი, ვინ რისთვის იბრძვის, ვხედავთ, მაგალითად, იმას, რომ პარლამენტის უმრავლესობის წინააღმდეგ გაერთიანებულმა საშმა ოპოზიციურმა პარტიამ ერთი თავმჯდომარეც ვერ აირჩია, რათა ნამდვილ მონოლითურობას მიაღწიოს და რა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხვალ ისინი საერთო ეროვნული ინტერესების მისაღწევად დაირაზმებიან და ხელისუფლების დასაპყრობად ერთმანეთის არ ებღლვნებიან?

ნუ მოვიტყუებთ თავს და ნურც სხვის [illegible] ვეცდებით. დღეს ისე გულუბრყვილო აღარავის არის, თეთრი და შავი ერთმანეთისაგან ვეღარ გაარჩიოს!

მე მაკვირვებენ ადამიანები, ჩვენი კოლეგები, მათ შორის ისინიც, რომელთაც ოდესღაც გულწრფელ პატივს ვცემდი, უკანა რიცხვით რომ აპირებენ უკვე მომხდარი მოვლენების შეცვლას და ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნებას. ისინი, ვინც სამშვიდობო ძალების აფხაზეთიდან გამოყვანას და ორი-სამი წლის შემდეგ ამ კონფლიქტის შეიარაღებული ძალის მეშვეობით გადაწყვეტას მოითხოვენ, ნუთუ მთლად

კოსმოსში ცხოვრობენ და საქართველოში არსებული რეალური ძალების, ძალიანაც არაფერი გაეგებათ?

ეს ხომ ისინია, ვისაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ყოველი ახალი წარუმატებლობის შეტყობის უმალვე პიროზე ღიმილი ეფინებათ და ხანდახან ტაშსაც დასცხებენ ხოლმე, თითქოს ეს მათი სამშობლო კი არა, რომელიმე გადამთიელი ქვეყანა იყოს!

მე არ მინდა, აქ ერთი ვაი-პროფესორის გამოთქმა ვიხმარო და ყველა ისინი, ჩვენი ამხანაგები, მტრებად მოვნათლო, მაგრამ იმას კი ვიტყვი და ვურჩევ ზოგიერთებს, პარტიული ამბიციები ნუ გაათამაშებთ, ნუ წარმოიდგენენ მას მტრის დამთრგუნველ ძალად. ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ის მხოლოდ სამშობლოს დამთრგუნველი ძალაა და ჩვენი დაუნდობელი მტრების სასიცოცხლო ინტერესებს ემსახურება!

კიდევ ერთ კურიოზზე უნდა შევაჩერო სესიის ყურადღება. სადავო საკითხი, როგორც საზოგადოდ ცნობილია, კრებაზე კენჭისყრით წყდება. კენჭისყრით ირჩევენ აკადემიკოსებს, კენჭისყრით ანიჭებენ საშეცნიერო ხარისხებს, კენჭისყრით ირჩევენ ამა თუ იმ თანამდებობის პირებს. არჩევნებში იმარჯვებს ის პირი ან აზრი, რომელიც მეტ ხმას მოაგროვებს, მიუხედავად იმისა, თუ შენ რომელი ხმა მიეცი, უარყოფითი თუ დადებითი. მიღებული გადაწყვეტილება კრების საერთო ნებად ცხადდება და იგი უკლებლივ ყველასათვის სავალდებულოა!

ეს ასე ხდება ყველა წესიერ საზოგადოებაში. მარტო ჩვენს პარლამენტშია შემოღებული არჩევნების აფხაზური წესი, რაღაც უფლება უმცირესობისა, რომელსაც თურმე შეუძლია თავის აზრზე დარჩეს და ეს აზრი თავს მოახვიოს უმრავლესობას. ნორმალურ საზოგადოებაში ნუთუ სადავოა ის, რომ არჩევანის მოხდენის შემდეგ მხოლოდ ერთი აზრი იძენს კანონის ძალას, ხოლო მისი ანტიპოდი ყოველგვარ მორალურ და იურიდიულ უფლებას კარგავს?

პირველად რომ ამ ტრიბუნაზე შევდექი, სიტყვა მადლიერების გრძნობაზე ჩამოვაგდე, რომელიც არა მარტო მთელ საზოგადოებას, მის ყოველ წევრს, ყოველ წესიერად აღზრდილ ადამიანს უნდა ახასიათებდეს.

არ მომიწონეს ჩემი წამოწყება, დარბაზში ერთი აურზაური ატყდა, ბატონ ედუარდის გამოსარჩლებამაც ვერ მიშველა. ამ სიტყვის ბოლოს ნაწილში მაინც მინდა დავუბრუნდე მადლიერების გრძნობას და ამჯერად მადლობა ვუთხრა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკის პოლიციას, რომელიც უკანასკნელ თვეებსა და კვირეებში მართლაც მამულიშვილურ საქმეებს აკეთებს, რათა ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს და იგი ქვეყანას დაამგვანოს.

ეს სიტყვები იქნებ არც მეთქვა. ჩვენს პარლამენტში წამდაუწუმ რომ არ გაისმოდეს ბატონკაცური კრიტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროს მისამართით. კაცი ბრმა უნდა იყო, ან ბოროტმოქმედთა თანამზრახველი, რომ ვერ დაინახო ის, რასაც დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ჩვენი პოლიციელები აკეთებენ. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ არც მათ ულხინთ, ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანაში ისინიც ჩვენებრ ხელმოკლედ ცხოვრობენ. მაგრამ თავიანთ სამსახურეობრივ და პატრი-

ოტულ მოვალეობას არ ღალატობენ. წარბშეუხრელად დგანან იქ, სადაც საშშობლომ დააყენა.

რესპუბლიკის პოლიციამ მძარცველებთან და მკვლელებთან, ნარკობიზნესის ბნელ საძყაროსთან ომში დიდი დანაკლისი განიცადა. ხომ ცნობილია, რომ ეს ლიტონი სიტყვები არ არის! ბოლო ორ წელიწადში ბოროტმოქმედის ტყვიამ 600-ზე მეტი პოლიციელის სიცოცხლე შეიწირა!

მე ვიცნობ ბატონ შოთა კვირაიას, ბატონ დეძურ მიქაძეს, ვიცნობ ბევრ სხვასაც და კიდევაც ვმეგობრობ მათთან. ნუ გავუტეხთ გულს ამ თავდადებულ ადამიანებს, რომელთა სიცოცხლე ყოველ წამს ბეწვზე ჰკიდია. ნუ წარმოვიდგენთ ისე, რომ საქმე მხოლოდ პარლამენტში კეთდება, ყველა სხვა კი გულხელდაკრეფილი ზის და თვალი მხოლოდ გამორჩენაზე უჭირავს!

დაბოლოს კიდევ ერთი ცნობა: მე ვეკუთნი პარლამენტში ჩამოყალიბებულ უმრავლესობას არა იმიტომ, რომ მხარს ვუჭერ ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწეს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ პარლამენტის უმრავლესობა ფხიზელი თვალით აღიქვამს მოვლენებს და საშშობლოს ჩიხიდან გამოსაყვანად რეალური პოლიტიკის გზას ადგია.

28 ივნისი 1994 წ.

ნუ ნაჩქარევი ბიჯები ლაზიკის

აგერ თითქმის ორი წელიწადია, რაც აჭარის ხელმძღვანელობის კრიჭაში მდგომი პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც თავის დროზე ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეიღწიეს და შემდეგ საქართველოს პარლამენტშიაც დაიდეს ბინა, ხმალაძოღებული იბრძვიან, რათა მშვიდობიანმა აჭარამ, როგორც საქართველოს ნაწილმა, დანარჩენი საქართველოს ხვედრი გაიზიაროს, ურთიერსიძულვილის, დაუნდობლობის, მკვლელობისა და ძარცვა-გლეჯის ასპარეზად იქცეს.

ამ ბარბაროსული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია და გამოიყენება თითქმის ყველა ხერხი და საშუალება.

ე.წ. ეროვნული ძალები მარტივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობენ: რაკი აჭარა მშვიდობას ინარჩუნებს და ამ ჟხრივ საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებულად ცხოვრობს, რაკი ნანატრ მშვიდობასა და საზოგადოებრივ წესრიგს აქ კვლავ გაბატონებული მდგომარეობა უკავია, მაშასადამე, ის თავს საქართველოსაგან მოწყვეტილად აცხადებს და სადღაც განზე მაცქერალ სეპარატისტთა ბუნაგად გვეელინება.

ეს რომ ასე არ იყოს, აჭარის საზღვრებზე გზას არ გადაუღობავდნენ შეიარაღებულ ბანდებს, თავს ხან გვარდიას და ხან ,,ხედრიონს" რომ უწოდებენ და აჭაური მოსახლეობის დოვლათი და თვით სიცოცხლეც კი მათი საკბილო გახდებოდა.

ე.წ. ეროვნული ძალები, თავიანთი აზრით, მარჯვედ იყენებენ სარწმუნოებრივ ფაქტორს და აქედან თავისთვის სასარგებლო დასკვნები გამოჰყავთ. საქართველო ოდითგანვე ქრისტიანული ქვეყანაა. მისი სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით აჭარაში მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რელიგიას ისლამს აღიარებენ. მაშასადამე, რაკი ასეა, აჭაურ სახელმწიფო მოღვაწეებს, უპირველეს ყოვლისა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს ასლან აბაშიძეს, თვალი თურქეთისაკენ უჭირავს და თუ ქართველი პატრიოტები, ქართველი კი მხოლოდ ქრისტიანია, მარჯვედ არ ვიქნებით და მას, ასლან აბაშიძეს, ნიღაბს დროზე არ ჩამოგვლეჯთ, ერთ მშვენიერ დღეს აჭარა ერთმორწმუნე თურქეთის შემადგენლობაში აღმოჩნდება.

როგორ მოგწონთ, მკითხველო, აზროვნების ლოგიკური თანმიმდევრობა?

მავანი პოლიტიკოსებისთვის არაფერს წარმოადგენს ისტორიული ფაქტი, რომ საქართველოს განუყოფელი ნაწილი აჭარა მტაცებელმა თურქებმა სამხედრო ძალის გამოყენებით მოსწყვიტა დედა-საქართველოს, უძველესი ქრისტიანული მხარე, სადაც პირველი ქრისტიანები ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, მთელი საქართველოს გაქრისტიანებამდე მთელი სამი და მეტი საუკუნით ადრე გაჩენდნენ, ძალად გაამაჰმადიანა და მისი ეკლესია-მონასტრები, პირველი ქრისტიანული საკულტო ნაგებობები საქართველოს მიწა-წყალზე, მეჩეთებად აქცია. ადგილობრივ მოსახლეობას სარწმუნოება დამპყრობელმა უხეში ძალის მეოხებით კი შეუცვალა, მაგრამ მან ვერ შესძლო უმთავრესი, ვერ შესძლო ჩაეკლა აჭარელ ქართველ კაცში ქართული სული. ვერ შესძლო ძირფესვიანად ამოეძირკვა ქართული ეროვნული ტრადიციები და აჭარელ ქართველი ფანატიკოს მაჰმადიანად ექცია.

როდესაც 1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მტრის მიერ სამასი წლის წინათ მიტაცებული აჭარა რუსული იარაღის მეშვეობით კვლავ საქართველოს დაუბრუნდა, ადგილობრივმა ქართველობამ, თურქეთის მონობიდან რომ გამოვიდა, როგორც ერთმა კაცმა, მხარი თავის ქრისტიან სამშობლოსთან შეერთებას და სამასი წლის წინათ შეწყვეტილი ცხოვრების გაგრძელებას დაუჭირა. ომში დამარცხებულ ოსმალებს სხვა გზა აღარა ქქონდათ, უნდა დაეთმოთ მიტაცებული ქართული მიწების ერთი ნაწილი — აჭარა და მისი უკან დაბრუნების იმედი შორეული მომავლისათვის გადაედო. თურქულ მეტროპოლიასთან ამიერიდან აჭარას მხოლოდ ძალად დანერგილი და გაერცელებული სარწმუნოება აკავშირებდა, რომელიც თურქ პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრით მომავალში მისი უკან დაბრუნების მთავარი ფაქტორი უნდა გამხდარიყო.

საქართველოში რომ ბოლშევიკები შემოვიდნენ და საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, საზაეო მოლაპარაკების დროს ხელახლა წამოიჭრა სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის საკითხი. თურქმა დიპლომატებმა, რადგანაც საქართველოს ამ განუყოფელი კუთხის — აჭარის უკან დაბრუნება ვერც ომისა და ვერც მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ვერ მოხერხდა, აჭარის ქართველობა დანარჩენ ქართველობაში რომ არ ათქვეფილიყო და მას ძალად მიღებული მაჰმადიანობა არ დაეკარგა, აჭარისათვის პოლიტიკური ავტონომია მოითხოვეს, რასაც კომუნისტური ხელისუფლება სიამოვნებით დათანხმდა. ასე გაჩნდა ქვეყნის პოლიტიკურ რუკაზე ჯერ „აჭარისტანის", ხოლო შემდეგ „აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", რომელმაც კომუნისტური იმპერიის დანგრევამდე იარსება.

რადგანაც აჭარას ავტონომიის სტატუსი ჰქონდა, მეტროპოლიის ცენტრშიაც და პერიფერიებშიაც აჭარლებს ცალკე ხალხად თვლიდნენ. არარსებული აჭარული ეხიდან, თქვენ წარმოიდგინეთ, წიგნებსაც კი თარგმნიდნენ და მოსკოვში სცემდნენ. ერთხელ აჭარის კულტურის დეკადის მოწყობაც კი დააპირეს. გულს ხომ არ დაწყვეტდნენ „ეროვნულ უმცირესობის"! ცოტას თუ ვინმეს ნახავდი საბჭოთა კავშირში, ვისაც აჭარლების ეროვნული ვინაობისა რაიმე გაეგებოდა, რომ აჭარლები ჩვეულებრივი ქართველები იყვნენ, მათი ენისა და კულტურის თანაზიარნი, მხოლოდ თავს ძალად მოხვეული მაჰმადიანური სარწმუნოება ასხვავებდათ.

ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერები, რომლებსაც თურმე ასე აწუხებთ „აჭარის საკითხი", ძილს უფრთხობთ ფიქრი იმაზე, თუ საით იყურება აჭარა და მისი ხელმძღვანელობა, ისტორიულ ფაქტს არ ულრმავდებიან, რადგან არც ერთი ამ ფაქტთაგანი მათ წისქვილზე არ ასხამს წყალს. ისინი მხოლოდ სარწმუნოების საკითხს სწევენ წინა პლანზე და თავის შემდგომ მსჯელობას ამ ფაქტზე ამყარებენ. ალტერნატიული პრესა, ადგილობრივი თუ თბილისში გამომავალი, სავსეა თვითნებური მსჯელობებით და მტკიცებებით. ამტკიცებენ, მაგალითად, რომ ბათუმში და მთლიანად აჭარის ტერიტორიაზე იდევნება ყოველივე ქართული, სდევნიან ყველა ქართველს და ხშირად საქმე კრიმინალურ ექსცესებამდეც კი ხდება.

წაიკითხავს ამ მკრეხელური აზრის შემცველ ინფორმაციას სხვა კუთხის შვილი, კახელი იქნება თუ ქართველი, იმერელი თუ მეგრელი, რომელიც ძირფესვიანად არ იცნობს აჭარას, მის ისტორიასა და დღევანდელ დღეს და სტატიის ავტორს რა ენაღვლება თუ გულს ექვის ქია დაუწყებს ღრღნას: ვაითუ ეს ყოველივე მართალია? მართალი რომ არ იყოს, ბეკდური წესით გაზეთში როგორ გამოაქვეყნებდნენ და სხვ. და სხვ. არა და, ყველაფერი სწორედ პირიქითაა! აჭარაში ყველაფერი ქართულია. აქ ყოველ ნაბიჯზე მხოლოდ ქართული ენა გაისმის. აქ ქმნიან და თაყვანს სცემენ ქართულ მწერლობას და ხელოვნებას. ბათუმი, აჭარის გული, ერთ-ერთი უდიდესი კერაა ქართული ეროვნული კულტურისა!

მაშ, საიდან დარხეულა ეს საშინელი ჭორი? ეს საშინელი მკრეხელობა და ცილისწამება ვისი პირიდან ამოვიდა?

შორს რომ არ წაიდეთ, ერთ შემთხვევას გავიხსენებ.

ბათუმის აეროპორტში, როცა თბილისში გასაფრენად თვითმფრინავის ტრაპზე ადიოდა, მისთვის უცნობმა პირებმა დააკავეს მოქალაქე თამაზ დიასამიძე. ეს პატივცემული პიროვნება, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევით დაუყოვნებლივ, 10-15 წუთის შემდეგ გაათავისუფლეს, ამ შემთხვევის გამო ბათუმის ერთ-ერთ ალტერნატიულ გაზეთში წერდა: „გამტაცებლები გამოირჩეოდნენ ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიური სიძულვილით."

მე ერთხელ ვწერდი და ახლა მინდა გავიმეორო: ვინ იყვნენ ნეტავ „გამტაცებლები", რას ემართლებოდნენ პატივცემულ დეპუტატს, რომლის პიროვნება ხელშეუხებელია, რა ენაზე მეტყველებდნენ, როგორ მოასწრეს იმ 10-15 წუთში „ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიურ სიძულვილის" გამომჟღავნება?

ამოცანა სულ ადვილად ამოიხსნება, თუ ამ გაზეთის ფურცლებზე ერთხელ უკვე გამოქვეყნებულ კიდევ ერთ ცნობას განმეორებით გამოვაქვეყნებთ. ეს გახლავთ ოფიციალური მიმართვა პარლამენტის თავმჯდომარისადმი, რომელსაც ხელს აწერს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ალექსანდრე გობრონიძე.

აი, რას ვკითხულობთ იქ:

„მიმდინარე წლის 7 აპრილს ბათუმში ჩამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები... ფაქტობრივად მათი ვოიაჟი ატარებდა მიზანმიმართულ პროვოკაციულ ხასიათს, რაც აშკარად ჩანს მათ მიერ უკანასკნელ ხანს გაკეთებული განცხადებიდან. თითქოს აჭარაში შექმნილი იყოს მძიმე, არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება და ამჟამად აქ არსებული სიტუაცია ისეთი იყოს, როგორიც იყო აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების წინა პერიოდში. აგრეთვე მათი მიმართვიდან სახელმწიფოს მეთაურისადმი გაემიჯნოს ბატონ ასლან აბაშიძეს... აჭარის ავტონომიური ერესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით თავს ვალდებულად ვთვლი მოგმართოთ... პარლამენტის ყველა წევრს, ვისაც გული შესტკივა საქართველოს ერთიანობაზე და გაგებით ეკიდება აჭარაში არსებულ ვითარებას, ვითხოვთ ჯეროვანი შეფასება მისცეს პარლამენტის ზოგიერთი წევრის მოქმედებას..."

აი, რა მისიით ყოფილან ბატონი თაბაზ დიასამიძე და მისი პარტიული თანამებრძოლები ბათუმში. აი, რა სიმართლე, რა ობიექტური ქმედებრიტები ეკუთვნიათ და რა მასპინძლობა გაუწევიათ აქარლებს აეროპორტში. როგორ გასუზრახავთ დიასამიძის ძოტაცება. კიდევაც მოუტაცნიათ, მაგრამ 10-15 წუთის შემდეგ საქმეში ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები ჩარეულან და ახალი პროვოკაცია თავიდან აუცილებიათ.

დიასამიძის შურისძიების გრძნობა უსაზღვროა. ის დახარჩენ საქართველოსთან აბეზღებს მშობელ და გამზრდელ აჭარას. რომ აქ თითქოს „ანტიქართული ძალები" თარეშობენ და რომ ეს „ანტიქართული ძალები" „ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიურ სიძულვილს ამჟღავნებენ"!

რა ქკუაზე დადგება საქართველოს სხვა რეგიონების ქართული მოსახლეობა, მთელი ქრისტესმოსავი ქართველობა, ვის ყურამდეც ამ შემაზრზენმა ინფორმაციამ პრესის საშუალებით ძიაღწია და ვისაც საქმის ნამდვილი გარემოება ზედმეტხაკლებად გაეგება?

ე.წ. ეროვნული ძალები, საქართველოს რესპუბლიკური პარტია და მისი მხრის ამბმელნი მეორე ვერსიასაც ამტკიცებენ. ამ ვერსიის თანახმად აჭარის ხელმძღვანელობას რუსული ორიენტაცია უპირავს, რუსებს აჭარაში ეპატიჟება და მათი მეოხებით დახარჩენ საქართველოსაგან ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივ გამოყოფას ლაშობს.

ამის დამადასტურებლად მიაჩნიათ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის კეთილი ურთიერთობა რუსეთის საშხედრო მოსამსახურეებთან, რომლებიც თანახმად რუსეთ-საქართველოს სათანადო ხელშეკრულებისა ბათუმში დგანან.

რა ვუყოთ, თუ ორივე ვერსია ერთმანეთს ეწინააღმდეგება. უფრო მეტიც, ერთმანეთს გამორიცხავს. ეს არავის ადარდებს. მთავარია, ტალახის გუნდა ესროლო აჭარის ხელმძღვანელობას. პირადად მიზანში ამოღებულ ასლან აბაშიძეს, დახატო საქმე ისე, რომ ის საქართველოს მტერია და თუ ეს როგორმე დამტკიცდება, ყველა ხერხი და საშუალება მისაღები და გამოსადეგია.

მე აღარ გავიმეორებ ჩემი წინა წერილების დედააზრს, რომლებიც ამ წლინახევრის განმავლობაში რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ იმავე დროის მანძილზე ე.წ. ეროვნული მოძრაობის მცდელობებს, როგორმე საზოგადოების შინაგანი გახსეთქილება მოეხდინათ აჭარაში. მისი ერთი ნაწილი მეორესათვის დაეპირისპირებინათ, არავითარი წარმატება არ მოქყოლია. მათ საბოლოოდ გაიტეხეს სახელი და მშობლიურ კუთხეში გამოსაჩენი პირიც აღარ აქვთ. ეს ნათლად გამოვლინდა იმ საბახსოერო დღეებში, როდესაც საქართველოს პარლამენტი აჭარას ეწვია და ქუჩებში ტრანსპარანტები დახვდა: მივესალმებით პარლამენტს ამისა და ამის გამოკლებითო. სწორედ ეს გამოკლებულნი იყვნენ ის დეპუტატები, წარმოშობით აჭარის მკვიდრნი, რომლებიც ყველათვერს აკეთებდნენ და აკეთებენ იმის დასამტკიცებლად, რომ მათი მშობლიური კუთხე აჭარა სადღაც სხვაგან იყურება, „ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიურ სიძულვილს ამჟღავნებს" და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას დარღვევით ემუქრება!

რა არის ამის დამადასტურებელი უპირველესი სიმპტომი? თუნდაც ის, რომ აჭარაში მიმავალმა კაცმა, რითაც არ უნდა მიდიოდე, ცეცხლსასროლი იარაღი, თუ ასეთი გაქვს, მის საზღვარზე მდგომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელს უნდა ჩააბარო. აჭარა უიარაღო ზონაა! აქ იარაღს მხოლოდ ისინი ფლობენ და ატარებენ, ვისაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ევალება!

ეს გარემოება წონასწორობას უკარგავს ე.წ. ეროვნულ ძალებს, რადგან იარაღის გამოყენების გარეშე არც მათ და არც მათ მხრის ამბმელებს არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ!

ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და მთელ მოსახლეობას მიაჩნია, რომ შეიარაღებული ფორმირებების, თუნდაც რამდენიმე შეიარაღებული პირის აჭარის ფარგლებში შემოვება დესტაბილიზაციას გამოიწვევს და აჭარაც ისევე გადაიქცევა ძარცვა-გლეჯის, მკვლელობებისა და ტერორის ობიექტად, როგორც დანარჩენი საქართველო გადაიქცა. ამიტომაც ფხიზლობენ, რათა ეს მოურჩენელი ეპიდემია არ მოედოს აქამდე ძალადობისაგან დაცულ ოაზისს და ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამ არ გაიზიაროს ის ენით აუწერელი გაჭირვება, რაც დანარჩენ ქართველობას არაკაცებმა არგუნეს.

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის თქმა და მტკიცება, რომ სიტუაციას რეგიონში კონკრეტული პიროვნებები არ განაგებენ და წარმართავენ. ეს პიროვნება უწინარეს ყოვლისა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძეა და ამიტომაც დესტაბილიზაციაზე შეოცნებეთა მთელი ძალისხმევა სწორედ მის წინააღმდეგაა მიმართული. არ იქნება ასლან აბაშიძე, არ იქნება მისი მტკიცე ხელი და გაქჩრიახი გონება, ერთადერთი მშვიდობის ციტადელიც დაეცემა საქართველოში და ქვეყანას კიდით კიდემდე ქაოსი მოიცავს!

ადგილობრივ მოქმედ ოპოზიციურ პარტიებს, რომელთაც მხურვალე მხარდაჭერა თვით რესპუბლიკის პარლამენტიდან აქვთ, რომ შესწევდეთ უნარი და ძალა მშვიდობიან აჭარაში არეულობის მოსახდენად, ამ არეულობას დიდი ხნის წინათ მოახდენდნენ და დღეს უკვე აღარაფერი გვექნებოდა მათი ხელყოფისაგან დასაცავი, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მათ ეს ძალები არ გააჩნიათ და იძულებული ხდებიან, იგი ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ეძიონ!

და რა გგონიათ? ამ ბოლო დროს მათ კიდევაც მიაღწიეს საწადელს. არევ-დარევა აჭარის გარეთ მოახდინეს და ის აჭარაში მზამზარეულად შეიტანეს, რითაც თავიანთი მშობლიური კუთხე, რომელსაც აქამდე არაფერი ემუქრებოდა, დიდი განსაცდელის წინაშე დააყენეს!

მე ამ სამოიდე დღეის წინათ ვიყავი ბათუმში, ვიყავი ცნობილი ჟურნალისტის გია ჭელიძის ამაევ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიის წაკითხვის შემდეგ და, მეტი რომ არა ვთქვა, იქ ნანახმა და განცდილმა თავზარი დამცა.

ყველაფერი ამას წინათ აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურებით დაწყებულა. როგორც ცნობილია, მთიანი აჭარა მეწყერმა დაანგრია და მიწასთან გასწორებული აქაური სოფლები ხეობებში ჩამოიტანა. მაშინ მთელი საქართველო აღსდგა გაჭირვებაში ჩავარდნილი აჭარელი ძმების დასახმარებლად. მეზობელმა რაიონებმა უსახლკაროდ დარჩენილი ათასობით სული აჭარელი შეიფარეს, დასასახლებლად მიწა გამო-

უყვეს, სახლები აუშენეს და რაც გააჩსდათ, ძმებს ძმურად გაუყვეს. მაგრამ ეს მოხდა იმ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ხელისუფლების სათავეში არა ეროვნული ძალები, არამედ კომუნისტები იდგნენ. გაჩნდა იმედი, ხალხმრავალი აჭარის ქალაქი მოსახლეობით, ქართული ეროვნული ელემენტით შეგვეევსო ისეთი რეგიონები, როგორიცაა სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი.

იმხანად აჭარელთა 47%1 ოჯახი, ანუ 15 ათასზე მეტი სული ჩასახლდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ჩვენ ყველანი, ახალმოსახლენიც და აბორიგენებიც, ქართველები ვიყავით. ჩვენი ეროვნული გენი გვეძახდა და გვაძხნევებდა. საარწმუნოებრივმა აღმსარებლობამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. ის არც არავის გახსენებია, სანამ არ გაჩაღდა ე.წ. ეროვნული მოძრაობა, სანამ ქუჩის პოლიტიკოსებმა არ დაიწყეს იმის საჯაროდ განსაზღვრა, თუ ვინ იყო საქართველოში სტუმარი და ვინ მასპინძელი, სანამ არ ამბოხდნენ ჯერ ოსები და შემდეგ აფხაზები.

და აი, ამუშავდა „თავისუფალი პრესა", თავი წამოყვეს ვითომდა საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლმა ულტიმატუმურმა ადამიანებმა, რომელთაც ამ წუთებამდე სამშობლოს საკეთილდღეოდ ჩხირი ჩხირზე არ დაედოთ და ბოლოს აღმოაჩინეს, რომ ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრები და ფესვგადგმული აჭარლები „ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიურ სიძულვილს ამჟღავნებენ".

დაიძრა მეწყერი და სულ უკანასკნელ ხანს იგი, არც მეტი, არც ნაკლები, მთელ საქართველოს მოედო. ადგილებზე გაახსენდათ, რომ აჭარლების საარწმუნოება „თათრების" საარწმუნოებაა. ამოტივტივდა სენტენცია: ვინც მუსულმანია, თათარია! მაშ, რა უნდათ აჭარლებს საქართველოში, წავიდნენ თავიანთ სათათრეთში, ე.ი. აჭარაში და სანამ ცოცხლები არიან, პირში სული უდგათ, იქ იცხოვრონ!

როგორ არ ინდა შეინძრნენ დიდი ილიას ძვლები სამარეში, როგორ არ უნდა ივრგვინოს გაგაშის ზარმა! ეს რა ხდება, ხალხო? ეს რა ამბავია ჩვენს უბედურ თავს? შავი და თეთრი ერთმანეთისაგან ველარ გაგვირჩევია? ვის ვუჯერებთ, მშობელი კუთხის მაგინებელ დიასამიძეს და ბერძენიშვილს, დიდი ილია კი, მისი აღფროთოვანება აჭარის შემოერთებით, ზეიმი ჩვენს ქუჩაში. აჭარელი ქართველის ქართველობა აღარაფრად მიგვაჩნია? ნუთუ ვერ ვხედებით, რომ იმ ტოტს ვჭრით, რომელზედაც ვსხედვართ, მოსისხლე მტრის გასახარად ჩვენ თვითონ, საკუთარი ხელით ვანგრევთ ჩვენს ეროვნულ ერთობას, რომელიც თაობათა თავგამოდებული მეცადინეობით ჩვენამდე შეუერყვნელად მოსულა?

დღეს ჩვენ შეშზარავი, საქართველოს ისტორიაში გაუგონარი ფაქტის წინაშე ვდგავართ. ბათუმში და ბათუმის გარშემო თავი მოუყრია აჭარელთა ათასზე მეტ ოჯახს. რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ამა თი იმ კუთხეში ჩავასახლეთ. მაგრამ [illegible] დღითიდღე იზრდება და კაცმა არ იცის, სადამდე მიაღწევს!

აჭარის ხელისუფლება [illegible] ამას პირს არ უხსნის. საგონებელშია ჩავარდნილი ასლან აბაშიძე. მდგომარეობა თითქმის გამოუვალია. სად დააბინაონ ამდენი ლტოლვილი. რა უპასუხონ, რად მოხდა ეს. რად გაწირა ამდენი ღვიძლი შვილი საკუთარმა სამშობლომ და

ბოლოს, რა აკაშინ ადამიანებს, როიელთა სახეკარზე მეტი მცირეწლოვანია, რით გაღონიერდნენ, როდესაც ყოველი ლუკმა პური საძებარია!

ჩვენი კაცთმოყვარე აკარა, მშვიდობის ოაზისი, ქაართული ხელოვნებისა და სპორტის თავშესაფარი, აბორგებულ ვულკანს მიაგავს. არავინ იცის, ეს ვულკანი როდის აფეთქდება და ყველასა და ყველაფერს როდის წალეკავს!

მე ვხედავ გაბრწყინებულ სახეებს. აქა-იქ ტაშიც გაისმის. კიდევ ერთი წარუმატებლობა, ამჯერად უკვე აკარაში! არც ახლა გადადგება შევარდნაძე? არ წავა მთავრობა? ქუდს არ დაიხურავს ასლან აბაშიძე და მისი გუნდი?

ეს არის, ძმებო, შვილებო, ეროვნული მოძრაობა? ამას ვესწრაფვოდით და ამაზე ვოცნებობდით? აი, სადამდე მიგვიყვანა ქუჩის პოლიტიკამ, უფრო მაღალ სახელმწიფოებრივ პოსტს მოწყურებული პარლამენტარების მეთაურობით! დღემდე რომ გრძელდება და ქვეყანას უფსკრულში ჩანთქმას უქადის?

ის-ღა მრჩება, მოვუწოდო მთელ საქართველოს, ყველას, ვისაც საღი აზროვნების უნარი კიდევ შერჩენია, ყურიდან ბამბა გამოვიღოთ, ახლა მაინც მოვეგოთ გონს, სტიქიური უბედურების დროს ჩვენივე სურვილით ჩასახლებული აკარლების ფუძის მოშლით და თავის შერცხვენით საბოლოოდ ნე ჩავცემთ გულში ღახვარს ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს! ვიცოდეთ და სხვასაც გავაგებინოთ, რომ სვალ უკვე გვიანი იქნება, დაკარგულს ველარავინ დაგვიბრუნებს!

10 ივლისი 1994 წ.

ანსა ანსა ანი სიტყვა...

გაზეთ „ივერიის" ერთი პუბლიკაციის გამო

ვინაა ის პირველი ქართველი მამულიშვილი მოღვაწე, ვინც საბოლოო გადაგვარებისაგან იხსნა რუსული ბიუროკრატიის მიერ ფეხქვეშ გათელილი საქართველო, ვინც გამოაღვიძა საღათას ძილს მიცემული თავისი სამშობლო და დამონებულ ქვეყანაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ცეცხლი გააჩაღა. ვინც არ შეეშინდა არც ცარიზმს და არც ჩინ-ძენდლებით მკერდდამშვენებულ თავისიანებს, ვინც მოუხმო მისებრ თავდადებულ თანამემამულეთ და ვინც იღაღადა, დროა, მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი. ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოფობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხსო?

ილია ჭავჭავაძე. დიდი ილია, საქართველოს უგვირგვინო მეფე, ერის მამა და წინამძღოლი!

ილიამ ყველაფერი შესწირა ძრავალტანჯულ სამშობლოს. შესწირა უპირველეს ყოვლისა სიცოცხლე და ზეგარდმო მოვალეობული დიდი ნიჭი მწერლისა, რადგან „მგზავრის წერილების", „ვლახის ნაამბობის", „კაცია ადამიანის", „ოთარაანთ ქვრივის", „სარჩობელაზეს", „აჩრდილის", „განდეგილის" და სხვათა სწორუპოვარი ნაწარმოებების ავტორს სიცოცხლის მეორე სახეკარში, თითქმის 30 წელიწადს, მხეცურად ქმნილებათაგან ფითქმის აღარაფერი დაუწერია, ერის უღელში ვაბმულმა ვეღარ ძოიცალა და მხოლოდ პუბლიცისტის ბასრი კალმის მომარჯვებით და პირადი თავდადებით ეწეოდა თავის „საღეთო საქმესახურს!

აი, ვინ იყო და ვინ არის ჩვენთვის სულმნათი ილია. აი, რით და როგორ მიუძღვის ის ერს ყოველ დროში. აი, რად არის იგი საქართველოს მანათობელი ვარსკვლავი!

წაიკითხავს ყოველივე ზემოთ თქმულს მკითხველი და შეცბუნებული იტყვის: ეს მამაცხონებული რევაზ ჯაფარიძე ხომ არ შექანებულა, სიცოცხლის მერვე ათეულ წელში გადამდგარი რას გვიქადაგებს, ვინ არ იცის, ვინ არის ილია ჭავჭავაძე, განა საქართველოში ეს ვინმეს ესწავლება?

დიახაც არ ესწავლება და მე ამას არცა ვცდილობ. საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათა განმეორება არ დამქირდებიდა. ძალა რომ არ დამდგომოდა. ეროვნ გაერემოებას იძულებული რომ არ გავეხადე.

იქნებ ზოგ ვინმეს არ მოეხსენებოდეს და ახლა პირველად გაიგოს, რომ საქართველოში არსებობს რამდენიმე ათეული კაცისაგან შემდგარი ერთი პოლიტიკური პარტია. ეს პარტია თავის თავს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას უწოდებს. „საზოგადოების" წევრებს თავი, ძართალია, ჯერჯერობით არაფრით გამოუჩენიათ. არაფერი გაუკეთებიათ ისეთი, რაც სულმნათი ილიას მიერ გაწეულ ღვაწლს ძორეულად მაინც მოგვაგონებდა, არც მომრიგებელ მოსამართლედ ყოფილან, არც საყოველთაოდ აღიარებული ქმნილებები დაუწერიათ, არც ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორის მძიმე უღელი უწევიათ, არც მამათა და შვილთა შორის გაჩაღებული ბრძოლა გადაუხდიათ, არც ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სათავადაზნაურო ბანკი დაუარსებიათ, რათა ათასობით ჰექტარი მამაპაპეული მიწა ეხსნათ გადამთიელის ხელში გადასვლისაგან. მაგრამ ეს

სრულებითაც არ უშლით ხელს, თავი ილია ჭავჭავაძის იდეების ცხოვრებაში გამტარებლებად გამოაცხადონ და ცისაგან დანიშნული და ერისაგან გაზრდილი მოღვაწის სახელს ამოფარებულებმა დანარჩენ ქართველობას თითი უქნიონ. ილიას მიმდევრები და [illegible] მემკვიდ-

რენი ჩვენა ვართ, ჩვენ, მხოლოდ ჩვენ, ეს ჩვენი მონოპოლიაა და

კეთილი ინებეთ, თუ თავი გიყვართ და გეზოგებათ, ჩვენს მიერ გადმოს-

-ოლილი პოლიტიკური რეცეპტები აბსოლიტურ ქეშმარიტებად ირწმუნეთ და მით იხელმძღვანელეთო.

სხვა ამბავია, როდესაც ასპარეზზე გამოსული ყოველი პატიოსანი ახალგაზდა მამულიშვილი ცდილობს, როგორმე ილიას დაემსგავსოს, რაღაც მისებური მიაგოს სამშობლოს და სახელიც მისებური დაიმკვიდროს, მაგრამ არც ერთ მათგანს აზრადაც არ დაებადება, ეს თავისი ფიქრი თუ ოცნება ხმამაღლა, თუნდაც ორი კაცის თანდასწრებით განაცხადოს და ეს თვით ილიად ან მის შემცველელად წ[illegible]

ზემოთხსენებული საზოგადოების წევრები, როგორც მისი სახელწოდებაც მიუთითებს, ამას არ დაგიდევენ და სრულიად განსხვავებულ მორალურ-ეთიკურ პრინციპებს ადგანან. არ უნდა იკითხოს ქკუათმყოფელმა კაცმა, ვინ მისცა მათ ამის უფლება? ვინ მისცათ ნება, ერის მამის სახელს დაეპატრონონ, მისი მოძღვრების მიმდევრობა საკუთარ მონოპოლიად გაიხადონ და ქართული საზოგადოება ილიას მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად გახლიჩონ?

საგულისხმო ფაქტია, რომ ხსენებული საზოგადოება თუ პოლიტიკური პარტია თავის დროზე რუსთაველის საზოგადოების ანტიპოდად აღმოცენდა და ასე დაუპირისპირდა საქართველოში ერთმანეთს ორი დიდებული ქართველი პოეტის სახელი, შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძისა!

საბწუხაროდ ჩვენდა, აზრად არავის მოსვლია, ენა დაესველებინა და საჯაროდ ეთქვა ან დაეწერა, რას შერებით, ხალხო, თუ არ მოგწონთ ქართული ინტელიგენციისა და სამღვდელოების ასი ათასობით წარმომადგენელი, რუსთაველის საზოგადოებაში უყოყმანოდ რომ გაერთიანდა, პირდაპირ თქვით. ალტერნატიულ საზოგადოებას სხვა სახელწოდება გამოუძებნეთ, რომელიც თქვენს მსოფლმხედველობას ადეკვატურად გამოხატავს. ილია ჭავჭავაძის სახელს კი მოერიდეთ, ის აქ არაფერ შუაშია. ნუთუ რუსთაველის საზოგადოების წევრობა ილია ჭავჭავაძისა და მისი იდეების უარყოფას მოასწავებს, ანდა პირიქით, ნუთუ ისინი, ვინც რუსთაველის საზოგადოების წევრია, ილია ჭავჭავაძის დიდ მწერლობას და პოლიტიკურ შეხედულებებს არ აღიარებენო?

გამოხდა ხანი. სრულიად უმართებულოდ ილია ჭავჭავაძის სახელით მონათლულმა საზოგადოებამ თავისი ბეჭდვითი ორგანო დააარსა და რა გგონიათ, რა უწოდა მას? არც მეტი, არც ნაკლები „ივერია"! სადაც ცოცხალი ილია ჭავჭავაძეა, იქ „ივერიაც" აუცილებლად უნდა იყოს! ვის გაუგონია ილია „უივერიოდ", ანდა „ივერია" უილიაოდ!

მაგრამ, წარმოიდგინეთ, იყო ისეთი დროც, როდესაც ილია ჭავჭავაძე და „ივერია" ერთმანეთისაგან განცალკევებულად იხსენიებოდნენ. სამწუხაროდ, ეს ისტორიული ფაქტი გაზეთის მესვეურებს მხედველობიდან გამორჩათ. ისინი რომ ჩახედული ყოფილიყვნენ ქართული ლი-

ტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიაში. ეს ლაფსუსი სამდვილად არ მოუვიდოდათ.

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში, როგორც ცნობილია, ილიამ „ივერიას“ თავი გაანება და იგი სხვის ხელში გადავიდა. სწორედ იმ ახალმა „ივერიამ“ გადმობეჭდა „ცოცხალ ტიდან“ ვინმე ნაცელიშვილის ცილისმწამებლური წერილი ილიას წინააღმდეგ და თავი იმით იმართლა, რომ თავად ილია ქავქავაძეს ასე უფრო გაუადვილდება კორესპონდენტისათვის პასუხის გაცემა. შემდეგ მართლაც აქ დაიბეჭდა ილიას სულის შემძვრელი წერილი „ნუთუ?“

მაშინ „ივერიას“ არა თვით პოეტი, არამედ ფილიპე გოგიჩაიშვილი რედაქტორობდა.

ეს ისტორიული ფაქტი რომ მსოფლიოებიდან არ გამორჩენოდათ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს დღეებში გამომავალი უახლესი „ივერიის“ მესვეურები მაინც და მაინც „ივერიას“ არ აირჩევდნენ თავიანთი გაზეთის სახელწოდებად, რადგანაც ილიასეული „ივერიის“ პოლიტიკურ მიმართულებას პოეტის სულიერი მრწამსის სინონიმად აღარ მიიჩნევდნენ და ამით თავს დააღწევდნენ უხეშ შეცდომას!

რაოდენ საწყენია, რომ ჩვენი თანამედროვე უახლესი „ივერია“ იმ ახალი „ივერიის“ კვალს გაყოლია, რომელმაც „ოცნებიდან“ ილიას განმაქიქებელი კოლესპონდენცია გადმობეჭდა და მხცოვანი პოეტი შიგ გულში დაკოდა. ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსაო.

ამის დასტურად მოვიყვან რუბრიკით „ასე ჩემო მანასეო“ გამოქვეყნებულ მასალას, რომელიც ილია ქავქავაძის სახელით მონათლულ საზოგადოებას თავის ოქტომბრის ნომერში მოუთავსებია.

პუბლიკაციაში რედაქციის მიზნად დაუსახავს ალეგიკურობაში დაეჭირა ამ სტრიქონების ავტორი, მის მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებები ერთმანეთისათვის დაეპიროსპირებინა და, ამგვარად, მისი არაგულწრფელობა, ანგარება ნათელეყო.

ურთიერთდასაპირისპირებელ მასალად გაზეთს გაძოუყენებია ავტორის გამოსვლა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 1994 წლის 29 სექტემბერს, ერთი მხრივ და 1991 წლის მაისის „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მისივე სტატია „ერთი დედა, ერთი სამშობლო, ერთი საფლავი“, მეორე მხრივ.

მოგეხსენებათ, ეს ის დროა, როდესაც საქართველოს მრგვალ მაგიდაში შემავალი პარტიების კოალიციური ხელისუფლება განაგებდა. როდესაც ბატონი ედუარდ შევარდნაძე [illegible] მტრად იყო გამოცხადებული და ქართული პრესა და რადიო-ტელევიზია მისი თავლაფის დამსხმელი [illegible] ეცა გამოქვეყნებას ერთმანეთს ასწრებდნენ. ამ დროს ა[illegible]ვნიან [illegible] ში დომუხოვსკის შევარდნაძის დასაკითხავად და „საქართველოს რეპუბლიკა“ ბეჭდავს უსარმაზარ მასალას „დომუხოვსკი დაკითხავს შევარდნაძეს“ ქუჩებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სტატიანი [illegible] სტატგარეშე დამბეზღებლები დაძრწიან და ხალხს [illegible] ეგდებენ. [illegible] რით სუნთქავს, ვინ რას ლაპარაკობს.

ერთი ასეთი დამბეზღებელი, საგანგებოდ ქუთაისიდან ჩამოსული, ამ სტრიქონების ავტორსაც აეკიდა და მამხილებელი წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე. მაგრამ,

საბედნიეროდ, დამბეზღებელს ხელი მოეცარა, რადგან რევაზ ჯაფარიძეც სულ სხვა კაცი მიიღო, ან მტკნარი სიცრუე მოჩმახა და მის პუბლიკაციას ზედ დაერთო ჩემი წერილიც: „ვის ეუფლებით ტრიბუნას“.

ასე რომ, ბატონი ედუარდ შევარდნაძე კანონგარეთ გახლდათ გამოცხადებული და მის მაკომპრომენტირებელ მასალას უკლებლივ ყველა ბეჭდვილი ორგანო, ეარა „დროსა“, სასთლით დაეძებდა. არავის შეეძლო მისი გამოსარჩლება. მკითხველისათვის თვალი ახელა, კრინტის დაძერა იმაზე, რაც მან კაცობრიობას, ჩვენს თანამედროვე მსოფლიოს გაუკეთა

ილია ჭავჭავაძის სახელით! მოსათლული საზოგადოების გაზეთ „ივერიას“ გადაუწყვეტია, ამ სტრიქონების ავტორიც იმ წვრილფეხა კოოესპონდენტების მარაქაში გარიოს, ბატონ ედუარდ შევარდნაძის უშვერი ლანძღვა-გინებით პურის ფულს რომ მოულობდნენ, ცოლშვილს არამი ლუკმით არჩენდნენ და ხელისუფალთა კეთილ განწყობილებას იმსახურებდნენ. გადაუწყვეტია. საქმეში ჩაუხედავი მკითხველის თვალში სახელი გაუტეხონ ადამიანს, ვინც მსელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე სიმართლის ულალატო სამსახურს მოახმარა და დღესაც არ აპირებს ამ გზიდან ოდნავ მაინც გადაუხვიოს. ამის დასტურია თვით ის საპარლამენტო გამოსვლაც და საგაზეთო პუბლიკაციაც, რომლებიც „ივერიის“ მესვეურებმა თავიანთ იარაღად გამოიყენეს და მათი ავტორის სამარცხვინო ბოძზე გაკვრა მოიწადინეს.

დასანანია, რომ გაზეთში დათმობილი ადგილი საშუალებას არ მოგვცემს ორივე პუბლიკაცია აქ თავიდან ბოლომდე მოვიყვანოთ. მაშინ მკითხველი თავად, ჩემი დახმარებისა და კომენტარების გარეშე მიხვდებოდა, სად არის ძაღლის თავი დამარხული. იძულებული ვარ, ციტირებას მივმართო და ნათელი მოვფინო „ივერიის“ მესვეურების მიერ განზრახ დაბნელებულ საკითხს.

აი, ნაწყვეტი პარლამენტის ტრიბუნაზე წარმოთქმული სიტყვისა, რომელიც „ივერიას“ მოჰყავს თავის მე-3 გვერდზე:

„კანონი რომ კანონობდეს, დამსაშავეებს, მათ შორის სამშობლოს მოღალატეებს, მკვლელებს და ხაზინის ქურდებს თავზე ხელს რომ არ ვუსვამდეთ, დემოკრატობანას არ ვეთამაშებოდეთ და შიგადაშიგ პარლამენტის წევრებადაც არ ვირჩევდეთ, ჩვენი საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდა, ვიდრე დღეს არის“..

რა აზრია აქ გამოთქმული? არსებული რეჟიმის ქება-დიდება? უკრიტიკოდ და უდრტვინველად მიღება ყველაფრისა, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება? ვის საყვედურობს ორატორი იმის გამო, რომ „კანონი არ კანონობს“, რომ „დამნაშავეებს, მათ შორის სამშობლოს მოღალატეებს, მკვლელებს და ხაზინის ქურდებს თავზე ხელს ვუსვამთ, დემოკრატობანას ვეთამაშებით და შიგადაშიგ პარლამენტის წევრებადაც ვირჩევთ“? ვინმე მითიურ პიროვნებას, თუ რეალურად არსებულ ხელისუფლებას, რომლის სათავეშიაც ილია ჭავჭავაძის სახელით მონათლული საზოგადოების მიერ ანათემას გადაცემული ედუარდ შევარდნაძე დგას?

ეს ხომ ჩვეულებრივი ოპოზიციური აზრია და არა ვისთვისმე ხელის დაფარება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ოპოზიციური აზრის

წარმომთქმელი კეთილის მსურველია ხელისუფლებისა და არა მისი გაშმაგებული მტერი.

ოპოზიცია, რომელიც დემოკრატიისათვის აუცილებელია და ხელს უწყობს ხელისუფლებას, უფრო სრულყოფილად განაგოს საქმე, ვიდრე განაგებს, მხოლოდ სიყვარულის და ნდობის ნიადაგზე იბადება, ხოლო სხვაგვარი ოპოზიცია, სიძულვილისა და უსდობლობის ფესვზე ამოზრდილი, სამშობლოს ღალატია და მის ტირადებს საპარლამენტო სესია კი არა, სახელმწიფოს საძართალდამცავი ორგანოები უნდა განიხილავდნენ! ასეა ყველა კულტურულ, დემოკრატიულ ქვეყანაში და ასე უნდა იყოს საქართველოშიაც, თუ მართლა გვინდა საძართლიანობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო ავაშენოთ!

„მოკლე სიტყვა საშუალებას არ ძალეევს ვრცელ და ყოველმხრივ დასაბუთებას მივმართოთ. [illegible] ეს დასაბუთება [illegible] ჩემს პუბლიცისტურ წერილებში, რომლებიც ბოლო წლებში, ისევე [illegible] საუკუნის განძავლობაში პრესაში ბლომად იბეჭდებოდა და იბეჭდება. აქ მხოლოდ ერთ შიშველ განცხადებას ვავაკეთებ: შევარდნაძის წინააღმდეგ ბრძოლა, ფითუმეტეს აშკარა ანგარებით, რის მოწმეც ბატონმა ჟორჟოლიანმა და მისმა მიმდევრებმა გაგვხადეს, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაა, სამშობლოს ღალატია!

ვთხოვ ბატონ ედუარდს, ვთხოვ, როგორც სამშობლოს ერთ-ერთი რიგითი ჯარისკაცი, ვის გულსაც ჯერ ვისიმე ან რისამე შიში არ გაჰკარებია: უკან წაიღოს თავისი განცხადება. გუშინწინ პარლამენტს რომ გამოუგზავნა. თქვენ, ბატონო ედუარდ, და ყველას, ვისაც სამშობლოსათვის გვიძგერს გული, ვიღაც-ვიღაცეების უკადრისი შემოძახილის გამო შედრკომისა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის უფლება არა გაქვთ. თქვენს უკან საქართველოა! წაიქცევით თქვენ, წაიქცევა საქართველო! ნუთუ ამისათვის იღვწებოდეთ ამდენი წელიწადი? თქვენ გებრძვით არა საქართველოს პარლამენტი, არამედ მისი მცირე, უზნეო ნაწილი. ამისათვის მოგეგებეთ და გვერდში ამოგიდექით? გვიჭირს, გვშია, გვწყურია, გვცივა. უგზნური ადამიანები, [illegible] ცხვირის მილმა ვერაფერს ხედავენ. ყველაფერს თქვენ გაბრალებენ; რა ვუყოთ, ასეთი ყოფილა და კვლავ ასეთია ქვეყნის წინააღმდეგ [illegible] თქვენ გერგოთ შავი დღიდან საქართველოს გამოყენა და ღვთისა და თითოეული ჩვენგანის შეუდრეკელი თანადგომით კიდევაც უნდა გამოიყენოთ! ქართველი ხალხი თქვენთანაა!"

. რა წერია საპარლამენტო გამოსვლის ამ დამაგვირგვინებელ ნაწილში? წერია ის, რაც არართხელ წაუკითხავს მკითხველს უკანასკნელი წლების მანძილზე გამოქვეყნებულ ჩემს პუბლიცისტურ წერილებში: თავისი პიროვნული თვისებებით და ბიოგრაფიით ედუარდ შევარდნაძე არის ის პიროვნება, ვისაც ძალუძს საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ ეკონომიკურ და პოლიტიკურ-მორალურ ჩიხში შესული საქართველო ამ ჩიხიდან გამოიყვანოს. მაგრამ ის არ არის ქრისტე, ღმერთი, სასწულმოქმედი. მას არ შეუძლია, ეს დიდი სახალხო და ეროვნული საქმე გააკეთოს თითოეული ჩვენთაგანის, საქართველოს ყოველი მოქალაქის თანადგომის გარეშე. თუ არ იქნება ეს თანადგომა, ედუარდ

შევარდნაძე, მიუხედავად მისი მსოფლიო ავტორიტეტისა და სიყვარულისა, რითაც დედამიწის ოთხივე ნახევარსფეროში სარგებლობს, უძლური აღმოჩნდება და საქართველო დაიღუპება ისე, როგორც არა ერთი და ორი ერი და ქვეყანა დაღუპულა!

„საქართველო" გაბუყნებული ცხენია. ის ჩვენი საამშობლოა. საქართველო ჩვენ ფეიეთის ვართ. როდესაც ლაპარაკია საქართველოს დაღუპვაზე, სიტყვა ეხება ჩვენს, თითოეული ჩვენთაგანის, ჩვენი შვილისა და მონაგრის დაღუპვას!

პუბლიკაციას დართული აქვს მინაწერი:

„ვიხაიდან ბ-ნ რ.ჯაფარიძეს პარლამენტის სხდომაზე წარმოთქმული ეს „მოკლე სიტყვა" საშუალებას არ აძლევდა „ვრცელი და ყოველმხრივი დასაბუთებისა". ჩვენმა redakciam ისარგებლა მისი რჩევით... და თვალი გადაავლო მისი წინა წლების ზოგიერთ ნაშრომს. იმისათვის, რომ მკითხველს საშუალება ჰქონდეს დაინახოს... „ვრცელი და ყოველმხრივი დასაბუთება", გთავაზობთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1991 წლის 16 მაისს ხომეინში გამოქვეყნებულ წერილს.

...ამ წერილის დაწერის მიზეზი გამხდარა ცოტა ხნით ადრე „ლიტერატურნაია გაზეტაში" გამოქვეყნებული. იმხანად მოსკოვში მცხოვრები ყოფილი სსოკ საგარეო საქმეთა მინისტრის ე.შევარდნაძის ინტერვიუ. ამ ინტერვიუში შიდა ქართლის მდგომარეობის შესახებ დასმულ კითხვაზე... ე.შევარდნაძე პასუხობს: „მე ვიცი, რომ იქ არსებობს საკმაოდ დიდი პრობლემები. მაგალითად, კონფლიქტი ოსებთან ყველაფერი, ოაც მე შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ ქართველებსაც და ოსებსაც უნდა ეყოთ ქცევა, რომ საერთო ენა გამონახონ. უკვე ძრავალი წელია, ისინი შეგობრულად ცხოვრობდნენ. ალბათ დრო არის საჭირო შეზობლობის აღსადგენად".

ვრცელი საპოლემიკო წერილი, რომელსაც დიდფორმატიანი გაზეთის თითქმის მთელი გვერდი უჭირავს, „ივერიის" რედაქციას თავისებურად დაუმონტაჟებია. წერილიდან ადგილის უქონლობის თუ რომელიღაც სხვა საბაბით ამოუღია ადგილები. რომელიც მათს სულისკვეთებას ეწინააღმდეგება და დაუტოვებია მხოლოდ ის მცირე ნაწილი, რითაც მე ინტერვიუს ძიმცემს ვეკამათები, ვეკამათები პირდაპირ, დაუნდობლად. წარბშეუხრელად, როგორც ორი სხვადასხვა აზრზე მდგომი ადამიანი შეიძლება ეკამათებოდეს ერთმანეთს.

ნუთუ კამათის ქვეტექსტი და მისი მამოძრავებელი სტიმული ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ძიმარეული ჩემი სიძულვილია, სიძულვილი, რითაც დიდი ხანია თავს იწონებენ ილია ჭავჭავაძის სახელით მონათლული საზოგადოების ლიდერები? ნუთუ მაშინ, საქართველოს ისტორიის იმ შაებნელ ხანაში, მე ედუარდ შევარდნაძე ძძულდა, რადგანაც მისი სიძულვილი სარფიანი საქმე იყო. ხოლო დღეს, როცა ის სახელმწიფოს მეთაურია, აზრი წინასწარ განზრახულად შეეიცვალე, მას გვერდში დავუდექი, კვლავ სარფას დავეხარბე?

მაშ, თუ ასეა, რამ დამაწერინა იმავე სტატიაში ეს სიტყვები:

„მე არ მეგულება თავისი ეროვნული გენის პატივისმცემელი არც ერთი საღად მოაზროვნე ქართველი, ვინც ამ წლების მთელ მანძილზე გულისფანცქალით თვალს არ ადევნებდა ედუარდ შევარდნაძის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და, მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა

და მსოფლმხედველობისა, გულში არ ამაყობდა, რომ ისიც „ჩვენი გორისაა"!

ყოველივე ეს ისტორიული ფაქტია. ქარის წისქვილია, რომლის ფრთების დასალეწავად კარგა ხანია დაირაზმა საბჭოთა კავშირის საბალხო დეპუტატთა ყრილობის ყველაზე რეაქციული, მოფაშისტო ნაწილი. მას არაფრად უღირს, რომ ედუარდ შევარდნაძის სახით საქმე აქვს მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწესთან, პოლიტიკოსთან, რომლის სიტყვასაც უდიდეს ყურადღებას აქცევს დედამიწის რომელიც გნებავთ მეფე, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. ეს განა მარტო იმის გამო ხდება, რომ ის გულის უბარმაბარი სუპერსახელმწიფოს საგარეო საქმეთა შტურვალთან იდგა, არამედ იმიტომაც, რომ ის ედუარდ შევარდნაძეა, სხვათაგან განსხვავებული ერის შვილი და პიროვნება".

როდის დაიწერა და დაიბეჭდა ეს? 1991 წლის 16 მაისს, როდესაც ქვეყანაში გაბატონებული ოფიციალური აზრი ედუარდ შევარდნაძეს წყევლა-კრულვით იხსენიებდა და მისი პიროვნების პოზიტიური მხარის ჩვენება ხელისუფლების მხრივ რისხვასა და შეჩვენებას გამოიწვევდა!

მაგრამ, წამოვრიან კითხვას ჩემი ინკოგნიტო ოპონენტები, წერილში, მეტი რომ არა ვთქვათ, ედუარდ შევარდნაძის პიროვნება, მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები უარყოფით პლანშიაც ხომ ხასიათდება, ხომ დაწუნებულია და ამასთან მიწასთან გასწორებულია მის მიერ „ლიტერატურული გაზეთასათვის" მიცემული ინტერვიუ? ხუთუ ეს მსჯელობის თანამიმდევრობაა და შეიძლება, ოთოიე დახასიათება ერთსა და იმავე პირს ეკუთვნოდეს?

საქმეც ეგ გახლავთ, ძვირფასებო. თქვენს მიერ გახსენებული წერილის ავტორი სწორედ მაგით განსხვავდება ილია ჭავჭავაძის სახელით მონათლული საზოგადოების ლიდერებისაგან. იგი აკრიტიკებს თავის თანამედროვე მოღვაწეს, მეგობარს, მთელი მსოფლიოს მიერ ერთხმად აღიარებულ პოლიტიკოსს და, ამავე დროს, წუთითაც არ ივიწყებს, ვისთან აქვს საქმე, ვის ელაპარაკება. მისი გამონათქვამების გამო გულისწყრომით აღსავსე იმასაც კი ნატრობს, ნეტავი ეს კაცი ჩემი სამშობლოს უღელში შებმული მანახა და მერე, თუ გინდა ჩემი დღე ორად გაყოო. ნატრობს როდის, როდესაც საქართველოს სათავეში თავის თავზე შეყვარებული ხელისუფლება დგას და ქუჩებშიაც კი ხალხს აყურადებენ. ვინ რას ფიქრობს და რას ლაპარაკობს!

ავტორი უფრო შორსაც მიდის და წერილის ბოლოს, რომელსაც ასე უმალავენ მკითხველს გაზეთ „ივერიის" რედაქცია და საზოგადოების მესვეურები, შავით თეთრზე წერს:

„შეცდება, ვინც იფიქრებს, თითქოს მე მიმაჩნდეს, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ვისი გონებაც საერთაშორისო ურთიერთობათა ურთულეს სქემებს იტევს, საღად და მიუკერძოებლად მსჯელობა არ ემარჯვებოდეს. ემარჯვება და მერე როგორ! მე მისი თავგამოდებული კეთილის ძმაკაცი ვარ და მხოლოდ ის მინდა ვინატრო, რომ ის ისევითვე კომპეტენტურობით და პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდოს თავისი მტერმორეული სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესებს, როგორც დანარჩენი მსოფლიოს ყველა დიდი და მცირე საკირბოროტო საკითხის გადაწყვეტას უდგება."

ახლა ძე ვეკითხები ჩემს პატივცემულ იხკოგნიტო ოპონენტებს, რომლებმაც ამ სტრიქონებისა და სხვათა და სხვათა ავტორი, სამშობლოსათვის გამოსადეგი კაცი, მშიერი ლომების გალიაში შესაგდებად გაიძეტეს და ამის მისაღწევად თავის მხრივ ყველაფერი გააკეთეს. სად რჩება აქ ადგილი ისეთი სიძდაბლისათვის, როგორიც ხელისუფლის წინაშე პირმოთნეობა და მლიქვნელობაა?

ნუთუ ამ ახალი წერილის დაწერა იყო საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ წვრილმანი ფიქრები და აზრები თავში არ შეგვეშვა და ის სიტყვაც, პარლამენტის ტრიბუნაზე რომ წარმოითქვა, მიუკერძოებლად, ობიექტურად შეგვეფასებინა? იქნებ ახლა მაინც დავრწმუნდით, რომ მათში გატარებული სულისკვეთება ერთი და იგივეა, რომ თვით მათი სქემატური აღნაგობაც კი ეძთხვევა ერთმანეთს, რომ კბილებმოცვეთილი ხუმრობა, ხან ასე და ხან ისეო, როგორც ექსპრეზიდენტის სადიდებლად შექმნილი პაროდია, აქ არაფერ შუაშია?

მაშ, რაღა გვინდა, რაღად აღექურვულვართ საომრად და ბრძოლის ველზე რაღად გამოვსულვართ? ჩვენს შორის ხომ განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ერთ მხარეს თვალით დასანახად სძულს შევარდნაძე და ამიტომ, ამაზე დაყრდნობით, მის მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა აბსურდად მიაჩნია, მეორე კი ხედავს, რაც გაკეთდა, რაც კეთდება და რაც ხვალ უნდა გაკეთდეს, სწამს შევარდნაძის: შესაძლებლობები, ნებისყოფა, პასუხისმგებლობა ერის წინაშე, სწამს, თოცა ჩვენი არაერთსულოვნობით უამრავი რამ გავაფუჭეთ და გაბასცდელის წინაშე დავდექით,

„ივერიის" იმავე გვერდზე, სადაც ამ სტრიქონების ავტორს ავად თუ კარგად უსწორდებიან, გამოქვეყნებულია ჩვენი სახელოვანი რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის პორტრეტი. ბატონი გიგა შეწუხებული ზის თავის სადეპუტატო ადგილზე და მწარე საფიქრალს მისცემია. ქვემოთ პორტრეტს ახლავს მინაწერი: „გიგა ლორთქიფანიძემ რ.ჯაფარიძის ძველი სტატიის გახსენება უზნეობად მიიჩნია."

ვითომ მართლა ასე იყო? ვითომ სტატიის სიძველის გამო გაისმა გიგა ლორთქიფანიძის საპროტესტო რეპლიკა და შემდეგ სიტყვა პარლამენტის ტრიბუნაზე? ვგონებ ეს სხვა მიზეზების გამო მოხდა და თუ ეს მიზეზი ილია ჭავჭავაძის სახელით მონათლული საზოგადოების დეპუტატ-ლიდერებისათვის დღესაც გაუგებარია, მაშინ საშველი მართლა აღარ ყოფილა და მეც აქ დავამთავრებ კედელზე ცერცვის შეყრას.

10 ნოემბერი 1994 წ.

ისტორიული ანალოგიები არცთუ ისე იშვიათია ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში. გამონაკლისს, რასაკვირველია, არც ქართველი ერი წარმოადგენს. ქვემოთ სწორედ ამ საკითხს მინდა შევეხო და მკითხველმა მომიტევოს, თუ მას შორიდან ვუველი და ჩემს თვალსაზრისს პირველსავე სტრიქონებში არ ვამჟღავნებ.

ელექტროენერგიის კატასტროფიულ ნაკლებობაში ტელევიზორის ცქერაც იშვიათი ხილი გაგვიხდა. მაგრამ თუ ღმერთი შეგვეწია და ეს დალოცვილი ეკრანი მაინც განათდა, მაყურებლის ინტერესის საგანს უპირველეს ყოვლისა პარლამენტის სხდომები წარმოადგენს. რაღა ოქმა უნდა. სანახაობრივი თვალსაზრისით. სულმნათმა ვაჟამ ხომ ბრძანა, სიკვდილის ყველას გვეშინის, სხვას რომ კვლენ, ცქერა გვწადიაო.

დეპუტატის ხელშეუხებლობა, სხვა სიტყვით იმუნიტეტი, რითაც პარლამენტის წევრები სარგებლობენ, ამ უკანასკნელთ უფლებას აძლევთ, რაც თავში მოუვათ, რაც მოეპრიანებათ, მიკროფონთან ილაპარაკონ და ქვეყანას მოაფინონ. ტელევიზორის ეკრანი ბევრი მათგანისათვის ანგარიშსწორების იარაღია. მან წინასწარვე მშვენივრად იცის, რომ რაც არ უნდა თქვას, რაც არ უნდა ილაპარაკოს, თუნდაც მომაკვდინებელი ცილი დასწამოს ვინმეს, კაცის მოკვლა ან მილიონობით დოლარის მითვისება დააბრალოს, ხახვსაც ვერავინ დააკრის ყურებზე, პასუხს არავინ მოსთხოვს, პარლამენტის სხდომაზე კენჭს პულტით ან უპულტოდ უყრიან და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრის ნება სამართალდამცავ ორგანოებს არამც და არამც არ მიეცემა. პირიქით, თვით პროკურორი გამოვა დამნაშავე!

თუ მიკროფონთან გამოვარდნილი ყარიბი დეპუტატი საწადელს ვერ მიაღწევს, ჯავრს ხომ მაინც ამოიყრის, ლაფში ხომ მაინც ამოსვრის. მის საძულველ პიროვნებას, მოელი ქართველი ხალხის წინაშე ხომ გამოაჭენებს. სრულიად საქართველოს ხომ აალაპარაკებს და მის შემდეგ ამტკიცე შენ. მტყუანი ხარ თუ მართალი, მართლა მიგიძღვის ბრალი სამშობლოს წინაშე თუ პარლამენტის მიკროფონთან ნაქადაგები მსოლოდ თავაშვებულობის ნიმუშია. მორალური სახის მაჩვენებელია დეპუტატისა, რომელიც კანონით მინიჭებულ ხელშეუხებლობით ბოროტად სარგებლობს. სხვა შემთხვევაში კი კუთხეში მიიკუნჭებოდა და უშვერი ლანძღვა-გინების მაგიერ იქნებ შენი ქება-დიდებაც წარმოეთქვა. სხვებს სიყვარულსა და ერთგულებაში გამოჭიბრებოდა!

ამ ბოლო დროს პარლამენტის სხდომებზე დიდი შეხლა-შემოხლა რუსეთის თავდაცვის მინისტრის საქართველოში ჩამოსვლის და იმ შეთანხმების თაობაზე იმართება, მან და საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ოთხი სამხედრო ბაზის განლაგების გამო რომ დასდეს.

სესიაზე სიაც კი წაიკითხეს ობიექტებისა, სადაც რუსეთის სამხედრო შეიარაღება, შომსახურე პერსონალი და ოჯახის წევრები 25 წლის ვადით უნდა დაეფუძნონ.

თუ პარლამენტის ფიცხი ორატორების მტკიცებებს წმინდა წყლის ჭეშმარიტებად მივიჩნევთ და დავიჯერებთ, ამიერიდან გუდაუთა, ბათუმი, ვაზიანი და ახალქალაქი რუსი ოკუპანტების დასაყრდენ პუნქტე-

ბად ცხადდება და ცხადდება ოვით! საქართველოს თავდაცვის მინისტრის გენერალ ნადიბაიძის ნებითა და ლოცვა-კურთხევით! რად ვერ შეეგნებინეთ რუსეთს, რომ ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართო, რომ ის ჩვენ ისე უნდა დაგველაპარაკოს და მოგვექცეს, როგორც, მაგალითად, ინგლისს ექცევიან.

საქმე იქამდეც კი გაიწვიეა, რომ რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს სესიაზე უპატიურად მოიხსენიეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე. როგორ გაბედა, გენერალი პავლე გრაჩოვი, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო დამოუკიდებლობის, დაუძინებელი მტერი, თავის რეზიდენციაში მიიღო, ძმურად გადაეხვია, დალოცა და დარბაზობა გაუმართა. სხვა პატრიარქები, კერძოდ, კირონი, ლეონიდე და ამბროსი ხელაია, ამ საქმეს შეეწირნენ, ილია მეორე კი, ნაცვლად იმისა, სამშობლოს კორუმპირებულ ხელისუფლებას წინ აღუდგეს, თავისი წმიდათაწმიდა მოვალეობა მოაგონოს, მტერს ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ხოხჩით სთავაზობს და ქედზე მონობის უღელს ხელახლა იდგამსო.

დაეჯერო, პატივცემულ დეპუტატებს, მშობელ ხალხს თავიანთი ნების გამომხატველად ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რომ აურჩევია, ცალი თვალით მაინც არ ჩაუქვრეტიათ საქართველოს უახლეს ისტორიაში, უფრო შორეულ ისტორიაზე კიდევაც რომ არაფერი ვთქვათ?

ნუთუ მათ არ იციან, რომ იმ ისტორიულ გარემოებებს, ზემოთხსენებულ უწმიდეს პატრიარქებს და ილია მეორის მოღვაწეობის პერიოდს აშორებს, უზარმაზარი ზღვარია აღმართული? ნუთუ მათ არ უნდათ თავში შეუშვან, რომ უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით უკიდურესად დაქვეითებული პატარა ქვეყნის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მეთაურია და არა დიდი შეიდეულის სრულუფლებიან წევრ ინგლისის სულიერი მამა კენტერბერიის მთავარეპისკოპოსი?

ნუთუ იმდენად დავბრმავდით, იმდენად შეგვიპყრო ამბიციამ და წინდაუხედავმა ამპარტავნობამ, რომ დიდი ბრიტანეთი და საქართველო ერთმანეთისაგან ვეღარ გაგვირჩევია, საქართველო, რომელსაც თავზე კბილებამდე შეიარაღებული სუპერსახელმწიფო ადგას, ვისი შიშითაც მთელი მსოფლიო, მათ შორის დემოკრატიის ბაირაღი ამერიკის შეერთებული შტატებიც კი თრთის, რომ შეწყალებასაც და პირისაგან მიწისა აღგვასაც ამ სუპერსახელმწიფოსაგან უნდა ელოდოს?

დიახ, რუსეთს, თავი მესამე რომად რომ წარმოუდგენია და ძალაც შესწევს ქადილისა, არა ერთჯერ მუხანათურად უღალატია მის ფრთებს შეფარებულ პატარა საქართველოსათვის. ეს სამწუხარო ისტორიული ფაქტი, ფაქტი კი არა, ფაქტები მარტო იმ ფიცხმა ორატორებმა როდი იციან, პარლამენტის მიკროფონებს იმაზე მეტად რომ აწუხებენ, ვიდრე საკიროა. სხვებიც ჩახედული არიან საქმეში.

გავიხსენოთ თუნდაც 1724 წლის ცხელი ზაფხული, როდესაც ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე განჯაში იდგა ჯარით და სპარსეთზე გაერთიანებული ძალებით გასალაშქრებად თავის ჩრდილოელ მოკავშირეს პეტრე დიდს ელოდა. საომრად აღჭურვილი პეტრე ასტრახანამდე

კი ჩაძოვიდა. ძაგო

ჯარების დახმარებით. რომელიც არა სხვა ვინმეს, არამედ სწორედ გენერალ პავლე გრაჩოვს ექვემდებარებოდნენ. მოახდინეს საქართველოს განუყოფელი ნაწილის, აფხაზეთის, ოკუპაცია, მოაწყეს ქართული მოსახლეობის გენოციდი და აიძულეს მეოთხედი ძილიონი ადამიანი, დაეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი, წინაპართა საფლავები და თავის გადასარჩენად სვანეთის მიუვალ მთებს შეფარებოდნენ.

დიახ, რუსი რევანშისტები რომ არ ყოფილიყვნენ, რომ არ ყოფილიყო მათ მიერ მოწოდებული იარაღ-საქურველი, რომ არ ყოფილიყო მათი სამხედრო დახმარება, რაც არა მარტო სამხედრო უწყებიდან მომდინარეობდა, ერთი მუჭა აფხაზები ამას ვერ შესძლებდნენ და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რასაც მთელი მსოფლიო რუსეთთან ერთად აღიარებს, არ დაირღვეოდა.

რა ხდებოდა ამ დროს საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილ ევროპასა და ამერიკაში, დანარჩენ მსოფლიოში, რა ღონეს მიმართავდა მშვიდობის მტრედი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია? საქმე ენერგიული პროტესტის იქით არ წასულა, ოღონდ ეს პროტესტები, როგორც წესი, გამოითქმოდა არა კონფლიქტის ნამდვილი წარმმართველის — რუსეთის მიმართ, არამედ გუდაუთაში მოკალათებულ აფხაზ სეპარატისტთა მიმართ.

გაერომ გაძოგზავნა მეთვალყურენი, სამშვიდობო მისია. ლტოლვილების ეტაპობრივად დაბრუნება თავის მამა-პაპურ საცხოვრისზე და საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი რუსეთმა იკისრა. იკისრა, რადგანაც სხვა არავინ აღმოჩნდა ამის მსურველი.

გენერალმა იაკუშევმა და მისმა ხელქვეითებმა ერთგულად დაიცვეს ძველი ტრადიცია — აქაც გვიღალატეს! არ შეასრულეს ის მოვალეობა, რაც გაეროსაგან დაეკისრათ. მათ თვალწინ გრძელდებოდა და გრძელდება ქართველი ხალხის გენოციდი. ხდება ეს კულტურული კაცობრიობის თვალწინ, დღისით-მზისით, განმკითხველი კი არავინ არის, არც გერმანიის კანცლერი კოლი, არც საფრანგეთის პრეზიდენტი მიტერანი, არც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კლინტონი, რადგან რუსეთს, სუპერსახელმწიფოს, ადამიანთა მოდგმის ყოფნა-არყოფნა ხელში რომ უჭირავს, საწყენ სიტყვას ვერავინ ეუბნება, ვერავინ ჰკადრებს. საქართველოს გამოსასარჩლებლად ენის დასველება მისი საწყენი სიტყვაა, რადგანაც ამ ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის საკითხი, ისევე როგორც საუკუნენახევრის წინათ იარაღის ძალით დაპყრობილი ჩეჩნეთისა, თავის პროგრამატიკად მიაჩნია!

გამოსავალი, როგორც ვხედავთ, არ არის, როგორც არ იყო ამ ორასიოდე წლის წინათ, არ არის ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, იმ რეალური მდგომარეობის გამო, რომელშიაც ჩვენ გვიხდება ცხოვრება. გვინდა-არ გვინდა, ყველა გზა მაინც რუსეთისაკენ მიდის. იმიტომ კი არა, თითქოს ეს ვინმეს სურდეს, ამაზე უკეთესს

ვერაფერს ხედავდეს. რუსეთის იმპერიისა უფრო ერთგული იყოს, ვიდრე საკუთარ სამშობლოსი, იმიტომ, რომ სხვა გზა და კვალი არ არის, იმიტომ, რომ, როგორც ერთი ჩემი კოლეგა ამ რამდენიმე წლის წინათ ტელევიზორის ეკრანზე ამბობდა, ქართველი ერი ობოლი' ერი ვართ, მხოლოდ საკუთარ თავზე და შესაძლებლობებზე დამოკიდებული.

სწორედ ამიტომ ტრაგი-კომიკურად გაისმოდა ქუვირილი აფხაზეთის კონფლიქტის დროს საქართველოს პარლამენტის მიკროფონთან:

დავაფიქსიროთ, მსოფლიოს გავაგებინოთ, რომ აფხაზეთში რუსეთი გვეომება, ვთქვათ, სიმართლე, ავხადოთ ფარდა სინამდვილეს, ნურავის ვერიდებით და გვეკრძალება!

მერე? დავაფიქსიროთ, თუ გინდა. ნურავის ხათრს ნუ მოვიდებთ! რა გამოვა აქედან? რა შეიცვალა გაგვიჩნდება? ინფორმაციის საშუალებებიც რომ რუსეთის ხელშია! მსოფლიო პრესა მით საზრდოობს, ინფორმაციას მისგან იღებს და საზოგადოებრივი აზრიც მასზე დაყრდნობით ყალიბდება! იქნიე ხელები რამდენიც გინდა. თუ გინდა მსოფლიო გააცინო, რუსეთს ომიც გაამოუცხადე. როგორც ერთი მამაცზე უმამაცესი კომისიის თავჯდომარე ამას წინათ გვირჩევდა და მოითხოვდა!

სხვა ვითარება შეიქმნებოდა, რასაკვირველია, მართლა დიდ ბრიტანეთი რომ ვიყოთ, მაგრამ შენ, ხომ საქართველო ხარ, პატარა, მშიერ-მწყურვალი, მადააღძრული მეზობლებით გარსშემორტყმული, უარმოო, უიარაღო. სხვისი ნასუფრალის შემყურე. ვისი გულისთვისაც მესამე მსოფლიო ომს არავინ გააჩაღებს და რუსეთის ექსპანსიის ასაღლაგმავად საქართველოში ჯარებს არავინ გამოგზავნის!

როგორ გგონია, ძვირფასო მკითხველო, ამას რომ ვწერ, ძალიან მიხარია? ან ის არის გახარებული, ვისაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე რეალური პირობებისათვის ანგარიშის გაწევა უხდება? მაგრამ რასაც ზემოთ ვამბობ, ეს ხომ ფაქტია, რომელსაც ვერსად გაექცევი, ხომ მწარე სიმართლეა, რომელიც, თუ გინდა, ახალი შეცდომები არ დაუშვა და ახალ, უფრო ღრმა უფსკრულში არ ჩაიჩეხო, უნდა დაიჯერო!

შევძარით ქვეყანა, აფაფხურდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მაგრამ მშვიდობის დასამყარებლად და გაეროს რეზოლუციის ვითომდა შესასრულებლად ისევ რუსეთი მოვიდა, ჩაგვიდგა შუაში და როგორც უნდა, ისე იქცევა, ისევ ედუარდ შევარდნაძის მაცქერალი და მოიმედე გავხდით, ისევე როგორც ერთ დროს ეკატერინე მეორის ფავორიტ პოტიომკინისა, ისევ ის, სცენარი თამაშდება, რომელიც ამ ორასი წლის წინათ გათამაშდა.

განა ეს იმიტომ ხდება, რომ რომელიმე ქართველ პოლიტიკოსს ასე უნდა? ეს ჩვენი ისტორიული ბედია, რომელსაც ვერსად გაექცევი!

მაშ, საქართველოსა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის დაიდო შეთანხმება, რომ რუსეთს დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი სამხედრო ბაზა ექნება, ხოლო რესპუბლიკის საზღვრებს რუსეთ-საქართველოს შერეული მესაზღვრე ჯარები დაიცავენ!

შეთანხმებას ხელი მოაწერეს ერთი მხრივ გენერალმა გრაჩოვმა, რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა და თავდაცვის მინისტრმა და, მეორე მხრივ, გენერალმა ნადიბაიძემ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენელმა და თავდაცვის მინისტრმა.

არის თუ არა ეს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის საგრძნობი შეზღუდვა? რასაკვირველია, არის! სასურველია თუ არა ის საქართველოსათვის? რასაკვირველია, არა, არ არის სასურველი! მაგრამ მიბრძანეთ, თუ შეიძლებოდეს: არსებობს სხვა, უფრო ოპტიმალური გზა? რაკი რუსეთს სურს თავისი ბაზები იქონიოს საქართველოში, მაშასადამე, მას თავისი სტრატეგიული მიზნები ამოძრავებს როგორც ამიერკავკასიაში, ისე მთელს ახლო აღმოსავლეთში! შენ გინდა წინ აღუდგე ამ სურვილებს და ხელი შეუშალო? მერე რის იმედით, რისი პატრონი?! განზე გაუდექი, უმისოდ ცხოვრება დააპირე. შენი ტერიტორიიდან მისი ჯარების გაყვანის წინადადება წამოაყენე და მის მხრივ თანხმობასაც მიაღწიე? აჯანყდნენ ხელოვნური ავტონომიები: ყოფილმა სამხრეთ ოსეთმა ჩრდილო ოსეთთან, ე.ი. რუსეთთან შეერთება მოითხოვა, ხოლო ძირითადად ქართველებით დასახლებულმა აფხაზეთმა ამ მოსახლეობის გენოციდი მოაწყო და საქართველოს ღვიძლ მიწა-წყალზე სახელმწიფო დამოუკიდებლობა გამოაცხადა!

შესწევს ღონე დღევანდელ საქართველოს, თუკი აფხაზ და ოს სეპარატისტთა ზურგში კვლავ რუსეთი დადგება, მსოფლიოს მიერ სიტყვიერად აღიარებული თავისი ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს და დაიცვას? ვის შეუძლია, თქვას და ამტკიცოს, რომ შესწევს? მხოლოდ თავისი პიროვნული ხელშეუხებლობით გათამამებულ დეპუტატს, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიკროფონთან დადგება და რაც ენაზე მოადგება, ირატრატებს!

წარმოიდგინეთ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა უაფხაზეთოდ და უშიდაქართლოდ, წარმოიდგინეთ სადღაც გორის მიდამოებში ჩაგდებული რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო ბოძი!

იქნებ ვინმე ჭკუათმყოფელი ფიქრობს, რომ გრაჩოვი და იაკუშევი, რომელთაც ზურგს საბჭოთა იმპერიის დანგრევით განაწყენებული რუსეთის პარლამენტი უმაგრებს, ამ უბედურებას გვაკმარებენ? თუ გარედან დამხმარე ძალა და წამქეზებელი ეყოლა, მიდი, დაიწყე, მე აქა ვარო, საქართველოს დაშლა მის შემადგენელ ნაწილებად კვირეების კი არა; დღეების საქმეა!

მე არ მინდა, აქ შავით თეორზე დავწერო, ვინ რაზე აცხადებს ტერიტორიულ პრეტენზიებს და ვინ რას დაისაკუთრებს!

იციან თუ არა ფიცხმა ორატორებმა, რაღაც მანქანებით პარლამენტის მიკროფონი ხელში რომ ჩაუგდიათ და თავიანთი ჩახლეჩილი საშინტინგო ხმით ქვეყანას აყრუებენ, რომ სამშობლოს ვანსაცდელს უმზადებენ, საიდანაც ის თავს ვერაფრასოდეს ვერ დაიხსნის? იცის თუ არა ეს ხალხის იმ ნაწილმა, რომელიც მათ ტაშს უკრავს და მათი უკომპრომისო პატრიოტიზმით აღტაცებულია? მე ასე მგონია, რომ არ იცის!

რუსეთ-საქართველოს უწყებათა ზემოთხსენებული შეთანხმება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგებას ითვალისწინებს, ფარატინა ქაღალდად დარჩება მანამ, სანამ მას ერთი მხრივ რუსეთის პრეზიდენტი, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს სახელმწიფო მეთაური ხელს არ მოაწერენ და ორმხრივ ხელმოწერილ დოკუმენტს ორივე ქვეყნის პარლამენტი არ დამტკიცებს! მაგრამ აქვეა პირობა: ხელმოწერა არ მოხდება მანამ, სანამ რუსეთის თანადგომით არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი საზღვრების ხელშეუხებლობა.

არ შეასრულებს რუსეთის მხარე მის მიერ აღებულ ვალდებულებას? არ დადგებიან ქართველი მესაზღვრეები ფსოუზე, არ დაბრუნდებიან აფხაზეთის ტერიტორიიდან აყრილი ლტოლვილები, არ აღსდგება საქართველოს იურისდიქცია ყოფილ სამხრეთ ოსეთში? არ დაესმის შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ხელმოწერა და არ იქნება იგი დამტკიცებული საქართველოს პარლამენტის მიერ!

რა ძალა აქვს ორმხრივ უმაღლეს დონეზე ხელმოუწერელ და შესაბამისი პარლამენტების მიერ დაუმტკიცებელ დოკუმენტს? ვისთვისაა სავალდებულო მისი შესრულება?

მაშ, რა დააშავეს ან გენერალმა ნადიბაიძემ, ან გენერალმა გრაჩოვმა, რომელთაც ხელი მოაწერეს უბადალებულ შეთანხმებაზე, ან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, რუსეთის თავდაცვის მინისტრს დახშულ კარსუკან რომ ესაუბრა და ეს პირობაც უთუოდ მაშინ დაადებინა?

შეასრულებს რუსეთი გრაჩოვის მიერ დადებულ პატიოსან სიტყვას? ჩვენს მიერ გაღებული მსხვერპლის ფასად ერთხელ მაინც მხარში ამოგვიდგება და საშუალებას მოგვცემს, ჩვენს მამა-პაპეულ მიწა-წყალზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღვადგინოთ? საკითხავი აი, ეს არის! თუ შეასრულებს, ხომ კარგი, ეს ხსნის ერთადერთი უსიხლო გზაა. არ შეასრულებს და, თავდაცვის მინისტრების მიერ მიღწეული შეთანხმება მაუდის ქვეშ ამოიდება ან არქივს ჩაბარდება და ჩვენ ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა უნდა ვეძიოთ. არ იქნება ადვილი ეს გზა. იგი ახალ მსხვერპლსა და სისხლისღვრას მოითხოვს!

თუ საქმე ისე დაგვირგვინდა, როგორც განზრახულია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაც აღვადგინეთ და რუსეთის სამხედრო ბაზებსაც, საერთაშორისო საქართველოს თანახმად, მათთვის განკუთვნილი ადგილი მივუჩინეთ. პირადად მე ასე მგონია, რომ ეს ბაზები, რუსეთის სასაზღვრო ჯარებთან ერთად, გარკვეული დროის მანძილზე მაინც საქართველოსათვის ზედმეტი აღმოჩნდეს. სხვაა დეპირელის თურქეთი და რაფსანჯანის ირანი, ჩვენი სამხრეთელი მეზობლები, სხვა იქნებიან ეს ქვეყნები მომავალში, ისევე როგორც სხვანი იყვნენ წარსულში. არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ აღმოსავლეთის ამ ორ უზარმაზარ სახელმწიფოში ბოლო დროს დიდი საზოგადოებრივი ძვრები შეინიშნება. სახელმწიფო საქმის ხელში ჩასაგდებად წინ ულტრარეაქციული პარტიები მოიწევენ. ერთი ღმერთმა უწყის, შეხლა-შემოხლა რით დამთავრდება და ერთი ან მეორე ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ვის ხელში აღმოჩნდება. ამაზე დიდად იქნება დამოკიდებული საქართველოს მომავალი, მისი ბედი.

არ ვიფიქროთ? ყველაზე უარესი არ წარმოვიდგინოთ?

წერილი ჩვენი პარლამენტის და ზოგიერთი პარლამენტარის მორალური სახის ჩვენებით დავიწყე. ბოლოში ისევ იძასვე მინდა მივუბრუნდე. მკითხველს, ალბათ, წერილის სათაურიც ეუცხოვა. „ბანკობიადა"! რას უნდა ნიშნავდეს? ახლავე მოგახსენებთ.

მე ამას წინათ ბ-ნ იოველ ასათიანის ძეტად საინტერესო და მრავალმხრივ საგულისხმო ნაშრომი წავიკითხე, რის გამოცემისათვისაც მადლობას ვწირავ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს. ნაშრომს „ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი" ეწოდება.

თუ გიორგი ერისთავის მიერ მე-19 საუკუნის ორმოც-ორმოცდაათიან წლებში დაარსებულ თეატრს სათვალავში არ ჩავაგდებთ, საადგილმამულო ბანკი იყო ერთადერთი ეროვნული დაწესებულება, რომელიც კოლონიური რუსეთის იმპერიის წიაღში წარმოიშვა. მის სათავეებთან დიდი საზოგადო მოღვაწეები დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე იდგნენ. თავი რომ დავანებოთ ბანკის პირდაპირ დანიშნულებას, მის საკრედიტო მოღვაწეობას და მიღებული პროცენტების ანგარიშზე ეროვნული კულტურული დაწესებულებების დაფინანსებას, ის იყო ერთადერთი ადგილი იმდროინდელ საქართველოში, სადაც ქართველ მამულიშვილს შეეძლო ტრიბუნაზე ქართულად ელაპარაკა და თავისი აზრი, მართებული თუ უსართებულო, ქართული მკევრმეტყველობით დაესაბუთებინა და მივიწყებული, სანახევროდ უკვე გადაგდებული, მხოლოდ სამზეოველოში სამხმარად ქცეული მშობლიური ენა ქართული კვლავ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოეყვანა.

ბანკის კრებებს აუარებელი ხალხი ესწრებოდა. მათ შორის უმთავრესად ახალგაზრდობა, ვისაც მის მოღვაწეობასთან არავითარი

კავშირ-ურთიერთობა არ ჰქონდა. უსმენდნენ ოპერეტორებს, მათ ქართულ მეტყველებას.

გასული საუკუნის საბოლოოდ ბოლოს გიორგი ერისთავის მიერ დაარსებული თეატრი უსახსრობის **თუ რაღაც სხვა მიზ**ეზების გამო დაიხურა.

თეატრის დახურვის შემდეგ საადგილმამულო ბანკი, მისი კრებები, სანახაობრივი სხვადასხვაობის ადგილ ბანკობიადა რომ შეარქვეს. ქართული საზოგადოებისათვის თეატრის ძოვალეობასაც ასრულებდა, უნივერსიტეტისასაც და კულტურულ თვითმართველობისასაც. რადგან ყველა მტკივნეული ეროვნული საკითხი იქ წყდებოდა. კრების ტრიბუნაზე გამოდიოდნენ დიმიტრი ყიფიანი და გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და ანტონ ფურცელაძე, ილია წინამძღვრიშვილი და ვინ მოსთვლის კიდევ ვინ. მათი აზრები ძირეულად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. კამათი ხანდახან ისე მწვავდებოდა, ისეთ ეულგარულ სახეს იღებდა, ლამის მიწევ-მოწევამდე და დუელამდე მიდიოდა.

რაკი მათებრ ორ ფეხზე იდგა, ორი თვალი და ორი ყური ჰქონდა, სხვებივით ჭამდა, სვამდა და დროდადრო ეტლშიაც ჯდებოდა, საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია, საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ბანკის დამაარსებელ თავადაზნაურობას, მუხრანბატონებსა და ერისთავებს, ორბელიანებსა და მაჩაბლებს, ანდრონიკაშვილებსა და ვაჩნაძეებს, სხვებსა და სხვებს, თავისი ტოლი და სწორი ეგონათ. ისინი ყოველ წუთსა და ყოველ წუთს ესხმოდნენ თავს ამ ბუმბერაზ ეროვნულ მოღვაწეს, რომლის უკვდავების დასადასტურებლად, ცით მოვლენილი პოეტიც რომ არ ყოფილიყო, 30 წლის განმავლობაში მარტო საადგილმამულო ბანკის სათავეში დგომა კმაროდა, კვანტს უდებდნენ, უჩიოდნენ, აბეზღებდნენ, ზეპირად თუ პრესაში ჭორებს უვცელებდნენ, ყოველნაირად ამცირებდნენ, როგორც ადამიანს და მის თავიდან მოსაშორებლად რა ხერხს და საშუალებას არ მიმართავდნენ!

ილიას [illegible] გამოსვლა ყველაფერს თავის ადგილზე აყენებდა და როდესაც [illegible] კენჭისყრაზე მიდგებოდა, გამოდიოდა, რომ მის წინააღმდეგ ხმას მხოლოდ 7-8 კაცი აძლევდა, 700-800 კი მომხრე იყო. მათ შორის ისინიც, ვინც დილის სხდომაზე ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოწინააღმდეგეთა წისქვილზე ასხამდა წყალს.

მესამე წელიწადი იწურება, რაც ჩვენი პარლამენტი მოქმედებს და მას ბევრი რამ საერთო აქვს ბ-ნ იოველ ასათიანის მიერ ცოცხლად აღწერილ ბანკობიადასთან. ბევრი რამ გენიშნება და გახსენდება. ახლაც, როგორც მაშინ ვეჩრით იმ ტოტს, რომელზედაც ვზივართ.

საადგილმამულო ბანკის კრებებს, ბანკობიადებს, ასი წელი და მეტი გვაშორებს, ჩვენ კი ამ ხნის მანძილზე ვერაფერი გვისწავლია.

კვლავ იქა ვდგავართ, სადაც ასი წლის წინათ ვიდექით. მაღალი ღმერთი მხოლოდ ერთი რამეში გვესმარება: ყოველთვის გვყავს კაცი, ვისაც შეგვიძლია ჩვენი უბედურება დავაბრალოთ, ზურგზე ჯოხი გადავამტვრიოთ. ის კაცი ფარ-ხმალს არ ყრის, მშვიდად იგერიებს თავის გამოჩენის სურვილით გადარეული ორატორების უხამს შემოტევებს, ამტკიცებს თავის სიმართლეს. უროიმლისოდაც ჩვენს საერთო სამშობლოს დაღუპვა ემუქრება. მაგრამ როდემდე, ძმებო და შვილებო, როდემდე გავაგრძელებთ ამ უაზრო ბანკობიადას და მტრისთვის გულში ლახვარის ჩასაცემად გონს როდის მოვეგებით?!

10 აპრილი 1995 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტობუს, ავტობუსი 3
ხარეხილი ხ

ილი უნდა ადგეს 12
ნეტა ბასეტი 16
დედა ენა და ხელ 19
საკვლევი მიზეზის მკვლელი 22
საქმესან ნეტარს
ხიკვეტი ისის სინგოლეში 27
მარადიული წინამძღოლი 29
უსაფრთხო
ბაღიკეტილი ბაღლი ოლიგარქიაში! 32
დიდ განსაცდელს მკვლელი
ენდა ალეშალეი 33
ინტერვიუ ეროვნულ „ალისკის" 35
ბაღიკეტილი ლელეგაღლები.
ქალბატონები და ბატონები.
ინფორმაცია მეგობრებო! 51
მაინა ასათიანი 54
თუ მშობლიურ ენაზე ეკლესია
გაიფარეთ 57
ჭეშ-ქუხილი... ჭეშმა 62
ვითარ კოკა წყალზე გაიტეხს 65
მიყვარე მზრალ თუ მზეო მიყვარეო? 75
გულისა და სისხლისის ეთანხმა 84
წადი, 1989 წელო, ჯერ ადამ
ჩოხეტეო!.. 86
რა დაეკარგეთ, ისის ალეგენი გაწყალა 89
საუბარი ბილიარში 93
საისხვეტლიანზე მიერანილი ვეფიკი 99
წიგნები დაგწვეთ თუ წაიკითხეთ? 101
ვერა, ვერ გაიმეორებ! 114
ინანილი საკუთარეტეტიანელი 117
9 აპრილის უნიკალური მარეანე 126
ოანშაბა, სახარეული, ქორწილები!.. 130
ენის დიაბეტი სასწაბინა! 133
ხახლი ხალიჩეულზე შენდება 139

ეროსი დედა, ეროსი ხამჩიბადი,
ეროსი ხიდლაგი 144
რა დაგიჭერია ქუჩების? 152
შიგნიდან გაგვხადეი ცეხე 155
ანთიჭის ვინიანების ეზოლოგი 167
აუცილებელი განმარტება 178
ეს რა ქალაგი გვეოლია 184
ბაგხარება ქალთაგელი ხამხეფილი
ეგზისტენციალიზმია 193
ვის ეუოლიბი ეროიტეხან? 197
ნუ ვაქაგეი ხამჩიბადის ხაუეტიგე 201
ლაბა ხალის ბედი 205
ანბეგანი ხეენეგი 213
ლაგეოლეგ. ფიქრიანი. ასეთი
ბეგელიანეგ! 223
ყეენის ცოლეგ 231
ანბეგბიბის თუ აებრაგლია
ხეეთხი"? 237
ან შეფიგლია ეოლეგ 243
ეგნა შეგეთხეის ეგნა ბანეგი 249
მანეზე�ეი ქალაჩიაგ ბინალიანი
ეროსი ინტერვიუს გაბი 256
ფრთხილად, წინ ბანეგნი წეენეგ!
წეოილი ოეფალეგის ხიანი 265
ნამეგიანი წიგნი 269
ახალეგ ჭეეი! 276
ოეეიანი ბეგეიბანი ქალაქია 281
ხაეი უბიანეგნი, შეიალეგნი,
ხაქანიეგელის? 296
ძეი, ლეგანი! 303
განხეთქილების ვაშლი 305
უხეგად გასეგრეა გეგლის ხიბის 318
ოხრანეგანის ქალთაგელი გაბიანახილი 320
ეეეგხლის ნუ ეეოანაბეგბი! 327
ვის მანეგნეი ხიანიბალე? 330
ვის ხეეალიბის ფიქრია? 337

[illegible] ხმის გამო? 341
[illegible] ადამიანის [illegible] ადგილი? 345
[illegible]! 350
[illegible] 359
[illegible] 365
[illegible]
[illegible] 367
[illegible] 372
[illegible] 375
[illegible]
[illegible] 377
[illegible] 384
[illegible] 388
[illegible]
[illegible] 395

რევაზ ჯაფარიძე

კაენის ცოდვა

პუბლიცისტური წერილები

გამომცემლობა „მერანი“, თბილისი
რუსთაველის პრ. 42

საარქიო საზოგადოება „პირველი სტამბა“. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50